ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

რუსთო ჩხეიძე

მგზის რაინდი

ალექსანდრე ბატონიშვილის
ცხოვრების ქრონიკა

თბილისი
2011

ალექსანდრე ბატონიშვილი რჩებოდა სიმბოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა.

ორი საუკუნის მანძილზე ქართველობა მისი სახელის ხსენებითა და ხელახალი მოვლინების რწმენით ითქვამდა გაწამებულ სულს და ინარჩუნებდა სიმხნევეს, რათა ადრე თუ გვიან არამარტო გადაეგდო რუსული მონობის უღელი, არამედ შექმნილიყო სრულუფლებიანი ნევრი საკაცობრიო ოჯახისა.

და როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოგვევლინა ქვეყნისათვის კიდევ ერთ საბედისწერო ჟამს, მისი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ამოგებისათვის ქართველობამ აღიქვა ალექსანდრე ბატონიშვილის სულის ხელახალ ამოფრქვევად, ბალახგადავლილი მისი ბილიკების გამოჩენად.

და როდესაც მოახლოვდა ჟამი არა ეფემერული, არამედ ნამდვილი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, სახალხო მსვლელობებს და დემონსტრაციებს წინ მიუძღოდა ეს ორი სურათი: ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის.

ქართველობა მოვალე გახლდა შექმნილიყო ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა, რომელშიც დიდ პოლიტიკურ მღელვარებათა და ტრაგიზმის ფონზე გამოიკვეთებოდა ეროვნული გმირის სრულქმნილი პორტრეტი.

და, აი, სამზეოზეა ბიოგრაფიული რომანი „მზის რაინდი“, მეთორმეტე ნიმუში როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა ციკლში, ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით კი სულაც გამხსნელი ამ ციკლისა და მისი სულისკვეთების განმსაზღვრელიც.

ალექსანდრე ბატონიშვილი მარტოდენ ქართული მოვლენა არა ყოფილა.

იგი არანაკლები ექსპრესიითა და შთამბეჭდაობით განასახიერებს ზოგადკავკასიურ სიმბოლოს და მისი ცხოვრება კიდევ ერთი დადასტურებაა იმ რწმენის, რომ აუცილებელია კავკასიური ერთიანობა — პოლიტიკური, ეკონომიკურიც, კულტურიც, რათა თვითეულმა იმ ერმა, რომელიც კავკასიის ქედს გადაღმა და გადმოღმა ცხოვრობს, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა და თავისებურებანი.

დაე ეს ბიოგრაფიული რომანი იყოს ამ რწმენის ხელშესახები გამოხატულება და ამ ერთიანობის ნიშანი, რათა კავკასია და მისი ბინადარნი აღარასოდეს დადგნენ განსაცდელის წინაშე.

ISBN 978-9941-0-4039-9
© როსტომ ჩხეიძე, 2011

სულ რაღაც ათი გავიდა წელი,
სულ რამდენჯერმე მობრუნდა მთვარე,
რაც დასტიროდა მტკვარს ალექსანდრე
და მთებს შამილის სული მშფოთვარე.
...
ამ საშინელ და უიღბლო ღამეს
მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი:
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
ბატონიშვილის ალექსანდრესი.

ტიციან ტაბიძე

და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები.

გალაკტიონ ტაბიძე

წინასიტყვის მაგიერ ან ავტობიოგრაფიული რომანის ძარგა

— ალექსანდრე ბატონიშვილის ჯერ მარტო კავკასიური თავგადასავალი გაავსებდა საშუალო მოცულობის ორ ტომს.

თუ ვინმეს შეძლებია და შეუძლია მზერა გაადევნოს ამ ჰეროიკული და ტრაგიკული ფიგურის ცხოვრების მღელვარებას და გონების თვალით წარმოისახოს ამ ცხოვრების სიბობოქრის სივრცე, ერთ უპირველესთაგანს ალბათ უილიამ მანტეისს, ინგლისელ დიპლომატსა და ოფიცერს, ვინც წლობით იცნობდა ერეკლე მეორის უამრავ ვაჟთაგან ამ ერთადერთ მოუხელთებელ ბატონიშვილს, საქართველოში ორჯერ შემოჭრისასაც ხლებია მას, სპარსეთში გადახვეწილს კი ხშირად ხვდებოდა და უშუალოდ მოუსმენია მისი მონათხრობი გადატანილ ხიფათებსა და სიძნელეებზე, და იმ სიხარულის წუთებზეც, რაც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოეცადა.

საშუალო მოცულობის ორ ტომს გაავსებდაო...

ამას ისე, სხვათა შორის კი არ აღნიშნავდა, არამედ გულდაწყვეტით, რადგანაც თვითონ სურდა და, როგორც ჩანს, ძალიანაც სურდა ამ თავგადასავლის გადატანა ფურცლებზე. და თითქოს წინ რა უნდა

დადგომოდა ამ მოწადინებას, მითუმეტეს, რომ ბატონიშვილისათვის პირიდან სიტყვები კი არ უნდა ამოგეგლიჯა, ხალისიანი, ენაწყლიანი მთხრობელი ყოფილა და არც შეკითხვებზე პასუხს გაურბოდა.

ჩაწერა სჭირდებოდა უილიამ მანტეისს, სხვა კი არაფერი, შესაძლოა ოდნავი ხელის გაკვრა და... დიდებულ რომანისტად მოევლინებოდა არამარტო ინგლისს, არამედ მთელს ევროპას, ეგებ უოლტერ სკოტისთვისაც გაეჯიბრებინათ.

ალექსანდრე დიუმა ვერც გაბედავდა ამ შეჯიბრში ჩარევას.

სწორედაც უოლტერ სკოტისათვის.

რაღა იმის „აივენჰო“ ან „თილისმა“ და რაღა ამის „ალექსანდრე ბატონიშვილი“.

ისე „რობ როის“ ხსენება ხომ არ იქნებოდა უფრო უპრიანი? რაკიღა იქ უხვადაა ჩართული დოკუმენტური მასალა, და უილიამ მანტეისიც, მოსალოდნელია, დოკუმენტურ მასალებზეც ააგებდა თხრობას, გარდა უშუალო დაკვირვებათა და შთაბეჭდილებებისა.

რაღა უოლტერ სკოტი და რაღა უილიამ მანტეისიო...

თუკი ასეა, მაშ რას შეიძლება შეეშალა ხელი ინგლისელი დიპლომატისათვის, მთლიანი და თანმიმდევრული ცნობები მოეპოვებინა მისი თავგადასავლის შესახებ?

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის ხალისიან თხრობას ახსენებს, დასძენს: ყოველ ცალკეულ შემთხვევაშიო.

ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ბატონიშვილს არა ჰქონია შესაფერისი მოცლა.

ანკი როგორ ექნებოდა იმ ცხოვრების წესში ჩაფლულს?!

თანაც:

— ბატონიშვილი და მისი მდივანი ყოველთვის არ იყვნენ განწყობილნი, ეთარგმნათ ქართულიდან — რომელზედაც ისინი ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ — თურქულად. ეს კი იყო ერთადერთი ენა, რომელზეც მათ შეეძლოთ საუბარი ჩემთან. ეს გარემოებაც აძნელებდა საქმის წინ წაწევას.

ესეც თავისთავად იგულისხმება — ყოველთვის ვერ იქნები მოყოლის განწყობილებაზე. და თუ ხან თვითონვე უთარგმნი შენდამი კეთილგანწყობილ ინგლისელს მდივანთან საუბრის შინაარსს და უკმაყოფილებ ცნობისმოყვარეობას, ხან საამისოდ სულაც არ გცხელა და ვერც ამჩნევ მის გაფართოებულ თვალებსა და მავედრებელ გამომეტყველებას, ეგებ ჩემთვისაც გაგენდოთ, რაღაცას ძალზე საინტერესოს რომ ლაპარაკობთო; და გინდათ შეამჩნიოთ, წუთიც გენანება დასაკარგავად.

იმისთვის ხომ არ მოვლენიხარ ამქვეყნად, შენი ცხოვრების აღსაწერად მომართული ბიოგრაფოსი მასალებით ამარაგო.

ეს ცხოვრება ჯერაც წინ არის.

რაც აქამდე მოგიმოქმედებია, მხოლოდ ექსპოზიციურ ნაწილად გესახება, თუნდაც მეტად ვრცელ, გაჭიანურებულ, მაგრამ მაინც ექსპოზიციურ ნაწილად, და ამ გაჭიანურებული შესავლის გადაქცევა უფრო გესწრაფება ნამდვილ ცხოვრებად, ვიდრე აქამდელი თავგადასავლის დეტალური აღდგენა, იმ ეპიზოდების ამოვსება, ბიოგრაფოსს მიკარგული თუ მიყრუებული რომ ეჩვენება და ძალიანაც ესახელება, თუ თვითონ აღმოჩნდება ხარვეზების ამომვსები.

არადა, ასეთი ეპიზოდი უხვადაა.

და მათ გახსენებას ხომ არ გადაყვები.

ამიტომაც: წინ, წინ და ისევ წინ!..

სიახლოვე მაკავშირებდა ალექსანდრე ბატონიშვილთანო, — ყოველთვის ეამაყებოდა უილიამ მანტეისს და გული წყდებოდა, რომ ამ სიახლოვის დოკუმენტური დადასტურება ვერ მოეხერხებინა.

რამდენიმე ტომი კი არა, ერთიც ვერ შეედგინა.

ჯერ მარტო კავკასიური თავგადასავალი რამდენ ერთიერთმანეთზე მღელვარე და მიმზიდველ ამბავს მოიცავდა.

ესეც ბიოგრაფიული თხზულების მთავარი ძარღვი.

შევსებული მრავალფეროვანი შენაკადებით.

და ინგლისელ ოფიცერზე არანაკლებ შენ გწყდება გული, ეს ბიოგრაფიული ქრონიკა დაუწერელი რომ დარჩა.

თან შენვე ამტკიცებ, იმიტომ ხომ არ მოვლენილიყო ამქვეყნად, ბიოგრაფოსები მასალებით ემარაგებინაო, და თან შენვე ვერ მოგინელებია წუხილი, რატომ დარჩა მანტეისის ბიოგრაფიული ქრონიკა დაუწერელი, მითუმეტეს — რამდენიმე ტომიანიო.

ახ, ერთი ბიოგრაფიული რომანი ალექსანდრე ბატონიშვილზეო, — დღემდე ოცნებობდა ქართველი მკითხველი, და თურმე ამ ჟანრის თხზულება მისი თანამედროვის ხელითაც კი შეიძლება შექმნილიყო, მართალია უცხოელის, მაგრამ მის გვერდით მდგომისა და ისეთი ნიუანსების მცოდნის, დრო უკვალოდ რომ გააქრობდა და რაღაცების აღდგენა ვარაუდებით თუ გვიხდება, რაღაცებს კი ვარაუდებიც აღარ შველის.

მაინც როგორ ჩარჩენოდა ხსოვნაში ინგლისელ დიპლომატს ალექსანდრეს პიროვნული თვისებანი, მისი ხასიათის ყველაზე საგულისხმო შტრიხები?

— ამ ბატონიშვილის ხასიათში არ შეიმჩნეოდა არა თუ რომანტიკა და გაბედულება, არამედ ენერგიაც კი.

ერთხელ ნაკითხულს არ ენდობი და კიდევ და კიდევ გადაავლებ მზერას, იქნებ თვალი მატყუებს და ის არ იგულისხმება, რაც ერთი შეხედვით მომეჩვენაო; ეგებ ქვეტექსტმა სრულიად ამოაყირავოს ამ ფრაზების გარეგნული შინაარსიო... მაგრამ არავითარი ქვეტექსტი აქ არ შეინიშნება და პირდაპირ უნდა გავიგოთ ის, რაც გვამცნეს...

კი მაგრამ, როგორ, რანაირად გავიზიაროთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნული ბუნებისათვის სრულიად უცხო ყოფილა რომანტიკაც, გაბედულებაც და ენერგიაც.

ისე უილიამ მანტეისს ყველაზე მეტად ენერგიის არარსებობა უკვირს: ისიც კიო, — თვითონაც გაოცებით აღნიშნავს, მაგრამ ფრაზების საერთო განწყობილება იმგვარია, მიკერძოება არაფრით არ უნდა დავაბრალოთ. მიაჩნია, რომ სავსებით მიუდგომლად გამოთქვამს ამ დაკვირვებებს და რა მისი ბრალია, თუ ახლო ურთიერთობისას ალექსანდრე ბატონიშვილს ეს თვისებანი თუ მისწრაფებანი არ გამოუმჟღავნებია.

არადა, ალექსანდრე ბატონიშვილი ესაა — რომანტიკის, გაბედულებისა და ენერგიის განსახიერება.

მაგრამ თუ დიპლომატს ეს ვერ შეუმჩნევია მისთვის?

და გიხარია, რომ ალექსანდრეს პირველ ბიოგრაფოსად უილიამ მანტეისი არ მოგვევლინა.

ამ თვალითა და გააზრებით — კეთილი, ნუ მივიჩნევთ ტენდენციურად, მაგრამ ზედაპირული კი ნამდვილად არის — წარმოსახული პორტრეტი რაში შეიძლება გამოგვდგომოდა?!.

თუმც მაშინვე მეორე ხმაც მოგესმის და ამ განწყობილებას გაგიბათილებს: ეპიზოდები ხომ იქნებოდა მოთხრობილი, თვითონ ალექსანდრეს მონაყოლით გვეცოდინებოდა უამრავი რამ, თვითმხილველთა ნაამბობიც უხვად შემოგვრჩებოდა და ბოლოსდაბოლოს გააზრებით და შეფასებით ჩვენ გავიაზრებდით და შევაფასებდით, თუკი ძალიც შეგვწევს ქადილისა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სულის შრეებში შეღწევა ჩვენ მაინც შეგვიძლია.

ისე მაინც რამ წამოაცდენინა ეს სტრიქონები, და თუ უნებლიეთ ჩაწერა, გადაკითხვისას როგორ არ წაშალა, გონებაზე წამიერად ბინდი გადამეფარა თუ რა დამემართაო?!.

ხალისიან მოყოლას რომ ახსენებს, იუმორით შეფერადებაც უნდა იგულისხმებოდეს, თხრობის სიმსუბუქე, გარიდებული ყოველგვარ

ბაქიბუქსა და გარეგნულ პათოსს და, ეტყობა, ამანაც შეაცდინა ინგლისელი, რომანტიკულობა არ ახასიათებს, არც გაბედულება და მაინცდამაინც ენერგიულობითაც ვერ დაიქადნისო.

ალექსანდრე ბატონიშვილს კი ქცევისა და თხრობის თავისი სტილი ჰქონდა და არაფრად დაგიდევდა, რა შთაბეჭდილება დარჩებოდათ მოხალისე ბიოგრაფოსებს.

უნებლიეთ რომ მოესმინა ეს დახასიათება, გაიღიმებდა და მისი პასუხიც ეს იქნებოდა: რაცა ვარ, ესა ვარ, ეს რუსები გამაყრევინა აქედან და სამეფო აღმადგენინა და მე თუნდ სახელმწიფო საქმეებშიც არ ჩავერევი, თუკი ჩემი მონაწილეობა აუცილებელი არ იქნებაო.

ვიღაცას ეგებ ამისთვისაც თავისი კუდი გამოება: აგერ, ხომ ხედავთ, ენერგია ღალატობს და ვერც გაბედვით გაუბედავს სახელმწიფო პასუხისმგებლობის აღებაო.

უილიამ მანტეისზე კი მთლად ამ ორიოდ სტრიქონით ნუ შეიქმნით შთაბეჭდილებას, რადგანაც სხვა დაკვირვებანი მრავალმხრივ საგულისხმოა და ერთი მაინც ისეთი, ჩვენით გუმანსაც ვერ მივატანდით.

— ბატონიშვილი არასოდეს არ ერიდებოდა საშიშროებას და დაღლილობას: იგი ჭეშმარიტად უგრძნობი იყო ორივეს მიმართ. და თუმც ერთი შეხედვით ბატონიშვილი თავისი მომხრეების გავლენის ქვეშ ჩანდა, მაგრამ იგი მაინც ყოველთვის წარმატებით უჭერდა სადავეს ამ სასტიკსა და გაშმაგებულ ხალხს. ისე რომ მე არ მახსოვს ოდესმე ყური მომეკრას რაიმე შფოთის შესახებ მათ შორის. თვითონ ბატონიშვილი გახლდათ ფხიზელი გონების, დინჯი და არასოდეს არ ვარდებოდა უკიდურესობაში... არასოდეს უამაყია თავისი წარმოშობით და არ ეძლეოდა უსარგებლო სინანულს თავისი კეთილდღეობისა და ბატონიშვილის მაღალი წოდების დაკარგვის გამო.

ასე თვალდათვალ წარმოისახება ჩვენს წინაშე თავმდაბალი, სასიამოვნო პიროვნება, ვისაც ვერც შეატყობ სამეფოდ თუ გამზადებულა და უარის თქმაც არ გაუძნელდება ტახტზე, თუ გარემოებანი ასე მოითხოვს. ვერც დინჯ ქცევაზე შეატყობ, ამხელა მღელვარებებს თუ ატრიალებს მთელ კავკასიაში და მისი სახელის მეტი აღარაფერი გაისმის — ზოგისთვის ასერიგად აღმტაცი და ზოგისთვისაც საძულველი. ეს სიდინჯეა სწორედ, ვნებებს რომ უოკებს და უკიდურესობებს არიდებს, და გრძნობებზე მეტად გონების კარნახს მიჰყვება.

ნურც ის გამოგვრჩება, რომ ბატონიშვილი არამცთუ არ გაურბის საშიშროებას და ვერც დაღლილობა აჩერებს, სრულიად უგრძნობელი რომ ყოფილა ორივეს მიმართ.

და ვისაც საშიშროება ერთიბეწოთიც ვერ შეაფიქრიანებს, განა შეიძლება ის იმავდროულად გაუბედავიც იყოს?

და ვინც საერთოდ არ იცის, რა არის დაღლილობა, განა შეიძლება ის უენერგიო გვეგონოს?

თუმც ღდინამდე ნუ ჩავყვებით ინგლისელ დიპლომატს, ბოლოს-დაბოლოს კეთილად განწყობილიყო ქართველი უფლისწულისადმი და წუხდა, საშუალება რომ არ მიეცა მისი ცხოვრების ქრონიკა რამდენიმე ტომად დაეტოვებინა შთამომავლობისათვის. და თუ სრულყოფილად ვერ ჩაწვდენია მის პიროვნებას, რატომ უნდა გავამტყუნოთ. აგერ რაოდენ ძვირფას ცნობას გვატყობინებს, ბატონიშვილი ერთი შეხედვით თავისი გარემოცვის გავლენის ქვეშ რომ იმყოფება, სინამდვილეში კი მარჯვედ აწონასწორებს ყოველივეს და წარმართავს თავის მომხრეთა ყველა ნაბიჯს. გასასტიკებულან? გაშმაგებულან? ალექსანდრესთან ვერ გადადიან ზღვარს, თუმც თავისუფლად ექცევიან, ტოლივით ეპყრობიან, ეთამამებიან, მაგრამ თურმე სრულ წესრიგს არიან დამორჩილებულნი, იმ უხილავ ზეგავლენას, რაც ალექსანდრეს შინაგანი ძალაცაა და მისი შარავანდიც.

ძმასავით საყვარელო და ძმებსავით საყვარელნოო, — ხშირად მეორდებოდა მის პოლიტიკურ წერილებსა და მოწოდებებში ეს მიმართვა მებრძოლთადმი და ალექსანდრე ფრონელი საგანგებოდ მიაქცევინებდა ყურადღებას მკითხველს ამ გარემოებაზე. და შესაპირისპირებლად მოიხმობდა მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვისათვის ჩვეულ გამოთქმას, ოფიციალურ ბრძანებებში ჯარისკაცები „ამხანაგებად" რომ მოიხსენია. და გვამცნობდა, რომ რუსი ისტორიკოსები ქებით აქებდნენ და განაზოგადებდნენ მის ამგვარ საქციელს, უცნაურს მაშინდელ რუსულ სინამდვილეში.

აბა, ერმოლოვს რამ მოაფიქრა?

ეტყობა, მართლაც ნაპოლეონ ბონაპარტესათვის მიებაძა.

მაგრამ ქართველი უფლისწული?

— ბატონიშვილი ალექსანდრე რომ მეომარ ფშავ-ხევსურებს და არაგველებს ძმებად და ამხანაგებად იხსენიებს, ნეტა ვის მიჰბაძა? ნაპოლეონის ამბები ჩვენამდის კანტი-კუნტად მოდიოდა.

სხვისი მისაბაძი, თუნდ სახელგანთქმული პიროვნებისა, რა სჭირდა ალექსანდრეს, როდესაც თვალწინ ამისთანა მაგალითი ედო, მაგალითი, რომლის ზნეობრივ გარემოშიც იზრდებოდა და სხვაგვარად მოქცევა ვეღარც წარმოედგინა.

ასეთი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე მეორესაც თავის მომხრეებთან — თან აღმერთებდნენ და თან ტოლივით ეპყრობოდნენ.

მოგვიანებით ასეთივე ურთიერთობა ექნებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც თავის შეფიცულებთან — თან თაყვანებით რომ შეჰყურებდნენ და თან თავისუფლადაც ექცეოდნენ.

სამივე ამ ბუნებისა გახლდათ.

და გარემოცვასა და მომხრეებთან ურთიერთობა ამგვარი და მხოლოდ ამგვარი ერჩივნათ.

დაე მანტეისივით სხვანიც გაოგნებულიყვნენ, ალექსანდრეს გარეგნული მორჩილება რეალურად მის ძალმოსილებას რომ ამჟღავნებდა.

ამიტომაცაა, რომ ვერავინ გადაიბირეს მისი უშუალო გარემოცვიდან, გამცემი ვერ გამოძებნეს, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერატორო კარი წყალობას არა ზოგავდა მოღალატის აღმოსაჩენად და ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაცილებლად — ამდენი წელი ვერ მიუდგებოდა ვერსაით, იუდად ვერავის გადააქცევდა.

ის კი არა, მასთან გაკარებას შეეძლო ადამიანის სასიკეთო ფერისცვალება გამოეწვია.

ანტონ ფურცელაძეს ახსოვდა, თუ როგორ მღეროდა XIX საუკუნის 60-იანი წლების გორში მესტვირე ქებაძე ლექსებს ვინმე როსებაზე, ალექსანდრე ბატონიშვილთან რომ მიეგზავნათ მოსაკლავად, მაგრამ იმას ბატონიშვილის გარემოცვაში რომ შეეღწია, ამასობაში კიდეც კარგად გაცნობოდა და ისე მოხიბლულიყო და აღტაცებულიყო, რა მკვლელობა და რომელი მკვლელობა, მთლად მისი უერთგულესი შექმნილიყო, მისი თანამკვდარი.

ეს ის დროა, არსენა მარაბდელზე რომ ტრიალებდა სიმღერები მესტვირეთა წრეში და დიდადაც გავრცელებულიყო ხალხში, ჩაწერითაც ჩაიწერდნენ და, ერთმანეთს რომ გადააბამდნენ დამოუკიდებელ ლექს-სიმღერებს, საგმირო ეპოსადაც ჩამოიქნებოდა პეტრე უმიკაშვილის ხელით და პოპულარობა მერე გენახათ თუ უნდა გენახათ.

ალექსანდრეზე ლექს-სიმღერას ამდენისათვის ვერ მიუღწევია, ჩანავლებულა, გამქრალა, და მარტოდენ ბუნდოვან ხსოვნად დარჩენილა.

ყაჩაღი გადააჭარბებდა ეროვნულ გმირს, ის გაუთანაბრდებოდა დაუმორჩილებლობისა და თავისუფლების რწმენას, ის გასიმბოლოვდებოდა ამაღლებულ მისწრაფებებთან, და ძალდაუტანებლად ჩაენაცვლებოდა ეროვნულ გმირს.

და ეს სწორედ იმისთანა შემთხვევა უნდა იყოს, შენ კი არ ყოფილხარ დიდი, აქილევს, დიდი შეგხვდა მაქებარიო.

დიდი მაქებარი შეხვედროდა არსენა მარაბდელს.

ამხელა მაქებარი ვერ ეშოვნა ალექსანდრე ბატონიშვილს ვერც მესტვირეთა და ვერც სახალხო მთქმელთა წრეში და ეპოსის გმირად ამიტომაც ვერ მოვლენოდა თავისუფლების მაძიებელ, სახელმწიფოს აღდგენაზე მეოცნებე ხალხს.

ლეკური ლეგენდა შემოინახავდა მის ჰეროიკულ სულს, ზოგს ოსურიც რომ ეგონა, თუმც ასეც რას გაუყვია ჩრდილოკავკასიური რწმენა-წარმოდგენანი, მათი მითოსური ხედვანი.

ისე პირველად „აკაკის კრებულში" რომ გამოქვეყნდებოდა მისი მითოსის სიუჟეტური ვერსია (1899, VIII, ნაწილი II), სწორედაც როგორც ოსებში ჩაწერილი, თუმც მოგვიანებით პავლე ინგოროყვა უპირატესობას უფრო მის ლეკურ წარმომავლობას მიანიჭებდა. დიახ, რას გაეყო ჩრდილოკავკასიური მითოსი, მაგრამ მაინც!..

მთავარი ამჯერად ისაა, ოსებსაც რომ თავისად დაეგულებინათ ალექსანდრე ბატონიშვილის ლეგენდა, მფრინავი რაშისა თუ ზეციური მხედრის მოლანდება, შეეთვისებინათ და თვითონაც ამ მოლანდებასა თუ მონატრებაში ჰპოვებდნენ შვებასაც და სულიერ სიმხნევესაც.

და მაინც:

ამ ლეგენდის სათავეს ნუ მივაყრუებთ.

სათავეს — პავლე ინგოროყვას მიერ ზეპირ საუბრებში გამოთქმულს დაბეჯითებულ მტკიცებად, დოკუმენტურ დადასტურებას ოთარ ჩხეიძის ჩანაწერში რომ ჰპოვებდა.

მისი მტკიცებაც რომ არა, ისედაც საფიქრებელი ეს უფრო იქნებოდა, რაკიღა ალექსანდრეს სახელი დაღესტანს მაინც სხვაგვარად დაკავშირებოდა, სულაც გადაჯაჭვოდა და, ამ თვალსაზრისით, სხვაგვარ განზოგადებას იძენს ის მოგონებაც, ალექსანდრე ფრონელის „კახეთის ამბოხებაში" რომ ჩართულა იმ მსჯელობის თვალსაჩინოებად, მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში რომ ამოჰყოფდა თავს, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ხანაც ახალციხის საფაშოში, და, რუსების მოძულე (დავაზუსტოთ: რუსების სამხედრო ექსპანსიის მოძულე), ყველგან სასურველი და სანეტარო სტუმარი გახლდათ, რაკიღა მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, ასე ვთქვათ, სინონიმს, და ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცის სახელს ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია...

დიახ, ამ მსჯელობის თვალსაჩინოებად მოხმობილია რუსის სამსახურის პოლკოვნიკის, ანწუხელი ლეკის ღიმილითა და თავმოწონებით

ნაამბობი, თუ როგორ დაბინავდებოდა ხოლმე დაღესტანში ასული ბატონიშვილი მათ ოჯახში.

— კარგად მახსოვს, — ბავშვობ-სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდა. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა. სიძველისა გამო დაიფუშა ის ორი ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგა. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდის მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებს და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასი სტუმრის ნაქონარ ნივთებს.

ლეკური ლეგენდა შემოინახავდა მის ჰეროიკულ სულსო...

აფსუს, მესტვირე ქებაძის დაკარგულო სიმღერავ!.. თუმც ესეც საგულისხმოა, ანტონ ფურცელაძე რასაც გვამცნობს, მისი ზოგადი შინაარსი ალექსანდრეს მომნუსხველ ძალას რომ გვიდასტურებს, მისი პიროვნების განსაკუთრებულ ზეგავლენას გარშემომყოფებზე, მტკიცედ რომ ეპყრა ხელთ ყველაფერი, არადა უცხო კაცს პირიქით რომ ეჩვენებოდა: რა არის, ეს რამდენს უბედავენო!..

მოგვიანებით კარგა ხანს იოცნებებდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომანის გმირად წარმოესახა ალექსანდრე ბატონიშვილი, მასალებსაც გულდასმით აგროვებდა და კომპოზიციური ქარგაც შემოეხაზა ზოგადად, სალმასტის (სალმასის ფორმით მოხსენიება რომ ერჩივნა) პროვინციაში მისი ყოფნა უნდა მოქცეულიყო რომანის შუაგულში და ადრინდელი ამბები, ეტყობა, რეტროსპექტულად შემოვიდოდა თხრობაში.

მისი უბის წიგნაკის ჩანაწერთა თვალიერებისას არაერთხელ შეგიკუმშავს გულს ტკივილი დიდი განზრახვის ნამსხვრევთა ხილვისას, და მათ შორის ის ფრაზებიც შეგაჟრიალებს, დიდი ჩანაფიქრის არსებობას რომ შეგახსენებს და გრძნობ, რამხელა მღელვარება უტრიალებდა ამ თითქოსდა უბრალო ფრაზების ჩანიშვნისას.

— რომანი „სალმასი“. იხ. შკლოვსკის წიგნის ბოლოში მასალა.

— „სალმასისთვის“.

Свен
Брюш
Возврат
Дизинтерия
Эпидемия Энцифалит (сонная боль)
Маллярия
сыпъ

— რომან „სალმასის“ გმირს ჩაეწნას ფრეიდის ფსიხო-ეროტიული იდეა.

„ჯაყოს ხიზნების“ მხატვრულ-იდეურ მრწამსს აგვისტოს აჯანყებისა და ფროიდიზმის შერწყმაში დაინახავდა და, როგორც ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილზე განზრახული რომანიც ამავე თვალთახედვით შეიქმნებოდა — იდეასთან ერთად, ფორმასაც ფროიდიზმის მოშველიება განსაზღვრავდა და ესეც კიდევ ერთი დასტური იქნებოდა იმისა, რომ ეს თხზულებაც გარდასული ჟამის წარმოსახვა-გაცოცხლებაზე მეტად თანადროულ რეალობას გააშიშვლებდა, თვალწინ ჩავლილ ამბებს შემოიკრებდა თავის სიუჟეტურ ქარგაში. და ისე მოხდებოდა, რომ ეს იდეა მალევე გადაინაცვლებდა „ჯაყოს ხიზნებში“. იმას, რაც უკვე ნაპოვნი გახლდათ, დიდი რამ ჩხრეკა-ძებნა აღარ დასჭირდებოდა.

— „სალმასი“. ავწერო ფატალისტი სპარსელი, მისტიკოსი, დოგმატიკოსი (იხ. გ. ქიქოძის წიგნი. გვ. 158-161).

— „სალმასს“ ჩაერთოს მოლლა ნასრედინის ანეგდოტები.

ეს მარტოდენ თხრობის გასახალისებლად არ უნდა სჭირდებოდეს, ანდა კოლორიტისათვის, რაკიღა მოქმედების არე ირანის პროვინციაა; უფრო იმ დაფარული სიბრძნისათვის, რაც მხიარული საბურველის მიღმა ჩამალულა და გონიერი კაცი — მწერალი იქნება თუ მკითხველი — ხელიდან არ გაუშვებს შესაძლებლობას, აქედან გახსნას და აქედან შეიმეცნოს ამა თუ იმ თხზულების იდეური ძარღვიც და ფორმის საფანელიც.

— „სალმასი“ — დაკვრა და დასაკრავი აღმოსავლური ყარგუზარისა (ვკითხო ოგანეზაშვილს).

— „სალმასი“. მას ძმა ჰყავდა ქართულ პოლკში. სააღდგომოდ პოლკი ეწვევა. ძმა შეხვდება პეტროსიანს, რომელიც კომენდანტად არის. მოიგონებს აკლებას სოუჯბულაღში.

— „სალმასი“. ფერეიდ. ქალი მუდმივ სცდილობს ჩადრი მოიხადოს. ამის გამო მისი მამა ხშირად იცვლის ადგილს.

ყველა ეს ამონარიდი 1924 წელს და თითქმის ერთდროულადაა ჩაწერილი დღიურში, და ეს გარემოება ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, თუ როდის ანთებულიყო მიხეილ ჯავახიშვილი ყველაზე მძაფრად ამ რომანის დასაწერად, შემდგომ კი ორიოდეჯერ გაიელვებს ეს სახელი და თემა, რაკიღა „ჯაყოს ხიზნებმა“, „გივი შადურმა“ და „თეთრმა საყელომ“ უფრო გაიყოლიეს თავისკენ და მერე კი ალექსანდრე ბატონიშვილზე ცალკე რომანის შექმნა, ტრილოგიის პირველი თხზულების, თანდათან გაუქრა ხელიდან.

— ალ. ბატონიშვილი სალმასის შამხალი — გუბერნატორი იყო.

ეს 1925 წლის ჩანაწერია, ეს კი 1927-ისა:

— „შეთქმულნი". ალექ. ბატონიშვილის (აღა მაღოვისა) სურათი აქვს ნინო ავალიშვილს (ეკითხოს გ. მოზდოკელს).

რაღაც სხვა სურათი უნდა იგულისხმებოდეს და არა ის, რომელსაც ჩვენ ყველა ვიცნობთ — გამოქვეყნებული „აქტების" V ტომში და ხელმისაწვდომი მიხეილ ჯავახიშვილისთვისაც: ისაი ჯანჯუღაზოვის მიერ დახატული 1840 წლის 21 დეკემბერს და შენახული თავრიზში, საგინაშვილთა ოჯახში, სადაც უნახავს რუსეთის გენერალური საკონსულოს მდივანს ბაკულინს, ფოტოპირი გადმოუღია და „აქტების" გამომცემლებისათვის ჩამოუტანია.

იცოდა და ჩინებულადაც იცოდა, რომ კავკასიის ისტორიის დოკუმენტური პანორამა ვერაფრისდიდებით ვერ წარმოისახებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის გარეშე, მისი პორტრეტის უქონლობა კი ბევრს დააკლებდა პანორამის სისრულეს.

შოთა ხანთაძე გვაცნობებდა, რომ გარდა ამ პორტრეტისა, „აქტების" გამომცემელთ ხელთ ჰქონიათ ბატონიშვილის კიდევ ერთი სახება — გადმოღებული ირანში რუსეთის რწმუნებულის, ბერგერის განკარგულებით — გამოხატული თეირანის ნიგაროსტანის აუდიენცდარბაზის ერთ-ერთ კედელზე. მხატვარს შეუქმნია ფათ-ალი შაჰის ერთ-ერთი აუდიენციის სურათი და იქ მეათე ხარისხის ადგილზე ალექსანდრეც მოჩანს. ამას წარწერიდან ვიგებდით: ბატონიშვილი ალექსანდრე, საქართველოს ვალიო, — თორემ გამომცემელნი გვერდით გადადებდნენ იმ მოტივით, მხატვრის ფანტაზიის ნაყოფიაო.

მეათე ხარისხის ადგილი იყო თუ რა იყო, გნებავთ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფადაც მიიჩნიეთ, ალექსანდრე ბატონიშვილის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ თეირანის სასახლის კედლები.

მიხეილ ჯავახიშვილმა იცოდა, ვისთან დაეზუსტებინა იმ უცნობი ნახატის ადგილსამყოფელი.

ჩვენ ვის ვკითხოთ, ვინ დაგვაზუსტებინებს, ვინ მიგვაგნებინებს?!.

„სალმასი" და „სალმასიო" აკი ხშირად მეორდებოდა და თითქოს ეს სათაური არც არასოდეს უნდა შეცვლილიყო, მაგრამ გავიდოდა წლები და აგერ 1935 წლის ჩანაწერში უეცრად სხვა სახელწოდება იელვებდა:

— „ცეცხლის მახე" — სათაური რომანის ალექსანდრე ბატონიშვილის დროიდან.

ეს დაზუსტებაც დამაფიქრებელია: დროიდანო.

ეტყობა, მთავარ გმირად უკვე გამოგონილი პერსონაჟი წარმოუდგებოდა და არა უშუალოდ ისკანდერი, ვისი ბრძოლების ფონზეც მოიქსოვებოდა მთავარი გმირის თავგადასავალი.

დაუწერელი დარჩებოდა ეს რომანი — „ცეცხლის მახე“.

ისიც ხომ დაუწერელი დარჩენილიყო — „სალმასი“.

ნაცვლად ამისა შეიქმნებოდა ეპიკური თხზულება არსენა მარაბდელზე. მართალია ისტორიულ არსენა ოძელაშვილზე მეტად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახე გამოიკვეთებოდა თხრობისას, მაგრამ თხზულებას მაინც არსენას სახელი ერქვა და ესეც რა ალექსანდრე ბატონიშვილის ბედი გახლდათ, რომ ამჯერადაც ყაჩაღის ჩრდილში მოქცეულიყო.

ან ის რაღა იყო, ვასილ ბარნოვსაც რომ გაუსხლტებოდა ხელიდან ეს გმირი და, თუმც მხატვრულ წარმოსახვაში მითოსურ სახემდე აზიდავდა, ფურცელზე გადატანისას ფრაგმენტულ მონახაზს ვერ გაცდებოდა, მინიშნებას — მასში ლეგენდური შარავანდი იგულვეთო.

მკითხველს კი ენატრებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა.

ისტორიული თხზულებანი კი შეიქმნებოდა — ნიკო ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის“ ნარკვევებში ჩართავდა მის დრამატულ თავგადასავალს, შემდგომ შოთა ხანთაძე არაერთ ახალ და მნიშვნელოვან მასალას შესძენდა მის ბიოგრაფიას, შემდგომ კი ეთერ ორჯონიკიძე წარუმძღვარებდა ვრცელ შესავალს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებისა და მოწოდებების პუბლიკაციას, თავისებურ პოლიტიკურ მატიანედ რომ წარმოგვიდგება.

ეს — სამანს აქეთა საქართველოში, სადაც ლამის ამოშრობაზე დარჩენილიყო ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი.

ამოსაშანთად დასდევდნენ მის სახელს.

და ამიტომაცაა, აკაკი გელაშვილი შოთა ხანთაძის 1961 წელს გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევის შეფასებისას აღნიშნავს არამარტო ავტორის ცოდნასა და კომპეტენციას, არამედ მის დიდ გაბედულებასა და სამართლიანობასაც („ამ ნაშრომში ფაქტიურად პირველად წარმოჩინდა ალექსანდრე ბატონიშვილი ნიჭიერ სარდლად, გულმხურვალე პატრიოტად და სამშობლოსათვის მებრძოლ, თავდადებულ გმირად“).

სამანს იქითა საქართველოში მართალია გაბედულება არა სჭირდებოდა ბატონიშვილის პიროვნებისა და ღვაწლის წარმოსახვას ისე, როგორც სინამდვილეში გახლდათ, მაგრამ თამარ პაპავას მხატვრულ-

დოკუმენტურ თხზულებას „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“, ერთ ნიმუშს ციკლისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ის თვისება გამოარჩევს, რომ ისტორიკოსისა და მწერლის შერწყმის წარმატებულ მცდელობად გვევლინება და ისტორიულ ნარკვევზე მეტად დაშვენდება დოკუმენტურ მოთხრობად განსაზღვრა.

და ამ ყოველივეს წყალობით, დღესდღეობით უკვე ხელთ გვაქვს მისი სანდო და დეტალური ბიოგრაფია, ფსიქოლოგიური პორტრეტიც ხელშესახებად რომ წარმოჩნდება.

ალექსანდრე ფრონელის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაშიც — „ამბოხება კახეთისა“ იტრიალებდა ხშირად და აკაკი გელაშვილის ისტორიულ მონოგრაფიაშიც „კახეთის 1812 წლის აჯანყება“.

სხვაგანაც არაერთგან იელვებდა მისი სახება, მაგრამ, აი, ბიოგრაფიული რომანი...

დაპირებით კი პირდებოდა ალექსანდრე ფრონელი მკითხველს საგანგებო თხზულებას სახელწოდებით „ბატონიშვილი ალექსანდრე“, რომელიც მოსალოდნელია ან ბიოგრაფიულ რომანად წარმომდგარიყო, ანდა მის ჩანასახად (ისეთად, როგორიცაა „მთის არწივი შამილი“), მაგრამ ეს თხზულება, სამწუხაროდ, დაუნერელი დარჩებოდა. „სამწუხაროდ“, რაკიღა ამ ისტორიკოსის ხელში ბატონიშვილის მონუმენტური შთამბეჭდავი სახება გამოიკვეთებოდა.

* * *

რომანი... რომანი...

გადავდებდი, გადმოვდებდი ამ განზრახვას, მოშვებით ვერ ვეშვებოდი მის ლეგენდას, მაგრამ ვერც წამომეწყო მისი მონუმენტრი პორტრეტის გამოკვეთა, რაღაც განსაკუთრებულ დროს ველოდი, იმ წამს, როდესაც აღარ გამეძლებოდა ამ ბიოგრაფიული ქრონიკის დაუწერლად, რათა შთაგონება სრულყოფილად მეგრძნო.

ამ რაღაც განსაკუთრებული დროის შერჩევა კი იმისთვისაც მჭირდებოდა, რომ ჩემს ბიოგრაფიულ რომანთა ციკლს სათავეში ის უნდა ჩადგომოდა, ისტორიული ქრონოლოგია აქედან უნდა ათვლილიყო, და მაშ გამორჩეული მხატვრული დანიშნულებაც ენიჭებოდა, როგორც კიდევ ერთი ციკლის გამხსნელს ქართული ლიტერატურის მდინარებაში.

არადა, მოულოდნელად კი მოვკიდებდი ხელს მისი თავგადასავლის მხატვრულ-დოკუმენტურ გააზრებას.

ნაუცბათევად, ლამის სრულიად მოუმზადებლად.

ან რაღა ლამის!..

ერთბაშად ამიყოლია ალექსანდრე ბატონიშვილის ბედმა, სიყრმიდანვე ისედაც აყოლილმა.

ჯერ მარტო მისი კავკასიური თავგადასავალი გაავსებდა საშუალო მოცულობის ორ ტომსო...

ისე, რომ დაუკვირდე, თვითონ ალექსანდრემ დაგვიტოვა თავისი დოკუმენტური ბიოგრაფია.

ცხადია, ერთი გაელვებითაც არ გაუფიქრებია, საკუთარი ცხოვრების დოკუმენტურ სურათს თუ გვიტოვებდა, როდესაც უამრავ წერილსა თუ პოლიტიკურ მოწოდებას თხზავდა, მაგრამ როდესაც ეს ყოველივე ერთად მოიყრის თავს და შესაფერისი კომენტარები და ექსკურსები დაერთვის, მზამზარეული ბიოგრაფიაა და ეგ არის, ბიოგრაფია, რომლის მთავარი ავტორიც თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილია, შენ კი მხოლოდ ხელის შეშველება მოგეთხოვება, თითქოს მისი პირადი მდივანი იყო და ცალკეულ რეალიებს ავსებდე და აზუსტებდე.

თუ რაიმე არ აკლდა ბატონიშვილს, სწორედ პირადი მდივნები და კალიგრაფები — დევნილი, გაწამებული უფლისწული იძულებით ბევრ რაიმეს რომ შეელეოდა — სხვა, აბა, რა გზა ჰქონდა — მდივნებს არ იშორებდა გვერდიდან და მათ გამოზრდასა და დაოსტატებაზეც დიდად ზრუნავდა.

თუკი შესაფერის უნარსა და მონდომებას შეატყობდა, შეეძლო დაღესტნიდან ირანს გაეგზავნა ყმაწვილი კაცი და შეეთვალა გამოცდილი კალიგრაფისათვის, ძალ-ღონე არ დაეშურებინა მის დასახელოვნებლად. მისი ამალის მეთაურისათვის კი ეთხოვნა, წყალობა არ მოეკლო ოსტატისათვის, რათა იმას მეტი ხალისი ჰქონოდა ბატონიშვილის დავალების შესასრულებლად.

აღარ არსებობდა სამეფო კარის სამდივნო.

ამიტომ მას მაინც უნდა შეენარჩუნებინა.

თვითონ გამეფდებოდა?

გამოცდილი მწიგნობრები ეყოლებოდა გარშემო, მის სტილისტიკაში ჩახედულნი და გაწაფულნი.

სხვა დაიდგამდა გვირგვინს ბაგრატიონთა გვარიდან?

იმას გადაულოცავდა დაუნანებლად.

გრძნობდა ამ აუცილებლობას — სამეფოს ხსოვნა სამდივნოსაც უნდა შეენარჩუნებინა.

მაგრამ ამ აუცილებლობაზე არანაკლებ მწერლურ უნარს გრძნობდა — ეს ისე არ მომხდარა, მარტოდენ პოლიტიკური მიზნით, წერად

გადაქცეულიყო ალექსანდრე ბატონიშვილი და ბელეტრისტულ მისწრაფებებს პოლიტიკური წერილებისა და მოწოდებათა შეთხზვით იკლავდა.

აშკარაა მისი ფრაზის მოქნილობა და სიცინცხალე.

სტილის სიმძაფრე და ექსპრესია.

ხატოვანებაც.

არტისტული გადაკვრანიც.

გამჭვირვალე ხვეულებიც.

შიგადაშიგ მოხდენილი იუმორიც.

ეპისტოლური ჟანრის დიდებულ ნიმუშთა წყებაა ჩვენს თვალწინ, ტოლს რომ არ დაუდებს ამ ჟანრის კლასიკურ ქმნილებებს და ეპისტოლეთა მსოფლიო ანთოლოგიასაც დაშვენდება.

მზამზარეული ბიოგრაფიაა და ეგ არისო...

აბა, ამ თვალით გადაიკითხეთ ეთერ ორჯონიკიძის წიგნი „ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები“, თუ ამ მოსაზრებას არ გაიზიარებთ. წიგნში მისი წერილების ძირითადი ნაწილია შეკრებილი, ისტორიული ნარკვევი კი ცალკე დაერთვის. ავტორი მწერალი რომ ყოფილიყო და არა ისტორიკოსი, უთუოდ ამ გზას აირჩევდა — პუბლიკაციების ნაწილს სრულად შეავსებდა, თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს კი წერილებს შორის გააბნევდა.

ასე შევიქნებოდით მომსწრე ეპისტოლური რომანისა ჩვენს დროსა და ქართულ ენობრივ სივრცეში — სემუელ რიჩარდსონის, ჟან-ჟაკ რუსოსა თუ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს რომანთა მსგავსის, XX და XXI საუკუნეებიც რომ შესძენდნენ ახალ ნიმუშებს.

ეპისტოლური რომანისა, მაგრამ:

ბიოგრაფიულის?

რა გგონიათ — უფრო ავტობიოგრაფიულის.

წერის პროცესში გამიელვებდა ეს იდეა და კინაღამ მივატოვებდი დაწყებულ თხრობას, რათა მე თვითონ გამომეყენებინა ეს ორიგინალური ფორმა — თანაც რაოდენ ამაღელვებელი და მაცთუნებელია, რომ უეცრად ალექსანდრე ბატონიშვილის თანაავტორი შეიქნები, მისი წარმოსახვითი მდივანი. ეს განცდა უეჭველად შემაცვლევინებდა თხრობის მანერას, მითუმეტეს, ისედაც მაწვალებს ეპისტოლური რომანის შექმნის სურვილი, და უკეთესი საშუალება რა უნდა მომცემოდა, ერთბაშად ორი განზრახვა აღსრულდებოდა... მაგრამ მაშინ... მაშინ ისკანდერის მითოსურ სახებას უნდა შევლეოდი, გამოვრიდე-

ბოდი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ვასილ ბარნოვს და იმ მკაცრი რეალიზმის ჩარჩოში მოვმწყვდეულიყავი, რაც ამჯერად ვერ იკმარებდა და ძალიანაც ვერ იკმარებდა, გააღარიბებდა და დაამჭლევებდა იმ სისხლსავსე პორტრეტს, რასაც ლეგენდური შარავანდი ანიჭებს ქართველ ჰამლეტს, ვინც შურისგებას ვერ აღასრულებდა მამის ტრაგიკული ხვედრისათვის, მაგრამ ანდერძად კი დაგვიტოვებდა ამ გაუნელებელ ჟინს და გადამწყვეტ იერიშს რუსული კოლონიური უღლის გადასაგდებად მისი სახებაც ამიტომ წარუძღვებოდა.

რა — მითოსური ნაკადი ინტერპოლაციებად ვერ ჩაერთვოდა თხრობას?

ავტოინტერპოლაციებად.

მოდერნისტულმა რომანმაც იცის ამგვარი მხატვრული ხერხი და პოსტმოდერნისტულმაც.

მაგრამ ასეთ დროს როგორც უნდა გეცადა, ფორმა ვერაფრისდიდებით ვერ განიმსჭვალებოდა ამ შარავანდით.

არჩევანი და ასეთი?!.

ერთი მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილის თანაავტორობა.

მეორე მხრივ, ბიოგრაფიული ქრონიკის მითოსური ფორმაა.

და... გადაივლიდა წამიერი ცთუნება და ისკანდერი მითოსურ სულს შეინარჩუნებდა თხრობისას, რომელიც გეზს აღარ შეიცვლიდა და ბოლოსდაბოლოს ჰპოვებდა იმ ხორცშესხმას, ასე რომ ენატრებოდა ჩვენს მკითხველს და მეც ველოდი, სულ ველოდი მისი აჩრდილის გამოცხადებას, კანთიელის, ხელშესახების, თორემ გადაქროლილ-გადმოქროლილისათვის არაერთხელ შემეცლო მზერა.

აბა, ბიოგრაფიულ რომანთა ციკლი უალექსანდრებატონიშვილოდ?!.

თავი პირველი

ზეციური მხედრის მითოსი

ელვა გადასერავდა თუ არა ზეცას, ყველა აული გარეთ გამოიშლებოდა, დიდ-პატარა ცას მიაჩერდებოდა და ატყდებოდა ერთი გნიასი და გადაძახილ-გადმოძახილი.

— აგერ, აგერ იქ!..

— ხედავ?

— შენც ხედავ?

— ვხედავ აბა, მაშ!..

— თვალს ძლივს მიადევნებ მის ქროლვას.

ბალღებიც ჩოჩქოლობდნენ, მაგრამ ჯერ ვერ ამჩნევდნენ ცაზე გადაქროლებულ მხედარს და გულმოკლულნი მამებს შეჰკვნესდნენ:

— აბა, აბა, სად?..

— აგერ! — მამები თითსაც მიაყოლებდნენ ზეცის კაბადონს და ზოგი ბალღი თუ გულამოსკვნილი ჩაითქვამდა, დღეს თუ ვერა, შემდეგი გადაქროლებისას უფრო გავფაციცდები და აუცილებლად ვიხილავო, ზოგიც, განსაკუთრებით შთაბეჭდილებიანი, აღტაცებით ამოიძახებდა:

— აგერ მართლაც!

წვიმდა.

ქუხდა.

ელავდა.

ცა ნათდებოდა ხან აქ, ხან იქ, ჩალუსკუმდებოდა და კვლავ გადაბრდღვიალდებოდა, კოკისპირულ წვიმას ხან მთლად მიჰქონდა აულები, რომლებიც ერთმანეთსაც მოწყვეტოდნენ და გარესამყაროსაც, საკუთარ თავში გამოკეტილიყვნენ და აღარც სურვილი ჰქონდათ გარეთ გაღწევისა, რადგანაც სავსებით კმაროდა მათთვის ამგვარი ყოფა, ტრადიციულ საზოგადოებათა ეს დაცალკევებული წყება, მკაცრად შემორკალული საზღვრები, რომლის იქითაც მარტოდენ უდაბურება სუფევდა.

ეს მსოფლგანცდა გადმოდიოდა თაობიდან თაობაზე და არც აპირებდნენ რაიმეს შეცვლას ცხოვრების სტილში — ნაანდერძევის გადახვევა ვერც წარმოედგინათ. აული აულთან ძაფების გაბმას არ ესწრაფოდა, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ. და მხოლოდ ეს, წვიმისას და ქუხილისას გადაელვებული სინათლე ამთლიანებდა მათ მზერასაც და გულისთქმასაც, ერთ წერტილში უყრიდა თავს და უნებურად აგრძნობინებდათ, რომ ერთმანეთთან ბევრი საერთო ჰქონდათ ერთი მიწა-წყლის შვილებსა და ერთი მოდგმისაც, თავთავიანთი ენა რომ შეეძინა თვითეულ აულს, მაგრამ ის საერთო ენაც არ დაითმობოდა, იდუმალად რომ ჰკრავდათ, თუმც ამათ მკაფიოდ ვეღარც გაეცნობიერებინათ ამ იდუმალების მადლი.

წვიმდა.

ქუხდა.

ელავდა.

— აგერ, აგერ იქ!

— აგერ მართლაც!

ერთიანი განცდა ეუფლებოდა თვითეულ აულს, ყველასაც ერთობლივად, და ცის კაბადონზე ყველას თვალწინ აშკარად ისახებოდა მფრინავ რაშზე ამხედრებული რაინდი, სამყაროს ერთი ბოლოდან სამყაროს მეორე ბოლომდე მიმომქროლი.

საყოველთაო ხილვა ძალდაუტანებლად გადაინაცვლებდა ბუხრისპირა ნაამბობებში, თანდათანობით თქმულების სიუჟეტადაც რომ გარდაიქმნებოდა და შესაფერისი მეტაფორებითაც გაიწყობოდა.

დიდ განცდას მხატვრული სამოსელიც მისი შესადარი დასჭირებოდა.

წვიმას ჩამოსდევდა ეს ლეგენდა.

ქუხილს მოჰყვებოდა.

ელვას გამოესხივებოდა.

და ზეცაზეც და მიწაზეც გამოიკვეთებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის მონუმენტური სახება.

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

შეღაღადებდნენ აულები, მხსნელს მოელოდნენ და აგერ მხსნელიც, მფარველს მოელოდნენ და აგერ მფარველიც, სასწაულს მოელოდნენ და აგერ სასწაულიც, თორემ საიდან გაჩნდებოდა ცის ტატ-

ნობზე მფრინავ რაშზე ამხედრებული რაინდი, თაობათა ოცნება მაინცდამაინც ამათი დაბადების ჟამს რომ უნდა აღესრულებინა, და როგორ არ ეამაყათ, რომ ღვთის განგებას სწორედ მათთვის მოევლინებინა სასწაულში გმოხვეული გმირი.

სალაპარაკო სხვა აღარაფერი ჰქონდათ.

ელვიდან ელვამდე ამ განცდით სუნთქავდნენ. და გულისფანცქალით აყურადებდნენ წვიმის წვეთების ჩამოცვენას, საყოველთაო ექსტაზი რომ უნდა მოჰყოლოდა.

აკი არც უმტყუნდებოდათ იმედი.

ლეგენდა იყო და აღარც ლეგენდა.

მფრინავ რაშს უბოძებდნენ და აღარც ესაჭიროებოდა მფრინავი რაში.

ისედაც ყველგან ჩნდებოდა, სადაც ცეცხლის ალი უნდა ავარდნილიყო.

ცხენის ნალები ჰყრიდნენ ნაპერწკლებს?

ის აჩნდებოდა ზეცას ელვად?

მის კვალს კი მიჰყვებოდა ცეცხლი.

წმინდა გიორგის მოლანდებას ჰგავდა მისი ყოველი გადაელვება ცის კაბადონზე, ჯერ ლეკური თქმულება რომ გაასიმბოლოებდა და აზიდავდა კავკასიური სამყაროს თავზე, და მხოლოდ შემდგომ გამოეხვეოდა ლიტერატურულ სახისმეტყველებაშიც — აკაკი წერეთელიც რომ შეენუკვოდა ზეციურ მხედარს მამულის გამოხსნას და ვაჟა-ფშაველაც, და ორივეს მხატვრულ წარმოსახვას ფანტაზიის გაქანებაზე არანაკლებ, და ეგებ მეტადაც, ის ყოფითი სინამდვილე ჰკვებავდა, სადაც კვლავ ბრუნავდა ალექსანდრე ბატონიშვილის აჩრდილი.

ლეგენდა შველოდა მისი სახების შენარჩუნებას იმ სიმხნევითა და დაუშოშმინებლობით, ხანი რომ არ ეტყობოდა და არც აპირებდა გასცლოდა წუთისოფელს, ვიდრე დაკარგულ სახელმწიფოს კვლავ არ ამოიგებდა.

ლეგენდაო და: აღარც ითქმოდა ლეგენდად, ისე შერწყმოდა და შენივთებოდა რეალობას.

ზეცას შესტოლებოდა და მითოსურ თქმულებათაგან განურჩეველ მის ლეგენდაში ამქვეყნიური ვნებათაღელვა ნაკლებ აღწევდა, მაგრამ მის ყოფით ბიოგრაფიას ეს სიმწარეც დაჩნეოდა.

მამის საყვედურებსაც ხომ არ იწვნევდა?

ვითომ სხვა მხრივ ჰკლებოდეს უსიამოვნებანი, ესეც რომ არ მიმატებოდა.

არა, არ მომხდარა ასეთი რამ, მაგრამ ხომ შეიძლება ერეკლე მეორეს შეერისხა მანამდე მორჩილი, ახლა კი ურჩად გარდაქმნილი ვაჟი, რომელიც არ გაიზიარებდა მოყვრად შემოსული მტრის მისწრაფებებს?

დიდი მორჩილებით ეგებ არც სხვა შვილები გამოირჩეოდნენ, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა გამოდგა, სხვა ყალიბის, სხვა სულისკვეთების... თითქოს ლევან ბატონიშვილის სული მასში გადმოსულაო.

აკი ისიც, დაეძრახა მამას თუ არა, მაინც უღვთოდ გაემეტებინა, ვიდრე სიმართლე გამოირკვეოდა და მწარედ ინანებდა გვირგვინოსანი აჩქარებას — პოლიტიკური ტერორის მსხვერპლ ლევან ბატონიშვილს სიცრუის ბადეს რომ შემოაგარსავდნენ გარშემო, რათა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის გადარჩენის მოწადინე და ამ მცდელობას შეწირული ცოდვილად გამოეყვანათ და პოლიტიკური მკვლელობა ოჯახურ დრამად გაესაღებინათ — ვითომდა ეჭვიანი ქმრის შურისძიებად.

მოსკოვში დაგეგმილიყო ეს მკვლელობაც და მის გარშემო სიცრუის ბადის შემოქსოვაც, თორემ ბატონიშვილის ჩამოშორება არა კმაროდა, თუ სახელსაც არ გაუტეხდნენ.

ჯერ არის და, სახელგატეხილი კაცის მკვლელობის გარემოებათა დადგენას აღარავინ შეეცდებოდა, სიმართლის გამორკვევას ან აღარაფრად ჩააგდებდნენ ანდა მოერიდებოდნენ, კიდევ უფრო არ გაისვაროს გარდაცვლილის ხსოვნაო.

მერეა და, ვინც თავგადადებული მომხრე გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და წინასწარვე ჭვრეტდა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გარდუვალ საფრთხეს, და არამარტო ჭვრეტდა, მორიგე ჯარის შექმნით ქვეყნის თავდაცვას მკვიდრ საყრდენს უქმნიდა და რაინდულ სულსაც სიმხნევით აღავსებდა, გმირის სახელით არ უნდა წასულიყო, თორემ მისი ხსოვნა შარავანდად დაადგებოდა ქართველთა მეომრულ სულს, რომელსაც ამდენ ხანს განამტკიცებდა მეფე ერეკლე და ახლა ღირსეული მემკვიდრეც გამოსჩენოდა — თავისივე დარი.

ერთბაშად წარმოჩენილიყო ლევან ბატონიშვილი ახალი დროის გმირად, ერეკლეს მზის თანდათანობითი ჩასვენება თავზარს რომ აღარ დასცემდა ქვეყანას, და თუ მამა სიცოცხლეშივე გადაინაცვლებდა ქართულ თუ ჩრდილოკავკასიურ თქმულება-ლეგენდებში, შვილიც უსათუოდ მის კვალს გაჰყვებოდა, მისი სახელიც შემოიგარსებოდა ლეგენდის საბურველით და ამ შარავანდით უნდა ევლო, მეფე ერეკლესი არ იყოს, ხორცშემოსილ ღვთისშვილად რომ აღიარებდნენ.

ვინ აცლიდა დიდხანს სამზეოზე ყოფნას, თორემ...

დაცლა აღარ ეგებოდა, რაკიღა მისი არსებობა ძალიან უშლიდა ხელს რუსეთის ფარულ ზრახვებს, უკვე კავკასიის ქედს აქეთაც რომ ლამობდა გადმოტოტებას და ჩვეული სიმტკიცით — ისე გაედგა ფესვი ამ მინა-წყალზეც, ვერავის და ვეღარაფერს ამოეძირკვა.

საამისოდ, სამხედრო ექსპედიციებთან ერთად, დიდძალი ოქროც აემოქმედებინათ.

პირდაპირი იერიშითაც ეცადათ საქართველოს სამეფოს დამხობა, განა არა, დალოდება სულაც არ ეჭაშნიკებოდათ, და ჯერ კიდევ 1870 წელს აპირებდნენ მეფე ერეკლეს გატყუებას ასპინძისაკენ, იქ მისი ჯარის შეჟლეტას ოსმალთათვის, თვითონ კი სასწრაფოდ გამობრუნებას ბრძოლის ველიდან და ტფილისის აღებას ერთი დაკვრით. დამცველთა გარეშე დარჩენილ ქალაქს ანკი ვინ დაიფარავდა.

მერე გენერალ ტოტლებენს აბრალებდნენ ამ გულმოდგინედ აწყობილი გეგმის ჩაშლას: ვერ გამოიჩინა სათანადო საბრძოლო ხელოვნება და ქვეყნის დედაქალაქი ვერ დააჩოქა, ასე როგორ იზოზინა, ქართველთა მეფემ ასპინძის ბრძოლის მოგებაც მოასწრო და ტფილისში ის-ისაა შემოსულსაც თავზე წაადგაო. იქ უკვე რუსი გენერალი ხელის გამტოკებელი აღარ იყო და პირშიჩალაგამოვლებული უნდა დაბრუნებულიყო პეტერბურგში.

არადა, ეჭვიც აღარ ეპარებოდა დავალების პირნათლად აღსრულებაში, ასპინძის ველის მიტოვებისთანავე ერეკლე რომ წამოეწია და ევედრებოდა: არ წახვიდე, არ მიმატოვო.

ამის ჯავრი ჰქონდა, რუსის ჯარის დაუხმარებლად რას გავხდებიო, თორემ ყველაზე კოშმარულ სიზმარსა თუ ფიქრშიც ვერ წარმოიდგენდა რუსთა მზაკვრობის უსაზღვროებას — მფარველობას პირდებოდნენ, სამხედრო მოკავშირეობაზე თავს დებდნენ და ქართველთა მტრების მოგერიება კი არ ჩაეთქვათ, არამედ მათი დედაქალაქის აღება და ქვეყნის სრული სამხედრო ოკუპაცია.

ერეკლე ტოტლებენის გამობრუნებას მის თვითნებურ გადაწყვეტილებას მიაწერდა, ბრძოლის ველიდან უბრძოლველად გარიდებას, თორემ ტფილისის დამხობა?..

გამოეკიდებოდა და თხოვნა-ვედრებით რომ ვერას გააწყობდა, იმასაც აღარ მოერიდებოდა, რომ ცხენიდან ჩამომხდარიყო და მის წინაშე დაეჩოქა.

ეს რა ხდებოდა?

ლეგენდებში გადასული გვირგვინოსანი, აღმოსავლეთს რომ ეგრძნო მისი ხმლის ძალა და დასავლეთი კი დიდად აფასებდა მის შეუ-

პოვრობასა და საქართველოს გადაქცევას ქრისტიანობის ბურჯად, ასეთ თვითდამცირებასაც აღარ ერიდებოდა.

ანკი როგორ მორიდებოდა სამშობლოსათვის, რადგანაც მისი გადარჩენის სხვა სახსარს იმ წუთას ვერ ხედავდა.

ვის იმედადაც ჩაბმულიყო ბრძოლაში, ხელის გაუტოკებლად მიეშურებოდნენ აქედან და ქართველთა მეფეს ვეღარ გაეგო, პირობას როგორ ტეხდნენ!..

ვერ წარმოედგინა, რომ ცრუდაპირებანი და ცრუიმედები რუსეთის პოლიტიკის ქვაკუთხედი გახლდათ იმთავითვე და ასეც გაგრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იმპერიულ ზრახვებს ერთხელ და სამუდამოდ არ გამოეთხოვებოდნენ.

ჯერ რა დროს გამოთხოვება იყო.

ახლა იწყებდნენ თუ იწყებდნენ მსოფლიო ბატონობაზე მიზანდასახულ ფიქრსა და ქმედებას და ამ გზაზე ერთ მცირერიცხოვან ქვეყანასაც თუ იმსხვერპლებდნენ, რა აინუნში ჩააგდებდნენ, როგორც ბევრად დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოების შთანთქმაც არაფრად უღირდათ.

მეფე ერეკლეს კი ეგონა, ვედრებით გენერალს გულს მოვულბობო.

თითქოს გულუბრყვილოც არა ყოფილა, მაგრამ ძლევამოსილი მებრძოლი და სტრატეგი სრულიად უმწეო აღმოჩნდებოდა დიდ პოლიტიკურ თამაშებში.

და თავის სამშობლოს, რომლის ხსნისთვისაც თავი არ ეზოგებოდა და ჭრილობას ჭრილობაზე ღებულობდა, საკუთარი ნებით შეაბამდა აპეურებს.

ნუ მიდიხარო, — ხვეწნად გადაქცეულიყო მინაზე მუხლშეხებული.

ის ცხენით გვერდს აუქცევდა.

კიდევ კარგი, არ გადაქელა.

ვერ წარმოედგინა, ეს ლამის ატირებული კაცი სასწაულს თუ მოახდენდა და, გამარჯვებით შემოქცეული, წინაც უყელებდა, თორემ გადათელავდა და ამით მოათავებდა ბაგრატიონთა დინასტიის გამგებლობას. ის, რაც ოცდაათი წლის შემდეგ გამოცხადდებოდა ბედისწერის ულმობელ განაჩენად, უკვე ახლავე გადაიქცეოდა რეალობად.

მაგრამ ქართულ მატიანეში ჯერ კიდევ ერთი საარაკო ეპიზოდი უნდა ჩაწერილიყო.

პატარა კახს ერთი მისებურად კიდევ უნდა გაებრწყინა და მიეხვედრებინა რუსეთის საიმპერატორო კარი, რომ ნაჩქარევი გახლდათ მათი იმედოვნება, ნაჩქარევიც და ყოვლად მოუმზადებელიც, და ჯე-

რაც ბევრი ძალ-ღონის ჩახარჯვა დასჭირდებოდათ, ვიდრე მორღვეულ საქართველოს სამეფოს საბოლოოდ გამოაცლიდნენ საყრდენს. ჯაშუშური ქსელი კიდევ უფრო უნდა მოძლიერებულიყო და ქართველთა დასიც უნდა ჩამოყალიბებულიყო — მეფის ოპოზიციად და რუსთა შემოყვანა-დამკვიდრების თავგადადებულ მომხრეებად, მოღალატეთა გუნდები დასტებად დაწყობილიყო და, თუ ესეც საკმარისი არ გამოდგებოდა, ირანელთა სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციაც მათივე წაქეზებითა და მოსყიდვით განხორციელებულიყო.

ამ ყოველივეს დრო სჭირდებოდა.

დროც და... ლევან ბატონიშვილის ჩამოცილებაც.

ეს რომ არა, ჰაერში გამოეკიდებოდა დაწყობილ-დალაგებული გეგმები და ამაო აღმოჩნდებოდა მსტოვართა ცნობები — ქართველთა სამეფო ძლივას დგას ფეხზე, ერთი შემოკვრა და სულსაც გააცხებსო.

თურმე არც ისე ატორტმანებულიყო.

და ის ერთი შემოკვრა, და ეგებ ორი და სამიც, ეგრე იოლად ვერას დააკლებდა.

ამიტომ იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო ალყა, უფრო და უფრო მჭიდროდ შემორკალული, უპირველესად ლევან ბატონიშვილს ამოიმიზნებდა.

და მოშლიდა კიდეც ერთ უმთავრეს საყრდენთაგანს.

ალექსანდრე ორბელიანი ამას ასე პირდაპირ აღნიშნავდა — ქვეყნის დაწყობასა და საზღვრების გამაგრებაში ჭაბუკი უფლისწულის ღვაწლს გამორჩეულად აღიარებდა, არანაკლებად მეფე ერეკლესა და ანტონ კათოლიკოსის ღვაწლისა.

— ეს სამი საკვირუელი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ ქათილიკოსი და ბატოიშვილი ლევან სამნივე ხშირათ იყვნენ ერთად და საქართუელოს საქმეს აწყობდნენ.

და არც ამ სიტყვებს დაიშურებდა:

— ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო საქართუელო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინს ქვეშა!

უკეთესი შეფასება რაღა უნდა იყოს.

უფრო ლაკონიური და ტევადი ფორმულა, უფრო აღმტაცი დითირამბი.

ლევან ბატონიშვილის პიროვნება ამ ერთ ფრაზაში ხელშესახებადაა წარმოსახული.

ალექსანდრე ორბელიანი ზედმიწევნით აღადგენს იმ განწყობილებას, რაც არსებობდა სამეფო კარზეც და ხალხშიც ჭაბუკი უფლისწულის ირგვლივ; და რაც მთავარია, აღადგენს არამარტო მეფის მომხრეთა ნაამბობზე დაყრდნობით, არამედ მოწინააღმდეგეთა შეხედულებების გათვალისწინებითაც, რაკიღა მათ მოსმენასაც აუცილებლობად მიიჩნევდა ისტორიული ქრონიკების შედგენისას, მხატვრულ-დოკუმენტური პროზის კლასიკურ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება, ხოლო ლევან ბატონიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ნოველა სულაც დეტექტივის ექსპოზიციას მოგვაგონებს. ჰა, უნდა გაიხსნას მკვლელობის ყველა ხლართი და... კიდეც მთავრდება თხრობა და ამ ტერორისტული აქტის გარემოებანი ბურუსში რჩება, თუმც მთავარი კი გამჟღავნებულია — ეს რომ პოლიტიკური და მხოლოდ პოლიტიკური მკვლელობა იყო.

ნაადრევად მიიჩნევდა ბოლომდე გამხელას, თანაც ჩვენში ჯერ არ შემოეღწია ედგარ პოს აღმოჩენას — ეს ჟანრი რომ მოუპოვა კაცობრიობას, თორემ ალექსანდრე ორბელიანიც წარმატებით მიმართავდა დედუქციურ მეთოდს და თავისი ჩხრეკა-ძიებების მსვლელობას ზუსტად რომ აღადგენდა ფურცელზე, დეტექტიური ნოველაც ეს იქნებოდა.

ეს ფარული მკვლელობა გაგვიხსნა ალექსანდრე ორბელიანმა, თუმც თვითონ, როგორც დეტექტივმა, ჩრდილში დარჩენა ამჯობინა.

თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყოო...

ყოველმხრივ შემკულ პიროვნებას სხვა აღარც არაფერი სჭირდებოდა, ხანგრძლივი სიცოცხლის გარდა.

სამეფო ტახტი რომ მას არ ეკუთვნოდა და მეფე ერეკლე გიორგის უნდა შეეცვალა, როგორც მოხდა კიდეც ჩვენთვის იმ ერთ-ერთ ყველაზე საბედისწერო ჟამს?!.

და მერე გიორგი, უფლისწულობის დროს და მითუფრო გამეფებისას, მოითმენდა თავის გვერდით ასეთი ძლიერი და სახელოვანი კაცის არსებობას, თან ერთი დედის შვილებიც არ იყვნენ?..

იმდენი ტრაგედია ახსოვს ყველა ქვეყნის სამეფო კარს, იმდენი დაუნდობელი სისხლისღვრა და ერთიმეორის უღვთოდ გამეტება, ვითომ XVIII საუკუნის მიწურულის ბაგრატიონთა სახლობა გადაურჩებოდა ამ სასტიკ ურთიერთშუღლს?

და განა მოსალოდნელი არ იყო, რომ ყველაზე მძლავრი ორი დასის სათავეში ეს ორი ძმა აღმოჩენილიყო — აქეთ გიორგი და იქით ლევანი?

მაგრამ სულ სხვაგვარად აწყობილიყო მათი ურთიერთობა.

ისეთი სანდო მემატიანე აღადგენს იმ განწყობილებას, უკეთესს ვერც ინატრებ, და ალექსანდრე ორბელიანი კვლავაც თითქოს იმ დღეების მოწმესა და მხილველთ გვხდის, როდესაც გვიამბობს, თუ როგორ გაუმარჯვდა ერთხელაც ლევან ბატონიშვილს ყარაიას ველზე ლეკ-ოსმალთა დიდ ჯარზედ, და რომ შემოუთვალა მამას, ჩემი ამალით გეახლებიო, როგორ გაეგება მთელი ქალაქი და დიდი დღესასწაულით შემოიყვანეს წითლად შემოსილი და წითელ ბედაურზე მჯდარი, და როგორ ვერ გაუძლო სასახლის მოაჯირზე გადმომდგარ გიორგი ბატონიშვილს გულმა, როგორ დაეშვა კიბეზე, ორივე ხელი შემოხვია ძმას და ხმამაღლა დაუძახა: შენმა გაზრდამ, ჩემო სიცოცხლეო ლევან, ადრეეც ხომ ბევრჯერ მომილოცავს გამარჯვება და ახლა კიდევ უფრო გულმხურვალედ გილოცავ, რადგანაც ეს ყველაზე დიდი მტერი იყოო, — და როგორ წამოუვიდა სიხარულის ცრემლები.

თვითონვე ამოუძღვებოდა ხელმოხვეული ძმას აივანზე და მამის, დედინაცვლისა და დიდკაცობის წინაშე აღტაცებად დაიღვრებოდა:

— ჩემო ხელმწიფენო, მეფე-დედოფალო! აი ჩუენი ოჯახის ბედნიერება ეს არის, ჩვენი შეურყეველი მკვიდრი საფუძველი ჩუენი სახლეულობისა. ყუელამ ერთიანათ ამის დღეგრძელობისათვის ვილოცოთ ღვთისადმი.

ენამჭევრობა რომ სჩვეოდა, ეს ამ სიტყვებითაც მკაფიოდ ცნაურდება, მაგრამ რამდენად წრფელი შეიძლება ყოფილიყო ეს აღტაცება?

განა ცოტა ფარისეველი გვინახავს, ენამჭევრობით ყველა რომ ჰყოლიათ მოხიბლული და ფარულად მზაკვრულ მახეს მახეზე აგებდნენ?

იუდას ამბორიც ამ პიროვნული ბუნების ადამიანებისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მაგრამ გიორგი ბატონიშვილში ამ მხრივ ეჭვის შეტანა?

ქვეყნის წინამძღოლად ვერ გამოდგა, გამჭრიახ პოლიტიკოსად ვერ შემორჩა ჩვენს ბედკრულ ისტორიას, თორემ საისტორიო ქრონიკების მიხედვით თუ შევეცდებით მისი სულიერი პორტრეტის წარმოსახვას, მზაკვრობისა და ფარისევლობისას ვერაფერს შევატყობთ, წრფელი, ალალი, მიამიტი პიროვნება უფროა, გართობა-დროსტარება ყველაფერს რომ ურჩევნია და ტახტსაც დიდად არა ხარბდება — მემკვიდრეობით უწევს, ტრადიციების ერთგულია და მამისაგან აუცილებლად უნდა გადაიბაროს გვირგვინი, თორემ სულაც გაეცლებოდა სახელმწიფო საზრუნავს და ოჯახური გარემოთი შემოიზღუდებოდა, მისთვის შემოზღუდვად კი არა, სწორედაც დიდ ასპარეზად რომ ითქმოდა, რაკიღა იქ უფრო თავისუფლად გაშლიდა ფრთებს.

შემთხვევითი არ არის, ლუარსაბ თათქარიძის ხასიათის გამოკვეთისას ილია ჭავჭავაძეს — გარდა საკუთარი თავისა — საქართველოს უკანასკნელი მეფეც რომ ჰყოლია თვალწინ და მის ზაქიჭამიობას თავისი გმირის სიმსუნაგეში გამოხატავდა, მის ვნებამორეულ ლაპარაკში, როდესაც ჭამისა და საკვების ირგვლივ გაიშლებოდა დიალოგი ღირსეულ თანამეცხედრესთან.

წრფელი, ალალი და მიამიტი პიროვნება უფროაო...

და ალექსანდრე ორბელიანი ზუსტ სურათს შემოგვინახავს, როდესაც გვამცნობს:

— ეს საყუარელი ძმები სიყუარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

სულაც ძმას ხომ არ დაუთმობდა ტახტს ცოტა ხნით მმართველობის შემდეგ?

საამისო აუცილებლობა არ იქნებოდა, მთავარ მრჩევლად დაიყენებდა, ჯარის გაძღოლასაც მას მიანდობდა და ქვეყნის ცხოვრებაც ბუნებრივ სადინარს გაჰყვებოდა, გადამთიელი გადია უკვე რომ ვეღარც შემოაღწევდა კავკასიის ქედს გადმოღმა.

თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყოო...

არც ამჯერად გვიმართლებდა, ეს მკვიდრი საფუძველიც რომ უნდა გამოგვცლოდა ხელიდან, თორემ ჯერ გიორგი ბატონიშვილი მეფისაკენ მიუძღოდა ძმას, ქების სიტყვებს არ აკლებდა და ყველას სთხოვდა, ჩემსავით თქვენც ევედრეთ უფალს ლევანის სიცოცხლის დღეგრძელობასო.

— შენმა გაზდამ, ჩემო გიორგი, შენის გვირგვინისთვის თავს დასდებს ლევან, — ერეკლე მეორეს იმედოვნებით აღავსებდა ძმების ეს მოყვარეობა და წინასწარ ასე და მხოლოდ ასე ჭვრეტდა ამ ურთიერთობის გაგრძელებასაც და სამეფო ტახტის სიმყარესაც.

თითქოს მეფის ამ სიტყვების გაგონებას ელოდაო, დედოფალი დარეჯანიც ენაწყლიანად ალაპარაკდებოდა და თავის მხურვალე თანადგომას გამოუცხადებდა ტახტის მემკვიდრეს:

— არამც თუ მაგის გვირგვინისთვის მხოლოდ თავი უნდა დადოს, ლუკმა ლუკმათ უნდა დაიკუწოს. რაც მე ბატონიშვილს გიორგიზედ ჭინახული მაქვს, ის იმთენი დიდი ჭინახული, რომელსაც არცერთს ჩემს შვილზედ არა მაქუს.ის ჩემი ჭინახულის სიყუარული უნდა ლევან ჰქონდეს ყოველთვის თვალწინ და ისეთიც ერთგული იყოს ამ ჩემის სიცოცხლის გიორგისა.

საიმედო კონტურები იკვეთებოდა ქვეყნის ცხოვრებაში.

შინააშლილობის სული სადღაც იკარგებოდა და ავანსცენას ეპატრონებოდა მართლაც საკვირველი კაცი, ვინც:

— ყველას დიდი საყუარელი იყო, როგორც მთელი საქართუელოს ხალხისა, ისე სულერთიან თავადაზნაურობისა და უკანასკნელად მთელის მეფის სახლეულობისა, ნამეტნავად ბატონიშვილს გიორგის (შემდგომ მეფეს) უფრო ძალიან ჰყუარებია, ასე რომ მეტი სიყუარული აღარ იქნება, როგორც იმას უყვარდა თავისი ძმა ლევან.

კვლავად ვიტყვიო, — ალექსანდრე ორბელიანს რაც ყველაზე ძალიან ჩაჭროდა გულში, იმის გამეორება არა სწყინდებოდა, მითუმეტეს, სამაგალითოდ შეიძლებოდა დასახულიყო საზოგადოებისათვის ამგვარი ურთიერთობა:

— ნამეტნავად ბატოიშვილი გიორგი უფრო ყველაზედ საიმედოდ ხედავდა ლევანს და დიდი სასოებაც ჰქონდა იმაზედ დადებული.

საქართველოს იმედად შეჰყურებდნენო, — ამასაც დასძენს ალექსანდრე ორბელიანი, — ყველა ერთსულოვნად მოელოდა მისგან ბევრ კარგსო.

გამოჩენისთანავე რარიგ დაეტყო ხელი ქვეყნის ცხოვრებისათვის და წელთა კვალობაზე კიდევ რას აღარ მიაღწევდა.

რუსული იდეოლოგიური მანქანა ძალიან შეეცდებოდა დედოფალ დარეჯანისათვის სახელის გატეხვას, რას აღარ დასწამებდნენ და, რაც მთავარია, შინაარეულობის მიზეზად სწორედ მას დასახავდნენ, თითქოსდა ისედაც ერთმანეთზე გადაკიდებულ ბატონიშვილებს ის უნთებდა კიდევ ცეცხლს და სამეფო გვარსაც და ქვეყანასაც დასაღუპავად იმეტებდა, და თითქოს ასეც მოხდებოდა, რუსთა გონივრული ჩარევა რომ არა — ქვეყანა ბაგრატიონთა მბრძანებლობისაგან დაიხსნეს, თვითონ ბაგრატიონნი კი — ერთმანეთის სრული მოსპობისაგან; და რუსეთში იძულებით კი არ გადაუსახლებიათ, არამედ ვითომდაც ეს გახლდათ ერთადერთი გამოსავალი მათი სიცოცხლის შენარჩუნებისა.

და ადვილი მისახვედრია, მთელ ამ სიტყვიერ ჩარბუზანაში როგორ წარმოისახებოდა დედოფალი დარეჯანი — ყველა უბედურების სათავე და ყოველგვარი ქიშპის შთამაგონებელი.

კიდევ კარგი ამჯერადაც ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური მოთხრობა გვიპყრია ხელთ და თვალდათვალ ვზომავთ დედოფლის ყოველ ქმედებას, და ვერაფერს ვპოულობთ საჩოთიროს, უკადრისს, ქვეყნის დამაქცეევარის შესაფერისს.

ნაცვლად ამისა — ღირსეული მეფის ღირსეულ თანამეცხედრეს ვეცნობით, იმ ბუნების პიროვნებას, ბატონიშვილ გიორგის სწორედ ამგვარი სიტყვებით რომ მიმართავდა და გულითაც იქნებოდა მოწა-

დინე, რათა ლევანი მხარში ამოსდგომოდა თავის ძმას, მისთვის ტახტის წართმევა კი არ ეცადა.

თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყოო...

ახლა კი:

ნაცვლად ამაღლებული ქვეყნისა ბაგრატიონთა გვირგვინის ქვეშ — რუსეთის სასაზღვრო პროვინციად გადაქცეული და სახელჩამორთმეული მიწა-წყალი.

ერთ საბედისწერო თარიღად აკი 1783 წელი დადგინდებოდა ჩვენს ტრაგიკულ მატიანეში, მეფე ერეკლე ტრაქტატით რომ შეეკვროდა რუსეთის იმპერატორს.

და ალექსანდრე ორბელიანი საგანგებოდ ჩაგვიბეჭდავდა გონებაში, რომ ლევან ბატონიშვილი ამ ტრაქტატის ხელმოწერამდე წლინახევრით ადრე მოეწამლათ, ანტონ კათოლიკოსი კი ტრაქტატის შემდგომ სამ-ოთხ წელიწადში ჩამოეცილებინათ. და ეჭვი არა და არ ეშვებოდა: მგონია ისიც საწამლავით გაათავესო.

ტრაქტატის საძირკველში ეს ორი მსხვერპლი ჩაეტანებინათ.

— მე ესენი ამ სხოლიოში იმისთვის დავწერე, რომ ეს წელიწადები ხსოვნისათვის იყოს.

უბედურ შემთხვევად, შემთხვევითობათა ჯაჭვად ვერ მიიღებდა იმას, რაც მისთვის ტრაგიკული კანონზომიერებით გამონვეულს ჰგავდა, ჰგავდა კი არა, ლევან ბატონიშვილის მკვლელობის გახსნა ეჭვის ნასახსაც აღარ უტოვებდა, რამხელა მანქანა ამოქმედებულიყო მის და ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ, სატანური მანქანა თავის უკეთურებას აღასრულებდა და სახელმწიფო მოღვაწეთ ბრძოლის ასპარეზის მიღმა ტოვებდა, რათა ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოებოდა ყულფს.

როდესაც ლევან ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი ეკატერინე დედოფლის კარზე გამოჩნდებოდნენ, იქ მათ სიხარულითაც შეეგებებოდნენ. დაე მეფე ერეკლეს იმ მიზნით მიევლინებინა ეს ორნი, შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილობა, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი, რათა იქაურ კვალობაზე საქართველოშიც დააწყონო.

კიდეც შესთავაზებდნენ სამეფო კარზე წეს-კანონებს ისე, თვითონ როგორც ენებათ, რათა კავკასიის გადაღმა ქვეყანა თავიანთ ჩარჩოში მოექციათ და ადვილად სამართავი გაეხადათ. მეგობრობისა თუ მფარველობის ტრაქტატი ამ ორი წარჩინებული კაცის ხელით რომ შეიკვროდა, უკეთესი საბურველი რაღა უნდა ყოფილიყო ხალხისათვის თვალის ასახვევად — აგერ თქვენი საუკეთესო შვილნი რა-

რიგ მიელტვიან ამ კავშირს, რომ სული უსწრებთ, ვიდრე ეს მტკიცე ძაფები გაიბმოდესო. და ვეღარც ევროპაში უნდა გამოსჩენოდათ მოდავე — სამხედრო ექსპანსიას სულ უფრო და უფრო აღრმავებთ და ნეტა სადამდე აპირებთ შეტოპვასო.

ლევან ბატონიშვილი ისეთივე ცომის გუნდად წარმოედგინათ, როგორც მოგვიანებით მისი ძმისწული გამოდგებოდა, იმ გიორგი ბატონიშვილის ვაჟი, დავითი, ვისაც მამისაგან მემკვიდრეობით ერგებოდა სამეფო ტახტი, მაგრამ რა — რუსულ წესზე გადაწყობილი, მათი ჩაგონებით ჭკუაარეული უდრტვინველად დათმობდა ტახტს და ერთბაშად გაწირავდა ყველასა და ყველაფერს, რაკიღა აღარც გაეგებოდა, თუ რას სჩადიოდა.

ვისაც გაეგებოდა, ის ლევან ბატონიშვილი მარჯვედ აუღებდა ალღოს რუსულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას და მხოლოდ გაითვალისწინებდა, მათ წესზე კი არ მოექცეოდა, მარტოდენ გაითვალისწინებდა და ქართულ ყოფას შეუხამებდა, და კიდეც მალევე დაატყობდა ხელს აქაურ ცხოვრებას, შიშით გათანგულ ქართლ-კახეთს მხსნელად რომ მოევლინებოდა და გრიგალივით ჩაუდგებოდა ხოლმე კვალში ოტებულ მომხვდურს, დაიმედებულთ დიდი რამ წინააღმდეგობა რომ აღარც ეგულებოდათ ამ მინა-წყალზე, არადა, ეს ვინ გამოჩენილიყო, ამბის მიმტანის გაშვებაც რომ აღარ ენება!..

ლევან ბატონიშვილის დრო დგებოდა.

ანტონ კათოლიკოსის დრო მოსულიყო.

და მეფე ერეკლეც ისე გაჭაბუკებულიყო, თითქოს კვლავაც ნეიშნის ველზე დგას და ფიცსა დებს, ისე არ განვიდე წუთისოფლიდან, ნანგრევებიდან ძლიერი სახელმწიფო თუ არ აღვადგინეო.

— საქართველომ ხელმეორეთ შენობა დაიწყო.

ესეც ნაყოფი ამ სამი საკვირველი კაცის იდეალური შეთანხმება-მოქმედებისა.

ამ იდეალურ შეკავშირებას კი სხვა ვერაფერი დაარღვევდა, თუ არა...

მეფე ერეკლე მაინც რაოდენ მალემრწმენობას გამოიჩენდა. ნეტა ასეთი მიამიტი ბუნებისა გახლდათ თუ ამჯერად დაუბნელა გონება ჭორმა, რომ მრისხანებამ შეიპყრო, როგორ თუ ჩემი ვაჟისთვის მოტყუებულ ქმარს შეუსწრია თავის ცოლთან და ხანჯლითაც ამიტომ გაუგმირავსო.

— თუ მართლა ასეა, ჭეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოთ ვათრევინებ.

დაე გვამს ეზღო პატრონის ცოდვა.

კი მაგრამ, რომელი ცოდვა?

იმ ქმარს სახელი არა ჰქონდა? განა შეიძლება აბსტრაქტულ ქმარს მოეკლა? ანდა, მეფე ერეკლე სულ არ იცნობდა საკუთარ შვილს — რისი ჩამდენი იყო და რისი არა?

ალაზნის პირას ლეკის ჯარს რომ დაამარცხებდა, იქიდან გამობრუნებული სოფელ ველისციხეში დადგებოდა, რაკილა იქ კიდევ მოელოდა ლეკის ჯარის გამოჩენას, ალაზანში უნდა გამოსულიყვნენ და ქართულ სოფლებს შესეოდნენ, მაგრამ ბატონიშვილს შეეტყო მათი განზრახვა და წინაც ეყელა.

უეცრად სადილობისას მძიმე სენი შეეყრებოდა და საღამო ჟამს გამოესალმებოდა სიცოცხლეს.

რა გასაკვირია, ყველა გაოცებულიყო საღსალამათი კაცის უეცარი გარდაცვალებით.

მიზეზი ძნელი ამოსაცნობი არ გახლდათ — მოეწამლათ და ეგაა.

და ჭორს ჭორად რომ დაართავდნენ ზედ, ის უბედურება კიდევ ცალკე, მისი ცოლიც რომ გამოეყენებინათ ტერორისტული აქტის მომზადების პროცესში.

ქარიანი ქალი, მსუბუქი ჭკუის, სასახლეში ბევრი სისულელის წამოროშვა სჩვეოდა.

ამით ესარგებლათ.

როგორ, რანაირად ჩაეთრიათ შეთქმულებაში და რა დავალება აღესრულებინებინათ?

ეს უკვე იდუმალებაში ინთქმევა.

ლევანს კი ძალიან ჰყვარებია და...

თურმე მეფე ერეკლე და დარეჯან დედოფალი უფრო შემწყნარედ უყურებდნენ იმის ჭკუის სიმსუბუქესა თუ არეულ ხასიათს, მაგრამ გიორგი ბატონიშვილი კი ძალიან წუხდა და მასზე კიდევ მეტად მისი მეუღლე ქეთევანი, ნათესავი ლევან ბატონიშვილის ცოლისა და მათი გაცნობა-დაქორწინების მონაწილე.

ქმარი აყვედრიდა: ეს რამ ჩაგადენინა, როგორ არ გამოიძიე შენი ნათესავის ხასიათი და მარტოდენ გარეგნობას მიენდე, ლევანს მისი შერთვა რომ ურჩიე და სამუდამოდაც გააუბედურეო.

ქეთევანი თავს არ იმართლებდა და საშინელი სამსჯავროსთვისაც მზად გახლდათ ასეთი აჩქარებისათვის: ჯოჯოხეთიც ცოტაა ჩემთვისო, — და ცრემლსაც დაღვრიდა.

ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლევანი ცოცხალი გახლდათ და ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა ქეთევანი, თუკი შეიძლებოდა იმის ტრაგიკულ აღსასრულში მისი ცოლიც გარეულიყო.

მერე ხომ რაოდენ სინანულსა და თვითგვემაში იქნებოდა, ამ მკვლელობის გარემოებათა გამორკვევისას ის ჭკუამსუბუქი ქალიც რომ ამოჰყოფდა თავს. სინანული სინანულად და თვითგვემა თვითგვემად და იმ ქალის გმობაც არასოდეს მოწყინდებოდა... ოღონდ ერთხელ მის ლაპარაკს თავის მულ თეკლა ბატონიშვილთან უნებურად იმისი ვაჟი რომ შეესწრებოდა და გული არ მოუთმენდა, გამოკითხვა-დაზუსტება არ დაეწყო ასეთნაირი გმობის მიზეზებისა, გაწყრებოდა ქეთევან ბატონიშვილი და პატარა ბიჭივით დატუქსავდა ალექსანდრეს: ძველი ამბების გამოკითხვა რომ გიყვარს, ისევ ის გკითხე, მაგას კი ჩამოეხსენი, არ არის შენი საქმეო.

ეს ფეხაკრეფით გამოერიდებოდა, თუმც კვდებოდა, ისე სწყუროდა ამ მიზეზთა შეტყობა — გული უგრძნობდა, ლევან ბატონიშვილის დაღუპვის საიდუმლო აქ იფარებოდა, საიდუმლოს გამხსნელი კი თვალწინ ჰყავდა, მაგრამ...

არ არის შენი საქმეო...

არადა, თუ არა მისი, აბა, ვისი საქმე გახლდათ!..

რაც იყო თუ როგორც იყო, ნუ განვსჯით ქეთევან ბატონიშვილს, რატომ მოგვაკლო ისტორიული ცნობებიო. იგი ნაკლებ დაგიდევდა ალექსანდრე ორბელიანის მომარაგებას დოკუმენტური მასალებით, იმისი დარდი უფრო ჰქონდა, სამეფო კარის მანკიერებანი არ გახმაურებულიყო. ჯერ გარშემოც, და მითუმეტეს, შთამომავლობის სალაპარაკო არ გამხდარიყო. ეგებ ძალიანაც ენება, არ დაფარულიყო მისი ამ სათაკილო ნათესავის მონაწილეობა საბედისწერო მკვლელობაში, მაგრამ ლევან ბატონიშვილის სახელი იბღალებოდა, ასეთი ცოლი რომ ჰყავდა, სამეფო კარს ეცხებოდა ლაქა, მის შიგნიდან რომ მომზადდა უფლისწულის დაღუპვა, და თვითონ რომ დადუმდებოდა და დადუმდებოდა, სანდროსაც გაკილავდა, რათა ის მიხვედრილიყო და ხელი აეღო ამ საქმის გამოძიებაზე.

ველისციხე სხვა მხრივ მოხვდებოდა ჩვენს ისტორიულ ანალებში, სხვათა შორის, იმის მსგავს სიუჟეტში, ლევან ბატონიშვილს რაც ტყუილუბრალოდ დასწამეს — იმ სიუჟეტშია მეფის ტრფიალება გათხოვილი ქალისადმი, თუმც მოტყუებული ქმრისაგან ხანჯლით განგმირვას კი გადაურჩებოდა ის ლაშა-გიორგი, ვინც მზად გახლდათ სამეფო გვირგვინიც კი დაეთმო, ის ქალი კი — არაფრისდიდებით. და ამით დადასტურდებოდა მისი გრძნობის სიწრფელეც და უკიდეგანობაც.

ლევან ბატონიშვილს შეუთხზავდნენ მსგავს სიუჟეტს და ხანჯლითაც მოაკვლევინებდნენ შეურაცხყოფილ ქმარს.

გერონტი ქიქოძე სხვა ვერსიას მოიხმობდა საიდუმლო პირობებში მისი გარდაცვალების დასტურად.

თითქოს ლევანი სოფელ ვეჯინში ყოფილა მიპატიჟებული თავად იოანე აბაშიძის ოჯახში გამართულ ქორწილში და იქ მოსწონებია მეზობელი სოფლის მებატონის ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა ცოლი და ისეთი სითამამე გამოუჩენია მის მიმართ, ჩვენს წინაპრებს ვაჟკაცისთვის სასიქადულოდ რომ მიაჩნდათ ბრძოლის ველზე, მაგრამ დასაგმობად — გაშლილ სუფრაზე. გარდუვალი სკანდალის თავიდან ასაცილებლად თითქოს ვაჩნაძის მეუღლე აუყენებიათ და კარდანახისაკენ გაუპარებიათ, მაგრამ შეზარხოშებული ლევანი მას უკან დადევნებია; ქალს ეს თავისი ღირსების შელახვად მიუღია და ვაჟისათვის თითქოსდა მუცელში დანა ჩაუცია. დაჭრილი ბატონიშვილი ვეჯინში დაბრუნებულა, მასპინძლის კოშკში დაწოლილა და იმ ღამესვე აღსრულებულა.

ამბავი რომ რომანტიკულად შეფერადებულიყო და თავისთავად ურიგო სიუჟეტურ ქარგას არ წარმოადგენდა, ეს გერონტი ქიქოძეს არ გამორჩებოდა, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური მოთხრობა არქივში მიჩქმალულიყო, სხვა ხელმოსაჭიდი არაფერი გააჩნდა და თუმც ეჭვით აეჭვებდა ამ ეპიზოდის უტყუარობა, დაბეჯითებითაც ვერ გაებათილებინა.

დანანებით ენანებოდა ლევანი ასეთი აღსასრულისათვის და მის თანამედროვეთ დასდებდა მუნათს: ვერ გამოარკვიეს ან განგებ მიჩქმალეს ლევან ბატონიშვილის მკვლელობის გარემოებაო.

მართლაც დასაძრახნი იქნებოდნენ, ეს ტრაგიკული ეპიზოდი ბურუსით მოცული რომ დაეტოვებინათ, ცრუხმების ანაბარა.

კიდვ კარგი, ალექსანდრე ორბელიანს რომ უნდა ეხსნა როგორც უფროსი, ისე საკუთარი თაობის ღირსება და ვეღარც ეს უკეთურება დაფარულიყო.

ხოლო მეფე ერეკლე სწორედ ცრუხმებს რომ დაუჯერებდა, ამიტომაც გასცემდა ბრძანებას: მისი ცხედარი ეკლესიიდან გარეთ გაიტანეთ, პირწმინდად გააშიშვლეთ და კარგად გაჩხრიკეთ, რომელ ადგილას აქვს დაკრული ხანჯალიო.

დარიის მონასტერში ჩამოესვენებინათ ველისციხიდან, და თუმც შეიძვროდა მთელი ქალაქი, მეფე მკაცრად მოითხოვდა, არავის გაებედა გლოვა, ვიდრე არ გამოირკვეოდა მისი დაღუპვის ნამდვილი მიზეზი. და თუ მართლა ხანჯლით გაეგმირათ, ერეკლე თავისი სიტყვის აღმსრულებელი გახლდათ და მართლა ათრევინებდა მის ნეშტს სახალხოდ.

და სასულიერო წოდება, ბატონიშვილები და დიდკაცობა დიდად დაღონებულნი რომ გაეშურებოდნენ ავლაბრისაკენ, უკვე ლევანის დალუპვას კი აღარ სწუხდნენ, ამაზე მეტად იმას განიცდიდნენ, მართლა ქმრის მოკლული რომ აღმოჩნდეს, სახალხოდ თრევა არ ასცდება მის ცხედარსო.

რამდენჯერ ახსოვდათ ტრიუმფით შემოსული ამ ქალაქში.

და ნუთუ მისი ჰეროიკული ეპოპეა ასე სამარცხვინოდ უნდა დასრულებულიყო?

ეს ნუხილიღა აკლდათ ისედაც გულმოკლულთ.

მეფის ბრძანებას ვინ გადავიდოდა და მართლა გამოასვენებდნენ ეკლესიიდან ლევანის ცხედარს, გააშიშვლებდნენ და გულდასმით შეუდგებოდნენ სინჯვას.

არსად ხანჯლის ნაკვალევი.

სხეული მთლიანად და ძალიან გალურჯებულიყო და სიშავეც დასცემდა.

მაშინ კი დაიჩოქებდა მეფე ერეკლე შვილის ნეშტის წინაშე და მოთქმით ტირილს მოჰყვებოდა, და კიდეც შეიქნებოდა გლოვა სასახლეშიც და მთელს ქალაქშიც.

ანტონ კათალიკოსიც რომ დაიტირებდა, გამოსათხოვარ სიტყვაში საკუთარ თავსაც გამოიგლოვდა და ქვეყნის გარდუვალ დამხობასაც, ერეკლეს საბრძოლო დიდებას ღირსეული გამგრძელებელი რომ აღარ ეყოლებოდა.

ახალციხის ფაშის სიტყვებიც შემოინახებოდა, ლევან ბატონიშვილს იმ ფარდას რომ შეადარებდა, რომელიც ოთხივ კუთხივ იფარავდა საქართველოს და ახლა კი ეს დიდი შემწე მოშლილიყო.

ათწლეულთა შემდგომ კი გრიგოლ ორბელიანი ისეთი გულმდუღარებით გადმოყრიდა ცრემლთ, თითქოს ეს დრო სრულებით არ გასულიყოს და თვითონაც იმ ხალხში გარეულიყოს, თავზარი რომ დასცემოდათ საშინელი ამბის შეტყობით: შეირყა ტახტი მეფისა, რა საფლავს შთახვედ ლომგულოო!

იმ დღეს შერყეულიყო.

ხოლო მანამდე, ვიდრე ეს სტრიქონები ჩამოიქნებოდა, გულს ეთანაღრებოდა, გმირი ასე სავალალოდ რომ დაღუპულიყო, ქვეყნის იმედი ეჭვიან ქმარს თუ სულაც მოწონებულ ქალს განეგმირა ხანჯლით, და ალექსანდრესთანაც დასცდებოდა საყვედური: ეს როგორ დაემართაო.

იმას უკვე გამოერკვია მკვლელობის ნამდვილი გარემოებანი, ფარდა ჩამოეხსნა საიდუმლოსათვის და წვრილმანებიანად აღუდგენდა გრიგოლს მთელ სურათს — საწამლავით გათავებულს და არა ხანჯლით.

გრიგოლს გულს მოეფონებოდა, გმირის სახება შეუბღალავი რომ აღმოჩნდებოდა, ოღონდ მისთვის როგორი დასაჯერებელი გახლდათ, ტერორისტული აქტი პეტერბურგიდან რომ იმართებოდა?!. ვითომ ლევან ბატონიშვილს გარშემო ცოტა მოძულე ჰყავდა ანდა ლეკებიც და სხვა მარბიელნიც დაუძინებელ მტრებად არ მოეკიდებინა, მაინცდამაინც იმპერატორის კარს რომ არ გადმოეყო ხელი მის მოსაშთობად?

სანდროსთანა ადამიანი ორი არ არის, ოღონდ ეს რუსები მაინც როგორ სძულსო, — ძალაუნებურად გაივლებდა გულში.

არავინ არა მძულს, ოღონდ მოვალე ვარ ყოველივე აღვადგინო ისე, სინამდვილეში როგორც იყოო, — იმის ფიქრს თავის ფიქრსაც მიადევნებდა ალექსანდრე ორბელიანი, ოღონდ არაფრის მტკიცებას აღარ მოჰყვებოდა, მთავარია, რომ ლევან ბატონიშვილის ხსოვნა გრიგოლის თვალში საბოლოოდ დაეხსნა ჭორებისაგან.

ის კი უკვირდა და ძალიანაც უკვირდა, ლევანის მტრებმა მაინც რომ ვერ მოისვენეს და, რაკიღა ის ჭორი ჩაეფუშათ, ახლა სხვა ხმა გაავრცელეს, ისეთივე ამორალური ვეღარ, მაგრამ კომიკური იერი კი მიანიჭეს გმირის ტრაგიკულ აღსასრულს: ვითომდა ლევანს ბევრი ორაგული ეჭამოს და უეცრად ჯდომით მომკვდარიყოს.

თუმც გასაკვირიც რა არის. ჯერ პირადი მტრებიც ვერ მოისვენებდნენ ეგრე ადვილად და ლევან ბატონიშვილს კი საქართველოს სახელმწიფოს მტრები გადაჰკიდებოდნენ და მისი სახელის დამცირება მოკვლაზე მეტადაც უღირდათ.

ის კიდევ ცალკე, ტყუილუბრალოდ რომ აჰკიდებდნენ ლევანის მკვლელობას შერმაზან აფხაზს და ერეკლესაც აიყოლიებდნენ, ვიდრე სიმართლე არ გამოირკვეოდა და მეფე წართმეულ მამულსაც დაუბრუნებდა და, აკლების სანაცვლოდ, შემდგომში პატივითაც მოეპყრობოდა მის სახლეულობას.

ალექსანდრე ორბელიანს გულს აკლდა, ამ პოლიტიკური მკვლელობის საიდუმლო ბოლომდე რომ ვერ გაეხსნა, მაგრამ გულს იმით იმშვიდებდა: გონიერი კაცი მაინც ყველაფერს მიხვდება, თუნდა ის ამბავი ვეღარ აღიწეროსო.

მეფე ერეკლესთან ერთად ჩადიოდა საქართველოს დიდებაც სამარეში?

თურმე უფრო ადრეც.

და ვეღარავინ იყო შემძლე ქვეყნის ბედის სასიკეთოდ შემოტრიალებისა.

სოლომონ მსაჯულის გაბრძოლებას მორალური მნიშვნელობა თუ მიენიჭებოდა -- იმ დროს ნაკლებად, დღეისდღის გადასახედიდან უფრო: მის გაძევებას დედაქალაქიდან; დილეგში მოხვედრასა და კიდევ ერთ გაძევებას. რასაც მეფე ერეკლე დააკლებდა, იმის შესრულებას ახლა დავით ბატონიშვილი შეეცდებოდა და... ფიანდაზადაც გაეგებოდა საიმპერატორო კარს.

სამეფო გვირგვინს თმობდა და მემატიანეობას სჯერდებოდა. პიროვნული სიმამაცე არ აკლდა და ამიტომაც იყო, უკანასკნელი რომ დატოვებდა კრწანისის ველს. იგი ისევ ზარბაზნებს აქუხებდა, როდესაც ირანელები უკვე ტფილისში იჭრებოდნენ და იძულებით უკანდახეული დავით ბატონიშვილი სამხრეთიდან შემოუვლიდა დაცემულ დედაქალაქს, რათა მასაც გაეღწია ანანურისაკენ, სადაც მეფე აფარებდა თავს. და ეს იმ საბედისწერო ბრძოლის მესამე დღეს მოხდებოდა.

სულიერი სიმამაცე დაკლებოდა.

გონების ჰორიზონტი შემოზღუდოდა.

ეროვნული ენერგიისა აღარ სწამდა.

ქვეყნის გადასარჩენად საზოგადოებრივი სიმხნევე აღარსად ეგულებოდა.

მხოლოდ რუსეთის იმედად თუ დაეუფლებოდა ტახტს, მხოლოდ მათი შეგულიანება გადაადგმევინებდა იმ გადამწყვეტ ნაბიჯს, რომლის სასწრაფო გადადგმასაც ასერიგად ენუკვოდა სოლომონ ლიონიძე, სხვა ვერაფერი გამოიყვანდა უმოქმედობიდან.

იმპერატორის ნებართვას ელოდა... ამაოდ ელოდა...

მჯდარიყო ახლა და ენერა საისტორიო ქრონიკები და არც თავისი სახელოვანი ბიძისადმი დანანებოდა აღმტაცი სტრიქონები:

-- ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რომ ვერღარა სადა იკადრეს გამოსვლა და ესრეთ დამშვიდდა ქვეყანა, რომელ ღართის კარსა შინა და სხვათა სამტეროთა ადგილთა დედაკაცნი ვიდოდეს თვინიერ კაცის, და აშენდაცა მრავალნი მოოხრებულნი სოფელნი, ვითარცა კახეთსა შინა, ეგრეთცა ქართლსა, სომხითსა შინა და ლორესაცა.

საქართველო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინს ქვეშაო...

ხალხურ პოეზიაში გადადიოდა მისი სახელი, მითოსური საბურველი ჯერ არ შემოეხვია და საგმირო ლექსებს კმარობდა, თუმც უფრო ხანგრძლივი წუთისოფელი რომ რგებოდა, ეგებ მის გარშემოც შემობლანდულიყო მითოსური სახეებიც და სიუჟეტიც, როგორც ერეკლე მეფის სახება დაუახლოვდებოდა მითოსურ გმირებს.

სალეკო შამაამტვრია, ზვავმა ვით წვერი ტყისაო, — სახალხო მთქმელი მის უმთავრეს სამხედრო ღვაწლს ამ სტრიქონში რომ მოაქცევდა, კიდეც გაჰყვებოდა ამ ძაფს: „ლეკთ უფროსები შაშინდა: „ჩვენკე რაით იქმს პირსაო, მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღისტნისაო“.

ნეტა შემდგომ როგორ წარიმართებოდა ჩრდილოკავკასიასთან ურთიერთობა, ლევან ბატონიშვილს მოღვაწეობა რომ დასცლოდა და რუსეთის სამხედრო ექსპანსიას ძალაუნებურად გადაღობებოდა?!.

მამა ხომ არ დაუშლიდა: სიგელით შევკრულვართ, სიტყვა მიმიცია და არ გავტეხ, შენც ნურას იფიქრებ რუსთა უნებურსო?..

ძმა ხომ არ ურჩევდა: სხვა ყველაფერი რაც გენებოს და როგორც გენებოს, მაგრამ რუსთა იმპერატორს წინ ნუ გადავუდგებითო?..

სახელმწიფო პოლიტიკა აკი ასე მომართულიყო!..

მაგრამ მოიმართებოდა კი ასე, ლევან ბატონიშვილს რომ დაესწრო შეთქმულთათვის და, მოწამვლას გადარჩენილს, მწარედაც ეზღვევინებინა ბოროტგანზრახულება?..

ალექსანდრე ორბელიანს ეჭვიც არ ეპარებოდა, ლევან ბატონიშვილის სიცოცხლეში ტრაქტატი არაფრისდიდებით არ გაფორმდებოდაო.

ეგებ თავის ოცნებას მიაწერს ლევან ბატონიშვილს?

ისტორიულ პირად კი აღარ გაიაზრებდეს, არამედ თავისი მხატვრულ-დოკუმენტური ნოველის პერსონაჟად, და ნოველას კი იმ სულისკვეთებით აღავსებდეს, თვითონ რაც გადაქცეოდა მთელი ცხოვრების ნატვრად და აკი ოთხად განკვეთასაც არ შეუშინდა, ოღონდაც საქართველოს სამეფო აღდგენილი ეხილა?

მაგრამ ასე რომ იყოს და ალექსანდრესათვის ამ ერთხელ ეღალატოს სანაქებო მიუკერძოებლობას, ოცნებას უნებურად გადაეფაროს მის თვალში ყოფითი სინამდვილე, ის ხომ შეუძლებელი იქნებოდა, რომ ლევანის სახება საგმირო პოეზიაში გადასულიყო.

არადა, გადავიდა.

და თანდათანობით მითოსური მეტაფორებიც დაშვენდებოდა.

და, რა გგონიათ, არამარტო ქართულ ფოლკლორში, არამედ ჩრდილოკავკასიურშიც.

რუსეთის იმპერიას რომ არ დაემორჩილებოდა და საბრძოლო მოქმედებებს გაშლიდა აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთის მხარესაც გვერდით ამოიყენებდა და ჩრდილოკავკასიელებთანაც ერთობას შეჰკრავდა.

კავკასიის გატეხვა კი რუსეთს ძალიან გაუძნელდებოდა, თუ სამუდამოდ არ გამოეთხოვებოდა მის დამორჩილებაზე ოცნებას.

ლევან ბატონიშვილი იქნებოდა იმამ შამილამდელი იმამ შამილი.

ლევან ბატონიშვილი იქნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილამდელი ალექსანდრე ბატონიშვილი.

ჯერ მისი ლეგენდა შეითხზვოდა.

ჯერ მას შესძენდა ლეკური თქმულება მფრინავ რაშს, ცის კაბადონის გადამსერ-გადმომსერავს, ყველგან რომ მიაქროლებდა თავის მხედარს, სადაც კი ცეცხლის ალი უნდა ავარდნილიყო, და ელვა შემოხაზავდა ხოლმე მისი ბრძოლის ზეციურ მარშრუტს.

თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყოო...

ბედისწერას ყოველივე წინასწარვე დაედგინა და ლევან ბატონიშვილს ეპიზოდურ როლზე მეტს არ არგუნებდა, ემანდ ისტორია მართლა სასიკეთოდ არ შეატრიალოსო.

და მის უმცროს ძმას, ალექსანდრეს, რომ გამოიყვანდა საქვეყნო ასპარეზზე, იმას ის პირობები აღარ ექნებოდა, რაც ლევანს მოსწრებოდა — ჯერაც თავისუფლების ხანაში ჭედდა სამხედრო ძალას, ჯერაც სახელმწიფოს არსებობისას ლამობდა მის შენარჩუნებას... ალექსანდრეს კი გაუქმებული სახელმწიფოს ხანა რგებოდა სამოქმედოდ, ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის მმართველობის შენყვეტის ჟამი.

ერეკლე მეფის მემკვიდრე ხომ იყო და იყო ორივე, მაგრამ ალექსანდრე თავისი ამ უფროსი ძმის მემკვიდრე უფრო გამოდიოდა როგორც სულიერ, ისე სახელმწიფოებრივ პლანში, ამდენ ძმას შორის მისი ყველაზე დიდი თანაზიარი, ორივეს წინააღმდეგ რომ ამოქმედებულიყო რუსული სადამსჯელო-ტერორისტული მანქანა და ერთნაირად გაეწირათ პოლიტიკური მკვლელობისათვის.

იმას მიწვდენოდა საწამლავი.

ამას — ვეღარ.

სულერთია — გამეტებთი ხომ ესეც ისევე გაემეტებინათ.

ამ სულიერ თანაზიარობას, განსაკუთრებულ სიახლოვეს პიროვნული თვისებებისა იმთავითვე ამოიცნობდა სოლომონ ლიონიძე, და ნიშანდობლივია და მისი შორსმჭვრეტელობის კიდევ ერთი დამადასტურებელი, რომ ერეკლეს ვაჟთაგან ყველაზე მეტად ამ ორთან მეგობრობდა, აღმზრდელი დაარქვით თუ გნებავთ, კეთილი მრჩეველი, გზის გამკვალავი.

თავისთავად მოხდებოდა ასე, რადგანაც ამათთან გრძნობდა ყველაზე მეტ საერთოს.

და ლევანის დაღუპვის შემდეგ სწორედ ალექსანდრეს გამოარჩევდა, ნელ-ნელა წამოჩიტულს, მის აღზრდას თავდაპირველად იაკობ რეინეგსი რომ ითავებდა, რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შე-

მოგზავნილი მეფე ერეკლეს გარემოცვაში, რათა ისიც და სოლომონ პირველიც რუსული ორიენტაციით განემსჭვალა.

კიდეც ექიმობდა, კიდეც მონეტის ჩამოსხმას გვასწავლიდა ევროპულ წესზე, კიდეც თოფისწამლის საწარმოს მოაწყობდა, კიდეც სამთო საქმეს მოეკიდებოდა, კიდეც ტიპოგრაფიასა და ბეჭდვით საქმიანობაში მოიკალათებდა და... არც პატარა ალექსანდრეს გაუშვებდა ხელიდან — ამას მე მივხედავო.

დიდხანს არ დასცალდებოდა მისი აღმზრდელობა, მაგრამ რასაც მოასწრებდა, ყმაწვილს ლეიტენანტად გამოაცხადებდა. რის ლეიტენანტად? გაეტაცა და ძალიანაც გაეტაცა რეინეგსი სპარსეთზე ლაშქრობისათვის სომეხთა ლეგიონის შექმნის იდეას, საკუთარ თავს პოლკოვნიკს შეარქმევდა, 12 წლის ქართველ უფლისწულს კი ლეიტენანტად მონათლავდა.

რუსული საისტორიო წყაროები გვაცნობებდნენ:

— ორივე დადიოდა მარტოდენ რეინეგსის ოცნებაში არსებული საარმიო ლეგიონის მუნდირებში, რომლის (ლეგიონის) მეთაურადაც მიიჩნევდა თავს რეინეგსი.

12 წლის ყმაწვილი — არარსებული ლეგიონის ლეიტენანტი.

მისთვის ესეც სავსებით კმაროდა.

ალექსანდრეს წარმოსახვას ოდნავი, სულ ოდნავი გამღიზიანებელიღა სჭირდებოდა, რათა ფრთა შეეკრა და სივრცეებში ისე ენავარდა, მიწაზე ჩამოსვლა აღარც მონებებოდა.

იქ აეღო ქალაქი ქალაქზე.

იქ ეზეიმა საქართველოსათვის ასერიგად მძვინვარე მტრის დამხობა და საშიშროების სამუდამოდ გაქარწყლება.

აქედან თუ დაებედებოდა ოცნებებში მოპოვებული გამარჯვებანი.

და შემდგომ და შემდგომ არარსებული ლეგიონის ლეიტენანტი არარსებული სახელმწიფოს მეთაურადაც მოგვევლინებოდა.

მეფედ აღიარებდნენ.

მეფის პატივს მიაგებდნენ.

მაგრამ სამეფო...

სამეფო კი... აღარსად იქნებოდა.

რას იზამ, ასეთი გარემო რჩებოდა სამოქმედო ასპარეზად.

და უფლისწულობაც ირონიულ თიკუნადღა შემორჩებოდა, როგორც მის ძმებსა თუ ძმისწულებს, რუსეთში გადასახლებულნი ვინ რომელ საქმეს რომ მოეკიდებოდა და ვინ რომელს, და დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებაში დალევდნენ სულს.

მანამდე აკი უბრძოლველად არ დაეთმოთ საკუთარი უფლებანი იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს, ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე მუხლჩაუხრელად რომ ტრიალებდნენ და მამის, ძმისა და ძმისწულის გამეტებული მიწა-წყლის ამოგებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდნენ.

მოგვიანებით აკი უბრძოლველად არ აპირებდნენ საკუთარ უფლებათა დათმობას ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები, აჯანყების მზადებისათვის რომ განაწყობდნენ ახალუხლებს და თავს არ დაზოგავდნენ, რათა გულმოდგინედაც შემზადებულიყო და აღარც ამოგებული ქვეყანა ყოფილიყო აკორიკებული, ერთი შემოკვრა ხელახლა რომ შეაგდებდა თეთრი დათვის ტორებში.

იმათ დამარცხებული აჯანყება შერჩებოდათ ხელთ.

ისტორიისათვის: 1804 წლის მთიულეთისა.

ესენი ამბოხებამდეც ვერ მიატანდნენ და გაცემული შეთქმულების ანაბარა დარჩებოდნენ.

ისტორიისათვის: 1832 წლისა.

მარცხს იქით ვეღარსად გაეღწიათ.

ანკი ალექსანდრე ბატონიშვილიც სად გააღწევდა, მის კვალსაც მარცხი მარცხზე რომ სდევდა და ნიახურას ბრძოლა უკვე სამწუხარო პროლოგი აღმოჩნდებოდა იმ დრამატული ეპოპეისა, რომლის მთავარი პერსონაჟობაც მას და მხოლოდ მას დაკისრებოდა ამდენ ბატონიშვილთაგან და ისიც არ ჩახრიდა მუხლს, არ გადაინურავდა იმედს და არც ავ ბედისწერას შეეპუებოდა ეგრე ადვილად, თორემ დამორჩილება ხომ რა სათქმელია.

ყოფითი სინამდვილე მასაც ისევე გადაღობებოდა, როგორც მის უფროს ძმას, უკვე რომ გაესტუმრებინა წუთისოფლიდან. ამასაც მის კვალს ვერ გააყოლებდა, მაგრამ სიცოცხლეს კი მოუშხამავდა და ტრაგედიად გადაუქცევდა, და მათ ჭიდილში, კაცისა და ბედისწერისა, თითქოს ანტიკური ჟამის სიუჟეტები გამოსჭვივის, ან რაღა თითქოს — სიუჟეტი სიუჟეტს მიჰყვება, ასარჩევადაა და... აირჩიე, რომელიც გენებოს: გინდ პიესისთვის, გინდ ეპოსისთვის, მისი ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდებიც საკმარისია მღელვარე თხრობის გასაშლელად, ქვეყნის ბედს გადაჯაჭვული შექსპირულ ტრაგედიამდეც რომ ამაღლდება.

ისე მართლაც რა მადლიანი მასალა იქნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის თავგადასავალიც და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ცხოვრებაც შექსპირის ხელში, ალექსანდრეს რომ მოაქცევდა რამდენიმე პიესის შუაგულშიც და მასაც ისევე მიაწერდა თავის ფიქ-

რებსა და აზრებს, როგორც ჰამლეტისათვის გაემეტებინა, კიდევ ერთი ტახტდაკარგული უფლისწულისათვის, მწვავე ფიქრებიდან ბოლოს მოქმედებაზეც რომ უნდა გადასულიყო.

ალექსანდრე თავით ტერფამდე მოქმედება გახლდათ.

და ამიტომაც გამოჰყვებოდა იმ ტრაგიკულ საუკუნეს სხვად, უცხოდ, უცნობად, ამოვარდნილად მოვლენათა იმ მსვლელობიდან, ყოველწამს შეტრიალებას რომ უპირებდა, ჯაჭვის გაწყვეტას და ახალი რგოლების გამობმას, რუსეთის იმპერიის განაპირა პროვინცია ძველ დიდებას რომ აღიდგენდა და ქვეყნიერებასაც შესცინებდა კვლავაც იმ სახით, რისი ღირსიც გახლდათ ამხელა ისტორიისა და კულტურის მომპოვებელი.

ალექსანდრე თუ იყო დამბრუნებელი.

ანდა ის წვრილშვილნი, რომელნიც უსათუოდ წამოესწრებოდნენ, თუკი მისი მოქმედება არც შენელდებოდა და არც გაიღუნებოდა, და ისეთივე პირნათელნი იქნებოდნენ მის წინაშე, როგორი პირნათელიც თვითონ გახლდათ ჭეშმარიტების წინაშე — ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს თავისი გზა და სავალი უნდა ჰქონდეს, თვითონვე განაგებდეს თავის ყოფას და თვითონ ჭედდეს საკუთარი ცხოვრების წესს ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით და საკაცობრიო მდინარების გათვალისწინებით.

ისტორიის ყოველი მსვლელობა არ განებებდა ამ ჭეშმარიტების აღსრულებას?

ამგვარი მსვლელობანი მაინც დროებითია, წამიერი გამოვლინებანია, რაც ისტორიის დიდი გადასახედიდან იმ გადახვევად მოჩანს, რომელთა შემოტრიალებაც ყოველთვისაა შესაძლებელი, ოღონდაც გამოჩნდეს კაცი, ვინც გამრუდებულ მსვლელობას წინ გადაუდგება და ისე შეეჯახება, როგორც მითოსური გმირი გველეშაპს, რომლის წიაღში გარდუვალ მოხვედრასაც უქადის ბედი.

ალექსანდრე ბატონიშვილის გამითიურების ჟამიც დგებოდა.

ის, რაც ლევან ბატონიშვილის ირგვლივაც შეიძლება შემოგარსულიყო, თავის სრულყოფილ გამოხატულებას ჰპოვებდა მისი უმცროსი ძმის ლეგენდაში.

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

იქ წვიმა მოიყოლებდა.

იქ ქუხილი გადმოაგრგვინებდა.

იქ ელვა გამოასხივებდა.

ლეკებიც შეჰყურებდნენ იმედით, იმათ დაეგულებინათ მესიად, ოღონდ თავიანთ გარემოში არც და ვერც გამოჰკეტავდნენ და კავკასიური მითოსის განუყოფელ ნაწილად აქცევდნენ.

ვის ეთქვა, დასრულდა მითოსის ხანაო.

საგმირო ეპოსთა ჟამიც ჩავლილ დროებას მიჰყვა თანო.

არამცთუ საუკუნის დასაწყისში, საუკუნის მიწურულსაც იარსებებდა კავკასიური მითოსის გამოვლინებანი თუნდ ფშავისა და ხევსურეთის ყოფასა და ცნობიერებაში, და ვაჟა-ფშაველაც, გოლიათური სახელებისა და სახეების გარემოცვაში აღზრდილი, იმ სიმაღლეზე აზიდავდა საგმირო ეპოსს, საუკუნეთა ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ერთბაშად გააცამტვერებდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი თუ ამ საგმირო ეპოსიდან ამოიზრდებოდა, როგორც ერთდროული პერსონაჟი ყოფითი და მხატვრული სინამდვილისა, ალექსანდრე ბატონიშვილი შთააგონებდა ამ ეპოსის ჰეროიკულ სულს, ოღონდ მანამდე უკვე მოქცეულიყო მისი კვეთება და თავგამეტება პოეტურ შედევრში, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანში“, სადაც ლეკური მითოსური თქმულების ერთგვარი ესთეტიზაცია მოხდებოდა და ეროვნული პროგრამის ძარღვიც განივთდებოდა.

შევჩვეულვართ, შეგვისისხლხორცებია ირაციონალიზმის ძალაც და მადლიც, და რაც მთავარია, მისი აუცილებლობა თავისუფლების მაძიებელი ხალხისათვის, ჩაწნეხილი ამ პოეტურ ფორმულაში: ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო... — ვიმეორებთ, ნუგეშად ვპოვებთ, თავშესაფრად გვეგულება, მაგრამ აღარც ვუკვირდებით, რაოდენ მოულოდნელი და გულისშემძვრელი იქნებოდა მისი ასეთი გაცხადება, ერთდროულად აღბეჭდილი ტრაგიზმითაც და მომავლის რწმენითაც.

აღარ გენება სამსხვერპლოდ თავის გადადება?

გერჩივნა, ეს და ამგვარი ფიქრი და განცდა წარსულ დროებას გადაჰყოლოდა?

რას იზამ, თუკი სასტიკი ბედისწერა არ განებებდა ხლართიდან გამოხსნას და ახალი ეპოქის პოეტის ბაგითაც იმასვე გიდასტურებდა, რასაც შენი ისტორია გთავაზობდა — მსხვერპლთა დაუსრულებელ რიგს... და კვლავაც იმავე ჯაჭვს უნდა გაჰყოლოდი... ჯერჯერობით მაინც...

ილია ჭავჭავაძისათვის რაღაც სხვა სარკმელი გაიხსნებოდა ამ ლექსების გაცნობით, სხვა სული დატრიალდებოდა, სხვა ფიქრები

მოეძალებოდა და მისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამოცხადებული ხელნაწერი კრებულებიდან, უპირველესად, ცხადია, იმ სტრიქონებს გაუიგივდებოდა: ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლისო... და კიდეც ეპიგრაფად წაუმძღვარებდა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსსაც და... საკუთარ ბიოგრაფიასაც.

— ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო, — კოხტა აფხაზი რომ მოიგონებდა, ბევრწილად ეს ყმაწვილური ბოდვა იმასაც გამოეწვია, რომ ეს პოეზია ამ სულისკვეთებით გაჟღენთილიყო და რაღაც უჩვეულოს ჩააგონებდა ყველას, ვინც პირველად გადაავლებდა თვალს ამ სტრიქონებს.

მაშინ ილიას ან სრულიად არაფერი სმენოდა, ანდა ძალზე ბუნდოვნად ალექსანდრე ბატონიშვილზე.

ჯერ ოდნავადაც ვერ შეეღო 1832 წლის შეთქმულების კარი.

მაგრამ გული უგრძნობდა რაღაც განსხვავებულს და იმასაც მიახვედრებდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ზოგადსაკაცობრიო ფიქრებსა და ტკივილებში ეპოქისმიერი კვალიც შესამჩნევი გახლდათ, ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი, სადაც გაედგა ფესვი ამ პოეტურ აზროვნებას, კომენტატორისათვის მადლიანი მასალა რომ აღმოჩნდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოსაგებად გაშლილი ეროვნული მოძრაობის სურათთა და მთელი პროცესის აღსადგენად, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევი თუ ნართაულად მინიშნებული სანდო მეგზური რომ ხდებოდა დროების წიაღში შესაღწევად.

უთუოდ ვიღაცას გულისხმობს, ეს ზოგადი ოცნება არ უნდა იყოსო, — რაღაცას მიხვედრილიყო პეტერბურგის უნივერსიტეტში ისისაა ფეხმოკიდებული სტუდენტი და სული ელეოდა, ვიდრე მის ვინაობას შეიტყობდა.

— ისკანდერ!

ცის კაბადონს მისციებოდა და შენუკვოდა დიდი და პატარა.

ისევ წვიმდა.

ისევ გრგვინავდა.

ისევ ელავდა.

და თვალს ვერც შეასწრებდი მფრინავი რაშისა და ზეციური მხედრის მიმოქროლებას.

თავი მეორე

„აი სამეფო კაცი“

მიიკარგებოდა ისკანდერის ლეგენდა.

დრო მოიტანდა ამ მიკარგვას.

აუხსნელი დარჩებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ვერსია — მითის ესთეტიზებული სახეცვალება.

ამ აუხსნელობასაც დრო მოიტანდა.

ბალახს გადაევლო არამარტო ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გათელილ ბილიკებზე, არამედ მის სახელზეც.

დრო გამკაცრდებოდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იმ ბილიკებს რომ შეჰყვებოდა, ძალაუნებურად გაცოცხლდებოდა ისკანდერის ხსოვნაც, მისი დაბრუნების რწმენაც და ჰეროიკულ გზნებას ხალხი ქაქუცაზე გადაიტანდა, როგორც ახალი ხორცით შემოსილ ალექსანდრე ბატონიშვილზე.

კვლავ ბალახი გადაუვლიდა გათელილ ბილიკებს.

თამაშობდა დრო.

და აუცილებელი გახლდათ ხელახალი სუნთქვა შეეძინა ახალი ჟამისა თუ გარდასული ხანის ლეგენდებს, გარდასულის — ქრონოლოგიური ათვლა რუსეთის კაბალაში მოქცევიდან რომ იწყებოდა და ყველაზე მონუმენტურ და სახიერ ფიგურად ალექსანდრე ბატონიშვილი მოჩანდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მითოსს მიხეილ ჯავახიშვილი შექმნიდა — არსენა მარაბდელის მხატვრულ სახედ გასიმბოლოებულს და მარადი დაბრუნების რწმენით განმსჭვალულს.

ალექსანდრე ბატონიშვილის მითოსსაც თავისი შემოქმედი ესაჭიროებოდა.

რაკილა ჩაკარგული ლეგენდა ჯერაც მისაგნები და გამოსამზეურებელი იყო, ვასილ ბარნოვი მოინდომებდა ალექსანდრესაგან მითოსური გმირის გამოძერწვას, მზის რჩეულისა, მზესთან შეტოლებულის.

და ამ მოთხრობას დასახავდა მხატვრული ქართლის ცხოვრების ეპილოგად.

ამ მონუმენტური ქმნილების პროლოგი აკი „შურისგება“ გახლდათ, მამასახლისების დროის ამბავი, ჯერ ფარნავაზიც რომ არ გამოჩენილა და სახელმწიფოც არ დაუარსებია, ქართული ენითა და ეროვნული მრწამსით შედუღაბებული.

იმ თხზულებაში ღვაჟაგი მოქმედებდა, ფარნავაზის უფროსი ბიძაშვილი, მწერლის განზრახვით, არსება სრული რომ უნდა გამოეხატა. ამ იდეალის — არსება სრულის — გამოხატვა დაკისრებოდა ალექსანდრე ბატონიშვილსაც და ეს ორი მონუმენტური სახება უნდა ჩამდგარიყო მხატვრული ქართლის ცხოვრების თავსა და ბოლოში — კომპოზიციური ჩარჩოს შემკვრელებად.

მონუმენტურობა მონუმენტურობად, მაგრამ ორივე მოთხრობას რომ გადავიკითხავთ, გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ „ისკანდარია“ მხატვრული ეპოპეის გამხსნელი და „შურისგება“ კი — მისი დამაგვირგვინებელი, რადგანაც ღვაჟაგის თავგადასავალი ყოფითი დრამის ფარგალს არა სცილდება, ალექსანდრე ბატონიშვილის ამბავი კი მითოსურ მეტაფორებშია გახვეული.

„შურისგების“ სიუჟეტი შეგნებულად მოეახლოვებინა მწერალს ახალი დროებისათვის, რათა სიძველის გარეგნულ ნიშნებს გარიდებოდა.

და მითუმეტეს გაერიდებოდა „ისკანდარის“ გახვევას სიძველის სურნელში, რაღაც განსაკუთრებული სიახლოვე რომ არ ეგრძნო ამ ბობოქარ გმირთან და მისი კვლავ დაბრუნების იდეა ხელშესახებად არ განეცადა — ახალი ჟამის იდეალად და ორიენტირად სწორედ ის არ დაესახა.

ჯერ თვითონ უნდა ერწმუნა უთუმცაოდ და დაუეჭვებლად, სხვათათვისაც ასევე სარწმუნო რომ გაეხადა.

მზის რჩეულად, მზის შვილად უნდა დაეგულებინა.

მოთხრობის სამოსელიც ამ სიმბოლიკისათვის მოერგო, და კიდეც ბოლომდე აეწია, თუკი ძალ-ღონე ეყოფოდა.

მოწმენდილ ცაზე ამობრწყინებული მზის სურათით რომ დაიწყებოდა თხრობა, ეს თითქოს ყოფითი დეტალი გახლდათ, მისი ერთხანს შეჩერებაც სალი კლდის ქიმზე, თვალის მოვლებაც მაღლა ცის, ძირს დედამიწისათვის, მისი დაძვრაც და დიდებული სვლაც... მაგრამ აქ უკვე უნდა გვეგრძნო, რომ ზეციური მნათობი გაპიროვნდებოდა და მითოსური ნიშნების შეძენას დაიწყებდა, როდესაც მის გარშემო უამრავი ბრწყინვალე არსის მხილველნი შევიქნებოდით, წინ თუ უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ხოლო მზის შუაში, შიგ გულისგულში უნდა აღმოგვეჩინა უთვალავი ახალნორჩი ნათელმოსილი, მოღიმარნი რომ ეკვროდნენ

დედას და ურთიერთს უღიმოდნენ და კოცნიდნენ, და თუ ზოგს იქვე ჩასძინებოდა, სხვანი ესროდნენ ერთმანეთს ციურ ყვავილებს.

და ყველა ეს მზისამყოლი („მის ყოველთ სურვილთა თუ ფიქრთა აღმასრულებელი — უმანკო ქმნილებანი თუ უხორცონი დიდის შემოქმედისა! სულნი მიცვალებულთა მართალთანი და სულნიცა ნათელ მისწრაფებათა მქონებელნი") დასდასად უნდა დაყოფილიყო თვის ხარისხისა თუ ძალთა სიმრავლის მიხედვით: მთავრობანი თუ ხელმწიფებანიო, გონმვებულნი, აღმასრულებელნი თუ მბრძანებელნიო. და ყველა ერთობლივ ფრთოსანი...

და ამ მხატვრულ სახეებში „ჩრდილოეთის" ხსენება რომ შემოიჭრებოდა, ერთბაშად ეგებ ისიც ამავე სტილური ქსოვილის დეტალად აღგვექვა, მარტოდენ გეოგრაფიულ ორიენტირად, მაგრამ მალევე ამოვიცნობდით პოლიტიკურ ქვეტექსტს, იმ გამჭვირვალე მინიშნებას, რაც ამზადებდა ავანსცენაზე მის წინააღმდეგ შემართული გმირის გამოჩენას.

ჩრდილოეთის წინააღმდეგ მზის მფარველობით.

შავი რამ ნისლი მოზრდილა და კიდევ უფრო ჩაშუქებულა?

— ჩემ რჩეულ საქართველოს დასტანებია ქუფრი ბოროტი, — მზემ უნდა წარსთქვას ხმით უნაზესით და ამ ხმამ გრგვინვით აღაესოს ზე — ცა და ქვე — მიწა.

— დასტანებია ბნელი საქართველოს!

— შავი ბოროტი საქართველოს!

ეს როგორც ანტიკურ ტრაგედიაში ქოროს მოძახილი, მზის უზენაესი მოწოდებით რომ უნდა დაგვირგვინდეს:

— მებრძოლი!

წილი ნაყარია.

და კიდეც უნდა შეიძრას ლაშქართ სიმრავლე, გამოვიდეს ჭაბუკი დაკვართული, დადგეს მზის წინაშე ცალ მუხლზედ და აკოცოს ქვეყნის დედას სარტყლის ფოჩზედ. მიუპყრას თავისი იარაღი — ხმალი და ჰოროლი, და მზემ დაულოცოს აბჯარი — დაჰკრას სხივი, ააალაპლაპოს.

შერჩეს ეს ბრწყინვა ნაკურთხ იარაღს.

შეკუმშოს ფრთები ჭაბუკმა, ტანზედ გაიკრას და უჩინარჰყოს, გააპოს ეთერი და დაეშვას მიწისკენ.

ეს ხომ ის სურათია, წმინდა გიორგი და კოპალე რომ ეხატებოდა მამის ღაღადისიდანო, — ადვილად მიუხვდებოდა ოთარ ჩხეიძე ვასილ ბარნოვს ამ ჩანაფიქრსაც, მიუხვდებოდა, რაკიღა მოეხსენებო-

და, რა გარემოში და რომელი ხილვებით აღვსებულიყო მისი ბავშვობა. სწორედ ეს სახელები და ხატებანი შეეთვისებინა სიყრმიდანვე და ალექსანდრე ბატონიშვილის პირველივე გამოჩენას იმ ყმაწვილური ჟინითა და ოცნებით აღავსებდა, ეს სახელები რომ შთააგონებდნენ და გაუნელებლად მოსდევდნენ ამდენ ხანს.

ხან სად იელვებდნენ მის მოთხრობებსა და რომანებში და ხან სად, მაგრამ ასე მათ მსგავსად, მათ შეტოლებულად აქამდე ვერავინ წარმოედგინა, ვერავისთვის გაემეტებინა ეს ამაღლება და ახლა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის უშურველად ებოძებინა უშუალოდ მზისგან დალოცვა — თუ მითოსია, მითოსი უნდა ყოფილიყო გმირის მოვლინების სათავე, და მერე თუნდაც ყოფით სცენებსა და სურათებს გაჰყოლოდა თხრობა, ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე ლეგენდური იერით შთაიბეჭდებოდა მკითხველის ცნობიერებაში, რაღაც უჩვეულოს მაცნედ და მაუწყებლად.

მზე ოდესღაც აკი ფარნავაზს მოევლინა მფარველად და მეგზურად, ჯერ წელს რომ შემოერტყა მისი შუქი, განიზიდა და სარკმლიდან გაიყვანა ველად, სადაც თვითვე წარუდგა ისე ჩამოშვებული მიწაზე, რომ გმირი ხელითაც შეეხო, მოწმინდა ცვარი და სახეზე იცხო. და მიხვდა, ეს სიზმარი აღარ უნდა იყოს, სასიკეთოს მანიშნებს, ასპანს უნდა წავიდე და ბედსაც ვეწიოო.

რა სიზმარი და რომელი სიზმარი, უდიდესი გარდატეხა უნდა მომხდარიყო მის ბიოგრაფიაშიც და ქართველი ერის ცხოვრებაშიც, და ამ გარდატეხის მაუწყებელი სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა მზის ნათელი, მისი გაპიროვნება, მისი მითოსი, რომელსაც უნდა შერწყმოდა ქართველთა პირველი მეფის ამაღლებული ხატი — მითოსშივე გადასული.

მზეს აემაღლებინა მის მიერ გამორჩეული გმირი.

თვითვე შემორტყმოდა შარავანდად.

უძველეს ეპიკურ თქმულებაში ასეც დავანებულიყვნენ მზე და ფარნავაზი, შემდეგ კი ქართლის ცხოვრების ფურცლებზეც გადაეწაცვლებინათ, ლეონტი მროველის მატიანეში, და, ვინც გმირის თავგადასავალს მოთხრობად ან რომანად აქცევდა, ამ ორ ხატს ერთმანეთს ოდნავადაც არ დააცილებდა — ქვეყნიერების მნათობი უშუალო მონანილე უნდა შექმნილიყო ქართველთა სახელმწიფოს დაარსებისა. გმირის გამოსვლა ავანსცენაზე უიმისოდ არ იქნებოდა.

და ვასილ ბარნოვს, თუკი ფარნავაზსაც ჩაიფიქრებდა თავის გმირად, დიდი რამ ძებნა აღარც დასჭირდებოდა გმირის შემოსაყვანად თხრობაში — მზის მოვლინებით გახსნიდა თხზულების კარიბჭეს, და

ფარნავაზს მზე რომ დაულოცავდა გზას დიადი მიზნისაკენ და დედამინაზე წარმოგზავნიდა, იდუმალად თანაც ეახლებოდა, რათა ყოველი გასაჭირისას იქვე ამოჩენილიყო.

ჯერ კი ეს უნდა წარეთქვა:

— მებრძოლი!

და ფარნავაზის ფიგურა ისე გამოკვეთილიყო, როგორც ყმაწვილის გონებაში მამის მონათხრობს შთაებეჭდა წმინდა გიორგისა და კოპალეს ამბები. იმ აღმტაცი განცდით შეემოსა პირველი მეფე ჩვენს ისტორიაში.

თუკი ფარნავაზსაც ჩაიფიქრებდაო...

ან რაღა თუკი — განზრახვით აუცილებლად განიზრახავდა მის ირგვლივ სიუჟეტური ქარგის მოქსოვასაც, ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელის გამოტოვება არაფრისდიდებით არ ივარგებდა მის პერსონაჟთა გალერეაში და ეგებ „შურისგებისთვისაც“ მიედევნებინა ფარნავაზის ამბავიც, მაინც იმ ეპოქაში ტრიალებდა... მაგრამ რაკილა იმთავითვე არ დაგიდევდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვას მხატვრული ქართლის ცხოვრების შექმნის პროცესში, ამჯერადაც ძალდაუტანებლად გადმოინაცვლებდა სხვა ეპოქაში იმ იმედით, ღვაჟაგის სახლიკაცს ყოველთვისაც დავუბრუნდები და სჯობს ყველაზე შესაფერისი დრო შევარჩიოო.

ფარნავაზის სახის გამოკვეთას საგანგებო ჟამი სჭირდებოდა.

იქნებ სწორედ მისი მონუმეტური ფიგურა გამხდარიყო არსება სრულის ყველაზე თვალნათლივი ხატი?!.

და – მებრძოლიო! — მასზე რომ იტყოდა მზე, ფარნავაზს რომ გამოეხმობდა და ისიც მსწრაფლ წარდგებოდა მის წინაშე ცალ მუხლზე დაჩოქილი, სარტყლის ფოჩზეც აკოცებდა და თავის იარაღსაც მიუპყრობდა დასალოცად, უზენაესი მნათობიც უკურთხებდა აბჯარს და შერჩებოდა და შერჩებოდა სხივთაგან ალაპლაპებული ბრწყინვა ხმალსაც და ჰოროლსაც.

მერე უკვე შეეძლო ფარნავაზს შეეკუმშა ფრთები, ტანზე გაეკრა და უჩინარეყო, გაეპო ეთერი და დაშვებულიყო მიწისაკენ.

მითოსი ყოფითობას შეერეოდა, განმსჭვალავდა და ზეცისაკენ აზიდავდა.

ვასილ ბარნოვის რომანტიკულ-ჰეროიკული სტილისტიკა შესაფერისადაც გაჰყვებოდა გმირის თავგადასავალს — მზით დაფერილს.

ამასობაში როგორღაც გვერდით კი მირჩებოდა ეს გმირი.

საგანგებო, ყველაზე შესაფერისი ჟამის ძებნაში სულაც დაკარგო-

და თვალთაგან. არადა, მამასახლისების ეპოქის აღდგენა და გამოგონილი პერსონაჟის, ღვაჟაგის, მოქცევა მოთხრობის შუაგულში სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა მკითხველის შემზადებას ისტორიულად ზედმოდევნებული და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენისათვის.

შემზადება შემზადებად რჩებოდა.

და სულ უფრო და უფრო რომ შემოიჭრებოდა მწერლის წარმოსახვაში ალექსანდრე ბატონიშვილის სახება და კალმის წვერზეც დაივანებდა, თუ რაიმე გაემეტებოდა მისთვის, სწორედაც მზისგან დალოცვა და მზის მითოსის განუყოფელ ნაწილად მისი გადაქცევა.

დაე ფარნავაზისათვის ნაგულისხმევი სცენა თუ სურათი უშუალოდ მორგებოდა ალექსანდრეს — მზამზარეულ სიმბოლიკაში ის გახვეულიყო და მითოსური გმირის ნიშნებიც მკაფიოდ დაჩნეოდა.

თუმც მორგებოდა რა — განა ესეც მწერლის ნებაზე გახლდათ?

ისტორიაც თავისას მოითხოვდა.

ბოლოსდაბოლოს, თუ ფარნავაზის დარი ვერ იქნებოდა მისი შემცვლელი პერსონაჟი, მთლად მისებური ჰეროიკული და სახელმწიფოებრივი ღვაწლის აღმსრულებელი, მიახლოებული მაინც უნდა ყოფილიყო პირველი მეფის სახებას.

აქ კი რა ხდებოდა.

იმას თუ გამარჯვებების მეტი არაფერი ახსოვდა, ამას მარცხი მარცხზე სდევდა თან.

არამცთუ უაღრესად გაბედული განზრახვის ჩაფუშვა, სულ გაქცევა უწევდა და არც დევნა მოკლებია.

ჩაფიქრებით კი ჩაეფიქრებინა ფარნავაზის ღვაწლის განმეორება ალექსანდრე ბატონიშვილს — უუფლებობის პირობებიდან სახელმწიფოს ამოზრდა, მაგრამ ბედი ისე შეუტრიალდებოდა, ორ განსხვავებულ პოლუსზე აღმოჩნდებოდა ეს ორი გმირი.

და მაშ ერთის სიმბოლიკა თუ მითოსური ნიშნები მეორეს რანაირად შეიძლება შესაფერისად მორგებოდა?..

ეგებ ვასილ ბარნოვიც ისტორიული პარალელის მონაცვლეობით პაროდიას ქმნიდა და ალექსანდრე ბატონიშვილის დალოცვა მზის მიერ სხვა არაფერი იყო, თუ არა ფარნავაზის მითოსისა თუ ეპიკური თქმულების ერთგვარად კომიკური ვერსია?..

მაგრამ იუმორი, კომიზმი, პაროდია სრულიად უცხო მხატვრული საშუალებანია ვასილ ბარნოვისათვის — არამცთუ წარმატებით ვერ გამოიყენებდა, არც კი იფიქრებდა ამ ხერხებისთვისაც მიემართა.

აბა, მაშ ცვლიდა და ასხვაფერებდა ისტორიულ რეალობას და ალექსანდრე ბატონიშვილს მიაწერდა იმას, რისი შემძლეც იგი არ ყოფილა?

ასეც რომ არ არის?

ეპოქის სულს სრულებით არა ცვლის მწერალი და არც თავის გმირს წარმოგვიდგენს ისეთად, როგორიც სინამდვილეში არა ყოფილა.

მაშინ რაღა გამოდის — მზე გიკურთხებს იარაღს, იგი გგზავნის დედამიწაზე და, ნაცვლად გამორჩეული ღვაწლისა, რიგით მებრძოლად რჩები, რომელიც განწირულია, თუმც მფარველად თვით უზენაესი მნათობი ეგულება.

და მკითხველის ფიქრი იქით გადაიხრება — ალექსანდრე ბატონიშვილი ეგებ ვასილ ბარნოვის ოცნების გმირია, ყოფითობას სრულიად გამორიდებული და პირწმინდად მხატვრულ წარმოსახვებში გახვეულიო?!.

მაგრამ მისი ყოფითი ბიოგრაფიაც რომ თვალნათლივია მოთხრობაში და მარტოდენ მითოსის ბინადრად არა ქცეულა?

და გრძნობ, უსათუოდ გრძნობ ალექსანდრე ბატონიშვილის სახის ამგვარად გააზრების საწყისს.

მერე რა, რომ მარცხი სდევს თან მის ბრძოლებს.

მერე რა, რომ გასაქანი არ მიეცა მის სწრაფვას.

მერე რა, რომ ოცნება ამაოდ განუქრა.

შეუპოვრობა ხომ გვიანდერძა.

დაუმორჩილებლობისათვის ხომ განგვაწყო.

ეროვნული ენერგიის რწმენა ხომ განგვიმტკიცა.

განწირული სულისკვეთების იდუმალ მადლსა და ძალასაც ხომ გვაზიარა ახალ დროში.

და ხომ ისე გაეცალა საწუთროს, მისი ძვლები კვლავაც ძველებური ჟინით რომ ჟღრიალებდა სამარეშიც და დაუშოშმინებლობისაკენ მოგვიწოდებდა, ვიდრე რუსეთის უღელს სამუდამოდ არ გადავიგდებდით.

ვასილ ბარნოვიც გრძნობდა და დაბეჯითებითაც რწმუნებოდა, რომ საქართველოს გამოხსნა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით მოხდებოდა. რამდენი ხანიც უნდა გასულიყო, მაინც მის თავგანწირულ კვეთებას უნდა გამოეღო საოცნებო ნაყოფი და ჩვენი შეწყვეტილი ისტორია საკუთარ თავს დაბრუნებოდა — იატაკქვეშეთში გადასული სამყარო კვლავაც მზის წინაშე გადაშლილიყო, მის ემბაზში ამოვლებულიყო, და სხვას ვის ან რას უნდა ეკურთხებინა გმირი ამხელა მისიის აღსასრულებლად, თუ არა თვით უზენაეს მნათობს, რო-

მელსაც ჯერ მას ერთადერთს სჯეროდა მის მიერვე სცენაზე შემოყვანილი პერსონაჟისა, და მალევე დამკვიდრებოდა ეს იდუმალი კარნახი საყოველთაო რწმენად და აზრად.

და რომ მოეჩვენებოდათ, მგონი დაკნინდა რაინდული სული, მგონი ისერიგად ველარ მოგვდევს სიმხნევე და შეუპოვრობაო, შემართების საძიებლად ეროვნულ თავმოყვარეობას ამ სიტყვებით შეანჯღრევდნენ: ბალახს დაუფარავს ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გათელილი ბილიკებიო.

ამიტომაც აღარ გვეხამუშება, ისკანდერი მზისაგან ხელდასხმულად რომ გვევლინება ვასილ ბარნოვის თვალთახედვაში და მისი მითოსიც ისეთივე რწმენით იქმნება, თითქოს ფარნავაზის თავგადასავალი ყოფილიყოს.

„ისკანდარი" მხატვრული ქართლის ცხოვრების ეპილოგი კი არის, მაგრამ ის ეპილოგი, რომლის წიაღში ჩვენც ვცხოვრობთ, მხატვრული წარმოსახვანი და ყოფითი ცხოვრების მდინარება ერთმანეთს ერწყმის და მზისგან დალოცვილი რაინდის ხილვა თუ მოლანდება მწერლისაგან მოგვრილი ის განცდაა, რომელმაც მითოსის შეგრძნება უნდა გაგვიჩინოს მითოსს სრულიად მოკლებულ დროში.

სახალხო აზრში თვითონვე ჩაერეოდა, თვითონვე შექმნიდა, სათავეს დაუდებდა ახალ ლეგენდებსაო, — ოთარ ჩხეიძემ, — ასე უჯობდა, მაგრამ მაინც უნდა ჰქონოდა რაიმე საწყისი, სახალხო საწყისი, რაღაცას უნდა დაჰყრდნობოდა, უნდა ეპოვნა რაღაც მისაზიდი, მისაზიდი მითოსისკენაო.

რუსეთს გადახვეწილ ბატონიშვილებს ერთბაშად რომ უნდა ჩამოხსნოდა, მისთვის ეს საყოყმანოც არ იქნებოდა, რაკიღა იმათ მითოსი ახლოსაც არ გაჰკარებოდათ.

სამაგიეროდ, ერთი ხომ გამოცალკევებოდა იმ უამრავთ.

გამოცალკევებოდა პიროვნული ხასიათითაც.

ხვედრითაც გამოცალკევებოდა, რადგანაც არ დანდობოდა იმპერატორის აღთქმა-დაპირებებს, არც საერთო დინებას მიჰყოლოდა და თვითონვე გამოეჭედა საკუთარი ბედი სპარსეთს გადახვეწილს.

— იქა ბორგავდა, იქიდან გადმოვარდებოდა ხოლმე კავკასიაში, ამიერ თუ იმიერ კავკასიაში, სულერთი იყო, საითაც უჯობდა, საითაც უფრო სამარჯვოდ ეგულებოდა, გადმოვარდებოდა და ამოვარდებოდა ქარიშხლადა, იქით დაღისტანს ეშველებოდა, აქეთ აზერბაიჯანის სახანოებსა, აქეთ აწყდებოდა თუ იქით ეხლებოდა, ერთი ჰქონდა მიზანი, ერთი, ერთადერთი, აღედგინა თავისი სამეფო. დიდი ძალა, და-

უმორჩილებლობის დიდი სული გამოემჟღავნებინა, ბევრი აჯანყების, ბევრი შფოთის მეთაურად მოვლენილიყო და კავკასიის ხალხთა ლეგენდებში შესულიყო ნაწყვეტ-ნაწყვეტადა.

და ვასილ ბარნოვი თვალს რომ მიმოავლებდა ამ ყოველივეს, გაუკვირდებოდა კიდეც, აქამდე რატომ არ მომაფიქრდა ამ გმირის მხატვრული გააზრებაო.

— ამ ნაწყვეტთა გაერთება და განზოგადება კარგი დასასრული იქნებოდა ეპოპეისა, კარგიც იქნებოდა, ბუნებრივიცა, აქვე ივარგებდა ამტანობის აზრიცა, ამტანობა შეერწყმოდა არსება სრულსა.

ლეგენდას, რომელსაც საუკუნის წინათ აღენთო ნიკოლოზ ბარათაშვილი, ახლა ვასილ ბარნოვი შთაეგონებინა.

მერანი რომ ასეთი ძალმოსილებით, ბარათაშვილური ექსტაზით არ ქროდა მის მონათხრობში?

ის ბობოქარი სული ქროდა სამაგიეროდ, და ასე ვერ იბობოქრებდა, მფრინავი რაშის ლეგენდით რომ არა ყოფილიყო გამოზრდილი.

ვერც მზეს შეეტოლებოდა.

ვერც საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის უკანასკნელი ცდები იქცეოდა რომანის საყრდენად ასეთი შთამბეჭდაობით, არადა, იდეურ საყრდენად სწორედ ეს რომ გამოძებნა, „ბუნებრივი გახლდათ ან ყველაზე ბუნებრივი ეს იყო — მთელი ეპოპეის სული და გული ხომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა იყო, ცხადია, ეპილოგშიც იგივე გაატანდა, ოღონდ ვაგლახ, რომ ეს გახლდათ მხოლოდ მხატვრული ქმნილების ეპილოგი როდი, მხოლოდ იმისი ეპოპეის ეპილოგი როდი, — ეპილოგი თვით ქართლის ცხოვრებისა“.

იდეურ საყრდენად რომ საქართველოს ერთიანობის უკანასკნელი ცდები განეზრახა, კომპოზიციურ საყრდენად იმ ისტორიულ ეპიზოდს შეარჩევდა, სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტი უმეფოდ რომ დარჩებოდა, ხოლო იმერელი დიდებულები კვლავაც განცალკევებით დგომას კი აღარ ამჯობინებდნენ, არამედ საქართველოს გასაერთიანებლად სწორედაც ხელსაყრელ დროს დაიგულებდნენ და ქართლ-კახეთის მეფეს ეახლებოდნენ და შეევედრებოდნენ: აჰა, იმერეთის ტახტიც, შეიერთე და მოაქციე მთელი ქვეყანა ერთი სკიპტრის ქვეშო.

სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება გახლდათ, სასულიერო — ევთიმი გენათელი და დოსითეოს ქუთათელი — და საერო — სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ

წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე, ფიცისკაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანიც — პირნი ერთობლივად რომ შეიმუშავებდნენ და ეჭვიც აღარ ეპარებოდათ მის კეთილად დაგვირგვინებაში. მთავარი სწორედ ეს იყო, ისინი შეთანხმებულიყვნენ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ ასტეხოდნენ ერთმანეთს და დასებად არ დაშლილიყვნენ, თორემ მეფე ერეკლეს განა საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა, საწინააღმდეგო კი არა, უდიდესი სიხარულით უნდა შეხვედროდა ამ შეთავაზებას და მაშინვეც დაფაცურებულიყო იმერეთის შემოსაერთებლად.

ღვთისაგან უკეთესი რა უნდა ბოძებოდა.

ქართლის შემოერთებაც თავისთავად მომხდარიყო, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად. და როგორც ჩანს, განგება ამზადებდა ერეკლე მეორეს სრულიად საქართველოს მპყრობელად, რაკიღა იმერეთიც ძალდაუტანებლად შემოცურებულიყო მის ხელთ. ეს უბრალო რამ — თანხმობაღა ევალებოდა.

და მოულოდნელად... უარზე დადგებოდა მეფე-ბატონი.

რისთვისაც სხვანი თავს იკლავდნენ და არავის ზოგავდნენ, ოღონდაც მიწები მიეტაცებინათ, ეს ასე იოლად თმობდა — განგების ბოძებულს ზურგს აქცევდა.

კი უნდა მოხვედრილიყო ეს ეპიზოდი ისტორიკოსთა განსჯის შუაგულში.

არც მწერლობა უნდა გარიდებოდა მის მხატვრულ გააზრებას, რაკიღა იგრძნობა, რომ ჩვენი ცხოვრების საბედისწეროდ შეტრიალებაში მეფის ამ უარს თავისი წილი უძევს, არცთუ უმნიშვნელო.

ის რაღა იყო, უმეფოდ დარჩენილი ქართლის ტახტი ერთი დაკვრით რომ არ იგდო ხელთ?

მაშინ მამა-შვილმა ასე განარიგა — ქართლში თეიმურაზ მეორე გამეფებულიყო და კახეთი ერეკლე მეორეს დაენარჩუნებინა, და იყო ასე კვლავაც გაყოფილი ქართლი და კახეთი, ვიდრე მამა მიიცვლებოდა და შვილი მემკვიდრის უფლებით შემოიერთებდა ამ მხარესაც.

ხომ უბრძოლველად მოხდა ეს ყოველივე.

ხომ თავისთავად გადაბარდა ქართლი კახთ-ბატონების გამგებლობაში.

ხომ გამოიკვეთა საქართველოს გაერთიანების რაღაც ნიშანი.

მაგრამ ეს ასე მოჩანდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნეთა თვალში, თორემ ეს კუთხე — თითო-ოროლა კაცის გამოკლებით — ვერ ეგუებოდა მეფედ ბაგრატიონთა კახეთის შტოს წევრს და ერეკ-

ლე მეორე, მიუხედავად მისი სახელგანთქმულობისა — ბოლო დრომდე უზურპატორად მიაჩნდათ ქართლში.

ამიტომაც არ აკლდა წინააღმდეგობა და შფოთი ამ მხარეში. წლებმა ვერ გაანელა ქართლელთა დრტვინვა.

და ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერეკლე თანდათანობით, დიპლომატიური გზით კი არ დაუფლებოდა ქართლელ ბაგრატიონთა ტახტს, არამედ ერთბაშად ეგდო ხელთ. შფოთი და წინააღმდეგობა მაშინ გენახათ და ათასგვარ მომხვდურთან დასაღვრელი სისხლის დანთხევა ერთმანეთთან ბრძოლაში.

ამიტომაც ამჯობინა მიპარვასავით სვლები და მშვიდობიანობის შენარჩუნება.

ეგებ ამჯერადაც ეს ტაქტიკა წარმართავდა მის ფიქრთადენასაც და მოქმედებასაც?..

პირადად მოერიდებოდა პასუხის გაცემას და დარბაზს მოიწვევდა გადასაწყვეტად.

და პირველადვე ეს აზრი გიჩნდება, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იმიტომაც აერიდა, მასთან სასაყვედურო რომ არავის არაფერი ჰქონოდა — იმერეთის ტახტის მიტაცებაში დასდებდა ვინმე ბრალს? თამამად შეეძლო ხელი შემოეტარებინა ირგვლივ — აგერ იმერელი წარჩინებულნი და აგერ ქართლ-კახეთის დიდებულნი, მათ ერთობლივ შეთანხმებას წინ რატომ უნდა აღვდგომოდიო?!.

დარბაზიო და: შეეგებებოდნენ იმერელ წარჩინებულთ კათოლიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, მოურავი ქიზიყისა ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და ის ჭაბუა ორბელიანი, რომელსაც პლატონ იოსელიანი ბრძენად მოიხსენიებდა, პირველ და ძლიერ ხმად ერთობისათვის, ვისი ქუხილიანი სიტყვაც განმსჭვალულიყო დიდი საქვეყნო სარგებლობით და ძალიან იწონებდა იმერელ დესპანთა შეთავაზებას, ზეგარდმო შთაგონებულად რომ მოიხსენიებდა.

— ნუ ჰყოვნი, მეფეო! — არ მოერიდებოდა გვირგვინოსანს, — მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა. — ვითარ მოელო მეფობა ქართლისა. ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მო-

ელო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება.

ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთაგანია!..

სულ სხვაგვარად წარმოისახება ჭაბუა ორბელიანი ბესიკ გაბაშვილის ეპიგრამებით და სულ სხვაგვარი მოჩანს ამ დიდებული სიტყვის ფონზე. იქ — კომიკური პერსონაჟია, აქ — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და დრამატული ჟამის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა, ვისი მსჯელობის სიმწყობრე და სიღრმე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, ერთბაშად აგანთებს და აგიყოლიებს და შენც ამავე ფიქრითა და განცდით რომ განგმსჭვალავს, იარაღსაც მიწვდები, რათა ეს იდეალი ოცნებად კი არ დარჩეს, არამედ ყოფით რეალობაში დამკვიდრდეს, როგორც აუცილებლობა სახელმწიფოებრივი არსებობისა.

მეფე ერეკლე კი ვერ აღანთო და ვერ აიყოლია.

მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვისო...

ნეტა რობესპიერი ხომ არ გამოგვცხადებიაო, — იფიქრებ. რაღა ჭაბუა ორბელიანი და რაღა მაქსიმილიან რობესპიერი. ამაზე მეტს ისიც ვერ გაბედავდა იმ გარემოში, XVIII საუკუნის დამლევის საქართველო რომ გახლდათ — რევოლუციის ტალღები აქამდე ჯერ რომ ვერ აღწევდა. მხოლოდ შორეულ, ძალზე შორეულ ექოდ, და ესეც სავსებით კმაროდა, რათა ჭაბუას ერთბაშად თავდაყირა დაეყენებინა საუკუნეობით გამომუშავებული რწმენა, მონარქიასა და ქვეყანას ერთმანეთს რომ უიგივებდა და მაშ ერეკლეც საქართველოს სიმბოლოდ უნდა ეღიარებინა, ერის მსახურად კი არ გამოეცხადებინა.

ცხადია, მას რევოლუციური მისწრაფებანი არ ამოძრავებდა. და თუ მეფის დამუნათებასაც არ მოერიდებოდა, ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, საბედისწერო წუთის მხილველი რომ შექმნილიყო და ავად მომზირალი მომავლის იდუმალი მჭვრეტელიც.

— ნუ ჰყოვნი, მეფეო!

დაყოვნებას რა უშავდა. მეფის ზოზინი თუ ტაქტიკურ განზრახვას გულისხმობდა, დაე როგორც უჯობდა, ისე წარემართა მოლაპარაკება და შეექმნა ილუზია, მე კი არ ვეპოტინები იმერეთის ტახტს, იძულებით ვთანხმდები ამ შემოთავაზებას საქვეყნო სარგებლობისთვის, რაკიღა ერის ბედნიერება ითხოვს ერთობას, მეფობისა და სახელმწიფოს გაძლიერება შეუძლებელი იქნება კუთხეების დაუკავშირებლად, და მე მხოლოდ მერგუნა ამ მისიის აღსრულებაო.

ნუ ჰყოვნი, მეფეო...

არა, ტაქტიკური მოსაზრება არ აფერხებდა ომებში ძლევამოსილ ხელმწიფეს, უფრო ღრმა მიზეზები გადაღობებოდა და ის უშლიდა გაბედულ მოქმედებას. ის ტრაქტატი, რომელიც რუსეთს არაფრად უღირდა და ისე გადაგვახევდა თავზე, აინუნშიც არაფერს ჩააგდებდა, ქართველთა მეფისათვის ყელზე ჩამოკიდებული ლოდივით გახლდათ და გატოკებასაც უშლიდა, არამცთუ გაბედულ მოქმედებას.

ნუ ჰყოვნი, მეფეო...

გარეგნულად დაყოვნებულიყო, თორემ ყოყმანი კი არ უორებდა ფიქრსა და აზრს, უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა თავისი და დარბაზიც მხოლოდ იმიტომ მოეწვია, ეგებ იგივე დაადგინონ, რაც მეც განმიზრახავს და აღარ ჩამომერთვას პირად წინააღმდეგობად და ხელის შეშლად საქართველოს გაერთიანებისაო.

ატყობდა, უკვე სხვა დრო გახლდათ, სხვაგვარად ტრიალდებოდა მოვლენები, თვითონაც ცალი ფეხი სამარეში ედგა და რა ტაქტიკასაც დაადგა მამა-შვილი ქართლ-კახეთის გაერთიანებისას, ამჯერად ვეღარ გაჭრიდა.

რუსეთი მოიწევდა, ჰოი რა თავგადაკლული მოიწევდა კავკასიის ქედს გადმოლმა და ყოველგვარი ზოზინი საქართველოს მიწა-წყალზე იმის ნისქვილზე ასხამდა წყალს.

თუ მოჩანდა უფლისწულებში ერთი მაინც, ვინც ერეკლეს დარ სიმხნევეს გამოიჩენდა და გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ისე წარუძღვებოდა, რუსეთს მხოლოდ ტრაქტატის პირობების აღსრულება ეკმარა და უფრო მეტს აღარ წაპოტინებოდა?

ვინც გამორჩეულიყო, იმ ლევან ბატონიშვილს აკი მიწა ფარავდა, ასე ნაადრევად და საბედისწეროდ.

ნეტა სხვა რომელი დაემგვანებოდა?!.

ვის უნდა მიპყრობოდა ქვეყნის მომლოდინე მზერა?..

უფრო მეტს აღარ წაპოტინებოდაო...

უფრო მეტს, თორემ სამეფო თუ შეიძლება გაუქმებულიყო და ამ ტერიტორიულ საზღვრებს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები დარქმეოდა, მეფე ერეკლე ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ იხილავდა, ყველაზე სასონარკვეთილ ფიქრებშიც ვერ მიწვდებოდა.

ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასაო...

ერეკლეს ნამდვილად არა სჭირდებოდა ამის შეგონება, საამისოდ მოწოდებულიყო, საამისოდ გამოსულიყო საქვეყნო ასპარეზზე და იქით არწმუნებდა და შთააგონებდა ყველას, რომ საქართველოს გადარჩენა მის გაერთიანებას გულისხმობდა, გაერთიანებას და მხო-

ლოდ გაერთიანებას, მაგრამ ვაი, რომ მისი ეს სწრაფვა, ამჯერად ჭაბუა ორბელიანის მიერაც დადასტურებული, გადაულახავ ბარიერს შესჯახებოდა და ბრძოლებში შეუდრეკელი მეფე დათმობას ამჯობინებდა ამ ბარიერის წინაშე.

კი მაგრამ, ბატონიშვილი გიორგი როგორ შეხვედროდა ამ შეთავაზებას, ქართლ-კახეთის მომავალი მეფე — თუ ერეკლე ველარ ბედავდა გორდიასის კვანძის გადაჭრას, ეგებ გიორგის გამოედო თავი, განა არ ერჩივნა იმერეთის ტახტიც მის გამგებლობაში გადასულიყო?..

ისიც წარმოთქვამდა სიტყვას საბჭოს კრებაზე.

ისიც გამოიჩენდა ორატორულ ხელოვნებას.

ოღონდ მანამდე შეჯახებაც მოხდებოდა კრებაზე, და თუ ქაიხოსრო წერეთელი კვლავაც დაუბეჯითებდა დელეგაციის თხოვნას:

— „სცადეთ რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით, ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, რომ სცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა“.

ერეკლე დუმილს რომ ამჯობინებდა, იოანე მუხრან-ბატონი წაქეზდებოდა და კრებას მოახსენებდა:

— დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონი ქვეყანასა, რომელსაცა ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?

რის პასუხადაც დავით სარდალი წამოიჭრებოდა და აგრგვინდებოდა:

— მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისისა ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება.

ეს სიტყვა არეულ-დარეულობას გამოიწვევდა კრებაზე და მეფესაც გაანაწყენებდა, და განაწყენებული ერეკლე იქაურობას რომ მიატოვებდა და თავის ოთახს მიაშურებდა, პირველი თავყრილობა კიდეც მოთავდებოდა ასე უშედეგოდ.

დარეჯან დედოფალი კრების ასე წარმართვას ჭაბუა ორბელიანს დააბრალებდა, თითქოს დავით სარდალი უამისოდ მოერიდებოდა მკვეთრ გამოსვლას, და თავისთან რომ იხმობდა ჭაბუას და ყველრებითაც აავსებდა, ის უკან არ დაიხევდა და მტკიცედ განუცხადებდა: აზრს არაფრისდიდებით არ შევიცვლი, რადგანაც მეფესა და სამეფოს ვერ ვუორგულებ, მეფის მრჩეველი მერქვას და უკეთურება

ვურჩიო? ეს ხომ ეშმაკის საქმე იქნება, ბოროტი კაცისა და ქვეყნის მტრისა. მამა-პაპათ სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისა და მეფეთათვის, და მეც ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა, ამიტომაცაა, რომ გაბედულად და უშიშრად მოვახსენებ მეფეს ჩემს სათქმელსო.

არ ეამებოდა ერეკლეს მისი განსჯა?

მეფე ხომ ერისათვის იყო და არა ერი მეფისათვის.

გიორგი ბატონიშვილი რას ფიქრობდა და რას აპირებდა?

იგი რაკიღა მორიდებოდა მამასაც და დედინაცვალსაც, გაურბოდა დესპანთაც და კარისკაცთაც, რათა ლაპარაკში ისეთი რამ არ წამოცდენოდა ანდა არ მიეწერათ მისთვის, რაც ისედაც გაეჭვიანებულ მეფეს კიდევ უფრო გადაჰკიდებდა.

ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დედოფლის გადმობირებას ლამობდნენ, იმერეთის ყოფას დიდი მღელვარებით მოუთხრობდნენ და არწმუნებდნენ: აღმოსავლეთ საქართველოს თუ არ შეუერთდება, იმერეთი დასაღუპავადაა განწირულიო, — მაგრამ ვერ დაიყაბულებდნენ: შვილიშვილს როგორ გამოვწიროთ ხელიდან გვირგვინიო.

ეს ყოველივე, რა გასაკვირია, გვაფიქრებინებდეს, ქართლ-კახეთის მომავალი მეფე მეორე კრებაზე იმერეთის შემოერთების წინააღმდეგ გამოვიდოდაო. ფრთხილობს, ჰოი რარიგ ფრთხილობს გიორგი ბატონიშვილი!.. და ერეკლეც, ეტყობა, ამასვე ვარაუდობდა, როდესაც ჭაბუა ორბელიანის კვლავაც მგზნებარე სიტყვისა და ანტონ კათოლიკოსის ამავე სულისკვეთების განმსჭვალული გამოსვლის შემდეგ გიორგის მიმართავდა: შენ რას იტყვიო.

ნეტა უამბრძანებოდაც თუ გამოიდებდა თავს უფლისწული?

პირველი კრებისას აკი გატვრენა ამჯობინა და ისედაც ყველას გაერიდა, აზრი არა მკითხონო, მაგრამ ახლა პირადად სთხოვდნენ გამოსვლას და მეტი რაღა ჩარა იყო?.. ან ეგებ ისედაც ვეღარ მოეთმინა, ბოლოსდაბოლოს, ამ თავყრილობაზე ისეთი რამ წყდებოდა, მას რომ უფრო ეხებოდა, ვიდრე ამჟამინდელ მეფეს — ვითომ უბრალო კითხვა იყო მისთვის, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იმეფებდა თუ დასავლეთსაც შემოიმტკიცებდა? ახლა თუ არ იღონებდა რაიმეს, მერე მთლად შეუძლებელიც შეიძლება გამხდარიყო იმერეთის შემოერთება, თუ არა, სისხლისღვრა ხომ მოუწევდა და მოუწევდა.

მამის უნებური ნაბიჯის გადადგმაც უძნელდებოდა და, ყოყმანს აყოლილი, მაინც იქით და იქით სდებდა საკუთარი შეხედულების გაცხადებას.

რას იტყვი, გიორგი, შენ?

ჩემს მომხრედ გამოვაო, — ეჭვი არ ეპარებოდა ერეკლეს, თუმც წყენით სწყინდა, ჩემი შეძახილი რაღა საჭირო იყო, თავისით ვერ უნდა მიმხვდარიყო, მისი ჩარევა რომ აუცილებელია, თორემ ერთობის მომხრეებმა გადაგვლეკეს და ეგაო.

ამ ანტონ კათოლიკოსს რაღა დამართნოდა, ნუთუ ისევ ლევან ბატონიშვილის დროით ცხოვრობდა? ნუთუ იმ განცდებიდან და მისწრაფებებიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო და კვლავაც ეგონა, ქართლ-კახეთი თავისი ძალ-ღონითაც მტკიცედ იდგება ფეხზე და რუსეთის შემწეობა არაფერში დაგვჭირდებაო?

რაც იყო თუ როგორც იყო, დაე მომავალი მეფის სიტყვას გაეჭრა და ჭაბუა ორბელიანსაც და მის დასსაც სცოდნოდა, ამაოდ რომ ირჯებოდნენ, რადგანაც მეფეც და ტახტის მემკვიდრეც ერთ აზრზე დამდგარიყვნენ და ქვეყნის ბედსაც ისინი წყვეტდნენ და არა მდივანბეგი, „დამპალი ლეში, თვალხენეში, გულღადარა“, როგორც ბესიკ გაბაშვილს შეემკო თავის ეპიგრამაში, და მეფე გესლიანად რომ ჩამომარცვლავდა გუნებაში მომდევნო სტრიქონებსაც — „ეშმაკთ ბუდეო, ბეჭმრუდეო, კერპთ სადარაო, არუზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო, ხილვად საშიშო, გულმავიშო, გარ საგარაო, მე შენი ქება მომენება, არ დავფარაო!“ — ერთი ეგ ბესიკია კიდევო, თან ამასაც დაატანდა.

ბესიკს ენანა და ძალიანაც ენანა ჭაბუასთან შეხლა-შემოხლა და ეპიგრამათა მთელი ციკლის შეთხზვა და, მეფე ერეკლესაგან გაძევებული შორიდან უთვლიდა ორბელიანს საბოდიშო და მონანიების სიტყვებს, აქ კი, კრებაზე გიორგი ბატონიშვილი წამომართულიყო და გამოსვლას ასე რომ დაიწყებდა: სიტყვა ჩემი იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენოო, — და ერეკლე გულში ჩაიღიმებდა: კარგი ხარ, აბა, შენ იციო, — უეცრად თითქოს მოწმენდილი ციდან იჭექაო:

— შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა: თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, — იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს გაიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, — ბრძანებს მაცხოვარი.

უფლისწულის ორატორული ხელოვნება ისეთი შთამბეჭდაობით გადაიშლებოდა, შეკრებილნი აღტაცებულნი დარჩებოდნენ, ჭაბუა მდივანბეგი კი კვლავაც აღიმაღლებდა ხმას და მოწიწებით ჰკადრებ-

და მეფეს: დათანხმდი ერთობის აზრს და აღასრულე თხოვნა იმერეთის დესპანთაო.

ერეკლე მიხვდებოდა, დაყოვნება აღარ ეგებისო. გიორგი ბატონიშვილმაც არ გაუმართლა. გაუმართლა კი არა, ვინც მეფის შეხედულებას იზიარებდა, ისინიც ახალ აზრზე დააყენა და კრება ერთსულოვნებით განმსჭვალა. ერთხმად შესთხოვდნენ, ეაჯებოდნენ, და პასუხად ბრძანება მოისმოდა, მკაცრი და შეუვალი:

— თხოვასა ამას ვერ მივიღებ. მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული.

— დესპანნო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთის კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა.

ესეც შედეგი იმერთა დესპანობისა და განზრახვა გაერთიანებისა.

ოღონდ ერეკლე ამ ბრძანების შემდგომ განზე კი არ გადგებოდა, მე სრულიადაც აღარ მეკითხება, როგორ გადაწყდება იმერეთის ტახტის ბედიო, იმავე 1790 წელს 4 000 მებრძოლს წარავლენდა იმერეთს, უსარდლებდა იოანე მუხრან-ბატონს, ქიზიყის მოურავს ზაქარია ანდრონიკაშვილს, ჯარდან ეშიკაღას-ბაშ ჩოლოყაშვილს, რევაზ ანდრონიკაშვილსა (გიორგი ბატონიშვილის ცოლისძმას) და იულონ ბატონიშვილს, გადააგდებდნენ მეფე დავითს და გვირგვინს უბოძებდნენ სოლომონ მეორეს.

პლატონ იოსელიანის მონათხრობში არსად იხსენიება ალექსანდრე ბატონიშვილი. გიორგი მეცამეტის ცხოვრების ქრონიკას ქმნიდა, იმის გზას მიჰყვებოდა ისტორიკოსისა და ფსიქოლოგის თვალთახედვით და შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ მისი ქება არ ეთქვა. ის გარემოება, რომ აღტაცებით შეჰყურებს კრების შუაგულში მოქცეულ ბატონიშვილს, რა გასაკვირია — მისი ორატორული უნარი ცნობილი გახლდათ, მართლაც მოხიბლავდა თავყრილობის მონაწილეთ მგზნებარე სიტყვით და პლატონს ისღა დარჩენოდა, მომავლის გადასახედიდან გაეზიარებინა უკანასკნელი მეფის თანამედროვეთა აღფრთოვანება.

ვასილ ბარნოვი დაშორდებოდა პლატონ იოსელიანს, მწერალი ისტორიკოსს აუქცევდა გზას და ალექსანდრე ბატონიშვილს დაუდგებოდა მეხოტბედ. თანაც პირადად თავის თვალსაზრისს კი არ გამოხატავდა, მეფე ერეკლეს ათქმევინებდა:

— აი სამეფო კაცი, მე მგავს მებრძოლი.

და თუმც ის სიტყვებიც უნდა მოადევნებინოს: ვაი, რომ ურჩია, თვითნებაო! — ეს იმიტომ, რომ იმთავითვე იგრძნოს მკითხველმა, ალექსანდრე მამის ანდერძს აუცილებლად რომ გადაუხვევს და არ იგუებს რუსეთს მფარველად, სინამდვილეში კი ბატონად, რაც ბატონიშვილისათვის შესამჩნევი გახლდათ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ბაგრატიონთა ტახტს გაგვიუქმებდნენ და სახელმწიფოს ნაცვლად გუბერნიებად გადაკეთებულ ტერიტორიას შემოგვაჩეჩებდნენ.

აი სამეფო კაციო და: ტახტი კი გიორგის უნდა რგებოდა.

ნეტა იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ თათბირს თუ ესწრებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი?

პლატონ იოსელიანი თუ არ იხსენიებდა მონაწილეთა შორის, ვასილ ბარნოვი არ დაგიდევდა მის ცნობებს და სულაც კრების შუაგულში მოაქცევდა თავის გმირს, თანაც გიორგი ბატონიშვილს დაუპირისპირებდა.

გიორგი რომ იტყვის: რომელი სამფლობელო გაიყოს, იგი დაემხოს, გაიყო ებრაელთ სამეფო, დაკნინდა და დაიღუპაო, — და განაგრძობს მაგალითებს საღვთო თუ საეკლესიო ისტორიიდან, ისკანდარი ველარ მოითმენს და წამოსძახებს:

— გავიგეთ შენი ჰაზრი! სამღვთო მაგალითების გახსენება უტევე სამღვდელოთა!

გიორგი არ გამოეკამათებოდა.

სამაგიეროდ მეფე ერეკლე უნდა აღშფოთებულიყო:

— არ იცი წესი! დაგითხოვ კრებიდან!

ალექსანდრემ ვერაფერი უნდა ჰკადროს მამას, მხოლოდ თავი დახაროს მის წინაშე, სხვანიც ჩაერიონ და პატიება გამოსთხოვონ მისთვის, და მეფემაც შეუნდოს.

აქ დაცულია მამაშვილობისა და უფროსუმცროსობის ადათი. რაოდენ ურჩიც და თვითნებაც უნდა იყოს შინაგანად ალექსანდრე, მამის წინაშე თვინიერი შვილია, თუმც მისი მწვავე შეძახილი იმდენად გიორგის არ ეხებოდა, რამდენადაც ერეკლეს. ძმები ერთსულოვანნი არიან იმერთა შემოთავაზების მიმართ, ორივეს ერთობა სწყურია, ერეკლე კი ჯიუტად გაურბის გაერთიანებას და მიზეზებს ეძებს მის ჩასაშლელად.

ალექსანდრე კრებაზე მამის უარის წინააღმდეგ იბრძვის, თუმც ეს დაპირისპირება შენიღბულია ძმებს შორის დავით.

ამ უცნაურობას ოთარ ჩხეიძეც ჩაუკვირდებოდა და უთანხმოების ღრმა ფესვსაც გააშიშვლებდა.

მერე რა, რომ ამჯერად ძმებს გასაყოფი არაფერი აქვთ და ალექსანდრე მგზნებარე სიტყვას რომ წარმოთქვამს კრებაზე, არსებითად გიორგი ბატონიშვილის მტკიცებას აგრძელებს, თანაც სავსებით მარჯვედ და დამარწმუნებლად მოხმობილი ისტორიული მაგალითები რა გასაბიაბრუებელი გახლდათ, მაგრამ ვასილ ბარნოვისათვის ეს მხოლოდ საბაბია, რათა ხელშესახებად გამოკვეთოს თავისი ეროვნული და მხატვრული იდეალი — მეფობის ღირსად ალექსანდრე ბატონიშვილი რომ ეგულებოდა.

ამ გამოკამათებაში გამჭვირვალედაა მინიშნებული მომავალი მეფისა და მეფობის უფრო ღირსეული კანდიდატის შეუთანხმებლობა სახელმწიფოებრივ აზროვნებაში.

ბარემ ერჩივნა მწერალს, ეს შეხლა მართლაც მომხდარიყო და პლატონ იოსელიანს როგორც უნდა წარმოესახა ის ეპიზოდი, ვასილ ბარნოვი თავისებურად შეატრიალებდა, ის თუ გიორგის გაამართლებდა, ეს ალექსანდრეს აღამაღლებდა იმ ჭიდილისას, მაგრამ როგორ მოხდებოდა შეკამათება, თუკი ორივე ქართლ-კახეთთან იმერეთის გაერთიანებას ემხრობოდა?

თუმც ეგებ სხვა რაიმე გახდომოდათ საბაბი.

მაგრამ გიორგი მეცამეტეზე ბიოგრაფიული რომანის ავტორი აკი არაფერს გვაუწყებდა ამ შეკამათებაზე, ის კი არა, გიორგის სიტყვას საყოველთაო აღტაცების შარავანდითაც შემოსავდა!..

ვასილ ბარნოვის მხატვრულ წარმოსახვას შეეთხზა თავყრილობის მონაწილე ალექსანდრე ბატონიშვილის სახება?

მწერალს ამის სრული უფლება აქვს, მოგეხსენებათ, მაგრამ ოთარ ჩხეიძე უფრო ღრმადაც დაუკვირდებოდა „ისკანდარის" ცალკეულ დეტალებს და იგუმანებდა: გარდა პლატონ იოსელიანის ისტორიული ქრონიკისა, შესაძლოა სხვა წყაროებიც მოეპოვებოდა ვასილ ბარნოვსაო.

განა რას მიეცა ასეთი ვარაუდის საფუძველი?

თუნდაც ამ პატარა მაგალითს.

იმერეთიდან მოსულ ფიცისკაცებს რომ ჩამოთვლიდა, პლატონ იოსელიანი აკი მხოლოდ გვარით მოიხსენიებდა: ლორთქიფანიძეო, იოსელიანიო, ავალიანიო. ვასილ ბარნოვმა კი მათი სახელებიც იცოდა: იოსებ ლორთქიფანიძე, გიორგი ავალიანი.

ეს დეტალი ფრიად ანგარიშგასაწევი გახლდათ.

სხვა წყაროც რომ არა ჰქონდა, სახელებს რატომ გამოიგონებდა? პერსონაჟებად რომ სდომებოდა, მაშინ გასაგებია, სახელების შერქმევა აუცილებლად დასჭირდებოდათ, მაგრამ ამ ერთი ხსენების მე-

ტად რომ აღარ დასჭირებია, მაშ ყოფილიყვნენ ისევე, პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული რომანი როგორც გვამცნობდა.

ამ დეტალის ფონზე საფიქრებელი მოჩანს სხვა საისტორიო წყაროს არსებობაც — ან ჩვენთვის თვალთაგან მიფარებულის, ან სულაც დაკარგულის. და ეგებ ის წყარო მოიხსენიებდა ძმების შებმასაც იმ ისტორიულ თათბირზე, საბედისწეროდ რომ გადაგვექცეოდა.

ეს მაინც ისე, ყოფითი რეალობის სრული სურათის აღდგენაც რომ გვწადია და მისი შეთანადება მხატვრულ სინამდვილესთან, თორემ ოთარ ჩხეიძე ადვილად ჩამოეხსნებოდა ამ ვარაუდებს, თავისთავად საგულისხმოს, და მთავრად და უმთავრესად აღიარებდა, რომ სწორედ ისკანდარი დასახულიყო ქართლის ცხოვრების მხატვრული ვერსიის ეპილოგის გმირად: წინაართა ძლიერი ვნებით რომ აღვსილიყო და დაპირისპირებოდა ვნებამიმქრალთა. ზღაპრულ გმირთა ძალით აღვსილიყო, მზის რჩეულად წარმომდგარიყო, მითიურ სახედ გააზრებულიყო და მითებიდან გადმოსულიყო ქვეყნის სახსნელად.

მისიის აღსრულების გზაზე კი სიტყვა უნდა მოეთხოვა კრებაზე და მეფე თავიდან არც დათანხმებოდა მის გამოსვლას. ვისიც ეიმედებოდა, იმან გაუცრუა მოლოდინი და ეს რაღას იზამდა, ურჩი და თვითნება, აქაც რომ ვერ დაწყნარებულიყო და კინაღამ დარბაზიდან გასაძევებელიც შეიქნა. მაგრამ ყველა ერთობლივ რომ სთხოვდა, ხელმწიფე დაყაბულებას ამჯობინებდა.

ალექსანდრეს გამოსვლა აღვსილია კავკასიური ერთიანობის რწმენით, ბაგრატიონთა დინასტიის პოლიტიკას რომ მსჭვალავდა იმთავითვე, საისტორიო ქრონიკებიც ამ იდეით სუნთქავდა და, ჩვენი სამეფოს დამხობის შემდგომ, უმთავრესად მწერლობაში გადმოინაცვლებდა, ის შემოინახავდა და საიმედოდაც შემოინახავდა ნაცარში გახვეული ნაღვერდალივით, რათა აჯანყების ბაირაღის აფრიალებისა თუ სახელმწიფოს აღდგენისთანავე ეს იდეალი საზოგადოებრივ ყოფაშიც განივთებულიყო.

ალექსანდრე ბატონიშვილი მთელი ცხოვრება ამკვიდრებდა ამ იდეალს. და ისეთი მძაფრი გახლდათ, ისეთი სასიცოცხლო მის თვალთახედვაში კავკასიური მთლიანობის განცდა და აუცილებლობა, რომ ვასილ ბარნოვს ოდნავადაც არ დასჭირდებოდა რაიმეს შეთხზვა და თავისი მხატვრულ-იდეური მრწამსის მიწერა გმირისათვის.

„ისკანდარის" შემოქმედიც თუ ასე და მხოლოდ ასე ფიქრობდა და საქართველოს ხსნა კავკასიის თავისუფლებასა და სიმტკიცე-სიძლიერეში ეგულებოდა, ეს იდეალი ისედაც ალექსანდრე ბატონიშვილი-

საგან გადმოსცემოდა და ახლა ამ რწმენას უკანვე დაუბრუნებდა თავის პერსონაჟს, ვისი პროტოტიპიც იმ კრებაზე ან გამოსულიყო სიტყვით და ან არა, მაგრამ იმ დღესაც და იმ წუთებშიც გულში უთუოდ იმ ფრაზებს იმეორებდა, რაც მოთხრობაში ასე გარდაითქმოდა:

საქართველო და კავკასიონი ერთი მთლიანი შეუვალი ციხეა. მისი ნიადაგი სავსეა ყოველგვარი სიმდიდრით. ვინც ამ ქვეყანას დაიჭერს, ის მიაყრდნობს ზურგს კავკასიონს და მცირე ხანში შეიქმნება ბატონად მთელი დასავლეთი აზიისა...

კავკასიონი, ცხადია, მარტოდენ ქედს არა გულისხმობს.

ნათელია — იმ შეურიგებელ დაპირისპირებაში ევროპასა და აზიას შორის, რასაც უსათუოდ ხედავდა ალექსანდრე ბატონიშვილი და კიდევ უფრო ხელშესახებად დასტურდებოდა ვასილ ბარნოვის მოღვაწეობის ხანაში, საქართველოს ბედის განსაზღვრა ბევრ რაიმეს განაპირობებდა საერთაშორისო პოლიტიკაში და მითუფრო გვმართებდა გონიერებაც და თავგანწირული ბრძოლაც, რადგანაც დაკარგული შემდგომ ძალზე ძნელი ამოსაგები შეიქნებოდა.

ევროპელი ხალხი უგანათლებულესია, უმდიდრესი და სწავლითა და კეთილდღეობით სავსეო, — დაბეჯითებით ვერ გვითქვამს, კრებაზეც შეაგონებდა თუ არა ალექსანდრე თანამემამულეთ, მაგრამ მწერალი კი დარწმუნებით გადაგვიშლის ისტორიულ რეალობას, — თვითონ ევროპა კი მწირია და არც შეეძლო და არც შეუძლია გამოკვებოს თავისი ხალხი, ამიტომაცაა იძულებული საზრდო სხვაგან ეძებოს, სხვაგნიდან მოზიდოს. და კიდეც ამოიღო მიზანში ინდოეთი, დასავლეთი აზია და ჩრდილოეთ აფრიკა, უხსოვარი დროიდან განუწყვეტელი ომები რომ სდევდა თან ამ მიზნის აღსრულებას: რომაელებისა — კართაგენსა თუ ეგვიპტეში, ბერძენთა — სპარსეთში, ბიზანტიისა — ირანშივე, ინგლისისა — ინდოეთში. ეს ყოველივე გამოიწვია საზრდოს მოპოვებამ. ამჟამადაც დიდი არეულობანია ევროპაში, უდიდესი ომები. ჯერ ერთმანეთს ებრძვიან, რათა ჩამოიცილონ გზიდან სუსტნი და თვითონ დაადნენ საშოვრისაკენ უკვე გაკვალულ გზასო.

და მწვავე შეჯამება ამ მსჯელობისა:

— ბრძოლა არ დასრულდება, მანამ არ აიგვება პირიდან ქვეყანისა ან აზია ან ევროპა.

რადიარდ კიპლინგის მხატვრულ გააზრებას კიდევ რა უშავდა — ევროპისა და აზიის დაუსრულებელ და გაუნელებელ ჭიდილში რომ ხედავდა მათ მომავალს, ცალ-ცალკე ყოფნასა და შეურიგებლობაში. აღმოსავლეთი და დასავლეთი არსებობას მაინც განაგრძობდა მის

თვალთახედვაში, მაშინ, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის შეხედულება აპოკალიფსურ სურათს ჭვრეტდა — ან ევროპა უნდა გამქრალიყო და ან აზია.

სანუგეშო არაფერი, სულ არაფერი ჭიატებდა მის ხილვაში?

რატომაც არა:

კავკასიას უნდა შეესრულებინა გადამწყვეტი როლი ამ დაპირისპირების მოსაგვარებლად, თუ მთლად აღმოსაფხვრელადაც არა, დასაშოშმინებლად მაინც.

ოღონდ... ჯერ თვითონ კავკასიას უნდა მიეხედა საკუთარი თავისათვის.

საქართველოს კი ამ შიდამოწესრიგებაში წარმმართველის ბაირაღი უნდა ეპყრა ხელთ.

საქართველოს — გაერთიანებულსა და მომძლავრებულს, და არა კვლავაც დაცალკევებულს სამეფო-სამთავროებად.

აჰა, განგებას თვითონ მიჰყავდა აქეთკენ იმერეთის ტახტის გათავისუფლებით, და ალექსანდრე საერთაშორისო რეალობას ასეთი მღელვარებით რომ წარმოსახავდა, მისი გამოსვლა უკვე აქ იგულისხმებდა ახალი ძალის გამოჩენის საშიშროებას ამ არეალისათვის, თანაც ჩვენგანვე ნებადართულის.

ამიტომაც აფრთხილებს ჭაბუა ორბელიანი კრებაზე და დადუმებას ურჩევს.

მაგრამ ალექსანდრე:

— აგერ რკინის კარი გაუღია ბატონს მეფეს...

აქ გიორგი ბატონიშვილმა უნდა სცადოს ჩარევა, მაგრამ ალექსანდრემ ყურიც არ ათხოვოს:

— მთელი საქართველო შემოგეხვია გარს, გევედრება, როგორც ღმერთს, უსმინო, შეიერთო, დარაზმო და განა შენ, განთქმული მეფე ერეკლე, უარს ეტყვი მას?!

კრება ერთხმად უნდა მოიმართოს ამ ტალღაზე და ალექსანდრეში მომავალი წინამძღოლი იცნოს:

— ვაშა ჩვენს ისკანდარს!

— გაუმარჯოს ერეკლეს ნამდვილ მემკვიდრეს!

მეფემ იქ ვერაფერი უნდა მიუგოს და მეორე ოთახში გარიდება არჩიოს, მდივანმა კი გამოაცხადოს, დაიღალა და ორი საათის შემდეგ კვლავ გაიხსნება კრებაო.

თავყრილობას, სადაც მეფემ უნდა გამოაცხადოს: მე უკვე მოვიწვიე რუსი საქართველოს მფარველად. ჩემი სიგელი ხელში აქვთ. ნანი-

ლი ჯარისა კიდეც გადმოვიდა საზღვარს და სიტყვის შეცვლა შეუძლებელია, ისიც მეტი მომივიდა, კრება გავმართე და უსაბამო თქმები მოვისმინეო, — ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე აღარ უნდა ესწრებოდეს.

მწერალი თავს აარიდებდა მამა-შვილს შორის უშუალო შეხლა-შემოხლას, და თუმც ერეკლეს ამასაც ათქმევინებს დედოფალთან: როცა შევხვდები მაგ კაცს პირისპირ, ყოველთვის უსიამოვნოდ უნდა გავხდეო, — მკითხველის შეგნებაში უპირველესად მაინც ის ფრაზა რჩება: აი სამეფო კაციო.

მითუმეტეს, დიდებულნიც ამასვე ადასტურებენ: ერეკლეს ნამდვილი მემკვიდრეო.

სავსებით იკმარებდა შეურიგებელ იდეურ დაპირისპირებას მამა-შვილს შორის ვასილ ბარნოვი.

და ამ იდეურ დაშორიშორებასაც არა მსოფლმხედველობრივი სხვაობით, არამედ მეფის ხნოვანებით უფრო ახსნიდა. ის გზა, რასაც ახალგაზრდა ერეკლე აირჩევდა, ალექსანდრეს მოვალეობად გადმოსულა. ამიტომაც სად უყუროს, მოხუც მეფეს რა როგორ უმჯობინებია, მთავარია, რომ ჭაბუკ ერეკლეს დაემგვანოს და ის შეუპოვრობა და თავგანწირვა გამოიჩინოს, ქვეყანას ასერიგად რომ დასჭირებია, და თუ ასაკი მეფეს ტვირთად დასწოლია, მისი ნამდვილი მემკვიდრისკენაა მიმართული პატრიოტების მზერა.

ჩვენი ისკანდარიო.

„ჩვენი" ამ კონტექსტში ყველაზე ტევადი და მრავლისმეტყველია, ყველა ეპითეტს აღმატებული.

რკინის კარი გაღებულა?

ეგებ ჩამკეტავად გამოუჩნდეს მზის რჩეული.

და თუ ასაკი მეფეს ტვირთად დასწოლიაო...

ველარ აეზიდა ასაზიდი, ველარ შემოენერა ხმლით შემოსაწერი, და ამ სულიერ უღონობას მწერალი იმით გამოჰკვეთდა, რომ დიდი მღელვარების, იმ უმნიშვნელოვანესი თათბირის წინ სახელოვან მეფესა და სარდალს შვილიშვილებში ჩასვამდა და ინილო-ბინილოს ათამაშებდა: შროშანო, გვრიტინოო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოსო, შენი ფესვიო... სხვა აღარც აღარაფერი ადარდებდა, რაკიღა უკვე შეგუებოდა რუსთა მფლობელობას და მარკოზაშვილების დარბაზის დაარსება-მოძლიერებასაც მთლად გულგრილად თუ არ ადევნებდა თვალს, მისი ამოძირკვაც ვერ გაებედა. მის თვალწინ მოქმედებდა რუსული ჯაშუშური ქსელი, სულ უფრო მჭიდროდ ერტყმოდა გარს

სასახლეს, მომხრეებსაც მომხრეებზე იმატებდა ოქროს ელვარებითაც და ჩინ-მედლებისა და თანამდებობების გულუხვი დაპირებითაც.

განა ნიშანდობლივი არ არის, სოლომონისათვის ტახტზე გზის გასახსნელად რევაზ ანდრონიკაშვილიც რომ ენერგიულად ჩართულიყო იმერეთს გაგზავნილ სამხედრო ოპერაციაში?.. ეს ხომ ის რევაზ ანდრონიკაშვილი გახლდათ, საბედისწერო როლს რომ შეასრულებდა კრწანისის ბრძოლაში — მისი მოღალატური ჩარევა და თუნდ ვახტანგ ორბელიანის ჯარის შეკავება რომ არა, აქეთ არაფრისდიდებით რომ არ გამოუშვა ცრუ შეტყობინებით, ერეკლემ ბრძოლის ველიც მიატოვა და დედაქალაქიც და ყველას ურჩევს იქაურობიდან გარიდებასო, სულ სხვაგვარად დაბოლოვდებოდა ის საბედისწერო შერკინება ყიზილბაშებთან, რუსეთი მალულად კიდეც რომ აფინანსებდა, თორემ წაქეზებით ხომ აქეზებდა საქართველოზე ულმობელი გამოლაშქრებისათვის.

იცოდნენ: აღა-მაჰმად-ხანი ფეხს ვერ მოიკიდებდა ქართულ მიწა-წყალზე. რასაც მოსპობდა და ააოხრებდა, ეგ იყო და ეგ. და აქაურობას რომ გაეცლებოდა, წელში გატეხილ ქვეყანას დატოვებდა, რუსეთი უკვე იოლად რომ დაეუფლებოდა.

აკი ასეც მოხდა.

ირანელთაგან საქართველოს სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციამ რუსეთის ხელისუფლებას ჩაგვაბარა და კიდეც მოგვექცნენ ისე, დაპყრობილ ქვეყანას რომ შეჰფერის — სახელმწიფოც აღარ შეგვანარჩუნებინეს, რათა სწრაფად მოთავებულიყო კოლონიალიზაციის პროცესი.

ერთი მხრივ, ერეკლე მეორის პოლიტიკური განუჭვრეტლობა.

მეორე მხრივ, აღა-მაჰმად-ხანის არანაკლები პოლიტიკური სიბეცე.

აბა, სხვა რა ჰქვია — თავგადაკლული ცდილობდა გამოვეტაცეთ რუსეთის იმპერიის კლანჭებისაგან, სინამდვილეში კი სულ ცოტა დააჩქარა, და ეგებ გადაწყვიტა კიდეც, ჩვენი მოქცევა იმპერიის საზღვრებში.

კრწანისში აღა-მაჰმად-ხანის სამხედრო გამარჯვებამ განსაზღვრა არა ირანის, არამედ რუსეთის პოლიტიკური ნარმატება საქართველოშიც და მთელ კავკასიაშიც.

ვინც ამ ქვეყანას დაიჭერს, ის მიაყრდნობს ზურგს კავკასიონს და მცირე ხანში შეიქმნება ბატონად მთელი დასავლეთი აზიისაო...

ეს საერთაშორისო რეალობა ჩინებულად მოეხსენება და კიდეც საჯაროდ აცხადებს ვასილ ბარნოვის პერსონაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი.

ჩინებულად მოეხსენებოდა და იქნებ იმ კრებაზე საჯაროდაც გა-
ნეცხადებინა მის ისტორიულ პროტოტიპსაც, ამაოდ რომ შეხლოდა
იმ მეფის ნებას, ასეთ გადამწყვეტ ჟამს შვილიშვილებთან თამაშში
რომ ჩაფლულიყო და ინილო-ბინილოში ნთქავდა მღელვარე განც-
დებსა და ტკივილებს, ხმლის დაუმცხრალი ქნევა ასე სავალალოდ
რომ მთავრდებოდა საქართველოს სახელმწიფოსათვის.

ილუზიებით ინუგეშებდა თავს?

ილუზიათათვის გასაქანის მისაცემად კი სწორედ ბავშვებთან თა-
მაში გამოდგებოდა: ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოსო...

საუკეთესო დრო შეერჩია გართობისათვის.

ხალისით კი ახალისებდა შვილიშვილებს, მაგრამ რას უტოვებდა
სახელმწიფოს ნაცვლად?

ყოფილ საქართველოდ სახელშერქმეულ მიწა-წყალსა და რუსეთ-
ში გადასახლებას, რათა აქ ყოფნით სამეფოს აღდგენის იმედი არ გა-
ეღვივებინათ ხალხისათვის.

ინილო, ბინილო, შროშანო, გვრიტინოო...

ვიდრე კიდევ დრო რჩებოდა, გართობა რაღად მოეკლო.

დაე გარეთ ემღელვარათ ტფილისელებს, დაე ძალიან შეფიქრია-
ნებულიყო იმერთა დელეგაცია, საქმე ვაითუ უკუღმართად შეტრი-
ალდესო... რკინის კარი იხსნებოდა, ყოველ შემთხვევაში, მეფის შეგ-
ნება აქეთ გადახრილიყო და როგორც უნდა მიმომწყდარიყო აქეთ-
იქით ალექსანდრე ბატონიშვილი, ბავშვებთან თამაშს უნდა გადაჰყო-
ლოდა ქართლ-კახეთიც, იმერეთიც, ყველა კუთხეც და ერთობლივი
კავკასიაც.

მე უკვე მოვიწვიე რუსი საქართველოს მფარველადო...

უკეთესი მფარველი აღარც უნდა ინატრო ადამიანმა!..

იქ კი, კრებაზე მეფეს სიტყვა უნდა შეაშველოს გიორგი ბატონიშ-
ვილმა:

— თუნდ მართალი იყოს ჩვენი თქმები, მეფის სიტყვის გატეხა მა-
ინც არასგზით არ შეიძლება.

რა გამოდის? — ვასილ ბარნოვის პერსონაჟი გიორგი ეთანხმება
მამის სურვილს. არადა, პლატონ იოსელიანი, ვინც უშუალო ცნობებს
ეყრდნობოდა, გიორგის აკი ერეკლეს მოწინააღმდეგედ წარმოგვიდ-
გენს. თანაც, ნუ გამოგვრჩება, რომ ამ მსოფლმხედველობის ისტორი-
კოსს გაცილებით ერჩივნა გიორგი იმ თათბირზე იმერეთის შემოერ-
თების იდეას დაპირისპირებოდა და ამით ირიბი თანხმობა მიეცა რუ-
სეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისათვის ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ გიორგიმ იმ წუთას საქართველოს ერთიანობა ამჯობინა სხვა პოლიტიკურ განზრახვას და პლატონ იოსელიანს უფლება არ ჰქონდა სრულიად ამოეყირავებინა სინამდვილე. შეფასება მისი ნება გახლდათ, მაგრამ ისტორიული სურათის წარმოსახვა მის ნებას კი არა, სიმართლეს ემორჩილებოდა და გიორგი ბატონიშვილიც ამიტომ წარმოგვიდგება ისეთად იმ თათბირისას, როგორც რეალურადაც იყო.

ვასილ ბარნოვი კი რატომღა ასხვაფერებდა ისტორიულ სურათს?

არა კმაროდა, რაც დაეშავებინა საქართველოს უკანასკნელ მეფეს, იმერეთის შემოერთების ჩაშლის ცოდვაც მას რომ არ აჰკიდებოდა?

ნუთუ ალექსანდრე ბატონიშვილის სახის ასამაღლებლად დასჭირდა რეალური სურათის მკვეთრი შეცვლა?

ცხადია, სხვაა, როდესაც ალექსანდრე უნდა მოექცეს კრების შუაგულში, როგორც მეფის სურვილის ერთადერთი მოპირისპირე, და სულ სხვაა, როდესაც ვინმე უნდა ამოუდგეს გვერდით.

მაგრამ ისტორიული სიმართლე?

და პლატონ იოსელიანს — ამ მოთხრობის გამოქვეყნებას რომ მოსწრებოდა — უფლება ექნებოდა დაემუნათებინა თანამოკალმე თვითნებობისა და გმირის გაიდეალების გულისათვის სიმართლიდან გადახვევის გამო.

უფლება ექნებოდა ვითომ?

მაშ მხატვრული სიმართლე?! ის სიმართლე, რომლისთვისაც ვასილ ბარნოვს ოდნავადაც არ უღალატია?! ამ სიმართლის ფონზე კი ნაკლებმნიშვნელოვნად გამოიყურება, გიორგი ბატონიშვილი თათბირზე საით გადახრილიყო.

ის მხოლოდ ყოფითი დეტალია, ერეკლესათვის უამურ სიტყვას რომ წარმოთქვამს.

საბოლოოდ აკი მის ხელში მოხდა ჩრდილოეთის კარის გახსნა.

ოფიციალურად მან დაადასტურა მამის გადაწყვეტილების კანონიერება.

და ამ გადაწყვეტილების დაცვის გამო შეეტაკნენ ერთმანეთს ძმები ნიახურას ველზე, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილისათვის პირველი მარცხი აღმოჩნდებოდა დრამატიზმით აღსავსე გზაზე.

ვასილ ბარნოვი ამ ბრძოლის იდეურ საფუძვლად იმ ისტორიულ თათბირს გაიაზრებს და ამიტომაც შეატაკებს ძმებს იქ ერთმანეთს — მხატვრული ლოგიკით სავსებით დამარწმუნებლად აგებულ სივრცეში.

და ტყუილუბრალოდ თუ გაუნაწყენდებოდა პლატონ იოსელიანი, რა უფლებით გადაასხვაფერე კრების სურათიო.

იწილო, ბიწილო, შროშანო, გვრიტინოო...

ქვეყანა გაბავშვებული მეფის ანაბარა დარჩენილიყო, და ალექსანდრე ბატონიშვილი კი — მწერლის კარნახით, დარიალის ხეობისაკენ რომ მიეშურება, რათა საკუთარი თვალით იხილოს რუსთა პირველი რაზმების შემოსვლა, ისტორიულად არც ეს სურათი უნდა იყოს ზუსტად აღდგენილი, რადგანაც თათბირი იმერეთის შემოერთება-არ შემოერთების ირგვლივ საკმაოდ უსწრებს რუსთა სამხედრო ექსპანსიის დასაწყისს, მაგრამ მხატვრული ლოგიკით უტყუარია და ეპოქის სულის ხელშესახებად წარმომჩენი — ეს ორი გარეგნულად თითქოსდა სრულიად დაცილებული ამბავი სინამდვილეში ხომ ერთმანეთს გადაბმია. და მაშ მოთხრობაში გამოკვეთილიყო მათი შინაგანი კავშირი.

საგულისხმოა ერთი დეტალი, თითქოს სასხვათაშორისოდ აღნიშნული.

ალექსანდრე ბატონიშვილი მცხეთა-დუშეთის გზას რომ დაადგება, მისი ამხედრება მაინცდამაინც ამ ფრაზით გაცნაურდება:

გაფრინდა ჰუნე, უჩინარ იქმნა.

რა მოხდა ამისთანა? ჰიპერბოლიზების ხერხი ვითომ რა ისეთი უჩვეულოა, მის გამო შევყოვნებულიყავით? მარტო ჰიპერბოლიზება რომ იყოს, ჩაკვირვებად ეგებ არც ღირებულიყო, რადგანაც ცხენის გაფრენაც და გაუჩინარებაც რიგით, ორდინარულ შედარებებს არა სცილდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფრაზა უთუოდ იმ ლეგენდის კვალია, ალექსანდრე რა შარავანდითაც შემოსილიყო ჩრდილოკავკასიელთა თვალში და ვასილ ბარნოვის ამ მოთხრობის სულისკვეთებასაც ასაზრდოებდა.

ამ ლეგენდისვე გამოძახილია, მზისაგან მიწაზე გამოგზავნილი გმირი ფრთებს რომ შეიკუმშავს, ტანზე გაიკრავს და გააუჩინარებს.

ეს რეალიები ამჟამად ისე მიკარგულა მოთხრობაში, ძალიან თუ არ მოინდომე მათი მოძებნა, ვერც მიხვდებოდი, „ისკანდარსაც“ თუ ლეკური თქმულება შთააგონებდა. თხრობის სულისკვეთებაც ისერიგად ვერ აღვსილა მერანის ქროლვით — გმირის მითოსი ცალკე რჩება და შესაფერის გაგრძელებას ვეღარ ჰპოვებს. მფრინავი ცხენის ლეგენდა მხოლოდ შორეულ შთაგონებად ივარაუდება და გულისტკივილი გრჩება, რომ დიდებული განზრახვა მოუთავებელი და ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

თავისთავად განზრახვა რომ თვალნათლივია, ესეც ცოტას არა ნიშნავს, რაკიღა დაბეჯითებით გვაგრძნობინებს ვასილ ბარნოვის შეხედულებას ალექსანდრე ბატონიშვილზე და ქართლის ცხოვრების

მხატვრული მატიანის ეპილოგის მისეული გააზრებაც ხელისგულზე გვიძევს... რა ვუყოთ, ეს უნდა ვიკმაროთ, რადგანაც დადუნებულმა მარჯვენამ ვეღარ ასწია გმირის სახება და ისე უადგილოდ გაწყდა სიუჟეტური ქარგაც, მანამდეც ნაჩქარევად გადარბენილი, მოთხრობის გეგმას უფრო ჰგავს ბოლო მონაკვეთი, ვიდრე თვითონ მოთხრობას. კრების მღელვარება ვეღარ გადაჰყვა შემდგომ ამბებს, ნიახურას ბრძოლაც ძალიან მკრთალი გამოვიდა და... თხრობა კიდევ უფრო უნდა დაშვებულიყო ქვემოთ.

როგორც ფარნავაზის ეპიკური თქმულებანი ჩაკარგა დროის ბრუნვა-ტრიალმა და ისე შეერწყა მისი მითოსი ლეონტი მროველის ისტორიული ქრონიკის ტექსტს, გამორჩევა ძალიან გაძნელდა და მეორე თქმულების გამოცალკევება დიდი პირობითობით თუ შეიძლება, „ისკანდარის“ გადაკითხვაც დაახლოებით ამ განცდას გვიტოვებს — ალექსანდრე ბატონიშვილის ეპიკური თქმულებანი რომელიღაც საისტორიო ქრონიკას შერწყმია და, თუ გამოცალკევება გვიძნელდება, ზოგადი შთაბეჭდილება მაინც ხომ გვექმნება ლეგენდის შინაარსზეო.

გმირის ხელახლა მოვლინების მოტივსაც თუ შეინარჩუნებდა ვასილ ბარნოვი?

ძალზე მკრთალად, ძალზე შორეულად, მაგრამ გრძნობ კი — მართალია ვეღარ იღიმის ირანში გადახვეწილი ისკანდარი თავისი მზიური ღიმილით, შრება, ხმება, სხეულს ჰკარგავს, იფიტება და აჩრდილს ემგვანება (მზე თუ ჰკრეფდა თავის ნაწილებსო, — მითოსთან კავშირის გაწყვეტას ვერ ეგუებოდა მწერალი), მაგრამ ოჯახის გამოგზავნა საქართველოში ამ დავალებით თუ ანდერძით: აღიზარდნონ შვილნი ერის მსახურებად — სხვას რას გულისხმობს, თუ არა იმედის დაუშრეტელობას, და რომ ისევ ალექსანდრეს ჩამომავლობამ უნდა იხსნას ქვეყანა წყვდიადისაგან, მისმა სულმა კვლავ უნდა ამოჰყოს თავი.

ნამსხვრევად ჩარჩენილა გმირის მოლოდინის განცდა.

ის, რაც უსათუოდ გაღრმავდებოდა, ახლა საორჭოფოდ გაგვხდომია... თუმც ალღოთი ვგრძნობთ ალექსანდრე ბატონიშვილის ხელახლა მოვლინების იმედსაც და ამ მოლოდინის სიმძაფრესაც.

მიხეილ ჯავახიშვილი არსენა მარაბდელს თუ შესძენდა ამ მითოსურ ნიშანს, სავსებით რეალისტურ პერსონაჟს, მითუფრო არ გაუშვებდა ხელიდან ვასილ ბარნოვი მითოსური შარავანდით შემოსილი გმირისათვის ამ ნიშნით შემკობის საშუალებას.

მოლოდინი — ნამსხვრევად.

თვითონ მოთხრობა — ნატეხად.

ოთარ ჩხეიძე „ისკანდარის“ დაუმთავრებლობას რომ აღნიშნავდა, დასძენდა: ეტყობა, ფართოდ მოფიქრებულიყო, სხვანაირადაც არ იქნებოდა, ფართო უნდა ყოფილიყო ეპილოგი ვრცელი ეპოპეისაო.

კიდევ სხვა მოთხრობასაც — „საარაკო განძი“ — იგუმანებდა ეპილოგის ნატეხად.

კიდევ სხვათაც — აწ უკვე სამუდამოდ დაკარგულებს.

ვერა, ვერ აზიდულიყო შესაფერისად ჩანაფიქრი, ვერ გამოკვეთილიყო მზის რაინდი, საარაკო გმირის სახება ფრაგმენტულ მონახაზს ვერ გასცილებოდა.

სიბერე წამოსწეოდა და იმას დაედუნებინა მარჯვენა?

ეს მცირე დაბრკოლება არ გახლდათ, თუმც ოთარ ჩხეიძე მარტოდენ სიბერესაც არ გადააბრალებდა, ხელების ცახცახს რომ შერწყმოდა დიდი ეპოპეის ეს მოუთავებელი ეპილოგი.

ვაჟკაცურ ჰასაკშიც რომ ყოფილიყო, ვითომ რას იღონებდა, ვითომ რას დააკისრებდა ამ ნახევრად მითიურ სახესა, ამ ამირანულ გმირსა, სხვას რას ჩაადენინებდა, ხმლის ამაო ქნევის გარდა. სხვა რა ჩაედინა, სხვას რას დააკისრებდა?!

ეს შინაგანი წინააღმდეგობა არ მისცემდა გასაქანს, წინააღმდეგობა ოცნებასა და მხატვრულ მრწამსს შორის, რომანტიკულ მისწრაფებათა მიუხედავად მკაცრი რეალისტი რომ გახლდათ და მზის რაინდიც, სურდა თუ არ სურდა, რეალიზმისათვის უნდა დაემორჩილებინა. გული იქით ეწეოდა, გონება აქეთ ექაჩებოდა და ამხელა ეპოპეის ეპილოგი ამიტომაც მიფუჩეჩებულა.

და მზერას მიაპყრობდა ვასილ ბარნოვი ნიკოლოზ ბარათაშვილის აჩრდილს, ამ ტრაგიკულ ფორმულას მაინც რა მარჯვედ მიაგენი: ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის, ეს განწირულის სულისკვეთებაო.

თავი მესამე

ალთქმა
ალექსანდრე ბატონიშვილისა

„ისნის ცისკარს“ რომ ჩაუჯდებოდა ვასილ ბარნოვი, ისტორიული მდინარებიდან გამოარჩევდა იმ ტრაგიკულ ეპიზოდს, იმ კრწანისის ბრძოლას, ორი საუკუნით რომ განსაზღვრა საქართველოს ბედისწერა.

ეს ისტორიული ეპიზოდი ქრონოლოგიურად მოქცეულია იმერთა დესპანების სტუმრობასა და ნიახურას ბრძოლას შორის.

ანუ:

„ისკანდარის“ სიუჟეტურ ქარგაში გაკვრით მაინც უნდა აღნიშნულიყო.

მართალია ალექსანდრე ბატონიშვილს ამ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ მამის ბრძანებით სამეფო ოჯახი გაარიდა ტფილისს და ანანურის გზას გაუყენა, მეფე ერეკლესაც სადაც მოუწევდა თავშეფარება კრწანისის მარცხის შემდგომ. იქაურობა ისე უნდა გამაგრებულიყო, ვეღარ შეჰყოლოდნენ ირანელები — ჩვენს დედაქალაქში ტრიუმფით შემოსულ აღა-მაჰმად-ხანს დიდად გაძნელებოდა იმ ხეობაში შეღწევა და შეგუებოდა იმ აზრს, რომ მეფე ერეკლეს მეორე სამხედრო ექსპედიციისას თუ იგდებდა ხელთ, ამჯერად კი უკან გაბრუნება უჯობდა.

ალექსანდრე იმ მწარე დღეების ფონზე ღირსეულად წარმოდგება, მართლაც სამეფო კაცსა და თავდადებულ მებრძოლს რომ შეშვენის, მაგრამ ვასილ ბარნოვი მის ბიოგრაფიულ ქრონიკას ხომ არ ადგენდა, ამ ეპიზოდის გამოტოვება რომ წარმოუდგენლად მიეჩნია, ისევე, როგორც რამდენიმე საგულისხმო ისტორიული ეპიზოდისა. არამცთუ ბიოგრაფიული ქრონიკა, ალექსანდრე ბატონიშვილის სახება მარტოდენ ისტორიულ ფონზე რომ გაეაზრებინა, მოვალე შეიქნებოდა სამეფო ოჯახის გახიზნვა მხატვრულ სურათებად წარმოედგინა — მითუმეტეს, უშუალოდ გადაებმოდა „ისნის ცისკარს“ და მკითხველის წარმოსახვასაც შეავსებდა ისკანდარის ცხოვრების ირგვლივ.

მაგრამ მხატვრული ქართლის ცხოვრების ეპილოგი აკი მითოსურ ჭრილში გააზრებულიყო, მისი მთავარი გმირიც ამ სიმაღლეზე აზიდულიყო და ამიტომაც ზედმეტი აღმოჩნდებოდა ყველა ის ეპიზოდი თუ რეალია, რაც მითოსურ ჩარჩოს ბუნებრივად არ მოერგებოდა.

კრწანისის ბრძოლა ამ გააზრებაში ჩაიკარგებოდა.

და თუ „ისკანდარში" დარეჯან დედოფალთან დიალოგის შემსწრენი ვხდებით, ალექსანდრე ბატონიშვილის ირანს გადახვეწამდე რომ უნდა მოხდეს, ამ საუბარს ის საგულისხმო დანიშნულება აქვს, რომ მკითხველს შეახსენოს მითოსში გადასული ხანა თამარ მეფისა.

რატომ არ შეიძლება, რომ მე დავიდგა საქართველოს მეფობის გვირგვინი? — შვილს რომ გაუმხელს ამ განზრახვას დარეჯან დედოფალი, იმიტომ, რომ ყველაზე მეტად მისი თანადგომისა ეიმედება, დარწმუნებულია, თუკი მხარში ამომიდგება, არც ისე საძნელო იქნება ჩემთვის მიზნის მიღწევაო. არამცთუ ფიქრად უტრიალებს, მარიამ დედოფალთან გამჟღავნებისაც აღარ ერიდება, ოღონდ მას შემდეგ, რაც ალექსანდრეს ვერ დაითანხმებს და უკვე აღარაა მოსალოდნელი ამ ორი დედოფლის შეჯახება:

— ეგ ერთადერთი გვყავს მეომარი. სულ მამასა ჰგავს ამ შემთხვევაში. სპარსეთიც მაგისკენ არის.

ეგ ერთადერთი გვყავს მეომარიო...

და როდესაც ეს ერთადერთი მეომარი შეიტყობს დედის განზრახვას, გამაგრებულს თამარ მეფის ხსენებით, პასუხად ამას შეაგებებს:

— თამარი იყო და აღარ არის. ეს იყო რჩეული მზისამყოლი, რომლის წყნარი სიტყვა გრგვინავდა დევთაც შესაძრწუნებლად, რომლის ღიმილი თვით მზის ღიმი იყო მათბობელ-მატკბობელი.

„მზისამყოლობაც" და „დევთა შეძრწუნებაც", მისი ღიმილის მზის ღიმილთან გაიგივებაც სხვა რა არის, თუ არა თამარის მითოსის გამოძახილი, მითოსისა, რომელსაც ისკანდარის მითოსი უნდა შეენაცვლოს — ერთ მზის რჩეულს მეორე მზის რჩეულიც გამოუჩნდეს თავის ფარდად და სულიერი მემკვიდრეობითობის უწყვეტობად. მითოსურ ხანათა გააზრებისას სულიერის ხსენებაა მთავარი, თორემ მზის ამ ორ რჩეულს შორის სისხლისმიერი კავშირიცაა.

დარეჯანი ვერ შეენაცვლებოდა თამარს.

რეალისტური სახე სულ სხვა პოლუსზეა, განსხვავებით ამაღლებული ხატებისაგან; და ამიტომაცაა, თამარ მეფე სულ სხვა სიმბოლიკით რომ იმოსება ალექსანდრე ბატონიშვილის პასუხისას, ხოლო დარეჯან და მარიამ დედოფლების ასპარეზი მხოლოდ ყოფითია და უფ-

ლისწული მათ მარტოდენ ამას შეიძლება დაპირდეს: თუკი მომხრენი მოგიხერხებენ როგორმე გაგიყვანონ სასახლიდან და ივრის პირამდე მოაღწიოთ, მერე მე გიპატრონებთ თეირანამდეო.

და კიდეც რჩება ორივე დედოფალი მოთხრობის სიუჟეტის მიღმა. არც მათი მღელვარე თავგადასავლისთვისაა ადგილი „ისკანდარის“ ქარგაში, ოღონდ ვიდრე დარეჯან დედოფალი გაცილდებოდეს მკითხველის მზერას, ერთი დამაფიქრებელი თვალსაზრისი უნდა დაგვიტოვოს: გიორგის შემდეგ ალექსანდრე სულაც არ აპირებს გამეფებასო.

მიზეზსაც გვამცნობს, თუ რატომ:

— ერთობ დიდი წარმოდგენისაა მეფობაზე, მეტად მძიმე ჰგონია სამეფო გვირგვინი.

ეს დედოფლის შეხედულება კი არა, პირადად მწერლის თვალსაზრისია, რათა ამაღლებულ, მითოსურ გმირებს გატოლებულ სახებას მისხალიც არ მიეწეროს ანგარებისა. პოლიტიკური ბრძოლების მონაწილედ კი არ წარმოდგეს მკითხველის თვალთახედვაში, თავისი დასით სხვა პრეტენდენტთა მომხრეების გზიდან ჩამოშორებას რომ ლამობს სამეფო გვირგვინით თვალმოჭრილი, არამედ სამშობლოს მხსნელად გველეშაპის წიაღიდან, მერე კი თუნდ ებოძოს მეფის ტახტი და გინდ არა. ის კი არა, ურჩევნია სულაც გაეცალოს ასპარეზს მესიანისტური ღვაწლის აღსრულების შემდგომ, თუკი ქვეყანას ღირსეული პატრონი გამოუჩნდება.

ჯერჯერობით კი, სპარსეთისაკენ მიმავალს, თან მხოლოდ ათიოდე კაცი ახლავს და ორი ბარგის ცხენი და, უქონარს, მათი შენახვაც გაუძნელდებოდა, თავისი საუფლისწულო მამულის შემწეობის იმედი რომ არა. მისი საბატონო მამული ყარაბაღია, სადაც საკუთარი დროშა აქვს გაშლილი და სადაც უყვართ, როგორც მებრძოლი, ვინც აქაურობას მტერს არ აჩაგვრინებს.

ფულსაც აქ იშოვნის და ორმოცდაათკაციან რაზმსაც, რომელსაც შეუმოსავენ, შეუიარაღებენ და შემდგომ უზრუნველყოფასაც აღუთქვამენ, რაკიღა ყაენისაკენ გაჩქარებულა, საქართველოს გამოხსნისას ყველაზე დიდ თანამდგომად ვინც დაუგულებია.

ახლახან არ იყო, ირანელთა ლაშქრობამ წელში რომ გატეხა საქართველო?

მოთხრობაში თუ ეს ლაშქრობა გაელვებითაც არ გაელვებულა, ისტორიული ქრონოლოგიით ხომ აგერ, სულ ცოტა ხნის წინათ იყო, და ახლა კი მოკავშირედ თუ ვინმე გამოადგება ალექსანდრე ბატო-

ნიშვილს თავისი განზრახვის აღსასრულებლად, ის ირანელები, რომელთაც აღა-მაჰმად-ხანის ბეცი, მეტიც — ბეცზე ბეცი პოლიტიკის გამოისობით... რუსეთი კავკასიის გადმოღმა გადმოუშვეს.

— ნუთუ ჩემ სევდას აღარაფერი ეშველება? — გულმოკლული მიეშურება ისკანდარი თეირანისაკენ.

იქ კი სამეფო ტახტი ადილ-შაჰს უგდია ხელთ და, თავისიანებში რომ გამოიკითხავს, ისკანდარი რა კაციაო, ხალათსაც უბოძებს და დიდ თანამდებობასაც — ცხენოსანი ლაშქრის უფროსის თანაშემწედ დანიშნავს.

ამასობაში იმპერატორი ერეკლეს დროს აღზევებულ დიდმოხელეთ კი არ დაითხოვდა სამსახურიდან, თვითონაც დაუმტკიცებდა ამ ადგილებს. არც თავისებს დაივიწყებდა, ასეთი მტკიცე დასაყრდენი ვინც შეუქმნა ამ ქვეყანაში, და შესამჩნევ ადგილებზე გაამწესებდა, არც ფულს მოაკლებდა და დაავალებდათ, მკაცრად ედევნებინათ თვალყური ბატონიშვილებისა და დედოფლებისათვის, უპირველესად მაინც განდგომილ ქართველთათვის უნდა ედევნებინათ თვალი და ყოველივე წვრილად შეეტყობინებინათ პეტერბურგს.

რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში ყველაზე ძვირად ალექსანდრე ბატონიშვილის თავი შეფასებულიყო.

ერთი მხრივ რუსეთის სამეფო კარს:

— მთელ საქართველოში გაება ბადე მოწყობილი.

მეორე მხრივ:

— ისიც ეუწყა მოხელეთა პირით, რომ ჯარში მაიორად გაამწესებდნენ, თუ ეახლებოდა.

ან ერთ ხერხს უნდა გაეჭრა, ან მეორეს.

ან დევნისათვის ვერ გაეძლო ბატონიშვილს, იმ ერთადერთს, რკალში ვინც ვერ მოექციათ, და ახლა მაინც გაბმულიყო საგულდაგულოდ დაკარგულ ბადეში, ანდა კარიერასა თუ ქონების მოხვეჭას დახარბებოდა.

ორივე ნაცადი გზა გახლდათ საიმპერატორო კარისათვის და ბევრჯერ წარმატებითაც გამოყენებული.

მაგრამ როდესაც დიდი მისია დაგკისრებია...

მზის რჩეული არც ერთში უნდა გაბმულიყო და არც მეორეში.

და თუ შაჰს უმალ წარუდგებოდა თეირანს ჩასული, ეს იმიტომ, რომ წუთის დაკარგვაც ენანებოდა, ხოლო ადილ-შაჰს თავისი გასაჭირი დასდგომოდა. წინამორბედის, ნადირ-შაჰის, აღსრულების შემდგომ იმისი ჯარის ერთი ნაწილი დაუშლელი დარჩებოდა, ყაჩაღობას

მიჰყოფდნენ ხელს, თავს უძლეველად მიჩნევდნენ და ქადილსაც მოჰყვებოდნენ: ხელმწიფედ იმას დავსვამთ, ვინც მოგვესურვებაო. ეს ნაშთი დასამარცხებელი გახლდათ, არადა, შაჰი საგონებელში ჩავარდნილიყო და ისკანდარი სულზე მიუსწრებდა. და ხლებისთანავე ამ დავალებას მიიღებდა: აი, საძნელო საქმე და თან უსაჭიროესი, ნაიყვანე მთლად ჩემი ცხენოსანი ჯარი და გაანადგურე ის მტერი. და თუ მოსპობ იმ კაცს, ჯარს ვინც ჩადგომია სათავეში, დამისახელებიხარ მთელი ირანის ცხენოსანი ლაშქრის გამგებლადო.

და გეგმასაც შესთავაზებენ: უნდა მივიდეს ეკბატანას ტყის პირას, სადაც შაჰის ჯარი დაბანაკებულა, და მისვლისას...

მაგრამ ისკანდარი ისეთი შარავანდით შემოსილა, ისეთი მხატვრული ფერებით შეძერწილა, ამგვარ ბრძოლას არ უნდა დაყაბულდეს, სხვათა ნაკარნახევს, და არც ყაბულდება.

— რახან მე მივდივარ საომრად, მე უნდა პასუხი ვაგო ომის გეგმისთვის. თუ არა, მე მებრძოლი არ ვარ.

რას ჰქვია, ჯარი რამდენსაც ინებებს, იმდენი წაიყვანოს.

სულ ას კაცს იმყოფინებს, ოღონდ თვითონვე უნდა აარჩიოს.

მტრის ბანაკს რომ მიუახლოვდება, ტყეს შეეფარება და მაღლა-მაღლა გასწევს და დაე გაყაჩაღებულმა მებრძოლებმა კი კიდევ ერთხელ მოიწონონ თავი და იხალისონ: ჩვენი ახლა ყველას ეშინია, ვიღაც გამოჩნდა პატარა ჯარით, ჩვენი სახელი რომ გაიგო, გზა აგვიქცია, უჩინარ იქმნაო.

თითქოსდა უბრალო მეტაფორა ამჯერადაც ღრმა აზრით განმსჭვალულა. გაუჩინარება კვალდაკვალ უნდა სდევდეს ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც მისი ლეგენდარული სახების აუცილებელი ნიშანი.

ვითომდა ტყეში ჩაიკარგა და აღარ მოჩანს.

არადა, მფრინავი ცხენის მითოსმა წამიერად უნდა გადაიელვოს ჩვენს თვალწინ.

და თავი იჩინოს იმითაც, რომ ისკანდარი თავისი ასიოდე კაცით უბრძოლველად უნდა შეეპაროს მოპირდაპირის ბანაკს, თითქმის დაუზარებლად დაიმორჩილოს მტერი, მათ მეთაურს კი კარავში მიუსწროს და დაატყვევოს. და არამცთუ ბევრის ჩახოცვა არ დასჭირდეს, განიარაღებულნი თავის ჯარს შემოუერთოს.

და ამ გამარჯვებისათვის შაჰის ცხენოსანი ლაშქრის გამგებლობა უნდა ებოძოს.

მაგრამ მოვლენები ისე დატრიალდეს, რომ ავღანთაგან ადილ-შაჰის ფარული მკვლელობის შემდგომ ისკანდერს იქ აღარც დაედგომე-

ბოდეს და აღარც თვითონ სურდეს უაზრო ლოდინი, და ქართველთაგან და ყარაბაღელთაგან ორმოცკაციან რაზმს რომ გამოაცალკევებს, აუწყოს: ახლა აღარავითარი საქმე აღარ გვაქვს სპარსეთთან და სპარსებთან, ბევრი ხანი დასჭირდებათ, ვიდრე თავიანთ საქმეს დააწყობდნენ და არეულობას დააწყნარებდნენ, აბა, მზად ხართო? — და სამშობლოსაკენ გამოეშუროს.

მანამდე მას და მხოლოდ მას უნდა ეხსნა თეირანი ავღანთა შემოსევისაგან, ისე შეეკრა დედაქალაქი, არც არავინ გამოეშვა იქიდან და არც არავინ შეეშვა და მშვიდობიანობა შეენარჩუნებინა.

ქართველებს არაერთხელ გადუწყვეტიათ ირანის ბედი. და ვასილ ბარნოვი ყველა ამ ეპიზოდს განაზოგადებს ისკანდარის სახეში, რომანტიკული გმირის სადარ ღვაწლს მიანერს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ბატონიშვილს ირანში ასეთი საარაკო ამბები არ დაუტრიალებია.

მოგეხსენებათ, სხვა არის ისტორიული ქრონიკა და სხვა — მხატვრული ქმნილება.

ახლა კი გზად მგზავრებს რომ უნდა გადააწყდნენ და შეფიქრიანდნენ, სპარსნი ხომ არ დაგვდევნებიანო; მაგრამ იქიდან ორი ცხენოსანი უნდა გამოეყოს, ერთმა ქართველთა დროშა აღმართოს, თვისტომობის ნიშნად, და მიუახლოვდეს ისკანდარს:

— ბატონიშვილო, ისე დატრიალდა საქართველოში საქმე, რომ უშენობა აღარ გამოგვადგება. მსწრაფლად უნდა მივიდეთ ტფილისში. მთელი ცხენოსანი რაზმის უფროსად შენ ხარ დასახელებული.

კიდევ ვინ უნდა იბრძოლოს მათთან ერთად?

თურმე:

მთელი კავკასიონის ლაშქრები და ხალხნი.

ესენი ამ მიზნით მოეშურებოდნენ და სწორედ ბედად შემოხვდათ გზად ისკანდარი.

ხალხის მოთხოვნაა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ჩაუდგეს ერთიან ლაშქარს სათავეში და ნაღმართადაც ატაროს.

ვასილ ბარნოვისათვის ნიახურას ბრძოლა არის არა ერთი ეპიზოდი თავისი გმირის ასერიგად მღელვარე ბიოგრაფიაში, არამედ თავისებურად სიმბოლური მოვლენა, მისი მთელი ცხოვრება რომ უნდა მოიცვას, საერთოკავკასიური რწმენით აღვსილი ასე ძალდაუტანებლად უნდა გადაეჯაჭვოს ერთიმეორეს მწერლისა და მისი გმირის პოლიტიკური მსოფლგანცდა.

საერთოკავკასიური რწმენით აღვსილი...

ოღონდ რაკიღა ნიახურას ბრძოლა მარცხით დასრულდა ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის მოსურნეთათვის, ალექსანდრე ბატონიშვილი ველარ გაუმეტებია მწერალს მთავარსარდლად და მხოლოდ ცხენოსანთა სარდლობას არგუნებს, ქვეითი ჯარის წინამძღოლად ჩერქეზ უცს განამწესებს — ისკანდარის ყოფილ სიმამრს, ხოლო მთავარსარდლობას ომარ ავარელთა ხანს გადაულოცავს თავისი გმირის მოწადინებით.

ეგაა, მთავარსარდალი ძალიან რომ მიუახლოვდება რუს-ქართველთა ერთობლივ მწკრივს და ერთი ყაზახთაგანი შუბის წვერით მიწვდება და ცხენიდანაც გადმოაგდებს, ომარის მარცხი კი დიდ არეულობას გამოიწვევს ავარელთა შორის, მოსალოდნელიცაა და ასეც მოხდება, რომ ავარელთა რაზმი დაიშლება, პირს იბრუნებენ და გამოიქცევიან, ჯარის სხვა ნაწილებიც დაუშვებენ იარაღს და რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქარი ალყაში მოიმწყვდევს ავარელ-ქართველთა ჯარს, მაგრამ ალექსანდრემ არამარტო უნდა გააპოს ალყა და თავისი ცხენოსანი რაზმით გავიდეს სამშვიდობოს, არამედ შესაძლებლობა მისცეს ავარელთაც, გამოიტაცონ თავიანთი ბელადი.

სულ ესაა, რასაც შეძლებს.

მითოსს ერთბაშად ჩაენაცვლებოდა რეალისტური თხრობა.

მერეა, ისევ სპარსეთს რომ უნდა მიაშუროს და უკიდურესად გაუღრმავდეს სევდა.

მერეა, რომ ველარ უნდა გაშალოს თავისი ძლიერი ფრთები და ველარც მზიური ღიმილით გაიღიმოს.

მერეა, ხელი რომ უნდა ჩაიქნიოს: მეყოფა, აღარ შემიძლიაო.

მერეა, თავისი ოჯახის გაგზავნას რომ გადაწყვეტს საქართველოში და მეუღლეს ავალებს, აღზარდე შვილნი ერის მსახურებადო.

და ერთბაშად უნდა ჩაქრეს და ჩაინავლოს დიდი გზნებით დაწყებული თხრობა, გრანდიოზული განზრახვის არცთუ წარმატებული ფინალი.

ვერა, ვერ დაგვირგვინდა შესაფერისი შთამბეჭდაობით ქართლის ცხოვრების მხატვრული მატიანე.

ბოლომდე ველარ გაიტანდა თავისას ვასილ ბარნოვი.

ლეგენდა ხომ მაინც ჩაუფინა სიუჟეტს.

და ფარნავაზის ეპიკურ თქმულებებსაც შეეთამაშა — მზის რჩეულობა მარტო მისთვის რომ არ გაიმეტა.

რა იყო მაინც, ომარ-ხან ავარელის გვერდიგვერდ რომ მოუწია ბრძოლა ალექსანდრე ბატონიშვილს?!.

განა სულ რამდენიმე წლის წინათ ერთიმეორის პირისპირ არ იდგნენ?

მაშინ ომარ-ხანი ლეკთა ჯარს რომ შეყრიდა და კახეთის საზღვარს გადმოლახავდა, დედაქალაქის გამაგრებას ალექსანდრე ბატონიშვილი ითავებდა და, გარდა თვისტომთა, მელიქ აპოსაც ამოიყენებდა მხარში თავისი ელით და შულავერიდან ხიზნებსაც დაიბარებდა, რათა იქ ჩაეყენებინა, საიდანაც მტრის შემოჭრას მოელოდა, და ცოცხალ გალავანს უფრო მტკიცედ გადაეღობა იქაურობა. ოთარ ამილახვარსაც მისწერდა, ნუღა დაიგვიანებო:

— დიაღ, საჩქაროთ მოგვაშურეთ ამისათვის, რომ თუ აქ მტერი მოვა ამ სამსა და ოთხ დღეზე მოვა და თუ აქ არ დაგვესწრები, მასუკან ჩამოსვლა უსარგებლო ღა იქნება.

ომარ-ხანი ვერსაით შემოუვიდოდა გამაგრებულ ტფილისს და იმედგაცრუებული გაბრუნდებოდა უკან. არადა, კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ისეთ განზრახვას აეფოფინებინა, მანამდე ფიქრადაც რომ ვერ გაივლებდა. მარბიელობას სჯერდებოდა, ეგაა და ეგ, და ახლა თურმე დედაქალაქში შემოჭრაც აღარ მოჩანდა რაღაც აუხდენელ ოცნებად. ამიტომაც მომზადებულიყო საგანგებოდ და საკმაოდ გულმოცემულიც დაძრულიყო, მაგრამ ისკანდარის სახელი უკვე იწყებდა ბრნყინვას და მასთან პირისპირ შეტაკებას ვეღარ გაბედავდა ავარელთა ბელადი.

ბრწყინვას იწყებდა, თორემ ლეგენდებში გადასვლამდე ჯერ შორს იყო... საკმაოდ შორს...

ურჩია, თვითნებაო, — წუხდა ვასილ ბარნოვის პერსონაჟი მეფე ერეკლე, აკი თათბირიდან გაძევებასაც უპირებდა შვილს და წუხდა, რომ მასთან ყოველი საუბარი უსიამოვნოდ მთავრდებოდა.

მხატვრული მრწამსი მოითხოვდა ამ დაპირისპირების გაჩენას, თორემ ისტორიული ეპიზოდების კვალზე დგომა სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას გვიტოვებს — ალექსანდრე ბატონიშვილი მამის მორჩილი შვილია და არა ურჩი და განდგომილი.

მისი განდგომილება მხოლოდ შემდგომ უნდა დაიწყოს, უფროსი ძმის გამეფების დროიდან, უფრო კი იმ ხანიდან, როდესაც ქვეყნის უკანასკნელი მეფე მოინდომებდა, რომ ძმებს ერთგულების ფიცი მიეცათ მისთვის. აღესრულებოდა თუ არა ერეკლე მეორე 1798 წლის 11 იანვარს, გიორგი აიძულებდა ძმებს ამ ფიცის დადებას, და თუმც ალექსანდრე იმჟამად ბორჩალოში იმყოფებოდა, იქ შეუთვლიდა: სასწრაფოდ მეახელ და მაღიარეო.

არაო, — მტკიცე გახლდათ უმცროსი ძმის შემონათვალი.

გიორგი იოლად ვერ გადაიტანდა ამ უარს. პიროვნულ შეურაცხყოფასაც ვერ აპატიებდა ეგრე ადვილად, ასე როგორ უნდა გაკადნიერებოდა, რომ ერთგულების ფიცი აბუჩად აეგდო, მაგრამ ეს კიდევაც რომ ეპატიებინა და წყენა გულში ჩაეკლა, იმას რა ეშველებოდა, რომ ალექსანდრეს ისედაც ვერ მოაქცევდა თავის გავლენაში, და მისი ეს უარი გახლდათ არა წამიერი განწყობილების გამოვლენა, არამედ არჩევანი — მტკიცე და დაურღვეველი, სიცოცხლეს რომ უფრო იოლად შეელეოდა, ვიდრე ამ არჩევანს.

ამიტომაც მოუნდომებდა დატუსაღებას.

მაგრამ გაასწრებდა ალექსანდრე, არაგვის ხეობას შეეფარებოდა და დუშეთს დაიგულებდა ყველაზე მარჯვე სამალავად.

მარჯვეს ახლა ვამბობთ, რაკიღა მეფის მსტოვრებმა ვერ მიაგნეს, თუმც იმხანად უთუოდ სარისკო გახლდათ ბატონიშვილის ეს გადაწყვეტილება და უფრო შორს უჯობდა დამალვა, მაგრამ თავს ვერასოდეს აპატიებდა, რომ მცხეთაში, სვეტიცხოველში დასვენებულ მამის ცხედარს ფარულად არ გამოთხოვებოდა.

თავზეხელაღებული საქციელია?

მოგვიანებით რუსების მიერ ყოველმხრივ შეკრულ გარემოში — თითქოს ჩიტსაც რომ ვერ გადაეფრინა — ისეთ ფანტასტიკურ გასვლას მოახერხებდა, იმასთან შედარებით მამის ცხედართან გამოთხოვება უბრალო გაბედულებადაც აღარ ითქმის, თორემ თავისთავად ძლიერ გასაკვირია.

თუმც... ალექსანდრე ეს გახლავთ და საკუთარ ბუნებას ვერსად წაუვიდოდა.

და მსტოვარნი სად აღარ რომ დაეძებდნენ, იგი ერეკლეს ნეშტის წინაშე იდგა და ეთხოვებოდა იმ სასოებითა და მხურვალებით ძველ საქართველოს რომ სჩვეოდა და ჯერაც მოსდგამდა, ვიდრე ერეკლეს ცხედართან ერთად არ ჩაესვენებოდა სამარეში ის სამყარო, რომლის გადასარჩენადაც გადაედო თავი ალექსანდრეს, მარადიულ ბატონიშვილად დარჩენილს.

ნეტა რას ჰპირდებოდა?!

რას აღუთქვამდა ასე მხურვალედ?!

თუ რუსთა განდევნის ფიცს სდებდა ნეშტის წინაშე, ეს ფიცი საამურად არ უნდა დარჩენოდა ტრაგედიაში საბედისწეროდ გახლართული მეფის სულს. წარმოედგინა თუ ვერ წარმოედგინა, რა უბედურებასაც დაატრიალებდა რუსეთის დამკვიდრება ქართულ სამყარო-

ში, მაინც მის კისერზე იდო ეს გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებისთვისაც გადაქცეულიყო განდგომილად და დევნილად ალექსანდრე.

მამის ანდერძის ერთგულება რუსეთის სამსახურს ავალებდა.

ვერა, ვერ დაივალებდა ამ სამსახურს.

ასეთ ანდერძს ვერ უერთგულებდა.

ალბათ უფრო ებოდიშებოდა.

არ გაუკვირდებოდა მისი განდგომილობა „ისკანდარის“ პერსონაჟ ერეკლეს.

და ძალიან გაოცდებოდა ისტორიული ერეკლეს სული, ეს მამის მორჩილი უფლისწული როდის შეიქნა თვითნებაო.

ეს რომ შეეტყო ვაჟისთვის, სწრაფვა ურჩობისაკენ და მამის ნების უგულებელყოფა, განა სახელმწიფო საქმეებს მიანდობდა ცხრამეტი წლის ალექსანდრეს?

სამოსამართლეო საქმიანობის მინდობა ჭაბუკისათვის, ვინც შესაძლოა ითვითნებოს?

მაგრამ ერეკლეს საამისო ეჭვი არ გასჩენია და არც ანგარიშში შემცდარა, ბატონიშვილი საამისოდაც რომ გაამწესა, თორემ განა მოუწყვეტია იარაღისათვის და მთლიანად სამოსამართლეო საქმეებში ჩაუფლავს.

ისე საგულისხმო კი არის, მაინცდამაინც ეს საქმე რომ მიაბარეს.

კალმის მომარჯვება და დოკუმენტების შედგენა მისთვის ჩვეული მოვლენა გახდება და, ეტყობა, იმთავითვე ამჟღავნებდა საამისო მიდრეკილებას. და როდესაც შესაფერისი ჟამი მოაწევს, კალამსაც იარაღზე არანაკლებ გამოიყენებს დიდ მღელვარებათა და ქარტეხილთა შუაგულში მოქცეული და დიდად ფასეულ ეპისტოლურ მატიანესაც აკი ამიტომ დაგვიტოვებს, სწორედაც მატიანეს და არა მხოლოდ ეპისტოლურ მემკვიდრეობას.

პირობები ყოვლად შეუფერებელი იქნებოდა, საკუთარი კანცელარია რომ შეექმნა და თან ეტარებინა გაუთავებელი ხეტიალისას, თვით დაღესტნის მიუვალ აულებშიც, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი რახან ყოფილა, ვერც ისკანდარი გადასვლია ჩვეულებას და პოლიტიკური წერილებითაც რომ იწვევდა სახალხო მღელვარებას, ამ ჟინსაც ვერ დაიცხრობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ახლა მეფის ნეშტის წინაშე იდგა მდუმარედ, უკანასკნელი სახელოვანი მეფის, თორემ უსახელო მეფის ხანმოკლე ზეობა ჯერ მხოლოდ იწყებოდა, დასაწყისშივე რომ უნდა მოთავებულიყო ქვეყნისათვის სავალალოდ.

ჩემს დასაწყისშივეა ჩემივ დასასრულიო, — ტომას ელიოტი რომ ირწმუნებოდა, მისთვის ეს მხატვრული და ფილოსოფიური განზოგადება გახლდათ, ბედნიერად მიგნებული სენტენციაც და მარჯვე კამერტონიც პოეტურ ფიქრთა გასაშლელად, აქ კი, გიორგი მეცამეტესთან, რაღაც პირდაპირ გამოდიოდა, დასაწყისშივე მთავრდებოდა მისი გაგვირგვინოსნება და ქვეყანაც იძირებოდა ორსაუკუნოვან წყვდიადში.

ნეტა სიცოცხლე რომ დასცლოდა, აიძულებდნენ გადადგომას?

ასწრაფდებოდა საიმპერატორო კარი, როდემდე ველოდოთო, და ან ჩამოართმევდნენ გვირგვინს, ან საწამლავით მოუღებდნენ ბოლოს?

თუ აცლიდნენ, განა როდემდე გაძლებსო?

ვერა, ვერ დაელოდებოდენ, ორმოცი წლის კაცის არსებობა, ვინ იცის, როდემდე გასტანდა და იმპერიას კი თავისი გეგმები ჰქონდა, ჯერ ისედაც საკმაოდ გაჭიანურდა აქაურობის ხელში ჩაგდება, ისედაც ოცდაათი წელი დაკარგეს ამ ძალგულოვანი ერეკლეს გადამკიდეთ, კიდევ კარგი, პოლიტიკურ ხლართებში გააბეს და ქვეყანაც ასე გამოსტყუეს ხელთაგან, და კიდევ ოცდაათი ან კიდევ მეტი წლით ლოდინი არ გინდოდა?.. არც ოცი და არც ათი, ხუთიც არა, ყელზე ედგათ ეს თუნდ უნიათო ხელმწიფეც და საწამლავს რომ ამზადებდნენ, თუკი ტახტის ნებაყოფლობითი დათმობის შეთავაზებას არ იყაბულებდა, კიდეც განეშორებოდა წუთისოფელს გიორგი მეცამეტე — განდიდებული პლატონ იოსელიანის ისტორიული ქრონიკით და შეფარვით ნაქილიკევი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“, ირონიასთან ერთად ძველი საქართველოს გამოტირების სურათადაც რომ წარმოგვიდგება, განსხვავებით ბიოგრაფიული რომანისაგან, პლატონ იოსელიანი თავისი გმირის ცხოვრებას რუსთა მმართველობის დამკვიდრების აპოლოგიად რომ გარდასახავდა. საამისოდ კი უკეთესი საბაბი რა უნდა მისცემოდა, თუ არა ძველი საქართველოს არსებობის უკანასკნელი წუთები, გიორგი მეცამეტის ბიოგრაფიას გადაჯაჭვული.

ჩემს დასაწყისშივეა ჩემი დასასრულიო...

ჯერ პოეტური ფიქრებიც რაოდენ მღელვარეა და გულისშემძვრელი, და რაღა უნდა ითქვას მაშინ, როდესაც ეს ფრაზა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ტრაგედიას.

შენი მეფობის დასაწყისი შენივე მეფობის დასასრულიცაა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობის გაუქმებაც.

არადა, რა იმედოვნებით იწყებდა მოღვაწეობას — რუსეთის სამხედრო მფარველობით გულმოცემული. საზღვრები მტკიცედ ჩაკეტილიყო და ველარც ირანს გაებედა ჩვენი დალაშქვრა და ველარც ლეკებს

რბევა-თარეში. ძმები უკვე მორჩილებაში მოექცია და ალექსანდრესაც დღეს თუ ხვალ მოუვლიდა — ან ერთგულების ფიცს მასაც მიაღებინებდა, ანდა მზეს აღარ დაანახვებდა ბნელ დილეგში ჩაგდებულს.

გატყდებოდა? დაუბრუნდებოდა ბატონიშვილის უფლებანი.

ვერ დაიმორჩილებდა? დაე მჯდარიყო დილეგში მეფობაზე ამაოდ მეოცნებე.

მეფე ერეკლეს იმით დაესრულებინა სამეფო მოღვაწეობა, რომ სოლომონ მსაჯულს გადაჰკიდებოდა და გაეძევებინა თავისი სამფლობელოდან.

სამეფოდ გამზადებული დავით უფლისწული იმით დაიწყებდა სახელმწიფო საქმეთა გარიგებას, რომ სოლომონ მსაჯულს გამოკეტავდა დილეგში, და თავისივე ნამოქმედარისა თვითონვე რომ შერცხვებოდა, მალულად გამოაპარებდა და იმერეთს გაისტუმრებდა. გამეტებით ვერ გაიმეტებდა, მაგრამ თავის სამფლობელოშიც — თურმე არარსებულში — ვერ დატოვებდა.

გიორგი მეცამეტე კი მეფობას იმით იწყებდა, რომ ალექსანდრეს დაუპირებდა დაპატიმრებას. და თუმც მიწვდომით ვერ მიწვდებოდა, საქართველოს მიწა-წყალზე ხომ მაინც არ გააჩერებდა.

უკვირდა, როგორ ვერ მომიხელთებიაო.

რას წარმოიდგენდა, რომ მისი მომხელთებელი რუსეთის იმპერიაც კი ვერ აღმოჩნდებოდა. ახლა თუ ყველა გზასა და ბილიკს უტრიალებდნენ და ჩხრეკდნენ მსტოვრები, მერე ბუჩქი და ხეც აღარ დარჩებოდათ შეუმოწმებელი, თან მარტო აქეთ, აღმოსავლეთ საქართველოში კი აღარ, არამედ ჩრდილოკავკასიაშიც, მაგრამ კვალსაც ვერა ჰპოვებდნენ.

ნეტა ჯადოსნური ცხენი ხომ არ ჰყავდა, მფრინავი რაში, რომელიც ლეგენდიდან კი არ გადმოდიოდა ყოფით რეალობაში, არამედ ყოფითი რეალობიდან გადაინაცვლებდა მითოსში?

ხელში კი ვერ მოეგდოთ და...

არა, გიორგის რომ ეგონა, სად ნამივა, სად დამემალებაო?!.

შესეოდნენ მოთვალთვალენი გზებსა და ბილიკებს, არც ოქროს იშურებდნენ, ეგებ გამცემი ვიპოვნოთო.

ალექსანდრე ერეკლეს ცხედრის წინაშე აღმართულიყო გამტკნარებული და გაფაციცებული, ვინ იცის, საიდან რა საფრთხე დატყდომოდა თავს.

მაშინ კი, წლების წინათ, სამოსამართლეო საქმიანობაში რომ ჩაფლულიყო, ქვეყნის ყოფა ისე არ გახლდათ მოწესრიგებული, ამ ერთ,

თუნდაც ძლიერ საპასუხისმგებლო საქმეში ეკმარათ მისი მონაწილეობა და სამხედრო საყარაულო რაზმების განაწილებაც მასვე უნდა დავალებოდა ოთარ ამილახვართან ერთად.

შვილო, ბატონო ალექსანდრე და ბატონო ამილახვარო ოთარო, — 1790 წლის 6 ივნისით დათარიღებულიყო მეფე ერეკლეს წერილი, — ქართლიდან ასი კაცი გაღმა მხრელთ უნდა მისცეთ, თვრამეტი კაცი ქარელში მიეცით, ოცდარვა — ხოვლეს, ოცდარვა კავთისხევს და ექვსიც სამწევრისს. ეს ასე უნდა გაარიგოთო.

საყარაულო რაზმები საყარაულო რაზმებად და იმავე წელს ალექსანდრეს ბაიამათლოველ ლეკთა დალაშქვრაც მოუწევდა.

შიდაბრძოლებშიც მიიღებდა მონაწილეობას მამისავე დავალებით.

მართლა იყო ენერგიული მოწინააღმდეგე იმერეთის ხელიდან გაშვებისა თუ არა, ცხოვრება ისე დატრიალებულიყო, რომ ამ სამეფოს ტახტიდან ჩამოგდებული დავითი არა თმობდა თავის უფლებებს, მხარში ამოიყენებდა სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანსა და აფხაზეთის მთავარს ქელაიშ აჰმად ბეგს, მხარში ამოიყენებდა ლეკებსაც და ახლა სოლომონს დაუპირებდა დამხობას.

— მიეშველე, — უბრძანებდა ერეკლე ვაჟს და ისიც 1794 წლის შემოდგომაზე ჯარითა და არტილერიით ჩააკითხავდა სოლომონ მეორეს, ვისთან ერთადაც წარმატებით დაგეგმილ ბრძოლას შესაფერისადაც დააგვირგვინებდა.

მათხოჯთან დაბანაკებულიყო დავითი მცირერიცხოვანი ჯარით და ამიტომაც შემოერკალა გარშემო სანგარი.

ხიბულასთან იდგა გრიგოლ დადიანი ქელაიშ აჰმედ ბეგთან ერთად.

ცხადია, ერთად უნდა შეყრილიყვნენ და ერთობლივადაც გამოელაშქრათ ქუთაისზე, მაგრამ ამდენს აღარ დააცდიდნენ ახალი მეფე და მისი მოკავშირე და ცალ-ცალკე აგემებდნენ დამარცხებას. 24 ოქტომბერს მათხოჯთან გაიმართებოდა ბრძოლა და ტახტის მოცილეს რომ გააქცევდნენ, შემდგომ უკვე გრიგოლ დადიანს მიუცვივდებოდნენ ხინულასთან და მას და აფხაზეთის მთავარსაც სძლევდნენ. ქელაიშ აჰმედ ბეგი აფხაზეთს გაბრუნდებოდა, გრიგოლ დადიანი კი ფოთს შეაფარებდა თავს და იქ ჩააკითხავდა განბილებული ტახტის პრეტენდენტიც, რომელიც მალე გადავიდოდა ახალციხეს და იქ გარდაიცვლებოდა ყვავილის სენით. ფოთში დიდხანს ვეღარც გრიგოლ დადიანი გაძლებდა და ისიც ახალციხეში ჰპოვებდა თავშესაფარს. მაგრამ ან იქ როდემდე ყოფილიყო გამოკეტილი და შორიდან მაცქერალი, როდესაც სამეგრელო მანუჩარ დადიანს ეგდო ხელთ, და სა-

სოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გრიგოლი მეფე ერეკლეს მიადგებოდა კარზე.

ბევრ ვერაფერს შეწევნას აღმოუჩენდნენ ერეკლე და მისი მემკვიდრე გიორგი, ეგაა, მეფე დევნილ მთავარს გამოაყოლებდა ალექსანდრე ბატონიშვილსა და გიორგის ძეს იოანეს, რათა სოლომონისათვის გადაეცათ თხოვნა — ეზრუნა მშვიდობის ჩამოსაგდებად გრიგოლსა და მანუჩარს შორის.

ამჯერად დიპლომატიური მისიით მივლენილიყო ალექსანდრე იმერეთს, რათა თავისი მოკავშირის წინაშე ეშუამდგომლა იმ გრიგოლ დადიანისათვის, ერთობლივად რომ გაუსწორდნენ და აოტეს. გარჯით დიდად გაირჯებოდა დიპლომატიური დავალების შესასრულებლად, მაგრამ ქუთაისიდან საბოლოოდ მაინც განბილებულს მოუწევდა გამობრუნება.

ვერარაისა საქმისა გარდამწყვეტელიო, — ასე შეაფასებდა ამ მისიას ნიკო დადიანი.

აღა-მაჰმად-ხანი პირველად რომ დაიძრებოდა ამიერკავკასიისაკენ და 1795 წლის ივნისში ყარაბაღში შემოიჭრებოდა, ერეკლე მეორე ყარაბაღისა და ერევნის ხანებს რომ მოუწოდებდა, არ შეპუებოდნენ ირანელებს, ყარაბაღის ხანს ჯარსაც მიაშველებდა ალექსანდრეს მეთაურობით, გაერთიანებული ლაშქარი კი სძლევდა მომხვდურს და ყარაბაღიდან გამოდევნიდა.

ასე ადვილად არ შეურიგდებოდა მარცხს აღა-მაჰმად-ხანი, უფრო დიდ ლაშქარს შეყრიდა და ივლისის თვეში კვლავ დაატყდებოდა თავს ყარაბაღს. გამკლავება იოლი აღარ გახლდათ და დამცველები პირისპირ შეტაკებას გაერიდებოდნენ — იბრეიმ ხანი შუშის ციხეში გამაგრდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილი კი სამშობლოში გამობრუნდებოდა, მაგრამ შეიტყობდა თუ არა მეფე ერეკლე, განჯის ხანი ჯევადი ირანელებს მიმხრობიაო, კვლავ ალექსანდრეს — და მასთან ერთად იულონ ბატონიშვილსაც — დაავალებდა სადამსჯელო ოპერაციას და ისინიც დაარბევდნენ განჯას.

შემდგომ ალექსანდრე ბატონიშვილი მამას ყაზახსა და შამშადილში უნდა მიევლინებინა ჯარის შესაგროვებლად.

მერეა, კრწანისის ველზე მამა-შვილი ბრძოლის წინა დღეს ერთად რომ ათვალიერებს მიდამოს და მეფეს ალექსანდრე შავნაბადას მთაზე არტილერიის დაყენებას ურჩევს.

მერეა, სამეფო ოჯახის გახიზნვაც ალექსანდრემ რომ უნდა ითავოს და არაგვის ხეობის ისე შეკვრა, ირანელებმა იქ ველარ შეაღწიონ და ლტოლვილმა ერეკლემაც საიმედო თავშესაფარი დაიგულოს.

ერთი წლის შემდგომ სამეფო ოჯახი თელავში რომ გადავიდოდა საცხოვრებლად, ალექსანდრე ქიზიყში დარჩებოდა, იქ კი განჯაში გაქცეული ერთ-ერთი თათრული ტომის წარმომადგენლები ეახლებოდნენ და სთხოვდნენ საქართველოში დაბრუნების ნებასაც და შემწეობის აღმოჩენასაც კვლავ აქ ფეხის მოსაკიდებლად. იგი აუცილებლად აცნობებდა მამას დელეგაციის თხოვნას და თავის აზრსაც: დახმარებოდნენ ამ ტომს. ნებართვის შემდგომ კი ქიზიყის მოურავ ზაქარია ანდრონიკაშვილთან ერთად ათას კაცს გაუძღვებოდა და მთხოვნელთ საწადელს აუსრულებდა.

განჯაში ალექსანდრეს მივლინება ამ დავალების აღსასრულებლად იმ მხრივაც გაამართლებდა და ძალიანაც გაამართლებდა, რომ მის გამჭრიახ მზერას არ გამორჩებოდა განჯის ციხე-ქალაქისაკენ ლეკთა ლაშქრის დინება. არც გამოურკვეველს დატოვებდა იქ თავშეყრის მიზეზს და აღმოჩნდბოდა, რომ ჯევად ხანის ტახტის მეტოქეს — რაიმ ხანს — მოეწვია ისინი ქალაქის ასაღებად.

ეს არ გახლდათ მხოლოდ შინაური საქმე.

თუ ვინ იგამგებლებდა ამ ქალაქში, ქართლ-კახეთის მეფისათვის სულერთი არ იყო და ალექსანდრე დაუყოვნებლივ რომ აცნობებდა მეფე ერეკლეს, განჯის აღებაა განზრახული და რაიმ ხანს კაკის სულთანი და ყარაბაღის ხანიც მიმხრობიანო, ერეკლე მეორე მოვალედ მიიჩნევდა თავს ჩარეულიყო განჯის ბედის გადაწყვეტაში და ალექსანდრე სასწრაფოდ მიაშველებდა ჯარს, დავით ბატონიშვილს რომ უსარდლებდა, უკვე გამოცდილს კრწანისის ბრძოლაში.

კაკის სულთანიც და ყარაბაღის ხანიც განჯის დარბევის მიზეზად იმას მოიდებდნენ, ჯევად ხანი აღა-მაჰმად-ხანს რად დაუკავშირდაო, თითქოს მეფე ერეკლეზე მეტად აწუხებდათ მისი ის მოღალატური მოქმედება. ეგაა, ეს ქვეყნის ჭრილობების მოშუშებით გართულიყო და განჯის სახანოსათვის ვეღარ მოეცალა, მაგრამ ისიც აღარ ივარგებდა, რომ ამიერკავკასიაში ატეხილ ბრძოლებს გარიდებოდა და შორიდან მეთვალყურეობას დასჯერებოდა. ამიტომაც მიიჩნევდა თავს ვალდებულად — ჩარეულიყო განჯის დალაშქვრაში.

1796 წლის 3 აპრილს ქალაქს აღებით კი აიღებდნენ, მაგრამ ჯევად ხანი ციხეში შეასწრებდათ, ციხის ალყა კი გაჭიანურდებოდა და მეფე ერეკლე იძულებული შეიქნებოდა, რომ განჯისაკენ დამატებითი ჯარი გაეგზავნა. ის კი გადაწყვეტდა ბრძოლის ბედს — ჯევად ხანი მმართველობას იმითღა შეინარჩუნებდა, რომ კვლავ საქართველოს გავლენის ქვეშ მოაქცევდა თავის სამფლობელოს, ქართველ ტყვეებსაც დააბრუნებდა და ერეკლესათვის ხარკის გადახდასაც განაახლებდა.

მეტად საგულისხმოა ის სტრიქონები, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დარეჯან დედოფალთან 1796 წლის 30 მაისით დათარიღებულ წერილში რომ ამოვიკითხავთ:

— იბრეიმ ხან და მე დიდი მეგობრები ვართ, რომ მეტი არ იქნება და ომარ ხანის დამაც შვილად ამიყვანა.

ყარაბაღის ხანთან ეს დაახლოებაც და ომარ ხანის დასთანაც დედაშვილური ურთიერთობის გაბმაც არამარტო ბატონიშვილის პიროვნულ თვისებებზე გვიქმნის წარმოდგენას, მის უჩვეულო ხიბლზე, მისანდონი გაიხადოს ადამიანები, არამედ კავკასიური ერთიანობის რწმენაზეც, უამისოდ საკუთარი ქვეყნის მომავალი სასიკეთოდ რომ არ ესახება. ამიტომაცაა, სიხარულთი რომ აუწყებს დედას ამ დაახლოებათა შესახებ, რაკიღა ამ ძაფების გაბმა პოლიტიკურადაც და საზოგადოებრივადაც დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნია.

რას იფიქრებდა, თუ ოდესმე საერთოკავკასიურ გმირად უნდა შერაცხულიყო და ჩვენზე არანაკლებად სხვებსაც გამოედოთ თავი მის დასაჩემებლად, და მარტოდენ თავიანთ მითოსში კი არ მიეჩინათ მისთვის ადგილი, იმ ლეგენდის პერსონაჟადაც ექციათ, იმამ შამილს მის შვილად რომ აცხადებდა.

ნეტა სად ჩასახულიყო ეს იდეა, ქართველთა თუ ჩრდილოკავკასიელთა წრეში, სად გაელვებულიყო პირველბიძგად? სადინარი კი ერთნაირად ეპოვნა ორივე სამყაროში და კიდევ უფრო გადაეჯაჭვა ქედს გადაღმა და ქედს გადმოღმა მხარეები ერთმანეთისათვის, შეეკრა და შეედუღაბებინა, ორი რჩეული გმირი, კავკასიური ბრძოლების ორი წინამძღოლი მამა-შვილად რომ გამოცხადდებოდა.

აქ კი ტფილისის აღდგენა გრძელდებოდა, სასტიკად აოხრებულის, და მეფე ამ საქმიანობისათვის რიგრიგობით რომ გზავნიდა თავის შვილებს თელავიდან, ალექსანდრესაც ჩაუყენებდა სათავეში, თუმც ჯერ რამდენიმე თვით, რაც დასცალდებოდა 1796 წლის დეკემბრიდან 1797 წლის ივნისამდე, ერევნის მხრიდან სპარსელები რომ გამოჩნდებოდნენ და კვლავ ისკანდარის სარდლობა გახდებოდა აუცილებელი.

ასე დაბედებოდა — ყველგან ის უნდა ყოფილიყო.

ბრძოლაა, აღმშენებლობა, უიმისოდ არ იქნებოდა.

ამჯერად მეფე ერეკლე სიამაყით ამცნობდა გარსევან ჭავჭავაძეს:

— ერევნიდამ ალი-ყული ხანს ჯარი გამოეგზავნა ჩვენი ელების ნასახდენად, რომელთაც საქონელი მოიტაცეს, და ჩვენი შვილი ალექსანდრე მოსწეოდა რაოდენისამე კაცით, საქონელი ნაერთმევინა, კიდეც დაემარცხებინა და ორასამდინ კაციც მოეკლათ.

ოქტომბერში კვლავ დედაქალაქის აღდგენისათვის უნდა მიეხედა, და უკვე დგებოდა დრო, რომ აქედან გაქცეული მოსახლეობა თანდათან დაბრუნებულიყო. ბრუნდებოდნენ, განა არა, მაგრამ ალექსანდრე საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა შეძლებულ მოქალაქეთა შემოსვლას. უიმათოდ არაფერი გამოვიდოდა, ქალაქი ფეხზე რიგიანად ვერ დადგებოდა, თანაც პირველი აღტკინება ჩაცხრებოდა და სხვანიც მოერიდებოდნენ ტფილისში დაბრუნებას — რაკიღა შეძლებულნი არ ჩქარობენ ანდა არც აპირებენ, ეტყობა, საშიშროება არ გადავლილა და აღარც ჩვენთვის ღირს რისკის გაწევაო.

ეს განწყობილება შეეტყო ბატონიშვილს და დედას უთვლიდა: სასწრაფოდ უნდა გაიცეს ბრძანება, რომ ის მოქალაქენი აუცილებლად შემოვიდნენ ქალაქში, ძალით იყოს თუ ნებითო.

ტფილისს როგორც სჭირდებოდა, დაე ისეც გადაწყვეტილიყო, თორემ სახლები ვისთვის ან რისთვის აღედგინათ, თუკი აქ სიცოცხლე ძველებურად და კიდევ უფრო მჩქეფარედ არ განახლდებოდა.

დუშეთში სომეხი სოვდაგრები რომ ჩამსხდარიყვნენ?

იმათ რუსეთისაკენ უფრო მიურბოდათ თვალი და ყური, იქ უფრო ჭვრეტდნენ საკუთარი მომავლის კეთილდღეობას და აინუნშიც არ აგდებდნენ ალექსანდრეს შემონათვალს, ტფილისი გელითო. დიდი გარჯა და მოწადინება არ ეტყობოდათ, თხოვნას თხოვნაზე გზავნიდნენ რუსეთში გზის გასაკვლევად და ფეხის მოსაკიდებლად და, თუკი ერეკლე მეორის ბრძანება არა, აქეთ საერთოდაც აღარ გამოიხედავდნენ.

ალექსანდრეს ისიც ეიმედებოდა, გულისფანცქალით რომ მოელიან იქიდან თანადგომას, შესაძლოა მკვახე პასუხის მეტს ვერაფერს გამორჩნენ და მაშინ კი რაღას გააწყობენ, ისევ ჩვენ შემოგვევრდომებიანო.

ამ პროცესის გარედან მაცქერლად ვერ დარჩებოდა და თავის მხრივ გარჯასა და ცდას არ აკლებდა სომეხთა იმ წრის დასარწმუნებლად: ჩვენთან ყოფნა გერჩივნოთ, თანაც ნუღა ახანებთ, ქალაქში ამოძრავდა ცხოვრებაო. მეფის ბრძანებაზე მეტად იქნებ ჩაგონებას გაეჭრა, ყოველ შემთხვევაში ორივე ეს მცდელობა ერთმანეთს წახმარებოდა და დაჩქარებულიყო სასიკეთო პროცესი.

შეატყობინებდნენ, ყვავილის სნეულებაა ძალიან მოდებული, შემოჰყავთ და შემოჰყავთ ქალაქში დაავადებული ბავშვებიო, და სასწრაფოდ გააფრთხილებდა ყველას, ყმანვილებმა ყვავილი გარეთ მოიხადონ და მერეღა შემოიყვანეთ, თორემ ქალაქში თუ გავრცელდა, მისი ჩაქრობა უფრო გაგვიძნელდებაო.

ტფილისი თანდათან იკრებდა ძალას.

იბრუნებდა ძველებურ სახეს, აღა-მაჰმად-ხანის მიერ შელანძული, და ამ პროცესის შუაგულში სხვებზე მეტად ალექსანდრე ბატონიშვილი მოჩანს და თვითონაც ყველაზე დიდ საამაყოდ ეს ჰქონდა, ძალიან რომ დააჩქარა იავარქმნილი მიდამოს კვლავ გადედაქალაქება.

ის წუთები, აქ პირველად რომ შემოაბიჯა რბევის შემდგომ, და ამჟამინდელი?

— მე ეს მიხარებია, რომ რაც ქალაქში გიახელი, არც კაცი იყო და არც ბოლი სდიოდა, ღვთით და თქვენის ბედნიერებით, თანდათან ივსება, მუდამ დღე მილი მილზე უზევს და ხიზანი შემოდის.

მერეა, ომარ ხანი რომ გადმოლახავდა ჩვენს საზღვრებს და ალექსანდრე ბატონიშვილი საიმედოდ გაამაგრებდა ტფილისს. აკი ოთარ ამილახვარსაც მისწერდა: საჩქაროდ თუ არ მოგვეშველეთ, მერე დაგვიანებული იქნებაო.

ამილახვართან დაახლოებულიყო, სანდო კაცად ეგულებოდა და ჯერ კიდევ 1794 წლის 11 ოქტომბერს ამიტომაც აფრენდა მასთან საიდუმლო ბარათს: ერთი ნარუსალი იაკობია, ჩემს ძმისწულ დავითთან დაიარება. დღეს ცხინვალიდან ჩამოიარა, მეც მომინახულა და გორს წამოვიდა, მანდ იქნება და რაიმე მოიმიზეზე, შენთან მოაყვანინე, ღვინით გამოათვრე და, თუ რაიმე იცის, ყველაფერს გაამხელს, აღარ დაფარავს. და რაც მაგისგან შეიტყო, მეც მაცნობეო.

იხლართებოდა და მწვავედაც იხლართებოდა სასახლის შიდა ამბები. ალექსანდრეს ეეჭვებოდა, რომ ქვეყნის მომავალი მეფე პირნათლად აღასრულებდა მამის ანდერძს და საკუთარ შვილს კი არ ივარაუდებდა თავის მემკვიდრედ, არამედ — ძმას.

უფლისწული დავითი უკვე მიიწევდა ტახტისაკენ და იმასთან დაახლოებული პირის გამოტეხვა არაერთ ფარულ განზრახვასა თუ ხრიკს მოჰფენდა ნათელს.

ალექსანდრეს ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოესხა, რადგანაც გამეფების პერსპექტივას ვინ ჩივის, ძმასა და ძმისწულს სულაც სასიკვდილოდ არ გაემეტებინათ ტახტის მოცილეები, უპირველესად კი ალექსანდრე, როგორც ყველაზე თავზეხელაღებული; და ლაშქრად იმყოფებოდა თუ ტფილისის აღდგენას დადგომოდა თავს, გულისყური სასახლის კარისაკენ მიეპყრო.

გუმანი კარგს არაფერს ამცნობდა.

წინათგრძნობა სასიკეთოს არაფერს მიანიშნებდა.

თავი მეოთხე

დაუვიწყარი სიყვარული: ნინო

აუხდებოდა ავი წინათგრძნობა, ძმა შეპყრობას რომ მოუნდომებდა, და იძულებული შეიქნებოდა, მამის ცხედარს ფარულად გამოთხოვებოდა.

გაყუჩებულიყო ნეშტის წინაშე და ფიცს სდებდა გუნებაში, არ დავცხრები, ვიდრე ამქვეყნად მიწერია ყოფნაო.

გაუძლებდა?

განა როდემდე გაუძლებდა?

მცხეთიდან ბორჩალოს მიაშურებდა, ოღონდ აჯანყების ბაირაღს მაშინვე სულაც არ ააფრიალებდა, ელოდა, რა მოხდებოდა. თან გამწყრალიყო ძმაზე, თან იმედიც უჭიატებდა: ასე როგორ გადაუდგება მამის ანდერძს ან მე როგორ გამწირავსო.

ახალი მეფე ძალიან შეფიქრიანებულიყო ალექსანდრეს განდგომით — ვერც ფიცი მიაღებინა, ვერც ვერსად მოიხელთა. იულონ ბატონიშვილმა ფიცი რომ დაუდო, ჯერ მისიც არ სჯეროდა, თვალთმაქცურად მაღიარებსო, და მთლად განდგომილ ძმას როგორღა ნდობოდა, როდის გამოილაშქრებდა გიორგის წინააღმდეგ ბრძოლებში საკმაოდ გამოცდილი უფლისწული, კაცმა არ იცოდა, და ახალი ხელმწიფე დედინაცვალს ეაჯებოდა, ეგებ როგორმე შემარიგო შენს ვაჟთანო.

დარეჯან დედოფალი თავისთან დაიბარებდა შვილს.

თვითონ მიენდო ახალი მეფის აღთქმას და ალექსანდრესაც ურჩევდა, დაპირისპირება არას გარგებს, რაკიღა შერიგების ხელს გიწვდის, შენც ნუღა ახირდებიო.

ნუ ახირდები კარგია.

განა გიორგი მეცამეტე ახლა მაინც იყაბულებდა მის შემდგომ ძმების გამეფებას?

თუ არა, ძმებს ყოველთვის შიში უნდა ჰქონოდა, რომ ერთხელაც ყველას დაერეოდა და დილეგებში მაინც გამოამწყვდევდა, თუკი დასახოცად ვერ გაიმეტებდა, და გზას გაუხსნიდა დავით უფლისწულს ტახტისაკენ.

გჯერა, რომ ამას არ იზამსო? — ეკითხებოდა ალექსანდრე და დარწმუნებით ვერარა მიეგო დედოფალს. ამასობაში კი მალული სამზადისი გაჩაღებულიყო ალექსანდრეს შესაპყრობად, მაგრამ იგი მოელოდა ძმის მზაკვრობას, წინასწარვე დაიჭერდა შესაფერის თადარიგს და არც ამჯერად ჩაუვარდებოდა ხელთ მეფის კაცებს დასაკლავი ბატკანივით, დაუსხლტებოდათ და ახალციხის შემოვლით იმერეთს გადაიხვეწებოდა.

1798 წლის თებერვალი იწურებოდა.

საგონებელში ჩავარდებოდა გიორგი მეცამეტე. კარგს არას მოასწავებდა ალექსანდრეს გაღწევა იმერეთში, და კიდევ რას ჩაიდენდა, ვის მიმართავდა დაუმცხრალი ბატონიშვილი. რაღაც უნდა ეღონა მეფეს. მახის დაგება აღარ ღირდა — მაინც ვერ მოეგდო ხელთ. ვეღარც დარეჯან დედოფალს მიმართავდა დახმარებისათვის. ხაფანგის დაგების შემდეგ მასთან აღარ მიესვლებოდა. ან კიდეც რომ მისულიყო, რა — განა კიდევ დაიბარებდა შვილს თავისთან დარეჯანი?..

მაგრამ შერიგება კი მოხდებოდა ძმებს შორის.

როგორ, რანაირად?

ისტორიკოსებს ვერავითარი საბუთი ვერ უპოვნიათ და გუმანიც ვერ მიუტანიათ, თუ ვის უნდა შეესრულებინა ასეთი წარმატებით შუამავლის როლი. არადა, შეარიგა კი. გიორგი ალბათ მხურვალედ შეპირდებოდა, მამის ანდერძს არაფრისდიდებით არ გადავალ, ჩემს შემდგომ ძმებს გეკუთვნით მეფის გვირგვინი და არა შვილს და ასეც იქნებაო. მაგრამ ალექსანდრე როგორ მიენდო? განა ვის სიტყვას გაუწია ანგარიში, რომ უფროსი ძმისაგან საფრთხე აღარ იყო მოსალოდნელი? ვინ იყო მისთვის ასეთი ავტორიტეტი?

ბურუსში ჩანთქმულა ეს მოლაპარაკება, მაგრამ მალე კი მოთავებულა, რაკიღა აპრილში დევნილი ბატონიშვილი უკვე თელავში იმყოფება და სრულიად უშიშრად უწყალობებს სავენახე მამულს თავის ერთგულ ყმას იოანე ციცქიძეს.

მაისში კი უშუალოდ მეფე გიორგის დავალებით ლიახვის ხეობაში მიემგზავრება და კეხვის ციხის გამაგრებას ხელმძღვანელობს.

— მთის კაცთაგან მოჩივარნი საქართველოში მრავალნი არიან... და ეგების... იმ ციხის გამაგრებით ვეღარ იავკაცონ...

ჯერ მარტო ამ სიტყვებითაც ცნაურდება, რაოდენ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამ ციხის აგება, ხეობისა და მხარის უსაფრთხოება რომ უნდა ეტვირთა.

და თუ ვინმეს უნდა დავალებოდა ასეთი ციხის მშენებლობისათვის თვალყურის დევნება, უპირველესად სწორედ ალექსანდრეს, და

ახალი მეფე ანგარიშში არც შემცდარა, ერეკლესი არ იყოს, იმანაც ამგვარი საქმე ყველაზე შესაფერის კაცს რომ მიანდო.

ეგაა, ეს ეპიზოდი აღმოჩნდებოდა უკანასკნელი სამშენებლო საქმიანობა ალექსანდრეს ბიოგრაფიაში, რაკიღა ამიერიდან აღარასოდეს მოუწევდა რაიმეს აგება.

ისე გატაცებულიყო, ყურსაც არ ათხოვებდა წინათგრძნობის ფაჩუნს, ეს რკალი ამით მოთავებულად იგულისხმე შენს ამქვეყნიურ ყოფაში და მარტოდენ იარაღზე იფიქრეო. ეჭვი ეჭვად რჩებოდა, მაგრამ ამ საქვეყნო საქმეს როგორ გამოეცლებოდა.

დაე მომხდარიყო მოსახდენი — გასხლტომა მის ახალ ხელობად ქცეულიყო და კიდევ ბევრჯერ მოუწევდა ამ ხელობის გამოყენება, შემდგომ და შემდგომ მისი სახება სულაც გასხლტომას რომ გაუიგივდებოდა — ჰეროიზმსაც, თავზეხელაღებულობასაც, ყველაზე სახიფათო და მღელვარე ამბების შუაგულში მოქცევასაც და... გასხლტომასაც.

მაინც მოუწევდა გიორგის ხელშივე ამ უნარის გამოყენება.

წელიწადზე მეტხანს გარეგნულად უდრტვინველად ცხოვრობდნენ ბატონიშვილები და აღარც ალექსანდრეს შფოთვისა ისმოდა რაიმე, მაგრამ შინაგანად უკიდურესად დამუხტულიყო თვითეულის არსებაც და მათი მომხრეებისაც, დასდასებად რომ დაწყობილიყვნენ უკვე და წამიწამზე მოელოდნენ აფეთქებას.

ალექსანდრეს კი შეპირდებოდა მეფე გიორგი, ანდერძი აღსრულდება მტკიცედ და განუხრელადო, მაგრამ სხვა ძმები რომ კვლავაც იმ ფიცის ქვეშ ჰყავდა, ერთგულება რომ მოითხოვა მათგან და კიდეც დაადასტურებინა?!. ამიტომაც ჩანდა მოჩვენებითი ის სიმშვიდე, რაც სასახლის კარსა და საუფლისწულოებში დასადგურებულიყო, ქარიშხლის სუნთქვა ტრიალებდა, წინააღმდეგობა ბორგავდა და კიდეც მოსკდებოდა 1799 წლის ივნისის იმ დღიდან, როდესაც გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგიდან დაბრუნდებოდა და ჩამოიტანდა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცების სიგელს.

ფარულად ეთხოვა გიორგი მეცამეტეს ეს უფლება და აჰა, დასტურიც ებოძებინათ.

უკვე თმობდა, ძალიან თმობდა თავის უფლებებს მეფე გიორგი, გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებიდან უკან იხევდა და მეტსაც შეპირდებოდა კავკასიის ქედს გადმოტოტილ თეთრ დათვს, ოღონდაც მისი და მისი ძის გავლენა შენარჩუნებულიყო. რას წარმოიდგენდა, ეს დათმობანიც რომ არაფრად უჩნდა რუსეთის იმპერატორს და გულში

ქირქილებდა, ახალ მეფედ დავით უფლისწულის დამტკიცების სიგელს რომ აწერდა ხელს, იმასაც ვნახავ, რა გვირგვინსაც დაიდგამსო.

გაცვივდ-გამოცვივდებოდნენ ბატონიშვილები თავთავიანთ საუფლისწულოებში და, როგორც გიორგის არ ჩაეგდო არაფრად მამის ანდერძი, ისევე უარყოფდნენ ესენი ერთგულების ფიცს.

აღარც ემორჩილებოდნენ.

მუქარასაც მუქარაზე უთვლიდნენ.

ალექსანდრეც თავის საუფლისწულო მამულში ჩადგებოდა, შულავერში, და რეალური გეგმის შემუშავებაზე გადაერთვებოდა. დიდი, მკვეთრი ცვლილებანი იყო უკვე მოსალოდნელი. აქამდე თუ კიდევ უბუუტავდა იმედი, ამიერიდან ამგვარ იმედებს პირწმინდად უნდა გამოთხოვებოდა და ან ეღიარებინა რუსთა მმართველობა, ანდა თავი არ დაეზოგა მათ განსადევნად.

მეფე აქამდე თუ გაყუჩებოდა ძმებს და მათთან მორიგებას, გარეგნულ სიმშვიდეს ამჯობინებდა, შესაფერის დროს ელოდებოდა, რუსის ჯარის შემოსვლას, და ისინიც რომ ჩამოჰყვებოდნენ იმპერატორის სიგელს, კიდეც ენერგიულად ამოქმედდებოდა.

დარეჯან დედოფალს მამულებს ჩამოართმევდა.

იულონ ბატონიშვილს, ვისაც უნდა გადასცემოდა ტახტი ერეკლეს ანდერძით, საუფლისწულო მამულში, გორსა და სურამში, ჯარს ჩაუყენებდა, თანაც ქართველებს არ დაენდობოდა და რუსებს სწორედ ამისათვის მოიშველიებდა.

მუქარის შეთვლა აღარც სჭირდებოდა, ისედაც ავიწროებდა ტახტის მოცილეებს და... ალექსანდრეს ამოქმედების ჟამიც დგებოდა, თორემ როდემდე ყოფილიყო თავდასხმისა და გასხლტომის მოლოდინში და როდემდე ეტრიალა მშობლიურ მინა-წყალზე, მარტო აქედან ვერას გააწყობდა, და ის-ის იყო სპარსელები ხოის მფლობელის ჯაფარ-ყული-ხანის დასასჯელად რომ დაიძვროდნენ, ალექსანდრე მათკენ გაეშურებოდა.

მოთვალთვალენი არ აკლდა გარშემო, მის ყოველ ნაბიჯს მიყურადებოდნენ და, შულავერიდან გავიდოდა თუ არა, გენერალ-მაიორი ლაზარევი, რუსული ჯარის მხედართმთავრად გამოგზავნილი საქართველოში, მაშინვე შეიტყობდა მის მარშრუტს და საგანგებოდ შერჩეულ კაცსაც დაადევნებდა. მისი გვარიც არის ცნობილი — კალანტაროვი. და რა გგონიათ, კიდეც დაეწეოდა ბატონიშვილს ზედ საქართველოს საზღვარზე, მაგრამ ვერც ძალით გახდებოდა ვერაფერს და ვერც დაპირებებით მოისყიდდა.

ალექსანდრე საზღვარზე უნდა გადასულიყო, გენერალ ლაზარევს კი, გაგულისებულს ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგის გასხლტომით, მუქარა არ დაეშურებინა: თავის თავს დააბრალოსო.

სჯობდა კი თვითონ დაებრალებინა საკუთარი თავისათვის აქ შემოსვლა და ბაგრატიონთა სახლის აყრა-გადასახლებაში უშუალო მონაწილეობა, თანაც ის კადნიერება, მარიამ დედოფალს რომ ნასწვდებოდა ასაჩქარებლად და... ხანჯლით განგმირული დაეცემოდა.

საკუთარი ხელით გამოვასალმე სიცოცხლესო, — ქადილისათვის კი არა სჭირდებოდა დედოფალს, არამედ თავისი მცველის გადასარჩენად, ვისაც არ ეპატიებინა გენერლისათვის ეს უდიერობა. ხმა მაინც გამოვიდოდა — მცველმაო. ის ხმაც გავრცელდებოდა, ჯიბრაილ ბატონიშვილმა გამოფატრაო. ბევრს მარიამ დედოფლის სიტყვებისა უფრო სჯეროდა, დიახაც, არავინ ჩაურევია და შეურაცხმყოფელს თვითონვე მიაგო მისაგებელიო.

გვამისათვის რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ როგორ ირწმუნებდა მის დაღუპვას, თუნდაც ქალისათვის მიეწერათ, გამოთიშვოდა საქართველოს დაპყრობის პროცესს, თუმც გამოთიშვამდე ძალიან კი დაგვაზარალებდა.

აბას-მირზა, ირანის შაჰის მემკვიდრე, დაძვრით კი დაძრულიყო, მაგრამ რუსთა ჯარის შემომატებაც აფიქრებდა და ტორტმანებდა, გავაგრძელო წინსვლა თუ უკან გავბრუნდეო. და ალექსანდრე რომ ეახლებოდა თავისი მხლებლებით, ეს ძალიან შეაგულიანებდა და შინ დასაბრუნებლად გამზადებული ჯარს მაშინვე შემოატრიალებდა და ერევანს მიადგებოდა. მისი აღება არ ეეჭვებოდა, მაგრამ შემდგომ?.. და ქალაქის სიახლოვეს დაბანაკებული განჯის, ყარაბაღის, შაქისა და ავარიის ხანებს შეუთვლიდა და თანადგომასაც სთხოვდა, ერთობლივი ძალებით თუ მოვახერხებთ საქართველოსაკენ გალაშქრებასო.

აქაც ძალა მოეცათ ბატონიშვილებს, ალექსანდრეს გასვლა საზღვრიდან იმედს ჩაუსახავდათ იულონსა და ფარნაოზს, თავს მოუყრიდნენ 3 000-მდე კაცს და ტფილისში შემოსვლასაც შეძლებდნენ, ის კი არა, დარეჯან დედოფლის გამოტაცებასაც აპირებდნენ შინაპატიმრობიდან. მაგრამ გენერალი ლაზარევი ჯერ ენერგიულად მოქმედებდა, თავდაცვის თადარიგსაც დაიჭერდა და პეტერბურგისაგან დამატებით პოლკებსაც მოითხოვდა. ისინიც სასწრაფოდ დაიძრებოდნენ და, არამცთუ ბატონიშვილები ვეღარ დადგებოდნენ დედაქალაქში და ვერც დედას გამოიყვანდნენ სამშვიდობოს, ლამის ტფილისამდე მოღწეული აბას-მირზაც აიყრებოდა თავისი 15-ათასიანი ლაშქრით და თავრიზში გაბრუნდებოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი თან არ გაჰყვებოდა და ყარაბაღის სახანოში დარჩებოდა.

იქ დარჩენა გულისხმობდა, რომ ომარ-ხანს დაახლოებოდა და თანადგომა აღეთქვა, თუკი იგი კახეთისაკენ გამოლაშქრებას დააპირებდა. მსტოვრები იქაც შეეგზავნათ მეფე გიორგისაც და გენერალ ლაზარევსაც და თანაც იმდენნი და ისე გამოცდილნი, რომ როგორც უნდა ეფრთხილათ ავარიის ხანსაც და განდგომილ ბატონიშვილსაც, აგვისტოს შუა რიცხვებისათვის აქ უკვე ეცოდინებოდათ მათი განზრახვა და სათანადოდაც მოემზადებოდნენ ყოველ წუთს მოსალოდნელი შემოჭრის დროულად აღკვეთისათვის, ვიდრე აქაც გაჩნდებოდა აჯანყების კერები.

ოქტომბრის მიწურულს ომარ-ხანი ალაზნის გაღმა ნაპირზე დაბანაკდებოდა, ურდოს ფონთან, და ალექსანდრე ბატონიშვილიც რომ გამოჩნდებოდა, მაშინვე ქიზიყის მიტროპოლიტ იოანე ბოდბელთან აფრენდა წერილს და აცნობებდა, რომ აქ ქართველთა ასაკლებად და დასატყვევებლად არ მოსულიყო. მაინც რომ მოსალოდნელი გახლდათ სისხლისღვრა? შემოსევა უამისოდ ანკი როგორ მოხდებოდა? ამიტომაც სთხოვდა თხოვნით მიტროპოლიტს, ისე განაწყე სამწყსო, რომ ჩვენი შემოსვლა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოხდეს და მეც ცოდვა არ დამედოსო.

მეორე წერილს რუსთა ჯარის სარდალს მისწერდა, გენერალ ლაზარევს, და უმტკიცებდა, რომ სულაც არ აპირებდა ყოვლად მოწყალე რუსხელმწიფესთან ბრძოლას. და გაფრთხილებითაც აფრთხილებდა, რომ ჩამოხსნოდა მის დევნას, თორემ იძულებული შეიქნებოდა ყოველივე მისი უდიდებულესობისათვის მოეხსენებინა.

ნუთუ მართლა სჯეროდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ უფლებათა გადამეტება — ჯერ მხოლოდ გადამეტებად მოჩანდა — რუს სამხედროთა მხრიდან იმპერატორის უნებურად ხდებოდა?

ერთი ტოტლებენი თვითნებობდა და მეორე — ლაზარევი!..

საკუთარი ნებით ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა ვერც ერთი და ვერც მეორე, მაგრამ მაშინ ტოტლებენს ჩაუთვალა მეფე ერეკლემ იმპერატრიცას დავალებისაგან გადახვევა და ნუთუ ახლა ლაზარევს ედავებოდა ალექსანდრე და იმპერატორის სახელით აშინებდა?

ნუთუ ასეთი გულუბრყვილო გახლდათ?

როდესაც დიმიტრი ყიფიანი იჩენს ამგვარ გულუბრყვილობას და თანაც როდის — რუსებს უამრავი ცოდვა-დანაშაული რომ აქვთ ჩადენილი ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფოს სახელი ფორმა-

ლურადაც კი აღარ დაუტოვეს, და მიზანსწრაფულად აგრძელებენ ქართველთა გადაჯიშება-გაქრობის პროცესს, მშობლიურ ენასაც რომ აღარ გვიტოვებდნენ — რა გასაკვირია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილიც მოტყუებულიყო რუსთა დამკვიდრების გარიჟრაჟზე.

კრწანისის ტრაგედია მათ კისერზე რომ იდო, ესეც აკი მოგვიანებით გამჟღავნდებოდა ალექსანდრე ორბელიანის გულმოდგინე ძიების წყალობით, და ალექსანდრე ბატონიშვილს განა რა ეპყრა ხელჩასაჭიდი, რომ დაბეჯითებით ემტკიცებინა იმპერატორის ბრალეულობა?

თუმც ეგებ არც იჩენდა მიამიტობას და ძალიან კარგადაც ხედავდა, ვისი ხელი მართავდა ამ ყოველივეს, მაგრამ გენერალ ლაზარევის დამუნათებასა და იმპერატორისადმი პატივისცემის გამოცხადებას დიპლომატიურ ხერხად იყენებდა, თავისებურ ტაქტიკად, ვითომდა რუსხელმწიფეს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ მისი ნების გამამრუდებელ ხელქვეითებს, რომელნიც ცდილობდნენ საკუთარი წესკანონი დაემყარებინათ კავკასის ქედს გადმოღმა და ამისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის უგულებელყოფასაც აღარ ერიდებოდნენ.

თუ რუსის ჯარი განზე გადგებოდა, ალექსანდრეს ძმისწულები — იოანე და ბაგრატი — მისი მომგერიებლები არ იყვნენ. ყველაზე მეტად ალექსანდრე წარმოჩენილიყო ერეკლეს ძეთა შორის, ყველაზე მეტი პოპულარობა მას მოეხვეჭა ქართლ-კახეთშიც, დასავლეთ საქართველოშიც და ჩვენს საზღვრებს გადაღმაც, ეგაა, ჯერ მითოსში არ გადასულიყო, თორემ ამქვეყნიური ყოფის კვალობაზე უკვე ქუხდა და ლევან ბატონიშვილის შარავანდიც ხალხს მასზე რომ გადმოეტანა, ესეც არ ყოფილა შემთხვევითი. სოლომონ მსაჯულს ტყუილად არ გამოერჩია ძმებს შორის და ლევანთანაც დაუფიქრებლად არ გაეიგივებინა. იცოდა — სულ სხვა სხივს შესძენდა ეს შეტოლება ალექსანდრეს, სხვაგვარ მოლოდინს გააჩენდა მისადმი, სხვაგვარად იელვებდა მისი ყოველი ხსენება.

ალექსანდრეს ყოველი მიდგომ-მოდგომა ადასტურებდა სოლომონ მსაჯულის რწმენის უტყუარობას!..

და ახლა ეს განდგომილობა და იარაღის აღმართვა ბაგრატიონთა უფლებების შესანარჩუნებლად, კიდევ უფრო ატყორცნიდა მის სახელს.

ამიტომაც ეიმედებოდა, რომ ახალგამეფებული ძმა მის დამარცხებას ვერაფრისდიდებით ვერ შეძლებდა, რუსის ჯარით თუ არ იქნებოდა ზურგმომაგრებული.

კრწანისთან არ გამოჩნდნენ რუსი სალდათები?

ეგებ არც ნიახურასთან გამოჩენილიყვნენ, 6 ნოემბერს ომარ-ხანი და ალექსანდრე ალაზანს რომ გადმოლახავდნენ და გურჯაანისაკენ გამოემართებოდნენ.

მაშინ ბრძოლის ბედი სულ სხვაგვარად შეტრიალდებოდა, და არა ისე, გულმოკლული ბატონიშვილი იძულებული რომ შეიქნებოდა მარცხს შეგუებოდა 7 ნოემბრის იმ ავბედით დღეს, ქართველები რუსი ჯარისკაცების გვერდით ისე მხნედ და თავდადებით რომ იბრძოდნენ, თითქოს ისინი მართლა ჩვენს სახსნელად მოვლენილიყვნენ და არა იმპერიისათვის ახალი ტერიტორიის შემოსამატებლად; და თითქოს ისე არ მოქმედებდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში.

როგორღაც მიკარგულა ნიახურას ბრძოლა საისტორიო ქრონიკებში, თითქოსდა უმნიშვნელო.

არადა, უშუალოდ აგრძელებდა კრწანისის ტრაგედიას — არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდინარებით, და იქ იჭედებოდა ის ბოლო რგოლი, რომელზეც საქართველო უნდა მილურსმულიყო.

გავიმარჯვეთო, — ხარობდნენ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები.

გავიმარჯვეთო, — ცას სწეოდა სიხარულით გიორგი XIII.

და ეს ისტორიული ეპიზოდი, სამწუხაროდ და სავალალოდ, სულაც არ აღმოჩნდებოდა უკანასკნელი, როდესაც რუსეთი ქართველებისვე ხელით ჩაფუშავდა ჩვენს სახელმწიფოებრიობას... და ჩაახშობდა ამბოხებებს, წინააღმდეგობის მოძრაობას კი დროდადრო ისეც მოგუდავდა, ვეღარც იფიქრებდი, სულთმობრძავის გამოცოცხლება კიდევ თუ იქნებოდა შესაძლებელი... ქართველებისვე ხელით, ქართველებისვე ხელით... და ამ ყოველივეს არქეტიპი ნოემბრის ის დღე აღმოჩნდებოდა, იოანე და ბაგრატი ზეიმით რომ ბრუნდებოდნენ ტფილისში, ომარ-ხანი და ალექსანდრე კი გაასწრებდნენ და ალექსანდრე, დაჭრილი, კვლავ ყარაბაღსა და იბრაიმ-ხანს შეაფარებდა თავს.

დაჭრას ვერ გადაურჩა.

ვასილ ბარნოვს კი უვნებლად გამოჰყავს იმ ბრძოლიდან, მაგრამ ყოფითი რეალობა უფრო მკაცრი გახლდათ, ვიდრე მწერლის წარმოსახვა, ოღონდ ისე სასტიკიც არა, ალექსანდრე უკვე გამოთიშვოდა წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალს.

მისია აღსასრულებელი გახლდათ.

თავგანწირული კვეთება წინ იყო საგულვებელი.

ვასილ ბარნოვი ვერ შეეგუებოდა ნიახურას ბრძოლის მიჩქმალვას თუ სულაც ამოშლას საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და მოთხრო-

ბის ქვაკუთხედად ამიტომაც გადააქცევდა იმ ისტორიულ თათბირთან ერთად, თუმც რაკიღა მხატვრული ძალით ვერ აზიდავდა, საზოგადოებრივი ცნობიერებაც ვერ აღიდგენდა იმ ბრძოლის შინაარსს, ვერც მის განსაკუთრებულობას შეიგნებდა და კვლავაც ფერმკრთალი დარჩებოდა ნიახურას ეპიზოდი საქართველოს ბიოგრაფიაში.

და არა უკანასკნელი, საბედისწერო რგოლის გამჭედად... კრწანისის ბრძოლის საბოლოო ტრაგიკულ აკორდად.

და არა კიდევ ერთ შეხსენებად, რომ საქართველოს თავისუფლება მიუღწეველი იქნებოდა მთელი კავკასიის თავისუფლების გარეშე და რომ კავკასიელთ ერთად უნდა ებრძოლათ რუსეთისა თუ სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ექსპანსიის წინააღმდეგ.

ასე გაქარწყლდებოდა ალექსანდრეს იმედები, რომ ქართლი და კახეთი მის წინააღმდეგ ერთ ტყვიასაც არ გაისროდა და უომრად დაეუფლებოდა იმ ტახტს, რომელიც ძალიან შერყეულიყო და ჩასაძირად მიიწევდა ყოველდღიურად, ყოველწუთიერად, ყოველწამიერად... მის გამოჩენას თავისთავად უნდა გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი... არადა, სიკვდილს ძლივს გაუსხლტებოდა და... კვლავაც გენერალ ლაზარევს დაამუნათებდა და იმპერატორის სახელითაც დაემუქრებოდა: უთქვენოდ არც ქართლელი და არც კახელი ერთ ტყვიასაც არ მესროდა და, თუ რუსხელმწიფე შეიტყობს ჩემს ასეთ შევიწროებას, არ გაამართლებსო.

ილუზიას ასდევდა, რაც იყო, იყო, და ეგებ ახლა მაინც შეიგნოს გენერალმა, რომ სასჯელი არ ასცდებაო.

ან... ეგებ ტაქტიკა გახლდათ, რათა სულ არ მოეჭრა დიპლომატიური მოლაპარაკების გზა?!.

ესეც რა ამ ბრძოლის ბედი გახლდათ — ძლივს გაიხსენეს და შესაფერისი მნიშვნელობაც მიანიჭეს, მაგრამ მაინცდამაინც მაშინ, როდესაც ვასილ ბარნოვს მარჯვენა მოდუნებოდა.

რაკიღა ქრონოლოგიურად არ მიჰყვებოდა საქართველოს ბედისწერის მხატვრული მატიანის შექმნას, რა იქნებოდა, ეპილოგი დაეწინაურებინა?!. თუმც წინასწარ რა იცი, როდის რა წამოგეწევა და შენს საკეთებელს იმ თანმიმდევრობით მიჰყვები, როგორც ის დღეები მოითხოვენ, ულმობლად რომ ცვლიან ერთიმეორეს და სიმწრით წამოგაძახებინებენ: ღირს კი გრანდიოზული განზრახვანი ამ ხანმოკლე წუთისოფელშიო?..

ვასილ ბარნოვი მაინც მოსწრებაზე გახლდათ — ისედაც გაბედული ჩანაფიქრი და ძნელად თავმოსაბმელი მაშინაც, სიჭაბუკიდანვე რომ მოეკიდა ხელი, სიჭარმაგისას წამოეწყო და... სიბერეც კარზე

მოდგომოდა, შინაგანი მდუღარება განელებოდა, ექსპრესია გაფერმკრთალებოდა და ძველი საქართველოს აღსასრულის ეს საბედისწერო ეპიზოდი ამიტომაც ჩამსხვრეოდა ხელში.

არადა, უფრო ადრე ვერ მიწვდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის სახებას.

დამამთავრებლად ეგებ ადრევე მას გუმანობდა ქართლის ცხოვრების მხატვრული მატიანისა, მაგრამ მითოსური ფონი ჯერ ვერ ეპოვნა, ისკანდერის სახის შესაფერისად ამაღლების სათავე ვერ მიეკვლია და, აბა, ისე როგორ გამოეყვანა ასპარეზზე, მარტოდენ ყოფით გარემოში ჩაკეტილი?!.

აჰა, მიაგნო და რომანის ქარგაც გადაეშალა თვალწინ, ექსპოზიცია ისეთია, გაგრძელებად მხოლოდ რომანი რომ შეჰფერის, მაგრამ მღელვარე ფრაგმენტად დარჩებოდა დალოცვის სცენა, თხრობა თანდათან ისე რომ დაეშვებოდა დაბლა, როგორც მზიური ჭაბუკი ეშვებოდა ზეციდან.

და აკი ყოველივე ნამსხვრევებად მიმოიფანტებოდა.

გავიმარჯვეთო, — ბოლო სიხარული აღმოჩნდებოდა გიორგი მეცამეტისათვის.

ნააღრევია სიხარულიო, — თავს ინუგეშებდა ალექსანდრე ბატონიშვილი და გაოცებას ვერა ფარავდა, ასე რას გაედიდგულებინა გენერალი ლაზარევი, ხელმწიფე-იმპერატორის მისწრაფებასა და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას რომ არაფრად აგდებდა და მონდომებით ურევდა ჩვენს შინაურ ყოფას, ნაცვლად იმისა, რომ მოწესრიგებასა და წეს-კანონთა აღსრულებაში გაეწია შეწევნა.

აკი ყოველივე ნამსხვრევებად მიმოიფანტებოდაო...

ისიც ნამსხვრევია — სხვა შემთხვევაში კი რომანული ზოლი — ალექსანდრეს ყოფილ სიმამრს რომ ახსენებს ვასილ ბარნოვი ნიახურას ბრძოლის ერთ-ერთ მოთავედ.

მარტო ხსენებისათვის არ გაირჯებოდა, იმ ზოლის აღდგენაც რომ არა ჰქონოდა უზურში, ალექსანდრეს ჩაშლილი ქორწინების.

ავი ბედისწერისაგან გათვალულის.

თორემ თავიდან ისე სასიკეთოდ აეწყობოდა საქმე, ოჯახურ ბედნიერებას წინ რა უნდა გადაღობებოდა.

მეფე ერეკლე თვითონ ჩარეულიყო შვილის დაქორწინების სამზადისში და დიდი ყაბარდოს თავადის — მისოსტოვის — ასული შეერჩია.

გადაჯაჭვოდა ეს ორი გვარი ერთმანეთს. თავიდან ალბათ პირწმინდად პოლიტიკური მოსაზრებანი დაამოყვრებდათ ბაგრატიონებ-

სა და ყაბარდოს მთავრებს, მაგრამ ისე შეთვისდებოდნენ, სხვაგან გახედვას აღარც მოინდომებდა ერეკლე მეორე, ალექსანდრესათვის ცოლის შერთვის ჟამი რომ მოაწევდა.

ვახტანგ მეექვსის მეუღლეც განა ამ გვარიდან არ გახლდათ?

მონათლავდნენ, ახალ სახელად რუსუდანს შეარქმევდნენ და, სხვა შვილებთან ერთად, შობდა თამარსაც — მეუღლეს თეიმურაზ მეორისა და დედას ერეკლესი, ვინც 1790 წელს მოციქულებს აახლებდა ყაბარდოს მთავარს, ისედაც ნათესავს: დავმოყვრდეთო.

აღტაცდებოდა ამ შეთავაზებით მისოსტოვი და კიდეც წარმოგზავნიდა გოგონას ქართველი მეფის კარზე — გამდელსა და რამდენიმე ყაბარდოელთან ერთად — ჩვენებურ ზნე-ჩვეულებებსა და წესებთან შესაჩვევ-შესაგუებლად, ქრისტეს მცნების შესათვისებლად, საღვთო წერილში გასაწვრთნელად, შესაფერისი სწავლის მისაღებად და, რასაკვირველია, სახელის გამოსაცვლელადაც.

ეს გზა უკვე გაეარა რუსუდანს.

ახლა ალექსანდრეს დაწინდული შეეყენებინათ ამავე გზაზე.

სახელად ნინოს შეურჩევდნენ ახალმონათლულს.

მეფე თავის რძალს მიუჩენდა, სალომე ამილახვარს, და სიყვარული და ფუფუნება არ მოაკლდებოდა.

მაგრამ განუკურნებელი სნეულება უნდა შეჰყროდა ყაბარდოელ ასულს და... ზარი გამეფებულიყო ქართლ-კახეთის მეფის კარზე.

გლოვას მიეცემოდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

სამეფო კარის გლოვასა და ძმისადმი თანაგრძნობას ლექსად გარდათქვამდა მარიამ ბატონიშვილი, სახოტბო, სატირულ, სამგლოვიარო ლექსთა თქმაში რომ გაწაფულიყო და მერე კი ელეგიებში დაიტირებდა საქართველოს სამეფო კარისა და სახელმწიფოს დამხობას.

პოეზიის სიყვარული სხვა დებსაც მომადლებოდათ, ქეთევანსაც, თეკლასაც, მაგრამ მარიამს ორივესათვის წაეჭარბებინა, ნამდვილ პოეტად წარმომდგარიყო და მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ მის მრავალფეროვან პოეტურ მიდრეკილებათაგან მცირე მემკვიდრეობაღა შემოგვრჩენია. მათ შორის კი ის გამოსათხოვარი, ასე ნაადრევად გამოსალმებულ სარძლოს რომ მიადევნებდა:

ყაბარდოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე მანათობელად,
მისივე ხანთა ასული, ვინ არის ჩერქესთ ფლობელად,
რძლად მოუწოდა მეფემან, პალატის შესამკობელად,
იესო ქრისტეს სძლად ექმნა უმანკო დაუჭკნობელად.

ეს ლექსი შეიფარებდა საპატარძლოდ დარჩენილი ასულის ხსოვნას, აბა, „აქტების“ ერთ-ორ გაკვრით ცნობას ხომ არ მიენდობოდა.

ალექსანდრე დიდხანს დარჩებოდა უოჯახოდ და ორმოცდაათი წლისაც უნდა შექმნილიყო, ვიდრე ცოლს ითხოვდა და ვაჟიც მიეცემოდა. რამდენიმე წლით ადრე განზრახული ქორწინება ჩაეშლებოდა, და ერთიც — ჩაშლილი — და მეორეც — თავმობმული — თითქოს... თითქოს პოლიტიკური მოსაზრებით უფრო იქნებოდა ნაკარნახევი.

თვითონ იმდენს არ ზრუნავდა საკუთარი ოჯახის შექმნაზე, რამდენსაც აბას-მირზა, ირანის ტახტის მემკვიდრე, მისი კეთილისმყოფელი და ყველაზე საიმედო დასაყრდენი რუსთა განსადევნად ჩვენი მიწა-წყლიდან, და ამჯერადაც აბას-მირზას მონდომებას გაუწევდა ანგარიშს.

თამარ პაპავა ალექსანდრეს დაგვიანებულ ქორწინებას მისი მოუწესრიგებელი ყოფით ახსნიდა, სად ეცალა წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაბმულსო.

ალექსანდრეს საკმაო ხანს რომ მოუხდებოდა გლოვა:

— შემდეგ წლებში მას უკვე სხვაგვარი ფიქრები დაეუფლნენ. ამბები სწრაფად ვითარდებოდა; ღელვა იზრდებოდა, რუსეთი მაგრად იდგამდა ჩვენში საძირკველს და მის მოძულე ალექსანდრეს საკუთარი ოჯახის შესაქმნელად აღარ ეცალა; მაშინ, როცა „სტუმარი“ უძველესს და უძლიერეს ოჯახს ბაგრატიონებისას, რომელსაც 12-ტი საუკუნე ზურგს უმაგრებდა, ანადგურებდა და საქართველოს ორი ათასი წლის სახელმწიფოს ერთბაშად შლიდა, ბატონიშვილს უფრო დიდი ვალი აწვა... და ალექსანდრე ბრძოლად გაიჭრა და დააგდო ფიქრი საკუთარ ოჯახზე.

ბრძოლად გაჭრა, უფრო ზუსტად — უთანასწორო ბრძოლად გაჭრა — ამხელა ვალის აღსასრულებლად თავისთავად იწვევს ვარაუდს ამ და მხოლოდ ამ გადასახედიდან აიხსნას ალექსანდრეს ამდენი ხნის დაუოჯახებლობა.

თუმც ესეცაა —

თითქმის ათი წლის მანძილზე მას არაფერი უშლიდა ხელს დაქორწინებაში.

ნუთუ ეს ათი წელი გლოვას მისცემოდა?

ეტყობა, მართლაც გაუნელებელ წუხილს მოეცვა მისი სული და გული, რადგანაც ეს წლები ისე გადაიკეცა, არსად გაიელვებს ცნობა, რომ ალექსანდრე აპირებდა მაინც ცოლის შერთვას და რაღაც გარემოებებმა შეუშალა ხელი. ასეთი რამ რომ მომხდარიყო, დაფარული არ დარჩებოდა.

აშკარაა — ალექსანდრეს ვერავიზე შეუჩერებია არჩევანი, თვით პოლიტიკური მოსაზრებითაც არავის უწვდის ხელს.

და ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ნინოდ მონათლულ საპატარძლოს ღრმა ჭრილობა დაუტოვებია მის გულში. თავიდან პოლიტიკური ანგარიშით ჩამოუყვანეს თუ რა იყო, სიყვარულს კი გაუთანგავს და სხვა ქალისაკენ გახედვაც აღარ სურს.

თამარ პაპავა ასე იოლად ვერ შეეგუებოდა იმ ორი საქორწინო განზრახვის, ერთი ჩაშლილისა და მეორე — შესაფერისად დაგვირგვინებულის, პოლიტიკურ მოტივსა თუ სარჩულს და, რაკიღა ისტორიული წყაროები სათანადო ცნობებს არაფერს იუწყებოდა, ვარაუდებსა და მხატვრულ წარმოსახვას მისცემდა გასაქანს და შეეცდებოდა თავიც დაერწმუნებინა და მკითხველიც, რომ პოლიტიკურ მოსაზრებებზე მეტად ბატონიშვილის განზრახვას პირადი შთაბეჭდილება ასაზრდოებდა — უთუოდ ნანახი ჰყავდა ერთი ქალიც და მეორეც, და სიყვარულით აღგზნებულიყო.

მითუფრო გასაკვირია, რომ ყაბარდოელი მთავრის ასულს თითქოსდა ადვილად შეელეოდა, აღარ ჩაეძიებოდა მის პირად ურთიერთობას ალექსადრესთან და აღარც ვარაუდებსა თუ მხატვრულ წარმოსახვას მიენდობოდა, თორემ პოლიტიკური სარჩულის მიღმა სიყვარულის არსებობა აქ კიდევ უფროა საგულვებელი.

ბატონიშვილის ცხოვრების ათ წელიწადს ნუ ამოვაგდებთ განსჯიდან.

ნინოს გარდაცვალებას უშუალოდ ნუ გადავაბამთ ალექსანდრეს ბრძოლად გაჭრასთან.

და თავისთავად მიეხვდებით, რატომ აღარ მოუნდომებია ბატონიშვილს ფიქრი ოჯახის შექმნაზე საამისოდ სავსებით შესაფერის პირობებში.

განა რა იმდენი დრო მიჰქონდა მშენებლობის ხელმძღვანელობას, ცოლის შერთვაზე ფიქრი ამოეგდო გონებიდან!..

ყაბარდოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე, მანათობელადო...

ეტყობა, ზუსტი მეტაფორა შეერჩია საპატარძლოსათვის მარიამ ბატონიშვილს, და ეს მზე ველარ ამოეღო გულიდან ალექსანდრე ბატონიშვილს.

ქრებოდა ყმაწვილქალი და მასთან ერთად იმარხებოდა დიდი სიყვარულიც, პოეტურ ქვეტექსტებსა და ვარაუდებში გადანაცვლებული.

ხან იარაღი ეპყრა ხელთ უფლისწულს, ხან მშენებლობის საქმეებს განარიგებდა, ხან უთანხმოება მოსდიოდა უფროს ძმასთან, ხან რიგ-

დებოდა, ხან თვალნათლივ მოჩანდა საქვეყნო ასპარეზზე, ხან დამალვა უხდებოდა და ნინოს ხატება კი ყველგან და ყოველთვის თან სდევდა.

სულიერი ექსტაზი უჩვეულო არასოდეს ყოფილა მისთვის, განცდათა უკიდურესობა, განსაკუთრებული აღმაფრენა და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე სიარული ჩვეულებრივი მოვლენაა ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნულ ხასიათსა და ბიოგრაფიაში, და გასაკვირი ეს კი არ არის, ასე რომ დაადო თავი პირველ სიყვარულს, ასე რომ ჩაეფლო იმ განცდათა ტყვეობაში. გასაოცარი ის იქნებოდა, რუსთველური სიყვარული რომ არ გამოეცადა, მზის რაინდს მზის შეგრძნება წამიერად მაინც დაეკარგა.

და მარიამ ბატონიშვილი იმ ეპითეტის გამოხმობისას გაქვავებულ მეტაფორულ კლიშეს კი არ დაესესხება, არამედ ნინოს მოვლინება რუსთველურ სიმაღლემდე აჰყავს და სტრიქონთა შორის იგულისხმებს იმ დიდ ვნებათაღელვას, ალექსანდრეს რომ დაუფლებოდა.

ბრძოლად გაჭრილსაც ის ხატება ამხნევებდა.

სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონიაო...

თითქოს მის დავალებას ასრულებდა.

მის წინაშეც გრძნობდა მოვალეობას.

და ვასილ ბარნოვი უთუოდ რომ გრძნობდა თავისი გმირის სიყვარულის სინრფელესა და ამაღლებულობას, ამიტომაც შემოჰყავდა მოთხრობაში პერსონაჟად მისი ყოფილი სიმამრი.

უფრო ადრე რომ დაწერილიყო „ისკანდარი“, მწერალი ხელიდან როგორ გაუშვებდა ტრაგიკული სიყვარულის ამ ამბავს, წარმტაცსა და მგზნებარეს, ყოველზე ამაღლებულსა და ყოვლისწამლეკავს, ზღაპრული და მითოსური სახე-სიმბოლოებით გაწყობილს, სწორედ შესაფერისად რომ მიესადაგებოდა მოთხრობის სტილისტიკას.

ახლა, ვინ იცის, ნინოს სახებას შეჰყურებდა ალექსანდრე ბატონიშვილი და მის წინაშე იმართლებდა თავს, რუსები რომ არ ჩარეულიყვნენ, ტფილისამდე ტყვიის გაუსროლელად ვივლიდიო.

უფრო დიადი, უფრო კეთილი, უფრო მონყალე სხვა არავინ ეგულებოდა დიმიტრი ყიფიანს, ვიდრე რუსხელმწიფე გახლდათ, და თავგანწირულად რომ ეკვეთებოდა რუსიფიკაციის სამ ბურჯს — მეფის ნაცვალს, განათლების მზრუნველსა და ეგზარხოსს — დარწმუნებული იყო, მისი ეს მცდელობა იმპერატორის ყურამდე მიაღწევდა და ხელსაც გამოიღებდა უსამართლოდ შევიწროებული ქვეყნის დასაცავად. დიმიტრის კი ასეთი ერთგულების გამოჩენისათვის არაფერი

ენება ხელმწიფისაგან, მისთვის სავსებით კმაროდა, საქართველო კულტურულ თავისთავადობას რომ შეინარჩუნებდა რუსეთის იმპერიის საზღვრებში.

ალექსანდრე ბატონიშვილი მთლად ამ თვალით არ შეჰყურებდა რუსხელმწიფეს, და თვითონაც, როგორც სამეფო საგვარეულოს შვილს, თავი ეგებ მასზე ნაკლებად არ ელირსებოდა, მაგრამ რაკიღა ბედისწერის ჩარხი ასე უკუღმართად დატრიალებულიყო, გენერალ ლაზარევს თუ არაფერს დაუთმობდა, იმ იმედით, იარაღის ხმაური მაინც მიაღწევს იმპერატორის ყურამდე და უსათუოდ გამოიღებს ხელს უსამართლოდ შევიწროებული ქვეყნის დასაცავადო.

— ჩვენ შევეცდებით უკეთ და უფრო ერთგულად ვემსახუროთ ხელმწიფეს და ყოველად მოწყალე ხელმწიფის ჯარებთან არასოდეს არ ვიომებთ.

კი მაგრამ, როგორ უნდა მომხდარიყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად გებრძოლა და „ყოველად მოწყალე ხელმწიფის“ ჯარებთან არ გეომა?

სხვაგვარად წარიმართებოდა ყველაფერი ფიქრში.

რეალობა სულ სხვაგვარი გახლდათ.

და თვით ალექსანდრე ბატონიშვილის გამჭრიახი გონებაც ვერ განჭვრეტდა იმთავითვე, რუსეთი რისი ჩამდენი გახლდათ სახელმწიფოებრიობასა, სამეფო ტახტსა და კათოლიკოს-პატრიარქის სკიპტრასაც რომ შეიძლებოდა შეხებოდა კადნიერად და შემმუსვრელის ჟინით.

იღუპებოდა სახელმწიფო და მასთან ერთად ქარწყლდებოდა ილუზიებიც.

ქართველებმა ტყვია როგორ მესროლესო, — ვერ მოენელებინა ალექსანდრე ბატონიშვილს.

თავი მეხუთე

ჟამი მეფობისა წარხდეს

ჯერ გიორგი მეცამეტის გამეფება აამღელვარებდა ძმებს.

მერე მისი აღსრულება 1800 წლის 28 დეკემბერს.

ნეტა თავისით თუ?..

პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული რომანის ჩაკითხვა არავითარ ეჭვს არ გიტოვებს, რომ მეფე თავისი დღით, თავისი ავადმყოფობით აღესრულა.

— მეფე იქმნა სნეულებითა დამძიმებული.

— მეფე იყო დროთა ამათ დიდად სნეული...

— მეფემა, მდებარემან საწოლსა უიმედოსა განკურნებისა წყალმანკისა გამო განძლიერებულისა, — ინება და სთხოვა კათალიკოსსა ანტონის...

— 27 დეკემბერსა დილით მეფესა დაეკარგა მადა. არღა ინება არცა ნვნიანი, არცა ჩაი პატრისაგან მომზადებული, არცაღა მიიღებდა წამალსა თათულა ექიმისაგან და იოსება აქიმბაშისაგან (ყარაევისა). წყალმანკი გაძლიერდა, მოაწვა გულსა და დააწყებინა ქშენა, დროდადრო მოითხოვდა ალიბუხარისა წყალსა.

— 28 დილით მეფესა, გონებისა არა დამკარგავსა, ულოცეს ცისკარი და მერეთ წირვაცა და 11 საათსა დილით შემდგომად ჩამოლოცვისა განუტევა სული, — ვითარცა ცხოვრება მისი იყო ქრისტიანებრი, იტყოდენ ხშირად მუნ დამსწრენი, ეგრეთვე აღსასრულიცა მისი იყო ქრისტიანეთა ვედრებისა გვარი...

პლატონ იოსელიანი ირწმუნებოდა, რომ გულდასმით გამოეკითხა იოანე ყარაევი, ვინც დილიდან საღამომდე თავზე ადგა მომაკვდავ ხელმწიფეს და იხსენებდა, რომ მეფე ყოფილა: უხვი, სიტყვით ძლიერი, მლოცველი, უტყველი და ფიქრით წმინდა.

აღწერა გიორგი მეცამეტის უკანასკნელი დღეებისა მარტოდენ ბუნებრივ ავადმყოფობაზე რომ გაფიქრებს, ბიოგრაფოსს სურს ეს თუ არა, ეჭვი მაინც გიჩნდება გარემოებათა უცნაური თანხვედრის

გამო — სამი წელიც ვერ იმეფა, რაღაც ძალიან მალე გაჰყვა მამის სულსო.

რატომაც არა — შესაძლოა მართლაც ასე მომხდარიყო, არავის დაეჩქარებინა მისი აღსასრული, მაგრამ განა მოსალოდნელი არ არის, რომ მოსაწამლად გაემეტებინათ?

არ იკადრებდნენ რუსები თუ რა?

არ სჭირდებოდათ თუ რა?

გენერალი ლაზარევი ვითომ მარტოდენ თვალყურს ადევნებდა გიორგი მეცამეტის ავადმყოფობას და ეგ იყო და ეგ მისი მთელი ჩარევა იმ მოვლენებში?

ნუთუ ძალდაუტანებლად არ წამოგაგონდათ „ელგუჯა“?

მთიულთა თავყრილობაზე ქალაქიდან ამოსული სტუმარი რომ იტყვის:

— ჩვენდა ვაგლახად მეფემ დალია უმანკო სული... დიაღ, მეფემ დალია სული, და იმის უკანასკნელი ჟამი მნახველს გულს მოუკლავდა, ისე იტანჯებოდა განსვენებული.

ჯერ ეს ფრაზები შეგვაფიქრიანებს, რადგანაც ამისი მსგავსი არაფერი ამოგვიკითხავს პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიულ ქრონიკაში. იქ არ არის ხაგზასმული ისეთი ტანჯვა, მნახველს რომ გულს მოუკლავდა.

მაგრამ მთავარი ეს არის თუ არის:

— იმის სიკვდილის შემდეგ შემოვიდნენ ქალაქში რუსეთს გაგზავნილი კაცები და მაშინდელმა მართებლობამ გამოაცხადა მეფე გიორგის სურვილად — საქართველოს რუსეთის მფლობელობის ქვეშ შესვლა!.. ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგანაც ჩვენ რუსეთისგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქეცით... მართლა მეფემ გადასცა საქართველო, თუ გაგზავნილებმა გამოსცვალეს ქაღალდები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდა, — ეხლაც არავინ იცის...

მოტივიც გახსნილია და ბრალიც დადებული!..

ალექსანდრე ყაზბეგისათვის ცნობილი გახლდათ ბევრი ზეპირი გადმოცემა არამარტო მთიულეთის აჯანყების, არამედ საქართველოს სამეფოს უკანასკნელი დროების შესახებაც.

ამდენად:

როგორც ხმა გამოვიდაო, — მხატვრული წარმოსახვის ნაყოფს კი აღარ ჰგავს, არამედ უშუალო გამოძახილს ყოფითი რეალობისა, ზეპირად შემონახულს, დოკუმეტურ წყაროზე ნაკლები მნიშვნელობა რომ არ ენიჭება.

ვთქვათ და, უშუალო გამოძახილი კი არ იყოს, არამედ ალექსანდრე ყაზბეგი ამჯერად თავის დაკვირვებასა და ალღოს უფრო მინდობოდეს და, ზეპირი გადმოცემის დაკარგვის ან არარსებობის გამო, პირად შთაბეჭდილებას უზიარებდეს მკითხველს.

მხატვრულ ვარაუდს მიაწერდეს თავის პერსონაჟებს.

მაშინაც კი დიდად გასათვალისწინებელი იქნებოდა ეს პასაჟი, რადგანაც სულ ერთი არ არის, რას იფიქრებს „ელგუჯას“ შემოქმედი, რას განჭვრეტს, რას იგუმანებს.

მთავარია, რომ რუსებისაგან სავსებით მოსალოდნელი გახლდათ ასეთი რამ.

და მეფე გიორგი თავისი სიკვდილით რომ არ აღსრულებულიყო, უსათუოდ „ნაეხმარებოდნენ“, რადგანაც ამდენს უკვე ვეღარ მოიცდიდნენ. მთლად ჩამოგდებას მოერიდებოდნენ, მაგრამ უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში შედარებით ადვილად რომ შეეძლოთ ტახტის გაუქმება, ამისთანა შემთხვევას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ.

მოულოდნელად ყმად კი გადავიქეცით... გაგზავნილებმა გამოცვალეს ქაღალდები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდაო...

და:

ეხლაც არავინ იცისო...

ეს რაკიღა იმჟამინდელი დოკუმენტური წყარო ვერ დაგვიდასტურებია, თორემ ალექსანდრე ყაზბეგმა იცოდა და ძალიანაც კარგად იცოდა.

ჯერ გამეფება.

მერე მისი აღსრულებაო...

ეს მაინც განსაკუთრებით.

მაშინ გიორგის ყველა ერთსულოვნად აღიარებდა ტახტის მემკვიდრედ, ამ მხრივ არაფერს ედავებოდნენ, ეგაა, არ მოსწონდათ და ძალიანაც არ მოსწონდათ მისი ფარული ხლართები, ერეკლე მეორის ანდერძის შესაცვლელად გამიზნული.

ეს დღეც დამდგარიყო, როდესაც იულონი კი არ გამოცხადდებოდა მეფედ, არამედ დავითი — ძე და არა ძმა, თანაც მეფედ კი არა, მემკვიდრედ და მმართველად. ასე ჩამოეტანათ ჯერაც გიორგის მიერ იმპერატორთან გაგზავნილ ელჩებს პავლე I-ის გადაწყვეტილება.

ეს განა იმავეს არ ნიშნავს — მემკვიდრე და მმართველი განა მეფე არ არის?

არის და... არც არის.

რაღაც გარდამავალ საფეხურად უფრო მოჩანს მთავარმართებელსა და მეფეს შორის, მეფობისათვის დამატებითი რწმუნებანი რომ გჭირდება.

და დავით ბატონიშვილი დატრიალებით რომ დატრიალდებოდა და თავის ერთგულებაზე დაფიცებას მოსთხოვდა ქვეშევრდომებს, თან ელჩებსაც აახლებდა რუსხელმწიფეს მეფობის სიგელის სათხოვნად.

რამდენიმე საუკუნის წინათ გიორგი მეშვიდე რომ ავიდოდა ტახტზე მამის, ბაგრატ მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, დიდად განრისხდებოდა თემურ-ლენგი ამგვარი „თვითნებობით", დაძრავდა ურიცხვ ლაშქარს და ყარაბაღში რომ დადგებოდა დროებით და იქაურობას გადაავსებდა მებრძოლთა სიმრავლით, ბარათს მისწერდა ქართველ ხელმწიფეს და ამცნობდა:

— მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა და შემომრიგდი, და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივ-გცემ; და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოგიოხრებ სრულიად ქვეყანასა შენსა.

თემურ-ლენგის მოციქულს ასე დააბარებდა ქართველთა მეფე:

— მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოოხრება ქუეყანისა ჩემისა და, ვინათგან უთქვამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყომცა დიაცი და არა კაცი.

მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარო...

ასეთი პასუხისათვის არა კმარა მარტოდენ პიროვნული სიმამაცე, აუცილებელია სახელმწიფოებრივი აზროვნება და ეროვნული თავმოყვარეობა, თორემ სიმამაცე არც დავით ბატონიშვილს ჰკლებია და აკი კრწანისშიც არ მორიდებია გაბედულ სამხედრო მოქმედებას...

მაგრამ მას აღარ სწამდა, რომ სხვა მეფეზე უმცირესი არ იყო.

ვეღარ სწვდებოდა სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ვეღარც ეროვნული თავმოყვარეობა აფორიაქებდა ისე ძლიერად, რომ პავლე I-თან არ გახდომოდა სახვეწარი მეფედ მონათვლა.

მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარო...

ამის მთქმელი იულონ ბატონიშვილი გახლდათ, ვისაც უნდა გადმოსცემოდა ტახტი და ვის ერთგულებაზეც აფიცებდნენ ძმები თავიანთ მომხრეებს.

იმჟამად მარტყოფში მოეყარათ თავი და ყარაბაღში ალექსანდრესაც რომ უთვლიდნენ; დროზე ჩამოგვისწარი, თორემ დაცდას აღარ ვაპირებთ და უშენობაც არ ივარგებსო, — შიკრიკს ომარ-ხანთანაც აფრენდნენ: ნიახურასთან რაც მოხდა, მოხდა, და მაინც შენი გვეიმედებაო.

ალექსანდრე სასწრაფოდ გადავიდოდა ყაზახში, იქ თავის ერთგულ მებრძოლებს შემოიკრებდა, 500-მდე კაცს, 8 იანვარს შამშადილში ჩამოვიდოდა, იქიდან კი — მაჩხაანში, მაგრამ იქ უნუგეშო ამბავი დახვდებოდა. რუს-ქართველთა გაერთიანებულ ჯარს იოანე ბატონიშვილი ჩადგომოდა სათავეში და ელვასავითაც დაძრულიყო. იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები შეეცდებოდნენ ძმისწულისათვის დაესწროთ და — ფარნაოზს ქართლში რომ გაგზავნდნენ — თვითონ ქიზიყისაკენ გასწევდნენ, ჯერ ბოდბეში, იქიდან კი მაჩხაანში. იოანე კვალდაკვალ მისდევდათ და გზად მირიან ბატონიშვილის ხელში ჩაგდებასა და ტფილისისაკენ გაგზავნას მოახერხებდა. ესენი ლამობდნენ თავიდან აერიდებინათ ბრძოლა და კიდეც გადავიდოდნენ იორზე, სწორედ იქ, სადაც წინა წელიწადს ომარ-ხანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს მარცხი განეცადათ, და მუხრანს შეაფარებდნენ თავს.

და იდგა მაჩხაანში საბრძოლველად შემართული ისკანდერი, თანმხლებნი თანდათან რომ შემოეფანტებოდნენ: ასე მცირენი იოანეს მხედრობასთან მაინც ვერაფერს გავაწყობთო, — და წინამძღოლს ოცი კაცის ანაბარა დატოვებდნენ.

დავით გარეჯის მონასტერს შეეფარებოდა ალექსანდრე, სულს მოითქვამდა და ორიოდ დღეში ძმებს ჩააკითხავდა მუხრანში.

ბრძოლის განახლების ადგილად ეგულებოდათ?

თავიდან იქნებ ასეც აპირებდნენ, ახლა თუ დავთმეთ, როდისღა აღვიდგენთ კანონიერ უფლებებსო; მაგრამ აწონიდნენ, დაწონიდნენ, ომარ-ხანსაც გახედავდნენ გუმანით, განა რას მოასწავებს მისი თანადგომა, ნიახურაზე უფრო მეტის მოლოდინი უნდა გექონდეს თუ არაო... ვერა, დიდად საიმედოს ვერაფერს იგუმანებდნენ და ავარელთა ხანს რომ შეუთვლიდნენ: ამჯერად გადადება სჯობს და ჩვენს ნიშანს კი ელოდე, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაგვჭირდება შენი შემწეობაო, წამოკრეფდნენ დედაწულს, თავიანთ მომხრე თავადაზნაურობასაც თან იახლებდნენ და თებერვლის დამდეგს იმერეთს შეეხიზნებოდნენ, სოლომონ მეორის კარზე იპოვნიდნენ თავშესაფარს.

რას იზამ, იმერეთში გადასვლა ხიზნობად ითქმოდა.

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო...

თავს ამ რუსთველური შეგონებით ინუგეშებდნენ.

„კარგისა მამაცისაგანო“ ოდნავ მაინც გაუნელდლებდათ გულს.

დაე მოგვიანებით მკვლევარებს ედავათ, მართლა რუსთველურია ეს სტრიქონი თუ მისი სკოლის პოეტისა, ბატონიშვილებისათვის სიბ-

რძნეც გახლდათ და სანუგეშოც, მითუმეტეს, გულშიც და ხმამაღლაც აუცილებლად დასძენდნენ: ეს მხოლოდ დროებითო.

რუსეთის სამეფო კარისათვის არც იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების გასხლტომა გახლდათ უხიფათო, რას ჩაიდენდნენ, ამბოხების რა ხანძარს ააბრიალებდნენ, საგონებელი მიეცემოდა იმპერატორს, მაგრამ ალექსანდრე მაინც სხვაგვარად აშფოთებდათ სხვა ძალ-ღონესა და ენერგიას ხედავდნენ მასში, სხვა ნებისყოფას, სხვა ჟინსა და შეუპოვრობას, და ამიტომაც დაევალებოდა გენერალ ლაზარევს მოლაპარაკების განახლება, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, არც ნიახურას ბრძოლა არსებულიყოს და ახლაც საომრად არ დაბრუნებულიყოს ისკანდერი სამშობლოში, ყოველ შემთხვევაში ისეც არაფერი ჩაედინა, რომ მონანიებისა და პატიების თხოვნისას იმპერატორს არ შეენდო მისთვის, და არამცთუ დანაშაული ეპატიებოდა, ეს რა სათქმელია, შესაფერისი პატივიც არ მოაკლდებოდა და პირადადაც შეახვედრებდნენ რუსხელმწიფეს.

მარტი დგებოდა უკვე, და ჰაერი იმ უცნაური ხმებით დაიმუხტებოდა და გაითანგებოდა, რომ... რომ... რომ რუსეთი სულაც არ აპირებდა დავით ბატონიშვილის მეფედ კურთხევას და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაც კი განეზრახა.

ბატონიშვილები იჯერებდნენ და ვერც იჯერებდნენ.

21-საუკუნოვანი სახელმწიფო სადღაც ქრებოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის საპასუხო ბარათი კი სანუგეშოს ვერაფერს ამცნობდა გენერალსა და საიმპერატორო კარს, მიუხედავად იმისა, რომ ისკანდერი ირწმუნებოდა: მზად ვარ სრული გულმოდგინებით ვემსახურო ხელმწიფეს, ჩემს გულს სურს განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინოს და ამას გიცხადებთ ჩემი ქრისტიანული სინდისითო.

ჯერ ერთი, დაბეჯითებით უარყოფდა თავის ბრალეულობას.

და მეორეც, არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა პეტერბურგში წასასვლელად და იმპერატორის წინაშე წარსადგენად.

საპატიო ტყვის ყოფა არა ხიბლავდა.

მონობაში გადიდკაცება არ აღაფრთოვანებდა.

მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარო...

დიპლომატია დიპლომატიად, იმედოვნება იმედოვნებად, მაგრამ რუსეთის დედაქალაქში რა დარჩენოდა ქართველ ბატონიშვილს, ვისაც იულონის შემდგომ მეფის გვირგვინი უნდა დაედგა თავზე — ამას და მხოლოდ ამას მოითხოვდა ერეკლეს ანდერძის აღსრულება.

გვირგვინი სადღა იყო, თორემ!..

იცვლებოდა იმპერატორი, თანაც ტრაგიკულად აღესრულებოდა პავლე I, შეთქმულები რომ მოახრჩობდნენ და გზას გაუხსნიდნენ ტახტისაკენ ალექსანდრე I-ს, ვინც არ გადაუხვევდა სახელმწიფო პოლიტიკას და პირველი რიგის საქმეთა შორის იგულისხმებდა ქართლ-კახეთის გადაკეთებას იმპერიის სამხრეთ პროვინციად, გუბერნიებად მოწყობის სისტემით.

არადა, დავით ბატონიშვილს ყველაფერი უკვე მოგვარებულად ესახებოდა, რაკიღა შიდა წინააღმდეგობა უბრძოლველად აღეკვეთა და უახლოეს ხანს ისეთი ხიფათიც არ იყო მოსალოდნელი სოლომონ მეფის ხიზანთაგან, მისი მეფობა რომ ჩაშლილიყო, ხალხის თვალში უკვე აღიარებული და მის მომხრეთაგან ხომ დაბეჯითებული და დაბეჯითებული.

დამტკიცებაღა აკლდა, ფორმალური აქტი, იმპერატორის სიგელი, წამი-წამზე მოსალოდნელი.

დაიდგი გვირგვინიო, — შეაგონებდნენ ის მომხრენი, რაღაც ეჭვები რომ გასჩენოდათ და, რაც მთავარია, ვერ ეგუებოდნენ, რომ ქართველ მეფეს შესაძლოა ვისიმე რწმუნება თუ დასტური დასჭირებოდა.

სოლომონ მსაჯული ხომ სულაც მამხილებლად და მგმობელად მოვლენოდა ყოყმანში ჩავარდნილს, ახლა ასე ითრევს ფეხს და მერე რაღას იზამს, თუკი გვირგვინი ეღირსება, მეფის შესაფერისად ხომ შემდგომაც ვერ განარიგებს სახელმწიფო საქმეებსო.

ძველი საქართველოს მზე ჩადიოდა.

გენერალი კნორინგი გამოცხადდებოდა მაისის მიწურულს საგანგებო დავალებით — გადაეყენებინათ დავით ბატონიშვილი მმართველობიდან და ძალაუფლება დროებითი ხელისუფლებისათვის გადაეცა.

ეგღა დასცალდა დავით ბატონიშვილს, დაპირისპირებოდა წინააღმდეგობის მოძრაობას და დაეჩქარებინა მისთვის მმართველობის ჩამორთმევა.

ახლა, ტახტზე უფლებადაკარგული, იძულებული შეიქნებოდა თვითონაც წინააღმდეგობის მოძრაობას მიკედლებოდა.

ბიძები მაშინვე გადაივიწყებდნენ პირად წყენას.

რაღა დროს იმ სამწუხარო ეპიზოდის გახსენება იყო, ემხობოდა სადავითო სახლი, ქარს მიჰქონდა ტახტიც და სამეფოც, და საიდუმლო ფიცით შეიკვროდნენ ბაგრატიონები იმის დასაბრუნებლად, რაც სულ ცოტა ხნის წინათ მათ ხელში იყო და შეეძლოთ, შეეძლოთ არც დაეთმოთ — ყოველ შემთხვევაში ასე იოლადაც არა, თოჯინებივით მაინც

რომ არ აეთამაშებინა ეს საბრალონი იმპერიულ ხელისუფლებას და ისევე გაებრძოლათ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მამა-პაპათაგან როგორც მოსდგამდათ და თვითონაც უკვე გამოეჩინათ თავი.

იმერეთიდან შემოუთვლიდა მმართველობას ჩამოცილებულ ძმისწულს ალექსადრე ბატონიშვილი: შენს გვერდით მიგულე, ყველაფერს ვიღონებ შენს დასახმარებლადო.

დასახმარებლად ანუ — იმპერატორის მოხელეთა თვითნებობის აღსაკვეთად, თორემ წრფელი ბუნების კაცისათვის მაინც გაუგებარი რჩებოდა ამვარი გადაწყვეტილების იმპერატორული სათავე. ის, რაც გაბუდაყებულ მოხელეს შეიძლება ჩაედინა, ძალაუფლების მოპოვებით თვალდაბნელებულს, განა ღვთითკურთხეული ხელმწიფეც იკადრებდა?

ამიტომაცაა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც რომ კვლავ ამავე თვალსაზრისზე დარჩებოდა და გარსევან ჭავჭავაძეს მისწერდა:

— მე არა მგონია, რომ ხელმწიფე უსამართლო იყოს. ასე უწყალოდ ჩვენი დაკარგვა და დაფანტვა ხელმწიფემ ინებოს... მე არა მგონია, რომ ხელმწიფეს მოხსენებული ჰქონდეს ჩვენი ასე უსამართლოდ დაკარგვა.

დიპლომატიური ტაქტიკისათვის აკი ზედგამოჭრილი გახლდათ ამგვარი მტკიცება.

და ძმისწულს რომ ჰპირდებოდა ყოველმხრივ მხარში ამოდგომასა და ბრძოლას მის გასამეფებლად, ატყობდა, რომ ისევ ასე სჯობდა ქვეყნისათვის, ვიდრე დავითის ჩამოცილება იულონისათვის გზის გასახსნელად.

ხალხის თვალში რაკიღა დავითი მოჩანდა მეფედ, ერთხანს კიდეც რომ მმართველობდა, აღარ ღირდა შფოთისა და არევ-დარევის გაგრძელება და დაე გიორგი მეცამეტის ძმებს ეყაბულათ ძმისწულის გახელმწიფება, რათა მხოლოდ ასე თუ დავაღწევდით თავს კაბალას.

აქეთ შემოტრიალებულიყო ალექსანდრე.

მზად გახლდათ, სამუდამოდ აეღო ხელი ტახტის ძიებაზე, ოღონდაც ბაგრატიონთა სახელს კვლავაც გაეგრძელებინა თავისი თორმეტსაუკუნოვანი ღვაწლის აღსრულება.

ასეც ითხოვდა შემწეობას, სადაც მიდგებ-მოდგებოდა და რაღაც საიმედოს გამოელოდა — მე კი არ შემომეშველოთ ტახტის დაუფლებაში, არამედ ბაგრატიონთა სახლმა შეინარჩუნოს ქვეყნის გამგებლობაო.

საუკუნის დამდეგს უკვე ის ალექსანდრეა, როგორიც უნდა დარჩეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე — დაუღალავად მქროლი ვეება ტერიტორიაზე, კავკასიონის ქედს გადაღმა და გადმოღმა და ყველგან ფარული ქსელის გამბმელი. ეს დაღესტანიო, ეს ჭარ-ბელაქანიო, ეს ამიერკავკასიის სახანოებიო, ეს ახალციხის საფაშოო. აქ უკვე ისახებოდა საწყისი იმ ლეგენდისა, მფრინავი რაშის მხედრად რომ წარმოიდგენდნენ და ამიტომაც აღარ უკვირდათ აღარც მისი დაუღალაობა და აღარც მუდამწამიერი შემართება, თორემ სხვაგვარად როგორი დასაჯერებელია, რომ ყველგან მოესწრო მისვლა, მოლაპარაკება, შეთანხმება, აყოლიება.

სიტყვა შთამაგონებელი მოსდევდა.

რაღაც იდუმალ ძალასაც ახსივებდა.

და მისი თავგანწირული კვეთებაც ძალდაუტანებლად იწვევდა მხარში ამოდგომის წადილსა და ჟინს, ხნიერნი ახალგაზრდებს საბრძოლველად რომ მოუწოდებდნენ, და ჭაბუკებს ისედაც იარაღისაკენ მიუდიოდათ ხელი.

ჩემგან თანადგომა არ მოგაკლდებათო, — სოლომონი მაინც აღუთქვამდათ, თუმც ეს ისედაც იგულისხმებოდა. ქართლ-კახეთს თუ ვერ დაიბრუნებდნენ, იმერეთის სამეფოსაც იგივე ბედი ეწეოდა, ვერ გადაიქცეოდა იქაურობა მიუვალ ციხესიმაგრედ და ფრთაჩამოტეხილი ადრე თუ გვიან ისიც მორჩილების უღელში გაყოფდა თავს.

ქართლ-კახეთში სადავითო სახლი უნდა აღდგენილიყო — უსათუოდ და უთუმცაოდ.

1801 წლის აგვისტოში ალექსანდრე ფარნაოზთან ერთად ახალციხის ფაშას ჩააკითხავდა მახვილოს ციხეში, შერიფ-ფაშას შეპირების შემდეგ კი იულონსა და დავითსაც შემოიერთებდნენ, დარეჯან დედოფალსაც ჩართავდნენ ამ საქმეში და ერთობლივი ხელმოწერით ირანის შაჰს ბაბა-ხანს აახლებდნენ წერილს დახმარების თხოვნით.

დარეჯანი სულაც წინააღმდეგობის მოძრაობის შუაგულში მოექცეოდა.

ალექსანდრე ძალიან შეუწყობდა ხელს დედის გავლენის წამოწევას, ყოველთვის ამცნობდა ფარულ მოლაპარაკებათა გარემოებებს და სხვა ბატონიშვილებსაც ურჩევდა და შეაგონებდა, რომ სჯობდა ყველა ძაფს დედოფლის ხელში მოეყარა თავი, შეთქმულება მის ირგვლივ დატრიალებულიყო, ავლაბარში მისი სასახლე გადაქცეულიყო იატაკქვეშა მოძრაობის მთავარ საყრდენად და ჟამი რომ მოაწევდა — და ჟამს კი მალე უნდა მოეწია — აქედან უნდა ავარდნილიყო აჯანყების ხანძარი, ტფი-

ლისის შუაგული ადუღებულიყო და ამოფრქვეულიყო მეფე ერეკლეს თანამეცხედრის სახელით. თუმც მარტო სახელითაც არა — თვითონაც იქ იდგებოდა დარეჯან დედოფალი, მეამბოხეთა შორის, რათა გამქრალი სახელმწიფო კვლავ დაბრუნებოდა სამზეოს და თანაც ისე, რომ სამუდამოდ ჩაკეტილიყო დარიალის კარი რუსი მხედრობისათვის.

პოლიტიკური მიმართულება მკვეთრად შემოტრიალდებოდა და, თუმც ვერც ირანს ენდობოდნენ და ვერც ოსმალეთს, ისევ მათთან ურთიერთობას ამჯობინებდნენ, მათ მფარველობას უფრო იყაბულებდნენ, რაკიღა არც ერთი და არც მეორე ქვეყნისაგან ის საზარელი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, სამეფოს პირწმინდად რომ გააგიუქმებდა და ეკლესიის დამოუკიდებლობასაც ზედ მიაყოლებდა.

ერთმორწმუნეობაო... ქრისტეს რჯულიო...

საბურველი აღმოჩენილიყო რუსეთის იმპერიის ხელში ქრისტიანობა, სატყუარა, ადვილმისანდობი ძაფი, რომელიც უეცრად გაიზრდებოდა, თოკად და ჯაჭვად გარდაიქმნებოდა, ყელზე შემოგეხვეოდა და გაგუდვასაც დაგიწყებდა.

ან რაღა დაგიწყებდა — უკვე გაეგუდე და ეგაა.

1802 წლის დეკემბერს ალექსანდრე ბატონიშვილი საპროტესტო წერილს რომ გაუგზავნიდა მთავარმართებელ პავლე ციციანოვს, ამის პასუხს ითხოვდა და ბრალსაც სდებდა ახალ მმართველს: საქართველო ვის აღარ დაუპყრია, მაგრამ სამეფო არავის გაუუქმებია, ჩვენი გვარისათვის ტახტის წართმევა არა გვსმენია, ეს კი შეუფერებელია იმპერატორის ღირსებისა და სახელისათვისო.

ვერ გაეგო, თვითონ რომ ზრუნავდა რუსხელმწიფის ღირსებისა და სახელისათვის, ესენი, მისი მოხელეები რატომ არა ზრუნავდნენ?!.

წერილი ჭარ-ბელაქანიდან გამოეგზავნა და საპასუხო ბარათში მთავარმართებელი თავისას ურჩევდა: საქართველოში დაბრუნდიო.

მანამდე აკი გენერალი ლაზარევი არ ეშვებოდა და, ციციანოვს ვითომც არც გაეგოს მისი უარი, კვლავაც დაჟინებით უმეორებდა: დაბრუნდიო.

დაჟინება ალექსანდრემ იცოდა თუ იცოდა, თანაც დაჟინება — ფიცითა და აღთქმით განმტკიცებული, რომ თუნდაც შესწირვოდა თავის სწრაფვას, უკან არაფრისდიდებით არ დაეხია და ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლაში დაელია სული, რათა მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაადვილებოდა.

— ვიდრე საქართველოში არ იქნება მეფე ჩემი გვარიდან, მანამ ფეხს არ დავდგამ საქართველოში.

იმხანად იმერეთში იმყოფებოდა და კიდეც იწყებდა კავკასიის შემოვლას 1802 წლის აპრილიდან -- ჯერ ახალციხეს ჩააკითხავდა, იქიდან მაისში ერევნისკენ გასწევდა, მუჰამედ ხანთან, ივლისში ნახჭევანში გადავიდოდა და სპარსეთის სარდალ ფირ-ყული-ხანს ეახლებოდა, მასთან ერთად კი ბელაქანს მიუახლოვდებოდა, მაგრამ აგვისტოში სარდალს უკან მოუწევდა გაბრუნება, რაკიღა დაატყობდა, რუსები საკმაოდ არიან მომზადებულნი საიმისოდ, რომ მათი წყობის გარღვევა შეუძლებელი იქნებაო; და ალექსანდრეც კვლავ ნახჭევანში მოითქვამდა სულს, ვიდრე სექტემბრის მიწურულს განჯაში ჯევად ხანს ესტუმრებოდა და იქ დაყოვნდებოდა, ვიდრე დეკემბრისათვის ბელაქანს მიაშურებდა.

დაპირებით ყველგან რაღაცას პირდებოდნენ, მაგრამ უფრო ტორტმანებდნენ, არა ჩქარობდნენ, ერთმანეთს გაჰყურებდნენ და ისევ სიფრთხილეს, ზოზინსა და მოცდას ამჯობინებდნენ.

სამაგიეროდ, ეს ჩქარობდა, სული ესწრაფოდა და ეს მხოლოდ პიროვნული ხასიათის გამო არა, ზოზინი და ლოდინი სულს რომ უხუთავდა. ხედავდა, ყოველი დღე უარესსა და უარესს ხდიდა ქართლ-კახეთის ყოფასაც და საბედისწეროს — იმერეთის მდგომარეობასაც, იმერეთს სამეგრელო და გურიაც რომ ზედ მიჰყვებოდა და თანდათან მთელი საქართველო ჩაეფლობოდა და ისე ჩაეფლობოდა რუსული კევრის ქვეშ, მერე სახელმწიფოს ამოგება ბევრად საძნელო შეიქნებოდა, ყოვლად შეუძლებელი თუ არა.

ნურცერთი კუთხე ნუ იფიქრებდა, ეგებ მე მაინც გადავურჩე რუსეთის მოძალებასო.

ნურც საქართველოსი.

ნურც კავკასიის.

ნუ დაიმედდებოდნენ — სამეფო ჩვენთვის არავის გაუუქმებია, ჩვენი გვარისათვის ტახტი არავის ნაურთმევიაო...

შემოგვირიგდიო, — ვითომ ეს უბრალო საყვედური ყოფილიყოს ალექსანდრესადმი, ადვილად რომ მოგვარდებოდა და არა ღირდა მისთვის ამხელა ალიაქოთის ატეხვა.

ჩაგვბარდიო, — გამჭვირვალე ქვეტექსტი ეს გახლდათ, და არანაკლებ გამჭვირვალე: შენთვისვე სჯობს, რომ ჩაგვბარდეო.

განა არ დასდგომია ალექსანდრეს სასოწარკვეთილების წუთები... განა არ მოსდომებია ხელის ჩაქნევა და განზე გადგომა...

სხვაგვარად მართლაც როგორ შეიძლება მტკიცე რწმენა და შეუპოვრობა შეინარჩუნო ადამიანმა, თუ ხანდახან სისუსტემაც არ დაგ-

რია ხელი და არ გაფიქრებინა, რისთვის ან ვისთვის ვიკლავ თავს, რას ვწირავ სიცოცხლეს, რატომ გავიწამე არსებობა, ხომ შეიძლება ჩემი წილი ცხოვრება მეც მშვიდად და უდრტვინველად გამეტარებინა, და თუ აქამდე ეს ვერ მოვიფიქრე, ახლა მაინც რა უდგას წინ ჩემი ბიოგრაფიის შემოტრიალებას, დამფასებელი ვინ არის ამ ტანჯვისა, და რომ იყოს კიდეც, როგორმე შეველევი მათ აღტაცებულ მზერასო...

განა ასეთი წუთები მასაც არ დაუდგებოდა?..

არავისათვის უცხო თუ არ ყოფილა ეს განცდა, ვითომ ალექსანდრე რა გამონაკლისი იყო ამისთანა... მაგრამ წუთები წუთებად რჩებოდა, განცდა განცდად გაქრებოდა, და თუ სადღაც გულის სიღრმეში ჩაილექებოდა და ხიჭვივით დროდადრო ამოჰყოფდა თავს, ისეც ვერა, მართლა შემოებრუნებინა თავისი ცხოვრება და პეტერბურგული საამური ტყვეობა მზის შეგონებისთვის ენაცვალებინა.

ის სხივი, რომელიც ერთხელ მოევლინა ფარნავაზს, ალექსანდრეს ცხოვრებაში დროდადრო ჩნდებოდა, წელზე ეხვეოდა და გამოჰყავდა იმ ველზე, საიდანაც უფრო ბრდღვიალა მოჩანდა მზე და მისი მხურვალებაც უფრო ძალუმად, ლამის გაუსაძლისად შეიგრძნობოდა.

ვიდრე საქართველოში არ იქნება მეფე ჩემი გვარიდანო...

ყველა მოთხოვნის შესრულებას პირდებოდნენ, ყველა ოცნების ახდენას ახარებდნენ, გარდა ამ წადილისა — ბუნებრივის, კანონიერის...

აქედან იწყებოდა კავკასიური ილიადა, ფესვი ნიახურას მიდამოებში რომ ედგა.

ეს სახელი პლატონ იოსელიანს იმამ შამილისა და მისი ოცდაათწლიანი ბრძოლისათვის რომ გაემეტებოდა, გაცილებით ფართოა ამ შედარების საზღვრები და შამილის თავგანწირული კვეთება მხოლოდ ერთი ტოტია ამ დაუმცხრალი მდინარის, მძლავრი, სახიერი, ლეგენდებს შეტოლებული, მაგრამ მაინც ერთი ტოტი, რომლის მეორე ტოტიც, მძლავრიც და სახიერიც, და მითოსში გადაზრდილიც ალექსანდრე ბატონიშვილის დაუმორჩილებელი სულით აღბეჭდილა; და მაშ ნუ შევკვეცავთ კავკასიური ბრძოლების საგას, ხელოვნურად ნუ შემოვფარგლავთ ერთი ხანით, და გავხედოთ თავით ბოლომდე ისეთს, როგორიც სინამდვილეში გახლდათ, და არა ისეთს, მიკერძოებულ ისტორიკოსებს როგორც დაუნაკუწებიათ და გაუფერმკრთალებიათ, რათა სული გამოეცალათ, ჩენჩო კი აღარც შენ დაგნანებოდა გადასაგდებად.

ალექსანდრე ბატონიშვილის დაუმორჩილებელი სულით აღბეჭდილაო...

სხვათა გარჯაც გამონათდებოდა ფერფლწაყრილი ფოლიანტებიდან თუ გადმოცემებიდან, სხვათა თავგანწირვაც ჰპოვებდა თავის დამფასებელს, მაგრამ ალექსანდრე მაინც სულ სხვაგვარად მოჩანდა, და ამიტომაცაა, თუნდ მისი ძმები რეალობის საზღვრებს თუ ვერ გასცდებოდნენ, ეს მითოსში დაბინადრდებოდა და ვასილ ბარნოვის კალმის ქვეშ სულაც მზის რაინდად და არსება სრულად გამოცხადდებოდა.

კავკასური ილიადას დაწერას შედგომოდა ყოფით რეალობაში, ჰკრავდა მთელ ამ სამყაროს და დარეჯან დედოფლის სახელის ირგვლივ დაატრიალებდა მთელ იმ ამბებს, თავისი ორგანიზებულობით კიდევ უფრო რომ შეაშფოთებდა გენერალ ლაზარევს და მთავარმართებელ კნორინგს შეატყობინებდა;

რომ ქართველ თავადაზნაურთაგან რუსეთის მომხრე უმცირესი ნაწილიღა დარჩენილიყო,

რომ მათი ნდობაც აღარ შეიძლებოდა,

რომ აღარც ყაზახ-ბორჩალოს თათრები იყვნენ სანდონი,

აღარც განჯა,

აღარც ერევანი,

რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შუშაში ელოდა ბაბა-ხანის სარდალს, ფარ-ყული ხანს, იქ ჯარის შესაკრებად, იქიდან ბელაქანში გადასასვლელად, ლეკების შემოსაერთებლად და კახეთში შემოსაჭრელად,

რომ დუშეთში, თავის საუფლისწულო მამულში მყოფ ვახტანგ ბატონიშვილს ჯარი უკვე გაემზადებინა და მოლაპარაკებაც გაემართა ოსებთან და თაგაურელებთან, რათა ერთობლივად გადაეკეტათ დარიალის ხეობა,

რომ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები იმერეთიდან მცირე რაზმებით ქართლის საზღვრებს მოდგომოდნენ,

რომ დავით ბატონიშვილი ბორჩალოში მისულიყო და იქაური თათრების შემომტკიცებას ლამობდა,

და რომ შეთქმულების მამოძრავებლად დარეჯან დედოფალი მოჩანდა, რომელიც ავლაბრის სასახლიდან ხელმძღვანელობდა და აკავშირებდა შეთქმულების წევრებს, და რაოდენ გასაკვირიც და სამწუხაროც უნდა ყოფილიყო რუს ხელისუფალთათვის, ამ პროცესს ჩინებულად წარმართავდა.

აბა, ტყუილუბრალოდ კი არ მოექცია ალექსანდრეს იგი წინააღმდეგობის მოძრაობის შუაგულში.

მარტოდენ დედოფლის სახელი ვერ გაწვდებოდა ამხელა ბრძოლის წარმართვას, ქსელი მთელ კავკასიაში რომ გადაჭიმულიყო.

იდუმალი ხელმძღვანელი ალექსანდრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარეჯანიც მთლად მისი ხელის შემყურედ არ უნდა დარჩენილიყო და არც დარჩენილა, და რუსი გენერლები საგონებელში ჩაცვივდებოდნენ, ესღა გვაკლდაო.

ამ წერილიდან მკაფიოდ ცნაურდება, როგორ გაშლილიყო წინააღმდეგობის ქსელი და როგორ იკვროდა ის სამხედრო ძალა, რომელსაც მფარველის ნიღბით შემოსული დამპყრობლის განდევნა შეეძლო, ნიღაბჩამოგლეჯილის, გაშიშვლებულის, საყრდენიც რომ აღარ დარჩებოდა კავკასიაში და ისეთივე ოცნებად გადაექცეოდა აქ კვლავ შემოღწევა, როგორც ინდოეთის ოკეანეში განბანვა.

შეთქმულების ზოგადი სურათის წარმოჩენა ძალდაუტანებლად უკარნახებდა ეთერ ორჯონიკიძეს, აჯანყების სამზადისი ისე კარგად ორგანიზებულიყო, ახალდამყარებულ რუსულ მმართველობას შესაძლოა საბედისწერო დღეები დადგომოდაო. და იქვე გაამჟღავნებდა იმ ადამიანის ვინაობასაც, ვისგანაც შეეტყო გენერალ ლაზარევს ამ ფარული ქსელის არსებობაც და მთელი მისი ავან-ჩავანიც — დავით ჩოლოყაშვილის.

რუსეთის მომხრე თავადაზნაურთა უმცირესი ნაწილიღაა დარჩენილიო...

ეს ერთი კაციც რომ დარჩენილიყო რუსთა ერთგული, თურმე კმაროდა მათი ძალაუფლების გადასარჩენად.

ის, რაც საბედისწერო უნდა გახდომოდათ რუსებს, ჩვენ გადაგვექცეოდა საბედისწეროდ.

რაღა სამი ათწლეულის შემდგომ იასე ფალავანდიშვილის გამცემობა და რაღა ახლა დავით ჩოლოყაშვილის, გადამწყვეტ როლს რომ შეასრულებდა საქართველოს ბედის უკუღმართად გამოჭედვაში.

სასწრაფოდ მოითხოვდა და მიიღებდა გენერალი სამხედრო შევსებას — ერთ ბატალიონ რუსის ჯარს ავლაბარში ჩააყენებდა, დედოფლის სასახლეს შემოარტყამდა გარს, ლეკ მოთარეშეთა შემოჭრაა მოსალოდნელი და დარეჯანს სხვა ვინ დაიფარავს მათგან, თუ არა ჩვენ, აღთქმა რომ მიგვიცია მისი მეუღლისთვისო; ზარბაზნებით გაამაგრებდა ტფილისის ციტადელს და ერთ ბატალიონ ჯარს იქაც ჩააყენებდა; ვახტანგ ბატონიშვილის შესაპყრობადაც გაგზავნიდა დუშეთში რაზმს და ღართისკარის გასამაგრებლად კი, ამ მხარის ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილისა, გენერალ ტუჩკოვს გაგზავნიდა; თვითონ კი რამდენიმე ბატალიონსა და კაზაკებს უმეთაურებდა და საარტილერიო ქვემეხებიანად დაიძრებოდა კახეთისაკენ, რათა მოეგერიებინა ლეკ-სპარსელთა ლაშქრის შემოჭრა, შეთქმულე-

ბის მონაწილეები რომ უნდა შემოჰყოლოდნენ; ერთი ბატალიონი და ორი როტა ქვემეხებითა და კაზაკთა ასეულით ყაზახ-ბორჩალოში ჩადგებოდა; და ერევნიდან, ახალციხიდან და იმერეთიდან შემოსასვლელი გზებიც საიმედოდ გადაიკეტებოდა.

შეთქმულება აჯანყებამდე ჩაიფუშებოდა.

ეგაა, მოთავეებს ვერ მიწვდებოდა ახალი მმართველობა და იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები კვლავ სოლომონ მეორის კარს შეაფარებდნენ თავს. და ფირ-ყული-ხანიც თავის ქვეყანას რომ მიაშურებდა, მხოლოდ ალექსანდრე არ დაწყნარდებოდა და კვლავაც იმავე მონდომებით გააგრძელებდა ხანებთან მოლაპარაკებას, თითქოს ეს-ესაა დიდი წამოწყება არ ჩაშლოდეს.

სამწუხაროდ, გაწყდებოდა დარეჯან დედოფალთან შემაერთებელი ძაფი.

საიმედო საყრდენი გამოეცლებოდა ტფილისის შუაგულში.

დარეჯანს ისე ფხიზლად დარაჯობდნენ, ისე ჩაუკეტავდნენ ყველა მისასვლელს, მისი მონაწილეობა წინააღმდეგობის მოძრაობაში შეუძლებელი შეიქნებოდა. თუმც მისი აქ ყოფნა მაინც აშინებდათ და აუცილებლობად მიიჩნევდნენ მის გადასახლებასაც რუსეთში.

რუსეთის სახელმწიფო საბჭო იმ სასტიკ დადგენილებას გამოიტანდა, ბაგრატიონთა ყოველგვარი კვალის მოსპობას რომ გულისხმობდა საქართველოში:

— მანამდე მაინც, სანამ იმ მიწაზე მტკიცედ დამკვიდრდება ახალი, დაფუძნების პროცესში მყოფი მმართველობა, მოსკოვში მყოფი ბატონიშვილები და აგრეთვე ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც ავადმყოფობის გამო დარჩენილია აქ და მოითხოვს საქართველოში დაბრუნებას, აუცილებლად დატოვებულ იქნან რუსეთში. ამასთანავე ყველა სათნო საშუალების გამოყენებით გამოძახებულ იქმნას საქართველოდან სამეფო ოჯახის ყველა, დღემდე იქ დარჩენილი წევრი.

ყველა სათნო საშუალების გამოყენებითო...

ძალადობას ცინიზმიც უნდა დამატებოდა, აბა, ისე რა ძალადობა იქნებოდა, თუკი ტკბობასაც არ მიეცემოდი ყოველგვარი შეთანხმების, ყოველგვარი ჰუმანური ვალდებულების ფეხქვეშ გათელვით.

თანაც, ვითომ დროებით — ვიდრე იქ მტკიცედ დამკვიდრდებოდეს ახალი მმართველობაო.

სამუდამო გადასახლება განზრახულიყო.

და გადასახლების მეთოდიც გადაწყვეტილების შესაფერისი იქნებოდა — სასტიკი და ცინიკური.

და გენერალი ლაზარევი ამ მეთოდის მომარჯვებას შეეწირებოდა.

რაც უნდა მომხდარიყო, ალექსანდრე I-ის საიდუმლო რესკრიპტი სასწრაფოდ უნდა აღსრულებულიყო. და თუმც ერჩივნათ, გარეგნულად ნებაყოფლობის ნიღაბი მორგებოდა ამ ყოველივეს, სიკეთისა და სიამტკბილობის, რათა კავკასიის პატარ-პატარა სამთავროებისა და სახანოთა ხელისუფალნი არ შეფიქრიანებულიყვნენ და პირი არ შეეკრათ მრისხანე ქვეყნის მოსალოდნელი შემოჭრის შესაჩერებლად; მაგრამ დროც ძვირად უღირდა პეტერბურგს და მთავარმართებელ ციციანოვის დაუნდობლობისაც ეიმედებოდა. ამ მხრივ მას არავითარი რჩევა არა სჭირდებოდა, იქით გაუზიარებდა ყველას სისასტიკისა და ულმობელობის გამოცდილებას.

სამეფო ოჯახის წევრთათვის ყმა-მამულთა ჩამორთმევა და სახაზინოდ აღრიცხვა უკვე მოასწავებდა, რომ მთავარმართებელი არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა და თანმიმდევრულად მიჰყვებოდა ბაგრატიონთა შევიწროებისა და ერთიანად წამოკრეფის გეგმას. გამაოგნებელი გახლდათ ყმა-მამულთა ჩამორთმევა, თუმც ზოგს ეგებ სასიხარულოდაც დაურჩათ — ეს მიიჩნიეს მათ წინააღმდეგ განხორციელებულ უკიდურეს მოქმედებად, უარესი ვეღარ წარმოედგინათ და დამშვიდდებოდნენ: ახლა კი ჩამოგვეხსნებიან, მშრალზე დატოვებას როგორ არ გვაკმარებენო!..

არადა, თურმე!..

იმპერატორი ენერგიულ სამხედრო მოქმედებათა გაგრძელებას მოითხოვდა და მალევე გადანაცვლებას სახანოების გამოსატაცებლად სპარსეთის გავლენიდან და რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ საზღვრებში მოსაქცევად.

ჭარ-ბელაქანი ყველაზე ძალიან იზიდავდა მთავარმართებელს.

ჯერ ერთი, ადრე ელისუს სასულთნოსთან ერთად კახეთის შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე XVII საუკუნეში ლეკები მიიტაცებდნენ და კიდეც გაიხსნიდნენ გზას ამ მხარის ქართულ სოფელთა რბევა-აკლებისათვის;

და მეორეც, ალექსანდრე ბატონიშვილი იქ დამკვიდრებულიყო, რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავადაზნაურებსაც იქაურობა დაეგულებინათ თავშესაფრადაც და საიმედო საყრდენადაც და, რამდენადაც რუსი ხელისუფალნი იცნობდნენ ისკანდარს, იქ გამაგრებული დიდხანს არ დაყოვნდებოდა და ყოველწამს იყო მოსალოდნელი მისი შემოჭრა — სპარსელთა თანადგომით გულმოცემულის.

მოიგერიებდნენ მის იერიშს?

გაჩერდებოდა თუ რა — მისი ხელში მომგდებნი რომ არ იყვნენ, უკვე ხედავდნენ და გრძნობდნენ და რამდენჯერაც უკუაგდებდნენ, იმდენჯერ ხელახლა შემოეწყობოდა რუსულ ბატალიონებს.

მთავარმართებელს ხერხით უნდა გაეტანა თუ უნდა გაეტანა, და კიდეც გამოაცხადებდა თავს კახელთა დამცველად, თქვენი და მხოლოდ თქვენი გულისათვის უნდა გავილაშქრო ჭარ-ბელაქანზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს მათგან მომდინარე ხიფათიო. და კახელებსაც და სხვა კუთხის ქართველებსაც მოუწოდებდა საბრძოლველად: მარტო რუსები ხომ არ დავღვრით სისხლს თქვენთვის უშიშროების მოსაპოვებლად, ცოტა თქვენც გამოიღეთ ხელიო.

ნუთუ თავდასხმები სამუდამოდ აღიკვეთებოდა?

ნუთუ ლეკიანობას მოსპობა ემუქრებოდა?

და დაირაზმებოდა ქართველობა, არიქა, მთავარმართებელმა არ გადაიფიქროს, თუკი ჩვენ გულგრილად მოვეკიდებით ამ წამოწყებასო.

ჯერ მარტო ქიზიყის თავადობა 4 500 მეომარს ნარგზავნიდა.

ახლა კიდევ სხვანი...

ამხელა ჯარი მეფე ერეკლეს რომ ჰყოლოდა კრწანისში!..

არ გადაიფიქროსო...

არადა, ყოველგვარი საფრთხე და საშიშროება რომ უნდა აღკვეთილიყო?!.

ისტორია შემოტრიალებულიყო, რეალობას ფერი ეცვალა და ახალ სადინარში მიგდებული მდინარე სხვაგვარ მოქმედებას ითხოვდა.

ჭარ-ბელაქანი რაკიღა დევნილ ბაგრატიონთა ერთ მთავარ საყრდენად გადაქცეულიყო, ლეკიანობას უკვე საფუძველი გამოსცლოდა. ბოლოსდაბოლოს, ეს საყრდენობა იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სახლის დამხობამ განაწყო ეს მხარე თანაგრძნობით ქართლ-კახეთის მოსახლეობისადმი და, ნაცვლად იმისა, ესარგებლათ ქართველთა თავზე დატეხილი უბედურებით, მათთვის შემწეობის ხელის განვდენა მოინდომეს?!

ესეც მოახდენდა გარკვეულ ზეგავლენას, რატომაც არა, მაგრამ უფრო მეტად ჭარ-ბელაქნის თავგამოდებას გამოიწვევდა რუსული სამხედრო ექსპანსიის საფრთხე, ის მუქარა, რასაც თავისთავად გამოსცემდა რუსის ჯარის ჩაყენება ტფილისსა და მთელ ლიხსაქეთა საქართველოში, და დღე-დღეზე მათაც იგივე ბედი მოელოდათ, თუკი ალექსანდრე ბატონიშვილს არ მიენდობოდნენ.

ისკანდარის აღიარება კი თავიანთ ერთ-ერთ წინამძღოლად სხვას რას ნიშნავდა, თუ არა პირწმინდად აღკვეთას ყოველგვარი თავდასხმისას ქართულ სოფლებზე.

ჩვენი გმირიაო, — იმედით განმსჭვალულიყო ბელაქნის მოსახლეობა გადმოხვეწილი ბაგრატიონის მიმართ, თუმც ის შარავანდი, რაც მის თავზე ილანდებოდა, გადმოხვეწასაც განსაკუთრებული იერით ბურავდა და ამაღლებული ნიშნით აღბეჭდავდა.

მითოსური გმირი ყოველთვის საიდანღაც მოდის, აუცილებლად უცხოქვეყნელია.

და ისკანდარ ბატონიშვილის საიდანღაც მოვლინებაც და უცხოქვეყნელობაც მისი მითოსური სახის შესაძერწად მარჯვე ბიძგი აღმოჩნდებოდა.

თქვენი კი არა, ჩვენი გმირიაო, — როგორი დასათმობი გახლდათ ქართველთათვის, ამ სახელის მიმართ უჩვეულო თაყვანება რომ დაუფლებოდათ, როგორც ერთადერთი მხსნელისა.

რაღა წმინდა გიორგი და რაღა ალექსანდრე ბატონიშვილი მათ აღქმაში.

მაგრამ ეს რა ხდებოდა?!

თაყვანება თაყვანებად და... ჭარ-ბელაქნის ასაღებად გამზადებული ქართველობა ალექსანდრეს რომ უჭრიდა გზას, ნუთუ ამდენს ვერა ხვდებოდა?!

ხან ისეთი დაბნეულობა ეუფლებათ ადამიანებს!..

საზოგადოებრივი ცნობიერება იმსჭვალება სრული დაბნეულობით.

აჰა, თუნდაც...

სოფელსა შინა მოვიდა და სოფელმა იგი ვერ იცნაო...

ალექსანდრეს ბიოგრაფიაშიც მეორდებოდა იესო ქრისტეს ხვედრი.

მხსნელის ბედისწერაც ესა ყოფილა და ამ ხვედრს ან ალექსანდრე საით წაუვიდოდა.

1802 წლის თებერვალში თეიმურაზ ბატონიშვილი ჩააკითხავდა ბელაქანში, ძმის დახვედრასა და მასთან ერთად გეგმების დასახვას რა სჯობდა, ერთი წლის შემდეგ, მარტის თვეში გენერალი გულიაკოვი რომ არ შემოწყობოდა თავისი ჯარით ბელაქანს და 8 მარტს გამარჯვებითაც არ დაესრულებინა ლეკებთან ბრძოლა.

ლტოლვილი ალექსანდრე ძმასთან ერთად მცირე ხანს ყარაბაღში დაყოვნდებოდა იბრეიმ-ხანთან, ვიდრე თავრიზს მიაშურებდა და, ბრძოლის განახლების მოლოდინში (ან ეგებ განახლება აღარც დასჭირებოდა, თუკი ბოლოსდაბოლოს თავის სიმართლეში დაარწმუნებდა!), წერილებს გაუგზავნიდა არამარტო მთავარმართებელ ციციანოვს, არამედ გენერალ პეტრე ბაგრატიონსა და თვით ხელმწიფე-იმპერატორსაც, და არამატო პროტესტისა თუ თხოვნისას, არამედ სა-

ქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელობა-გარემოებებსაც შეაფასებდა ზოგადისტორიულ ფონზე, ანალოგიების მოშველიებაც რომ დასჭირდებოდა.

რუსეთი მაინც ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ და მესამე რომად აცხადებდა თავს და ალექსანდრეც სწორედ ბიზანტიელ იმპერატორთა მიერ აღთქმულ მფარველობას შეუდარებდა ამ ახალს.

ძველთა შინა დროთა როგორ მომხდარიყო?

როგორ და:

— ოდესცა მართლმადიდებელნი იმპერატორნი კონსტანტინეპოლისანი ჰფლობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა, მას ჟამსა საქართველოთა მეფეთა აქვნდათ მათ-მიერ ესე გუარი საფარველი, რომელ საქართველოსანი არცა გარემოთა თვისთაგან არ ჰქონდათ შეწუხება, და მეფენი საქართველოსანი მიიღებდნენ მათგან ნიჭს ურიცხვსა და აქვნდათცა სახლისა მათისა კურაპალატობა, რომელ არს სახლთუხუცესობა და შეწევნითა მათითა ჰფლობდნენ კასპიის ზღვითგან ვიდრე შავს ზღვამდე.

ისტორიულ მაგალითთა გახსენება უტევე ისტორიკოსთაო, — შესაძლოა წასდავებოდა ვასილ ბარნოვის პერსონაჟი ალექსანდრე ამ ბარათის შემდგენელ ალექსანდრეს, რაკიღა მითოსური გმირისათვის არაფერს ნიშნავს ეს და ამისთანა მაგალითები, მაგრამ ისტორიული ალექსანდრე სწორედ ამგვარ შედარებებს უნდა მოჭიდებოდა, რათა უფრო მკაფიო ყოფილიყო მეფე ერეკლეს განზრახვა, თავი თვისი იმპერატრიცა ეკატერინეს რომ შეავედრა, რათა დაეცვა ქართველთა სამეფო და ბაგრატიონთა სახლი მტერთაგან.

ბიზანტიის იმპერიის დამხობა და ამ სივრცეში მუსულმანური სახელმწიფოს წამომართვა ჩააგდებდა ჩვენს ქვეყანას „განუსვენებლობასა შინა“, მაგრამ ამასობაში „განივრცებოდა ხელმწიფება როსიისა იმპერიისა“ და:

— მომგონებელთა მეფეთა საქართველოსათა ძველთა მათ მფარველობათა, მოინებეს, რათა შეევედრონ თავი თვისი ქრისტიანესავე იმპერატორსა და რომელიცა საფარველი სდებიესთ ძველთა მათ იმპერატორთა მიერ მიენიჭოსთცა იმპერატორისა მიერვე მზგავსისა მათისა მართლმადიდებლისა.

ამასვე უმეორებდა პავლე ციციანოვს, ბატონმა მამამან ჩვენმან მათი იმპერატორებით დიდებულებას იმისათვის მიმართა, რადგანაც ქრისტიანი ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა და ბაგრატიონთა ოჯახი და საქართველო უმეტესად ამაღლებულიყოო.

ამ გადაგვარებული ქართველისაგან უფრო ნაკლებს გამოელოდა, ვიდრე იმ გადაგვარებული ქართველისაგან, პეტრე ბაგრატიონი რომ გახლდათ და, რაც უნდა იყოს, ჩვენს სამეფო გვარს ატარებდა.

ეგებ მას უფრო შეტოკებოდა გული და ეზრუნა ალექსანდრეს ბარათის მისაწოდებლად რუსხელმწიფისათვის, თორემ ქართველ ბატონიშვილს იმპერატორის კეთილშობილებისა კი სჯეროდა (ბოლომდე თუ არა, შედარებით მაინც!), მაგრამ მისი გარემოცვისა — არა, და გარემოცვას როგორმე თუ გაცდებოდა ის წერილი... როგორმე თუ გაცდებოდა...

— ჩვენმა ოჯახმა ამიტომ შეიტანა თავი რუსეთის ხელმწიფის საფარველს ქუეშე, რომ ჩვენს ქუეყნებს გარდა სხვა ქვეყნებიც შეგუმატებოდა.

ნეტა მართლა სხვა მიწების შემომტკიცებაზეც ფიქრობდა მეფე ერეკლე, რუსეთთან სამხედრო კავშირს რომ ჰკრავდა?

თუ მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის გამაგრებას კმარობდა და ახლა ალექსანდრე დიპლომატიურ-ტაქტიკური მოსაზრებით ახსენებს „სხვა ქვეყნებს", რათა უფრო დაანამუსოს ქართული წარმოშობის რუსი გენერალი, ამხელა განზრახვანი გვქონდა ტრაქტატის ხელმოწერისას და რა გამოვიდა, რაც გვქონდა, ისიც ვეღარ შეგვინარჩუნებიაო?

— ოდესცა იქმნა მეფედ ძმაი ჩვენი გიორგი მსასოვებელმან ქრისტიანესამან ხელმწიფისა, შეევედრა თვისი სახლი რათამცა დაიცვას მშვიდობისა შინა და არა განსრულიყო მეფობა ჩუენით.

გიორგი მეცამეტის მხრივ კიდევ უფრო მეტი დათმობანიც არ გულისხმობდა იმას, რაც ხდებოდა.

სამეფო ტახტის გაუქმება?

ნამეტანზე ნამეტანი გახლდათ, დაუჯერებელი, მაგრამ, აბა, თუ დაიჯერებდი!..

არადა:

ნაცვლად მშვიდობის დამყარებისა, სწორედაც პირიქით — თვითონ იწვევდა რუსეთი შფოთსა და არეულობას, თვითონ აიძულებდა პატრიოტებს, ხელი გამოეღოთ უეცრად ჩამოცმული რკინის უღლისაგან თავდასაღწევად; თვითონ აიძულებდა ბაგრატიონთა სახლის წევრებს, აღესრულებინათ თავიანთი მოვალეობა და წინ გაძღოლოდნენ ერს ამ უმძიმეს ჟამს, გაძღოლოდნენ იარაღის აღმართვით, რაკიღა სხვა გზა აღარ რჩებოდათ.

და ამ მოქმედების საპასუხოდ:

— ჩვენი ოჯახის შვილნი ვერც ამას იფიქრებდნენ, რომ მართლმადიდებლის ხელმწიფის საფარველის დადებით ჩვენს ქვეყანასაც დავკარგავთ და ჩუენს ქვეყანაში ერთი კეთილშობილის სახითაც არის ვეღარ ვიცხოვრებთ.

ეს საწუხარი იმპერატორისადმი მიწერილ წერილშიც საგანგებოდ გამოთქმულიყო:

— ყოვლად მოწყალეე ხელმწიფეე, ნაცვლად კეთილად დაცვისა ეს გვარი დაცვა მოიღო სახლმან ბაგრატოვანთამან, რომელ ერთიც ძე ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინა არა თუ უფლად, არამედ არცაღა თუ სახითა ერთის კეთილშობლისათა... აღვიფხვრენით ქვეყნით ჩვენით, რომელსა შინა განვლო შთამომავლობამ ჩვენმან ათასორას ოცდათოთხმეტი წელნი მეფობასა შინა.

და რადგანაც მაინც ვარაუდობდა, რომ ეს ძალადობაც იმპერატორის ნების გაუთვალისწინებლად მომხდარიყო, პეტრე ბაგრატიონის თანადგომისა ამიტომაც ეიმედებოდა, წერილს რუსხელმწიფეს გადასცემსო, და თავის ამ სატკივარსაც რომ უზიარებდა, იმპერატორისადმი გაგზავნილ ბარათში ამ პასაჟის აღნიშვნაც დაესაჭიროებინა, უთუოდ თქვენს გარეშე მოქმედებენ და ისიც მტერთა დასმენით, თითქოს ბაგრატიონთა ოჯახში საშიშროება დუღდეს და ამის აღმოფხვრა კი აუცილებელი შექმნილიყოსო:

— ყოვლად მოწყალეე ხელმწიფეე! უწყით ჩვენ არა იქნებოდა უსამართლობა ესე ნება ხელმწიფობისა თქვენისა, რათამცა აღგეფხურათ უსამართლოდ ძველი ოჯახი მართლმადიდებელისა ქრისტიანისა იმპერატორსა ქრისტიანესა. და არცა იყო საკადრო დიდებულებისა თქვენისა, არამედ იქმნა ესე მტერთა მიერ ჩვენთა, რომელთა შესმენაი ჩუენი განავლინეს წინაშე დიდებულებისა თქვენისა.

ქვეყნის მართვის უფლებას ართმევდი, ართმევდი, განდევნა-წარხოცვას რაღას ემართლებოდი?!.

ერთიც ძე ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინაო...

ზუსტადაც რომ გამოუანგარიშებია მათი მფლობელობის ხანგრძლივი ჟამი!

არა ზოგადად თორმეტი საუკუნე, არამედ სწორედაც: ათას ორას ოცდათოთხმეტი წელი.

ეს ოცდათოთხმეტი ვითომ რატომ უნდა დაკარგულიყო.

უფროსი ძმისაგან დევნა-შევიწროების მეტი რა ახსოვდა, ყოველწამიერი დატუსაღების მოლოდინი, მაგრამ მისი სამი წელიწადიც არ

უნდა გამოტოვებულიყო, როგორც იმ ხანგრძლივი ჟამის აუცილებელი რგოლი. თუნდ მცირე დეტალი, მაგრამ დეტალი რა — ვითომ ანგარიშში არ იყო ჩასაგდები?!.

თარიღები უტევე ისტორიკოსთაო, — შესაძლოა ამჯერადაც წასდავებოდა ვასილ ბარნოვის პერსონაჟი ალექსანდრე ამ ალექსანდრეს, რაკიღა ის მითოსურ სივრცეში გალაღებულიყო, ამას კი მითოსური შარავანდის ტარებასთან ერთად ყოფით რეალობაშიც უნდა ემოქმედა, ეს რეალობა კი თავისას მოითხოვდა და — ისტორიული მაგალითები და თარიღები რა სათქმელია — რუსხელმწიფის გულმოწყალებისთვისაც უნდა აღგეკლინა ქება და თანაც რა დროს: ქართლ-კახეთის სამეფოც გაუქმებულია და იქ ერთი ბაგრატიონიც აღარ მოიძებნება, დაქვეითებული, ყოველგვარ უფლებაჩამორთმეულიც კი.

არა თუ უფლად, არამედ არცაღა თუ სახითა ერთის კეთილშობლისათა...

დარეჯან დედოფალს მაინც არ დატოვებდნენ თავის მიწა-წყალზე? ნუთუ ისიც საშიში გახლდათ იმპერიისათვის?

დედას მაინც ნუ გადამისახლებთო, — ივედრებოდა ალექსადრე ბატონიშვილი.

მაგრამ რუს ხელისუფალთ — იმპერიულსაც და მთავარმართებლურსაც — მწარედ ახსოვდა დარეჯან დედოფლის ამასწინანდელი მოქმედება, კელმეჩურის შეთქმულების ძაფები მის ხელში რომ თავმოყრილიყო, და ბატონიშვილის ამ თხოვნას არაფრისდიდებით არ შეიწყნარებდა.

არადა, თვითონაც რომ იქით ეპატიჟებოდნენ?

ვერა და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ვერანაირი კეთილდღეობის დაპირებით ვერ აცთუნებდნენ, ვერ დაახარბებდნენ, რა წოდებაც უნდა ებოძებინათ, რამხელა ტერიტორიაც უნდა მოეზომათ რუსეთში საბრძანებლად, აქ ერჩივნა, და ერჩივნა არა მაინცდამაინც სამეფო გვირგვინის დადგმა, არამედ რომელიმე წევრის გამეფება ბაგრატიონთა სახლიდან. თვითონ გვერდით ამოუდგებოდა ახალ მეფეს და მის ბრძანებებს აღასრულებდა — ბრძოლაში წინამძღოლობა დაევალებოდა თუ მშენებლობათა წარმართვა. საამისო გამოცდილება არა ჰქონდა თუ რა!..

ირანის შაჰი შეგეწევა თუ შეგეწევაო, — დავით ბატონიშვილი რომ სწერდა, ალექსანდრემაც სხვა მეტი რა იცოდა, ამ სახელმწიფოს დაუხმარებლად ამაო რომ იქნებოდა ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის ოცნება, მაგრამ თავრიზში გადახვეწილი თან მწარედ დასტიროდა

თავის უბედობას: ქრისტიანი კაცი და მეფის შვილი სათათრეთში რატომ უნდა ვიყო გადმოვარდნილიო.

მარტოდენ საკუთარ თავს კი არ უმხელდა ამ ტკივილს ანდა თავის მომხრეებს, დასამალი არც ყოფილა ეს მისთვის და მთავარმართებელ ციციანოვსაც გაუმეორებდა, ვითომ თხოვნად და სინამდვილეში კი მუნათად, ამისთანა დღეში იძულებით რომ ჩაეგდოთ:

— ახლაც ამას მოგახსენებ ეს სწორეთ მიბრძანოთ და ხელმწიფის ან ნუგეში, ან წყალობა, ან სარჩო რა არის და ხათრიჯამი გამხადოთ და ამ ურჯულოს ქვეყნიდამ გამომიშოთ და საქრისტიანოს წირვა და ლოცვა მაჩვენოთ; არც ხემწიფეს და არც რუსეთს არ ეკადრება, რომ ქრისტიანი კაცი ვიყო და მეფის შვილი ვიყო და სათათრეთში დავდიოდე... და როგორც ხემწიფე მიბრძანებს წერილით, მეც ისრე ვიახლები.

თითქოს მოტეხილა და ეგაა — როგორც რუსხელმწიფე უბრძანებს, ისეც მოიქცევა; ოღონდაც წერილი მოსწეროს და თავს დაუკრავს პეტერბურგში.

კიდეც ეახლებოდა, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით:

ბაგრატიონთა მეფობა უნდა აღდგენილიყო.

ქართლ-კახეთს დამოუკიდებლობა დაბრუნებოდა.

მაშინ გადადებდა თავს ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი სეხნია რუსხელმწიფის სამსახურად.

მეფობასაც შეელეოდა.

მითოსში მოხვედრას არც იოცნებებდა.

ან ახლა როდის ოცნებობდა მფრინავი რაშის მხედრისა თუ მზის რაინდის სახელს, ცხოვრებას მიეგდო აქეთ, ბედისწერა არ ანებებდა თავს, თორემ აღმშენებლობით საქმეებზე დაეყენებინათ, ერთს არ იუკადრისებდა, რა უფლისწულის შესაფერისიაო. ყველაფერიც შესაფერისად ეგულებოდა, ქვეყანას რაც დასჭირდებოდა.

დარეჯან დედოფალს პეტერბურგში მისწერდა: რუსებს თუ ჩემი მანდ ჩამოსვლა სურთ, მაშინ დასვან მეფედ რომელიმე ჩვენგანი, რადგანაც ისეთ უკიდურესობამდე არ მივსულვართ, რომ მხოლოდ პური გამოვთხოვოთ ვინმესო.

ან სპარსეთი ამოუდგებოდა მხარში მიზნის მისაღწევად, ან ოსმალეთი იგრძნობდა დიდ საფრთხეს კავკასიის გადმოღმა რუსეთის გადმოტოტვაში.

ეს თავისას არ დაიშლიდა, მამის ცხედრის წინაშე დადებულ აღთქმას არ გადაუხვევდა ამ მეტად უთანასწორო ბრძოლაში — კაცი და იმპერია.

ჩავარდებოდა რუსეთის იმპერატორი საგონებელში?

ხელი ხელში — ბაგრატიონთა სახლის გაბედნიერების სანაცვლოდ ისეთი სამსახური, რომ აღარც უკმაყოფილების დრტვინვა და აღარც აჯანყება აღარ იქნებოდა მოსალოდნელი.

სულ ცოტა ხნის წინათ დედა-დედოფალთან საიდუმლო მიმოწერა და შეთვლა-შემოთვლანი რუსთა განდევნას მოასწავებდა, ლამის გარდუვალს, ახლა კი უკვე...

ჭარ-ბელაქნის დაპყრობას განჯის სახანოსაც ზედ რომ მიაყოლებდა რუსეთი, სპარსეთის ლოდინის ტაქტიკაც შეიცვლებოდა საომარი სამზადისით, როდემდე ეცადათ — რაც იგულისხმებოდა, რომ იმპერატორი ქართლ-კახეთის სამეფოს მიტაცებას არ იკმარებდა და სახანოებსაც მიადგებოდა და მთელ კავკასიასაც ხელთ მოიგდებდა, თვალდათვალ ხორციელდებოდა. ის დროს არა კარგავდა და სპარსეთსაც ბარემ წამოეწყო გადამწყვეტი ბრძოლა, თორემ სამხედრო გამოხდომები და შორიდან იარაღის ტრიალი რუსულ სამხედრო ექსპანსიას ოდნავადაც ვერ აჩერებდა.

ლიხსიქითა საქართველო ჯერ განზე მოეტოვებინათ — ოსმალეთთან დავას მოერიდებოდნენ, რაკიღა ჯერ სპარსეთი უნდა გაედევნათ კავკასიიდან და საიმედოდ გაემაგრებინათ ის საზღვრები, რათა ახლა მეფე სოლომონისაგან მოეთხოვათ „მფარველობის ქვეშ“ შესვლა და... იმერეთშიც გაუქმება ბაგრატიონთა მფლობელობისა; და ოსმალეთიც აეძულებინათ უკან დასახევად, ახალციხის საფაშოსაც რომ აღარ დაანებებდნენ, თორემ გურიისა და სამეგრელოს სამთავროებიდანაც რომ ამოუკვეთდნენ ფეხს, ეს ხომ ეჭვშეუვალი უნდა ყოფილიყო.

...აქ ვეღარ უნდა შემოაღწიონ, იმერეთი მაინც უნდა ვიხსნათ ამ მოყვარე მტერთაგან, ყოვლისა უფრო მტრებად რომ მოგვევლინნენო, — გულს აწყდებოდა სოლომონ ლიონიძე და ისევ თავისი სეხნიისა ეიმედებოდა, სოლომონის, ვისაც მეფე ერეკლეს მწარე გამოცდილება კიდევ უფრო განაწყობს დაუთმობლობისათვის, ხომ უკვე ყველასათვის გახდა ნათელი, რასაც ნიშნავს რუსთა მფარველობაო.

თვით ასეთ გამჭრიახ, შორსმჭვრეტელ პიროვნებასაც კი ვერ გაეზომა იმპერიული სიერაგე, სამეფო ტახტის გაუქმებას გაეოგნებინა და ვერ დაეჯერებინა, და რას წარმოიდგენდა, საპატრიარქო ტახტის გაუქმებაც ზედ თუ მიჰყვებოდა... თუკი სახელმწიფო აღარ იყავი, კათოლიკოს-პატრიარქი რატომ უნდა გყოლოდა ან წირვა-ლოცვა ქართულად რატომ უნდა აღსრულებულიყო!..

ეჰ, რა დრო გვქონდა, ბერძნული წირვა-ლოცვა ქართულით რომ შეიცვლებოდა და მარტოდენ მოძახილი დარჩებოდა: კირიელეისონ,

— იმასაც აღარ მოვითმენდით და პირწმინდად გავაქრობდით „უფალო, შეგვიწყალენით". უამისოდ, მოძახილის შეუნაცვლებლად, წირვა-ლოცვის გაქართულებას ის ფასი არ ექნებოდა, ჩამტვრეული დარჩებოდა, კიბის ბოლო საფეხურივით.

ამიტომ მოძახილსაც აღარ დაგიტოვებდნენ რუსი ეგზარხოსები, „უფალო, შეგვიწყალეო", ასე რომ დაგებოლოებინა ლოცვა თუ მოთქმა დაკარგულ თავისუფლებაზე, რათა იმედის ნაპერწკალიც არ გაკვესებულიყო, მოძახილიც აღარ დაგრჩენოდა მოსაჭიდებლად.

აქამდე კოშმარული ფანტაზიაც ვერა წვდებოდა, მაჰმადიანებს რაც არ დაემართათ ჩვენთვის, ერთმორწმუნე თუ დაგვატეხდა თავს.

ეს რომ აღარ მომხდარიყო და დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოგება კიდევ უფრო საძნელო არ შექმნილიყო, ამიტომაც შესთხოვდა ალექსანდრე ბატონიშვილი მუსულმანურ სპარსეთსაც და მუსულმანურ ახალციხის საფაშოსაც და მუსულმანურ პატარ-პატარა კავკასიურ სახანოებსაც თანადგომას ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რუსული უღლისაგან თავდაღწევას.

ეს ამ გადასახედიდან მოჩანს ასე, ისკანდარის ქვეცნობიერის სიღრმეში ჩახედვაც რომ მოგვიხერხდება, თორემ თვითონ ბოლომდე ვერც გაეაზრებინა ის უკიდურესი საფრთხე, მისი გამზრდელის წარმოსახვაც რომ ვერა წვდებოდა, თავიდან თვითონ სოლომონ ლიონიძესაც რომ ვერ მიეტანა გუმანი აქამდე, და ამიტომაც ლამობდა თითქოსდა დაბნეული საიმპერატორო კარის შეგონებას: რუსეთს არ ეკადრება, რომ ქრისტიანი კაცი სათათრეთში დავდიოდეო.

არაფრად უჩნდა ბაბა-ხანის მიერ ბოძებული გუბერნატორობა არეზის ახლოს მდებარე პროვინციებისა, საჩუქრად — მრავალი სოფელი და პენსია, და არც ის ჩაჰქროდა გულში, ციხეთა აშენებაც მას რომ მინდობოდა. ეს ყოველივე თუ მაინც ამხნევებდა და ახალისებდა, მხოლოდ იმიტომ, მისი გავლენის გაზრდას რომ მოასწავებდა და, შესაფერისად, მეტი საშუალებანი უჩნდებოდა მამის ნეშტთან დადებული აღთქმის აღსასრულებლად. ჯერ ისედაც რამხელა სახელი დაეგდო ქართველობაში და ეს წყალობანი მთლად ერთპიროვნულ ხელმწიფეს გაუიგივებდა თვისტომთა წარმოსახვაში.

ეროვნულ ბრძოლათა წინამძღოლად ხომ აღიარებდნენ და აღიარებდნენ.

მისი მეთაურობით წინააღმდეგობის ისეთი მძლავრი კერა გაჩენილიყო და სულ უფრო ღვივდებოდა, რომ აქეთ მთავარმართებელი ჩავარდებოდა საგონებელში და იქით იმპერატორი, ვისი დავალებითაც

შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი კოჩუბეი მოსწერდა პავლე ციციანოვს 1804 წლის 8 ივლისით დათარიღებული ბარათით:

— იმპერატორს სურს შეიტყოს თქვენი აზრი, შეიძლება თუ არა ქართლშიც ისეთივე მართვა-გამგეობა შემოვიღოთ, როგორიც განზრახულია იმერეთსა და სამეგრელოში, ანუ — სამეფო არსებობდეს, ოღონდ რუსეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ ეს სამეფონი. და თუ ამ აზრის განხორციელება შესაძლებელია, მაშინ დაასახელეთ ერთ-ერთი ბაგრატიონი, ვისაც ღირსად სცნობთ საქართველოს მეფობისა. ეს იდეა მართლაც რეალური რომ გამხდარიყო, რასაკვირველია, მთავარმართებელი არაფრისდიდებით არ შესთავაზებდა იმპერატორს ალექსანდრე ბატონიშვილის კანდიდატურას. მისი უზომო გავლენა და სახელი მხოლოდ დაბრკოლებად გადაექცეოდა რუსეთს თავისი პოლიტიკის ხორცშესხმის გზაზე. თუმც ალექსანდრე მეფობის აღდგენას მაინც დიდ გამარჯვებად მიითვლიდა. მისთვის ხომ სახელმწიფოს ამოგება გახლდათ მთავარი და არა საკუთარი გახელმწიფება. გამარჯვებად კი რატომ არ უნდა მიეთვალა — თუ რუსეთი დათმობდა, მის წინაშე დათმობდა, თორემ სხვა მისებრი მოწინააღმდეგე იმხანად არ ჰყავდა.

უამბოდ არ დაიხარჯება ალექსანდრეს მიმოწყდომაო, — ნუგეშის თვალით შეჰყურებდა კახეთის საზღვართან მოწრიალე ბატონიშვილს სოლომონ მსაჯული.

როგორც იქნა ჩავარდა ირანი გულისხმაშიო, — შეგულიანებულიყო ისიც და მზეს შეაშუქებდა მზერას, აჰა, დგება ჟამი, რისთვისაც მოგივლენივარ მიწაზე, და შენს წყალობას ნუ მომაკლებო.

თავი მეექვსე

ავანსცენაზე — გაბრიელ ყაზბეგი

წერილი ერთი იყო.

ადრესატი მრავალი.

არავინ დარჩებოდა ქართლ-კახელ თავადაზნაურთაგან, მოხელეთაგან, სამღვდელოთაგან, ერთობლივ თუშთაგან, ფშაველთაგან, ხევსურთაგან, არაგველთაგან, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი რომ არ მიეღო, რამდენიმე სტრიქონი კი თეიმურაზ ბატონიშვილსაც ჩაემატებინა ბოლოში.

წერილი — მოწოდება.

წერილი — დიდი იმედის მაუწყებელი.

წერილი – ერთ მუშტად რომ უნდა შეეკრა ლიხსაქეთა საქართველო.

რაკიღა ადრესატი მრავალი გახლდათ — ეს მუხრანბატონებიო, ეს თიანეთის მოურავი დიმიტრი და თიანელნიო, ეს ჩერქეზიშვილებიო, ეს მდივნიანნიო, ეს დავითაშვილებიო, ეს მაყაანნიო, ეს მაღალაანნიო, ეს ხიზიყი და ხიზიყელნიო, ეს რუსიანნიო, ეს აბაშიძეებიო, ეს ჩოლოყაანნიო, ეს მამუჩიანნიო, ეს ნოდარიანნიო, ეს ციციაანნიო, ეს ველისციხის მოურავი და გიჟიმყრელიო, ეს თუმანიანნიო, ეს დიასამიძეებიო, ეს ყაფლანიანნიო, ეს ცხინვალენნიო, ეს ანდრონიკაანნიო, ეს ჩოკაანნი და საგინაანნიო — თვითეული წერილი უმნიშვნელო სხვაობებით შეედგინა, ამ გვართა და პიროვნებათა თავისებურებების გათვალისწინებით.

თავისებურებათა გათვალისწინების გამოა სწორედ, ყვარლელებსა და გავაზელებს გამკვეთრებული დამატებით რომ მიუვიდოდათ წერილი.

ოღონდ ჯერ:

ერთი მოწოდებაც შეიძლებოდა, ცხადია.

მაგრამ ის მხოლოდ ზოგადი იქნებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილს კი არა სურდა შორეულივით მოქცეოდა თვისტომთ. როგორც

ალღოიანი და დაკვირვებული პიროვნება, როგორც ღრმა ფსიქოლოგი, აუცილებლობად მიიჩნევდა ცალკეულ სხვაობათა აღნიშვნასაც, არამცთუ თვითეული გვარისა თუ მხარისადმი პირადად მიემართა. ეს სხვაობანი კიდევ უფრო გამოჰკვეთდა უშუალო მიმართვის ინტიმურობას, რათა ადრესატს მეტად ეგრძნო პასუხისმგებლობაც და სიამაყეც, რომ მისი და პირადად მისი იმედით დაძრულიყო უფლისწული, აქამდე გარს რომ უტრიალებდა მშობლიური მიწა-წყლის საზღვრებს და იმ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, რომლის ზარსაც ჩამოეკრა უკვე და რა ვალალიც ენახა ქართველობას მოყვრად შემომელიავებული მტრისაგან, იმავე სიმკაცრით ეზღვევინებინა.

წერილი 1804 წლის 29 მარტით დათარიღებულიყო და ერთბაშად მოიფინებოდა ქართლი და კახეთი.

იმერეთის მეფეც მიიღებდა.

დაღესტნელ ლეკებსაც ჩაუვიდოდათ.

ტფილისელ სომხობას ხომ არ გამოტოვებდა და არა.

ჩვენი ამბავი ესრეთ იუწყეთო, — მოწოდებას ამ სიტყვებით გახსნიდა ალექსანდრე და იტყობინებოდა, თუ როგორ ხლებოდა მოწყალე ხელმწიფეს ბაბა-ხანს და საჩივარიც მოეხსენებინა, როგორ გაეცა შაჰს თავისი ურიცხვი მოწყალებით მთელს ირანში ბრძანება და თადარიგიც დაეჭირა საქართველოში წამოსაბრძანებლად, როგორ მოეღო სხვა რიგადაც მრავალი წყალობა ალექსანდრესა და თეიმურაზზე და მათთან მყოფ თავადებზე თეთრითა თუ ხალათებით, ცხენებითა თუ იარაღით.

— ასეთი წყალობაები მოიღო ჩვენზედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ არას ერანის ხემწიფეს ჩვენს მამაპაპაზედ ამისთანა წყალობა არ მოუღია და არც ამისთანა პატივი მოუცია და არც დროს სხვა ხემწიფებისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ მიუღიათ, როგორათაც ჩვენთან მყოფთ წყალობაები მიიღეს.

პოლიტიკური მოსაზრებით აზვიადებს რაიმეს?

არცერთ შაჰს ჩვენი მამა-პაპისათვის ამხელა წყალობა არ უბოძებიაო...

გასაზვიადებელი არც არაფერია და გასაკვირი სწორედ ის იქნებოდა, ბაბა-ხანს ასე ძალიან რომ არ გამოედო თავი.

საქართველო და კავკასია ხელიდან ეცლებოდათ და წყალობას დაიშურებდა ირანი?

მთავარმართებელს არ სურდა თავს გამოტყდომოდა, რომ ძალიან აფორიაქებდა ალექსანდრეს პოლიტიკური წერილების დენა, და არა-

მარტო იმპერატორს ამშვიდებდა: გადახვეწილ ბატონიშვილთა ბარათები კიდეც რომ ვერ ვიგდო ხელთ, მაინც დიდად არ დავზარალდებით, რაკიღა ძლიერი და გავლენიანი ქართველი თავადიშვილობა შეურყეველი ერთგულებით განმსჭვალულა თქვენი უდიდებულესობისა და რუსეთის მართვა-გამგეობისადმიო, — არამედ თავსაც იტყუებდა: განა რა შეიძლება დამაკლოს ყოველგვარ უფლებადაკარგულმა კაცმაო... მაგრამ ასეთი მიამიტიც არა ყოფილა, თავისივე გამონაგონი დაეჯერებინა და მკაცრად გააფრთხილებდა მაზრის მოხელეებს: თვალით არ დამენახოთ, თუ ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეებს ყველას სათითაოდ გაბაწრულს არ მომგვრით ტფილისშიო.

მერე ეგზავნა კიდევ ის წერილები.

ჯერ ნაკლებ გავლენიან თავად-აზნაურებს რისი უნარი შესწევდათ და... ისინიც რომ გამოეცლებოდნენ ამაო ოცნებით შეპყრობილ ბატონიშვილს.

ერთი წყება გაბაწრულების გამოჩენა სხვებს ისეთ თავზარს დასცემდა, უკლებლივ რუსეთის ერთგულთა რიგებში გადმოინაცვლებდნენ.

მთავარმართებლის ფიქრები უფრო ემგვანებოდა ოცნებას.

და თვითონაც რომ დაატყობდა თანდათან, ვაითუ ძალიან გავუტიო გულდამშვიდებაშიო, იქით შეეცდებოდა ბატონიშვილთან დაკავშირებას და ბარათში ჩაუწერდა: ოღონდაც ხელი აიღე ბრძოლაზე, დაბრუნდი საქართველოში და შემდეგ უკვე იმპერატორსაც ეახელ, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომელიც ჯერ არ გამიტეხავს, რომ მრავალ წყალობასა და შეცოდებათა პატიებას მიიღებო.

არადა, ალექსანდრე ბატონიშვილს შეცოდება ერთი ჰქონდა, ერთადერთი:

ვერ ეგუებოდა საქართველოს სახელმწიფოს გადაქცევას იმპერიის სამხრეთ გუბერნიად.

ამისთვის კი ნეტა რა პატიებას უნდა დალოდებოდა?!.

ნაქართველარისათვის ეს ისე ძნელი გასაგები გახლდათ, რამდენიც უნდა გეჩიჩინა, ვერაფერს გააგებინებდი, მიუხედავად იმისა, რომ გონებაგახსნილობითაც დაიკვეხნიდა და განათლებითაც... მაგრამ არამცთუ აღარ ახსოვდა, პაპამისი ვახტანგ VI-ის ამალაში რომ იმყოფებოდა და იქიდან მოხვდა და დამკვიდრდა რუსეთში, სულ ამოიშლიდა ცნობიერებიდან, ერთი ძაფი თუ მაინც აკავშირებდა საქართველოსთან.

ეს აქ, ყოფილი საქართველოს მიწა-წყალზე.

ხოლო იქ, ირანში...

ნავროზობამდე 40 დღით ადრე შაჰი თავის უფროს ვაჟს აბას-მირზას მრავალრიცხოვან ჯარს გამოატანდა და 28 მარტს თეირანიდან გამოვიდოდნენ და ქართველ ბატონიშვილებსაც თან იახლებდნენ. ჩვიდმეტი დღის შემდეგ თვითონ ბაბა-ხანი აპირებდა დაძვრას „თავისის ზღვისებრის მღელვარეს ჯარებით" და, რაკიღა ბაგრატიონთა ოჯახის ამომგდებთა გაყრა ენებებინა, ალექსანდრეს ეიმედებოდა, ქართველობა ისეთ საქციელს არ ჩაიდენდა, რომ ირანის ხელმწიფის რისხვა დაეტეხა თავს, საქართველოს წახდენის მიზეზი შექმნილიყვნენ და ცოლ-შვილი კი ტყვეობაში ჩაეგდოთ.

— ჩვენი ოჯახი ათასსამასი წელიწადია საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის ხემწიფის ყმანი. თქვენს მამა-პაპას ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვის და ჩვენს მამა-პაპათ წინ სისხლი დაუღვრიათ. თქვენ ასეთი საქმე არა ქნათ, რომ თქვენი ოჯახებიც არ დაღუპოთ და თქვენი ნამსახურობაები და სისხლის დაღვრაც ჩაატაროთ. ესენი ლეკები ხომ არ არიან, ხუთი ათასი კაცი არ არის, ათი ათასი და ოცი ათასი. ყანდაარი და ყანდაარს ზევითა მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის, ან უნდა მანდ ამოწყდნენ და ან უნდა მანდედან რუსები გაყარონ. თქვენ ახლა ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ მოგვეგებენით.

ჯარი ორპირად მოდიოდა — ერთს თვითონ შაჰი უმეთაურებდა, მეორეს — აბას-მირზა, მისი მემკვიდრე. ერთი ყარაბაღის გზით ივლიდა, მეორე გოგჩაზე გადმოვიდოდა. ბატონიშვილები ან ერთ დინებაში იქნებოდნენ, ან მეორეში, ჯერ დაბეჯითებით არ განსაზღვრულიყო. წინ მოგვეგებენითო, რომ ურჩევდათ, ეს „წინ" რას ნიშნავდა, როგორ დაეზუსტებინა? ამიტომაც ასეთ რჩევას ამჯობინებდა:

— თუ უფრო წინ მოგვეგებებით ის უფრო უკეთესი იქნება.

შაჰის ჯარს შეუერთდებოდნენ თუ მისი ვაჟისას, დაე თვითონ გადაეწყვიტათ, საით უჯობდათ, მთავარია მის მომხრეთ ეს „უფრო წინ" გაეთვალისწინებინათ.

თვით ხელმწიფის ფარვანიც მიუვიდოდათ ხათრიჯამობისა, ანუ: დარწმუნების ფირმანი.

— და დრო ეს არის, წამოდით.

აღარ ეგვიანებოდა.

ხელმწიფის წყალობაც უხვად ებოძებოდათ, მაგრამ მთავარი და უმთავრესი ის გახლდათ, რომ:

— როგორათაც თქვენი მამა-პაპანი ერთგულნი ყოფილან, თქვენ უმეტესად ერთგულად აღმოჰჩდებით.

და ბოლო შეგონება, მოწოდების ზოგადი სტილის დამაგვირგვინებელი, მუქარა სადღაც რომ შემალულიყო და მთლიანად ამათ ნებაზე აგდებდა გადაწყვეტილებას:

— თუ ამ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ და მოხვალთ, ხომ კარგია, თუ არა და თქვენ იცით. ღმერთს ერწმუნეთ, რაც ამ წიგნში მოგვიწერია სწორე არის და ჭეშმარიტი სიტყვაა ყოველივე და ახლა თქვენ იცით. თითო ამისა პირი ქართლში და კახეთში ყველასთვის მიგვიწერია და ჩვენი ვალი აგვიყრია და ახლა თქვენ იცით.

მარტო მომხრენი არ ეგულებოდათ თავიანთ ყოფილ სამფლობელოში, თანაც, უკუღმართად დატრიალებულ დროს, ვინ იცის, სანდო კაცთაგანაც რამდენი გადაებირებინა ახალი მმართველების მხარეს ანდა შიში გაეჩინა მათ გულში, ამიტომაც შთაგონების ხერხად მიიჩნევდნენ თეიმურაზ ბატონიშვილის იმ მინაწერს, რომელიც უშუალოდ იმეორებდა ალექსანდრეს ტექსტში სადღაც მიმალულ იმ მუქარას, რომ რუსებთან დარჩენა შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო მათთვის.

დაპირებას ხომ იმეორებდა და იმეორებდა:

— ხემწიფისაგან (ბიძაჩვენს) ასეთი მოწყალება მიადგა, რომ ჩვენს მამა-პაპას ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება არ მისდგომიათ. ახლა თუ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახელით. ღმერთმან ხომ იცის ხემწიფისაგანაც და ბიძის ჩვენისაგანაც დიდი წყალობა დაგემართებათ და თუ ამ ჩვენ რჩევას არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოთ თქვენს ოჯახს დააქცევთ, ახლა თქვენ იცით.

ყვარლელებსა და გავაზელებს გამკვეთრებული დამატებით რომ მიუვიდოდათ წერილიო...

ითვალისწინებდა, რომ სასაზღვრო ზოლში მოქცეული ეს სოფლები ყველაზე მეტად შეწუხებულიყვნენ ლეკთა თარეშით და ამჯერადაც შესაძლოა მათი შემოჭრისა უფრო შინებოდათ და მებრძოლნი სპარსელთა ჯართან შეერთებას მორიდებოდნენ, უეცრად ლეკები არ დაატყდნენ თავს ჩვენს ოჯახებსო.

ეგ არ იფიქროთ, რომ ლეკები ისარგებლებენ არეულობით და თქვენს წახდენას მოინდომებენო, — ამცნობდათ და ამშვიდებდათ ალექსანდრე, — შაჰის ფირმანიც ჩაუვიდათ და ჩვენი კაციც უკვე გაგვიგზავნია, რათა აღარ დაგლაშქრონო.

ეს მაშინ, თუკი გამათავისუფლებელ ჯარს შეემატებოდნენ.

ამ რჩევას თუ არ დაუჯერებდნენ? მაშინ საკუთარი თავისათვის დაებრალებინათ.

— და თუ არ მოხვალთ და იქიდამ ლეკიც მოვა და აქედამ ჩვენცა. და ეგ ქვეყნებიც წახდება და დიდებული ხემწიფის რისხვასაც მიიღებთ და ჩვენთანაც მუხანათათ გამოცხადდებით, თუ წინ არ მოგვეგებენით. და თუ მოგვეგებებით, ღმერთს ვფიცავ და მამი ჩემის მზესა საფლავსა, რომ საფიქრებელი ნურავის რა გექნებათ.

აქ საგულისხმო ისიცაა, რომ შაჰის ფირმანი და ალექსანდრე ბატონიშვილისაგან გაგზავნილი კაცი და შემონათვალი ტოლი ტოლსაა, ერთსა და იმავეს ნიშნავს ლეკების თვალში. და ეს რამდენიმე წელიწადში მოხდა, რომ ისკანდარის გავლენა ირანის მბრძანებლისას გაუთანაბრდა, იგი უკვე თავისიანად დაუგულებიათ და მის სიტყვას დაბლა არ დაუშვებენ.

მზის სწორია ბაბა-ხანი აღმოსავლურ მეტაფორისტიკაში?

რა — ალექსანდრეც მზის სწორი არ შექმნილა ჩრდილოკავკასიელთა ხატოვან მეტყველებაში?

— ჩვენის ერდგულობისა და გარჯის დრო ეს არის. როგორადაც შენის ერდგულებისაგან ვიცოდით, ისე ერდგულად გაისარჯე. შენი შვილი ახლავ ჩვენთან გამოგზავნე, რომ წინ მოგვეგებნონ და შენც მანდ შენ იცი, როგორც გაირჯები, — მინბაშ ზაზა ამირეჯიბს მისწერდნენ.

— ოთხიოდე ფშავის უფროს უფროსნი და ხევსურეთის უფროს უფროსნი კაცნიც შენთან წამოიყვანე. ეს წიგნი შენცა და ფშავსაც და ხევსურსაც ნიშნათ გქონდესთ, რომ რაც თქვენის გულის საწადელია, იმ რიგის წყალობა დაგემართებათ ჩვენგან. ვინძლო ჩემო დიმიტრი გაისარჯო, ერთი ჩვენი წიგნიც ფშავთა და ხევსურთათვის მიგვიწერია და ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ. ხელმწიფიდამაც... — ეს წერილი დიმიტრი ჩოლოყაშვილს მიუვიდოდა, გიორგი მეცამეტის ასულის რიფსიმეს მეუღლესა და ფშავ-ხევსურეთის მოურავს.

— ხელმწიფესთანაც გამოგვიცხადებია შენი სახელი და თუ კარგად გაირჯები ხელმწიფიდამაც დიდ წყალობაებს მიიღებთ და ჩვენგანაც. ჩვენის გულისათვის დიდად უნდა გაისარჯო, — ამას სარდალ ოთარ ამილახვარს მისწერდნენ.

კონსტანტინე მუხრანბატონთან მიწერილ ბარათში საყვედური გაერეოდა: ოსებმაც იციან და ფშავლებმაც თავიანთი თოხუმის ქომაგობა და შენ, არ ვიცით, რა დაგემართა. შენი ისეთი იმედი გვქონდა, აქამდეც არ უნდა დამდგარიყავ და ჩვენთან წამოსულიყავი და რა მიზეზით არ გვეახელო.

მეფე ერეკლეს შვილიშვილსა და მათ დისწულს რაც მოეთხოვებოდა, იმას ამუნათებდნენ. თუმცა აქამდე რაც იყო, იყო:

— რას წამს ეს ჩვენი წიგნი მოგვივიდესთ შენ იცი როგორათაც გაირჯები. რამთენიც ბევრის კაცით მოხვალ და წინ მოგვეგებები, უფრო პატივს მოგცემენ. და შენ ნუ მომიკვდები, ღვთის მონყალებით, როდესაც ჩვენს ქვეყანაში შემოვალთ, ჩვენი საცხოვრებელი სულ შენი იქმნება; ჩვენი დისწული ხარ და ჩვენის მამის მზგავსად საყვარელი. ალბათ რომ საჩქაროთ წამოხვალ და წინ მოგვეგებები, რომ ხელმწიფის წყალობაც დიდი მიიღო და ჩვენიც.

მეორე დღეს, 30 მარტს ეპისკოპოს იოანე ბოდბელთან აფრენდა წერილს, და მიტროპოლიტს წმინდა მარჯვენაზე რომ ეამბორებოდა, ამას სთხოვდა, ამ საქმეზე გაისარჯეთ და მანდ მყოფ ხალხს ურჩიეთ, რომ ყველა წინ შემოგვეგებოს, რათა ქრისტიანობა არ წახდესო.

წყალობას წყალობად შეპირდებოდა ყველას, ვინც ეპისკოპოსის სიტყვას მიჰყვებოდა.

— თქვენგან დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეზედ ბეჯითათ მოიქცევით. მრავალი ჯაფა გაგიწევიათ ჩვენის ოჯახისთვის და ახლაც უნდა ჯაფა გასწიოთ. ღვთის წყალობით ასეთი ჯარები მოგვყავს, რომ თქვენის მადლით სათუო აღარ არის ჩვენი საქართველოში შემოსვლა და ახლა თქვენ იცით როგორც გაირჯებით.

თქვენც გაისარჯეთ და მეფე სოლომონიც გასარჯეთო, — ეს უკვე იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს ეუწყებოდათ:

— რომ ღვთის მოწყალებით უომრად მოხდეს ჩვენი საქართველოში შემოსვლა, რომ ქვეყანა არ წაგვიხდეს.

წახდენილ ქვეყანას რაღა უშველიდა, და ალექსანდრე ამიტომაც ანყდებოდა აქეთ-იქით და თავს არა ზოგავდა, რომ ბეწვის ხიდზე გაეტარებინა თავისი სამშობლო და ორი ვეშაპის გასაქელად არ გადაექცია. ორად გახლეჩილი ქვეყნის ნაცვლად, ერთი მხარე რუსეთს რომ ამოუდგებოდა გვერდით და მეორე — ირანს, ერთობლივი ქართლ-კახეთი უნდა შეკრულიყო და ცხვრის ტყავში გახვეული დათვი კავკასიის ქედს გადაღმა დაებრუნებინა.

რამდენიმე წელიწადში განა ასე როგორ უნდა დარღვეულიყო ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომ ქართველობა გაყოფილიყო?!.

ჯერ მარტო ეს:

რუსეთი მეფობას გიუქმებდა.

ირანი კი სამეფო ტახტს აღგიდგენდა.

ამ დაპირებას მხოლოდ პირადად კი არ ამცნობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, არამედ საქვეყნოდ აცხადებდნენ ირანის ხელისუ-

ფალნი — აწინდელი შაჰიც და მომავალიც. და ამ პირობას იმიტომაც არ გადავიდოდნენ, რომ ამდენი საუკუნის მანძილზე არც არასოდეს მომხდარიყო, რომ ბაგრატიონთა ტახტი გვირგვინოსნის გარეშე დაეგდოთ. და ახლა რაღა ღმერთი გაუწყრებოდათ, მითუმეტეს, ყველასათვის თვალნათლივი შექმნილიყო, რამხელა ზარალი მოეტანა ირანისათვის აღა-მაჰმად-ხანის ვითომდა წარმატებულ ლაშქრობას ქართლ-კახეთის დასასჯელად.

ქართლ-კახეთის დასუსტება რუსეთს ერჩივნა.

და თუ ირანისათვის ამ მხარის მოძლიერებას ერთბაშად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, სამეფო კაცი კი ჰყავდათ შეგულებული, ვინც ერეკლე მეორის ხანას გაიმეორებდა და ქართლ-კახეთს კვლავაც კავკასიის ბურჯად გადააქცევდა, მისი გავლენა ქედს მიღმაც რომ გადაწვდებოდა და პატარ-პატარა მუსულმანური სახანოებიც აღიარებდნენ მის ძლევამოსილებას.

მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილიო, — იმეორებდნენ ბაბა-ხანიც და აბას-მირზაც.

რამდენიმე ათწლეული რომ გადაიკეცებოდა და 1804 წლის მთიულეთის აჯანყება ალექსანდრე ყაზბეგის რომანის — „ელგუჯა“ — სიუჟეტურ ქარგას ჩაეწვნოდა, რამდენჯერმე რომ გაიელვებდა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი, როგორც იმ პოლიტიკური მოვლენების ერთი უმთავრესი წარმმართველის, ერთ პასაჟში სულაც მეფედ მოიხსენიებოდა.

— ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავისი მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდგან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელთათვის შემოსასვლელი გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე პირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დამორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებელის გადაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას.

ისედაც სწრაფად წერდა ალექსანდრე ყაზბეგი, თითქოს ბუზანკალი შეჯდომიაო, ან თითქოს ვიღაც უცნობი დადგომია მათრახით და მიერეკებაო. ბუზანკალისა და უცნობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რედაქცია და მკითხველი კი მართლაც ძალიან აჩქარებდა და თავბრუს ახვევდა თავისი მოთხოვნით, განსაკუთრებით „ელგუჯაზე“ დაეხვა ტარაბუა, უკვე დამთავრებული ნოველა მკითხველთა საერთო განწყობილებამ, აღტაცებულმა და აღტკინებულმა, რომანად რომ გადააკეთებინა და, მოკლული გმირი მკვდრეთით რომ აღადგენინა და

კვლავ ჩართო მღელვარე ამბების შუაგულში, მთიულეთის აჯანყების მონაწილეთა შორისაც გარია, ასეთ დროს კი მოსალოდნელია ცალკეული ლაფსუსები თუ უნებლიე შეცდომები, ნაწერი პირდაპირ სტამბაში რომ იგზავნება და გადაკითხვისა და რედაქციული ჩასწორების დროც აღარ გრჩება.

ასეთ შემთხვევაში რა მოხდა, თუ ეს ლაფსუსიც გაგეპარება და ბატონიშვილს მეფედ მოიხსენიებ. ბოლოსდაბოლოს, რამდენჯერმე სავსებით სწორადაა მოხსენიებული საკუთარი ტიტულით.

ეს გარემოებანი სრულიად გაამართლებდა ალექსანდრე ყაზბეგს, ვინმე ლაფსუსების გამო რომ ძრახავდეს და ჩვენი თხრობისათვის კი ამ დეტალის ასე საანგებოდ აღნიშვნა სავსებით ზედმეტი იქნებოდა, ეს შეცდომა თავისთავად რომ არ იყოს საგულისხმო.

ალექსანდრე მომავალ მეფედ აღიქმება პერსონაჟებისთვისაც და თვითონ მწერლისთვისაც.

ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე პირდებოდა დიდს პატივს და წყალობასო...

ბრძანების აღსრულება ანუ ხევიდან რუსთა გარეკვა, მათი დამატებითი ძალებისათის კი გზების შეკვრა, რათა ერთ სალდათსაც ვეღარ შემოეღწია, ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენასა და მეფედ ალექსანდრეს გამოცხადებას.

ეს თავისთავად, ოღონდ ნუ გამოგვრჩება მთავარი, ის განწყობილება, სტრიქონებს შორისიდან რომ გამოსჭვივის: ეჰ, ნეტა მართლა!..

და ალექსანდრე ყაზბეგი გულს იმით მოიოხებს, რომ თავის დიდ სეხნიას უკვე მეფედ მოიხსენიებს, თითქოს იქვე გიორგი რამდენჯერმე არ ეხსენებინოს მეფის ტიტულით.

შენ ლაფსუსი გეგონოს.

ის, რაც ასე გეჩვენება სტილური თვალსაზრისით, ღრმა ფსიქოლოგიური საწყისიდან ამოზრდილა.

ეჰ, ნეტა მართლაო...

სვიმონ ჩოფიკაშვილის პროტოტიპად კავკასიური ილიადის მხატვრული მატიანის შემოქმედს საკუთარი პაპა ეგულისხმა, ისევე, როგორც გაგი ჩოფიკაშვილისა — ერთი სხეულიდან ამოჭრილ ორ სულად რომ გაეაზრებინა ერთ რომანშივე.

ამ ორ სულთაგან ერთი, გაგი, პირწმინდა ბოროტება გახლდათ, თვისტომნი საკუთარი კეთილდღეობისათვის რომ ენაცვალებინა და ოდნავი მონანიების გრძნობაც არ გაუჩნდებოდა და კვლავინდებურად განაგრძობდა ხევის შევიწროებას რუსთა თანადგომითა და წა-

ქეზებით, ის საბედისწერო გასროლა რომ არა, კლდიდან რომ გადახაფრავდა გაბუდაყებულ მოხელეს, ახალ მოწესეთაგან წყალობით აღვსილს.

მეორე კი, სვიმონი, ბუნებით კეთილ პიროვნებად წარმოდგებოდა, პირადი კეთილდღეობა დიდ არაფრად რომ უღირდა და საკუთარ ცოლ-შვილს მართლაც უყოყმანოდ შეწირავდა სამშობლოს, თუკი ქვეყანა მისგან ამას მოითხოვდა, მაგრამ გაორებით გაორებულიყო და სჯეროდა, რომ რუსების სამსახურში ჩამდგარი თავის ქვეყანასაც შეეწეოდა.

თუმც... არც მას ხელეწიფებოდა ორთა უფალთა მონებად!..

ენანებოდა ალექსადრე ყაზბეგს საკუთარი პაპა, რუსთა შემოსვლა-დამკვიდრებამდე ბაგრატიონთა ერთგული და მათთვის თავგადაკლული ახლა მათ საწინააღმდეგო საქმეთ რომ აღასრულებდა და სამეფო ტახტის აღდგენის ნაცვლად მის გაუქმებას განამტკიცებდა, მაგრამ რეალობა მკაცრი გახლდათ, მკაცრი კი არა, სულაც უსასტიკესი და რაოდენ მწარედაც უნდა განეცადა მწერალს უშუალო წინაპრის ღალატი საკუთარი ქვეყნის წინაშე, ცოდვა აღსრულებული იყო და აღარაფერი ეშველებოდა.

გაბრიელ ყაზბეგს თავისი არჩევანი აერჩია, ეს არჩევანი კი მის უზომო აღზევებას მოასწავებდა.

ეგაა, მისი ეს უზომო აღზევება სავალალო აღმოჩნდებოდა ხევისთვისაც, ქართლ-კახეთისთვისაც და მთლად საქართველოსთვისაც, რაკიღა ლიხს აქეთ ძალაუფლების განმტკიცება გადაიყვანდა რუსის ჯარს ლიხს იქითაც.

დიდი როლი შეესრულებინა გაბრიელ ყაზბეგს აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დამორჩილებაში?

გადამწყვეტი, ვაი რომ სულაც გადამწყვეტი.

და რაკიღა ასეა, ერთმანეთის პირისპირ უნდა წარმდგარიყვნენ ისტორიის ავანსცენაზე ალექსანდრე ბატონიშვილი და გაბრიელ ყაზბეგი.

უშუალოდ არასოდეს შეხვედრიან ერთიმეორეს, თუმც უშუალო შეხვედრა რა აუცილებელი იყო, როდესაც ისტორიის ავანსცენაზე მოუწიათ შეჯახება.

ალექსანდრე შეჯახების მომხრე არა ყოფილა.

არავის გაურბოდა.

არავისთან შეხლას არ მორიდებია.

ერთადერთი ეს, გაბრიელ ყაზბეგი არა სურდა მეტოქედ, რადგანაც ყველაზე დიდ დაბრკოლებად იგი აღიმართებოდა ალექსანდრეს

ცხოვრებაში, გადაულახავ დაბრკოლებად... და ალექსანდრე მზად იქნებოდა, ყველაფერი დაეთმო, ოღონდაც გაბრიელ ყაზბეგის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ოღონდაც ის გადმოსულიყო დევნილი უფლისწულის მხარეზე...

„ყველაფრის დათმობა“ მაინც რას გულისხმობს, სადამდე წვდება მისი შინაარსი იმ წუთებში ალექსანდრე ბატონიშვილის თვალთახედვით?

სამეფო ტახტსაც შეელევა.

დიახ, თვით სამეფო ტახტსაც.

მოცილე უკვე აღარავინ გამოუჩნდებოდა მეფის გვირგვინის მოსაპოვებლად, მისი გახლდათ და მარტოდენ მისი, მაგრამ გაბრიელ ყაზბეგი უჭრიდა გზას და არ ანებებდა მარჯვენის გაწვდენას გვირგვინისაკენ, მთავარმართებლის ხელში ტოვებდა აღმოსავლეთ საქართველოსაც და მერე უკვე დასავლეთსაც, და ალექსანდრე რომ დაინახავდა, ამ პიროვნების გარეშე არაფერი გამოვაო, ფიცით დაიფიცებდა, ოღონდაც ჩვენ მოგვიდექი და ქვეყნის მფლობელობა შენთვის დამითმიაო.

ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტია საბოლოოდ წყვეტდა არსებობას?

დაე ასე მომხდარიყო, და ეს თვით ბაგრატიონის ნებითა და გადაწყვეტილებით.

სამაგიეროდ, სამეფო ტახტი აღდგებოდა.

ტფილისის გუბერნია კვლავ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელს დაიბრუნებდა.

ეს კი უღირდა ალექსანდრე ბატონიშვილს მეფის ტიტულზე უარის თქმად.

ვერ დაიჯერებდა გაბრიელ ყაზბეგი დევნილი უფლისწულის აღთქმასა და ფიცს.

იმიტომ კი არა, თითქოს მისი სიტყვის სიმტკიცისა ეეჭვებოდა.

ფიცს არ გადავიდოდა ბატონიშვილი, მაგრამ თვითონ დანაპირები იყო სათუო. ბრძოლის ბედის მკვეთრად შემოტრიალება კი შეეძლო გაბრიელ ყაზბეგის გადმოსვლას აჯანყებულთა მხარეზე, მაგრამ განა რამდენ ხანს გასტანდა პატრიოტთა ტრიუმფი?!.

ვითომ საბოლოოდ შეელეოდა რუსეთი კავკასიას?

თუ მთელს თავის ძალ-ღონეს აქეთ მომართავდა?

ბაბა-ხანის პირველი მინისტრი მირზა-შეფიგი მთავარმართებელს ურჩევდა: ნუ ფიცხობთ და ნურც კეთილგონიერების საზღვარს გადალახავთ, მზის სადარი ირანის ბატონი საქართველოს ასე ადვილად არავის დაუთმობს, ამიტომაც ნუ ეცდებით ქრისტიანთა და მუსულ-

მანთა სისხლით შეიღებოს ქვეყანა, დაე მშვიდობა ჩამოვარდეს სპარსეთსა და რუსეთს შორის, ამისთვის კი ნუღა დაახანებთ და, როგორც წესი, რიგი და სამართლიანობა მოითხოვს, სასწრაფოდ გამოგზავნეთ სანდო კაცები დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის შაჰის მემკვიდრესთან, ვისთანაც იმყოფება ბატონიშვილი ალექსანდრეო.

მაგრამ პავლე ციციანოვი ამ რჩევის გამზიარებელი გახლდათ?

ალექსანდრე ფრონელი ყურადღებას მიაქცევს მთავარმართებლის განსაკუთრებულ განრისხებას ამ შინაარსის წერილის გაცნობით: იმდენიც ვეღარ მოითმინა სიბრაზისაგან, რომ პასუხი მოხელეებს მოემზადებინათ, ადგა და საკუთარი ხელით მისწერა წერილი მირზა-შეფიგსო.

წონასწორობა დაეკარგა ქართველი პაპის გარუსებულ შვილიშვილს:

— გოგჩის ტბაზედ და მტკვარზედ ყუმბარებითა და ხიშტებით დაგიხვდები, აი ეს იქნება ჩემი პასუხი. მშვიდობა მაშინ ჩამოვარდება ჩვენსა და თქვენს შორის, როდესაც მეამბოხე ბატონიშვილებს — ალექსანდრესა და თეიმურაზს — აქ გამომიგზავნი. ეგენი არღვევენ მყუდროებას და ჰღუპავენ თავიანთ სამშობლოს შინაური ამბოხებით და გარედან მტრის შემოყვანით. მხოლოდ მაშინ არ მოირწყვის მინდორ-ველნი სპარსელთა სისხლით, როდესაც ბატონიშვილებს ბინას აღარ მისცემთ და აქ დააბრუნებთ, როგორც ტყვეებს. ვის გაუგონია, რომ შიში ჰქონდეთ, იმათ, ვინც მიჩვეულია გამარჯვებას მთელს დუნიაზე! ვის შეაშინებს მუქარა ან სიმრავლე სპარსთა ლაშქრისა, თუნდ ზღვის ქვიშის ოდენისაცა, როდესაც ეს ლაშქარი ომობს ბუმბულით და არა მახვილით!

ვინ ღუპავს საკუთარ სამშობლოს?

თურმე ალექსანდრე ბატონიშვილი... და კიდევ თეიმურაზი...

ვინ იღვწის და იბრძვის ამ ქვეყნის გადასარჩენად?

თურმე პავლე ციციანოვი.

არადა, გულწრფელად სჯერა ასე.

და ვის ნებავს მყუდროება?

პავლე ციციანოვს, თურმე.

და ვინ ესწრაფის შფოთსა და არეულობას?..

სწორედ რომ სასაცილოა, სატირალიც რომ არ იყოს.

საბოლოოდ შეელეოდა რუსეთი კავკასიას თუ მთელს თავის ძალღონეს აქეთ მომართავდაო?..

მაშინ გაბრიელ ყაზბეგს რაღა შეეძლებოდა, ისე ვერ ამოქოლავდა დარიალს — და დარიალს თუ ამოქოლავდა, კავკასიას ყოველ მხრივ

ხომ მაინც ვერ გადაკეტავდა — რომ გრიგალი შეეკავებინა და ერთხელაც რუსული სამხედრო ექსპანსია შემოღწევით შემოაღწევდა საქართველოს საზღვრებში და მასაც ისევე შთანთქავდა, როგორც სხვა ყოველივეს, ვინც და რაც წინ გადაუდგებოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს სწამდა ჩვენი ეროვნული ენერგიის, სჯეროდა, რომ დაუთმობლობა და შეუპოვრობა საბოლოოდ მაინც თავისას გაიტანდა.

ახლავე თუ ვერა, შთამომავლობას გამოადგებოდა მაგალითად და სიმხნევის წყაროდ.

თავგანწირვით განსაზღვრავდა მათი მოქმედების გეზს.

ეგებ გაბრიელ ყაზბეგს ნაკლებად არ უყვარდა რუსთველური აფორიზმი: სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო, — ნაკლებად არ აღაფრთოვანებდა და თავსაც ნაკლებ არ შთააგონებდა, თუ ბედისწერამ მარგუნა ეს არჩევანი, ჩემს ღირსებას დაბლა როგორ დავუშვებ და სახელოვან სიკვდილს როგორ გავექცევი ნაძრახი სიცოცხლის სათრევადო... მაგრამ მიდგებოდა საქმე საქმეზე და... სული ეტკბილებოდა, აღზევება არ დაეთმობოდა და თავის საქციელს, ალექსანდრე ბატონიშვილის პირისპირ რომ წარდგებოდა, კეთილგონიერებით გაამართლებდა და თავის თეორიასაც შეიმუშავებდა, რათა სამუდამოდ ჩაეკლა ეჭვისა და სინანულის განცდა.

თავისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა?

მითუფრო აუცილებელი გახლდათ მისთვის საკუთარი თავის დარწმუნება ამგვარი გადაწყვეტილების სარგებლიანობაში ვითომდა არა პირადად მისთვის, არამედ ქვეყნისათვის.

ალექსანდრეს მოციქულნი ამიტომაც არიან გაოგნებულნი („ელგუჯას“ სიუჟეტურ ქარგაში), როდესაც სვიმონ ჩოფიკაშვილის გადამჭრელ პასუხს მოისმენენ, მწუხარებით ნათქვამს, მაგრამ სწორედაც გადამჭრელს, მეამბოხეებს განზე რომ გაურბის და კვლავაც რუსთა სამსახურში რჩება.

— ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის, და ეს თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა ამისთვის, რომ თითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადაურჩებოდა.

ესაა ნამდვილი მიზეზი და სათავე მისი მოქმედებისა, რომელიც გარეგნული ბრჭყვიალებით უნდა შეიმოსოს, რადგანაც ამ ბუნების კაცისათვის ძნელია გაცნობიერება იმისა, რასაც სინამდვილეში სჩა-

დის. ამიტომაც ლამობს არამარტო მოციქულებს აუხვიოს თვალი მოქარგული მსჯელობით, არამედ თავიც მოიტყუოს.

და ბატონიშვილს ამიტომაც უთვლის ხვეწნად და მუდარად, რომ მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს:

— თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!.. წავიდეს მეფესთან, მიუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი თავიანთ ნადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მისწვდების, — მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოსო...

სხვა კი არაფერი სურდა ალექსანდრე ბატონიშვილს, სხვას კი არაფერს ედავებოდა რუსეთის ხელისუფალთ — დათქმული პირობები აასრულეთო. და სხვა გზა რომ ვერ გამოინახა გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლების შესასრულებლად, ამიტომაც გადადო თავი გატანჯული ცხოვრებისათვის, თორემ თავის ქვეყანაში ყოფნა და გარჯა ყველაფერს ერჩივნა.

წავიდეს მეფესთან, მიუდგეს გვერდსაო...

და ეს იმ მეფესთან, ვინც დასატუსაღებლად დასდევდა?..

ისიც ნუ გამოგვრჩება, რომ როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი სვიმონ ჩოფიკაშვილთან მოლაპარაკებას მართავს, აგერ გიორგი მეცამეტე ისევ მეფეა.

არადა, ისტორიული ცნობებიდან როგორც შეგვიტყვია, ალექსანდრესა და გაბრიელის პირველი შეთვლა-შემოთვლანი მაშინ გაიმართა, როდესაც მთა წამოიშალა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილთა მეთაურობით, იმხანად კი გიორგი მეცამეტე რამდენიმე წლის გარდაცვლილია და უმეფო ქართლ-კახეთს რუსი მოხელე მართავს.

როდესაც „ელგუჯაში“ მთიულეთის აჯანყება დატრიალდება, მეფე, ცხადია, უკვე გაცლილია ამ წუთისოფელს, და სვიმონ ჩოფიკაშვილი ამბოხებულთ უმეფო ქვეყნის გარემოში ელაპარაკება, მაგრამ ნეტა ალექსანდრეს მოციქულებთან მისი ის საუბარი უშუალოდ ამ დროის ანარეკლია და მწერალმა, მხატვრული ჩანაფიქრით, რამდენიმე წლით ადრე გადაიტანა თუ იმჟამადაც, მეფის სიცოცხლეშიც, აბამდა ალექსანდრე ბატონიშვილი გაბრიელ ყაზბეგთან ფარულ ძაფებს და ამბოხებისათვის აგულიანებდა?!.

მწერალს, მოგეხსენებათ, აქვს უფლება, ისტორიული მოვლენები მხატვრულ განზრახვასა და ლოგიკას დაუმორჩილოს და ამის კვალობაზე ოდნავ თუ სულაც მკვეთრად შეცვალოს.

და ამჯერადაც შესაძლოა ალექსანდრე ყაზბეგმაც ის ისტორიული მოლაპარაკება დროში გაახანგრძლივა და გიორგი მეცამეტის სიკვდილი შუაგულ მიჯნად დაუდო — ამ მიჯნის აქეთაც ლამობენ სვიმონ ჩოფიკაშვილის მიმხრობას ამბოხებულნი და ამ მიჯნის იქითაც.

ეგებ ასე დასჭირდა სიუჟეტს, ასე დაისაჭიროვა პერსონაჟის ხასიათის განვითარებამაც.

მაგრამ — რამდენადაც ამ რომანის ფონი დოკუმენტურია — ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს მოლაპარაკება მართლაც შემდგარიყოს გიორგი მეცამეტის სიცოცხლეშივე — ნიახურას ბრძოლის წინარე ხანს.

ალექსანდრე ყაზბეგმა მარტოდენ ისტორიული დოკუმენტები კი არ შეისწავლა, აკი ზეპირგადმოცემებშიც ყოველმხრივ გაერკვა და ამ მხრივ დიდი რამ ჩაღრმავებანი და ჩხრეკა-ძიებანი არც დასჭირდებოდა, რადგანაც ჯერაც ცოცხლობდა 1804 წლის აჯანყება მოხევეთა ცნობიერებაში, მისი ექო ძალუმად აღწევდა ახალთაობის ყურამდე, მოჩხუბარიძე ამ მონათხრობთა გარემოცვაში იზრდებოდა, თანაც ორივე ვერსიით — ოფიციალურითაც და სახალხოთიც — მონვდენოდა ეს ყოველივე.

ოჯახური გადმოცემები სხვას ირწმუნებოდა, გარეთ სხვა ამბებს ისმენდა. თუმც ბევრი რეალია ემთხვეოდა ერთმანეთს და რაც არ ემთხვეოდა, მათი შეჯერებისა და გააზრების საშუალება ჰქონდა, ისტორიულ დოკუმენტებთან შედარებისაც, და ეგებ ის პირველი მოციქულები ხევის მებატონეს მართლაც მეფის სიცოცხლეშივე ეახლნენ?

ასეა თუ ისე, გაბრიელ ყაზბეგის მოქმედებანი მწარედ დააჩნდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიას.

არადა, ვერსაით შეუვიდოდა, სამაგიეროს ვერაფრით ვერ გადაუხდიდა და მუქარა დარჩებოდა მუქარად, რომელიც კიდევ და კიდევ აღზევებულ მებატონეს სასაცილოდაც არ ეყოფოდა.

ეგ კი არის, ისკანდერის ნაცვლად გაბრიელისვე შვილიშვილი იძიებდა შურს, ალექსანდრე ყაზბეგი ამოიყრიდა ქვეყნისათვის გადამკვდარი უფლისწულის ჯავრს და „ელგუჯაშიც“ გამოხატავდა პაპის გაორებულ პორტრეტს და ყოფით რეალობაში კი მისი საფლავის შებღალვასაც არ მოერიდებოდა.

თუმც ეს ჯერ როდის უნდა მოხდეს.

ჯერჯერობით ხომ მთიულეთის ამბოხების დროშაც არ აფრიალებულა და მთავარმართებელი ციციანოვი ირანის შაჰის პირველი მინისტრის მირზა-შეფის წერილს ღებულობს: შაჰის მოთხოვნაა, რუსებმა ხელი აიღოთ საქართველოზე და ჯარი გაიყვანოთო. აქედან გაეყვანათ ჯარი კი არა, სპარსეთის დალაშქვრის ოცნებას ელოლიავებოდნენ და ციციანოვიც დიდ გულზე რომ დახვდებოდა სპარს შიკრიკს, საპასუხო წერილს კადნიერი ტონით შეადგენდა და შაჰს იქით წაუყენებდა მოთხოვნას: გიჯობს ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები გადმომცეო.

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსელთა მოწინავე ჯართან ერთად უკვე ერევნის სახანოში იმყოფებოდა და ამ ქალაქის აღებას იჩქაროდა, მაგრამ უკან დახევა მოუხდებოდა, ერევნის ხანი ციხეში საიმედოდ გამაგრდებოდა, მაგრამ იმაზეც საგანგებოდ იზრუნებდა, რომ მისთვის ნაკლებად სანდო სომეხი მოსახლეობა აეყარა და ყარსისაკენ გაეხიზნა. გზად სომხები მიმართულებას შეიცვლიდნენ და ბამბაკისაკენ გადაუხვევდნენ საქართველოს საზღვრებში შემოსაღწევად.

შეიტყობდა თუ არა ბატონიშვილი სომხების აყრისა და მათი მარშრუტის ამბავს, დადევნებით სასწრაფოდ კი დაედევნებოდა, მაგრამ დაწევით ვეღარ დაეწეოდა და ისინიც, ბამბაკში ჩაღწეულნი, ჩვენს საზღვრებსაც გადმოლახავდნენ.

ბამბაკში ალექსანდრესაც მალე მოუწევს ჩასვლა და იქაური მოსახლეობის აჯანყება, რასაც წარმატებით მოაბამდა თავს, მაგრამ ჯერ რუსებთან უნდა მოსვლოდა პირისპირ შეჯახება.

ერევნის ხანი ციხეში რომ გამაგრებულიყო, არც რუსების წინაშე აპირებდა დამორჩილებას, და ციციანოვი ამაოდ რომ უთვლიდა, გირჩევნია დამნებდეო, მისი უარით განრისხებული და სპარსელთა მოსალოდნელი შემოჭრით შეფიქრიანებული თვითონვე უსარდლებდა სახელდახელოდ მოკრებილ ჯარს.

ეს თიანეთის აჯანყებაც რა საბედისწეროდ წამოეწია!..

არა ჩანდა ადვილად ჩასაქრობი და კიდეც ბევრ ოფლს აწურვინებდა იმპერატორის კარს, მაგრამ მთავარმართებელი ამჯობინებდა მისი ჩაშოშმინება საქართველოს მმართველის, ვოლკონსკისათვის მიენდო, და მასთან ერთად და რაც მთავარია — ქსნისა და არაგვის ერისთავებისათვის და თვითონ აქ აღარ მოცდენილიყო.

გაუმართლებდნენ ერისთავებიც, გაბრიელ ყაზბეგიც გადამწყვეტად იმოქმედებდა და ჩაქრებოდა ის დიდი მღელვარება, თორემ მთავარმართებელს უსათუოდ სანანებელი გაუხდებოდა, ნეტა ჯერ აქაურობისათვის მიმეხედაო.

ახლა ერევნის ციხეს ადგა გარს, მის გარშემო კი სპარსელთა ლაშქარი შემოწყობილიყო.

მათი პირველი შეტაკება სასაზღვრო ქალაქ გუმრთან მოხდებოდა, სპარსელთა მარცხენა ფრთას, ცხენოსანთა რაზმის ავანგარდს ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა სათავეში, და თუმც ეს ბრძოლა შეუპოვარი იქნებოდა სპარსელთა და ქართველთა მხრიდან, ბოლოს მაინც ძლეულნი გამოერიდებოდნენ იქაურობას; და ეჩმიაძინისა და ერევნის მისადგომებთანაც მარცხს რომ იგემებდა აბას-მირზა, იძულებული შეიქნებოდა უკან გაბრუნებულიყო, ციციანოვი კი ერევანზე გადამწყვეტი იერიშისათვის მოემზადებოდა.

მაგრამ ბრძოლის ბედი უნდა შემოტრიალებულიყო — შინისაკენ მიმავალ აბას-მირზას მის საშველად დაძრული ბაბა-ხანი შემოეყრებოდა მრავალრიცხოვანი ლაშქრით და ხელახლა რომ შემობრუნდებოდა, მაშინაა მოალყე ციციანოვს თვითონაც ალყაში რომ მოაქცევდა, რათა რუსის ჯარს ვეღარც სურსათი მიეღო, ვეღარც ფურაჟი და ვეღარც ვერანაირი დახმარება.

და ალექსანდრე ბატონიშვილსაც მაშინ დაევალებოდა ბამბაკში ჩასვლა და იქაურობის გახვევა ამბოხების ცეცხლში, რათა საგულდაგულოდ გადაკეტილიყო რუსის ჯარისათვის შემწეობის გზები.

ეს იყო და მისი საქმე!..

მსწრაფლ შემოიკრებდა ბორჩალოსა და ყაზახის თათრებს და გზებს ისე საიმედოდ შეკრავდა, ჩიტსაც გაუძნელდებოდა გადაფრენა.

ალექსანდრე ფრონელს ეამაყებოდა, სწორედ მისმა დიდმა სეხნიამ რომ შეწყვიტა ყოველგვარი მიმოსვლა ერევანსა და ტფილისს შორის.

— ეს დაუდგრომელი და მხნე კაცი ყიზილბაშთა ცხენოსანის ჯარით ელვასავით დაჰქროდა... და წუთისოფელს ასალმებდა ყველას, ვინც კი გაბედავდა ამ გზაზე გამოჩენას ან სურსათით, ან ტყვია-წამლითა.

სოფელ ყარაკლისთან ბატონიშვილი სულ რამდენიმე საათში ამოწყვეტდა მაიორ მონტრეზორის რაზმს.

იმას მცირე მხედრობა არა ჰყოლია — თან ხლებია 350 ჯარისკაცი და არტილერია სამი დიდი ზარბაზნით, და ევალებოდა უვნებლად მიეცილებინა ერევნამდე პურით დატვირთული ურმები.

ნაბრძანებიც ჰქონდა და თვითონაც იფიქრებდა, რომ სჯობდა ღამღამობით გაეარა საშიში ადგილები, რათა ყიზილბაშებს არ გადაწყდომოდნენ.

ალექსანდრეს მაშ რისთვის გაება თავის მხრივაც მსტოვართა ქსელი, რუსთა დაგებულ ხაფანგებში რომ გადი-გამოდიოდნენ და მის წერილებსაც აწვდენდნენ ადრესატებს და ყოველგვარ ცნობასაც გულდასმით ჰკრეფდნენ.

არც მონტრეზორის ჯარის მსვლელობა გამორჩებოდათ.

და კიდეც დაესხმოდათ თავს მოულოდნელად ამ რაზმს და ფიცხელ ბრძოლასაც გაუმართავდათ.

ისტორიკოსი პოტო შეეცდებოდა პოეტურად აღეწერა ეს მღელვარე ეპიზოდი, რათა წარმოეჩინა რუსეთის სამხედრო ისტორიის კიდევ ერთი საშინელი და საგმირო ეპიზოდი ჩვენს ქვეყანაში, და გუნდრუკს უკმევდა მაიორ მონტრეზორს, რომელიც, რაკიღა დარწმუნდებოდა, ცოცხალი ვეღარ წავუვალ ალექსანდრე ბატონიშვილსო, გადაწყვეტდა ძვირად დაესვა ქართველთათვის თავისი სიკვდილი, იმ წამსვე თავის რაზმს დააწყობდა კარედ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა.

ასე გაწყდებოდა ეს რაზმი ლამის პირწმინდად. დაღუპვას გადაურჩებოდა მხოლოდ რამდენიმე ქართველი, ორი დაჭრილი ოფიცერი და 10 ჯარისკაცი, რომელთაც ტყვეობა არ აცდებოდათ. თვითონ რაზმის მეთაურს კი აჩეხილ-აკუწულს იპოვნიდნენ ზედ ზარბაზანზე.

ალექსანდრე ფრონელი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ამ ეპიზოდს იმ კუთხით, თუ რამდენად შეუსწავლელი და გამოურკვეველი იყო ჩვენი ისტორია. ასე რომ არ ყოფილიყო, რუს ისტორიკოსებს ურთიერთსაპირისპირო ცნობები არ ექნებოდათ ჯარისკაცთა რაოდენობის შესახებ, დაჭრილების, დაღუპულების... მაგრამ ჩვენ ამას ნუღა გამოვედევნებით. მთავარი ისაა, რომ ალექსანდრეს ეს გამარჯვება დიდ გამოძახილს ჰპოვებდა და კიდეც ამღელვარდებოდა ბორჩალოს დისტანციის თათრობა, გამხნევებულნი, გალაღებულნი.

— თუ აქამდე წყნარად ისხდნენ თავ-თავიანთ სახლებში, დღეიდან გულმა აღარ მოუთმინათ და აიშალნენ.

ზოგი თვითონ ბატონიშვილს მიაშურებდა.

ზოგი აბას-მირზას ბანაკისაკენ გაეჩქარებოდა.

და განა ეს ერთსა და იმავეს არ ნიშნავდა?

ალექსანდრე არ იკმარებდა მარტოდენ თათართა გამოჩენას და თავის მხრივაც ჩამოუქროლებდა მთელ იმ მხარეს, რათა ისინიც წამოეშალა, რომელნიც ჯერაც ყოყმანობდნენ: ეგებ უჩვენოდ მოგვარდეს ყველაფერიო.

ალექსანდრესი სახელიც ძალიან მოქმედებდა ადამიანებზე.

მისი ხილვაც არანაკლებ.

ამჯერად არავის გაუჩნდებოდა თუნდ უწყინარი ხუმრობის სურვილი: შენს ნახვას შენი სახელი სჯობდაო.

რაიმე კარგი ამბავიც შემატყობინეთო, — იხვეწებოდა მთავარმართებელი, კვლავაც ალყაში მომწყვდეული და ვალკონსკის ლანძღავდა გუნებაში: რისთვის დავაყენე გამგებლად, იმის ნაცვლად, რომ აქ მომეშველოს, ამბოხებულებმა წალეკეს ქვეყანაო.

ყარაკლისის მარცხი კიდევ უფრო გააშმაგებდა: ყველას რაღაცას მოვუხერხებ, ამ ბატონიშვილს როგორ მოვუგრიხო კისერიო.

ის აქეთ უგრეხდა კისერს და ეგაა!..

ჩემი თანაშემწეები რომ არ მიშლიდნენ ხელს უაზრო განკარგულებებითა და თვითნებობით, ყველაფერს დავაწყნარებდი, რაკიღა თვით უფალი შემეწევა, ოჰ, აქ გადავრჩე, მაგათ ვაყურებინებ სეირსო, — გულს აწყდებოდა პავლე ციციანოვი და 30 სექტემბერს იმპერატორს წერილს რომ გაუგზავნიდა და თავის თანაშემწეთა კილვა-ყვედრებასაც იქ ჩაუწერდა, სიამაყით დასძენდა:

— გეგმა ჩემი მოქმედებისა დაფუძნებულია ამ ერის ცოდნაზე, რომელიც სიყრმიდანვე შევიძინე მამაჩემის სახლში.

რაში იყენებდა ამ ცოდნას!..

ხოლო ალექსანდრე...

ალექსანდრე უკვე ბამბაკშიაო?!.

ტფილისიდან წერილი მოუვიდოდა: ნუღა აყოვნებ, აქეთ დაიძარი, თავს დაესხი დედაქალაქს და დაიბრუნეო.

ჩაკითხვით კი ფარნაოზ ბატონიშვილი ჩააკითხავდა და იულონ ბატონიშვილის ძე ლევანი. ჰოი რა ვაივაგლახით, მაგრამ მიაღწევდნენ კი მასთან.

მთავარმართებელს სულ უფრო და უფრო გაუჭირდებოდა და მაიორ მონტრეზორის რაზმს გაგზავნიდა ტფილისისაკენ დახმარების მოსაპოვებლად, მაგრამ 21 აგვისტოს სოფელ სალართან ამ რაზმს ალექსანდრე ბატონიშვილი დახვდებოდა და პირწმინდად რომ გააანადგურებდა, მათ მეთაურსაც იმსხვერპლებდა.

პავლე ციციანოვის გასაჭირი ახლა გენახათ, ერევნის გარშემო პურის ნათესებს რომ გადაუწვავდნენ და ჯარს შიმშილობა დაუდგებოდა, სანუგეშო კი არსაიდან არაფერი ისმოდა.

სამაგიეროდ, სანუგეშო და საიმედო ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილს მისდიოდა.

აქეთ მთავარმართებლის საავალალო ყოფა.

იქით — თიანეთის აჯანყების ტრიუმფალური მსვლელობა.

სტეფანწმინდისა და ლარსის საგუშაგოთა აღება და დარიალის ხეობის საიმედოდ ჩაკეტვა.

ლომისის აღება და ამბოხების ელვისებური გავრცელება ქსნის ხეობაშიც.

აგვისტოს მიწურულისათვის დუშეთის მოქცევაც აჯანყებულთ ხელში და ანანურის უკიდურესი შევიწროებაც.

ოცნების აღსრულებას განა რაღა უკლდა?!.

ფარნაოზ ბატონიშვილი ამბოხებულებისაკენ მიისწრაფოდა და თან მიჰქონდა სახელოვანი ძმის წერილი-მოწოდებანი იმ იმედით, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი მეტ სიმხნევეს მიანიჭებდა აჯანყებულებს და მეტ ერთიანობა-სიმტკიცეს ამბოხების შემდგომ მსვლელობას, რომელსაც აჰა, წუთი-წუთზე უნდა ამოეგო დაკარგული სამეფო და სამხედრო გზაც ისე გადაეკეტა, იქ გადამთიელთაგან ვეღარავინ გაჭაჭანებულიყო.

— საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავ ერთობლივ ჩვენს უნჯ ყმათ ფშავთ.

ეს წერილი 23 აგვისტოთი დათარიღებულიყო და ამბოხებულნი შეიტყობდნენ, რომ ბამბაკში ქართველი ბატონიშვილი თორმეტი ათასი ყიზილბაშით მისულიყო და თან ახლდა ყაჯარი ფირყული ხანი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურთაგან და გლეხთაგანაც მრავალი იმყოფებოდა იქ და ყაზახისა და შამშადილის და სხვა მომხრე თათრობაც და ელთა ჯარებიც. ყაენის ამბავს თუ იკითხავდნენ, ერევანს ბრძანდებოდა ასორმოცი ათასი კაცით და იქ რომ რუსის ჯარი შეჭრილიყო, იმას შემოდგომოდა გარს და მეჩეთში შეემწყვდია. სამი ათასზე მეტი რუსი უკვე დაეხოცათ. ამას გარდა, ვერც ალყიდან გამოეღწია ვერავის და ვერც შიგნით შეეღწია, სნეულებაც ძალიან მოსდებოდათ და დღეში ოცდაათ-ორმოცზე მეტი რუსი კვდებოდა. ბამბაკშიც რომ ჩამდგარიყვნენ რუსები, ისინიც ისე შემომწყვდეულიყვნენ, რომ არც არავინ მიჰკარებოდათ, მარტო შიმშილი ამონყვეტდათ. ნახევარზე მეტი ბრძოლაში გაჟლეტილიყო. ხუთასი რუსი წამოსულიყო ბამბაკისაკენ პურის წასაღებად, მაგრამ ბატონიშვილს შეეტყო და ელვისისწრაფითაც მისჭროდა.

ახლა კი:

— ჩვენ და თქვენ დიაღ დიდის ხნის ბატონ ყმანი ვართ. თქვენც კარგად იცით, ჩვენს მამასა და პაპას თქვენის გულისათვის მრავალჯერ სისხლი დაუქცევიათ და ყოველთვის მამაშვილურათ ყვარები-

ხართ. და ეგრეთვე თქვენც ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვის მრავალჯერ სისხლი დაგიქცევიათ. ათასი სამასი წელიწადი არის, რომ ჩვენი ერთგულნი უნჯნი ყმანი ხართ და ახლაც თქვენი დიდი ერთგულება და დიდი სამსახური გვესმის. და როგორც ერთგულად ირჯებით, კიდევ მაგ საქმეზედ ბეჯითად იყავით და ღვთის მოწყალებით, როგორც სანატრელს მამას ჩვენს მეფეს ერეკლეს უყვარდით და გწყალობდათ, უმეტესად ჩვენგან წყალობაცა და სიყვარული გექნებათ. ახლა ჩვენს ძმას ფარნავაზს გამოვისტუმრებთ ღვთით მანდეთ ჯარით, და როგორც ჩვენი სიტყვა და ჰაზრი არის, ეგ გამოგიცხადებსთ და გაცნობებსთ.

ჩვენს მამასა და პაპას ყოველთვის მამაშვილურად ყვარებიხართო...

გამოხდებოდა ხანი და ბატონყმობის ხანას მამაშვილობას გაუთანაბრებდა ალექსანდრე ორბელიანი და თეორიადაც გადააქცევდა, მამაშვილობის თეორიად, რაც კარგა ხანს იქნებოდა საქილიკოც და დაუჯერებელიც ლიბერალთა და დემოკრატთა წრეებში, ვიდრე სარწმუნო შეიქნებოდა ამ თეორიის უტყუარობა და ამ თვალთახედვით გაზომვა ჩვენი ფეოდალური ჟამისა ყველაზე ღრმა და მიუდგომელი აღმოჩნდებოდა. და ის, რაც თეორიაა ალექსანდრე ბატონიშვილის დისწულისათვის, ჩვეულებრივი მოვლენაა თვითონ ბატონიშვილისთვისაც და აგერ თუნდ ფშაველებისთვისაც, რომელთაც თავიანთ მამა-პაპათაგან სმენიათ ამ ურთიერთობის თაობაზე და მამაშვილობის გარდა ამ ურთიერთობაში მათაც სხვა ვერაფერი დაუნახავთ.

ნუთუ ალექსანდრე ბატონიშვილს აზრად მოუვიდოდა საგანგებოდ აღენიშნა ურთიერთობის ეს სტილი, ოდნავი ეჭვიც რომ ჰქონოდა, აჯანყებულთათვის ამ მოსაზრების შეტყობა გასაკვირი იქნებაო?!.

მათთვის ეს უმთავრესი არგუმენტი უნდა იყოს.

თორემ სწორედაც პირიქით — ამის მტკიცებით, რაც დაუჯერებელი იქნებოდა, ბატონიშვილი მხოლოდ გაირთულებდა თავის მდგომარეობას — განა ვინღა ენდობოდა?!.

ურთიერთობის ის სტილი კვლავაც უნდა გაგრძელდეს ანუ მამაშვილობა ახლა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან უნდა იგრძნონ და თვითონაც ასევე უპასუხონ.

მართლაც განა რაღა უკლდა ოცნების აღსრულებას.

არადა, სულეიმან სარდალს მაინცდამაინც ახლა უნდა ეღალატა ბაბა-ხანისათვის და თეირანში სახელმწიფო გადატრიალება მოემზადებინა. შაჰს საქართველოს ჯავრი აღარ ჰქონდა, ერთი იმდენი, თა-

ვისი ხელისუფლება გადაერჩინა. ამიტომაც სასწრაფოდ მოხსნიდა ალყას და თეირანისაკენ გაეშურებოდა.

ციციანოვს თითქოს ზეცა გაეხსნაო, ალყა თავისთავად ჩამოეხსნა და დახმარების საშუალებაც გაუჩნდა, ერევნის ციხე ლამის იერიშით რომ აეღო; მაგრამ ისე გამოსცლოდა არაქათი, იერიშს ვეღარ გაბედავდა, მითუმეტეს, თიანეთში აჯანყების ცეცხლი სულ უფრო ძლიერდებოდა, და უკან გამობრუნებას ამჯობინებდა, რათა მთელი სამხედრო ძალებისათვის ამბოხებულთა წინააღმდეგ მოეყარა თავი.

ბატონიშვილი ნახჭევანში დარჩებოდა და იქიდან წერილს წერილზე აგზავნიდა აჯანყებულებთან, როგორმე დარიალის გზა ჩაკეტეთო.

ვლადიკავკაზიდან დიდი ჯარი დაიძრებოდა და ხეობასაც შემოჰყვებოდა, და ტფილისიდან დამატებითი ძალებით ციციანოვიც რომ შემოუტევდათ, ამბოხებულნი ორ ცეცხლს შორის მოექცეოდნენ.

ლომისასთან გამარჯვება უკანასკნელი გაბრწყინება აღმოჩნდებოდა მეამბოხეთათვის.

ალექსანდრე ფრონელი ყურადღებას მიაქცევდა, რომ ეს ეპიზოდი მეტისმეტად მკრთალად და ბუნდოვნად ჩაწერილიყო აქტებში, ასე რომ, კაცი ვერ გაიგებდა, რა ღირსებისა იყო ან რა ფასი ჰქონდა ამ წარმატებას.

ხომ უკვე უკან-უკან მიდის აჯანყებულთა საქმე და მალე მათი განადგურებით უნდა დასრულდეს. მეტი რაღა უნდათ რუს მემატიანეთ, სატრაბახო არ მოაკლდებათ, დადგნენ და ასხან ხოტბა ამ ეპოპეის საბოლოო შედეგსაც და მის ცალკეულ ეპიზოდებსაც, რუსების სამხედრო ტრიუმფს რომ მოწმობდა... მაგრამ ამბოხებულთა წარმატებული გაელვებანიც ენანებათ აღსანიშნავად, თითქოსდა იმპერიის იმ საბოლოო გამარჯვებას — მთიულეთის მღელვარება სისხლში რომ ჩაახშო — რაიმე აკლდებოდეს.

ჰოი, რა აღტაცება დაუფლებოდა პავლე ციციანოვს და რა ბაქიბუქით ამცნობდა შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფ კოჩუბეის:

— ჩემი დაბრუნებით გულგახეთქილი ბატონიშვილები მალე გაეცლებიან მეამბოხე მთიულებს და ყველაფერი სასიამოვნოდ გათავდება. ესეც რომ არ იყოს, შემოდგომა კარსაა მომდგარი და მეამბოხეთ, მეტი რა ჯანი აქვთ, შეწყალება უნდა ითხოვონ, თორემ ტყესა და ხეობებში, სადაც ზაფხულობით საჭმელ-სასმელს ადვილად შოულობდნენ, შიმშილით გაწყდებიან.

ამასობაში გენერალ ნესვეტაევთან დამარცხებული ფარნაოზ ბატონიშვილი სასწრაფოდ რომ გაეცლებოდა ხევს და ხევსურეთსა და

ფშავში გადაიჭრებოდა, კიდევ ჰქონდა იმედი ბრძოლის სასწორის შემობრუნებისა: ერთი შეტევა და ვნახოთ, რას დავმართებთ რუსობასო, მაგრამ...

ვეღარავის აიყოლიებდა.

მთავარმართებელი ამასაც თავისი სახელის ზათქსა და გრგვინვას მიაწერდა და თვით იმპერატორს შესტრაბახებდა:

— გული გაუსკდათ ხევსურებსა და ფშავლებს ჩემი დაბრუნებით ერევნიდან და ამიტომ მოახსენეს უარი ბატონიშვილს: ვეღარ შევებრძოლებით რუსობასაო.

თიანელებს მოსთხოვდნენ: ფარნაოზი ხელფეხგაბაწრული უნდა მოგვგვაროთო.

და თუმც ისინი აყოლით აღარ აჰყვებოდნენ ბატონიშვილს, ვერც მის შეპყრობას იკადრებდნენ:

— თუ ჩვენს მამულზე გამოიელის ბატონიშვილი, ხელსაც ვერ ვახლებთ და დაჭერით ხომ როგორ გავბედავთ ან როგორ შევკადრებთ.

შორიდან კვლავაც თავისას ცდილობდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ყველაფერს ეჭიდებოდა სამხედრო ვითარების შემოსატრიალებლად.

გუდამაყრელებს 2 ნოემბერს გამოგზავნილი ბარათი რომ მიუვიდოდათ, ამოიკითხავდნენ შეხსენებას იმ ერთგულებისა და თავდადებისა, იმ სისხლდაღვრისა, რაც აქაურთ გამოეჩინათ ბაგრატიონთა ოჯახის წინაშე; და იმ წყალობისა და ჭირნახულის დავიწყება მართებდათ, რაც ამ ოჯახისაგან რგებოდათ.

ახლა ფარნაოზ ბატონიშვილი იმყოფებოდა მათთან.

— მაგის წინ სისხლი უნდა დააქციოთ და ერთგულათ ემსახუროთ.

გზები საგულდაგულოდ უნდა გადაეკეტათ და რუსები არ შემოეშვათ.

თავიანთ შორის მოხელენი და მეუფროსენი აერჩიათ და დაძრულიყვნენ.

გაზაფხულზე შაჰიც უნდა შემობრძანებულიყო და ალექსანდრეც შემოჰყოლოდა დიდძალი ჯარით და გუდამაყრელებს სამსახურისათვის ურიცხვი წყალობა მოეფინებოდათ.

ვეღარც ეს ბარათი არგებდა ვერას ფარნაოზ ბატონიშვილს და ვეღარც სხვა მცდელობანი შეეწეოდა.

გადაწურულიყო მისი ბედი, ისევე, როგორც მანამდე მისი ძმისა. იულონის საბედისწერო მარცხმა საწურბლესთან, ცალი ფრთა შეატეხა აჯანყებას, ახლა მეორე ფრთაც განწირულიყო და ბევრიც ეარა გარს საქართველოს საზღვრებისათვის ალექსანდრე ბატონიშვილს,

უკვე რაღას გააწყობდა, აბას-მირზაც დამარცხებას რომ შეეგუებოდა და თავს იმითღა ინუგეშებდა: ეს მხოლოდ დროებით, თორემ ჩემი დროც დადგება და მალე დადგებაო.

სადაც კი გავჩნდიო, — თავი ლამის ზეცისათვის გაეტოლებინა მთავარმართებელს, — ყველა დანყნარდა, დამშვიდდა, ყველა შეწყნარებასა და პატიებას მთხოვდა და ისღა დამრჩენია, რომ გამოვიკვლიო, რა იყო მიზეზი ამ აღრეულობისაო.

ალექსანდრე ფრონელი არ დაიშურებდა აღმტაც ეპითეტებს პავლე ციციანოვის მიმართ: ეს საკვირველიო, ეს გმირობაო, ეს ვაჟკაცობაო, ეს სიმხნეო, ეს ნიჭიერებაო... მის წინამორბედ მთავარმართებელთაგან განსხვავებით ზოგიერთ უკანონობასა და უსამართლობას რომ დაუპირისპირდა საქართველოში და კიდეც აღმოფხვრა, არც ამას დაუმალავდა მკითხველს, მაგრამ არც ის ცოდვა უნდა დაფარულიყო, რომ: უიმისოდ მთიულეთის აჯანყებას რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ვერ ან ძალზე ძნელად თუ ჩაახშობდა.

თავდაჭერილად გამოთქვამს ამ მოსაზრებას:

— ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს საქმე...

თუმც ნათელია და ციციანოვის პიროვნული თვისებებითა და ბიოგრაფიული ეპიზოდებით განმტკიცებული, რომ ერთბაშად მოშვებული ყულფი სწორედ მან შეკრა ისე მძლავრად, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს მას შემდეგ რვა წლის ლოდინი და გაცხოველებული სამზადისი მაინც დასჭირდებოდა, ვიდრე კახეთის აშლით გაიბრწყინებდა და დიდ საშიშროებასაც შეუქმნიდა რუსეთს ამ მხარის გამოტაცებისა იმისი ხუნდებისაგან...

ბაქოს კომენდანტად რომ დანიშნავდნენ, მაშინ დაუახლოვდებოდა იქაურობის ბატონ-პატრონს ჰუსეინ-ყული-ხანს, ხოლო 1806 წლის 8 თებერვალს ამ ქალაქის აღებას რომ ეპირებოდა იმპერატორის დავალებით და ალყასაც შემოარტყამდა, ჰუსეინ-ყული-ხანი შემოუთვლიდა: ჩემი ხელით ჩაგაბარებ ციხის გასაღებს და ბრძოლა შევწყვიტოთო.

რა არის მაინც ბედისწერა!..

ასერიგად გამოცდილი სარდალი და მოხელე, დიპლომატიასა და თვალთმაქცობაშიც რომ ძნელად მოეპოვებოდა ბადალი, საკუთარი ფეხით მიადგებოდა საჯალათო კუნძს.

ვინ პავლე ციციანოვი და ვინ ამისთანა მიამიტობა.

არადა, თავისი ფეხით მისვლა ითქმის საჯალათო კუნძთან, აბა, სხვა რა დაერქმევა, რაც პავლე ციციანოვს დაემართებოდა, ციხისაკენ გზას რომ გაუდგებოდა თარჯიმნისა და ერთი ყაზახის ამარა.

სადარბაზოდაც რომ გამოწყობილიყო!..

რად ეღირებოდა გასაღების გადაცემა, თუკი ამ ყოველივეს საზეიმო იერი არ მიენიჭებოდა.

მისთვის ყველაზე სახიფათო წუთებში დააწვა ბურუსი გონებაზე.

აგერ გამოდის ციხიდან ჰუსეინ-ყული-ხანი თავისი ამალით, უახლოვდება მთავარმართებელს, ანიშნებს იბრაჰიმ-ბეგს და ისიც დამბაჩას დასცემს პავლე ციციანოვს.

ასე უსახელოდ და ლამის კომიკურად დასრულდებოდა ტრიუმფით განვლილი გზა ცხოვრებისა.

ჩვენ რაღა გვეშველებოდა, თორემ...

ნეტა ასეთი გულუბრყვილობა მთიულეთის ამბოხის ჩაქრობისას გამოეჩინა თუნდ ერთი, ერთადერთი წუთით...

მეტი არც დაგვჭირდებოდა.

მაგრამ როდესაც ბედი გაგწყრომია... როდესაც ბედი გაგწყრომია, ის ერთი წუთიც აღარსადაა.

თავი მეშვიდე

„მინყივ ვეძიებდეთ მამულსა ჩვენსა“

შეპყრობას ვერ გადაურჩებოდა იულონ ბატონიშვილი.

ველარც ფარნაოზ ბატონიშვილი დაუსხლტებოდა მდევრებს.

მაშინაა, დარეჯან დედოფალს პეტრე ბაგრატიონი რომ გადასცემდა იმპერატორის მითითებას, მიეწერა წერილი შვილისათვის და დაბეჯითებით ერჩია ბრძოლაზე ხელის აღება და საქართველოში დაბრუნება.

თვითონ პეტრეც გამოუგზავნიდა წერილს ამავე შეგონებით: შემოგვირიგდი და პასუხი არ მოგეკითხებაო.

წერილებს გოგია კალუსოვს გამოატანდნენ, ვინც კიდეც ჩამოაღწევდა ბატონიშვილამდე და მის საპასუხო წერილებსაც წამოიღებდა 1805 წლის 30 ივლისით დათარიღებულს.

აკი ალექსანდრე კვლავაც მტკიცედ იდგა თავის მოთხოვნაზე: ბაგრატიონთაგან რომელიმეს დაუბრუნონ სამეფო ტახტი და ჩემს შემორიგებას წინ აღარაფერი დაუდგებაო.

არა, მაინც რის იმედად აგრძელებდა ბრძოლას?

— დიდ ხელმწიფეთაგან ერთ-ერთი მაინც დამეხმარება.

1805 წელს ირანის ხელისუფლება საკუთარი წარმატების ხანად ჩაითქვამდა. თუკი წინა წელს რუსებს დარჩათ გამარჯვება, ვითომ ახლა რევანში რატომ არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი?!.

უთუო ტრიუმფის რწმენით ანთებული აბას-მირზა კვლავ განაახლებდა საომარ მოქმედებებს და განჯამდეც მიატანდა, მაგრამ წარმატებანი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და 23 და 27 ივლისის მარცხიანი შეტაკებების შემდგომ ერევნის გზით მოუწევდა უკან დახევა, ალექსანდრე ეჩმიაძინში დარჩებოდა, მანამდე კი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად შამქორის ბრძოლაში მოწინავე ნაწილებში იბრძოლებდა.

შამქორი ქართველთა რამხელა ტრიუმფით აღბეჭდილიყო ქართლის ცხოვრების ფურცლებზე, არამარტო თამარის ეპოქის ძლევამოსილ გამარჯვებად, არამედ გამორჩეულ ნიშანსვეტადაც ჩვენს ასე-რიგად ხანგრძლივ ისტორიაში. ეს იყო ქრისტიანული სამყაროს ბრწყინვალე გამარჯვება მაჰმადიანურზე. და წუთისოფელი როგორ უნდა დატრიალებულიყო და ქართველობა რა დღეში უნდა აღმოჩენილიყო, რომ იმავე მინდორზე მაჰმადიანთა გვერდიგვერდ უნდა შეებმოდით მართლმადიდებლურ ქრისტიანულ არმიას ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

მაგრამ განმეორება არ ეწერა ბაგრატიონთა იმ ტრიუმფს.

ის კი არა, ბაბა-ხანი ალექსანდრეს არამცთუ არავითარ შემწეობას აღარ აღუთქვამდა, არამედ მოსთხოვდა, გასცლოდა მის სამფლობელოს.

ამხელა თანადგომის, ამდენი წყალობით აღვსების შემდგომ ერთბაშად ასეთი ათვალწუნება?

მითუმეტეს, თავი არ დაუზოგავს ალექსანდრეს და თუ რაიმეთია აღბეჭდილი ის წელი ისტორიაში, მისი მფრინავი რაშის დაუმცხრალი ქროლვითაც.

თუმც... ბაბა-ხანი საკუთარ თავს ხომ ვერ შეჰკადრებდა მარცხის მიზეზს.

არადა, რა უნდა ეღონა ბატონიშვილს?

ეგებ... ეგებ ყარსის ფაშას მაინც გამოეწვდინა დახმარების ხელი?

მაგრამ ისიც ვერ გაბედავდა დევნილი უფლისწულის შეფარებას.

მართლაც გამოუვალი ყოფაა.

ესღა აკლდა ისედაც გაწამებულ ბატონიშვილს, სამეფოს დაბრუნება კი არა, პოლიტიკურ თავშესაფარზეც უარს ეუბნებოდნენ.

თითქოს სპარსელთა მარცხი მისი ბრალი ყოფილიყოს, ან ვითომდა მისი ხათრით წამოეწყო ბაბა-ხანს ის ლაშქრობა და პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესი არ ამოქმედებდა კავკასიის დასანარჩუნებლად.

როგორი მოსასმენია: დატოვე აქაურობაო!..

ეს უკიდურესი გართულება ალექსანდრე ბატონიშვილის მდგომარეობისა რუსი მოხელეების ცნობებით შემოგვრჩენია და განა რამდენად სანდო შეიძლება იყოს ეს უწყება? იქნებ სასურველი რეალობად ეჩვენებოდათ ანდა საგანგებოდ ცრუობდნენ — რა, რუს ჩინოვნიკებს დაეფიცებოდათ ტყუილი თუ თვით ალექსანდრეზე არ შეთხზავდნენ ადრე თუ გვიან აშკარა ნაყალბევ დოკუმენტებს მისი სახელის გასა-

ტეხად? იმისთანა სიცრუეს კადრულობდნენ, ისეთ ინსინუაციებს არ ერიდებოდნენ, ამჯერად ტყუილი ცნობა თუ გაზვიადება იმასთან რა მოსატანია. მაგრამ შოთა ხანთაძე მაინც ჩაუკვირდებოდა ამ უწყებათა სანდოობას და არ გამორიცხავდა, რომ ბატონიშვილის იმჟამინდელი უაღრესად შევიწროებული, სულაც სავალალო ყოფა არც ტყუილი გამონაგონი ყოფილიყო და არც გაზვიადებული.

შაჰი თან საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებდა, მაგრამ ეგებ კიდევ დიდხანს ეყოყმანა და გაბედული სამხედრო მოქმედება კი წამოწყებით ვერ წამოეწყო, რომ არა ომის მომხრეთა პარტიის სიძლიერე, აბას-მირზა რომ მეთაურობდა. ომის მომხრეთა და პირადად აბას-მირზას დაუოკებლობას კი ქართველ ბატონიშვილს აბრალებდა, მის დაუმცხრალობასა და დაპირებებს, ამოზრდილს ქართლ-კახეთის მოსახლეობის განწყობილებაზე, რუსულ ძალმომრეობასთან საბოლოო შეგუება ვერაფრისდიდებით რომ ვერ წარმოედგინათ და ეჭიდებოდნენ ყველასა და ყველაფერს, რაც ამ კაბალისაგან დაიხსნიდათ და სახელმწიფოს დაუბრუნებდათ.

ირანელი სარდლის ღალატი და მოულოდნელი ამბოხება რომ არა, განა სულ ახლახან განწირული არ იყო რუსული მხედრობა, მთავარმართებელ ციციანოვის საარაკო სიმამაცე და სისასტიკეც რომ ვერ გადაარჩენდა?

ეს ხომ ყველასთვის ცხადზე უცხადესი გახლდათ.

შაჰს მაინც ერჩივნა ეს ყოველივე ქართველი უფლისწულისათვის გადაებრალებინა და მუქარაც შეეთვალა, თუკი აბას-მირზას წაქეზებას არ მოეშვებოდა.

ალექსანდრე გადაზამთრებით ერევანში გადაიზამთრებდა და, შაჰისაგან გულმოკლული, ოსმალეთში გასამგზავრებლად შეუდგებოდა თადარიგს.

ოსმალეთშიც და... საფრანგეთში წასვლის სურვილიც გაუჩნდებოდა გუნებაში, ოღონდ საამისოდ ნაპოლეონ ბონაპარტეს ემისარი რომიე უნდა სწვეოდა სპარსეთს და ქართველი ბატონიშვილებიც მოენახულებინა.

ჰოი, რა იმედი ჩაესახებოდათ ჩაგრულთა და უსასოობაში ჩავარდნილთ ნაპოლეონის გამოჩენითა და აღზევებით. მესია ელანდებოდათ მის სახეში, ყოველთა მხსნელის მოლოდინს ახლა მასზე გადაიტანდნენ და აქეთ სოლომონ მეორეს რომ გაუჩნდებოდა მისი თანადგომის იმედი, იქით ალექსანდრე ბატონიშვილი იგრძნობდა მხნეობის განახლებას.

ჩაგრულთა და უსამართლოდ დევნილთა შემწეო და, ალექსანდრეზე უფრო უსამართლოდ დევნილიც ვიღა გახლდათ.

მასავით კიდევ შეიძლება, მაგრამ უფრო მეტად?..

ასე რომ, თუ ვინმეს წინაშე ევალებოდა ახალ მესიას თანაგრძნობის გამოჩენა, მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილისაც.

ერთი იმდენი, იმის ემისარს დაკავშირებოდა, თორემ საფრანგეთში გამგზავრება რაღა იყო და იქიდან ძლევამოსილი ლაშქრობის წამოწყება, დაგვირგვინებული იმ სამეფოს აღდგენით, საფრანგეთის იმპერატორის მოცილეს — რუსეთის იმპერიას — რომ გადაეთქერა, და ნაპოლეონს მარჯვე საბაბი უჩნდებოდა, ჩამოეშორებინა სახიფათო მოწინააღმდეგე... ამასობაში კი ქართლ-კახეთი თავისი ჭეშმარიტი სახით დაბრუნებოდა სამზეოს, იმერეთი და მთელი ლიხსიქითა საქართველო კი ასეთ სავალალო ხვედრს ერთხელ და სამუდამოდ გადარჩენოდა, თორემ ისე ეჭირებოდა ყულფი იმ მხარესაც, განა როდემდე შეინარჩუნებდა დასავლეთ საქართველო დამოუკიდებლობას?!.

ჩაიშლებოდა ეს განზრახვა, და აღარც ოსმალეთში ლტოლვა დასჭირდებოდა ბატონიშვილს, რაკიღა პავლე ციციანოვის ტრაგიკული აღსასრული ერთბაშად გამოუკეთებდა გუნებას ბაბა-ხანს და აბას-მირზაც აღარ დაახანებდა და 1806 წლის ივნისში ყარაბაღისაკენ დაიძროდა. ალექსანდრე საამისოდ გამზადებულიყო და კიდეც შემოიჭრებოდა სპარსელთა რაზმით შამშადილში, აქ აბას-მირზასა და ჰუსეინ-ყული-ხანს უნდა შეერთებოდა და გამოელაშქრათ ტფილისისაკენ.

არდებილიდან გამოსულები გოგჩის ტბის ჩრდილოეთით დაბანაკდებოდნენ და...

კიდევ ერთი თრთოლვა გადამწყვეტი იერიშის წინ.

და... კიდევ ერთი გაწბილება.

აბას-მირზას ბანაკს ოთხივე მხრიდან რომ შემოუტევდა რუსთა მხედრობა, ისეთ სასტიკ მარცხს იწვნევდა ირანის ტახტის მემკვიდრე, რომ ბრძოლის განახლებაზე ხელს აიღებდა და სასწრაფოდ გაეცლებოდა იქაურობას.

ალექსანდრეს დაყოვნება ყაზახში უკვე სახიფათო გახლდათ. რუსეთის ხელისუფლება მზაკვრულ ფანდს მიმართავდა — მოლაპარაკებას გაუბამდა, მალულად კი მისი ბანაკის გარშემორტყმას შეეცდებოდა.

სიფრთხილე არასოდეს ჰკლებია ბატონიშვილს, იშვიათი ალღოც შველოდა, რუსების ნდობაც ნაკლები ჰქონდა, ამიტომაც ბანაკის აყრასა და ერევნისაკენ დახევას ამჯობინებდა. მოლაპარაკებას მგზავ-

რობისასაც მოახერხებდა, თუკი რაიმე შეთანხმება ასე აუცილებელი გახლდათ. და თუმც რუსთა რაზმი — გიორგი ერისთავის მეთაურობით — შეძლებდა დასწეოდა, ბრძოლაც გაემართა და კიდეც დაემარცხებინა, ალექსანდრე ერევანში შეასწრებდა.

მარცხი კი თან სდევდა ალექსანდრეს, მაგრამ რუსეთი ვერ დამშვიდდებოდა, ვიდრე ხელთ არ იგდებდა. და გენერალი ნესვეტაევი ყაზახის მოურავს იოსებ ბებუთაშვილს 500 ჰოლანდიურ ჩერვონეცს შესთავაზებდა და დაავალებდა, რადაც უნდა დაგიჯდეს, როგორმე უნდა გამოიტყუოო.

— მე ჩემს უწმიდეს მოვალეობად მიმაჩნია შევასრულო ჩემი უფროსების ბრძანებები.

მიშკარბაში იოსები ალექსანდრეს თავის ერთგულ კაცად ეგულებოდა და ამიტომაც მოისყიდეს, რომ უფრო იოლად მიწვდენოდნენ.

ხომ ხედავთ: ჩემს უწმიდეს მოვალეობად მიმაჩნიაო.

ეს ლიტონი სიტყვა არ არის, იოსებ ბებუთაშვილი მზადაა სული მიყიდოს ეშმაკს და თავისი კეთილისმყოფელი მის დაუძინებელ მტრებს ჩაუგდოს ხელთ. მისვლით იმასთან არავინ ჩაუშვებდა, ამიტომაც ნაცად გზას დაადგებოდა, სანდო კაცის ხელით ფარულ წერილებს რომ უგზავნიდა, ახლაც იმავე ადამიანის მეშვეობით მიაწვდენდა საიდუმლო ბარათს და ძირს დედამიწას დაიფიცებდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა, რომ:

— ჩემი მოხსენება ეს არის, ღმერთს ერწმუნე, რომ მე შენ არც ნივთით, არც მამულის მოცემით, არც პატივით, რაც უნდა მომცენ, ტყუილს არ მოგახსენებ, არც მოგატყუებ. მე ყოვლისფრით ხათრიჯამი ვარ წერილით, რომ ყოვლად მოწყალის ჩვენის ხელმწიფის წყალობა მრავალრიგად მოგადგება; თუ თქვენის ნებით მობრძანდები, დიდის პატივით მიგიღებენ ქალაქში; თუ მე ხათრიჯამი არ ვიყო და სრულად წერილი არ მქონდეს, არც უწინ მოგახსენებდი, მანდ არას გახდები რა; თუ მაინდამ სხვაგან წახვალ სადმე, ბევრი ფათერაკი გდევს და ეს მშვიდობის გზა არის. ბოლოს კიდევ ხელმწიფესთან უნდა მოხვიდე; ნურავის დაუჯერებ, წამობრძანდი. მე თუ ხათრიჯამი არ ვიყო, ამისთანას წერილით თქვენის ოჯახის შვილს არას მოვახსენებ.

რა დაჟინებით უმეორებს, სხვა არავითარი გზა აღარ დაგრჩენია, გარდა ხელმწიფის წინაშე გამოცხადებისაო, ლამის სამოსი შემოიხიოს მტკიცებისას, მაგრამ გული უკარნახებდა, ზოგადი დაპირებანი დიდს არაფერს ნიშნავს და ბარემ ახსენე ის ადამიანები, რომელნიც აღთქმით აღუთქვამენ ბატონიშვილს ხელშეუხებლობასაც და პატივსაცო.

— დღეს აქ ჯარის მბრძანებელი იარანალი მაიორი ნესვეტაევი არის და ღუბერნატორი ლაივანოვი, ორნივ დიახ სარწმუნო და კეთილის მოწადენი არიან ყოველის კაცისა; რა რიგათაც თქვენი ხათრიჯამობა გეთხოვათ ამ ორსავ იარანალებიდან ყოვლის ფრით თქვენს ხათრიჯამობას აქ მზად დაგახვედრებთ; ამ გზობით ყოვლის ფრით მერწმუნე, მე გაჩვენებ სამსახური როგორ უნდა და ან როგორ გმსახურებ.

რაღა ფარსადან ბოდბისხეველი და რაღა იოსებ ბებუთაშვილი!..

ამისთვისაც ჩინსა და ტემლაკებს აეხვია თვალი და ჯამაგირის გაჩენაც ეიმედებოდა. ეგაა, მეტისმეტი მოწადინებით უფრო დააეჭვებდა ალექსანდრეს. ჯარის მბრძანებლისა და გუბერნატორის გამოყვანა ლამის ფრთიან ანგელოსებად განა ძალიან არ შეაფიქრიანებდა ბატონიშვილს? ის მაინც მოეწერა, დიპლომატიური მოსაზრებით ასე ურჩევნიათ და შენც ისარგებლე მარჯვე შემთხვევით და დაყაბულდი იმპერატორის მოთხოვნასო.

თუმც დაყაბულება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, განა აქამდეც თანახმა არ იქნებოდა?

ეგეცაა, მანამდე ბუნდოვნად წარმოედგინა ცხოვრების ასერიგად გატანჯვა, თან სპარსელებისაც ძალიან ეიმედებოდა, და ახლა კი სპარსელთა გამარჯვებას ბოლო რომ არა და არ უჩანდა და ტანჯვა-წამებაც უფრო და უფრო ხელშესახები და გამაბეზრებელი გამხდარიყო, ეგებ დაჰყოლოდა თავის მკაცრ ბედს და აღარ წამოეყენებინა ურყევი პირობა: მაშინ ბაგრატიონთა სამეფო ტახტი აღდგესო.

არა, რუს მოხელეთა გაფრთიანანგელოსება ნამეტანი მოუვიდოდა.

ხუთასი ჩერვონეცი ისეთ სხივს გამოსცემდა, ანგელოსთან შეტოლებაც რაღა სათქმელია.

ეს ეჭვი ეჭვად და ალექსანდრეს არც ის დაუჯდებოდა გონებაში, მიშკარბაშის წერილს ბეჭედი რომ არ ესვა.

16 ივლისით დათარიღებულ წერილში სიყვარულით კი შეუთვლიდა მოკითხვას, მაგრამ საყვედურსაც გაურევდა:

— ამ უბეჭდოს წიგნს რომ მწერ, ამისი ყაბული არა მაქვს და არც დავაჯერებ გულსა. ვისგან გეშინიან რომ ბეჭედი იჯდეს შენი. და ამის იქით როცა მომწერო უბეჭდოს ნუ მაიწერები.

ეს ბეჭედი ვითომ ასეთი რა უნდა იყოს? ბოლოსდაბოლოს, ფარული წერილია... მაგრამ, აი, ალექსანდრეც საკმაო მნიშვნელობას ანიჭებს და, როგორც ჩანს, ის გადაგვარებული მოურავიც. სახელს უფრთხილდება, საჯაყად რომ არ გაიხადოს — თუკი ბატონიშვილი

მოტყუვდებოდა და მახეში გაებმებოდა, იოსებ ბებუთაშვილს სათქმელი ჰქონოდა და ყალბი სინანულით ემეორებინა და ემეორებინა: ჩემი სახელით ისარგებლეს ამ ძაღლთაპირებმა და ბატონიშვილს ყალბი წერილი შეაჩეჩესო.

ვითომ იოსებ მიშკარბაში იყო ბატონიშვილის გამცურებელი?!.

მაჰმად-აღას უნდა ეტარებინა მიმოწერა მათ შორის. ზეპირი დანაბარებიც იმას წაელ-წამოელო, ოღონდ იოსებს კეთილი უნდა ენება და „ნდობის წიგნი“ ანუ ბეჭდიანი ბარათი გაეგზავნა, თორემ ალექსანდრე ნაუკითხავად გადახევდა და მიმოწერასაც შეწყვეტდა.

ყაზახის მოურავი სახელის გატეხვასაც შეურიგდებოდა, ოღონდაც ალექსანდრე რუსეთის ხელისუფალთათვის ჩაებარებინა, მთლად სამეფო ტახტს ვერ პირდებოდა, იცოდა, ამგვარი დაპირებით მხოლოდ სასაცილო გამოჩნდებოდა ბატონიშვილის თვალში, მაგრამ საქართველოში დარჩენის იმედს აძლევდა და აღთქმით აღუთქვამდა: მეფობის გარდა, რასაც არზით ხელმწიფეს სთხოვთ, იმას აღგისრულებსო.

ამაზეც ჩაეცინებოდა ალექსანდრეს.

— ამას რომ მწერ, ხათრიჯამი იყაო, მეენდე რუსებსაო და მოწყალებას მოიღებს ყოველად მოწყალე ხელმწიფე და ბედნიერი შეიქმნებიო, ეს არ იცი, რომ მე მაგითი ხათრიჯამი არ გავხდები; ჯერ რომ შენ ხათრიჯამი არა ხარ, ნამიყვანენ თუ საქართველოში დამაყენებენ, მე როგორ გერწმუნო...

რაო, მთავარმართებელი გუდოვიჩი გპირდებაო?

ვითომ იმის სიტყვა კი სარწმუნო გახლდათ?

ეს ხომ ის გუდოვიჩი იყო, რომელმაც:

— მეფეს ერეკლეს ამთენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმისი მიზეზით მაჰმად-ხანს ველარც სწორეთ შეება და ველარც შეურიგდა და მოვიდა მაჰმად-ხან და წაახდინა ქალაქი. და თუ ის არ დაინდო და ისე მოატყუა, მე როგორ ვერწმუნო, რომ დამინდობდეს და კიდევ ეს არ იცი, რომ თუ კი მოველ და მოვენდე, ალბათ რომ რაკი მანდ მოვალ ხელმწიფეს კიდეც ვნახავ, კიდეც ვისაქმებ და საქმესაც გავარიგებ; მაშინ ან შენი შემწეობა რათ მინდა და ან სხვისა...

და თუ ის არ დაინდო და ისე მოატყუაო...

ეს ჯერ კიდევ ის დროა, როდესაც არ გახსნილა კრწანისის ბრძოლის საიდუმლო და აგერ თვით ალექსანდრე ბატონიშვილსაც სჯერა, რომ ამ ბრძოლის ტრაგიკული ბედი მარტოდენ გენერალ გუდოვიჩის კისერზეა. თითქოს ის ატყუებდა და ცრუდაპირებებით ჰკვებავდა მე-

ფე ერეკლეს და ეს გეგმა საიმპერატორო კარზე არ ყოფილიყოს დამუშავებული და დეტალურად გათვლილი.

ერთი ტოტლებენი მოქმედებდა თვითნებურად და მეორე გუდოვიჩი.

ეგ არის, ამჯერად რუსეთი აგენტურული ქსელის გავრცელება-მომძლავრების წყალობით გაცილებით უფრო მომზადებული გახლდათ და აკი ამიტომაც დასრულდა აღა-მაჰმად-ხანის გამოლაშქრება ტფილისის წახდენით, სამხედრო ექსპედიცია, რუსთა მიერ ორგანიზებული ისე ფარულად, კარგა ხანი დასჭირდებოდა ამ საიდუმლოს ამოხსნას, კარგა ხანიც და ალექსანდრე ორბელიანის სწრაფვა ყველაფრის ამოცნობა-გააზრებისაკენ, და კიდევ მისი ეს იშვიათი დეტექტიური ნიჭიც.

მაშინ ან შენი შემწეობა რად მინდა და ან სხვისაო...

ვიდრე არ ათქმევინა, შენ ვიღაც ტიკი-ტომარა ხარო, არ მოეშვა იოსებ ბებუთაშვილი. ისიც არ მოსწონდა, ძალიან რომ აჩქარებდა მოურავი, ასე სასწრაფო ვითომ რა იყო?!. მტკიცედ გადაეწყვიტა, ვიდრე თვით იმპერატორის ხელწერილი არ მომივა, არსად წამსვლელი არა ვარო.

გენერალ-მაიორი ნესვეტაევი პირადადაც ჩაერთვოდა მიმოწერაში და საყვედურებით რომ აავსებდა ალექსანდრეს, ძალიან შეგვაწუხეო, — თითქოს ეს მისჭროდა რუსებს და ართმევდა მამულს და არა ისინი ამას, — ბატონიშვილი იმ პასუხს მიაგებდა, მისი სიცოცხლის არსი რასაც განესაზღვრა, მისი ფიქრი და მოქმედება ერთობლივ რასაც გადაჯაჭვოდა.

— უკეთუ ბრალეულს გვყოფთ მიზეზებისათვის ბრძოლისა საქართველოსა, არა ვიყვნეთ ამით ბრალის ქვეშე, ამისათვის ვითარმედ მამულისათვის ჩვენისა ვებრძოლეთ მტერთა ჩვენთა და ამის მიზეზისათვის სათანადო არა არს რათა ბრალეულ გვყოთ ჩვენ, მით რამეთუ მიწყივ ვეძიებთ მამულსა ჩვენსა.

ამ სულისა და გონების კაცს განა რას უნდა შეპირდე ისეთს, რომ სიცოცხლის მიზანზე უარი ათქმევინო?

განა რა საუნჯე, განა რა აღმატება?

ეს ყოველივე არარად მოჩანდა.

და მაშ ნურც ალექსანდრეს დაშოშმინებას ელოდნენ და ნურც მისგან მოსვენებას, თუკი მოლაპარაკება ამ და მხოლოდ ამ გზით წარიმართებოდა.

რით ვერ შეესმინათ:

— მე ყოვლად მოწყალე ხელმწიფეზედა არც რა დამიშავებია და არც რა დანაშაული მაქვს და არც კისერზედ ავიღებ, ამისთვის რომ ჩემს მშობელს მამულში მინდა ცხოვრება მეცა და ჩემთან მყოფთ თავადებსაც, აზნაურთაც და სხვათაც. ახლა ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის, რომელიც ხელმწიფე ჩემს მშობელს ქვეყანაში მამყოფებს, მე მისი თანამდები მონა და მოსამსახურე ვიქნები ვიდრე სისხლისა წვეთამდე.

მაგრამ მთავარმართებელი რტიშჩევი შინაგან საქმეთა მინისტრ ბუდბერგისაგან განკარგულებას მიიღებდა, ალექსანდრე ბატონიშვილი არამც და არამც საქართველოში არ გააჩეროთო.

ნეტა უკვე ხელთ ეგულებოდათ თუ რა?

ეტყობა, მის შეპყრობას დროის საქმედ მიიჩნევდენ და არა უმეტეს.

მიწყივ ვეძიებთ მამულსა ჩვენსაო...

ესეც ალექსანდრე ბატონიშვილის მრწამსი, ლაკონიურ ფორმულადაც ჩამოქნილი და თავისუფლების ბაირაღზეც წასაწერი.

არანაკლები იმ პოეტური ფორმულისა, ილია ჭავჭავაძე რომ გვიანდერძებდა: აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე გვძრახონ, თუ მის ძებნით დავლიოთ დღენიო.

უშუალოდ მის გაგრძელებად წარმოგვიდგება, თუმც ილიასათვის მიუწვდომელი გახლდათ ბატონიშვილის ის ბარათი. ისე მიწვდენა რად უნდოდა, როდესაც იქ, სივრცეებში შესტოლებოდნენ ერთმანეთს და ერთი უგვირგვინო მეფის სამკვიდრო მეორე უგვირგვინო მეფეს უნდა გადაებარებინა.

ალექსანდრე ოსმალეთში შეეცდებოდა გაღწევას, მაგრამ საიმპერატორო კარი დროულად შეიტყობდა მის ამ გადაწყვეტილებას, ყოველ შემთხვევაში, ივარაუდებდა, შესაძლოა ახლა ოსმალთა სულთანს მიადგესო, და ხოის, შურაგელის, ყარსისა და ბაიაზეთის მფლობელებს შეუთვლიდა: თქვენს ტერიტორიაზე არაფრისდიდებით არ გაატაროთ ალექსანდრე ბატონიშვილიო.

ამასობაში გიორგი ბასტამაშვილი, ტფილისელი ვაჭარი, მთავარმართებელს შესთავაზებდა, თუკი სათანადო ანაზღაურებას შემპირდებით, ჩემზე იყოს ალექსანდრეს ჩამოყვანა სპარსეთიდანო. ის კი არა, ირწმუნებოდა, ბატონიშვილი ჩემს მიერ უკვე საკმაოდაა შემზადებული თქვენთან მოსალაპარაკებლად და ბარემ საბოლოო ნაბიჯებიც გადაიდგასო.

საკმაოდ შემზადებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გიორგი ბასტამაშვილს ის აქეზებდა, რომ ალექსანდრე მას ძალიან ენდობოდა, თანშეზ-

რდილად და ერთგულ მეგობრად მიაჩნდა და მაშ სხვას თუ არ უჯერებდა, ამას მაინც დაყაბულდებოდა. მაგრამ გამგზავრებით კი გაემგზავრებოდა სომეხი ვაჭარი ურმიაში და მთელ თავის მჭევრმეტყველებასაც დახარჯავდა, მაგრამ ალექსანდრე მთავარმართებლის პირობის წიგნს მოითხოვდა: სამეფო ტახტის აღდგენასა და ბატონიშვილის თავის ქვეყანაში დატოვებას რომ მოასწავებდა.

სხვა რაც გინდა და რამდენიც გინდა მოითხოვე, ოღონდ ესენი არაო, — მტკიცედ იდგნენ თავისაზე რუსი ხელისუფალნი.

სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ ესენიო, — თავის აზრსა და მოთხოვნაზე მტკიცედ დგომა ვისგან ესწავლებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს.

1806 წელს გენერალ ნესვეტაევს თავრიზიდან თავისი აგენტის — აღა არუთინას შვილის პუგუევის — შეტყობინება მოუვიდოდა, რუსთათვის დიდად შემაფიქრიანებელი:

— სპარსეთის შაჰი და ალექსანდრე ბატონიშვილი ყოველთვის ღებულობენ ფრანგებისაგან როგორც ადამიანებს, ასევე წერილებს, რათა ისინი საქართველოსაკენ ჯარით დაიძრან; ფრანგები ირწმუნებიან, რომ შეუძლიათ განდევნონ რუსები საქართველოდან, ამიტომაც სპარსთა ჯარი და ალექსანდრე ბატონიშვილი მოემართებიან მანდეთ, თორემ სპარსთა ჯარი იმპერატორის ლაშქრის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს.

საფრანგეთის ზეგავლენის ზრდა სპარსეთში სულ უფრო თვალნათლივ შეიმჩნეოდა და ნაპოლეონის ელჩი ირანში ჟობერი ამიტომაც აცხადებდა სიამაყით:

— ხოსროიდთა ტახტის მემკვიდრეს, მის ხალხსა და არმიას მზერა მიპყრობილი აქვს ბონაპარტისაკენ.

შაჰის იმედოვნება იმედოვნებად, მაგრამ ნეტა მართლა თუ ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილს ურთიერთობა ნაპოლეონის კაცებთან?

შოთა ხანთაძე საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ამ შესაძლო შეხვედრათა გარემოებებს, რას არ გადაჩხრეკდა, რას არ მოიძიებდა, მაგრამ უშუალო ცნობას ვერსად მიაკვლევდა. თუმც ვარაუდის გამოთქმა კი შეიძლებოდა ზოგადი ვითარების გათვალისწინებით. ყოველ შემთხვევაში, 1806 წლის მაისში ჟობერი არდებილში რომ ჩავიდოდა აბასმირზასთან შესახვედრად, ქართველი ბატონიშვილიც იქ იმყოფებოდა, მაგრამ ფრანგი ელჩის მემუარებში ამის თაობაზე კრინტიც არ არის დაძრული.

უფრო გვიან კი ნაპოლეონის ელჩი გარდანი თავრიზში 1809 წელს თეიმურაზ ბატონიშვილს რომ შეხვდებოდა, საუბრითაც ისაუბრებდნენ და თეიმურაზი ფრანგს თავის მიერ შედგენილ იტალიურ-თურქულ-ფრანგულ ლექსიკონსაც გადასცემდა. მაგრამ ალექსანდრეს სახელის გახმიანებაზე იქაც არაფერს გვამცნობენ.

ელჩს საკუთარი იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა საქართველოს თემაც გაეთამაშებინა სპარსეთის შაჰთან მოლაპარაკებისას. საფრანგეთი სცნობდა შაჰის უფლებებს კავკასიაზე, თუკი შაჰი საფრანგეთის არმიებს ინდოეთზე სალაშქროდ გაატარებდა. მაშინ რუსებს აუცილებლად უნდა დაეთმოთ ირანისათვის საქართველო, ვინაიდან ამ ქვეყნის მკვიდრნი ნანობდნენ ძველ ხელისუფალთა დაკარგვას და რუსთათვის ნაკლებ სანდონი იყვნენ.

რაკიღა ამგვარი მითითებანი ჩამოეტანა გარდიანს, მოსალოდნელი იყო მოენდომებინა ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრაც და მოლაპარაკებაც, მაგრამ ისტორიკოსი დადასტურებით ვერ ადასტურებდა ბურუსში ჩანთქმულ ამ ეპიზოდს.

ისე ქართველთა სინანულს რომ ირწმუნებიან და რუსთა წინააღმდეგ დაუთმობლობას, ნაპოლეონ ბონაპარტეც და მისი გარემოცვაც ალექსანდრე ბატონიშვილის დაუმცხრალ ბრძოლებს გულისხმობენ, ასე თვალსაჩინოს ევროპისთვისაც და აზიისთვისაც.

და ვარაუდი საკმაოდ დამაჯერებელი ხდება — თუ ვინმე გამოიდებს თავს ამ პროცესში მონაწილეობისათვის, ერთი უპირველესთაგანი დევნილი ბატონიშვილი, ისტორიის შემოტრიალებას რომ ლამობდა.

ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორც რომანტიკულ გმირს, ხიბლავდა ამ რწმენისა და ნებისყოფის პიროვნებანი, რომელნიც არ ეპუებოდნენ ბედისწერის ულმობელ განაჩენს და ყოველთვის მზად იყვნენ ბედისწერასთან შესაჯახებლად ისტორიის ჩარხის შემოსაბრუნებლად.

მანამდე სპარსეთს აღარც ფული შერჩებოდა, აღარც გაწვრთნილი ჯარი და აღარც საკმარისი იარაღი და ომი რიღას იმედად გაეგრძელებინათ?!. ამიტომაც იძულებულნი შეიქნებოდნენ 1806 წლის სექტემბერში საზავო მოლაპარაკება წამოეწყოთ რუსეთთან. მოლაპარაკება ძალიან გაჭიანურდებოდა. ალექსანდრესაც სხვა რაღა დარჩენოდა, ერევანში თავშეფარებული უნდა დალოდებოდა საზავო შეთანხმების შედეგს.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება შეუჟღრიალებდა ძვლებს, მითუმეტეს, რომ სპარსეთი ჯარს შეკრებდა და აბარანის სანახებში

საბრძოლველად გაემზადებოდა. თუკი ოსმალები წარმატებას მიაღწევდნენ, სპარსეთი უარს იტყოდა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და სამხედრო მოქმედებას თამამად განაახლებდა. ასეთ დროს ალექსანდრე სხვაგან სად იქნებოდა, თუ არა აბარანში... მაგრამ რუსეთის მხედრობა ზედიზედ ორ გამარჯვებას მოიპოვებდა თუ არა — 2 ივნისს გუმრთან და 18 ივნისს აპჩაისთან — სპარსელები სასწრაფოდ დაშლიდნენ ჯარს და ალექსანდრეც მერამდენედ ნირწამხდარი დაუბრუნდებოდა თავშესაფარს.

1807 წლის მიწურულს აჯანყებული ქსნისხეველნი და ლიახვისხეველნი ფარულად გაუგზავნიდნენ კაცს, ჩამოდი და სათავეში ჩაგვიდექიო. მარტოკაცად ჩასვლას რა აზრი ჰქონდა, სპარსელთა მხარდაჭერით თუ არ იქნებოდა გულმოცემული, და რაკიღა გალურსული შაჰი კვლავ საზავო მოლაპარაკებას განაგრძობდა, მისთვის შემწეობის თხოვნა სასიკეთო ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

წერილ-მონოდებას კი გამოუგზავნიდათ:

— ამდენი ხანია რომ ჩვენის უსამართლოდ წართმეულ ოჯახს აღდგინების და გაბედნიერების გულისთვის მუდამ დღე სისხლს აქცევთ. ახლა როდესაც ღმერთი... ჩვენს უსამართლოდ და მძლავრებით წართმეულ მამულს, ჩვენს ტახტს გვაღირსებს, ამაზე გულდაჯერებულნი და მოიმედე იყავით, რაც პატივისცემა გქონდათ, ამიერიდან მეტს მიიღებთ ჩემგან.

ასეა თუ ისე, მაინც გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა ალექსანდრე და მისი ეს მძიმე ყოფა წააქეზებდა რუსებს და მთავარმართებელ გუდოვიჩის დავალებით გენერალი ნესვეტაევი კვლავ მისწერდა წერილს, 1808 წლის 18 იანვრით დათარიღებულს, და ისევ იმასვე დაუბეჯითებდა: შენც და შენს თანმხლებ პირთაც გულწრფელი მონანიების შემთხვევაში ყველა დანაშაული გეპატიებათ, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ რუსეთში გაემგზავრები, იქ კი, შენი ძმებისა არ იყოს, პატივი არ მოგაკლდებაო.

რამდენჯერ უნდა ვუმეორო ერთი და იგივეაო, — გაოგნებას ვეღარ ფარავდა ალექსანდრე, გაეგოთ რა, ერთხელ და სამუდამოდ შეეგნოთ, რომ რუსეთში წასვლას არაფრისდიდებით არ დათანხმდებოდა, ოქროს მთებსაც რომ შეპირებოდნენ. ვერა და ვერ იგებდნენ? მაშ მოეწერათ და მოეწერათ ამ შინაარსის ბარათები, ვიდრე თვითონვე არ გაბეზრდებოდნენ.

1808 წლის დამლევს მთავარმართებელი გუდოვიჩი ერევნის ასაღებად რომ გაილაშქრებდა, ალყას კი შემოარტყამდა, მაგრამ ერთბა-

შად ვერაფერს გახდებოდა, ხანგრძლივი ლოდინისათვის კი არ მომზადებულიყო, არც ჯარის შევსება ჩანდა და უკან გაბრუნება მოუწევდა.

ალექსანდრეს ცოტა ეს გამოუკეთებდა გუნებას, რომ ერევნის დაცვაში ისიც მიიღებდა მონაწილეობას.

საბედისწერო რკალი თანდათან იმერეთის სამეფოს გარშემოც იკვროდა, განა როდემდე შეუნარჩუნდებოდა აქაურობას დამოუკიდებლობდა, და თუმც რუსეთს გართულებანი არ აკლდა აქეთ-იქიდან, მაგრამ ქართლ-კახეთშიც უკვე ისე მტკიცედ ჩამდგარიყო და ძალღონეც ისე მოეკრიბა, სოლომონ მეორე რუსის ჯარის შემოტევას ვერ — ანკი რანაირად — გაუძლებდა, თუკი რომელიმე დიდი სახელმწიფო გვერდით არ ამოუდგებოდა.

ჯერ კიდევ 1808 წლის მაისში შემოუთვლიდა მალხაზ ანდრონიკაშვილი: მეფე სოლომონის თხოვნაა, იმერეთში გვეწვიოო, — მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ეს გამგზავრება მთლად ალექსანდრეს ხელთ არ იყო და 1809 წელს თვითონ სოლომონ მეორე სთხოვდა სპარსეთის ხელისუფლებას, ნება დაერთოთ ისკანდერისათვის იმერეთში წასასვლელად. ამ თხოვნას პასუხი არ მოჰყვებოდა, მაგრამ ალექსანდრეს ხელსაყრელი საშუალებანი გამოუჩნდებოდა, საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა ისეთნაირად დატრიალდებოდა.

გამოუჩნდებოდა ეს საშუალებანი და... კიდეც ახალციხეში ამოჰყოფდა თავს აგვისტოს მიწურულს და ახალციხე-იმერეთის საზღვარზე მეფე სოლომონსაც შეხვდებოდა.

სოლომონი სთხოვდა, როგორმე ახალციხის ფაშა აამხედრე რუსეთის წინააღმდეგ, თორემ დავკარგე სამეფო ტახტი და ეგაააო.

ალექსანდრე ძალიან დააიმედებდა.

სულაც არა სჭირდებოდა ფარულად მიემხრო ფაშა, რაკიღა რუსეთი და ოსმალეთი იმხანად დაზავებულიყვნენ და ფაშა ახდილად მოერიდებოდა ომის წამოწყებას; ზურგს უფრო მძლავრი ძალა უმაგრებდა, თვით ინგლისი ჩარეულიყო კავკასიისა და, პირველ ყოვლისა, საქართველოს ბედის გადაწყვეტაში, ირანიც და ოსმალეთიც დაეყოლიებინა, მათი კავშირიც შეეკრა და ქართველ ბატონიშვილს სწორედ ეს ამხნევებდა და ოცნებასაც ხელის გაწვდენაზე ახილვინებდა, ამ სამი დიდი სახელმწიფოს ჯარი და ხაზინა მის განკარგულებაში რომ გადმოვიდოდა და რუსეთი მოუგერიებელი იერიშისა და საფრთხის წინაშე დადგებოდა.

ახლა გენახათ თუ უნდა გენახათ ალექსანდრეს ძვლების ჟღრიალი!..

ჯერ მდივან-კალიგრაფისტებს აამოქმედებდა და წერილს წერილზე დააგზავნიდა არამარტო საქართველოში, არამედ კავკასიის მთიანეთშიც.

ირანის შაჰს სურს მთელი ძალ-ღონე საქართველოს გამოხსნას შეალიოსო, — არწმუნებდა, ვთქვათ, თაგაურელებს და ისეთი დამაჯერებელი საბუთი მოჰქონდა, ეჭვის ნატამალსაც აღარ ტოვებდა.

არა, სპარსეთი აქამდეც დიდი მოწადინე რომ იყო საქართველოს მიწა-წყლიდან რუსთა განდევნისა, ყველასთვის თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარცხი მარცხზე განიცადა, ვითომ ასე ძალიან რატომღა გამოიდებდა თავს?!. რა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნავდა?!.

ნახეთ, ალექსანდრე რას ამტკიცებდა:

ირანის ხელმწიფემ კიდევაც რომ მოინდომოს ამ ბრძოლისათვის თავის განებება, მას ამის ნებას არც მისცემენ და ირანსაც დაკარგავსო.

ნებას ვინ არ მისცემდა და: ინგლისი.

ის თუ მტკიცედ ჩაერეოდა, შაჰს მართლაც ემუქრებოდა ტახტის დაკარგვა.

უნებლიეთ დამთხვეოდა ერთმანეთს სპარსეთის იდუმალი წადილი და ინგლისის პოლიტიკური სტრატეგია.

დაუკვირდით, რა კარგად გაუაზრებია ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა, იმჟამად რომ შეიძინაო, — აღტაცებით ეხმიანებოდა ნიკო ბერძენიშვილი საუკუნის გადასახედიდან.

მეტი მნიშვნელობა რაღა გინდოდა:

როგორც ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეტევისათვის, ისე სამხრეთიდან ამ შეტევის მოსაგერიებლად; ამიტომაც აღარ იყო მთლად სპარსეთის შაჰის ნებაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებდა საქართველოს მიმართ მისი ქვეყანა, გარემოებებს ისე მოეტანა, რომ მისგან შეურიგებელ პოზიციას მოითხოვდა და კარნახობდა ინგლისი, რომელიც ვერაფრისდიდებით ვერ შეურიგდებოდა აღმოსავლეთისაკენ რუსეთის წამოწევის პერსპექტივას.

ძმური სიყვარულის გამოცხადება ხეველთაც უნდა ეგრძნოთ ალექსანდრესაგან, და აგერ 9 აგვისტოთი დათარიღებული ბარათი ამცნობდათ, რომ ბატონიშვილი ახალციხეს მობრძანებულიყო ხაზინითა და ჯარით და ქართლშიც მალევე გაჩნდებოდა, ეს იმის მიხედვით, იქ როგორ გაირჯებოდნენ და ბაგრატიონთა ოჯახის გამქრალ სანთელს აანთებდნენ.

— პირველად ღმერთი იქნება ჩემის ოჯახის გამკეთებელი და მასუკან მიზეზი თქვენ შეიქნებით. ეს რომ ასე მოხდება, გასინჯეთ რომ თქვენი ნაწყალობევი ვიქნებით და ჩვენი საყვარელი ძმანი იქნებით არა თუ ყმანი.

ძმანი და არა ყმანიო...

მეტს რაღას შეპირებოდა.

31 აგვისტოთი დათარიღებული ბარათით ალექსანდრე ჭურთის ხეველებს შეეხმიანებოდა და ძმური სიყვარულით რომ მოიკითხავდა, ამცნობდა, რომ ირანის შაჰს ისეთი ხაზინითა და ჯარით გამოესტუმრებინა ახალციხისაკენ, თვითონ როგორც ეიმედებოდა, ჭურთის ხეველებთან საჩქაროდ რომ ეფრინა კაცი, თვითონ ალექსანდრეც კვალდაკვალ გამოჰყვებოდა, განა არა, მაგრამ ჯერჯერობით სელიმ ფაშას ელოდებოდა, ქალაქის პირში დასაკრავად წასულს, და მობრუნდებოდა და შეუერთდებოდა თუ არა, იმ დიდი ჯარითა და ხაზინით ქართლში შემოვიდოდა.

— მანდ რომ მოვალთ, მაშინ გამოჩნდება, როგორც გაირჯებით და ჩვენის გამქრალის ოჯახის სანთელს აანთებთ. პირველად ღმერთი იქნება ჩვენის ოჯახის გამკეთებელი და მას უკან მიზეზი თქვენ შეიქნებით. ეს რომ ასე მოხდეს, გასინჯეთ რომ თქვენი რა მწყალობელი ვიქნებით. და ჩვენი საყვარელი ძმანიც იქნებით, არა თუ ყმანი.

უთვლიდა, რომ გაგზავნილ კაცთაგან ერთ-ერთი საჩქაროდ ისევ უკანვე გამოესტუმრებინათ და ხუთი თავიანთი გულის სანდო კაციც გამოეყოლებინათ, რომ რასაც ის კაცები ამბავს ჩამოიტანდნენ, ესეც ისე მოქცეულიყო.

იმავე დღეს გიორგი ამილახვარსაც შეეხმიანებოდა, უმეტესად მაქვს მისწრაფება, რომ ძმური სიყვარულით ვიხარებდე თქვენთა ერთობით ქართლსა და კახეთში და გამოგიხსნათ უცხოთა მფლობელობისაგან, რომელთა ხელშიც არა აქვს დასასრული თქვენს მწუხარებასო, ვერ მოგაგებენ შესაფერის პატივს და არც თქვენი გვარისა და შთამომავლობისა გაეგებათ რამეო.

— და უკეთუ ძალა და ხაზინა სრულია ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა და სისხლი მათი დაითხევის ბედნიერებისა ჩემისათვის, რა გმართებს თქვენ ერთობით ქართლსა და კახთა, რომელთა ძველნი სახელოვნად მსახურებიან მამაპაპათა ჩემთა და სისხლითა მათითა ვალდებულნი ვართ, რათამცა თქვენ შვილნი მათნი, ვითარცა ძმანი შეგიყვაროთ და ვითარცა თავადთა და დიდებულთა პატივი გცეთ. ესე არს მინუტი ბედნიერებისა თქვენისა, რათამცა ახლად ვალდე-

ბულყოთ მეფობისა ბაგრატოვანთა და საზღვართა შინა ქართლისასა სისწრაფით და ერთგულებით მომაშუროთ, სადა იგი გესმასთ ხმა მოსვლისა ჩემისა.

თუკი არ გამოცხადდებოდნენ?

უვალო ვრჩები მე გამწარებისა თქვენისაგანო, — ამ სტრიქონებსაც მიადევნებდა, — რომელ იცი არა მნებავს მე, ვინადგან სიყვარულისა და გამოხსნისა თქვენისა არს დაუძინებელი შრომა ჩემიო.

გადამწყვეტი ჟამი მოახლებულა, შუაგულ ომში უნდა შევიდნენ ქართველები და ალექსანდრეც ამიტომ იმეორებს წამდაუწუმ: სასწრაფოდ და სასწრაფოდო, — მაგრამ თვით ამ ფონზეც ეს თითქოსდა უბრალო დეტალი ნუ გამოგვრჩება: მინუტი ბედნიერებისაო.

აგერ, ნელ-ნელა შემოდიან და ფეხს იკიდებენ ქართულ მეტყველებაში რუსული სიტყვები. მინუტიო. და ეს წასცდება იმ პიროვნებას, ვინც მუსულმანურ გარემოშია გადავარდნილი და ქართლ-კახეთში დარჩენილ თვისტომებთან ფარული და იშვიათი ურთიერთობა თუ აქვს. და ისიც კი „წუთს“ კი არა, „მინუტს“ ამჯობინებს, თანაც, კონტექსტს დაუკვირდით: ბედნიერების მინუტი არის ის დრო, როდესაც რუსები უნდა გაძევდნენ აქედან.

ისე რა უცებ იჭრება დამპყრობლის ენა კოლონიურ ქვეყნებში, ენის ექსპანსია კიდევ სხვა თავშისაცემოა, პოლიტიკურ ექსპანსიაზე არანაკლები, თუ მეტი და გაცილებით მეტი არა.

განა რა დრო გავიდოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ყმაწვილკაცობამდე, მთელ წერილებსაც კი, არამცთუ ცალკეულ პასაჟებს, რუსულად რომ შეადგენდა. თავისუფლად მოსდიოდა კალამზე და შესატყვისებს აღარც დაუწყებდა ძებნას. როგორ გგონიათ, კიდეც რომ დაეწყო, ადვილად იპოვნიდა თუ რა!.. ეგებ სულაც ხელი ჩაექნია, იმ ფრაზისა არ იყოს, გრიგოლ ორბელიანთან 1844 წლის 23 მაისს გაგზავნილი ბარათიდან:

— რუსულად არის ნათქვამი (იქნებ ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი): суженного конем не объедешь.

სიტყვა-სიტყვით ამას ნიშნავს: საბედოს ცხენითაც ვერ აუვლი გვერდსო, ფრაზეოლოგიურადვე კი: რაც გიწერია, იმას ვერსად წაუხვალო; ანდა: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ნუთუ ასე გაძნელებულიყო ამ ანდაზების გახსენება?.. რას იზამ, გაძნელებულიყო და არა ვიღაცისთვის, არამედ თვით ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის.

ესე არს მინუტი ბედნიერებისა თქვენისაო...

ეს „მინუტი“ უნდა ემცნო თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ერთობით ქართველი ერისადმი, და ისიც იმავე დღეს და სიყვარულითა და მშვიდობით მოეკითხა მოხუცებულნი, როგორც მამები, და ჭაბუკნი, როგორც ძმები, და მტკიცედ აღეთქვა, რომ არ მოდიოდა ძალითა და მახვილით და შურისგებად მათზე, რომელთაც დიდი ან მცირე ცოდვა ჩაედინათ ბაგრატიონთა ოჯახის წინაშე:

— არამედ მოვალ ძალითა მღთისათა მტერთა ზედა და თქვენ ყოველთადმი მშვიდობითა და სიყვარულითა. ვითარცა ძმათა ამბორს გიყოფთ და ვითარცა მამათა პატივს გცემ. ვიცნობთ გვართა თქვენთა, ვიცი სისხლადმდე თავდადებით დამსახურება მათი, მახსოვს პატივისცემა თქვენი. და სიყვარულისა თქვენისათვის არა შევიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა, ვიდრემდის გამოგიხსნათ თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამა პაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებასა თქვენსა.

გაიხსენებდა მამისა და პაპის ტყვეობას, და კიდევ მამიდისა ქვეყნის სახსნელად, და იგულისხმებდა, რაც ყველასათვის ისედაც ცხადი გახლდათ, ახალგაზრდებს კი შეეძლოთ უფროსებისაგან გამოეკითხათ და შეეტყოთ, თუ როგორ მოეთხოვა ნადირ-შაჰს თეიმურაზ მეორისაგან ქართველ თავადაზნაურთა ტყვეობიდან დახსნის საზღაურად ბატონიშვილ ერეკლეს წაყვანა მძევლად, ხოლო მისი დის, ელენესი — თავისი ძმისწულის საცოლედ.

და გაიხსენებდა ბებიის — ქეთევან დედოფლის — წამებასაც შაჰ-აბასისაგან.

აწ კი სამთა მძლავრთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალა და ხაზინა დაძრულიყო ქართველთა დასახსნელად, და ქართველთ ისღა ევალებოდათ, კვლავაც ერთგულება გამოეჩინათ ბაგრატიონი უფლისწულის წინაშე და შეიტყობდნენ თუ არა მის მიერ საზღვრის გადმოლახვას, სასწრაფოდ ხლებოდნენ.

თავს იმხნევებდა, თორემ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ბეწვზე ეკიდებოდა ეს წამოწყება. შეთანხმებით კი შეთანხმებულიყვნენ ირანი და ოსმალეთი, მაგრამ ერთობლივ მოქმედებას მაინც ვერ მოება თავი და სპარსელები რამდენჯერმე რომ შემოუტევდნენ ბამბაკის, ყარაბაღისა და განჯის სახანოებს აბას-მირზას, მისი ძმის მუჰამედ-ალისა და ჰუსეინ-ხანის მეთაურობით, საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვს მაინცდამაინც არ გაუძნელდებოდა ამ იერიშების მოგერიება.

სელიმ-ფაშას სპარსელთა ეს მარცხი ძალიან შეაფიქრიანებდა და ალექსანდრე ბატონიშვილი მისგან უკვე ვეღარ ეღირსებოდა შეპირებულ დახმარებას.

როგორია კიდევ ერთი ხელმოცარვის განცდა და უკან ნირწამხდარი გაბრუნება?

და ალექსანდრე კვლავაც ვერ შეეგუებოდა რეალობას და აქეთ ქართველთა დასარაზმავად რომ ირჯებოდა, იქით, კავკასიელ მთიელებსაც არ აკლებდა წერილებსა და მოწოდებებს.

ამასობაში 1810 წელიც დადგებოდა, იმერეთის სამეფოსათვის საბედისწერო ჟამი, და გადამწყვეტი მოქმედების წინ მეფე სოლომონის წინააღმდეგ, რუსი ხელისუფალნი კიდევ ერთხელ განაახლებდნენ ალექსანდრესთან მოლაპარაკებას, ეგებ ახლა მაინც გადმოებირებინათ, იმედგაცრუებული და სამთა მძლავრთა და დიდთა სახელმწიფოზეც გულაყრილი; და ამით მისგან მოსალოდნელი საფრთხე სამუდამოდ აღეკვეთათ, მაგრამ ალექსანდრე სულაც არ მიიჩნევდა თავს იმედგაცრუებულად, ყოველ შემთხვევაში, რუსებს ამ სიხარულს არ განაცდევინებდა, და თუ აქამდე საქართველოში დარჩენის უფლებას ითხოვდა და ბაგრატიონთა სახლის რომელიმე წევრის გამეფებას, ახლა მეფის ტახტს თავისთვის და მხოლოდ თავისთვის მოითხოვდა.

თუ გამწვავებაა, ბარემ ბოლომდე გამწვავებულიყო. მითუმეტეს — წინა აზიაც და კავკასიაც უგვირგვინო მეფედ აღიარებდა და განა რა დაშავდებოდა, გვირგვინისაკენ რომ გაენვდინა ხელი?!.

იმერეთის სამეფო დარბაზის წევრნი თავისას ცდილობდნენ, ერთს კიდევ გაიფართხალებდნენ, თუმც თვითონ ასე სულაც არ ეგონათ და სჯეროდათ, რომ რუს მოხელეთა შეუსმენელ რკალს გაარღვევდნენ და როგორმე იმპერატორს მიწვდებოდნენ, კეთილსა და მოწყალეს, ვინც ღვთით დადგენილ ქართველ მონარქს ასე უღვთოდ არ გაწირავდა; და თუმც იძულებულნი იყვნენ პირადად მთავარმართებელ ტორმასოვისათვის მიემართათ 1809 წლის 30 დეკემბერს შედგენილი თხოვნით, მაგრამ ეს დოკუმენტი ეგებ როგორმე გაცდენოდა ამ ზღუდეს, მთავარმართებელი მორიდებოდა მეფის ჩამოგდებას იმერეთის ტახტიდან და იმპერატორის ყურამდე მიეღწია მის მოხელეთა თვითნებობის ამ მწვერვალს.

თითქოს ქართლ-კახეთის სამეფო კალმის ერთი მოსმით არ ამოშლილიყოს ისტორიული ყოფიდან!..

სავსება ყოვლისა იმერეთისა — ყოვლად სამღვდელოთა, თავადთა, აზნაურთა და ერთა, დიდთა და მცირეთა, დიდითა გულსმოდგი-

ნებითა ვყოფთ ვედრებასა მაღალაღმატებულებისათა თქვენისადმიო, — ენუკვოდნენ მთავარმართებელს და აღქმით აღუთქვამდნენ, ოღონდაც სამეფოს ნუ გაგვიუქმებთ და ნახავთ, რა უერთგულესნი შევიქნებით რუსხელმწიფისაო:

— სჯულისაებრ საღმრთოთა გვიყვარს ყოველთა ერთობით მეფე ჩვენი... ამიტომ ჩვენი თხოვნაა... მეფითურთ ჩვენთა დავშთეთ უცვალებელსა და შეურყეველსა უღრმესსა ერთგულებასა შინა იმპერატორებისა მათისა.

სიმონოვიჩი და ზურაბ წერეთელი თავისას ურჩევდნენ: იმერეთში დამატებითი ჯარებია შემოსაყვანიო.

მთავარმართებელი ზურაბ წერეთელს მნიშვნელოვან დავალებას შეუთვლიდა: დადიანი და გურიელი აუცილებლად უნდა აუმხედრო სოლომონ მეორესო. ეს აუცილებლობა, ერთი მხრივ, ძალიან გაურთულებდა მდგომარეობას იმერეთის მეფეს, მეორე მხრივ, რუსი ჯარისკაცების დენა ქუთაისისაკენ გამართლებული გამოჩნდებოდა, ვითომდა მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად.

დადიანის წაქეზება თუ უფრო ადვილი გახლდათ, მამია გურიელის გადაბირებასაც მოახერხებდნენ — მთავრის უფლებათა გაფართოებასაც შეპირდებოდნენ და რუსეთის ხელისუფლების სამსახურშიც ჩააყენებდნენ.

28 იანვარს ვითომ მოლაპარაკება გაგრძელდებოდა მეფე სოლომონთან, მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი რომ ეახლებოდა, უკანვე ჩამოიტანდა სოლომონის ახალი ხელშეკრულების პროექტს და ელაზნაურის ტრაქტატის განუხრელ შესრულებას მოსთხოვდა. თან, ვითომ საიდუმლოდ, ტორმასოვის პირად წერილსაც გადასცემდა, ის ვითომდა რომ აქეთ შემოსჩიოდა: რა ვქნა, პეტერბურგიდან ბრძანება მომივიდა, რომ ან ხელმწიფეს დაგამორჩილო და ან იმერეთიდან გაგაძევო. ერთადერთი გზა გრჩება გადასარჩენადაც და სამეფოს შესანარჩუნებლადაც — მძევლების გამოგზავნა ტფილისში და მადლობის დეპუტაციისა — იმპერიის სატახტო ქალაქშიო.

დეპუტატთა გუნდს მეფეს კი არ შეარჩევინებდა, არამედ თვითონვე განუსაზღვრავდა: კონსტანტინე ბატონიშვილიო, მალხაზ ანდრონიკაშვილიო, სოლომონ ლიონიძეო, სეხნია წულუკიძეო, ქაიხოსრო წერეთელიო, როსტომ ნიჟარაძეო.

აბა, ზურაბ წერეთელს ხომ არ შეაყვანინებდა დეპუტაციაში და იმერეთში საიმედო დასაყრდენს თავისი ხელით ხომ არ მოიშლიდა მთავარმართებელი.

ეს სოლომონ მეფისათვის უნდა მოეშალა დასაყრდენი მისი ერთგული და გონიერი პიროვნებების ჩამოცილებით. ვიდრე ისინი პეტერბურგს ჩავიდოდნენ და გამობრუნდებოდნენ, აქ სოლომონ მეფეს უკვე ხელთ იგდებდა მთავარმართებელი.

ძნელი გასაშიფრი არ არის დეპუტაციის ამგვარი შემადგენლობა და გოდერძი ვაჭრიძეც ამოიცნობდა ტორმასოვის მზაკვრულ ჩანაფიქრს, „ხავერდოვნად" აეძულებინათ სოლომონ მეორე, ტახტზე უარი ეთქვა.

ის არ იყაბულებდა წყნარად გადადგომას და იმ პირადი წერილის პასუხად უარს შეუთვლიდა მთავარმართებელს.

რუსეთის ხელისუფლება იძულებული შეიქნებოდა ბრჭყალები გამოეჩინა და ენერგიულად ამოქმედებულიყო, და ყოველი მხრიდან მოეგუდა იმერთა წინააღმდეგობა.

10 თებერვლიდან აქაურ მკვიდრთ უკითხავდნენ ტორმასოვის პროკლამაციას და მოითხოვდნენ მათ ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. 20 თებერვლისათვის კი ვითარებას საკმაოდ შემზადებულად მიიჩნევდნენ და სიმონოვიჩი ქუთაისის ყველა ეკლესიაში გამოაქვეყნებდა ამ პროკლამაციას, რომელიც იუწყებოდა სოლომონ მეორის ჩამოგდებას ტახტიდან და იმერეთის სამეფოს გაუქმებას.

— სიწყნარე იყო. წესრიგი არ დარღვეულა.

ეს მეორე დღეს მთავარმართებელთან გაგზავნილი ბარათის სტრიქონებია, და თუ რატომ მოჰყვა ამ საზარელი ბრძანების გამოცხადებას სრული სიწყნარე იმერთა მხრიდან, ისე, რომ წესრიგი ოდნავადაც არ დარღვეულა, ისედაც ადვილი მისახვედრია, მაგრამ ბარათის მომდევნო ფრაზა მაინც გვიდასტურებს:

— ჯარი გამზადებული გვყავდა.

რაც ტფილისში მომხდარიყო საუკუნის დამდეგსვე, ახლა ქუთაისშიც განმეორებულიყო 10-იანი წლების დასაწყისში.

ჯარი შემორტყმოდა ალყად ხალხს.

იარაღშემართული.

ხიშტაელვარებული.

სისხლმოწყურებული.

მოძალადეებს წესრიგის დამცველები დარქმეოდათ, სამართლიანობისა და თავიანთი ქვეყნის მოყვარეთ — აღრეულობის მოსურნენი, რომელნიც სასტიკად უნდა დასჯილიყვნენ, ახლაც, ამ წუთშივეც და შემდგომაც, თუკი ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ, ბრძანებას, მეფე სოლომონსა და მის შთამომავლობას იმერეთიდან სამუდამოდ

განდევნილად რომ აცხადებდა და სპობდა მის ძალაუფლებას სამღვდელოებასა, თავადაზნაურობასა და ხალხზე.

— ახლა, იმერეთის საკეთილდღეოდ დაარსდება ხალხის მისწრაფებებსა და წეს-ჩვეულებებთან შეხამებული რუსეთის ლმობიერი დროებითი მთავრობა, რომელიც შედგენილი იქნება იმერეთის თავადაზნაურობის საპატიო წევრთაგან, რუსეთის სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით. იგი სამართლიანობის დამცველი რუსი მონარქის კეთილმოწყალე გულის კარნახით დაამყარებს ხალხის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე წესრიგს.

რასაც ბრძანება ირწმუნებოდა, საპირისპიროდ უნდა აღგექვა, თუკი გონიერება გყოფნიდა, და თუ არა, ცხოვრების მდინარება თავისთავად გაგრძნობინებდა, ყველაფერი პირიქით რომ უნდა ამხდარიყო და ხალხის მისწრაფებანი და წეს-ჩვეულებანი ამ მხარეშიც ისევე გათელილიყო ფეხქვეშ, რაც ლიხსაქეთა საქართველოს უკვე მწარედ ეწვნია და ალექსანდრე ბატონიშვილსღა შეჰყურებდა იმედის მზერით.

იმერეთიც აკი მასვე მოელოდა, თუმც საკუთარი მეფის დაუთმობლობისაც სწამდა, და მოვლენები ისე წაეწყობოდა ერთმანეთს, რომ სოლომონ მეორე გვერდით ამოუდგებოდა ალექსანდრეს და ერთბაშად გაითქვამდა სახელს, როგორც შეუპოვარი მებრძოლი ქვეყნის თავისუფლებისათვის.

ეგაა, ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდებოდა მისი გაბრძოლება.

ერთს გადაიელვებდა... გადაიელვებდა და... ჩაესვენებოდა ტრაპიზონის აკლდამაში, ოდესღაც საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი რომ გახლდათ და ამდენი საუკუნე მივტიროდით, ახლა კი ეს სახელმწიფო აღარც არსებობდა და დევნილი მეფე ძვლებს რომ ჩაყრიდა სამუდამო განსასვენებელში, ის ძვლები ჟღრიალს არ შეწყვეტდა.

ჯერ იარაღშემართული იდგებოდა სოლომონ მეორე.

მანამდე ჯერ კიდევ უღვიოდა დიპლომატიური გზის იმედიც.

ხანის ხეობაში გადავიდოდა, ეგებ ახალციხეში გავასწროო, მაგრამ ალყაში მოემწყვდეოდა, ბილიკსაც ვერსად მიაგნებდა ალექსანდრე ბატონიშვილთან თავშესაფარებლად და, სურდა თუ არა სურდა, ბოლოსდაბოლოს დაჰყვებოდა ზურაბ წერეთლისა და ექვთიმე გენათელის დაჟინებასა და პირობას: ოღონდაც მთავარმართებელს შეხვდი და მეფობა შეგინარჩუნდებაო.

კი მაგრამ, ახლახან არ გამოაცხადეს ჩამოგდებულად და მასაც და მის შთამომავალთაც სამუდამოდ აღუკვეთეს სამეფო ტახტი?

ვერა, ვერ ერწმუნებოდა დევნილი მეფე მათ ფიცსა და მტკიცს. თუ განზრახ არ ატყუებდნენ, ხომ შეიძლება თვითონვე ყოფილიყვნენ მოტყუებულნი რუსთაგან?

და — სრული გარანტიისათვის — მოგილევსკიც და სიმონოვიჩიც რუსეთის ჯარებისა და მეფის ერთგულ თავადთა თანდასწრებით დაიფიცებდნენ, სოლომონს შეპყრობა არ ემუქრება და ქართლის საზღვართან მთავარმართებელს რომ შეხვდება, უკანვე მშვიდობით გამოვისტუმრებთო.

სოლომონ მეფე ამ ფიცსა და მტკიცს უკვე მიენდობოდა თავისდა საბედისწეროდ და 400-კაციანი ამალით დანდობილად გამოემართებოდა შეხვედრის ადგილისაკენ, ეგაა, არც როსტომ ნიჟარაძე წამოჰყვებოდა, არც მალხაზ ანდრონიკაშვილი და არც სოლომონ ლიონიძე, რომლებიც ახალციხეში ამჯობინებდნენ გადახვეწას.

ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ?

თურმე ზუსტად განეჭვრიტათ რუსული ბუნება და ხასიათი.

ნეტა სოლომონსაც ასევე განეჭვრიტა ანდა მათთვის დაეჯერებინა.

სამხედრო ექსპედიცია თითქოსდა მიუდგომელ მუხურისა და საპაიჭაოს ციხეებსაც აიძულებდა დამორჩილებას.

— ამით იმერეთის ექსპედიცია კეთილად დასრულდა.

იუწყებოდა მთავარმართებელთან მისული რაპორტი.

მას უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა, მეფის დატყვევებაღა აკლდა და ისიც საკუთარი ფეხით უახლოვდებოდა გორს, სადაც შეიპყრობდნენ — არა, ფიცისა შერცხვებოდათ! — ტფილისში ჩამოიყვანდნენ და რუსეთში გადასასახლებლად გაამზადებდნენ.

რუს ხელისუფალთ სიტყვის შესრულება ასეთი სჩვეოდათ!..

და 13 აპრილს მთავარმართებელი, უზომოდ კმაყოფილი და წყალობის მომლოდინე ამცნობდა პეტერბურგს იმერეთის დაკავებას მთელი თავისი ციხესიმაგრეებით, აგრეთვე თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ხალხის, 40 ათას კომლამდე, დაფიცებას ხელმწიფის ერთგულებაზე და ურჩი ვასალის სოლომონ მეფის დატყვევებას.

— გილოცავთ ამ დიდ შენაძენს — იმერეთის უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ღმერთმა მე მარგუნა იმპერატორის ესოდენ რთული დავალების შესრულება.

მაგრამ სოლომონ მეორე ის პიროვნება არ გახლდათ, ასე უსახელოდ დაესრულებინა თავისი მოღვაწეობა და დაუმორჩილებლობის ჟინით არ გაებრწყინა. ჯერ ისედაც, და მითუმეტეს, ალექსანდრე ბატონიშვილის დაუმცხრალობა მასაც კიდევ უფრო ამხნევებდა და თავზეხელაღებულობის განცდას უმძაფრებდა.

თანაც, თუ პყრობილობიდან გაქცევას შეძლებდა, მერე უშუალოდ მასთანაც ჩააღწევდა.

ჰეროიზმის გამოჩენა 10 მაისის ღამეს მოუწევდა და კიდეც გააოგნებდა მთავარმართებელსაც და საიმპერატორო კარსაც გაბედულებითაც და მოხერხებულობითაც. თან რა გამომწვევად იდო მის ოთახში ალექსანდრე ნეველის ორდენი, უმაღლესად ბოძებული შვიდი წლის წინათ. უკან უბრუნებდა რუსეთის ხელისუფლებას მათივე ჯილდოს, როგორც თვალთმაქცობის ნიშანს.

იმპერატორი ულმობლად გაუსწორდებოდა ყველას, ვისაც იმერთა მეფის დაცვა ევალებოდა, და არაფერს მოერიდებოდა, ოღონდაც როგორმე კვლავ ხელთ ეგდოთ.

ჯავახეთში ჩაასწრებდათ სოლომონ მეორე და ახალქალაქის მახლობელ სოფელ კოთელიაში შეხვდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს. და კიდეც დაიგზავნებოდა წერილი-მოწოდებანი იმერეთში ამ ორთა და კიდევ შერიფ-ფაშას სახელით, დრტვინვა და მღელვარება მარჯვედ და დროულად რომ გამოეყენებინათ.

ადვილი მისახვედრია, რარიგ აღაფრთოვანებდა იმერეთს ტყვეობიდან თავდაღწეული მეფის გამოჩენა!..

აღარ დაახანებდა სოლომონი, მალულად გადავიდოდა იმერეთში და დაწყებულ ამბოხს სათავეში ჩაუდგებოდა ირან-ოსმალეთის შეთანხმებული მოქმედების მოლოდინითა და იმედითაც ფრთაშესხმული.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმავდროულად ლიახვის ხეობაში დაწყებული აჯანყების სამეთაუროდ თავის ძმისწულს შეაგზავნიდა — ლევან ბატონიშვილს, იულონის ძეს, 18-19 წლის ჭაბუკს, ვინც თავისი ბიჭობისას, 1804 წელს, მამასა და ბიძასთან, ფარნაოზ ბატონიშვილთან, ერთად იმერეთიდან გადმოვიდოდა ქართლში, იქ მდევარს გაუსხლტებოდა და ალექსანდრესაც მაშინ ჩააკითხავდა.

ახლა მალულად შემოსული ერთბაშად გააბამდა ძაფებს და თავისთან იხმობდა ყველას, ვისაც მეფე-ბატონის წყალობა და დამსახურება დავიწყებული არა ჰქონდა.

უფრო ხელსაყრელი შემთხვევა როდისღა უნდა მისცემოდათ, თუკი რკინის ხუნდებისაგან თავდაღწევას ეშურებოდნენ.

ქვე მხრიდან შაჰი მოდიოდა დიდი ჯარით.

ალექსანდრე ბატონიშვილიც დღეს-ხვალ აქ გაჩნდებოდა 12 ათასი კაცით.

იმერეთი ისე აჯანყებულიყო, სადაც კი წაასწრებდნენ რუსებს, ერთიანად ჟლეტდნენ.

მთიულებიც ფეხზე იდგნენ და ქართლელებს რაღად უნდა დაეგვიანათ იარაღის შემართვა.

საგულისხმოა, რომ ოსები მაშინვე მიემხრნენ ლევან ბატონიშვილს, ქართული სამეფო წყობილების აღდგენა გვირჩევნია რუსთა სამსახურში ჩამდგარი ერისთავების ყმობასო.

და მაჩაბლებიც რომ თანადგომას გამოუცხადებდნენ, სხვა თავადაზნაურნიც აქეთ უფრო შემოტრიალდებოდნენ, გაახსენდებოდათ, რომ იმპერატორის ერთგულების ფიცი ძალით მიეღებინებინათ მათთვის, და თუმც საშიში გახლდათ ახალ მმართველთა განრისხება, აშკარად თუ ვერ გამოვიდოდნენ ამბოხებულთა მხარეს, იმას მაინც ახერხებდნენ, რომ ათასგვარი მიზეზი მოედოთ და მონაწილეობა მაინც არ მიეღოთ აჯანყების ჩაქრობაში.

რუსები ჯერ ვერ მოიფიქრებდნენ იმ უსასტიკეს მუქარას, რამდენიმე წლის შემდეგ ზარბაზნებს რომ მიაგორებდნენ ქართლელ თავადთა სასახლეებთან: აბა, გაბედეთ და აჯანყებული კახეთის დასაშოშმინებლად არ წამოხვიდეთ, დედაბუდიანად გაგჟლეტთო. ზოგი მაშინ ეძებნათ საბაბი ქართლელ თავადებს ამ ცოდვა-დანაშაულისაგან თავის ასარიდებლად.

ლევანი ბიძას ატყობინებდა წარმატებულად წამოწყებული არეულობის ამბებს, ის კი იქიდან ისეთი თავდაჯერებით იწერებოდა 16 აგვისტოს, ამ დრომდე რომ არ გასჩენია. ყოველთვის რაღაც დაბრკოლებას ამჩნევდა, არ ეპუებოდა, თორემ შემაფიქრიანებელ გარემოებებს თვალდათვალ ხედავდა, ამჯერად კი მოვლენები ისე მიედინებოდა, უკეთესს ვეღარც ინატრებდი.

— არასდროს ასეთი თადარიგი არ ყოფილა.

— ღვთის მოწყალებით ყოველივე ჩვენი საწადელი სრულებას მიიღებს, საიჭო აღარ არის.

ეს საწადელი საქმე ყიზილბაშთა მხრიდან ისე შესრულებულიყო, რომ სახელოვანი სარდალი, ერევნის ხანი ჰუსეინ-ყული დიდი ხაზინით და ირანში გამორჩეული ასიათასი კაცით ახალქალაქს მობრძანებულიყო და ორშაბათს ალექსანდრეს შეხვედროდა.

— როგორც ჩვენს გულს უნდა ისე თავდადებულია ჩვენს საქმეზედ.

სამ დღეში დიდი ჯარითა და ხაზინით უნდა გამოესტუმრებინა ალექსანდრე ლიახვის ხეობისაკენ.

თვით შაჰი გოგჩას უნდა ჩამობრძანებულიყო და ზამთარიც იქ გაეცილებინა.

აბას-მირზა ბამბაკის მხრიდან ტფილისზე ეპირებოდა თავდასხმას, მისი ძმა მაჰმად-ალი ხანი კი განჯიდან შემოუტევდა.

იბრაჰიმ-ხან ყაჯარი თხუთმეტი ათასი კაცით შაქისა და შირვანისაკენ გაესტუმრებინათ.

და იმერეთის ძლიერებაც ხომ გამოჩენილიყო, სოლომონის ჰეროიკული მოქმედებით ანთებული.

ივნისის დასაწყისში სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ახალციხიდან რომ დაუბრუნდებოდა იმერეთს და ამბოხების ხანძარს ააბრიალებდა, ტყვეობას თავდაღწეული სოლომონ მეორის სახელი და მოწოდებანი ისე შთააგონებდა მთელს იმერეთს, ქუთაისში, ვარციხეში, ჩხარსა და სხვა ციხეებში ჩაყენებულ რუსულ გარნიზონებსაც ალყაში მოაქცევდნენ და არც ცალკეულ შეტაკებებს მოერიდებოდნენ. ეს ლოსიათხევიო, ეს ვაკის ოლქიო... ამ ბრძოლებს ქაიხოსრო აბაშიძე უმეთაურებდა და... თითქმის კიდეც გაწყდებოდა კავშირი ტფილისსა და იმერეთს შორის.

იმერეთს საყოველთაო აჯანყება მოსდებიაო, — შემაშფოთებელი ცნობა ჩაუვიდოდა მთავარმართებელს.

სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი აკი რუსთა მომხრეობაზე სდებდა თავს და კიდეც ითამაშა საბედისწერო როლი იმერეთის სამეფოს გაუქმებასა და სოლომონ მეორის დატყვევებაში, და ახლაც ერთგულებას ეფიცებოდა მთავარმართებელს, მაგრამ სიმონოვიჩი დაუფარავად რომ ატყობინებდა უაღრესად რთულ ვითარებას და არც იმას უმალავდა: ჩვენი ერთგული არცერთი თავადი და აზნაური არ არისო, — რეალობის კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენისათვის ამასაც საგანგებოდ დასძენდა: სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ზურაბ წერეთელი, იმის მაგივრად, რომ შექმნას თავის მომხრეთა პარტია და ხალხზე თავისი გავლენის წყალობით ჩვენ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს, მიუკერძოებელი მაყურებლის როლში გამოდის და, თუ ფარულად არ ეხმარება აჯანყებულებს, ყოველ შემთხვევაში ჩვენს სასარგებლოდ თითსაც არ ანძრევსო.

მედროვის ტიპური სახე!..

მიუკერძოებელი მაყურებლის ნიღაბი და... ორივე მხარეს გაბნეული ერთგულების ფიცი: თქვენი ვარ!..

ისე რაკიღა თვით გამოაშკარავებული გამცემი თავისი ქვეყნისა ველარ ბედავს ჩვეული თავდადებით დაუდგეს გვერდით ახალ მმართველთ, თუნდ მისი ამგვარი მოქმედებაც თავისთავად გულისხმობს ამბოხების წარმატებულ მსვლელობას და რეალურად გამოჭიატებულ იმედს, რომ თავგანწირვა ამაოდ არ ჩაივლის, და ოდესმე კი არა — აქ და ახლავე.

რუსეთის მთავარობის მმართველობის წესი სხვაა და ჩვენი — სხვა, არ დავანებოთ ჩვენი წესი გასაქრობად რუსებსო, — შორიდან თუ ითვლევინებოდა სოლომონ მეორე, ივნისის დამლევს ათასკაციანი რაზმით კიდეც შემოვიდოდა თავის დამხობილ სამეფოში და ამბოხების გაძლიერება ახლა გენახათ თუ გენახათ.

საყოველთაო რევოლუციაააო, — მიშველებას ივედრებოდა სიმონოვიჩი და მთავარმართებელს აცნობებდა, რომ დასაყრდენის მოძებნა შეუძლებელი გამხდარიყო მკვიდრთა შორის: ამ საყოველთაო რევოლუციის სულისკვეთებით იმერლები ისე არიან გაჟღენთილნი, რომ ყოვლად წარმოუდგენელია რომელიმეს გადმობირება რაგინდარა დაპირების ფასადო.

მრავლისმეტყველი სტრიქონებია.

მტერსაც ვერ უარუყვია ხალხის ერთსულოვნება.

ტორმასოვი სასწრაფოდ გაუგზავნიდა იმერეთის მმართველს ორ ბატალიონს გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანის სარდლობით.

დაუკვირდით: მაინცდამაინც ქართველი კაცი უნდა ჩადგომოდა სადამსჯელო ოპერაციას სათავეში. ძალზე შეშფოთებული რომ არ ყოფილიყო მთავარმართებელი, ცხადია, ქართველ კაცს არ მიანდობდა მეთაურობას, მაგრამ ამჯერად გამყიდველი უფრო სჭირდება, რათა ილუზია შეიქმნას, თითქოს ბრძოლა ქართველებსა და რუსებს შორის კი არ იმართება, არამედ აღრეულობის მომხრენი თესავენ შფოთს, თორემ მათ გარდა ხომ არიან კეთილგონიერი ქართველებიც, რომელნიც ყველაფერს იღონებდნენ აღრეულობის აღსაკვეთად.

და ამ ილუზიის გასაძლიერებლად და აჯანყების დასამგვანებლად ძმათამკვლელი ომისათვის, სარდალს საგანგებო დავალებას მისცემდა, რათა სამეგრელოსა და გურიის მთავრებს დაუყოვნებლივ გამოეყვანათ ჯარები ახალი ხელისუფლების დასახმარებლად. და აჯანყებულთა დასასჯელად და სხვათა შესაშინებლად ნება დართოდათ მათ და ახალი რეჟიმის მომხრე იმერლებს (თუკი მოიძებნებოდნენ), შესეოდნენ აჯანყებულთა სოფლებს საძარცვავად. იმპერატორის ჯარები კი უნდა მომარაგებულიყვნენ ამბოხებულთათვის პირუტყვისა და სხვა სურსათ-სანოვაგის წართმევით.

— ყველა დაჭერილ აჯანყებულს მოეპყარით მთელი სიმკაცრით და ბორკილგაყრილი იყოლიეთ.

ვითარებისდა მიხედვით და სხვათა დასაშინებლად სახრჩობელებიც მოემარჯვებინათ.

სასულიერო პირნი — დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი, სოფრონიოს ნიკორწმინდელი და ანტონ ხონელი — მთავარმართე-

ბელს შესთხოვდნენ, ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა სოლომონ მეორისათვის სამეფო ტახტი დაებრუნებინათ.

ამ უკიდურესი გულუბრყვილობის გამოვლენას საშველი რომ არ ადგებოდა!..

ამგვარ იმედს ებღაუჭებიან მაშინ, როდესაც ტორმასოვი სიმონოვიჩს დაჟინებით ავალებს, დაიქირაოს მკვლელი სოლომონ მეფის მოსაშთობად.

ის განა არა ცდილობდა, მთავარმართებლის დაჟინება რაღად უნდოდა, ისედაც გულმოდგინედ არჩევდა ყველაზე სანდო ქილერს და კიდეც მიაგნებდა ელიზბარ ერისთავს, სოლომონ პირველის სიძესა და ამ სოლომონის დაუძინებელ მტერს... მასზე საიმედო არავინ მოჩანდა, მაგრამ იმასაც ხელი მოეცარებოდა და, თუმც თავს არ დაზოგავდა, არც აქ და არც მეფის გადახვეწის შემდგომ საწადელს ვერ მიწვდებოდა.

არ აღმოჩნდებოდა სოლომონ მეორე არც ამის და არც სხვა მკვლელის მოსახელთებელი — არც ადვილად და არც ძნელად.

რა ქადილით მიეშურებოდა იმერეთისაკენ დიმიტრი ორბელიანი, მაგრამ ქადილი ვერ გამოდგებოდა საიმედო მოკავშირე და, რამდენიმე მარცხს რომ იწვნევდა, ტორმასოვი სასწრაფოდ ჩაანაცვლებდა გენერალ-ლეიტენანტ როზენით, ვისაც გამთავარმართებლებაც ეწერა, და თუმც იგი უფრო ენერგიულად იმოქმედებდა და, რამდენიმე მწვავე შეტაკების შემდგომ, აჯანყებულებით ალყაშემორტყმულ ქუთაისშიც მოახერხებდა შესვლასა და სიმონოვიჩის ჯართან შეერთებას, პეტერბურგის შეშფოთებაც არა ცხრებოდა და დიდი გაუგებრობანიც მოხდებოდა ჯარის უფროსის შერჩევასთან დაკავშირებით — ხან ისევ დიმიტრი ორბელიანს დაევალებოდა, ხან ისევ როზენს გადაებარებოდა. ტორმასოვი მას იმერეთის მმართველობას ულოცავდა, როზენი კი... იქიდან გამოძევებული ტფილისს უახლოვდებოდა.

ლიხსაქეთა საქართველოში კი ერთობლივ, ციციშვილებსაც მოუვიდოდათ ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი, რომელშიც მეორდებოდა ის ცნობები, ძმისწულისათვის რაც შეეტყობინებინა, ციციშვილებს მასთან ხლებას შესთხოვდა თუ ავალებდა და სრული დარწმუნებით შეაგონებდა:

— მთლად ხორასანს აქედან ერანის ჯარი ან უნდა დასრულდეს, და ან საქართველომ მათი სახსენებელი უნდა ამოიხოცოს. ღვთის მოწყალებით როგორც თქვენს გულს უნდა ყოველი საქმე ისე მოხდება, რომ საიჭო აღარ არის. ამ ოთხს დღეზედ დიდის ჯარით და თადა-

რიგით მეც თქვენთან ვიქნები. ეს არის დრო საუკუნოდ ჩვენს ოჯახზედ თქვენგან ვალის დადებისა, ჩვენგან, დიდის ხელმწიფის წყალობით, თქვენის საბოლოოდ გაკეთებისა. აწ თქვენ იცით და თქვენმა ერთგულობამ, როგორ თავდადებით გაირჯებით და კიდევ უმეტესად ერთგულობას გამოაცხადებთ.

ჰუსეინ-ყული ხანისათვის ცნობილი გახლდათ, რომ ლევან ბატონიშვილს წერილად შეეტყო თავისი ბიძისაგან მოსალოდნელი ბრძოლების წინასწარი თადარიგი, მაგრამ მოვალედ მიიჩნევდა თავს, რომ პირადადაც შეხმიანებოდა, არც საქებარი სიტყვები დაეშურებინა და დაედასტურებინა, რომ ათიათასი კაცით ახალქალაქს მოსულიყო, იქ ალექსანდრე ბატონიშვილს შეყროდა და მალევე დიდი ჯარითა და ხაზინით გამოისტუმრებდნენ, თვითონ ირანელი სარდალი კი წალკის მხრიდან აპირებდა ტფილისზე შემოტევას.

ახალქალაქის მახლობლად დაბანაკებულიყვნენ ჰუსეინ-ხანი და ისკანდერ ბატონიშვილი და ტორტმანებდნენ — ალექსანდრე მაინც განსაკუთრებული მღელვარებით — ახალციხიდან შერიფ-ფაშასა და მისი ლაშქრის მოლოდინში, რათა ისედაც აშლილ ქართლში შემოჭრილიყვნენ და ის ქარბუქი დაეტრიალებინათ, ახლა მაინც რომ გააწყობდა აქედან რუსების გასაგისს.

შერიფ-ფაშა შეპირებით კი შეპირებოდა, მაგრამ მსტოვრებისაგან შეეტყო, ახალციხის ყოფილი ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი აჭარიდან რომ ეპირებოდა თავდასხმას და იქაურობა ვერა და ვერ დაეტოვებინა. ისიც ატორტმანებულიყო, მაგრამ სხვაგვარი გახლდათ მისი ტორტმანი, არა დაუოკებლობის ჟინით, არამედ დიდი შიშით განმსჭვალული, რომ მივდივარ, სად მივდივარ, ჩემს არყოფნაში ჩემს სამკვიდროს რა დაემართება, როგორი დამხვდება უკან მობრუნებულსო.

საბედისწერო სწორედ ეს დაყოვნება აღმოჩნდებოდა მეამბოხეთათვის.

უეჭველობის ერთბაშად შემგდები სასწორზე, რომელიც თანდათან გარდუვალი მარცხის მხარეს აყირავდებოდა.

ტორმასოვი კი წუთსაც აღარ დაკარგავდა.

რაც უფრო სახიფათო მოჩანდა აჯანყების დაწყებაც და, იმავდროულად, სპარსეთ-ოსმალეთის ერთობლივი მოქმედებაც, მითუფრო ასწრაფდებოდა და წალკის მახლობლად, სოფელ ქვეშთან შეარჩევდა ადგილს დასაბანაკებლად, სტრატეგიულად საკმაოდ მნიშვნელოვანს, რადგანაც — საჭიროებისამებრ — ორივე მხარეს შეეძლო გაჭრილიყო: სპარსეთისკენაც და ოსმალეთისკენაც. და რაც მთავარია,

ესარგებლა შერიფ-ფაშას ყოყმანით და თავს დასხმოდა ჰუსეინ-ხანის ლაშქარს.

ან მსტოვრები არ ჰყავდათ?

ან გუშაგები არ ფხიზლობდნენ?

ან ისე დაიმედებულიყვნენ და გათამამებულიყვნენ, რომ მხოლოდ დამხმარე ძალის გამოჩენას მოელოდნენ და ეჭვადაც არ აუღიათ რუსის ჯარის იერიში?

ამხელა წამოწყება და ასეთი სავალალო დასასრული?

ებრძოლათ მაინც და ლამის ხელის გაუნძრევლად არ გაქცეულმიმოფანტულიყვნენ.

არადა, მარკიზ პაულუჩი მსუბუქ რაზმს რომ ჩაუდგებოდა სათავეში, წვიმიან და ქარიან ამინდსაც გამოიყენებდა და 5 სექტემბრის სისხამზე ისე შეიპარებოდა სპარსელთა ბანაკში, გულის ძილით ჩაძინებული ჯარი მაშინღა მოეგებოდა გონს, როდესაც ტყვიების ქარცეცხლში მოჰყვებოდნენ. გონზე მოგება კი შესაფერისი წინააღმდეგობის გასაწევად არ ეყოფოდათ და თუ გაასწრებდნენ, ეგაა და ეგ, თორემ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ალექსანდრე ბატონიშვილი, ჰუსეინ-ხანისა არ იყოს, სახელდახელოდ თუ მოიცვამდა რაღაცას და იმასღა შეძლებდა, რომ რუსებს ხელთ არ ჩავარდნოდა.

მარკიზ პაულუჩს დიდძალი ალაფი რომ დარჩებოდა, იარაღსა და სამოსს აღარც ჩიოდა ჰუსეინ-ხანი, ლაშქარს ცხენებიც რომ აღარ შერჩა, ეს მთლად წაახდენდა და აბას-მირზას უთვლიდა ახალციხეში თავშერგული, ეგებ როგორმე აქედან გამოგვიყვანოო.

ყველაფერი შერიფ-ფაშას ბრალიაო, — თავისმართლებას რომ მოჰყვებოდა ეს გამოცდილი და ყველაზე მნიშვნელოვან ჟამს ასე საბედისწეროდ ჩაძინებული (მეტაფორულადაც და პირდაპირი აზრითაც!) სარდალი, შერიფ-ფაშას თავისი ცოდვაც ეყოფოდა, თორემ მას ხომ არ ურჩევია სპარსელთა ბანაკისათვის, ჩემს მოლოდინში მშვიდად და დანდობილად იყავით და ძილიც არ მოიკლოთ ერთმა მოლაშქრემაც კიო.

რაკილა ეს ორი მეთაურიც კი ვერ შეთანხმებულიყო, თავისთავად გაწყდებოდა ისედაც სათუოდ შემაკავშირებელი ძაფები ირანსა და ოსმალეთს შორის.

იმერეთი ჯერ კიდევ მედგრად იბრძოდა, მაგრამ ამ მხარეში იმატებდა და იმატებდა რუსის ჯარი და გამკლავება სულ უფრო გაძნელდებოდა.

23 სექტემბერს ხანისწყლის ხეობაში ის გადამწყვეტი შეტაკება მოხდებოდა, რაც სოლომონ მეორეს ხელს ააღებინებდა აჯანყების გაგრძელებაზე და ახალციხეს მიაშურებდა.

კავშირი აუცილებლად უნდა შენარჩუნებულიყო იმერეთთან და დევნილი მეფეც წერილს წერილზე უგზავნიდა თავის მომხრეებს.

ოჰ, ეს მაცთუნებელი წერილებიო, — ცხადია, თავისებურად შეაფასებდა მათ დანიშნულებას სიმონოვიჩი, და მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა და მსტოვართა ქსელის ამოქმედებისა, ხელთ ვერ მოეგდო პოლიტიკურ ეპისტოლეთა ეს ნიმუშები და ბარემ არა სურდა აღიარება, მაგრამ რეალობა დაბეჯითებით უდასტურებდა იმერთა ერთგულებას თავიანთი მეფისადმი, გამცემი რომ არა და არ მოიძებნა მათ შორის.

სოლომონი თან ოსმალეთისაკენ გაიცქირებოდა, მითუმეტეს, რა დაავიწყებდა, თუ რაოდენ საზეიმო დახვედრა გაუმართეს ახალციხეში, მთელი ქალაქი რომ გააჩირაღდნეს და სახელმწიფო ხაზინიდანაც არ დაუშურებიათ თანხა მისი შესაფერისი დახვედრისათვის, მაგრამ მაინც ქრისტიანული ქვეყანა ერჩივნა თანამდგომად და ნაპოლეონ ბონაპარტეს იმედი ამიტომაც ჩაესახებოდა — საფრანგეთის ურთიერთობის სულ უფრო გაუარესებას რუსეთთან ხომ შეიძლებოდა სასიკეთოდ შემოეტრიალებინა იმერეთის ბედიც?

მთავარია, საფრანგეთის იმპერატორს არამარტო ყურში ჩასმოდა იმერეთის ამჟამინდელი ყოფა, არამედ მის პოლიტიკურ ინტერესებშიც მოქცეულიყო. და საგულისხმოა, რომ საფრანგეთის რწმუნებული ოსმალეთში თავის ხელისუფალთ ატყობინებდა, რომ იმერეთის მეფის დელეგაცია კონსტანტინოპოლში კარგად მიეღოთ და სოლომონ მეორეს — ვინც ითხოვდა სულთნის მფარველობას და აღუთქვამდათ მზადყოფნას ყოველგვარი დავალების შესასრულებლად, ოღონდაც იმერეთს კვლავ ღირსებოდა სამეფო ტახტი — შეპირებოდნენ დახმარებას გვირგვინის დასაბრუნებლად.

წერილი წერილად შედგებოდა ნაპოლეონის სახელზე — თანაც ეს სულაც არა ყოფილა ქართველი მეფის მიერ მისადმი გაგზავნილი პირველი ბარათი — და სოლომონ მეორის წარმომადგენელი როსტომ ნიჟარაძე ტრაპიზონში პირადი საუბრის დროს საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელთან თავისი მხრივ დასძენდა: თუკი მის უდიდებულესობას ვითარება არ შეაძლებინებდა თვითონ დაებრუნებინა იმერეთის ტახტი კანონიერი მფლობელისათვის, ეგებ მოლაპარაკებით დაეყოლიებინა რუსხელმწიფე, ნებაყოფლობით აღედგინა სოლომონისათვის წინაპართა სამემკვიდრო.

ცალკე კონსტანტინოპოლს თავშეფარებული ქართველი ელჩები აპირებდნენ საფრანგეთში გამგზავრებას, და დევნილ მეფეს იმის შეტყობის სურვილიც სწვავდა, განეზრახა თუ არა საფრანგეთს ომი რუსეთთან.

სიფრთხილით ისედაც საკმაოდ ფრთხილობდა და, 4 ათასი ჩერვონეცი რომც არ ყოფილიყო გამოყოფილი მის მოსაკლავად, მაინც დადარაჯებული იქნებოდა: საწამლავი არსაიდან შემომაპარონო.

აკი ვერც შეაპარეს, მიუხედავად მიზანმიმართული მცდელობისა, კინაღამ საწადელსაც რომ ეწივნენ.

სამაგიეროდ, სოლომონ ლიონიძეს გამოასალმებდნენ წუთისოფელს სწორედ ამ გზით, ანკი მის არსებობას როგორ შეეგუებოდნენ.

1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა:

— სოლ. ლეონიძის მოწამლვა.

1929-30 წლების ჩანაწერებში კვლავ დაუბრუნდებოდა ამ თემას რამდენიმე დოკუმენტური ცნობის ჩართვით, გაცილებით მეტის აღდგენა-დაზუსტებაზეც რომ ზრუნავდა:

— სოლომონ ლეონიძე ახალციხეს მოკვდა 1815 წ. ბერძენმა მზარეულმა მოწამლა (ეკითხოს გ. ლეონიძეს).

იცოდა, ვინც დაინტერესებულიყო მეფის კანცლერის ბიოგრაფიის გამოძიებითა და სრული ქარგის აღდგენით და იმის მტკიცებაც მოეხსენებოდა: სოლომონი ლიონიძე კი არა, ლეონიძე გახლდათო — თავის წინაპრად გამოჰყავდა გიორგი ლეონიძეს და ამიტომაც უფრო გამძაფრებოდა სურვილი იმისი პორტრეტის აღდგენისა: ნარკვევშიც და ეგებც პოემაშიც, ვითომ მარტოდენ „ბედი ქართლისა“ დაიტევდა მის მღელვარე ცხოვრებას? თორემ სახის მონუმენტურობა გამოკვეთით რომ გამოკვეთილიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში, გიორგი ლეონიძეს ვისგან ესწავლებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილზე განზრახულ რომანში აპირებდა ამ თემის გაშლასაც — აბა, ალექსანდრეს ცხოვრების მხატვრული ვერსია იმ პიროვნების გარეშე, ვისაც ასერიგად ეიმედებოდა მისი და მანამდე ლევან ბატონიშვილზე დამყარებული ოცნებაც მასზე გადაჰქონდა?!.

იმ რომანში არც სოლომონ მეორე დარჩებოდა სიუჟეტის მიღმა, ახლა, 1811 წლის 20 ოქტომბერს შედგენილ წერილში რუსხელმწიფეს ისეთი გულისტკივილით რომ აცნობებდა, მოწამვლას მიპირებდნენო, ისე მოელოდა მისგან გამოსარჩლებასა და თანაგრძნობას, თითქოს იმის გასახარად და დასამშვიდებლად არ ჩაფიქრებულიყო ეს წამოწყება.

არა და არ უმართლებდათ ეს მზაკვრული გზა? იქნებ ისევ მოლაპარაკებით დაეყოლიებინათ. იმავდროულად კი ახალციხის შემოსაერთებლადაც რომ აემოქმედებინათ დიპლომატიური საშუალებანი და შერიფ-ფაშასა და სელიმ-ფაშას გადმოსაბირებლად დაპირებებს არ იშურებდნენ, სოლომონ მეორეც და სოლომონ ლიონიძეც იფიქრებდნენ, რომ ეგებ ეს გარემოებანი მარჯვედ გამოეყენებინათ, გაეადვილებინათ მოლაპარაკება კავკასიის რუს მმართველებსა და ახალციხის საფაშოს ხელისუფალთ შორის და, ამ მხარის დათმობის საზღაურად, მიეღწიათ იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის, თუნდაც შეკვეცილი უფლებებით.

ასეც შესთავაზებდა დამხობილი მეფე ახალციხეში რუსთა რწმუნებულად ჩასულ პოდპოლკოვნიკ ბოლენცოვს, მაგრამ ის იმერეთის ნაცვლად ტფილისში რომ მიიპატიჟებდა უხვი წყალობის დაპირებით — ამით მოიპოვებ პირად ბედნიერებასა და საუკუნო სიკეთესო — სოლომონი კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, რუსეთში გადასახლების გარდა სხვას რომ ვერაფერს გამორჩებოდა რუს ხელისუფალთ და კვლავ ოსმალეთისაკენ შეტრიალდებოდა, ძალიან რომ დაფაცურდებოდნენ, ამ მხარეში რუსეთის მოძლიერებით საკმაო ტერიტორია გვეცლება ხელიდანო, და აღუთქვამდნენ დიდ სამხედრო ლაშქრობას იმერეთის სამეფოს აღსადგენად.

* * *

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება თავიდანვე განზრახულიყო, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა ყოფილიყო ამგვარი ჩანაფიქრი თვით მაჰმადიანთათვისაც.

ეკლესია თუ მაინც შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრივი თავისთავადობის აღდგენის მოლოდინი უფრო მძაფრი იქნებოდა ხალხში, ეროვნულ თვითმყოფადობასაც მთლად კატასტროფა აღარ დაემუქრებოდა.

მაშ ეკლესიის ავტოკეფალიაც ისევე უნდა განწირულიყო, როგორც ქართლ-კახეთის სამეფო, და მასთან ერთად იმერეთის სამეფოც, რათა მონარქის გასაგისი აღარ დარჩენილიყო გუბერნიებად გადაკეთებულ ქვეყანაში და... კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტიც უსათუოდ ზედ უნდა მიჰყოლოდა.

ბედის განჩინებით, ძველი საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი ანტონ II უნდა აღმოჩენილიყო, ვინც ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი გახლდათ — მეფე ერეკლეს უამრავ ძეთაგან ერთ-ერთი.

ერეკლე მეორის შვილთაგან ერთს აკი საქართველოს უკანასკნელი მეფის სახელი ერგუნა ისტორიაში.

მეორეს — უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქისა, ოღონდ კიდევ კარგი, რომ მხოლოდ ძველი საქართველოსათვის, და ეკლესიის ავტოკეფალიასაც ელირსებოდა დაბრუნება საუკუნის შემდგომ და მისი მწყემსმთავრის ტიტულსაც.

ჩვენი ტაძრების გადაღებვა კირით უკვე მოასწავებდა და დაბეჯითებითაც მოასწავებდა ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გარდუვალობასაც.

შესაფერისი დროლა სჭირდებოდა ამ განზრახვის აღსრულებას.

იმერეთის სამეფოსა და საქართველოს ეკლესიას ერთდროულად წაეჭირებოდა ყულფი ყელში.

მიიპატიჟებდნენ ანტონ მეორეს რუსეთში, — იმპერატორის სახელით — ვითომდა საქართველოს საეკლესიო საქმეების უწმინდეს სინოდში განსახილველად.

ფეხს აითრევდა კათოლიკოს-პატრიარქი.

გააჭიანურებდა რაც შეეძლო.

თავის მაგივრად ის სასულიერო პირებს გაგზავნიდა: მიტროპოლიტ ვარლაამსა და არქიმანდრიტ დოსითეოსს.

ერთი წელი გავიდოდა 1809 წლის ნოემბრის ამ დღის შემდეგ.

1810 წლის ზაფხულში გენერალი ტორმასოვი კვლავ გაუმეორებდა იმპერატორის მიწვევას.

ის კი არა, 10 აგვისტოს სვეტიცხოველში რომ ილოცებდა მხურვალედ და გამოემშვიდობებოდა მრევლს... დუშეთიდან მობრუნდებოდა თავის სავანეში.

მკაცრდებოდა მოთხოვნა.

ბრძანებას ემგვანებოდა და ის წუთები დგებოდა, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქს ისევე აღარ მოერიდებოდნენ, როგორც ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის ოჯახთა სხვა წევრებს, ჩრდილოეთისაკენ იძულებით რომ გაესტუმრებინათ.

პირდაპირ ეტყოდნენ: ნებით გერჩიოს, თორემ ძალას წინ არაფერი დაუდგებაო.

23 ნოემბერს კვლავ სვეტიცხოველში აღავლენდა წირვა-ლოცვას და პარაკლისსაც გადაიხდიდა ანტონ მეორე.

კვლავ დაადგებოდა იმავე გზას, მწუხარებით სავსეს.

ან უკვე სამუდამოდ.

ოქროცურვილ სარკმლიან კარეტას უბოძებდნენ, არც ყოველწ-

ლიურ პენსიას დაიშურებდნენ, არც მწვანე ხავერდის მანტიას, არც ანდრიას ორდენს, გარეგნულად სულაც არ ჩავარდებოდა მძიმე და გაუსაძლის პირობებში, მაგრამ ტყვეობა ტყვეობა გახლდათ და ნიჟნი-ნოვგოროდში მისი სიცოცხლის უკანასკნელ ჟამთან ერთად მთავრდებოდა ძველი საქართველოს ეკლესიის არსებობა, რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულ საეგზარხოსოდ დამდაბლებულის.

* * *

სოლომონ მეორე ლიხსიქით უვლიდა გარს საქართველოს საზღვრებს.

ალექსანდრე ბატონიშვილი ლიხსაქეთ აწყდებოდა სასაზღვრო ხაზს და იმედს უსახავდა რუსის ჯარის წვრილ-წვრილ გარნიზონებად დაქუცმაცება, ციხესიმაგრეებში რომ შეკეტილიყვნენ და ჯერჯერობით ინარჩუნებდნენ ზეგავლენას, მაგრამ ერთდროულად თუკი მოხერხდებოდა ქართველთა აჯანყებაც და დამხმარე სამხედრო ძალის შემოჭრაც, ვითომ ეს დაფანტული საგუშაგოები მოიგერიებდნენ ორივე იერიშს?

ამხელა კრახსაც ვერ გაეტეხა გული მისთვის.

ვერც იმ ტრაგედიას, შვილივით შეთვისებული ძმისწული რომ გამოეცლებოდა ხელიდან.

იმ შემოდგომით ლევან ბატონიშვილი სამასი მხლებელი ოსით ფარულად გადასვლას აპირებდა ბორჯომის ხეობიდან ახალციხეში, მაგრამ მოულოდნელად გოგიას ციხესთან ლეკებს გადააწყდებოდა, სიმრავლე თავისას გაიტანდა და ჭაბუკს, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისას, უკვე ამხელა თავდადება რომ გამოეჩინა და გაემართლებინა სახელოვანი ბიძის იმედი, აჯანყების მზადების სადავე მისთვის რომ მიენდო და ხარობდა, ეს რა ბიჭი დამდგარაო, ხანჯალზე წამოაგებდნენ.

რას წარმოიდგენდნენ, თუ ვინ გაეწირათ საკუთარი ხელით, იმ პიროვნების სისხლი და ხორცი და მის კვალზე მდგარი, კავკასიურ ლეგენდებში რომ გადასულიყო და ლეკებიც მოუწყინრად ჰყვებოდნენ თუ მღეროდნენ მის სადიდებელს.

უბრალო ჭაბუკი რომ არ მოეკლათ, ამას კი მიხვდებოდნენ, და გამარჯვების მოპოვებით მთვრალნი ლევანის მოკვეთილ თავსა და გასისხლიანებულ სამოსს ახალციხის ფაშას მიართმევდნენ, შერიფ ხიმშიაშვილს, შექებისა და წყალობის მოლოდინში.

შერიფ-ფაშას თურმე ლამის თავი მოეკლა იმ საზარელი „ძღვენის“ შემხედვარეს, და ცრემლის ფრქვევასაც არ მორიდებია...

მიშკარბაში იოსები რომ მიუსამძიმრებდა ერევანს მყოფ ალექსანდრეს ლევანის ტრაგიკულ აღსასრულს, იმას, მწუხარებისაგან გათანგულს, არ გამორჩებოდა, რომ მადლობა მოეხსენებინა ამ უზომო განცდის გაზიარებისთვის („ვიცი, რომ ამისთანა განსაცდელისათვის მტერთაცა ლმობა შეუვათ, არამცთუ თქვენ, რომელ პატარა ჩვენს ოჯახში ჩვენთან ძმასავით თანშენაზარდი ხართ. რომელიც რომ სანატრელი ჩვენს მშობელთაგან ჩვენში და თქვენში გარჩევა არ იყო, ამისთანას უბედურების შემთხვევისათვის რასაკვირველია, რომ ილმებდით"), და ესეც არ ეთქვა: ამ მეორე განსაცდელმა სანატრელი დედაჩემის, დარეჯანის მიცვალებაც კი დამავიწყაო.

— უცხოსა და საკვირველის ზრდილის ლეონის ასე უწყალოდ სიკვდილმან მხარი მიმიღო და ასე ანაზდად სიყმის ყვავილის დროს უნუგეშო სოფელმა დრო არ სცა და სიმუხთლის განსაცდელით მიმტაცა ჩემი ნუგეში, ჩემი დიდება და გვირგვინი და ჩემი მარჯვენა მხარი. და ასე დამაგდო ნათესავგაუხსენებლად, რომელსაც შევსტრფოდი ძმად და შვილად და ყოველთავე მაგიერი და ნუგეში ის მყვა. აწ სამაგალითოდ გამომიმეტა ჩემმან ცოდვამან და უბედურებამან. ჩემი ყვავილი ლეონმა დააჭნო და ჩემი სიხარული უბედურების კალმით მან ახოცა. ჭეშმარიტად მტერთაცა ვარ შესაწყალი და მოყვარეთაგანცა უიმისოდ.

1811 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული ბარათის ბოლოს კიდევ ერთხელ უძღვნიდა მადლობას („და რასაკვირველი არის, რომ ჩვენს ძმას იულონთან ძმასავით თანშეზრდილი იყავ და იმისის შვილის ამგვარი განსაცდელი შეგაწუხებდათ. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე, გმადლობ დიდად ესრეთ ჩემთანა ლმობისათვის. და გთხოვ თქვენს ვითარებას წერილით არ დაგვავალებდეთ ხოლმე, რომელსაც რომ დიდად სასიამოვნოდ მივიღებ"), მაგრამ მთავარი სწორედ ეს პასაჟია, ხმით ნატირალის დონემდე რომ ადის თავისი გზნებითა და ექსპრესიით — მართლაც პოეტური ნიმუშია, სახისმეტყველებაც რომ არ აკლია, და არა წერილის ფრაგმენტი.

ძმადაც მიეღო და შვილადაც თავისი ძმისწული.

ნუგეშადაც ის ეგულებოდა, დიდებადაც და გვირგვინადაც და მარჯვენა მხარივით გრძნობდა იმის გამოჩენასა და ჩართვას სახელმწიფოს აღდგენისათვის თავგანწირულ ბრძოლაში.

ხარობდა: მე თუ დავიღუპე, ამ ბრძოლას ლევანი უჩემობას არ დაამჩნევსო.

და უეცრად კი...

და საკუთარ თავს დაუწყებდა ყვედრებას: ჩემი ცოდვების ბრალია, ჩემი ნუგეში ასე რომ გაიწირაო.

მტერთაცა შესაწყალი ვარო, — საზღვარი აღარ ჰქონდა ალექსანდრეს გოდებას.

ხოლო მოგვიანებით:

ეპიზოდურად რომ გაიელვებდა ეს კოლორიტული ჭაბუკი ალექსანდრე ფრონელის კახური ეპოპეის თხრობისას, დაენანებოდა ისტორიკოსს ამ პერსონაჟის დაკარგვა და მკითხველს აღუთქვამდა: როდისმე მის თავგადასავალსაც გიამბობთო.

რაღაც ისეთი თხზულება უნდა დაწერილიყო, ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური ნოველა რომ არის ერეკლეს ძე ლევან ბატონიშვილზე, აკი ფრონელიც თავისი დიდებული სეხნიის მანერით ადგენდა საისტორიო ქრონიკებს, და დიდებული ბიძის ისტორიულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი თუ ნარმოსახულიყო, ბარემ მისივე სულის თანაზიარი ძმისწულის ისტორიულ-ფსიქოლოგიური პორტრეტიც შემომატებოდა ჩვენს ტრაგიკულ გმირთა გალერეას.

დაპირება დაპირებად დარჩებოდა, თუმც ამგვარი სურვილის გამოთქმა თავისთავად ნიშნავს, რომ ეს დოკუმენტური ნოველა თუ საისტორიო ქრონიკა დასაწერი აქვს ჩვენს მწერლობას, ლევან ბატონიშვილის, იულონის ძის, დამოუკიდებელი პორტრეტი, მისი ხანმოკლე, მაგრამ ასერიგად მღელვარე თავგადასავალი, თორემ მისი დაუვიწყარი სახება ყოველთვისაც გადაიელვებს იმ ეპოქისადმი მიძღვნილ ისტორიულ თუ მხატვრულ-დოკუმენტურ ძიებებში.

ვერც სამხედრო მარცხს, ვერც პირად ტრაგედიას ვერ გაეტეხა გული მისთვისო...

ბრძოლის ჟინი კი არ ჩაცხრომოდა, კიდევ უფრო გაათკეცებოდა და ალღოც რაღაც საგულისხმოს კარნახობდა.

ის თავდაჯერებულობა ასე სავალალოდ რომ გაუმტყუნდა?

მაშინ ავმა ბედისწერამ იძალა და სულ ავი ბედისწერა ხომ არ ჩადგომოდა კვალში, ყოველ შემთხვევაში შეპუებით არ უნდა შეპუებოდა და, თუკი ენერგია კიდევ მოსდევდა, ბოლომდე ამოეწურა და ან ძლევამოსილი დაბრუნებოდა ტფილისს და ან ზედ დაკვდომოდა თავის მისწრაფებას, იმთავითვე სიცოცხლეზე მეტადაც რომ ეძვირფასებოდა, პოეტურ ფორმულად ჯერ ხორცშეუსხმელი: ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთებაო!..

თავი მერვე

ბახტრიონული ლანდები

— ცოტას გაწყდა, რუსეთის ჯარი კინაღამ სულ ამოჟუჟეს.

იქნებ ძალიანაც არ ეხალისებოდეთ ამგვარ ცნობათა შეტყობინება უფროსობისადმი, მაგრამ რეალობას სად გინდა წაუხვიდე.

რეალობასაც წასვლიან, განა არა, გაყალბების ჟინსა და მოთხოვნილებას ხომ ზღვარი არა აქვს, მაგრამ იქმნება ისეთი გარემოებანი, რომელიც გაიძულებს სიმართლის გამჟღავნებას.

მარკიზ პაულუჩის ადგილას რომ სხვა ყოფილიყო, ისიც ნებას იბოძებდა და ასე მიიწერებოდა უმაღლეს ხელისუფლებასთან, რადგანაც ძალიან გახმაურდებოდა ის დრამატული ეპოპეა და ადვილი აღარ ჩანდა მისი გადაფარვა სიცრუით.

ამას გარდა, საიმპერატორო კარი იძულებული შეიქნებოდა გადაეფასებინა მმართველობის ახალი სისტემა საქართველოში და მის გადასხვაფერება-შერბილებაზე ეფიქრა.

მითუმეტეს, მარკიზ პაულუჩი უკვე ცდილობდა რაღაც-რაღაცების გამოსწორებას, რაკიღა ამხელდა რუს მოხელეთა ზღვარდაუდებელ თვითნებობას: ღმერთი ამათ არა სწამთ და ჯვარი, მრავალ დანაშაულს კადრულობენ და ამის გამო ქვეყანა აივსო უზომო და მეტის-მეტი ბოროტმოქმედებითო.

ჯერ ცოტა ხანი იყო, რაც ჯარის უფროსად დაენიშნათ და საითაც გაიხედავდა, ყველგან აწყდებოდა თუნდ სასურსათო უწყების მოხელეთა საზიზღრობასა და ლირფობას, და თუმც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, ხელი ვერ აეღებინებინა ჩინოვნიკთათვის ქვეყნის დამლუპველ და ხაზინის საზარალო მოქმედებაზე.

ქვეყნის დაღუპვად იმპერიის სხეულზე მოდებული სნეულება ესახებოდა და ამას განიცდიდა, თორემ ნაკლებად აღელვებდა მცირერიცხოვანი და დიდი ისტორიისა და კულტურის ერის მოსალოდნელი გადაჯიშება-გადაშენება, სწორედაც ამას მიელტვოდა, მაგრამ ეს

გზა ბოროტმოქმედებისა თავისთავად იწვევდა მძაფრ წინააღმდეგობას მოსახლეობაში და იმპერიას ძალზე ურთულებდა მდგომარეობას.

უძნელესი რომ გახლდათ გადაგვარებული სამოხელო სისტემის გამოკეთება და პავლე ციციანოვიც ამაოდ დამშვრალიყო, ეს მოითხოვდა მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავებასა და დროულად ხორცშესხმას, თორემ გარდუვალი ხდებოდა რაღაც გრანდიოზული ამოფრქვევა დაუმორჩილებლობის სულისა.

მითუფრო, როდესაც საზღვრებს ანყდება დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ შერაცხული ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მფრინავი რაშით.

ცოტას გაწყდაო...

მართლაც რა ცოტას!..

ის დრამატული ეპოპეაო...

მართლაც რომ ეპოპეა!..

და თუმც მარკიზ პაულუჩი სწუხდა და განიცდიდა მოხელეთა თვითნებობას, ფულის უკანონო ხვეტასა და მექრთამეობის უსაზომო აყვავებას, ისედაც ზნეობამოშლილ ჯარს, რომელსაც დაპყრობილი ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონად და ამკლებად მიაჩნდა თავი, ეგზეკუციად ჩაუყენებდა იქით იმერეთისა და აქეთ ქართლ-კახეთის სოფლებს, გაპარტახებულსა და ჭირმოდებულს, შიმშილობა რომ გათანგავდა ყველაფერს.

— ნაცვლად პურისა, ევედრებოდნენ მცხოვრებნი, რათა მიიღონ დედაწულნი მათნი.

დავით ბატონიშვილი შემოგვინახავდა შეულამაზებელ ცნობებს მაშინდელი სინამდვილისა, სამეფო გვირგვინის ნებით დამთმობი და მერე სულაც კალამზე გადამცვლელი, და ამასაც რომ დასძენდა:

— იყო ჭირვებაი და ვალალებაი ერთა ზედან.

გულს იმითღა მოიოხებდა, მარკიზს პაულუჩს „ტირანად“ რომ მოიხსენიებდა, და კიდევ ელამად „რაგვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითაცა და მოქმედებითა“, თითქოს გულისწყრომა ისტორიულ რეალობას რაიმეს შველოდეს.

რა ამაოდ ევედრებოდა სოლომონ ლიონიძე გადამჭრელ მოქმედებას.

ვოლტერიანელი ჭაბუკი მაშინ არ შეისმენდა, მერე კი მის ხელთ აღარაფერი იქნებოდა... კალმის მოსმის მეტი, და ისეთი მძაფრი განცდითა და ექსპრესიით წარმოსახავდა თუნდაც იმ ჟამს, ალექსანდრე ფრონელს გული აუჩვილდებოდა და დაუფასებდა სევდა-ვაებით შეზავებულ კილოს და ცნობებად კი არ ამოკრებდა იმ ამბებს მისი მატი-

ანედან, თავით ბოლომდე დაიმოწმებდა ვრცელ მონაკვეთს, როგორც ნიმუშს მხატვრულ-დოკუმენტური თხრობისა, და აღარ დაძრახავდა, რომ იგი ისტორიკოსთა მემკვიდრედაც და წინამორბედადაც ქცეულიყო და არა მეფეთა თაობების მემკვიდრედაც და წინამორბედადაც.

მარკიზ პაულუჩის გამთავარმართებლება ახალ უბედურებას დაატეხდა თავს კატასტროფისაკენ დაქანებულ ყოფილ საქართველოს, შემდგომ როგორც დამკვიდრდებოდა ტერმინად ჟურნალისტიკაში:

— ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა სახმარად მხედრობისა, რომელ კნინღა დაჰშთათ ხარი სოფელთა შინა. ეგრედვე სადაც განვიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფლებთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა, თვინიერ თეთრისა, და იყო ესრეთცა სიყმილი, რომელ კოდი პური იყო ექვს მონანთულადა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა ორისა წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა კახთაგან, ვინადგან სიმცროისა გამო მოსავლისა ვერ ძალ ედვათ მიცემაი, და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა ჩაყენებაი (ესე იგი იასაულთა), — ორასისა და სამასისა თითო სოფელთა, და სადაც მივიდოდიან, იყო ვაებაი მათ ზედან მით, რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთაცა, და ხელითა ჰკიდებდიან და ართმევდიან პურთა ძალითა.

საზარელი სურათია?

დაპყრობილ ქვეყანაშიც რომ არ იქცევიან ყოველთვის ასე?

თურმე ბევრად უარესიც ხდებოდა, წარმოდგენაც რომ გაგიძნელდება და ფიქრობ, რაღაც კოშმარულ სიზმარს ჰყვებიან თუ რა არისო.

— თუმცაღა კახნი ევედრებოდნენ, რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში და რომელთაც არა აქვნდათ თეთრი, მაშინ ძე და ასულთა თვისთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვის ვედრებაი მათი, და იყო ვალალებაი ერთა შორის.

ნამდვილად ასე გვაუწყებს მემატიანედ ხელობაშეცვლილი უფლისწული:

მაშინ ძე და ასულთა თვისთა აძლევდიანო...

და ამის მოთმენა?

აკლება-აოხრებაზე მეტი რა ახსოვს ქართლის ცხოვრებას, სისასტიკისა და ულმობელობის მაგალითებით გადატენილია ჩვენი ისტორიული ქრონიკები, მაგრამ ამ ფონზეც რაღაც განსაკუთრებით გცემს თავზარს ამ სტრიქონთა ამოკითხვა.

საკუთარი ნებითაც რომ ხდება ეს გაუგონარი ცოდვა-ბრალი, სულიერ ნგრევას ასე დაუშლია და მოუსწორებია ადამიანი — მოძალადე ხომ თავისთავად, უღელში თავგაყოფილიც არანაკლებად.

მოთმინების ფიალა პირთამდე გალიცლიცებულიყო.

წვეთიღა კმაროდა და კიდეც იხუვლებდა და მოსკდებოდა, ვეღარაფერი რომ ვეღარ შეაჩერებდა და ახლა ეს ჰეროიზმი გაგაოგნებდა, ამხელა ენერგია და თავმოყვარეობა, ამხელა სიმხნევე და თავისუფლების წყურვილი თუ ჩაბუდებულიყო ამ ხალხში, აქამდე ასე როგორ თვლემდა, განა რას უცდიდაო?!.

იყო ჟამი მოთმინებისა.

და დამდგარიყო ჟამი მღელვარებისა.

უამრავ ბოროტმოქმედებათაგან სანიმუშოდ ერთს გამოარჩევს დავით ბატონიშვილი:

— თიანეთს მთვრალთა აფიცართა შეიპყრეს დედა-კაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო.

ესეც ის ბოლო წვეთი, მოთმინების ძაფი რომ უნდა გაეწყვიტა.

— ვერღარა მოითმინეს თიანელთა ესე ვითარი სირცხვილი, და იქმნა შფოთი ქართველთა და რუსთა შორის. ხოლო პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა, მით, რამეთუ დაკოდეს თიანეთს ამბოხსა ამას თიანელნი რამოდენიმე. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოვლნივე რუსნი, ვიდრე ას-ორმოც-და-ათამდე მუნით შთავიდნენ მატანსა.

აჯანყება დაიწყო.

შემზარავია ქართველი ქალის ასეთი დამცირება და შეურაცხყოფა, მაგრამ ნუთუ პირველად მოხდა ასეთი უჩვეულო შემთხვევა?

მაშინ ძე და ასულთა თვისა აძლევდიანო...

რა ვიფიქროთ — იმათ როგორ მოეპყრობოდნენ!..

ანდა გზაშარაზე დახვედრა თუ სულაც შინიდან გატაცება ქალებისა და მათი უმსგავსი თრევა-დამცირება ვითომ ერთი და ორი მოხდებოდა?

რა ერთი და რა ორი.

ამრიგად ყოფნას სიკვდილი ვარჩიეთო, — სოფელ ზეგანის მცხოვრებნი რომ ჩიოდნენ, სალდათთა უმსგავსოების ჩამოთვლისას ამას განსაკუთრებული სიმწრით აღნიშნავდნენ:

— ესეც გვითხრიან: თქვენი ცოლები მოგვგვარეთო.

კოლაგირისა და ჩალაუბნის მკვიდრნიც ამასვე გაემწარებინათ ყველაზე მეტად:

— ასე ეუბნებოდნენ გლეხ კაცს: თუ პური არა გაქვთ, თქვენი ცოლები უნდა მოგვცეთო. ეს ხომ ყველამ უწყით, კაცი თავის ცოლის გულისათვის მოკვდება. ამ ხმის სმენისათვის შეწუხებულა ხალხი და საწყაულიც აღივსო მწუხარებით და აღარ დაითმინა კაცობრივმა ბუნებამ.

ან მაშნაარელთა საწუხარი თქვით:

— შიშით კაცი მარტო ხელი საქმეზე ვერ წავიდის, რომ მანდილოსანთ უნამუსო გახდიან.

ან ბოდბელთა:

— ყიზილბაშ-ოსმალოს და ლეკსაც ვჭერივართ და მისთანა რისხვა არ მიდგომია საქართველოს, რომ ახლა დაემატა. ყოველს მწუხარებას ვითმენდით ხელმწიფის ერთგულებისათვის, მაგრამ ცოლის მკლავიდან აყენება ვერ მოვითმინეთ. ბანანაშვილს რუსებმა წაართვეს ცოლი. ორი კვირა ბოდბის ხევში ყვანდათ და მას უკან გამოუშვეს. ბაღაშვილს და ხუნაშვილს ცოლები წაართვეს. ერთი კვირა ყვანდათ და მას კვან გამოუშვეს, რომ ქმრები თვალით უყრებდნენ. კაც რომ დანაშაული ქონოდა ხელმწიფისა ბრძანებით კაცისთვინ უნდა გარდაეხდევინათ, დედაკაც იჭერდნენ, ნიფხვებს ხდიდნენ და წკეპლაში ატარებდნენ.

ან მაჩხაანელთა:

— შინ ცოლშვილს ცემდიან, ღვინოს ვასმევდით, დაითვრებოდნენ და ჩვენ ცოლებთან დაწვიან, ჩვენ თვალით გვაყურებინიან... მეთხუთმეტე იეგერის პოლკის სალდათებმა წაუწვნენ მაჩხანაურის პაპა ნადირაშვილის ცოლს...

ან მირზაანელთა:

— ჩვენი დაჭირვება ეს არის, ცოლები გამოგვართვეს, ქმრებს ხელები შეუკრეს და თვალით აყურებინეს რიგით სალდათებმა იხმარეს ცოლი. ქმარს ეძახოდა მიშველეო, ქმარმა ასე დაუძახა: მეც მახრჩობენო, რა გიშველო... დაითურებოდნენ და დედაკაცებს სცემდნენ. ერთ კაცს ქორწილი ქონდა. შაუსია კაპიტანმა ორმოცი სალდათი. მეფე და დედოფალი კარში გამოყარის და ხალხსაც მრავალი სცემეს...

ან საქობელთა:

— არ ვიცით რომელი პოლკის აფიცრებმა, რომელთა სახელი და გვარი არ ვიცით, გამოიყვანეს ყარალაშვილის ნინიას ცოლი და წაიყვანეს. აგრეთვე ფეიქარს გაბრიელს წაართვეს ცოლი ყაზახის პოლკის კაზნაჩევი ალექსი კუზმიჩმა, რომლისაც გვარი არ ვიცით, წაიყვანეს ქალაქს ტფილისს და იქ დაიხრჩო თავისი თავი.

ისტორიკოსები ამ ტრაგედიის მაგალითზე ყურადღებას მიაქცევენ, რომ რუსებს გარჩევა აღარ ჰქონიათ გლეხობისა და მაღალი წოდებისა, გლეხიც და თავად-აზნაურიც მათთვის ერთნაირად დასაჩაგრი და გასათელი გახლდათ.

ან ჩერქეზიშვილთა საჩივრის ეს სტრიქონები ჩაიკითხეთ:

— აქ მდგომმა კაპიტანმა ერთს იქაურს კაცს გვირგვინის ცოლი წაართო. მოვიდა იგი კაცი, თავისი ცოლი სთხოვა, დაიჭირა ის კაცი, მრავალი სცემა და მაღლა დაჰკიდა, ერთი კვირა საყარაულოში ჩააგდო, მერე კაკაბეთს წავიდა და იმ კაცის ცოლიც თან წაიყვანა და რომელი ესევითარი საქმე ვიხილეთ, ჩვენ გულში ეჭვი შეგვივიდა: თუ ეს იქმნა მძლავრობით ცოცხალი კაცის ცოლის წართმევა, ჩვენიც ესრეთ იქნებაო.

ანდა ჯუგაანელთა:

— რამთონი ჩვენი შვილი დაიჭერიან, რამდენი ხანიც ხანი უნდოდათ ყვანდისთ და როცა მაიგუნებებიან, თავი დაანებებიან... ჩვენ კი ვიწვებოდით უწყალო ცეცხლით. ჩვენ ცოლებს ჩვენ თვალწინ ციან და ჩვენ დაგვიჭირიან და ჩვენ ცოლებთან გვციან.

ვინც ასეთ უკიდურეს შეურაცხყოფასა და დამცირებას ვერ იტანდა, იარაღს იღებდა ხელთ და ტყეში გაიჭრებოდა შურისმაძიებლად, თავს რომ იმართლებდნენ, სხვა გზა აღარ დაგვიტოვესო, ამასაც რა მდუღარებით იუწყებოდნენ:

აგერ იობ ნანობაშვილი:

— დედა ჩემი დაიჭირეს და ხალხში გაატიტვლეს და წკეპლაში გაატარეს, მრავალი მწუხარება შეამთხვიეს.

აგერ გლახა სივმონიშვილი:

— დედაჩემი ხალხში გააშიშვლეს, მწარედ ტანჯეს და წკეპლაში გაატარეს. ცოლი ჩემი, რომლისთანა ახალი ნაქორწინევი ვიყავ, წაიყვანეს და ყოველი უპატიურობა ამასთან აღასრულეს.

სოდომ-გომორის ცოდვანი კიდევ სხვანი.

მაინცდამაინც თიანეთს მომხდარი ეს საზარლობა რატომ შეიქნა ამბოხების საბაბი?

საფიქრებელია, რომ ამჯერადაც ის განმეორდა, რაც 1659 წელს, თუშებმა იარაღს რომ სტაცეს ხელი და ბახტრიონის ასაღებად დაიძრნენ სხვა თანამოძმეებთან ერთად.

მაშინაც ერთიერთმანეთზე მოხდებოდა ბევრგვარი ბოროტება და დანაშაული, მაგრამ ერთი შეურაცხყოფილი მღვდელი ქალივით რომ გამოეწყობოდა და დედაკაცებს შორის ჩამოჯდებოდა საქვეყნოდ, ეს შემთხვევა განსაკუთრებით იმოქმედებდა ხალხზე და თავს ველარ შეიკავებდნენ.

მანამდე ხმებად დადიოდა აკლება-დამცირების ამბები, ადამიანები ერთმანეთს შესჩიოდნენ, ჩუმად დრტვინავდნენ, ეგებ წუხილსაც არა კმარობდნენ და კიდეც იმუქრებოდნენ, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი კი ვერ გადაედგათ და ვერა.

და როდესაც მღვდელი იხილეს ასეთი სახით, როგორც სიმბოლო კახეთის შეურაცხყოფისა, და როგორც მხილება ხალხის ყრუ მორჩილების, ყოველგვარ დამცირებას რომ ეგუებოდა, ყველას თავმოყვარეობა ერთბაშად ყალყზე შედგა და მძაფრად შეიგრძნეს, რომ ნაძრახ სიცოცხლეს სჯობდა და ბევრადაც სჯობდა სახელოვანი სიკვდილი.

ის ქალიც, ეტყობა, საქვეყნოდ გამოიჭრა.

ყველას დასანახავად გამოჩნდა, როგორც სიმბოლო კახეთის შეურაცხყოფისა, და როგორც მხილება ხალხის ყრუ მორჩილების.

თავს იტყუებდნენ?

ჩუმჩუმად იმუქრებოდნენ?

ერთმანეთისათვის თვალის გასწორება შეეძლოთ?

აბა, ახლაც გაესწორებინათ თვალი, ახლაც ეკმარათ ჩუმი მუქარა, ახლაც ერთიმეორის შეგულიანება მიეჩნიათ ვალის მოხდად.

და ამჯერადაც ისევე შედგებოდა ყალყზე ეროვნული თავმოყვარეობა, როგორც მაშინ, ბახტრიონი რომ მოექცა მღელვარების შუაგულში.

ის, რისი ვარაუდი ისედაც შეიძლებოდა, მართლაც დოკუმენტურად დადასტურებული აღმოჩნდებოდა, თორემ აგერ თავად ბებუთაშვილის მონათხრობი სამხედრო ჟურნალის — „ვოენი სბორნიკ“ — ფურცლებზე (1867, 6-7):

თიანელნი ეკლესიის გალავანში რომ შეიკრიბებოდნენ და ბჭობას დაიწყებდნენ, რა ვიღონოთ, როგორ მოვიშოროთ თავიდან საეგზეკუციოდ მოსული სალდათებიო, უეცრად მოთათბირეთა წრეს გაარღვევდა სახე და გონებაამღვრეული დედაკაცი და შიგ შუა წრეში დაერჭებოდა. გახელებული მანდილოსანი მივარდებოდა ქმარს, მოგლეჯდა ქუდს, დაახურავდა თავის მანდილს და დაჰკივლებდა:

— დღეიდან შენ ცოლი და მე ქმარი; ნამუსი ამხადეს; მივდივარ, მსურს შური ვიძიო შენს მაგიერ.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე წაგლეჯდა ქმარს ხანჯალს და გაშმაგებული და ხანჯალამოწვდილი გაქანდებოდა იმ სახლისაკენ, სადაც დაბინავებულიყო საეგზეკუციო რაზმი.

ამ მონათხრობს ალექსანდრე ფრონელი დასძენს: ამჟამად საშუალება არა გვაქვს, რომ შევამოწმოთ, ეს ნამუსახდილი დედაკაცი ის მანდილოსანი ხომ არ არის, გალეშილმა ოფიცრობამ რომ აწამა ღვინისა და ძაბრის მეშვეობითო, — და ამვარი სიფრთხილე იქნებ ზედმეტიც არ იყოს ისტორიკოსისაგან, რომელიც ვალად რაცხს თავს, მარტოდენ ყოველმხრივ შემოწმებული და დადგენილი ფაქტები ამცნოს მკითხველს, მაგრამ ზოგად თანხვედრასთან ერთად ფსიქოლოგიური

სარჩულის გათვალისწინება ეჭვს არ უნდა გვიტოვებდეს, რომ წრეში შეჭრილი სახეარეული ქალი სწორედ ის მანდილოსანია, დავით ბატონიშვილის მატიანეც რომ გვაუწყებდა.

ბახტრიონის აჯანყების ამბავი განმეორებულა და ეგაა.

ამჯერადაც ისევე შედგებოდა ყალყზე ეროვნული თავმოყვარეობაო...

აგერ, ორმოცდაათამდე რუსი იქვე ჩაეკაფათ და ისე ამოზვირთებულიყო გულისწყრომა, ან ამოჟუჟავდნენ რუსის ჯარს და ან თვითონვე გაწყდებოდნენ ერთპირიანად.

დაფაცურდებოდა მარკიზ პაულუჩი, აქამდე საგანგებო უფლებებს რომ ითხოვდა იმპერატორისაგან, რათა პეტერბურგში მინისტრებთან კი არ შეეთანხმებინა ესა თუ ის საკითხი, არამედ პირადად გადაეწყვიტა; და ახლა განსაკუთრებულ კომისიას რომ დააარსებდა, სახელწოდებით „საქართველოში მომხდარი ამბოხების მიზეზთა გამოკვლევა“, ცალკე მიტროპოლიტ იოანე ბოდბელს მისწერდა ნერილს, ცალკე თავადაზნაურობის მარშალს თამაზ ორბელიანს, რათა წვრილად შეეტყო ამბოხებულთა გულისწყრომის მიზეზები და როგორმე მალევე ჩაექრო აჯანყების ხანძარი.

ყოველი ხელისუფალი ჯერ ისედაც მოწადინეა მღელვარების დროულად აღკვეთის, იმჟამად კი მარკიზს განსაკუთრებული სურვილი ჰქონდა იმპერატორის წინაშე პირნათლად წარსადგომად, ფიქრობდა, დღეს ისე დამიფასებენ, როგორც არასდროს, ნაპოლეონთან ომის გარდუვალობა ისეთი რეალურია, აღარავის ეეჭვება, და ასეთ დროს ზურგში ამბოხება ერთიათად საზარალო და შემაშფოთებელი იქნება იმპერიისთვისო.

მერე უკვე აყვირდებოდა, შეძრწუნებულიც და გაოგნებულიც: რევოლუცია ხდება, რევოლუციაო.

მისთვის რევოლუცია უფრო მეტი გახლდათ, ვიდრე აჯანყება, რომელსაც მარკიზის თვალში არ ემოსა რევოლუციისებრი შარავანდი, და თუ ჩვენთვის კახეთის მღელვარება იმიტომაა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, ეროვნული აჯანყება რომ ჰქვია, მარკიზისა და მისი გარემოცვისათვის მისი „რევოლუციურობა“ იქნებოდა ყველაზე არსებითი — მთავარი ძარღვიც და შინაარსიც.

ჯერ მაინც აჯანყება ეგონა და დაპირებებითა და ზოგიერთი სამოხელეო ცვლილებით ვარაუდობდა მის ჩანავლებას.

ამგვარ ცვლილებათა აუცილებლობაში კომისიაში თავმოყრილი მასალებიც დაარწმუნებდა და სულიერი მამისა და თავადაზნაურთა წინამძღოლის წერილებიც.

სწუხს და შფოთავს სული ჩემი ამ სიბერისა და მოხუცებულობის

ჟამს, არ ვიცი როგორ გავბედო და მოგახსენო ყველა ის ბოროტება, რომელიც საკუთარი თვალით ვიხილე ან გამიგონია სანდო და მართლმოყვარე კაცთაგანო, — დაუფარავად უზიარებდა თავის გულისწყრომასაც და მწუხარებასაც ბოდბელი მიტროპოლიტი, — უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხს, მიიყვანა სასონარკვეთილებამდე და აიძულა იარაღისათვის წამოევლო ხელიო.

იოანე ბოდბელი მარტოდენ კი არ კმარობდა თვალყურის დევნებას, არამედ როგორც სულიერ მოძღვარს შეჰფერის, ბევრჯერაც შეეტყობინებინა მათთვის, ვინც მოვალე გახლდათ სცოდნოდათ, თუ რა გასაჭირი დასდგომოდა ერს. ამასთან, მათ აფრთხილებდა კიდეც, უპატრონობა და უყურადღებობა ცუდ ნაყოფს გამოიღებს და სჯობს დროულად გამოასწოროთ ეს ყოველივეო.

ხალხს რომ ცეცხლი ეკიდა, მის ჩაქრობასა და განელებაზე ხომ უნდა ეზრუნათ ხელისუფალთ?

ის ცეცხლი გახლდათ, ახლა ასე რომ აგიზგიზებულიყო.

ჩემი ხალხის მიდგომით არ მომდისო, — ირწმუნებოდა ეპისკოპოსი და მტკიცედ აცხადებდა, რომ მიკერძოება და მიდგომა არ შეჰფეროდა მის ხარისხს.

— კაპიტან-ისპრავნიკები არხეინად ბრძანდებოდნენ, ხალხისთვის ზრუნვა-ფიქრით თავს არ იხეთქავდნენ, გულს არ იწყალებდნენ, და თუ ზრუნავდნენ, მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე. უსამართლო მსაჯულნი გაივსნენ და ჩაიქცნენ ქრთამებით. ჯერ არ გაგონილა, რომ აქაურ მოსამართლეს სამართალი ექნას და ვინმე მართალი დაეკმაყოფილებინოს.

თამაზ ორბელიანი კი ათ უმთავრეს მიზეზს ჩამოთვლიდა, ამბოხების გარდუვალობას რომ მოასწავებდა:

ორ წელიწადს ზედიზედ მოუსავლიანობა საქართველოში;

ჩაციება თუ ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვიზიდოთ ჯარის გამოსაკვებადო, მაშინ, როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარი ოჯახის დასარჩენი ხორბალი;

მთავრობის გაჭირვეულება, უსათუოდ ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთ კოდი პურიო, და ხალხი იძულებული შეიქნებოდა, რაკიღა ოჯახში არ მოეპოვებოდა, ბაზარში ეყიდა ხაზინისათვის კოდი 4-5 მანეთად. ფულის საშოვნელად მამულსა და ცოლ-შვილსაც აგირავებდნენ. და სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრობა გაიხსენებდა პურის ძველ, აუკრეფავ გადასახადსაც და შეუტევდა მკვიდრთ, ძველი და ახალი შეკრიბეთ და ჩაგვაბარეთო.

ამ მოუსავლიანობით გაჭირვებული ხალხის უზომო მოტყუება წონაში სასურსათო მოხელეთა მიერ;

იმავე მოხელეთა მიერ განზრახ კვირაობით გაჭიანურება პურის ჩაბარებისა, რათა ქრთამი დაეცინცლათ. ძალაუნებურად უნდა გეძლია ქრთამი, ოღონდაც პური მალე ჩაგებარებინა. ის კიდევ ცალკე, გაჭირვებული კაცი, მაღაზიასთან ტრიალით გაბეზრებული, თავს რომ ანებებდა ურემსა და ხარ-კამეჩს და შინ გარბოდა და ქირაც ეკარგებოდა;

ვერცხლმოყვარე სათემო მთავრობის მიერ მდაბიო ერის მეტისმეტი შევიწროება და შეწუხება;

ჯარის დაძვრასთან ერთად აუარებელი ბეგარის ურმის გაყოლა. არადა, უამრავი საქონელი განყდებოდა ბეგარაზე, თითქმის მეოცედიც ვერ დაბრუნდებოდა შინ უვნებელი, ძვირად ნაყიდი საქონლის დაკარგვას კი, რა გასაკვირია, სამუდამოდ გაეღატაკებინა გლეხკაცობა;

შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი არ შეეფერებოდა ერის ზნე-ხასიათს (თავადაზნაურობის მარშალი, მთავარმართებელი ძალიან არ გავანაწყენოო, ტაქტიკურ ხერხს მოიშველიებდა და ქართველ ერს „ხეპრედ და გაუთლელად“ მოიხსენიებდა, ვითომდა მართვის იმ სიმაღლემდე რომ ვერ მიეღწია. ასეა თუ ისე, მიახვედრებდა: მართვა-გამგეობის ახალი სისტემა და ხალხი სრულიად დაშორებია ერთმანეთსო). და კიდევ ის, რომ ამ შეუფერებელ დაწესებულებას გენერალ ტორმასოვის დროიდან საგრძნობლად შეჰპარვოდა ბოროტმოქმედება, რაც უფრო ამწვავებდა საქმეს. თამაზ ორბელიანმა იცის, რომ ტორმასოვის დაძრახვით, ყველაფრის უმთავრესად მასზე გადაბრალებით ყველაზე ძალიან ასიამოვნებს მარკიზ პაულუჩს;

ხალხის დრტვინვა, ამხელა ხარჯი და ბეგარა ჩვეულებრივი ღალა-კულუხის გარდა არცერთი წინანდელი მთავრობის დროს არ ყოფილაო. და მთავრობის სრული შეუსმენლობა, როდესაც ხალხი გაიძახოდა: წელში გავწყდით, მეტის ატანა აღარ შეგვიძლიაო;

ძლიერი სამხედრო ეგზეკუცია, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდა კავკასიის ერის ზნე-ხასიათსა და ჩვეულება-ადათს.

ჩამონათვალის შემდეგ კიდევ ერთხელ მისდგებოდა ტორმასოვს, მრავალჯერ მოახსენეს მკვიდრთა უზომო შეწუხება, მაგრამ ყურად არ იღო, თავადაზნაურობას პატივს არა სცემდა და ყურადღებას არ აქცევდა, რაღაც მიუკარებელი ადამიანი იყო, ზიზღით ეპყრობოდა ჩვენს ყოველგვარ რჩევასა და ხალხის საჭიროებასო.

აჯანყებულებზე გულმოსული მარკიზი არავითარ ანგარიშს არ გაუწევდა თავადაზნაურობის მარშლის თანამდებობას და თამაზ ორბელიანს კარცერში უკრავდა თავს იმის მომიზეზებით: ხალხის მღელვარება დროულად რატომ არ მაცნობე და აქამდე რატომ მიიყვანე საქმეო. თან მერე მოქარგულ წერილსაც მისწერდა, ვითომდა ბოდიშისა და სინანულის, სახემწიფოებრივმა ინტერესებმა მაიძულა ასე მოქმედება, თქვენი დასჯით სხვა მარშლებსაც მაგალითი ვუჩვენე, რათა მოვალეობა ყველამ რიგიანად აასრულოთო.

ალექსანდრე ფრონელი მარკიზ პაულუჩის ასეთ საქციელს, ისევე, როგორც კონსტანტინე მუხრან-ბატონთან ორგემაგე თამაშს, ჯერ რომ დატუქსავდა და შემდეგ ფიანდაზად გაეგებოდა, საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა მისი პიროვნული ფსიქოლოგიის წარმოსაჩენადაც და იმ განზოგადებისთვისაც, თუ რა ნეტარების ბურანში ამყოფებს ადამიანს უზომო ძალაუფლების შეგრძნება, განსაკუთრებით „ტუზემცების“ დაჩაგვრისას.

ცას შესტოლებოდა პაულუჩი საკუთარ თვალში, აქეთ ეს სამხრეთ საზღვარი ემორჩილებოდა მის მბრძანებლობას, იქით პეტერბურგი ემადლიერებოდა, რომ მის სიმხნეევესა და თავდაუზოგავ მოქმედებას მოეტანა ბედნიერება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის და სიმშვიდე იმპერიისათვის იმ მხარეში, რომელიც ყველაზე შფოთიანად აღიარებულიყო.

ამ ამბოხსაც მოუვლიდა, შეურაცხყოფილი კი გახლდათ, ეს როგორ გამიბედესო, მაგრამ ამ წინააღმდეგობას ტორმასოვის ხანისაგან მომდინარედ მიიჩნევდა და თავს ამით ინუგეშებდა, პატიებით არავის არაფერს აპატიებდა, მაგრამ ჯიქურ მისვლა არა ღირდა, თანდათან გაუსწორდებოდა, მიზეზს ვერ უკრეფდა თუ რა, თამაზ ორბელიანისა არ იყოს, ერთგულ კაცს რომ ასე ექცეოდა, ორგულად შერაცხილს რაღას უზამდა.

ოხ, ეს ალექსანდრე ბატონიშვილი გამაბაწრინაო, — სხვა სანატრელი აღარაფერი ჰქონდა.

მაინც როდემდე უნდა ჰყოლოდა ყელში გაჩხერილი ამხელა იმპერიას!..

ისეთს კი ვეღარაფერს მოიმოქმედებდა, წასული იყო მისი დრო, ამაო რკენამ ალბათ ჭკუა ასწავლა, ჩაჯდებოდა ირანის პროვინციაში და კეთილდღეობაში გალევდა წუთისოფელს, კი ჰქონდა უკვე იმხელა დამსახურება ამ სახელმწიფოს წინაშე, პატივისცემა არ მოეკლოთ.

მაინც ეცდებოდა, რაღაც გაეფაფხურა?!.

მთლად დაწყნარებულიც არა ჩანდა და ამიტომაც მისი გაბაწვრა სამუდამოდ გადაწყვეტდა წინააღმდეგობის მოძრაობის ბედს.

არა, ვითომ ახლა შორიდან ცქერას იმყოფინებდა?!.

თებერვალში ალექსანდრეს კახელ თავადთა 40-კაციანი დელეგაცია ეახლებოდა და:

— აღუთქვეს პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თვისსა ზედა.

ბატონიშვილი მაშინვე შაჰს მიმართავდა ჯარისათვის.

შეპირებას არ დაიშურებდა ირანის მბრძანებელი.

და კიდევ ერთხელ მოეფინებოდა ჩვენს მიწა-წყალს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებანი, კახელებს კახელებად, და თუშებს, ფშავლებს, ხევსურებს, მთიულებს, გუდამაყრელებს, მოხევეებსაც არ დატოვებდა უყურადღებოდ, რათა ქებით შეექო მათი ერთგულებაც, მამულისათვის გარჯაც და მხნეობაც და კიდევ უფრო მეტი თავგანწირვისა და შეურიგებელი ბრძოლისათვის შეეგულიანებინა.

ჩვეული მჭევრმეტყველებით გადადიოდა ფურცელზე მისი აღტკინება მოსალოდნელი ცვლილებით.

1812 წლის 16 მაისის წერილი ჩერქეზიშვილების, საგარეჯოს მოხელეთა და ხალხისადმი იმდენ განცდას იტევდა, ბარემ ფურცლების დასტაც არ ეყოფოდა, მაგრამ მოწოდებათა ლაკონიურ სტილს ყოველივე დაწნეხილ ფორმაში უნდა ჩაეტია, და ალექსანდრე ამჯერადაც ყველაფერს ამოთქვამდა, რაც გულს უდუღებდა და უმდუღარებდა.

— თქვენმან ეგეთმან სახელგანთქმულმან და ნამუსიანმან სიმხნემან ოთხივე მხარეს: აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს მიაღწია და ყოველნი ერნისა ხალხნი თქვენის ძლევისა და ქების გვირგვინისა შემთხზველნი არიან. დღეს იდიდა საქართველოს შინა მცხოვრებელნი და დღეს დაგვირგვინდა დიდების გვირგვინებითა. რა ქება მოგიძღვნათ, ანუ რა წყალობა აღგითქვათ, რომელნიც უმაღლესი ღირებულებისადა პატივის ღირსნი ხართ.

ესოდენი დითირამბი რას გამოეწვია?

— ესრეთ დაცემული სამეფოს აღმმართველნი და მეფის ირაკლის შვილების მომძიებელნი და ამით თქვენზედა მამაშვილურის პატივის ცემისა არაუგულებელს მყოფელნი.

და პოეტური გზნებით ამოსკდებოდა:

— აფერუმ თქვენს გულისხმიერებასა, ბარაქალა თქვენს კეთილგამორჩევასა და შაბაშ თქვენს ეგეთ სიმხნესა და მამაცობასა!

გული გახვეულიყო ალექსანდრე ბატონიშვილისა ყოველ სტრიქონში, და თრთოდა და მღელვარებდა ეს გული იმ იშვიათი სიწრფოე-

ბისაგან, ბაგრატიონთ რომ მოსდგამდათ და ახლა ამ მებრძოლში გადმოსულიყო, მზეს რომ შეაჩერდებოდა ხოლმე მომლოდინე მზერით, რახან გამოგიგზავნივარ სულიერი ღვაწლის აღსასრულებლად, შეწევნას ნუ მომაკლებ, ნუ მიმატოვებ, თორემ ისეთი დროება დასადგურებულა, წინააღმდეგობა მეტისმეტად გაძნელებულაო.

— რა ვყო, თუ გხადით შვილად. მამაზედ უმეტეს გამოაჩინეთ მოწყალებიანი მომგონებლობა და თუ გიწოდოთ ძმად არავინ ძმათაგანმან უყო ძმას ესე ვითარნი კეთილნი, გარნა თვალნო, რომელ გონება თვალისაგან ნათობს და მეფის ირაკლის ოჯახის ფრთენო ჭეშმარიტად, თუმცა ჩვენ შვილნი გახლდით სანატრელს მეფეს, მაგრამ უმეტესი მამობრივი მოწყალება და სიყვარული თქვენთვის არ მოუკლია; ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივისცემით იზრდებოდით ჩვენს სამეფო პალატში და განსვენებული მეფეც თქვენთვის ზრუნვისგან არ განისვენებდა.

ეს გახლდათ მოვალეობა მეფისა თვისტომთა წინაშე, აღსრულებული იმ თავდადებული გარჯითა და სიყვარულით, მეფე ერეკლეს ლეგენდებისაკენ რომ გაუკვალავდა გზას; და ახლა ერს დასდგომოდა მოვალეობის აღსრულების ჟამი მეფის ხსოვნისა და ბაგრატიონთა საგვარეულოს წინაშე, რათა ხელახლა აღეზევებინათ ის წინამძღოლი, ურომლისოდაც ქვეყანა მოკლებულიყო სასიცოცხლო ენერგიას, და რაც შენარჩუნებულიყო, თვალდათვალ იწრიტებოდა.

— აწე ძმანო თქვენ უკეთესი და უმეტესი მაგიერი აღასრულეთ რომელ იმის დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და უცხო თვალთაგან თქვენ სვეტნი ძლიერებისა შეიქმენით და მიზეზნი ჩვენის სამეფო სახლის აღდგინებისა. მზეებრ თქვენი სახელი ყოველსა ქვეყანასა ზედა მოჰფინეთ და განსვენებული, თქვენ მიერ საყვარელი მეფეც ადიდეთ და იმის შვილებსაც თავისუფლებისა და გიხაროდენის ხმასა გვცემთ. დასაბამითგან ეგ ბატონყმობის სიყვარული არავინ ქმნა, ვითაც თქვენ. ამისათვის ყოველთაგან ქებულნო პატივით და სასურველად საყვარელნო და მეფის ირაკლის მადლითნო პირმშონო შვილნო და ჩვენო უსაყვარლესნო ძმანო, თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვზივარ და პირისპირ შემოგფრფენთ და გეხმაურებით.

ლექსების წერა რად უნდოდა ალექსანდრე ბატონიშვილს, ისედაც პოეტი გახლდათ, და არა მხოლოდ სტილური სინატიფითა და დახვეწილობით, ცხადია; იმ ყოვლისმომცველი სიყვარულის განცდითაც, თითქოს ყოველი პატრიოტის სულში ჩასახლებულიყოს და ისე შეფრფენდეთ. ჰეროიზმის ჟინით მსჭვალავდა ყველას და ეს რომ იცოდა და

ზედმიწევნითაც იცოდა, ამიტომაც გამოთქვამდა ამ რწმენას ასეთი დაბეჯითებით.

აბას -მირზა მოემართებოდა დიდი ჯარითა და ხაზინით, გოგჩასა და ყაზახის მთაზე აპირებდნენ მოსვლას თორმეტი ათასი ქვეითი სარბაზით და ზარბაზნით და ოცდაათი ათასი სხვა მეომრით.

ოსმალთა მხრიდან სარასკირიც დაძრულიყო სამოცდაათი ათასი კაცითა და დიდი თადარიგით და თოფხანით, ნახევარ ჯარს უკვე ახალციხის მამულში შემოეღწია, ქვემოდან კიდევ აბას-მირზას განჯისაკენ უნდა გაეგზავნა ოცდაათი ათასი კაცი, გუმბრისაკენ სხვა სარდალი უნდა გაესტუმრებინა, მაგრამ სწრაფი წინსვლა კი არ განზრახულიყო, რადგანაც:

— თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ. როგორც მაინდამ თქვენი ამბავი მოგვივა, ისე საჩქაროდ გამოვწევთ, რაგვარადაც თქვენ შემოგვითვლით და მოგვწერთ. ღვთით მაგათში შეძლება აღარა არის რა. საჩქაროდ ამისი პასუხი გვაცოდინეთ. სხვას აქაურის თადარიგისა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი გიამბობსთ და რაც ამათ მოგახსენონ, ჩვენი სიტყვა არის და თქვენც ისე მოიქეცით და ღვთის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანად წარიმართება.

აბას-მირზას წერილის მიწოდებაც მოეხერხებინა თიანელებისადმი და ამათაც დანარჩენი იქ ნაეკითხათ.

იმავე დღეს შედგენილ კიდევ სხვა წერილშიც თიანელებსაც ძმებივით მოიკითხავდა, სიმხნესა და ვაჟკაცობას შეუქებდა და მეფის ოჯახის წინაშე თავდადებასაც დაუფასებდა ამ ერთგულ და უნჯ ყმათ, რომელთაც — თუ ღმერთი კეთილი თვალით გადმოხედავდა ალექსანდრეს — გამარჯვებასა და დიდებაში თავიანთი წილი დაედებოდათ, ახლა კი სწორედ შემწეობის დრო გახლდათ, ჟამი სამსახურისა და წყალობის მიღებისა.

უპირველესი სათხოვარი მათთვისაც ის ჰქონდა, რაც გუდამაყრელთა, ხევსურთა და მოხევეებისათვის უკვე მიეწერა, რომ: ხევს უნდა გადასულიყვნენ და რუსთა მოსასვლელი გზა ნაეხდინათ, რათა დამხმარე ჯარს ვეღარ შემოეღწია, აქ ჩამდგარი ჯარის ნაწილებისა კი დაე ალექსანდრეს სცოდნოდა...

ნეტა იმათ რა ბედი ეწეოდათ, რუსთა სამსახურში ვინც ჩამდგარიყვნენ, მაგრამ ფარულად თავიანთი ქვეყნისათვის უკვნესდათ გული და, ახლა საბრძოლო ყიჟინა რომ აღანთებდათ, იქნებ აჯანყებულთა მხარეს გადმოსვლა ვერც გაებედათ, ვაითუ ის უნებური ცოდვები გაგვიხსენონ, რუსთა სამსახურში დგომამ რომ ჩაგვადენინაო.

— ვინც მაინთ მხარეს ჩვენი მუხანათი არის და ახლა თქვენთან მოვა და გაირჯება იმას თქვენ არწმუნეთ, რომ ჩვენგან არა გარდახდეს რა და თქვენ იმისნი თავდებნი იყავით ერთიანად თემნი...

როგორც ლომურად ყოფილხართ, ისე ლომურად გაისარჯენითო, — ყალყზე იდგა წერილი და ყალყზე დგებოდა მინავლებული რაინდული სული, მაგრამ დაუშრეტელი და პირველ ყოვლისა იმ მღელვარების შუაგულში მოქცეული, ლაშარისა და გუდანის ჯვართა მოძმის — ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის — მტრის სისხლის უხვ ღვარად დენა რომ ევალებოდათ და განა თავსღა დაიზოგავდნენ, როდესაც რელიგიური რწმენა ხელშესახებ კონტურებს იძენდა თვალდათვალ და მითოსი კიდევ ერთხელ უდასტურებდათ თავის ძალმოსილებას, ყოფითობაში ისევე რომ თვალსაჩინოვდებოდა, როგორც წარმოსახვაში.

ლაშარისა და გუდანის ჯვრის მოძმის — ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისო...

მოწევნილიყო ჟამი ხმლისათვის ხელის კიდევ ერთი გაელებისა და ეგებ რვა წლის წინანდელი გაბრძოლება ისე ამოგზნებულიყო, ვეღარ დაეოკებინა მეგობრისა და მფარველის ნიღბით შემოსულ ყველაზე საშიშ მტერს, თორემ საბედისწერო ხდებოდა მათი პარპაში და თანდათანობითი აღხოცვა ყოველივესი, რაც ქართველობას საკუთარ სახეს სძენდა და გამოარჩევდა საკაცობრიო ოჯახში როგორც ერთ აუცილებელ ნაწილს ადამიანური არსებობისა: მომხიბლავსა და თავისებურს, დიდებულსა და ამაღლებულს, აწ კი მოქცეულს იმ მძაფრ ჭიდილში, იმპერიისაგან რომ უნდა გამოიტაცოს ეროვნულ ადათწესთა და კულტურის თავისთავადობა.

და ჰა, თითქოს ლაშარისა და გუდანის ჯვრები გამოცხადებულიყვნენ ბაგრატიონთა ამ ნაშიერის სახით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითმყოფადობა რომ გაეხადა უზენაეს სულიერ ღირებულებად და თავისუფლების ძიება — სიცოცხლის აზრად და მიზნად.

— სანატრელი მამა ჩვენი მეფე ირაკლი ამისთვის გდებდათ დიდ პატივს და თავის შვილებში არ გარჩევდათ, რომ ამისთანას დროში იმის შვილებს გამოგვდგომოდით. თქვენი ჩვენს ოჯახზედ მრავალრიგად სახელოვნად გარჯილი ძველი ხმალი მოიგონეთ და რჯულის და თქვენი საყვარელის მეფის ირაკლის შვილებისათვის თქვენს ნამუსიან სახელს და თავს ნუ დაზოგავთ. საუკუნოდ თქვენი გულოვნებაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახი და სახელიც ადიდეთ, რომ ყოველს ცის ქვეშეთ კაცმა თქვან მეფეს ერეკლეს ამისთანა ერთგულნი

ყმანი დაუგდია თავის შვილებისათვისო. თქვენ ამ ხმით იდიდნეთ და განსვენებულს მეფესაც საფლავში პატივი ეცეს და რაღა მოგახსენოთ მამანო და ძმანო და შვილნო, ეს არის სიმხნისა და გამოჩინების ჟამი და ჩვენის სამსახურისა. და ახლა თქვენ იცით და თქვენმან მრავალგვარად სახელიანმან ხმალმან.

და იმასვე აუწყებდა თიანელთაც, რასაც საგარეჯოელებს: ირანელთაგან აბას-მირზა ჯარითა და ხაზინით გოგჩაზე და ყაზახის მთაზეო... ოსმალთაგან — სარასკირი ახალციხის მამულშიო... განჯის მხარეო... გუმბრიო... და ამათაც იმავეს დაუბეჯითებდა, ჯერ რომ მათი ამბის მაყურებელნი იყვნენ.

რაღაც მთლად ისე ვეღარ ეწყობოდა საქმე ირანსა თუ ოსმალეთში, ალექსანდრეს როგორც ეიმედებოდა, დაპირებებით უფრო ავსებდნენ, ვიდრე რეალურად ამოდგომოდნენ გვერდით. დრო გადიოდა, ბატონიშვილს ყოველი დღე საუკუნედ ეჩვენებოდა, მაგრამ დაპირებებს ფუჭად მაინც არ მიიჩნევდა, გული არ უტყდებოდა, ვაითუ იმედებით გამომკვებონ და სახსარი კი არაფერი გამიჩინონო. რაკიღა აქამდე არ ეცრუებოდნენ, ახლა რაღა ღმერთი გაუწყრებოდათ, მითუმეტეს, ისინი თავის მხრივაც ძალიან მოწადინებულიყვნენ რუსის ჯარის გადარეკვას კავკასიის მთებს იქით, და თუ თადარიგი შესაფერისი ჯერ ვერ დაეჭირათ, განა როდემდე გაჭიანურდებოდა მათი გადმოჭრა აჯანყების ხანძარში, საიდანაც კიდევ ერთი დელეგაცია ამოჰყოფდა თავს ალექსანდრეს კარზე და ოდნავ, მაგრამ მაიც შეფიქრიანებულსა და გაბეზრებულს გაგრძელებული მოლოდინით კვლავ ჩაუსახავდა იმ დაუოკებელ აღფრთოვანებას, მფრინავი რაშის მოლანდებას რომ იწვევდა ყველა იმ ადამიანში, თავისუფლების წყურვილი ვისაც აწვალებდა.

მფრინავ ცხენს მივცემ მე მაგასო, — გულში მჯიღს იცემდა მარკიზ პაულუჩი, ეზმანებოდა გათოკილი და პეტერბურგს წარგზავნილი ალექსანდრე ბატონიშვილი, და მიუხედავად თავგადაკლული მცდელობისა, როგორმე მოეგდო ხელთ, იმის მფრინავი რაში კვლავ და კვლავ მიუკარებელი რჩებოდა, და გულს იმით მოიოხებდა მთავარმართებელი და იმპერატორის დაწყნარებასაც ამითვე შეეცდებოდა:

არა ღირს ბატონიშვილის დასაჭერად განსაკუთრებული ღონისძიების მიღება, თავისთავად რა ფასი აქვს ბატონიშვილს, ჩვენ თუ არ გავაზვიადებთ მის ძალა-მნიშვნელობასო.

ეს ხერხი მაშინ დასჭირდებოდა, როდესაც პეტერბურგიდან აცნობებდნენ, ჩვენთან ორი ქართველი თავადიშვილი იმყოფება, ანდრო-

ნიკაშვილი და ერისთავი და გვპირდებიან, რომ სპარსეთიდან ბატონიშვილ ალექსანდრეს გამოიყვანენ, და აბა, შენ იცი, რარიგ დაეხმარები, რათა ეს დაპირება პირნათლად აღსრულდესო.

მტკივნეულ ადგილას აჭერდნენ ფეხს გადიდგულებულ მთავარმართებელს, ცა ქუდად რომ აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, და ახლა კი შეახსენებდნენ, ისე მარჯვედ და ენერგიულადაც ვერ იქცევი, როგორც წარმოგიდგენიაო, და ვიღაც თავადიშვილებს სჩრიდნენ სახეში, თითქოსდა იმათ შეეძლოთ ის, რაც მარკიზს ვერ მოეხერხებინა. არადა, განა რა ისეთი მოსახერხებელი ეს იყო, თუკი მოინდომებდა... არ მოენდომებინა და იმიტომაც არ მოენდომებინა, რომ ბატონიშვილს თავისთავად არავითარი ფასი არა ჰქონდა, ერთი რაღაც უტვინო კაცი გახლდათ. რაკი საწადელი ვერ აღესრულებინა ანუ მეფობა ვერ დაებრუნებინა, მნიშვნელობაც დაეკარგებოდა. ხოლო რადგანაც ამხელა იმპერია დიდად ცდილობდა მის დაჭერას ანუ ეხვეწებოდა, ოღონდაც დაბრუნდი და წყალობას არ მოგაკლებთო, ალექსანდრესაც და მის თანამოაზრეთაც დაეჯერებინათ, თითქოს იგი დიდად საჭირო ყოფილიყოს რუსეთისათვის.

და ამგვარი განწყობილების გაჩენა შეცდომად რომ შეერაცხა მარკიზს, ამიტომაც დადგომოდა სულ სხვა გზას და ქართველებს გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა: სახელგანთქმულ რუსის მხედრობას არაფრისა ეშინია და ჩვენთვის სულერთია, სადაც ენებოთ, იქ ბრძანდებოდნენ მეფე სოლომონი და ბატონიშვილი ალექსანდრე.

გულს იკეთებდა და... კვლავაც გაბაწრული ალექსადრე ესახებოდა ოცნების სურათებში.

ჯერ იქაც მიწვდებოდა, ძალიან თუ მოინდომებდა, თორემ აქ შემოსვლას თუ შემობედავდა, მაშინ ხომ ერთ-ორ დღესაც არ დააცლიდნენ, ისე მიჰგვრიდნენ მთავარმართებელს.

აი, მაშინ კი ატეხდა ზარზეიმს და ყველაზე დიდ წარმატებადაც მიითვლიდა: რუსეთს ნაპოლეონ ბონაპარტეს შემდგომ ყველაზე საშიში მტერი ჩამოვაცილეო.

ის იქიდან მოილტვოდა მოსკოვის ასაღებად.

ეს აქედან უტრიალებდა ტფილისის დაბრუნებას.

იმას ზურგს ევროპის ამაზანზარებელი არმია უმაგრებდა.

ამას — მარტოდენ მეამბოხენი, კავკასიონის ქედს იქიდანაც რომ შემოაშველებდნენ ხელს, თორემ ირან-ოსმალეთის იმედი თანდათან სულ ჩაიბუტებოდა და ალექსანდრე მცირე, ასკაციანი ამალით — ქართველითა თუ თათარით — თუ მოევლინებოდა აჯანყებულთ —

მფრინავ რაშზე ამხედრებული, თორემ ისე როგორ უნდა გაებედა აქ შემოსვლა.

უკვე ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა და ივნისში კახელ თავადაზნაურობასა და ხალხს კიდევ ერთხელ რომ გამოუგზავნიდა წერილს, მტკიცედ განუცხადებდათ, სულ მალე მანდ მიგულეთო.

მტლედ დავედებით ჩვენს მამულსო, — ასეთი გახლდათ კახეთიდან შემონათვალი და ალექსანდრე აქედან აღუთქვამდათ: ჩემს სისხლსაც თქვენს სისხლში გავრევო.

იქ ჩაუსვლელობა ვერც წარმოედგინა და, თუკი კიდევ მოიძებნებოდა სკეპტიკოსი, ვისაც ეეჭვებოდა ალექსანდრეს გამოჩენა შუაგულ ბრძოლაში, იმის გასაგონად განაცხადებდა:

ერთ კვირას თქვენთან სიცოცხლე ათას წელიწადს სხვაგან ცხოვრებას მირჩევნიაო.

რაკიღა კახელობა სისხლში გარეულიყო და ამდენი რუსი გაეწყვიტა, ეს ნიშნავდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ გააჩნდათ. ეს იმათაც მოეხსენებოდათ, მაგრამ ვაითუ წამოგებოდნენ რუს ხელისუფალთა დაპირებებს, ოღონდაც იარაღი დაუშვით და ყველას გეპატიებათ დანაშაულიო.

დროებით მართლაც გაუყუჩდებოდნენ, ვითომდა სიტყვის შესრულება ყველაზე ძალიან უღირდათ, მაგრამ შერჩენით არაფრისდიდებით არ შეარჩენდნენ და შესაფერის ჟამს დაიგულებდნენ თუ არა, მწარედ აზღვევინებდნენ.

თუ ვინმე კიდევ ვერ ითვალისწინებდა რუსთა გაუტანლობის უკიდურესობას და იმედს მოებღაუჭებოდა, ქვეყნიერების წინაშე მაინც მოერიდებიან აღთქმა-ფიცის გატეხასო, ალექსანდრე თავისი ოჯახის მწარე ხვედრს შეახსენებდათ, ამის ჩამდენნი განა ოდესმე რაიმეს ითაკილებენო?!

— ჩვენ რომ არა დაგვეშავებინა-რა და შემწეობის მაგიერ ასე დაგვამხეს, თქუენ რომ ეგრე სისხლში მორეული ხართ, ხომ კარგად იცით, არც გიცოდებენ და არც შეგარჩენენ... მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი ერთი მიეგებათ ყოველთათვის — ციბირი.

რაოდენ ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებაა.

რუსული ფსიქიკის, იმპერიულ მისწრაფებათა სულის გამხსნელი — განურჩევლობა, განუკითხაობა, როგორც ამ ლტოლვის მთავარი საყრდენი და იმპერიული სახელმწიფოს შემანარჩუნებელი.

მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი ერთი მიეგებათ ყოველთათვისო...

მოიმარჯვე ეს დაკვირვება და შეუყევი რუსული ხასიათის კვლევას მათსავე მწერლებზე, ფილოსოფოსებსა და პოლიტიკოსებზე დაყრდნობით, ზოგი დაუფარავი სწრაფვით და ზოგიც უნებურად რომ წარმოაჩენდა ბევრგვარ მანკიერ თვისებას, მსოფლიო ბატონობის ჟინით შობილსა თუ გამკვეთრებულს.

რუსებს არ დაენდოთ და არაო, — კიდეც არწმუნებდათ, კიდეც შეაგონებდათ და კიდეც ეხვეწებოდათ ბატონიშვილი.

მთავარია ის სიმხნევე შეენარჩუნებინათ, აქამდე რითაც დაამახსოვრეს და მწარედაც დაამახსოვრეს თავი რუსის მხედრობას, და ალექსანდრეს მალე მისვლის იმედიც ჰქონოდათ.

მთავარმართებელი რტიშჩევი ყარაბაღში იდგა თავისი ჯარით და აბას-მირზასთან შერიგების პირობებზე ჰქონდა გამართული მოლაპარაკება. გამოიტყუეს და ეგაა — ირანელებთან ამის თაობაზე საგანგებოდ შეთანხმებულიყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რათა მოლაპარაკების პროცესში ჯარის ის ნაწილი იქ დაებანდებინათ. ამასობაში კი ერევნის სარდალს ჰუსეინ-ყული-ხანს ყაზახისაკენ უნდა დაეძრა ჯარი, რათა ბორჩალოსა და სომხეთში მდგომ რუსის მხედრობას ველარ მოეცალა კახეთში ჩამდგარი სამხედრო ნაწილების მისაშველებლად.

გენერალი რტიშჩევი ყარაბაღისაკენ ისე როგორ წავიდოდა, საქართველოს საზღვარზე მდგარი ჯარის უფროსებისა და ყაზახისა და შამშადილის მოურავებისათვის სასტიკი ბრძანება არ დაეგზავნა: ფრთხილად და თვალყური კარგად გეჭიროთ, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე არ შემოგეპაროთო.

ჩვენთვის სულერთია, სადაც ენებოს, იქ ბრძანდებოდესო...

ეგონათ, დავამცირებთ და გმირის შარავანდსაც გამოვაცლით ასეთი შეურაცხმყოფელი მოპყრობითო, მაგრამ რაკიღა მთელს კავკასიაშიც და ახლო აღმოსავლეთშიც ყველას ჩინებულად მოეხსენებოდა ლეგენდამდე და მითოსამდე მისი ამაღლება, ნეტა ვიღას გაცუცურაკებას ესწრაფოდნენ!..

თავიანთი ნატყუარისა თვითონვე რომ არა სჯეროდათ, აჰა, იმიტომაც გაფაციცებულიყვნენ და მთავარმართებელი მკაცრ ბრძანებასაც არ იკმარებდა, შამშადილის მოურავს ამასაც დაავალებდა: დისტანციის მცხოვრებთ დაპირებოდა 2 000 ბაჯაღლო ოქროს, ვინც ალექსანდრეს („ამ საზოგადო მყუდროების დამამრღვეველს“) ცოცხალს მიჰგვრიდა.

და ალექსანდრე ფრონელმა როგორ არ გამოთქვას აღტაცება იმ ზნეობრივი სულით, ამ გარემოში რომ სუფევდა, და კიდევ: ალექსან-

დრეს რაღაც უჩვეულო გავლენითა და შარავანდით, ზეცასას რომ შესტოლებოდა:

— დისტანციის მცხოვრებთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ორმა ათასმა (2 000 მ.) ბაჯაღლო ოქრომ ვერავინ მოხიბლა და შამშადილელ თათართა შორის არ აღმოჩნდა მუხანათი და აღმასრულებელი მზაკვრულის ბრძანებისა.

კახეთი ისე გატვრენილიყო გმირის გამოჩენის მოლოდინში, ხელისუფალნი აღტაცებით ცას დაეწივნენ, წინააღმდეგობის ყველა კერა ისე ჩაქრა, არამცთუ უახლოეს ხანში, საერთოდაც აღარაფრის შიში აღარ უნდა გვქონდესო.

ერევნის სარდალს ვერა და ვეღარ დაეწყო მოქმედება.

ირანის ხელისუფლებას მაინც რუსეთთან მორიგება ერჩივნა და ჯერ ამ გზას ცდიდა. დაპირებით კი კვლავაც პირდებოდა შეწევნას ალექსანდრეს, მაგრამ ამასაც როდემდე ელოდა, თანაც დროის გაჭიანურებას ვაითუ ქართველთა მგზნებარება ჩაენავლებინა და ბატონიშვილი ამიტომაც გადაწყვეტდა მცირე ამალით გადმოსვლას თავისი სამკვიდროს საზღვრებზე.

საერთაშორისო ვითარებაც აქეთ უბიძგებდა და ეწეოდა.

ნაპოლეონი ზვავივით დასტეხოდა თავს რუსეთს, შემოენგრია, უკან-უკან მოერეკებოდა და აგერ სულაც მოსკოვს დაპატრონებოდა, კაბინეტი უკვე მოეწყო, კრემლში, ან გადამწვარი დედაქალაქის ციტადელში.

და ალექსანდრე ბატონიშვილისაც რატომღა უნდა დაეხანებინა.

თუ მეფე სოლომონი ამაოდ უგზავნიდა წერილებს საფრანგეთის იმპერატორს და სთხოვდა შემწეობას, და თვითონ ალექსანდრემაც ვერაფერს მიაღწია ფრანგ ელჩთან მოლაპარაკებით, ნაპოლეონი უნებურად მაინც აღმოჩნდებოდა მისი მოკავშირე და გზასაც გაუკაფავდა აჯანყების შუაგულისაკენ.

ყაზახის მოურავი იოსებ ბებუთაშვილი ჯაშუშებისაგან შეიტყობდა თუ არა ალექსანდრეს მოსალოდნელ მარშრუტს, სასწრაფოდ აცნობებდა მთავარმართებელს: ბატონიშვილი 25 აგვისტოს გამოვიდა ერევნიდან, ყაზახში გამოვლას ეპირებოდა, მაგრამ არ გაუვიდაო.

სამაგიეროდ, გადმოივლიდა ბოლნისსა და ქვეშზე, ან შევიდოდა ქართლში ბორჯომის ხეობით, ანდა ხოვლეს გზით.

მთავარმართებლის მოვალეობა იმხანად დიმიტრი ორბელიანს ჩაბარებოდა, გენერალ-ლეიტენანტის ჩინითაც დაეჯილდოებინათ წარმატებული სამხედრო ექსპედიციისათვის კახეთში და აგერ რაოდენ

საპასუხისმგებლო პოსტიც მიენდოთ, და ისიც კიდევ უფრო უმატებდა ერთგულებასაც და სამსახურსაც, რომლის მწვერვალიც უსათუოდ იქნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობა,და ისედაც გაძლიერებული მეთვალყურეობა საზღვარზე უფროც გაფაციცდებოდა. უშუალო რაზმების გარდა მუდმივად მოქმედებდნენ კაზაკთა რაზმები და პირადად ორბელიანის გუნდი — 20 გრენადერი და 25 კაზაკი რომ შეადგენდა. ყველას რომ გამოპარვოდა ალექსანდრე, ამათ მაინც უნდა ჩავარდნოდათ ხელთ.

თავისას წუხდა მთავარმართებელი რტიშჩევი: სულ ამ ირანისა და ინგლისის დიპლომატიური სამსახურების ბრალია, ძალიან ჩამითრიეს მოლაპარაკებაში და ვეღარ მივადევნე თვალყური ბატონიშვილის მოძრაობასო.

თავისას წუხდა დროებითი მთავარმართებელი დიმიტრი ორბელიანი: რაც შემეძლო, ყველაფერი შევკარი ყარაულებით და როგორ გასხლტა მტკვარში მცხეთის ზემოთ და თიანეთში როგორ ამასწრო, აღარ ვიცი რა ვიფიქროო.

მაინც დავიჭერო, — თავსაც იწმუნებდა და რტიშჩევსაც არწმუნებდა და... ეს ფიქრიც არ ეშვებოდა, როგორ აგვიბნია თავგზა და გაქრა, უსხეულოა თუ რა არისო.

ძალიან მონდომებულიყო ალექსანდრე ფრონელი, რაც შეიძლება ზუსტად და დეტალურად აღედგინა ალექსანდრეს შემოსვლის მარშრუტი, თორმეტწლიანი განშორების შემდეგ პირველად რომ დაედგა ფეხი საკუთარ მიწა-წყალზე, თანაც ისეთი ვითარებისას, რომ კინაღამ სასიკეთოდ შემოატრიალა ქვეყნის ბედი.

მონდომებით კი მონდომებულიყო, მაგრამ აქტებში არეულ-დარეული თხრობის მეტს ვერაფერს იპოვნიდა და იძულებული გახლდათ მარტოდენ დავით ბატონიშვილის ნაამბობს დასჯერებოდა, როგორც უფრო სარწმუნოსა და დამაჯერებელს, ეგაა, გული წყდებოდა, რომ მემატიანედ გარდასახულ ტახტის მემკვიდრეს ეძუნწა ამ ამბის გადმოცემისას.

აღიარებით კი აღიარებდა, რომ ალექსანდრეს ისე მოელოდნენ, როგორც მეფეს.

მასთან მისული დელეგაცია სწორედ ამას — მეფობას — აღუთქვამდა, როგორც საერთო-სახალხო წადილისა და განწყობილების გამოხატულებასა და დადასტურებას, და მისი ყოველი ნაბიჯი, გადმოდგმული ამბოხების ცენტრისაკენ, გულისხმობდა აღმასვლას სამეფო ტახტზე და გამქრალი სახელმწიფოს ხელახალ დაბრუნებასაც საუკუნეობით შეთვისებულსა და განმტკიცებულ სივრცეში.

ამიტომაც გვწადია ყველას, ვინც ამ ისტორიულ მოვლენებს ვუკვირდებით, უფრო ვრცელი და რელიეფური ყოფილიყო, ვიდრე ის ცნობებია, რომ: ალექსანდრე ბატონიშვილმა გადმოვლო თრიალეთის მთა, ჩამოვიდა ქსილის მთაზე, იქ შეეგებნენ კავთისხეველნი და მათი მოურავი ივანე შატბერაშვილი, გამოიყვანეს მტკვარზე კოწახურის ფონით, განვლო მუხრანი, მივიდა ბულაჩაურს და კიდეც მიაღწია თიანეთს.

ელვასავით მოედო მისი მოსვლის ამბავი კახეთს, ქიზიყს, მთასა და ოსეთსო, — ალექსანდრე ფრონელი რომ წერს, ოდნავადაც არაფერს აზვიადებს, რაკიღა ისე შემზადებულიყო არემარე მოლოდინით, არამცთუ ეს მხარეები, ლიხს იქითაც ნამსვე გადაწვდებოდა აღტაცების ჟრუანტელი და ხმალზე გავლებული ყველა ხელი ერთობლივ შეიმართებოდა და თიანეთისაკენ დაიძრებოდა ქუდზე კაცი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო.

თავი მეცხრე

დარღვეული ტრიადა

სექტემბერი დამდგარიყო და რუსის ჯარის გადარეკვა აღარც ეშორებოდათ.

სოლომონ მეორის მოწოდებებსაც შემოეღწია არაგვის ხეობაში, თორემ იმერეთი ხომ მოფენილიყო და მოფენილიყო.

— ჩვენ უკვე ჩამოვედით, იქით მხარეზე ალექსანდრე, აქედან — ჩვენ.

თიანეთში შესვლას ვერ მოასწრებდა ალექსანდრე და მაშინვე გაბრიელ ყაზბეგთან აფრენდა წერილს.

ყველაზე მნიშვნელოვნად მისი გადმობირება ესახებოდა.

ამიტომაც წინასწარვეც დაეჭირა თადარიგი, აქ ამოსვლას არ დალოდებოდა და უკვე შეხმიანებოდა კავკასიის ქედს გადაღმა და გადმოღმა ასერიგად გავლენიან პიროვნებას, ვისაც მეფე ერეკლეს ხანაში მოპოვებული სახელი და ავტორიტეტი კიდევ უფრო აემაღლებინა რუსთა მფლობელობის დამყარების შემდგომ, მთიულეთის აჯანყებისას ბედის გადაწყვეტაში კი ერთი ყველაზე არსებითი რომ აღმოჩნდა მისი ჩარევა, გაბრიელის ზეგავლენა ახლა უნდა გენახათ თუ გენახათ. მეფე არ ერქვა, თორემ მეფეზე ნაკლებიც აღარ გახლდათ და ვის, თუ არა მას, უნდა მოლაპარაკებოდა ალექსანდრე, ვინ, თუ არა იგი უნდა მიემხრო, თუკი საქართველოს სახელმწიფოს დაბრუნება ენება.

ბევრი სისხლი დაინთხეოდა ამ ღვაწლის აღსრულებისას, ბევრი ოფლი ჩაიქცეოდა, მაგრამ გაბრიელისოდენს ვერავინ შეძლებდა — ალექსანდრეს ასეთ საყრდენად ვერავინ დაუდგებოდა. შეკავშირება ამ ორი კაცისა, სოლომონ მეორის შემოძმობილებაც რომ გაალამაზებდა, წარმატებით დააგვირგვინებდა ამ რამდენიმე აქტიან დრამას, კახეთის ეპოპეად რომ სახელდებულიყო.

თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი უნდა გადმოსულიყო ყოფით რეალობაში.

მოგვიანებით საქართველოს მაინც ნესტანთან გაასიმბოლოებდა აკაკი წერეთელი.

ხოლო რუსთაველის ეპოსში მარტოდენ ტარიელსა და ავთანდილსაც რომ შეეძლოთ ქაჯეთის ციხის დამხობა, ფრიდონიც გვერდით ამოუდგებოდათ სამების პინციპის მოთხოვნილებით. შედარებით ფერმკრთალი რომ არის ფრიდონის ხასიათი, სამაგიეროდ, უიმისოდ რაკიღა სამების პრინციპი ვერ განხორციელდებოდა, ამ პერსონაჟის მხატვრულ აუცილებლობას მეტი საბუთი აღარც სჭირდება.

ახლა ეს სამება უნდა შეკავშირებულიყო სწორედ ყოფით რეალობაში.

ალექსანდრე ბატონიშვილიც და გაბრიელ ყაზბეგიც გადაწყვეტდნენ სასიკეთოდ აჯანყების ბედს, მაგრამ სამების პრინციპის უგულებელყოფა არ ივარგებდა და ამ აუცილებლობის კარნახითაც უნდა შემოჰყოლოდა სოლომონ მეორე თავისივე საბრძოლო მოწოდებებს.

— ამას წინათ წიგნები მოგწერეთ და ვიცი რომ კიდეც მოგივიდათ.

7 სექტემბერსაა შედგენილი ეს ბარათი, ამ ფრაზიდან კი ცნაურდება, რომ მანამდე სულ ცოტა ორი წერილი მაინც გაუგზავნია ხევის მებატონესთან, თუ მეტი არა. თანაც, პირადად ხელში ჩაუბარებია და მოციქულს დავალებისამებრ დაბეჯითებით მოუხსენებია ბატონიშვილისათვის, რაც ნიშნავს, რომ გაბრიელი ბარათებს უსათუოდ გაეცნობოდა.

ადვილი მისახვედრია, რა გულისფანცქალითაც ელოდებოდა პასუხს ალექსანდრე.

არ გაგვიკვირდეს, წუთი საუკუნედ თუ ეჩვენებოდა.

გაბრიელისაგან კი... მხოლოდ დუმილი, სხვა არაფერი.

თითქოს უნდა განრისხებულიყო ბატონიშვილი.

მიზეზი ისედაც ჰქონდა, რაკიღა მწარედ ახსოვდა, რა საბედისწერო როლიც შეასრულა ხევის მებატონემ მთიულეთის აჯანყების დროს.

მეტი რაღა უნდოდა გაბრიელს, მის ამხელა ცოდვაზე კრინტს არა ძრავდნენ, არამცთუ მკაცრი მოთხოვნა პასუხისა, მსუბუქადაც არ საყვედურობდნენ, აგერ დაახლოება ენადათ, პატივს მიაგებდნენ, გამორჩეულ ადგილსაც სთავაზობდნენ აჯანყების პროცესში, ერთერთ მეთაურად აღიარებდნენ და წყალობაც შესაფერისი და განსაკუთრებული იქნებოდა.

მწარედ ახსოვდა და... გონების სიღრმეში ჩქმალავდა.

ახლა ეს დუმილი შეაშფოთებდა კიდეც და თავმოყვარეობასაც შეულახავდა, მაგრამ არ დაგიდევდა ალექსანდრე არც ერთ განცდასა

და არც მეორეს, რადგანაც იმხელა მიზანი ამოეჭრა გულში, ამისთანებს რომ გამოჰკიდებოდა, სამეფოს აღდგენა ვაითუ გვერდით დარჩენოდა.

ამიტომ — ვითომც აქ არაფერიაო.

არც მთიულეთის აჯანყების ჩახშობაში გაბრიელის მონაწილეობა ყოფილა.

და არც იმ დუმილს ენიჭებოდა რაიმე მნიშვნელობა, ვითომც პასუხის გამოგზავნა და ალექსანდრეს თხოვნის შესასრულებლად დაფაცურება აუცილებელი არც ყოფილიყოს.

ისე, სხვათა შორისაა აღნიშნული ეს ფრაზა, აქამდეც რომ გაეგზავნა წერილები ხევის მებატონისათვის. მთავარი ისაა, ახლა კიდევ ერთხელ რომ უბეჯითებდა თხოვნას იმ ძმური სიყვარულით, ალექსანდრეს რომ სჩვეოდა მიმართვა და არც გაბრიელისადმი დაიშურებდა.

— სანატრელის მამის ჩვენის მეფის ირაკლისაგან მამის შენის პატივისცემა კარგად მახსოვს. მეც იმისი შვილი ვარ. უკეთესს პატივს მოგაპყრობ. ღმერთს ენდე, მე მერწმუნე და იმ სანატრელის მეფის ირაკლის საფლავს, რომ შენ ჩვენგან სიყვარულისა და პატივისცემის მეტი და ძმობის მეტი არა ნახო რა.

როდინდელს იხსენებს — მამაჩემი და მამაშენიო... თავდადებული ერთგულების საძირკველი ჯერ კიდევ როდის ჩაყრილა და განა შეიძლება ეს ურთიერთობა სულაც ტრადიციად არ დამკვიდრდეს და შთამომავლობაშიც არ გაგრძელდეს?.. უკეთეს პატივს მოგაპყრობო, რომ ჰპირდება, ეს მარტო ერთჯერად დაჯილდოებას არ უნდა გულისხმობდეს ან დროდადრო ხელის გამართვას. მამების მაგალითის გახსენება და მთლიანი კონტექსტი გვაგრძნობინებს, რომ გაბრიელ ყაზბეგის შთამომავალთაც შეუნარჩუნდებათ ყველა პატივი და ალექსანდრეს შთამომავალთაც ყოველთვის ემახსოვრებათ ამ პიროვნების განსაკუთრებული ღვაწლი და, შესაბამისად, თავიანთი მოვალეობა მისი მოდგმის წინაშე.

ბატონიშვილი მინიშნებას რატომ დასჯერებოდა.

— მაგ რუსებისა წარმავალი არის და ჩვენი წყალობა წარუვალი და საშვილიშვილო არის.

როგორია — მისხით მისხამდე აღვსებას აღუთქვამს, თორემ თვითონ ხომ წყალობას მართლაც უზომოს პირდება:

— ბედნიერება გინდა — მე, და დიდება გინდა — მე. ღმერთს ერწმუნე, ყოვლის შენის გულისწადილს აღგისრულებთ.

თვალწინ გადაუშლის არჩევანს. ეგებ გაბრიელი ამქვეყნიურ ბედნიერებას პირად, ოჯახურ კეთილდღეობაში ხედავს? იყოს ნება მისი. და თუ მეფის მრჩევლობას მოინდომებს, მის ტოლ-სწორად ქვეყნის მართვას? „დიდება" ამას უნდა გულისხმობდეს. დიახ, თუ მეფესთან შეტოლებასაც მოიწადინებს? ალექსანდრე არც ამის უარზეა, არ ჩამოართმევს გაბუდაყებად და მის ჩამოცილება-დამხობასაც არ განიზრახავს.

პირობა პირობაა — ოღონდაც გაბრიელმა თავი გამოიდოს და გამორჩეული ღვაწლიც დასდოს აჯანყებას და ის აღზევება მისი ფეშქაში იყოს!.. ალალი და უსაყვედურო.

ყოველ გულისნადილს აგისრულებთო...

ვინ იცის, რარიგ ეღიმებოდა გაბრიელს ამ სტრიქონების ჩაკითხვისას. აჯანყებულთა გვერდით დგომა რომ განეზრახა, აქამდეც არაერთხელ ჰქონდა ხელსაყრელი შემთხვევა, ჩარეულიყო მის შუაგულში, და რაკიღა არჩევანი უკვე გაეკეთებინა, იმ გადაწყვეტილებას არაფრისდიდებით არ გადაუხვევდა.

რაო, ალექსანდრემ? რუსების წყალობა წარმავალია და ჩვენი — წარუვალი და საშვილიშვილოო.

მაგრამ გაბრიელმა ხომ უკეთ იცის, ვისი წყალობაა წარმავალი და ვისი — წარუვალი.

ალექსანდრე ბედნიერებასა და წყალობას რომ პირდება, ნეტა ვისას პირდება — თვითონ რა მოეპოვება, რას ფლობს, რა დაუმკვიდრებია?

დამხობილი სამეფო, დაკარგული ტახტი და ფუჭი იმედები, ფუჭი, მხოლოდ ფუჭი, თორემ რაღაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი, აქამდეც მოებმოდა თავი.

ირანისა და ოსმალეთის მუქარები მუქარებად რჩება, და თუმც საფრანგეთმა წამოაჩოქა რუსეთი, იმხელა ძალა მაინც შერჩენია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს გასაქანი არ მისცეს.

მოხეტიალე ავანტიურისტს როგორ მიენდოს გაბრიელ ყაზბეგი, როდესაც უკეთესი პატრონები გამოსჩენია, ეფემერულ წყალობას რატომ გამოეკიდოს, როდესაც რეალური პატივ-დიდება უპყრია ხელთ და... ვერა, სასწორზე ვერ შეაგდებს.

დაე ვისაც სჯერა საქართველოს კვლავ დადგომისა ფეხზე, იმან გაუწოდოს დახმარების ხელი ბატონიშვილს და... მასთან ერთადაც დაიღუპოს — ან ბრძოლაში გამოესალმოს სიცოცხლეს ანდა უცხო ხელმწიფეთა კარიდან კარზე წანწალი აირჩიოს ბედად და ხვედრად.

გაბრიელს არ სჯერა, გაბრიელი უფრო შორს იხედება, ვიდრე ხალხის ამჟამინდელი გულისთქმაა, უფრო შორსაც, ვიდრე ეს ლეგენდებია, ალექსანდრეს ირგვლივ რომ შემოჯარულა. დაე გაიხსენონ ხოლმე კერიასთან მოხუცებმა, ვიდრე ჩაინავლებოდეს და ჩაქრებოდეს მფრინავი რაშის მითოსი. გაბრიელის შვილები და შვილიშვილები სხვა ამბებს უფრო მიაპყრობენ გულისყურს, სხვა მოვლენები უფრო ააღელვებთ და იმ სინამდვილის მსახურებაში ანუ იმპერიის განმტკიცებაში დალევენ სიცოცხლეს.

ამიტომ ტყუილუბრალოდ ნუღა დაშვრება ბატონიშვილი, ნუღარაფერს სთხოვს და დავალებებსაც ნუღა აძლევს:

— რა წამს ეს წიგნი მოგვიდეს, მაშინვე დაუყოვნებლად აქ თიანეთს წამოდი. ჩვენც ფშავისა და ხევსურეთის ჯარს ვეძახით. შენც მანდ გზები წაახდინე და ჩვენთან წამოდი, გვნახე და როგორც დაგარიგოთ, ისე მოიქეცი. მაგრამ მაგ გზების საქმეს რიგიანად ეცადე და რაც ხიდები არის, სულ ჩააქცევინე. ახლა არის ერთგულობის ჟამი და სამსახურის და ჩვენგანაც წყალობის მიღებისა. ნუღარ შეაგვიანებ.

ყველაფერს ბარათში ვერ დატევდა და დასძენდა: სხვას ჩვენ სიტყვას ეს თამაზა ამირეიძე მოგახსენებსო.

ეჰ რაწამს და თიანეთს კი არა...

ერთგულებისა და სამსახურის ჟამი კი დამდგარიყო, მაგრამ ვისთვის როგორ...

ალექსანდრესთვის კი ისე, საქართველოს სამეფოს როგორც შეჰფეროდა, მაგრამ გაბრიელისათვის ასე, არარსებული საქართველოს სამეფოს მოჩვენებებს რომ გადააბარებდა საპატრონებლად, თუნდაც იმ არაგველებსა და ფშაველთ, 12 სექტემბერს რომ გამოუგზავნიდნენ წერილს, დამტკიცებულს ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ. მათი სახელით თვითონ ბატონიშვილს შეედგინა, მაგრამ მოვალედ მიიჩნევდა თავს, შეფარულად კი არა, ამჯერადაც სააშკარაოზე ყოფილიყო.

უპასუხობით გაბეზრებული კვლავ შეინარჩუნებდა კეთილგანწყობილსა და თხოვნის კილოს, მაგრამ დამუნათებასაც გაურევდა, რათა ცოტა მაინც ჩაჭროდა გულში გაბრიელს ეს სიტყვები და ეგებ მათ უფრო ემოქმედათ.

ძმური სიყვარულით მოიკითხავდნენ და მოახსენებდნენ, რომ ერთიანად ფშავი და არაგვი გაფიცულთა შორის იმყოფებოდნენ.

— თუ შენ ჩვენი ძმა ხარ და ჩვენის ძმობიდამ არ გასულხარ, როგორც ჩვენ ვახლავართ ჩვენს ბატონიშვილს ალექსანდრეს და ბაგრა-

ტიონისათვის თავი დაგვიდია, შენც ისე ერთგულად მოიქეც და ამ თავდების წიგნს გაძლევთ, რომ თუ შენ ერთი ნაკლებობა მოგიხდეს რამე ან ბატონით, ან ჩვენით, შენი სისხლი ჩვენს კისერზედ იყოს და რასაც ითხოვ კიდევ ბატონისაგან არ გაგირიგოთ.

თუ ამ ძმობიდან გავიდოდა და ამდენ სულს უმუხანათებდა?

დაე ესეც სცოდნოდა, პირდაპირ და დაუფარავად:

— ვინც მოკვდეს ჩვენი სისხლი შენს კისერზედ იქნება და ყოველთვის ჩვენი მოსისხლე იქნები.

ზაზა ციციშვილი, ალექსანდრეს ამალის განუყრელი წევრი და მასთან ერთად მოხეტიალე ალმა-დაღმა, პირადად უდებდა აღთქმას იმ შეხვედრის გახსენებით, მოურავს რომ დაეპატიჟა ეს ორნი და კიდევ გლახა ბაბანაშვილი, პეტერბურგს რომ შეთვისებოდა და რუსების მომხრეობაზე თავსა დებდა, და მაშინ რომ ეთქვა ზაზას: შენი მოვალე და თავდები ვიყო, თუ რაიმე დაგიშავდესო, — ამჯერადაც კვლავ იმეორებდა და ეფიცებოდა: არც ბატონი და არც სხვა არაფერს გაწყენინებსო.

და ამტკიცებდა ამ წერილს საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე როგორი გზნებით, აბა, მარტოდენ ოფიციალურ დასტურს ხომ არა ჰკადრებდა:

— ღმერთს გაძლევ თავდებათ და მამის ჩვენის ირაკლის საფლავს და ამდენს სულს არაგველთა და ფშაველთა, რომ შენ წყალობის მეტი ვნება არა მოგადგეს რა. ღმერთი კი ვერა ჩამოა შუა და ამდენი კაცი მომიცია თავდებათ და მე ამას ვერ წაუალ, რასაც ესენი გვეტყვიან ეს წყალობაც დაგემართება.

გატვრენილიყო გაბრიელ ყაზბეგი.

ქართლიც გაყუჩებულიყო, ოღონდ ეს გარინდება არა ჰგავდა კახეთის დუმილს, ხელისუფლებისათვის დამაიმედებელს: მოვტეხეთო, — მაგრამ სინამდვილეში აზვირთებისათვის გამზადებულს. ძალათ უკანასკნელ მოკრებას გადამწყვეტი ბრძოლის წინ უსათუოდ ესაჭიროება ამგვარი გაყუჩებანი.

გმირს მხოლოდ ასე თუ დახვდებოდნენ.

მაგრამ ქართლი? ამ მხარის გატვრენა?

ეგებ ბრძოლის ჟინი აქაც ტრიალებდა, ან რაღა ეგებ, უსათუოდ ტრიალებდა — ქართლი და კახეთი რას გაეყო?!. არა, თუ ავ ბედისწერას დაეცალკევებინა, ხომ მაინც აღდგენილიყო მათი ერთობა და ძველი საქართველოს ისტორია ამ შეკავშირებით დაესრულებინათ.

ახალი საქართველოს, თუნდ ყოფილი საქართველოს, დასაბამსაც ამ ერთობით შეგებებოდნენ.

და მაშ ახლა სად უნდა მდგარიყვნენ, თუ არა თვისტომთა გვერდით — ან ერთად გაჟლეტილიყვნენ ანდა ერთად ედღესასწაულათ სამეფოს აღორძინება.

აჰა, ამღელვარებულიყო კახეთი.

ქართლი... ქართლი არ აჰყოლოდა.

და ალექსანდრე ბატონიშვილი მათ წამოსაშლელად პირველ ყოვლისა რევაზ ერისთავს დაუკავშირდებოდა. საიდან აღარ მოეშურებოდნენ მასთან, კავკასიის ქედიც გადმოევლოთ და ქართლი ვითომ რატომ იგვიანებდა, რაზმების გამოგზავნა თუ რითიმე შეფერხებულიყო, წერილის მოწერასა და თანადგომის შეპირებას რაღა ედგა წინ. ისევ თვითონ აფრენდა ბარათს და რევაზ ერისთავს აცნობებდა, თუ როგორ გამზადებულიყო კახეთის თავადობა საბრძოლველად, მარტყოფიდან მატაანამდე და თიანეთამდე ყველა მკვიდრი როგორ ხლებოდა აჯანყების მთავარსარდალს და უკვე დრო გახლდათ ელიზბარ ერისთავის გამოჩენისაც ამბოხებულთა შორის, რევაზს კი ქსნის ხეობის მეომართა პარტიებად წამოსვლა დაევალებოდა.

რაკიღა ერთსულოვნება არ არსებობდა ქართლის თავადთა შორის და ამიტომაც ვერ გამოსულიყვნენ ბრძოლის ველზე დაუყოვნებლივ, ალექსანდრეს ქსნის ერისთავებისა ეიმედებოდა — დაე მათ უწინამძღვრონ ქართლის თავადაზნაურობის შეკავშირებასა და აქეთ დაძვრას, რათა რუსის ჯარს ვაზღვევინოთ, რაც ბოროტება და უბედურება მოუტანიათ ჩვენშიო.

ერისთავთა ეს ბუდე — რევაზსა და ელიზბართან ერთად მიხეილი და შანშე — თავის დროზე მეფე ერეკლეს დაესაჯა და მამულები ჩამოერთმია. ამიტომაც, რა გასაკვირია, შურისძიებაზე ეფიქრათ და მეფის მტრობით ქვეყანას მოკიდებოდნენ მტრად, რუსეთის სამსახურისათვის კი თავი გადაედოთ, რაკიღა ახლაღა დაბრუნებოდათ წართმეული ქონება.

მარტოდენ პირადი ანგარიშის ბრალიც არ უნდა ყოფილიყო. გაბრიელ ყაზბეგისა არ იყოს, მათაც აღარ სჯეროდათ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა, შეგუებოდნენ მის გადაქცევას იმპერიის განუყოფელ ნაწილად, სამარადჟამოდ და არა რაღაც დროით, და ამიტომაც არაფრისდიდებით არ შეაგდებდნენ თავიანთ კეთილდღეობას სასწორზე. და არამცთუ არ მიემხრობოდნენ აჯანყების თაოსანს, თუნდაც იგი ლეგენდარული ალექსანდრე ყოფილიყოს, თავდადებით გაირჯებოდნენ სწორედ რუსეთის გულისათვის, და თუ ვინმე მიაყენებდა მძიმე ზარალს მეამბოხეებს, ერთი უპირველესთაგანნი ქსნის ერისთავები.

ალექსანდრემ არ უწყოდა მათი მოსალოდნელი მოქმედების თაობაზე?

ცხადია, ყველაფერში წინდაწინვე გარკვეულიყო და დიდი იმედი არცა ჰქონია ერისთავთა ამ ბუდის, მეფე ერეკლეს გავეშებული მოწინააღმდეგეების, მაგრამ დიპლომატიურ ხერხებს ხშირად რომ იშველიებდა, არც ამჯერად დაივიწყებდა — ცდა ბედის მონახევრე გახლდათ და ეგებ დაენამუსებინა ეს თავადები, იქნებ რაღაც იმედი ჩაესახა მათ გულში და ან პატრიოტული სულისკვეთებით განემსჭვალა და ან დაპირებებით მოეხიბლა.

ყველა შესაძლებლობას თუ არ მოეჭიდებოდა, აჯანყებას როგორი აღმაფრენითა და წარმატებითაც უნდა გამოევლო რაღაც ხანი, ბოლოს მაინც მარცხისათვის გაიწირებოდა.

ცდა ბედის მონახევრე კი გახლდათ და არც ალექსანდრეს დაეწუნებოდა შორსმჭვრეტელობა, მაგრამ ისიც ვერ ამოიცნობდა წინასწარ, მის ბარათს რა ელოდა.

უარეს შემთხვევაში მიშველებით არ მიეშველებოდნენ ერისთავები, ეგ არის და ეგ... ამის იქით მაინც აღარ მიდიოდა ალექსანდრეს ფიქრი... მაგრამ კიდევ უარესიც არსებობდა და სწორედ მას უნდა ეჩინა თავი. კიდეც იჩენდა, და იჩენდა ისე, რომ... საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ხელთ აღმოჩნდებოდა.

აუდიენციას ითხოვდა რევაზ ერისთავი, რათა ბარათიც ჩაებარებინა და მხურვალე თანადგომაც აღეთქვა ქვეყანაში წესრიგის შესანარჩუნებლად.

14 სექტემბერი დგებოდა და ალავერდის დღესასწაულის გარეშე კი არ ჩაივლიდა — მარტო კახელობა ხომ არ აღნიშნავდა ამ რელიგიურ ზეიმს ანდა თუშ-ფშავ-ხევსურნი, აქაური სომხობაც იყრიდა თავს და ლეკებიც აუცილებლად გადმოდიოდნენ.

ასეთი მღელვარების ჟამს ვითომ რაიმე არ მოხდებოდა და ალავერდობა თავისებურ ნიშანსვეტად არ დაიდებოდა?

ბატონიშვილმა ეს ხალხის სათაყვანებელი დღესასწაული შეარჩია, რათა თავი მეფედ გამოეცხადებინა და ერისაგან ერთგულების ფიციც მიეღოო, — სწერდა მთავარმართებელი იმპერატორს, მაგრამ არ ჩამოართმევდა ამ ცნობას სიმართლედ ალექსანდრე ფრონელი: ბატონიშვილი იმხანად მეფობის აღდგენის გამოცხადებას მოერიდებოდაო. და თავისი ვარაუდის დასტურად ანდაზასაც მოიშველიებდა: ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო.

— ჯერ მტერი არ დაემარცხებინა და რას ეგვანებოდა მეფობის გამოცხადება? წინდახედული და ჭირნახული ბატონიშვილი ასეთ ბავშვურ შეცდომას არ ჩაიდენდა.

გარდა ამ ფსიქოლოგიური სარჩულისა, თავის ვარაუდს დაამყარებდა დავით ბატონიშვილის მატიანეზეც, სადაც კრინტიც არ იყო დაძრული ასეთ განზრახვაზე.

მემატიანედ გარდასახული უფლისწული დაწურულად გვაუწყებდა, რომ თიანეთს სწვეოდნენ ფშავ-ხევსურნი და კახეთის თავადობა და გლეხობა უკლებლივ, მოსულიყო მატაანს, იქიდან — შილდაში, იქ შემატებოდნენ გაღმამხრელნი და ანწუხელი ლეკები და ქიზიყელნი, ვისაც იარაღი აეღებოდა ხელთ. და თუ ალექსანდრე ალავერდობის ზეიმის გამოყენებასაც ჩაითქვამდა რუსის ჯართან შებრძოლების წინ, ეს ისტორიული ქრონიკა არც მიგვანიშნებდა.

რტიშჩევს შეეტყო და დავით ბატონიშვილს ვერა?

ეგებ მთავარმართებელი საგანგებოდ თხზავდა ამ ცნობას, რათა უფრო თვალნათლივ წარმოეჩინა თავისი სამხედრო ღვაწლი, თუ ვისთან უწევდა შერკინება — არა კარდაკარ მოხეტიალე ავანტიურისტთან, არამედ ლამის მეფესთან, რაღაც შემთხვევითობას რომ ჩაეშალა მისი ეს კურთხევა, სასულიერო პირთაგანაც და ხალხისგანაც ერთსულოვნად აღიარებული?

მაგრამ ალექსანდრე იმხელა სახელი გახლდათ კავკასიონის ქედს გადაღმაც და გადმოღმაც, მთავარმართებელი არ დაისაჭიროებდა ამგვარი ცნობის შეთხზვას ვითომდა თავისი დამსახურების გასაზვიადებლად — საიმპერატორო კარს ისედაც კარგად მოეხსენებოდა ყველაფერი და მართლა კი არა სჯეროდათ თავიანთი იდეოლოგიური ფანდისა: სრულიად უმნიშვნელო პიროვნებაა, რატომღაც რომ არ ვაზვიადებდეთ მის გავლენასო.

მაშ დავით ბატონიშვილი აარიდებდა განზრახ თვალს ალექსანდრეს მოსალოდნელ გამეფებას?

ეგებ ძალიან განიცდიდა მეფე გიორგის უფროსი ვაჟი — და რატომაც არ უნდა განეცადა — მის გამეფებას ერთი საათი რომ დააკლდა, მწარედ შეახსენებდა ხოლმე თავს გამქრალი სამეფო ტახტი და ამჯერად მაინცდამაინც აღარ გამეტებოდა აჯანყებულთა იმ განზრახვის გაშიშვლება — კიდეც გამოეცხადებინათ გვირგვინოსნად; ჯერ მაშინაც, მართლაც რომ ელიარებინა ალექსანდრე მეფედ პროტესტანტთა ერთ გუნდს, და აგერ, არც მომხდარიყო ასეთი რამ თიანეთ-შიდის მარშრუტზე.

ღვინო არსად იყოო... ბავშვური შეცდომაო...

იქნებ მართლაც ბავშვური შეცდომაა მტრის დამარცხებამდე თავის გამოცხადება მეფედ?

მაგრამ მთლად ასეც რომ არ უნდა იყოს?

ხალხის თვალში სოლომონ მეორე კვლავაც მეფედ რჩებოდა -- სამკვიდროდაკარგულ, დამხობილ, მაგრამ მაინც მეფედ.

და ასეთივე შარავანდით რომ შემოსილიყო ალექსანდრე ბატონიშვილი, დაე უფრო ხელშესახები გამხდარიყო გვირგვინი — იატაკქვეშა გვირგვინით გამოდიოდა, მაგრამ ამით წუნი არ დაედებოდა, რაკილა ხალხის გულისთქმას, საერთო განწყობილებას გამოხატავდა. და ბავშვური შეცდომა რა სათქმელია, როდესაც თვითონ იდეა აღდგებოდა, ქართლ-კახთი უმეფოდ რომ არ შეიძლება ყოფილიყო.

დრო რაც გაჭიანურდებოდა, უმეფობა რაც უფრო გაგვიხანგრძლივდებოდა, მით უარესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისათვის. სად დალოდებოდა, ალექსანდრე, როდის გადარეკავდა რუსის ჯარს ქედს გადაღმა. ცხადია, მაშინ სულ სხვაგვარი ცერემონია დასჭირდებოდა, მართლაც მეფედ კურთხევის შესაფერისი, მაგრამ არც ახლა დაშავდებოდა რა, თუკი ალავერდობის დღესასწაულს მეფედ კურთხევის გარეგნული რიტუალიც შეერეოდა.

მითუმეტეს — ეს კავკასიური ზეიმი გახლდათ, არა მარტოდენ ქართული, და ამ მხრივაც შეკრავდა ალექსანდრეს გამეფების თუნდაც იმიტაცია საერთო ცნობიერებას.

რა — გრიგოლ ბატონიშვილი, ეს სრულიად უჩინარი კაცი, ყველას რომ დავიწყებოდა მისი არსებობა, მეფედ რომ გამოაცხადეს, რუსები განდევნილნი გვყავდნენ?

და საქართველო სახელმწიფოს დაბრუნებას ზეიმობდა და მხოლოდ მეფის გამოცხადება აკლდა?

ერთი ხეობა გათავისუფლდა, სხვა კი არაფერი მომხდარა, და ის გათავისუფლებაც ისე კორიკობდა, მალევე მოუწევდა რუსის ჩექმით გათელვა. მაგრამ ამბოხებულთ ბავშვური შეცდომა კი არ მოსვლიათ, ეროვნული თავმოყვარეობისა და სულიერი სიმხნევის განსამტკიცებლად შეირაცხა გრიგოლ ბატონიშვილი მეფედ და აკი რეფორმების ხორცშესხმასაც მოჰკიდა ხელი — იატაკქვეშა რეფორმების, მაგრამ ესეც საქმე გახლდათ, იდეური თვალსაზრისით თუ შევხედავთ.

ყველასაგან დავიწყებულიო...

აღარც მთავარმართებელთ ახსოვდათ მისი არსებობა და აღარც ქართველობას — მამამისი, იოანე, ძე გიორგი მეცამეტისა, ისევე გადაესახლებინათ, როგორც სხვა მისი ძმები და ძმისწულები, ეს გრიგოლი კი სათვალავში რატომღაც და როგორღაც არავის ჩაეგდო და იმყოფებოდა თავისთვის კახეთში და მშვიდად ლევდა სიცოცხლის

დღეებს, ვიდრე... დიახ, ვიდრე მეამბოხენი უეცრად ხელს არ წამოავლებდნენ და მეფედ არ გამოაცხადებდნენ.

თუ რარიგ ენატრებოდათ კახელებს მეფობის აღდგენა, ალექსანდრე ფრონელის სიტყვებიც მოწმობს, იმჟამინდელ ვითარებას ხელისგულზე რომ გვიდებს:

— ბატონიშვილ დავითის უშვილობის გამო ქართველები ამ გრიგოლს ისე უცქეროდნენ, როგორც კანონიერ მემკვიდრეს. ამბოხების მეთაურებმა გრიგოლი მეფედ რომ გამოაცხადეს, კახეთი სიხარულით ფეხზე აღარ იყო. მცირე უკმაყოფილება არავის გამოუცხადებია, იმის გარჩევაშიც არავინ შესულა, რა კაცია გრიგოლი, შესძლებს მეფობას ამ ვნება და მღელვარებით სავსე დროსა, თუ არა. ამ საგნის გარჩევასა და გამოძიებას არავინ კისრულობდა. რაკი ხმა გავარდა, მეფე ამოვირჩიეთო, ყველამ ერთხმად იწამა და შეჰფიცა ერთგულობა, მეფობისთვის სიკვდილი და სამსახური.

მხოლოდ ის აწუხებდა ყველას, რომ ტორმასოვს ასე უდროოდროს გაესტუმრებინა ჩრდილოეთისაკენ ანტონ კათოლიკოსი და ამით კახელთა ზარზეიმს დაკლებოდა მთავარი მაკურთხებელი.

დადგა ჟამი რუსების გაწყვეტისაო, — მხნეობა და იმედოვნება არ აკლდა გრიგოლის გამეფების პირველივე წუთებს.

ეჩქარებოდათ, ძალიან ეჩქარებოდათ აჯანყებულთ მეფის გამოჩენა თავიანთ სათავეში და ამიტომაც ვერ დაელოდებოდნენ თვით ალექსანდრე ბატონიშვილსაც, ვინც — ირანის შაჰისაგან მეფედ აღიარებული — საზღვარს აწყდებოდა დაუოკებელი ჟინით ანთებული და არც ეეჭვებოდა, თავისი შემოსვლით კიდეც რომ დაამთავრებდა რუსთა მფლობელობას საქართველოში.

ვიდრე იგი გამოჩნდებოდა, ვინ იცის, რანაირად წარმართულიყო ამბოხების ბედი, ვაითუ განელებულიყო თავდაპირველი აღფრთოვანება და ენთუზიაზმი და ალექსანდრეს შემოჭრისას ნატისუსალიღა დახვედროდა.

თუ რაიმეს უნდა შეენარჩუნებინა აჯანყების სიმტკიცე, ისევ და ისევ მეფეს და, დავიწყებული გეძახა, კი აღმოჩნდებოდა გრიგოლ ბატონიშვილი წარმოსახვითი სამეფოს წინამძღოლად.

მწარედ გამოიგლოვდა მის ბედს ალექსანდრე ფრონელი:

— ერთი თვით მეფობის გულისათვის თორმეტი თვე პეტრეზავოდის ციხეში ბრძანდებოდა.

მარკიზი პაულუჩი გრაფ რუმიანცევს მისწერდა, რომ რაკიღა გრიგოლ ბატონიშვილს ცოდვები მოენანიებინა, ნებაყოფლობით გა-

მოცხადებულიყო მთავარმართებელთან და ერთგულების ფიციც მიეღო, ამის გამო მასაც ისტუმრებდნენ პეტერბურგს იმ წესითა და უფლებით, როგორც სხვა ბატონიშვილები მიევლინებინათ.

„კახეთის ამბოხების“ ავტორი იმ გულმდუღარე აკორდით აბოლოებს მონოგრაფიის ამ პირველ ნაწილს, რომ:

— ბატონიშვილ გრიგოლის გადასახლებით რუსეთს ბაგრატიონთა გასაგისი ამოვარდა საქართველოში...

უჩინრად, ყველასაგან მივიწყებული ცხოვრობდა თუ რა იყო, მაინც ბაგრატიონთა შთამომავალი გახლდათ და ტახტის მემკვიდრეც და როგორღაც ინარჩუნებდა იმ ძაფს, დამხობილ სახელმწიფოსთან რომ გაბმულიყო.

აჰა, ეს ძაფიც გამწყდარიყო...

ასეა თუ ისე, თავისი მნიშვნელობა ენიჭებოდა გრიგოლის გამოცხადებას მეფედ, თუნდაც მისი გვირგვინოსნობა ერთ თვეში მოთავებულიყო.

და ასეთივე მნიშვნელობა მიენიჭებოდა ალექსანდრესთვის გადაცემულ სამეფო გვირგვინსაც.

კვლავ იმას მოასწავებდა, რომ რაღაც სხვა ხდებოდა ქვეყანაში, ვიდრე მარტოდენ უკმაყოფილების გამოთქმაა.

ქართველობას ამ პირობებშმი კი არ სურდა მეტის მიღწევა, არამედ დამოუკიდებელი სამეფო ენატრებოდა.

ალავერდობის გარდასახვაც გამეფების რიტუალად ამავეს მომასწავებელი იქნებოდა, და თუ ალექსანდრე ბატონიშვილი არ მოინდომებდა მის აღსრულებას, იმიტომ ხომ არა, რომ მთავარმართებელი, ჯაშუშური ქსელის წყალობით გაფრთხილებული, ჯარს ჩაუსაფრებდა და მოსალოდნელი გახლდათ რელიგიური ზეიმი სისხლით შეღებილიყო?!.

გაბრიელისაგან რა ისმისო, — ცის გახსნასავით მოელოდა ალექსანდრე იმის ჯერ ბარათსა და მერე გამოჩენასაც სასიხარულო ცნობებით, ხიდებიც ჩანგრეულია და გზებიც შეკრულია, რუსებს ტყუილადღა ექნებოდათ მაშველი ჯარის იმედი, ცხვირსაც არ გადმოვაყოფინებ აქეთ, მე კი ჩემი ხალხით შენს სამსახურში მიგულეო.

ისე გათანგულიყო ამ ფიქრებითა და ზმანებებით, ლამის ცხადლივაც ეხილა, რაკიღა ყველა მომსვლელში გაბრიელ ყაზბეგი ელანდებოდა.

მაინც როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ლოდინი?

არ აპირებდა, ნამდვილად არ აპირებდა ჩამოშველებას ხევის მებატონე და დარიალიც ალბათ ისევე გადაიხსნებოდა დამატებითი ჯარების წინაშე, როგორც ამ რვა წლის წინათ, აქეთ მხარეზე ბრძოლის

ნაცვლად იქით მხარეს რომ გადაიკლა თავი, და თუმც პირველივე წერილის პასუხად დუმილი უკვე მკაფიოდ ადასტურებდა მის არჩევანს, ალექსანდრე მაინც არ ეპუებოდა რეალობას და კვლავაც თხოვნით ითხოვდა იმის თანადგომას... ეგებ გაბრიელი ისე ამაღლებულიყო საკუთარ თვალში, თუნდ მეფის მრჩევლობა და მეორე კაცობაც აღარ მიაჩნდა შესაფერის პატივად და სულაც მეფის გვირგვინი ეღირსებოდა თავისთვის?

ან საქართველოს მეფე და ან რუსეთის იმპერიის წარჩინებული გენერალი და უზომოდ გავლენიანი?

რა გინდა მოიმოქმედო ასეთ დროს, თუკი ალექსანდრე ბატონიშვილი ხარ და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა გესახება შენს ამქვეყნიურ მისიად და იმ მზის დანაბარებად, რომლის სიმხურვალესაც გაუნელებლად განიცდი?

— მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ კეთილშობილო ყაზიბეგის შვილო გაბრიელ.

მიმართვა კვლავაც ძველებური დარჩენილიყო 17 სექტემბერს მიწერილ ბარათშიც, და რომ შეახსენებდა, ამდენი წერილი უპასუხოდ დამიტოვეო, ამასაც ისე ეტყოდა, რომ იმას საყვედურად არ ჩამოერთმია.

— მერმეთ ამდენს წიგნსა გწერთ, არ ვიცით მოგდის თუ არა.

ვითომ ამასაც ფიქრობს, რომ ბარათები გზაში იკარგება და ხევის მებატონემდე ვერც აღწევს. ეს ამდენი ხნის გამაბეზრელი ლოდინი ვითომც არა ყოფილა, ოღონდაც ახლა მაინც ჩავარდნილიყო გულისხმაში გაბრიელი და თავისუფლების ცეცხლი მოკიდებოდა.

— ვინც მაინდამ მოდიან, შენს ერთგულებას გვიცხადებენ და შენგან პასუხი ვერა მივიღეთ რა.

ესეც მარჯვე დიპლომატიური ხერხია: ვიცით, გულით ჩვენსკენ ხარ, და თუ აქამდე ეს პირადად არ გიცნობებია, რაღაც გაუგებრობის ბრალი უნდა იყოს, რასაც ყურადღებასაც არ მივაქცევთო.

— ღმერთს ენდე, ყმით გაგამდიდრებ და მამულით და ნივთით საშვილიშვილოდ.

დაპირებით ხომ აქამდეც პირდებოდა უზომო წყალობით აღვსებას, ეს და ამისთანა აღთქმანი, ეტყობა, იმის გულს მაინცდამაინც არ ეკარებოდა. ამიტომაც ალექსანდრეს ქედი უნდა მოედრიკა და გადაედგა ის გადამწყვეტი ნაბიჯი, რაც მისთვის ასერიგად საძნელო და მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ რაკილა სხვა საშველი და სახსარი არ ჩანდა, ისევ ამას უნდა შეგუებოდა და ისეთ რაიმეს შელეოდა, რაც ამთავრებდა ბაგრატიონთა ათასწლოვან დინასტიას.

— თავდები ეს არის, რომ მოგვიცით მთელი მთა და ბარი. პატივი ეს არის და წყალობა. ჩვენი გვარის საქმე იცი, რომ რასაც ვიწერები, ღვთის ქვეშე სწორეს ვიწერები.

მოგვიცია მთელი მთა და ბარიო...

გამეტებულია სამეფო გვირგვინი, თვით სამეფო გვირგვინი გაბრიელ ყაზბეგისათვის.

სამაგიეროდ, აღდგებოდა და შენარჩუნდებოდა საქართველოს სამეფო.

და ალექსანდრე ბატონიშვილის ამქვეყნიური მისიაც წარმატებით აღსრულდებოდა.

ამხელა მისიის ფონზე კი თავისთავად ფერმკრთალდებოდა ხელმწიფის გვირგვინი — დაე ის ყაზბეგებს დარჩენოდათ, ალექსანდრე მითოსში გადასვლასაც იკმარებდა.

ყველაზე სანდო პიროვნებათაგან ამ ორისათვის მიენდო წერილის გადაცემაც და პირადი მოლაპარაკებაც, გორჯასპი ნათალიშვილისა და პაპოა აბელიშვილისათვის, სიტყვიერადაც რომ დაედასტურებინათ ალექსანდრეს ფიცის სიმტკიცე და იმ კითხვებზეც მიეგოთ პასუხი, გაბრიელს რომ გაუჩნდებოდა.

— ახლა ამ საქმეზედ გორჯასპი ნათანის შვილი და პაპოა მამით და პაპით ერთგულნი და თითონაც ნამსახური და ყოველთვის თავდადებული. ჩვენ ამისთვის გვირწმუნებია და ეს შენ გარწმუნებს, რომ ყოველივე შენი სათხოველი აღგისრულოთ და ძმასავითაც საყვარელი იყო. დაიჯერე და მერწმუნე. ეს მეათე წიგნია და უკანასკნელი და შენ იცი. სხვას ჩვენს სიტყვას გორჯასპი გიამბობს.

ეს მეათე წიგნია და უკანასკნელიო...

როგორია — უპასუხოდ დარჩენილი ათი ბარათი.

ალექსანდრეს სიამაყისა და თავმოყვარეობის კაცი ერთი წერილის უპასუხობასაც არ მოითმენდა, და ათი?..

დაუჯერებელია?

აღარც დაუჯერებელი. როდესაც ადამიანი მზადაა მეფის ტახტსაც შეელიოს, განა თავმოყვარეობასაც არ უმსხვერპლებს იმ ამაღლებულ მიზანს, ხანგრძლივი ისტორიისა და კულტურის ერის გადარჩენა რომ ჰქვია, მისი თვითმყოფადობის, მისი იმ უნიკალურობის, სხვა მოდგმა რომ ვერ ჩაენაცვლება.

და რაკიღა ეს მტკივნეული გადაწყვეტილება მიეღო, ცხადია, უკვე მოერიდებოდა ალავერდობაზე საკუთარი თავის გამოცხადებას მეფედ — მაშინ ხომ გაბრიელ ყაზბეგი მის სიტყვას აღარ მიენდობოდა.

უკანასკნელიო...

ოც ბარათსაც ისევე გაუგზავნიდა, ათი როგორც მისწერა, მაგრამ უკვე აღარ ღირდა, თუ ეს წერილიც დუმილში შთაინთქმოდა.

მეფობაზე მეტს განა რაღას აღუთქვამდა?

თანაც უკვე უშუალოდ უნდა ჩაბმულიყო ბრძოლებაში, ეს ამდენმა მეომარმა რომ მიაშურა თიანეთში და ზოგიც ამა თუ იმ ადგილას ტორტმანებდა ხელის დაქნევის მოლოდინში, გაყინულ დროში ხომ არ ცხოვრობდნენ. მითუმეტეს, წუთისოფლის მდინარება კიდევ უფრო აჩქარდებოდა და რუსის ჯარის ნაწილებიც აქეთ-იქიდან მოაწყდებოდა აჯანყების კერებს.

ვაი, რომ დარიალიდანაც.

გზების წახდენას ვიღა ჩიოდა, ისე გაუადვილებდა გაბრიელ ყაზბეგი მათ ნაკადებს შემოდინებას, ფიანდაზადაც გაეგებოდა და ხალხსაც მიაშველებდა, რათა აღკვეთილიყო შფოთი და არეულობა და ქვეყანა რაც შეიძლება მალე დაბრუნებოდა იმ ყოფას, ტრაგიკული სურათები ერთიმეორეს დაუსრულებლივ რომ ენაცვლებოდა, მაგრამ გაბრიელისათვის გენერლის წოდება და სრული კეთილდღეობა მოჰქონდა.

ეს — აქეთ, და იქით ქსნის ერისთავებიც ძალიან დაფაცურებულიყვნენ და სექტემბრის დამლევს შანშე და ელიზბარი გუბერნატორს უხვად მოამარაგებდნენ ყველა იმ ცნობით, რაც მოეკრიბათ და საკმაოდ საგანგაშო სურათი იხატებოდა, თუკი ხელისუფლება დროულად და ენერგიულად, გადამჭრელად და ულმობლად არ იმოქმედებდა, თორემ რა გამოდიოდა — ალექსანდრე ბატონიშვილს მტკიცედ გადაეწყვიტა ქართლში შემოჭრა და მცხეთისა და გორის ციხის დაკავება, აქაური თავადობა იმედის თვალით შეჰყურებდა და აწყურში კი, აგერ, ხელისგაწვდენაზე სოლომონ მეორე ჩასაფრებულიყო და აჯანყების პირველი ნიშნების გამოჩენას ელოდა, რათა ქართლის საზღვარი გადმოელახა და ამდენი ხნის ჯავრი ერთბაშად ამოეყარა. ამ ზებედე შატბერაშვილს რაღა დამართოდა, რომ მღვდლის ანაფორაში გამოწყობილს რაზმი მოეკრიბა ალექსანდრესათვის და ისეთი მეომარნი შეერჩია, მრისხანე ძალად გადაქცეულიყო და უკვე ქართლ-კახეთის გზაზეც გამოჩენილიყვნენ.

ასეთ ვითარებაში აღარ კმაროდა ჯარის ის ნაწილები, რომლისთვისაც ხელისუფლებას ამ მხარეში სიმშვიდის შენარჩუნება ანუ ქართლის გათანგვა დაევალებინა, და ერისთავები ითხოვდნენ ჯარის გაძლიერებას. პოლიტიკური ბეზღობაც ამისათვის სჭირდებოდათ, ვაი-

თუ მთავარმართებელმა ყურადღება მოადუნოს ანდა ალექსანდრე ბატონიშვილი არ ჩააგდოს სახიფათო მოწინააღმდეგედო. ხელისუფლება ხმებს რომ ავრცელებდა ალექსანდრეს დაკნინების მიზნით, არ გვენაღვლება მისი ადგილსამყოფელი, რა შეუძლია დაგვაკლოსო, ამათ ფანდი კი არა, მართლა ზემდგომთა განწყობილება ეგონათ და გუბერნატორის მეშვეობით მთავრობის გამოფხიზლებას ცდილობდნენ. მთავარი მაინც ისაა, თუნდ ჩუმი თანაგრძნობაც არ დაბრალებოდათ მეამბოხეებისადმი და ხელისუფლების მხარდამხარ გარჯა ესახებოდათ ამჯერადაც და საერთოდაც ცხოვრების მიზნად.

მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონებაო, — ვერა, ვერ გადმოსულიყო „ვეფხისტყაოსნიდან“ ყოფით სინამდვილეში, რადგანაც ერთი მთავარი საყრდენი ეცლებოდა სამთა კავშირს, ის გაბრიელ ყაზბეგი, ვინც მეფე ერეკლესა და გიორგი მეცამეტის სიცოცხლეში ბაგრატიონთა ერთგულებაზე სდებდა თავს და ძალიც შესწევდა ქადილისა, მაგრამ ველარ იავთანდილებდა ახალ დროებაში და ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ბოძებულ მთა და ბარსაც შედარებით ადვილად შეელეოდა, თუ ცოტათი აუფანცქალდებოდა გული იმ სტრიქონის წაკითხვისას, დიდი რამ ჭიდილი არც დასჭირდებოდა საკუთარ თავთან, რათა ეფემერული ჯილდოსათვის ხელშესახები პატივი ემჯობინებინა.

ეს მეათე წიგნია და უკანასკნელიო...

ამოწურულიყო ყოველი მცდელობა.

სამაგიეროდ, გაცილებით დაიმედებული შეეხმიანებოდა ქისტებს იმავე 17 სექტემბერს, ძმური სიყვარულით მოიკითხავდა უფროს უფროსთაც და ერთობითაც, და აცნობებდა, რომ ლაზარე ჩოფიკაშვილი მიევლინებინა მათთან და რასაც ის იტყოდა, მისთვის დაეჯერებინათ, რაკიღა ალექსანდრეს დანაბარებს გაუმეორებდათ.

— თქვენ უნდა შეიყარნეთ და ჩამოხვიდეთ და ეგ ხიდები წაახდინოთ.

თავის მხრივ კი:

— რომელთაც ჯამაგირის წიგნები გაქვსთ, მაგას ერთი ორად შეგისრულებთ და სხვა წყალობა მეტი იქნება. კვლავაც ბევრჯელ გიქმნიათ ამისთანა სამსახური და ახლაც ინამუსეთ და ჩვენგან წყალობით გული შეისრულეთ. მანდ ჩვენი ერთგული თავადი ნათალისშვილი გორჯასპი და პაპოა გამომიგზავნია. ვისაც ვის წყალობას ეგ აღუთქვამს, ჩვენ დაუმტკიცებთ და თქვენც მაგას ემორჩილენით. ახლა თქვენ იცით, როგორც რიგიანად მოიქცევით.

თუ ვინმეს დანდობოდა ალექსანდრე, გორჯასპსა და პაპოასაც, გაბრიელის გასაკეთებელი საქმეც მათ რომ დავალებოდათ, ქედს გადაღმა და გადმოღმა მკვიდრთა შემომტკიცება და დარიალის ხეობის ჩაკეტვა, მიმოწერაც გაეჩაღებინა მათთან და აგერ ეს ბარათიც გულს რომ დაუმშვიდებდა, თავისი მხრივ აცნობებდათ 7 ოქტომბრის ვითარებას. შილდაში რომ შემოსულიყო ტახუნევი (ტიხომირსკის გულისხმობდა) და ღვთის რისხვადაც დასცემოდა ალექსანდრე და რამდენიც ემსხვერპლა, ეს ხომ უკვე მიეწერა, ამჟამად კი ამ მეთაურს გაპარვა მოეხერხებინა და ყვარლის ციხეს შეფარებოდა.

ქიზიყიდან დიმიტრი კნიაზი (ორბელიანი) რომ დაძრულიყო, ემცნო თავისი მიახლოება „ყავლის მიცემითა“ და ზარბაზნების დაცლით. ტიხომირსკი ყვარელიდან წამოსულიყო და ფაშაანის ფონამდე მიეღწია. აქედან იმას დახვედროდა ალექსანდრეს ჯარი, გაღმიდან — დიმიტრი ორბელიანს, და გაცხარებული სროლაც მომხდარიყო. დილიდან მოკიდებული საღამომდე ცეცხლი არ შეწყვეტილა.

— იმდენი ღვთის წყალობა გაქვსთ, რამდენი სალდათი აქეთა და იქით მოუკალით და ისე უფროსები.

ჯარი რომ დაღლილიყო და ღამესაც მოესწრო, ჩამოსცილებოდნენ, და ჩვენი ჯარის თავზეხელაღებულობა რომ ეწვნიათ საკუთარ თავზე, ღამიანად მალულად ფაშაანში ერთად შეყრილიყვნენ ტიხომირსკისა და ორბელიანის სამხედრო ნაწილები და შილდას ბოლოში დამდგარიყვნენ. ალექსანდრეს გზა მიეცა და ველისციხის ბოლოს იმათ ნასადგომარზე თავისი რაზმები განელაგებინა.

იმათ გამოღმა გამოსვლა რომ დაუპირებიათ, სანავარდოელნი და 400 ლეკი იმ ფონზე დახვედროდნენ და სროლა აეტეხათ. აქედან ქიზიყელნი და ლეკებიც შეჯახებოდნენ და ისეთი საშინელი სროლა მომხდარიყო, იმათ სულ ყათლანი დამართოდათ. ის კი არა, ვინც ჩვენ შეგვეპყრო, ისინიც წყალში გვეყარა და საღამომდე ომი არც დამცხრალიყო. ალექსანდრეს მხარეს ორი ლეკი მოეკლათ და ოთხიც დაეჭრათ, ქართველთაგან კი არავინ დაღუპულიყო.

ახლა გაღმა-გამოღმა დამდგარიყვნენ.

ჩვენ ჯარები გვემატებოდა.

ეს რუსები კი სუსტდებოდნენ.

დღეს ხომ 7 ოქტომბერი გახლდათ და ორშაბათი, ხვალ დიდრონს ჯარს მოელოდა ალექსანდრე, ორმოცი ათასი კაცი უნდა შესრულებულიყო, და ასე რომ გაბევრდებოდნენ, იქით მიეჭრებოდნენ რუსებს, მოსაგერიებელი რაღა სჭირდათ.

— ზედ მივალთ და ღვთის შემწეობის იმედი გვაქვს რომ სულ დავამხვათ.

აშკარაა, შილდასთან ბრძოლა ერთ შეტაკებად კი არ წარმოუდგება, არამედ გადამწყვეტ შეჯახებად, ძაფის გორგალივით რომ უნდა მოარღვიოს რუსის ჯარის ჯაჭვი საქართველოში და შეუქცევადი პროცესი იმ კრახით დაბოლოვდეს, იმათ გასაგისს რომ ამოაგდებს ჩვენი მიწა-წყლიდან.

სხვა ამბებიც თუ აინტერესებდათ გორჯასპსა და პაპოას, მთავარმართებელი არტაშევი (რტიშჩევს გულისხმობდა) შამზადას (ანუ: აბას-მირზას) შემოემწყვდია; მეწინავენი რომ გაეგზავნა, ისე პირნმინდად გაეუუჟათ ათას ხუთასი კაცი, ერთიც არ გადარჩენილიყო, და ახლა იმგვარად შემოესაფრა, რომ აღარც აქეთ უშვებდა და აღარც იქით.

რაც თავის დროზე ერევანს მყოფ მთავარმართებელ ციციანოვს დამართოდა (ბატონიშვილი ციციშვილად იხსენიებს), უარეს დღეში რტიშჩევი ჩავარდნილიყო.

— იმისი იმედი ნუღარა გაქვს, რომ აქეთ ღა შეიძლოს მოსვლა.

სარდლის (ჰუსეინ-ყული-ხანზე მიანიშნებს) შიკრიკი და წერილი მოსვლოდა ერევნიდან. ისიც თორმეტი ათასი კაცით გუმბრსა და ყარაქილას ამოსულიყო და იწერებოდა: თქვენს ამბავს ველი და გნებავს ყაზახში შევიჭრები და გნებავს მანდ ამოგაკითხავო.

ალექსანდრეს კი ერჩივნა იმის შესვლა ყაზახში.

გორჯასპსა და პაპოას, გარჯასა და სიბეჯითეს რომ არ აკლებდნენ ბრძოლის გაცხოველებას, ევალებოდათ, რომ ამ ბარათის შინაარსი ყველასთვის გაეცნოთ, სადამდეც ხმას მიაწვდენდნენ, და ლეკის ჯარი რომ ეთხოვათ, კიდეც მიუვიდოდათ. ეგაა, ალექსანდრეს ავეტიქა აქამდე იმისთვის არ გამოესტუმრებინა, რომ ლეკის ჯარსა და ავეტიქას ერთად მიუვლენდათ.

— თქვენც ბეჯითად იყავით. და როცა ჯარსა და ავეტიქას გამოგიგზავნით, მაშინ როგორც მოგწეროთ, ისე მოიქეცით და ყველას ასე გამოუცხადე, რომ ჩვენგან დიდი წყალობა დაემართება ყველას. თქვენც ასე იცოდეთ.

თავიანთ ამბავს ნუ მოაკლებდნენ, უსათუოდ სანუგეშოსა და სასიხარულოს, თორემ ბარიდან მხოლოდ სიხარულის ბარათებს რომ უნდა დალოდებოდნენ, დიდი რამ ჩიჩინი აღარც უნდოდა.

როგორც რისხვა ღმრთისა დაეცა და რამდენიც მოკვდა, ეს ხომ მოგწერეთო...

დიმიტრი ორბელიანი სულ სხვა სურათს წარმოუსახავდა მოხსენებით ბარათში სიმონოვიჩსა და რტიშჩევს: ბატონიშვილის ხროვა მიმოფანტულია, თვითონ ბატონიშვილი კი უკიდურეს ყოფაშია ჩავარდნილიო.

ეს სწორედ 20 სექტემბრის ბრძოლაა, შილდის ირგვლივ რომ გამართულიყო და... ორივე მხარე თავისთვის მიითვლიდა გამარჯვებას.

აქეთ — ღვთის რისხვა დავატეხეთო;

იქით კი — მიმოვფანტეთო.

დავით ბატონიშვილის მონათხრობი ორივეს გვამცნობდა, „ღვთის რისხვასაც" და „მიმოფანტვასაც", რაკიღა ბრძოლის ბედი სწორხაზობრივი არა ყოფილა და გამარჯვებაც ხელიდან ხელში გადადიოდა.

— მაშინ შილდა განამაგრეს კახთა. მივიდა ტიხანოვცკი ვენახების ორღობით და რა შიგ შევიდა ორღობეთა, ეკვეთნენ კახნი ვენახებიდან, იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ ორასამდე სალდათნი და მოკლეს კაპიტანი ერთი და აფიცერი ოთხი.

მაგრამ შემდგომ:

— იხილა-რა ესე ტიხანოვცკიმ უკუნქცევაი მხედრობისა თვისისა, განფიცხნა ფრიად, რამეთუ იყო ესე რუსთა შორის ყოველთა უმამაცესი, მოიკრიბნა კვალად მასვე დღესა მხედრობანი თვისნი და ეკვეთა კვალად კახთა მუნვე შილდას. იძლივნენ კახნი და ლეკნი. მოკლეს რუსთა ლეკთა მძღვანი მისაილ ბელადი და დასჭრეს ერასტიშვილი ალექსანდრე მუხლში, აღიღეს შილდა და მოსწვეს სრულიად, ხოლო ალექსანდრე ძლეული მივიდა საბუეს და დადგა მუნ.

და დასძენს იმასაც, რომ ტიხანოვსკი გამოსცლია შილდას და დამდგარა ყვარელში, რადგანაც კახნი ძლიერ განუმძვინვარებია შილდის გადაწვას და მათთან ბრძოლა პოლკოვნიკს ვეღარ გაუბედავს მცირე მხედრობით.

ასეა თუ ისე საბოლოო გამარჯვება მას დარჩენია და ეგაა და ამ წარმატებას რომ აუწყებს დიმიტრი ორბელიანს, არც ცრუობს და არც არაფერს აჭარბებს, ხოლო ალექსანდრეს ბარათში აღნიშნული სტრიქონები კი ნაწილობრივ ამჟღავნებენ სიმართლეს და სულ ცოტათი ალამაზებენ ბრძოლის შედეგს.

ტაქტიკური მოსაზრებით ჩაწერილს უფრო მოგვაგონებს ის პასაჟი და ეგებ არც იყოს გასამტყუნარი შუაგულ ომისას, რათა მის მომხრეებში საბრძოლო სულისკვეთება არ დაეცეს, წინააღმდეგობის ჟინი არ წახდეს, მითუმეტეს, რომ ალექსანდრეს არც უფიქრია ბრძოლის შეწყვეტა და შილდის შეტაკებას მომავალ შეჯახებათა პრელუდიად სახავს.

თუმც უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ მოვლენათა შუაგულში, გაცნაურდება, რომ ბატონიშვილს რაღაც ტაქტიკური მოსაზრებანი თუ პროპაგანდისტული მანევრები არც სჭირდებოდა.

ღრმად ჩახედვისათვის კი თვითონ პოლკოვნიკის წერილი გვეხმარება, თავს რომ იდებდა, გავიმარჯვეო. მაგრამ ვეღარც ის დაეფარა, რომ ხეობაში მდგარ ბატონიშვილთან გროვდებოდა ყოველი გაღმა ალაზნელი.

— მე ჩემი რაზმით დავიხიე მოწინავე პოზიციებიდან და გთხოვთ იჩქაროთ ჯარებით ჩემსკენ წამოსვლა, რადგანაც ყველა მცხოვრები ჩვენ გვტოვებს, მასთან გარბიან და ცდილობენ, რომ მე და ჩემს რაზმს ალაზნის გადალახვისა და გზის გაგრძელების საშუალება არ მოგვცენ.

პიროსის გამარჯვება მოუპოვებია ტიხანოვსკის, თორემ თუნდ მისი ბარათის რაკურსიდანაც რომ გავხედოთ იმჟამინდელ რეალობას, რა ვიფიქროთ, ვინ ჩავარდნილა უკიდურეს მდგომარეობაში და ვის ემუქრება განადგურების საფრთხე — რუს პოლკოვნიკს თუ ქართველ ბატონიშვილს?

იმერეთიდან საგანგებოდ გამოძახებულიყო სიმონოვიჩი, რათა ტფილისის მართვა მას ჩაბარებოდა.

პოლკოვნიკი პეჩორსკი კი იმ დავალებით გადასულიყო ქართლიდან არაგვის ხეობაში სოფელ ბულაჩაურის ხელში მოსაგდებად, რათა ანანურ-თიანეთის მიმოსვლა გადაეკეტა და სამხედრო გზისთვისაც მეთვალყურეობა გაეწია მაშფოთართა დასაბრკოლებლად. ამასთან, თუკი შემოუთვლიდნენ, მალევე აშველებოდა თიანეთის მიდამოებში მოქმედ რუსის მხედრობას.

ერთიერთმანეთზე უარესი ცნობები მოუვიდოდა მთავარმართებელს.

აქ ყაზახის დისტანციის აგილარებმა შემოუთვალეს უარი 300 ცხენოსნით დახმარებაზე, იქ ბორჩალოელები დამდგარიყვნენ უარზე ხუთასი მანეთისა და ხაზინისათვის დაწესებული პურის გადახდაზე. ეს 2000 ჩერვონეციც რომ უქმად იდო ბატონიშვილის ვერაგულად შეპყრობისა თუ სულაც მოკვლის მოლოდინში?!.

აღმოჩნდებოდა, რომ კიდევ ეს უარესი ცნობები ერჩივნა სრული დუმილის ჩამოწოლას, ბაიბურშიც რომ აღარ იყვნენ, რა ხდებოდა ასერიგად ამღელვარებულ კახეთში.

თადია და ომან ჩოლოყაშვილებს ისეთი მოხერხება და ენერგიულობა გამოეჩინათ, ტფილისსა და კახეთს შორის მიმოსვლა თავიანთ ხელ-

ში მოექციათ და მათი რაზმები ისე იცავდნენ ქართლიდან გადმოსასვლელ გზებს თიანეთისა და თელავისაკენ, რომ მათი გარღვევა საძნელო გახლდათ და ამიტომაც მოუწევდა სიღნაღის დასაშოშმინებლად წამოსულ რუსის მხედრობას პატარძეულის მიდამოებში ისეთი შეტაკება ამბოხებულებთან, რომ ეგერთა პოლკის მოუშველიებლად წინ გამლწევები აღარ იყვნენ. დამხმარე ძალის გამოჩენის შემდგომ კი მიატანდნენ სიღნაღამდე, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ ედოთ და ტიხანოვსკის ჯართან შესაერთებლად მიმავალთ მაშინაა, შავტყეში ბატონიშვილი რომ გადაუდგებოდათ და კუდით ქვასაც ასროლინებდათ.

სოფელ კალაურთან დაბანაკდებოდა დიმიტრი ორბელიანი, ველისციხის მახლობლად, ალაზნის იქითა მხარეს ტიხანოვსკი კი გამოჩნდებოდა, მაგრამ შეერთება გაუძნელდებოდათ, რაკიღა ახაშენის მახლობელ მთაზე ალექსანდრეს დაეცა ბანაკი, ქიზიყელებთან ერთად ქართლელ თავადებსა და ლეკებსაც იკრებდა გარს და ალაზნის ორივე მხარეს დაეშვებოდა, როგორც კი საჭიროებას დაინახავდა.

ველისციხეს რომ გადაწვავდა ორბელიანის რაზმი, ალაზნის გადასალახავად აჯანყებულებთანაც მოუწევდა მწვავე შეტაკება და გარღვევით გაარღვევდა მათ მწყობრს.

ეს 1 ოქტომბერს მოხდებოდა, და შეერთების შემდგომ ორბელიანი სოფელ საბუეში მიიჭრებოდა, მაგრამ იქ მხოლოდ ამბოხებულთა მცირე რაზმს წააწყდებოდა. საბუესაც არ დაინდობდა და გადაწვავდა, ენისელის მოსახლეობას ერთგულების ფიცს დაადებინებდა და კვლავ ველისციხისაკენ გამობრუნდებოდა, ალექსანდრეს კვალს დაეძებდა და კიდეც მიაგნებდა ტოლნიანის ფონთან დაბანაკებულს.

5 ოქტომბრის ბრძოლა სანავარდოსთან ბატონიშვილს ამბოხებულთა კიდევ ერთ წარმატებად დაამახსოვრდებოდა, დიმიტრი ორბელიანი კი თავის გამარჯვებად მიითვლიდა: ბატონიშვილის მხარეს მებრძოლ ლეკთა ოცამდე დროშიდან 8 ხელთ ვიგდე და აჯანყებულთა მთელი ბანაკიც დავითრიე ნაბდებიან-ქურქებიან-პურიანადო, დახოცვითაც ბევრი დავხოცეო, — თავს იწონებდა ხელისუფლების წინაშე, მაგრამ ყველაზე სატრაბახო რაც უნდა ჰქონოდა და რისთვისაც სულს ლევდა, ის კი ვერ აეხდინა. ვერ იგებდა, სად ქრებოდა ეს ალექსანდრე ბატონიშვილი, ახლა შილდის თავს რომ დაბანაკებულიყო და ლეკთა რაზმის შემომატებას მოელოდა.

შილდა ყელზე დადგომოდა რუსთაგან აღზევებულ ქართველ გენერალს და სასტიკ შურისძიებასაც ჩაითქვამდა — ცხენს თუ ვერ მიწვდომოდა, უნაგირს ხომ მაინც დაამტვრევდა.

ან ბატონიშვილის მოხელეთება რა გამხდარიყო, ან მისი სახალხო ლაშქრის პირწმინდად განადგურება კარგად გაწვრთნილი რეგულარული ჯარის მიერ, ასერიგად რომ სჭარბობდა რიცხოვნობით მეამბოხეებს?

ნიკო ბერძენიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილის საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკას მისი სამხედრო ტალანტითა და გამჭრიახობით ახსნიდა:

— ნიჭიერმა სარდალმა თავისი უპირატესობანი დაუპირისპირა. ბატონიშვილმა ორბელიანს პარტიზანული ომი აჰკიდა.

ისტორიკოსები სწორედ პარტიზანული ომის თავისებურებით ხსნიან იმ წინააღმდეგობასაც, რაც შეიმჩნევა ერთი და იმავე ბრძოლის ბატონიშვილისეულ და რუსი სამხედრო ჩინოსნების აღწერა-შეფასებას შორის, ისინი ეგებ საგანგებოდაც არ აყალბებდნენ რეალურ სურათს, როდესაც აჯანყებულნი ყველა შეტაკებისას დამარცხებულად ეჩვენებოდათ... არადა, ამბოხების მსვლელობასაც საშველი რომ ვერა და ვერ დააყენეს.

ბატონიშვილს ლაშქარი ცხენოსნებით რომ შეედგინა, სწრაფადაც დაქროდნენ, რუსის ფეხოსნები კი ზოზინით დაჰყვებოდნენ მეამბოხეებს, თანაც გენერლები მათ დაცალკევებას ერიდებოდნენ და სხვა გზა არ ჰქონდათ — კვალდაკვალ ვეღარ მისდევდნენ უეცრად გაფანტულ მოწინააღმდეგეს.

და დიმიტრი ორბელიანი ყოველი შეტაკების შემდგომ თავის „საბოლოო გამარჯვებას“ რომ უპატაკებდა მთავარმართებელს, მისდა გასაოცრად და სამწუხაროდ, „საბოლოოდ დამარცხებული“ ალექსანდრე ბატონიშვილი მეორე დღესვე „სადმე მოფარებულში“ ზურგზე ბოლს ადენდა მრისხანე გენერალს.

ეს ფრაზები პირდაპირაა გადმოტანილი აკაკი გელაშვილის მონოგრაფიიდან, ვისი ირონიაც აბიაბრუებს არა იმდენად რუსის ჯარის უფროსობას, რამდენადაც რუს ისტორიკოსებს, რომელთაც არაფრისდიდებით არა სურთ დაუკვირდნენ აჯანყებულთა ბრძოლის თავისებურებას, მის პარტიზანულ სარჩულს და ალექსანდრეს რაზმების სწრაფ უკუქცევას მის დამარცხებად სახავენ და, ამასთან, ჯიუტ დუმილს ამჯობინებენ რუს სალდათთა და ოფიცრობის საკმაო დანაკარგების შესახებ.

დიმიტრი ორბელიანის მწარე წუწუნი არამარტო მთავარმართებელს აფორიაქებდა, სულ თუ იმარჯვებს, რაღას მოთქვამს და ამბოხებაც რატომ ვერ ჩაუქრიაო, არამედ რუს მკვლევარებსაც არ ეჭაშნიკებათ, მაგრამ ვეღარც გაუქრიათ სამეცნიერო მიმოქცევიდან.

— ბატონიშვილი, ჩემგან შეწუხებული, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის. ჩემი მცირე რაზმი კი, რომლის გაყოფაც კრიტიკული მდგომარეობის გამო მდინარის ორივე მხარეს სამოქმედოდ შეუძლებელია, და მეც მივდევ მას, ვკარგავ ხალხს, ჩემს წინააღმდეგ მთელი ერია აღმდგარი, მას ყველგან ღებულობენ, და ადვილად ამიტომაც მისხლტება.

რა უკვირდა ნეტა?

მართლა ხომ არ ეგონა, რომ ქართველობა მოსურნე გახლდათ სახელმწიფოს დაკარგვისა და ახალი რეჟიმის და მხოლოდ მაშფოთართა მცირე გუნდი ურევდა ქვეყანას?

ალექსანდრე ბატონიშვილს ყველგან ექნებოდა ბინა ამ მიწა-წყალზე, აბა, რა ეგონათ?!.

დამატებითი ჯარი და დამატებითი ჯარიო, გაუთავებლად რომ ითხოვდა დიმიტრი ორბელიანი, თან ფიქრობდა, ემანდ არ ეგონოთ, ჩემით ვერ ვახერხებ ბატონიშვილის დამარცხებასო, და მერამდენედ გაემეორებინა: ხალხს მათი დანახვა გულში შიშს ჩაუყენებს, ბატონიშვილს აღარ მიუდგებიან და მასაც აქეთ-იქით მიმოსვლის საშუალება აღარ ექნებაო.

ნეტა მფრინავი ცხენის ლეგენდას რაღას დააკლებდნენ ის ახალ-ახალი რაზმები, მითოსშიც ხომ ვერ შეეჭრებოდნენ?!.

მოიწევდა 14 ოქტომბერიც.

დაჭრილების გადაყვანას ეპირებოდა ორბელიანი თელავში, როდესაც შეატყობინებდნენ, ბატონიშვილი შილდაში იმყოფება ლეკთა რაზმებთან ერთადო. მაშინვე გამობრუნდებოდა, ღამეს ველისციხეში გაათენებდა და სისხამზევე წამოიწყებდა იერიშს საკმაოდ გამაგრებულ სოფელზე, ბაღ-ვენახებში ყოველ ნაბიჯზე ალექსანდრე ხერგილებსა და მიწაყრილებს რომ დაახვედრებდა, და ისე შეკავშირებულ კახელებსა და ლეკებს, იმგვარი თავგამეტებით მებრძოლთ, ტყვეობას ხიშტზე წამოგება რომ ერჩივნათ და რუსის ჯარს დიდი ომი დასჭირდებოდა ბატონიშვილის გამოსადევნად შილდადან.

სოფელს კი დატოვებდა, მაგრამ შორს არსად წავიდოდა, ხეობის თავში მთასა და ტყეს მისცემდა თავს.

თან დაიმედდებოდა დიმიტრი ორბელიანი, ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი დაკავებულ-ამოქოლილი მაქვს და სადღა გამექცევაო, თან გული საგულეს არ ექნებოდა, რაღაცას ჩაიდენს, მაგის დაოკების იმედი არ არის, თუ ძებნაში დიდი შენაერთები არ ჩაერთოო.

სოფელზე ხომ უნდა ამოეყარა ჯავრი, და სიბრაზესთან ერთად რამხელა ნეტარებას გაჰხვევდა მთავარმართებლისადმი წარდგენილ პატაკში, თითქოს მთელი ქვეყანა იბუგება ხანძარშიო.

— იმის გამო, რომ შილდამ ორჯერ მიიღო ბატონიშვილი და ორჯერვე მოსახლეობა ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, მე სოფლის საფუძვლიანად ამოგდება გადავწყვიტე. გავანადგურებ არამარტო სახლებს, არამედ ბაღ-ვენახებსაც, მეორე დღეა სოფელს ცეცხლი უკიდია და თანდათანობით ნაცარტუტად იქცევა. ამჟამად პოლკოვნიკი ერისთავი გავგზავნე მთელი ბაღ-ვენახების გასაპარტახებლად.

თავის გამგზავნზე ნაკლები ულმობელობით არ გამოირჩეოდა მიხეილ ერისთავი, ვინც დიდ პატივად მიითვლიდა ამისთანა დავალებას და ისეთი ენერგიულობით მოჰკიდებდა ხელს, თითქოს შაჰ-აბასის დრო დაბრუნებულიყოს. თუმც რაღა თითქოს — დაბრუნებულიყო კიდეც და სულაც გადაჭარბებულიყო, და ნეტარების ბურანში გახვეულსა და აღზევების ოცნებებით გარსმოჯარულ პოლკოვნიკს უეცრად ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმები შემოადგებოდა სამი მხრიდან, 2000 კაცი რომ შემომატებოდა ლეკთაგან, მათ იმედად ჩამოჭრილიყო შილდაში და მწარედაც ანანებდა მიხეილ ერისთავს სოფლის გაპარტახებას, დიმიტრი ორბელიანს სასწრაფოდ რომ არ მისვლოდა შიკრიკი და ისიც მალევე არ გამოჩქარებულიყო.

კვლავ გაუჩინარდებოდა ალექსანდრე.

კვლავ ტყვია და ცეცხლი დაედევნებოდა.

კვლავ გადაიჯეგებოდა სოფლები.

და ბატონიშვილი ერთბაშად მკვეთრ გადაწყვეტილებას რომ მიიღებდა, აქაურობას დატოვებდა და სიღნაღისაკენ აიღებდა გეზს, რუსი ისტორიკოსები მოუფიქრებელ ნაბიჯად შეუფასებდნენ, მაგრამ ქართველ ისტორიკოსთათვის იმთავითვე ცხადი გახლდათ, რომ იმ ვითარებაში ეს იყო ყველაზე მართებული და გონივრული შეტრიალება ბრძოლის ასპარეზისა.

ჯერ ერთი, ისე ნადგურდებოდა გაღმა სოფლები და მკვიდრნიც ისე იჟლიტებოდნენ მის კვალს დადევნებული რუსის ჯარის მიერ, იქაურობიდან ალექსანდრეს გაცლაღა თუ ჩააქრობდა ამ სისასტიკეს; და მეორეც — სიღნაღი სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი გახლდათ და მისი მოპოვებით ტფილისთან შემაკავშირებელი ძაფები გაწყდებოდა.

ორი-სამი ბატალიონი ქვეითი ჯარი და კავალერიაო, — ემუდარებოდა ყარაბაღიდან ახალდაბრუნებულ რტიშჩევს ორბელიანი და პირდებოდა, რომ მათ ადგილზევე გამოკვებავდა და ხაზინას ტვირთად არ დააწვებოდა.

რატომაც არა — ისედაც გამწარებულ-გაჩანაგებული მოსახლეობის ხარჯზე უნდა მოღონიერებულიყო ქვეყნის თავისუფლებისათვის

მებრძოლთა გასაჟლეტად შემართული უცხო ჯარი, კვლავაც მფარველის ნიღბით მოარული.

გაწამაწიაში ჩავარდებოდა მთავარმართებელი, აქეთ კახეთი მისახედი და იქით კიდევ სამხედრო გზა და მთელი ის მიდამო, რომელიც გორჯასპ ნათელიშვილისა და პაპოა აბელიშვილის თავდადებული გარჯით ლამის ერთიანად აჯანყებულთა ხელში გადასულიყო.

ხევი და მთიულეთი ბობოქრობდა და რევანშისაკენ მიილტვოდა, და თუმც დარიალის მთავარი ხიდი ჯერაც მთავრობას ეპყრა, მიუხედავად ამბოხებულთა ორგზისი თავდასხმისა, მაგრამ კაიშაურიდან დუშეთამდე ხომ მაინც შეძლეს პატრიოტებმა ყველა ხიდის დანგრევა და სექტემბრის მიწურულს ფასანაურისათვის ალყის შემორტყმა.

რამდენ ხანს უფრთხილდებოდნენ გაბრიელ ყაზბეგს, ეგებ თვითონ არც სჯეროდათ მისი მიმხრობისა, მაგრამ ალექსანდრეს ნებას ვერ გადავიდოდნენ და ელოდნენ, რითი გათავდებოდა ბარათების დაუსრულებელი, ცალმხრივი დენა.

რითიც უნდა გათავებულიყო.

ეგაა, ბატონიშვილს სასაყვედურო აღარაფერი ექნებოდა საკუთარი თავისადმი, რატომ ავჩქარდი, იქნებ ბოლოს მაინც მომეტეხა, რაც უნდა იყოს ქართველი კაცია და ერეკლეს წინაშეც დამსახურებული, თვითონაც, თორემ მამამისი ხომ იყო და იყოო.

მეათე ბარათიც უპასუხოდ რომ დარჩებოდა, ალექსანდრე შეუთვლიდათ, ისე მოეპყარით, მოღალატეს როგორც შეჰფერისო.

ორჯერ მიუცვივდებოდნენ ამბოხებულნი გაბრიელ ყაზბეგს და, თვითონ თუ ვერ იგდებდნენ ხელთ, სახლ-კარს კი აუკლებდნენ. აქ გაჩერება აღარ ივარგებდა და ხევის მებატონე ლარსში გაიხიზნებოდა ცოლ-შვილიანად, ჯანხოტ დუდაროკოს სთხოვდა თავშესაფარს.

არ შეარჩენდათ გაბრიელი ამ თავგასულობას და აუცილებლად მიაგებდა სამაგიეროს. ეს ჟინი ამხნევებდა და რუსთაგან ახალ-ახალი წყალობის მოლოდინი, მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლებისათვის სასიკეთო პირი არ უჩანდა მოვლენათა მსვლელობას და გაბრიელსაც თავისი იმედ-ოცნება ცოტა იქით უნდა გადაედო, როდესაც სამთავრობო ჯარი ჭკუას ასწავლიდა აჯანყებულებს და ხევის მებატონის გამოცდილებასა და ერთგულ სამსახურს კვლავაც დაისაჭიროებდა.

20-კაციანი რაზმი საგუშაგოთა დასათვალიერებლად რომ დაიძროდა, ფასანაურთან მეამბოხენი შეუკრავდნენ გზას და მეთაურსაც იმსხვერპლებდნენ, პეტერბურგისაკენ მთავარმართებლის მიერ მივლენილ კურიერსაც და რამდენიმე სალდათსაც, მათი გვამების წამო-

საღებად ახალი რაზმი რომ გაემართებოდა, კაიშაურიდან ანანურამდე მთელი გზა შეკრული დახვდებოდათ, და მათ საშველად ბულაჩაურიდან პოლკოვნიკი პეჩორსკი რომ გაეშურებოდა, ფასანაურთან ისიც ალყაში მოემწყვდეოდა.

საგუშაგოებში თუ ჯერაც რუსული გარნიზონები განლაგებულიყვნენ, თვითონ გზა ამბოხებულთ ეპყრათ, და ტფილისში მობრუნებულ რტიშჩევს აქაურობასა და ვლადიკავკაზს შორის კავშირი კვლავაც გაწყვეტილი დახვდებოდა.

სიმონოვიჩს ბორჩალოდან რომ არ გამოეძახა სამი როტა და ფასანაურისაკენ არ გაეგზავნა, მოსალოდნელი გახლდათ, რომ დუშეთიც ბატონიშვილის მეომართა ხელში გადავიდოდა, მერე კი შეუძლებელი შეიქნებოდა აჯანყების ცეცხლის შეჩერება, რაკიღა ქსნის ხეობაშიც მაშინვე აბრიალდებოდა, იქიდან კი მთელს ქართლს მოედებოდა.

რა ფუჭი გამოდგებოდა ქართლელ თავადთა დასაშინებლად მათ სახლ-კართან ზარბაზნების მიგორება!..

და დაფეთებული მთავარმართებელი სამ ბატალიონსაც გაგზავნიდა სამხედრო გზის გასაწმენდად. ამასობაში კი პოლკოვნიკი პეჩორსკი ორივე მხრიდან შემოუტევდა არაგვის ხეობას — ტფილისიდან დაძრული რაზმების შემწეობითაც ვლადიკავკაზიდანაც უკუაქცევდა ამბოხებულებს და საკმაო შევსებით გულმოცემული ხევისა და მთიულეთის სოფლებს შეესეოდა.

დაიწყებოდა კონტრიბუციის აკრეფა.

მძევლების აყვანა.

და რუსხელმწიფის წინაშე დადებული ერთგულების ფიცის განახლება.

და კიდეც ამოჰყოფდა თავს მდუმარებიდან გაბრიელ ყაზბეგი, რომელსაც ძალიან დაისაჭიროებდა ხელისუფლება და ისიც თავს არ დაზოგავდა, რათა მთელს ამ მხარეში წინააღმდეგობის კერები პირწმინდად მოსპობილიყო, არამარტო იარაღი დაეყარათ, მორალურადაც გატეხილიყვნენ. ამიტომაც ითხოვდა, რომ მოსახლეობას მარტოდენ ხელმეორე ფიცი კი არ დაედო, არამედ სოფლის ქევხა-მამასახლისები, სასულიერო პირნი და მოხუცები მორჩილების ნიშნად კისერზე ხმალშემობმულები გამოცხადებულიყვნენ და შეწყალება ევედრათ.

ამ უმძიმესი, დამთრგუნველი აქტის შემდგომ აჯანყების ბაირაღის ამფრიალებელნი აღარ იყვნენ.

გატყდებოდა ეს მამაცი მხარე, გატვრინდებოდა და ქედმოდრეკით მიაჩერდებოდა ახალი რეჟიმის სულ უფრო განმტკიცებას, და არა

მხოლოდ ამჟამად, კახეთი ჯერაც რომ თავგანწირვით ჩაბმულიყო უთანასწორო ომში და წონასწორობას აკარგვინებდნენ ვითომდა გამარჯვებულ რუსის ჯარს, არამედ მათი მღელვარების გარეშე გადაიკეცებოდა ათწლეულები, ვიდრე ალექსანდრე ყაზბეგი შეახსენებდათ იმ ჰეროიკულ ხანას, რომლის ტრაგიზმშიც პაპამისს ასე საბედისწერო როლი შეესრულებინა.

გაბრიელ ყაზბეგს მართლაც რომ არ შეძლებოდა ორივე აჯანყების — 1804 წლისაც და 1812-ისაც — წარმატებით წარმართვა და დაგვირგვინება, განა ალექსანდრე ბატონიშვილი არ მოერიდებოდა საკუთარი თავმოყვარეობის ფეხქვეშ გათელვას?!. სახრჩობელაზე ავიდოდა წარბშეუხრელად, ოღონდაც მის თავმოყვარეობას არაფერი შეხებოდა, და ამ შემთხვევაში კი, საქართველოს სახელმწიფოს ამოგებას რომ მოელოდა, რა დროს თავმოყვარეობა იყო!..

ოქტომბრის დამლევისათვის გენერალი სიმონოვიჩი არამარტო ტფილისი-კაიშაურის გზის ხელახალი დაპყრობით მოიწონებდა თავს, არამედ უღლისის მთაზე გამართული შეტაკების წარმატებით დასრულებითაც. იქ ომან ჩოლოყაშვილს შემოეკრიბა ფშავ-ხევსურები, მიწაყრილებიცა და ხერგილებიც გაემზადებინა და ხანგრძლივი ბრძოლისთვისაც მომზადებულიყო, აკი აქამდე შიშის ზარს სცემდა რუს მხედრობას, მაგრამ იწურებოდა აჯანყებულთა ძალ-ღონე და ამიტომაც ვეღარ გაუწევდა აქ მისთვის ჩვეულ მედგარ წინააღმდეგობას.

გათამამებული სიმონოვიჩი კი არამარტო კონტრიბუციას წამოკრეფდა თიანელ მოსახლეობაში, აქ ყოველივეს მოგვარებულად მიიჩნევდა და კახეთისაკენ მიაპყრობდა მზერას: თუ საჭირო შევიქენ, წუთსაც აღარ დავახანებო.

დიმიტრი ორბელიანი, მას მერე, რაც ოთხი დღე ამაოდ ელოდა ბატონიშვილის გამოჩენას ველისციხეში და ტოლნიანის ფონთან ეყუდა, იმ უსიამოვნო ცნობის შეტყობისთანავე, სიღნაღის ციხე ვაივაგლახით იგერიებს აჯანყებულთა შეტევებს და მარცხისთვისაა განწირულიო, აჩქარებით გაემართებოდა ქალაქისაკენ, რომელიც ქვეითთა სამი ასეულითა და ორი ზარბაზნითაც მომაგრდებოდა და უფრო მეტად მოძლიერებისათვის სოფელ ვაქირს გადაწვავდა, აჯანყებულთათვის ერთ-ერთი საყრდენი რომ გამოეცლია.

კახელთა და ლეკთა გაერთიანებული ჯარი ნუკრიანიდან მიიტანდა იერიშს სიღნაღზე, მაგრამ უკუქცევა მოუწევდათ, ხოლო რუს ხელისუფალთ და შემდგომ უკვე ისტორიკოსებსაც თავმოსაწონებლად

დარჩებოდათ: ქალაქის მკვიდრნი, განსხვავებით წინა ბრძოლისაგან, სამთავრობო ჯარის მხარდამხარ იდგნენო.

ქვეტექსტი გამჭვირვალეა — სიღნაღელები აღარ ენდობიან გუშინ მათ მიერაც გმირად აღიარებულ ბატონიშვილს, და არამცთუ ამბოხების დროშას აღარ აფრიალებენ, სულაც მის ჩასახშობად შემართულან. რისთვისაც წინა დღეს თავი გადაედოთ, ახლა მის გასაქარწყლებლად აღარ ზოგავენ ძალ-ღონეს, ეს კი გულისხმობს, რომ გამოერკვნენ მოჩვენებითობის, უნიადაგო მისწრაფებათა ბურანიდან და ბაგრატიონთა ნაცვლად იმპერატორის ძალაუფლება და უზენაესობა იწამეს.

ცხადია, სინამდვილეში სულ სხვა რამაა მომხდარი. სიღნაღელების ეს სრული გარდასახვა შინაგან ჭიდილს კი არ გამოუწვევია, არამედ შიშს, დიდსა და დამთრგუნველ შიშს, დედაწულიანად გაჟლეტა რომ ემუქრებოდათ — განა ახლახან არ იყო, ქართლელ თავადთა სასახლეებს მთავარმართებლის ბრძანებით ზარბაზნები რომ მიაყენეს, რათა უფრო ხელშესახებად განეცდევინებინათ მუქარის აღსრულების გარდუვალობა?

სიღნაღელებსაც თვალნათლივ გადაუშლიდნენ ასეთ შემზარავ პერსპექტივას, მორალურად გატეხდნენ, დაიმორჩილებდნენ და... საკუთარი თავის წინააღმდეგ ააღებინებდნენ იარაღს.

გუშინდელი დღე მათი რწმენა გახლდათ.

დღევანდელი დღე — ამ რწმენისათვის იარაღის დამიზნება და განადგურება ხვალინდელი დღის სახელით, იმ ხვალინდელის, რუსული რეჟიმი რომ წარმართავდა, ალექსანდრე ბატონიშვილს კი განზე რიყავდა და ფუჭი და ამაო მცდელობებისათვის წირავდა, ვიდრე სადმე არ ჩაკლავდნენ მუხანათურად ანდა სასოწარკვეთილებაში არ ამოხდებოდა სული.

მაგრამ ხომ უნდა დამდგარიყო დღე ზეგინდელიც?..

ნეტა ხვალინდელის უშუალო გაგრძელებად თუ?..

თუ გუშინდელის აღდგენად — მართალისა და ბუნებრივის, თორემ ხვალინდელი შენს გასაქრობად მოწოდებულიყო, ერთბაშად ჩამომდგარ წკვარამ ღამეს თან რომ უნდა ნაეღო ყოველივე შენეული, თავისებური, თვითმყოფადი, და ახალ განთიადს იმპერიის სამხრეთ პროვინციად შეგებებოდი, სახელმწიფოებრივი წარსული რომ აღარც გახსოვდა და ახალ ცხოვრებას ახალ გარსში იწყებდი.

ამ ახალი გარსით იმ წუთას სიღნაღელებიც შემოსილიყვნენ, იძულებით და გულში ცრემლის ღვრით, განსხვავებით იმ ქართველთაგან, რომელთა ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებიც დიმიტრი ორბელი-

ანი, გაბრიელ ყაზბეგი, ქსნის ერისთავები თუ სხვაც არაერთი გახლდნენ და რუს მმართველებთან ერთად ამკვიდრებდნენ იმ ახალ რეჟიმს, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი შეხლოდა თავგანწირული კვეთებით და თუ ისევე სულაც ვერ დაამხობდა, როგორც ამ რეჟიმმა სამეფო და დინასტია დაუმხო, მითოსით მაინც განაგრძობდა დაუმცხრალ ბრძოლას და თავისასაც მაინც გაიტანდა, თორემ ამჟამად უკვე ატყობდა, ბედის სასწორი ახალ მოწესთა მხარეს გადაქანებულიყო და იმედები თვალდათვალ იფანტებოდა, ეს წელი თითქოსდა საბედისწერო რომ უნდა ყოფილიყო იმპერიისათვის.

ნაპოლეონ ბონაპარტეს ვერ გაეტეხა მისი ძლიერება.

ალექსანდრე ბატონიშვილი რაღას გატეხავდა.

ამჟამად სოფელ მაღაროში ინარჩუნებდა თავს, მაგრამ ზურგიდანაც რომ შემოუვლიდნენ (გზად ბარეღამ მაჩხაანსაც გადაწვავდნენ) და პირისპირაც შემოუტევდნენ, უკუქცევას ამჯობინებდა და ჩალაუბნის ხეობაში თავშეფარებას, თუმც ერთ ბრძოლას კი გადაიხდიდა ზედ ხეობის პირას და გამოდევნიდა მდევრებს, თვითონ კი უფრო სიღრმეში დასცემდა ბანაკს.

დავით ბატონიშვილი ჩალაუბნის ხეობას რომ აღწერს, როგორც ბუნებრივ ციხესიმაგრეს, ვიწროსა და ტყით დაფენილს, მრავალ შტოდ რომ იყოფოდა და იქ თავშეფარებულ მეამბოხეებს დიდხანს შეეძლოთ გაძლება და თავდამსხმელთა მოგერიება, ბრძოლის ლაკონიურ, ოღონდ საკმაოდ მღელვარე სურათსაც აღადგენს, თუ როგორ გაჰყო ორბელიანმა ორად თავისი მხედრობა, წინა მხრით გენერალი ტიხანოვსკი წარავლინა, თვითონ კი ზურგიდან შემოუარა, მაგრამ სიღნაღთან წარმატებული ეს მანევრი ველარ გაიმეორა:

— ეკვეთნენ ლეკნი კახითურთ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. თუმცაღა მხნედ უყვეს ზედა დასხმაი რუსთა, გარნა იძლივნენ მუნ რუსნი და ორსავე მხარესა და მოსწყდნენ უმეტეს სამასისა რუსნი, ხოლო დიმიტრი, ვერა რისა მყოფელი, უკუნიქცა და მოვიდა კელმეჭურს და დადგა ლაკბეზედან.

ალექსანდრე ფრონელი რუს ისტორიკოსთა მონათხრობს რომ გაეცნობოდა, ირონიულად დასძენდა:

— გამოდის, რომ ჩალაუბანში ბრძოლა არა ყოფილა, ალექსანდრეს დაუცლია ბუნებით მაგარი ადგილი უომრად და მანავს წასულა.

მაშ დავით ბატონიშვილი რაღას აღწერდა?

ეგ არის, რასაც ქართული მატიანე იუწყებოდა, სასირცხვილოდ დაურჩებოდა დიმიტრი ორბელიანს და... ამიტომაცაა, რომ მთავარ-

მართებელს არა აცნობა რა; და რაკიღა შესაფერისი რაპორტი არ დაწერილა, ეს ეპიზოდი აღარც რუს ისტორიკოსთა ნაშრომებში გადასულა, ცალმხრივად შედგენილ ქრონიკებში, მართლაც რუსთა საამოდ და ქართველთა თავგანწირულობისათვის სათაკილოდ რომ გათვალისწინებულიყო.

სათაკილოდ კი ის რჩება მაშინდელ ქართულ რეალობას, რომ სიღნაღელ მოქალაქეებს კვლავაც ძალიან გამოუდევთ თავი და ყველაზე ღრმად ისინი შეჰყოლიან ხეობაში ბატონიშვილს, ეგებ მისი შეპყრობით საბოლოოდ აღვიდგინოთ სახელი ახალ მმართველთა თვალშიო. შიშსა და მუქარას დიდი ძალა გამოეჩინა და ამათაც ამიტომ მოენდომებინათ ახალ მმართველთა მოთხოვნის შესრულება გადაჭარბებით.

ხეობის სიღრმეში დამდგარიყო ბატონიშვილი.

ხეობის შესასვლელი კი დიმიტრი ორბელიანს შემოერკალა, მაშველ ჯარს ელოდა და სოფელს სოფელზე წვავდა, სანოვაგით აღარ მოამარაგონ ალექსანდრეო. მიმოწერაც გაეჩაღებინა დევნილ უფლისწულთან, და აღარც გვჭირდება იმ ბარათებში ჩახედვა, რათა შინაარსი ვივარაუდოთ. ბატონიშვილისაგან კვლავ მოითხოვდნენ დანებებასა და შეგუებას რუსეთში გადასახლებასთან — იქ კი მეტი რა უნდოდა, საუკეთესო პირობებს შეუქმნიდნენ. თვითონ ბატონიშვილი კი კვლავ მოითხოვდა 1783 წლის ტრაქტატის მუხლების დაცვას, სხვას ხომ არაფერს ითხოვდა, დაე რეალბაში განხორციელებულიყო ის, რაც ორ მონარქს ხელშეკრულებაში ჩაეწერა.

რუსეთში რა დარჩენოდა, აუცილებლად საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო, თანაც არა გუბერნიებად გადაკეთებულში, არამედ აღდგენილ სამეფოში, და მერე გინდ თვითონაც გამეფებულიყო და გინდ სხვა ბაგრატიონი ასულიყო ტახტზე, ეს იმდენად აღარ ანაღვლებდა.

ეს ვინ არის, რატომ ვერ იგებს, რუსეთს რომ ვერსად წაუვა და ისარგებლოს იმპერატორის გულმოწყალებით, მართლაც სიკეთის განსახიერებისა, არეულობების მოწყობას რომ პატიობს, თორემ ეს რა დასანდობიაო, — ფიქრობდა დიმიტრი ორბელიანი და წყრებოდა მთავარმართებელზე, ტყუილად რას მაწერინებს ამ წერილებს, შეუსმენელს რას შეასმენო.

ეს ვინ არის, რატომ ვერ იგებს, რომ საქართველოს განუწყვეტელი ბრძოლის გარდა სხვა არა დარჩენია რა, თორემ უმეფობის პირობებში სულ გადავჯიშდებით და გადავგვარდებით და ჩვენს შთამომავლობას ბუნდოვნადაც აღარ ემახსოვრება თუ ვინ ყოფილან მათი მა-

მა-პაპანი და რარიგ გარჯილან, ქვეყანა ამ საბედისწერო ჟამამდე რომ მოეყვანათ უვნებლად და თვითმყოფადობაშენარჩუნებულიო, — ფიქრობდა ალექსანდრე ბატონიშვილი და, მიუხედავად ამდენი იმედგაცრუებისა, მაინც არ ეგონა, რომ ფუჭად ადგენდა ამ წერილებს.

არ გაბეზრებულიყო და არც გაბეზრდებოდა.

ჩამოდი პეტერბურგში და სიკეთე არ მოგაკლდება.

შეასრულეთ ხელშეკრულების პირობები.

მეფესავით იცხოვრებ.

აღდგეს საქართველოს სამეფო.

არა, მაინც როდემდე ჩარჩება ხეობაში, სხვა თუ არაფერი, შიმშილი მოუღებს ბოლოსო, — იმედოვნებდა დიმიტრი ორბელიანი, ამ თავდაჯერებით აცილებდა დღეებს, ყოველი ახალი განთიადი ახალი საწუხარის მომტანი რომ უნდა ყოფილიყო ბატონიშვილისათვის, და გარუსებული გენერალი წუთი-წუთზე რომ მოელოდა თეთრი ბაირაღის გადმოკიდებას და უკვე თვალდათვალ ზომავდა იმ წყალობას, რაც ასეთი სახელოვანი კაცის შეპყრობისათვის ერგებოდა, უეცრად ამცნობდნენ, საიდან და როგორ მოხდა, არ ვიცით და... ალექსანდრე სიღნაღში იმყოფებაო.

მოდი და ნუ დაიჯერებდი, რომ ლეკური თქმულება არაფერსაც არ აზვიადებდა და ბატონიშვილს მართლა მფრინავი რაში ჰყავდა.

ნაპოლეონიც უკვე დევნილად გადაქცეულიყო, საპატიო ტყვეობისათვის გამზადებული კუნძულ ელბაზე და რუსეთის გაამპარტავნება ახლა გენახათ თუ უნდა გენახათ.

აბას-მირზას შემოშველების მოლოდინიც წყალზე დაწერილი აღმოჩნდებოდა, რაკიღა რამდენიმე მძიმე მარცხი, რომელსაც ირანი განიცდიდა რუსი მხედრობისაგან, მას ბრძოლის განახლების სურვილს დაუკარგავდა.

ალექსანდრე შუაგული ომიდან გაცლას მაინც არ აპირებდა, ვიდრე სულ მცირე სახსარი კიდევ მოეპოვებოდა. და სიმონოვიჩის წამოსვლას რომ შეიტყობდა ორბელიანის დასახმარებლად, ჯარის ერთ ნაწილს თელავის ციხეზე იერიშს დაავალებდა მტრის ყურადღების გადასატანად, მეორე ნაწილს კი თიანეთიდან დაძრულ რუს სალდათებს შეაგებებდა გომბორზე, მაგრამ უკუქცევა მოუწევდა.

სიმონოვიჩი შეუფერხებლად მოიწევდა, სოფელს სოფელზე იღებდა, კონტრიბუციას ჰკრეფდა და ორბელიანის ჯართან შეერთებაც დროის საქმე გახლდათ.

ამ შეერთების ჩაშლა ისე მნიშვნელოვნად ესახებოდა ბატონიშვილს, რომ საკმაოდ გამაგრებულ პოზიციებს მიატოვებდა და მანავისაკენ გაეშურებოდა.

საბედისწერო გადაწყვეტილებაო, — ასე შეუფასებდნენ ისტორიკოსები ამ სამხედრო მანევრს, თუმც სხვა გზა განა დარჩენოდა, თუ არა პირისპირ თავგანწირული შებმისა? რაოდენ გამაგრებული პოზიციებიც უნდა ჰქონოდა დაკავებული, განა როდემდე გაძლებდა ალყაში — ყოველგვარ შემწეობას მოკლებული?

სიმონოვიჩისა და ორბელიანის შეხვედრა მაინც მოხერხდებოდა სოფელ მანავში, და ეს იქნებოდა ის ადგილი, რომლის მახლობლადაც 26 ნოემბერს მოხდებოდა ის გადამწყვეტი ბრძოლა, კახეთის ეპოპეას თითქმის რომ დაასრულებდა, ჰეროიკულ ამოფრქვევას ენერგიისა ჩაახშობდა და ალექსანდრე ბატონიშვილის მესიანისტურ სწრაფვას გადაულახავ დაბრკოლებად აღემართებოდა.

არც აქამდე და არც ამის შემდგომ იგი ასე ახლოს არასოდეს იქნებოდა თავისი მისიის აღსრულებასთან, მზიური მისიის, უზენაესი მნათობი რომ დაავალებდა და მფრინავი რაშითაც მოავლენდა დედამიწაზე.

თავი მეათე

ტრაგიკული ეპილოგი

ჯერ არ გაერიდებოდა თავის მიწა-წყალს, კიდევ შეეცდებოდა ბრძოლის ჩარხის შემობრუნებას მთას შეფარებული და ბარშიც გამოჩნდებოდნენ მისი რაზმები, მაგრამ ეს უფრო ეპილოგს ჩამოჰგავს, ვიდრე სრულფასოვან აქტს რამდენიმე მოქმედებიანი ტრაგედიისა, საშექსპირო თემა და მასალა რომ გახლდათ და არც გაუშვებდა ხელიდან მისი რანგის შემოქმედი, XIX საუკუნეში თუ მოუწევდა ცხოვრება და ეს სიუჟეტიც ხელთ ექნებოდა თავისი მთავარი გმირით, ახალი შექსპირის კალმით მეტად კოლორიტულ პერსონაჟად რომ გარდაისახებოდა, რაღაცით ჰამლეტსაც რომ ჩამოჰგავდა, მაგრამ მისი სული კი არ ედგა, რაკიღა ყოყმანი და ჭოჭმანი სრულიად არა სჩვეოდა, ეს მერყევი სული თეიმურაზ ხევისთავში უფრო ჩასახლდებოდა, ასეც ჩაეფიქრებინა მიხეილ ჯავახიშვილს და ასეც წარმოსახავდა იმ ხელოვნებით, თვითონვე რომ დასცემდა თავზარს თავისივე ნახელავი და ამ დამთრგუნველი განცდებიდან გამორკვევას რომ მოინდომებდა, აი, მაშინ იყო, ალექსანდრე ბატონიშვილზე რომ განიზრახავდა რომანის შექმნას, ის მიხსნის თუ მიხსნის ამ სულიერი გვემიდან, ის მომალანდებს თუ მომალანდებს ქართულ ჰეროიზმს, ის გამიცოცხლებს რაინდული ჟამის საქართველოსო.

მერე ქაქუცა ჩოლოყაშვილისაკენ გადასძალავდა ფიქრი, მაგრამ ალექსანდრეს ხატებას მაინც ვერ მოიშორებდა და მის სულსაც ჩააქსოვდა რომანში „არსენა მარაბდელი“, რომლის მთავარი გმირიც ყველაზე ნაკლებად თავის ისტორიულ პროტოტიპს ჰგავდა, იმ არსენა ოძელაშვილს, ვინც — კაცმა რომ თქვას — არც ყოფილა ლიტერატურული არსენას პროტოტიპი, თუმც მისი ეპოსი კი ერთ-ერთ შთამაგონებლად გამოადგებოდა და ძალიანაც გამოადგებოდა მწერალს.

ეს უფრო ეპილოგს ჩამოჰგავდაო...

გაჭიანურებულ, მაგრამ მაინც ეპილოგს.

და ის ხანა ალექსანდრე ბატონიშვილის გმირული კვეთებისა მართლაც ეპილოგს რომ დამსგავსებოდა, ამისათვის აუცილებელი გახ-

ლდათ ლეკთა ბელადის ალისკანტეს მოსყიდვა ჩალაურის ბრძოლის წინა ღამით, მალულად შეეპარებინათ ბანაკში მსტოვრები რტიშჩევსა და დიმიტრი ორბელიანს და ბელადისათვის ჩაეგონებინათ, ბატონიშვილი გარდუვალი მარცხისთვისაა განწირული და განა არ გიჯობს, რომ ჩამოსცილდე და შენს გზას ეწიო, მითუმეტეს, არამცთუ უვნებლად გაგიშვებთ აქედან, უხვ საჩუქრებსაც ელოდე და ჩვენს კეთილგანწყობას ხომ შეინარჩუნებ და შეინარჩუნებო.

მთლად ის ველარ ურჩიეს, ჩვენს მხარეს გადმოდი და შიგნიდან აუფეთქე ბანაკი აჯანყების მეთაურსო.

ეგებ კიდეც ურჩიეს, ასე პირდაპირ თუ არა, შეაპარეს, წყალობა მაშინ ნახე, ბატონიშვილს თუ ხელთ ჩაგვაგდებინებო — ალისკანტეს უეცარი ღალატით გაოგნებული და ამ მხრივ დაუცველი ალექსანდრე მართლაც შეიძლება დაეტყვევებინათ, რაღას უშველიდა თავისი მფრინავი რაში... მაგრამ ამდენი უკვე ველარ იკადრა ლეკთა ბელადმა, ან იქნებ თვითონ თანახმაც გახლდათ, მაგრამ თავისი რაზმელების იმედი არა ჰქონდა, როგორ შეხვდებოდნენ ასეთ დავალებას, ვინ ეგებ სიამოვნებითაც, მაგრამ უმეტესობა აბობოქრებულიყო და... არა ღირდა ზედმეტი გამწვავება და თავის ტეხა...

დაე ბატონიშვილის შესაპყრობად რუსებს ეზრუნათ, ლეკები ერთ საყრდენს აცლიდნენ აჯანყებულთ და მათგან ესეც კმაროდა. გაცლის საბაბს რა ისეთი მონახვა სჭირდებოდა, სხვა თუ არაფერი, ალექსანდრეს განუცხადებდნენ: გარდუვალ მარცხში მონაწილეობა არ გვინდაო. და იქნებ ყასიდი თანაგრძნობით არც რჩევა დაეშურებინათ: შენც რომ ხელი აიღო ბრძოლაზე, შენთვისვე ემჯობინებაო.

ღამითვე აიყრებოდა ლეკთა ბანაკი, ჭერმის ხევს გადაივლიდნენ, ველისციხეს უკან მოიტოვებდნენ და გავაზისაკენ გაემართებოდნენ, აგერ საქართველოს საზღვარსაც მიატანდნენ, ფაფრის მინდორს...

მიატანდნენ და მიეტანათ, რა კვალდაკვალ მივყვებით, რაღა საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ, რაც ბატონიშვილს უგანეს და მრისხანე მტერს პირისპირ შეატოვეს, ისტორიკოსთათვის ეგებ ზედმეტიც არ იყოს მათი მარშრუტი, ბარემ ყველაფერს მოუყარონ თავი, რა ცნობებიც მატიანეებიდან ამოიკრიბება, მაგრამ ჩვენ რა გვერჯის, ძვირფასო მკითხველო, ამ ალისკანტეს რომ არა და არ მოვეშვით, თუ მაინცდამაინც არ დაგვეშალა, ეს ჭერმის ხევი და ველისციხე გაგვეხსენებინა, ფაფრის მინდორი რაღა მოსაგონარი იყო...

არადა, ყოფილა თურმე.

ტიხანოვსკის ჯარი ჩასაფრებულიყო იმ მიდამოებში, გაშლილი ადგილი საგანგებოდ შეერჩიათ და... მოულოდნელად რომ დასხმოდნენ თავს მომავალი წყალობის თვლაში გართულ ლეკთა ბელადს, სამას კაცს მოუკლავდნენ, ვიდრე რაზმის ნარჩენებით გაასწრებდათ.

რუსებს პირობის შესრულება ყოველთვის სჩვეოდათ, როგორ არა!..და არც ამჯერად გადავიდოდნენ საკუთარი ცხოვრების წესს!..

და თუმც ალექსანდრე ბატონიშვილს საკმაო შევსება მიუვიდოდა გარეკახეთის სოფლების შემწეობით, საგარეჯოდან მარტყოფამდე სოფელი არ დარჩებოდა, რჩეული მეომრები არ მიეშველებინა მისთვის, ლეკების ღალატი ძალიან დააზარალებდა და აჯანყების ჩარხის სასიკეთოდ შეტრიალებას აღარ დაანებებდა.

ბარძიმ ჩერქეზიშვილისა როგორ ეიმედებოდა, თუ ვინმე მიაჩნდა თავის თანამდგომად და მხურვალე მეამბოხედ, მათ შორის ისიც, ვინც მალულად ეახლებოდა დიმიტრი ორბელიანს და ალექსანდრეს შეპყრობას დაპირდებოდა. თან მოუთმენლობა შეიპყრობდა გენერალს, თან ეჭვიც გაუჩნდებოდა, ემანდ ხაფანგი არ იყოს დაგებულიო, მაგრამ მოღალატე იმით დაუდასტურებდა თავის გადასვლას სამთავრობო ჯარის მხარეს, რომ აჯანყებულთა საიდუმლო ბანაკში მისასვლელ გზას მიასწავლიდა ორბელიანს, სიმონოვიჩთან ერთად სასწრაფოდ იქით რომ მიაწყდებოდა და... კიდეც სავალალოდ დაუმთავრდებოდა ბატონიშვილს ეს გაბრძოლება.

ერთს მაინც მოახერხებდა, შეატყობდა თუ არა, გაცემულნი ვართ და სასტიკ მარცხს ვერ ავირიდებთო, მაშინვე ბრძანებდა რაზმების დაშლასა და მიმოფანტვას და კიდეც გადაარჩენდა უამრავ ქართველს გაჟლეტისაგან.

რაკიღა მანავის ასერიგად მნიშვნელოვან ბრძოლაში გლეხობაც მონაწილეობდა, მათ აჯანყების მეთაური შინ დაბრუნებასა და ჩვეული საქმიანობის გაგრძელებას ურჩევდა, ვიდრე ხელახლა გაეხვეოდა მთელი მხარე თუ სულაც ქვეყანა ამბოხების ხანძარში. აბა, ტყე-ღრეს როდემდე შეფარებოდნენ საკუთარ კერიამიტოვებულნი.

პარტიზანულ თავდასხმებს კი თვითონაც გააგრძელებდა თავისი ამალით, რომელსაც მთლიანად არც დატოვებდა სამშობლოში, ორად გაჰყოფდა და ნაწილს ხუდად-ბეგის მეთაურობით ირანისაკენ გაისტუმრებდა, თვითონ კი მცირე გუნდით თიანეთისაკენ გაეშურებოდა.

ღმერთს მადლობას სწირავდა მთავარმართებელი რუმიანცევთან მოხსენებით ბარათში, რომ ბოლოსდაბოლოს დასრულდა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოწვეული უსასტიკესი რევოლუცია კა-

ხეთში, ოთხ თვეს რომ გრძელდებოდა და მოსახლეობის არნახული გააფთრებით გამოირჩეოდა.

ბარემ ერჩივნა ყველაფერი არ გაემჟღავნებინა, მაგრამ ისე თვალნათლივ მოჩანდა მოვლენათა მსვლელობა, აღარ ღირდა აღარც საკუთარი თავისა და აღარც სხვათა მოტყუება, თითქოს ერთი მუჭა მაშფოთარნი ურევდნენ დაწყობილ-დალაგებულ ქვეყანას და მოხსენებითი ბარათი იუწყებოდა, თუ როგორ ჩაბმულიყო აჯანყებაში კახეთის მთელი გლეხობა და ყველა ცნობილი თავადი და აზნაური, თვით თავადაზნაურთა წინამძღოლი ნინია ანდრონიკაშვილიც ენერგიულად მოქმედებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს ამბოხების გაძლიერება-გავრცელებას.

მაგრამ მოთავებით ხომ მაინც მოთავებულიყო ეს უსასტიკესი რევოლუციაც.

რაც მთავარია, ბატონიშვილი ჩავარდნილიყო უმძიმეს ყოფაში. მერე რა, რომ მოხელთებით აქამდე ვერსად მოიხელთეს, დიდი დრო აღარ ეწერა მის ქროლას, და თუნდ ვერ დაეტყვევებინათ, წინააღმდეგობის კერის გამჩენს აღარ ჰგავდა.

– ამჟამად სასოწარკვეთილი, ყველასაგან მიტოვებული, გაყინულ-გათოშილი და მშიერ-მწყურვალი სალი კლდეების სიღრმეში იმალება.

გინდ სალი კლდეების სიღრმეში გამოკეტილიყო და გინდ ხაროში ჩაეგდოთ, განა სულერთი არ იყო?..

ვითომ მართლა სულსღა ღაფავდა ბატონიშვილი?

ჯერ ეპოპეას ეპილოგიც არ მობმოდა, თორემ კიდევ კარგა ხანს შეაწუხებდა იმპერიას თავისი დაუშოშმინებლობით.

ჯერ ჯარის ორ ნაწილად გაყოფაც საკმაოდ მარჯვე მანევრი აღმოჩნდებოდა.

ხუდად-ბეგი უჯარმის ხეობით ყარაიას ველზე რომ გავიდოდა, სოფელ ყარაჯალასთან მტკვარს მშვიდობით გადალახავდა, მაგრამ მარტყოფსა და ყარაბულახს შორის კაზაკებთან შეტაკება მოუხდებოდა. განადგურებით ვერ გაანადგურებდნენ, მაგრამ მისი განზრახვა კი გამჟღავნდებოდა, ირანისაკენ რომ მიისწრაფოდა.

ახლომახლო ბატონიშვილი არსად ჩანდა, მაგრამ მისი უერთგულესი თანამებრძოლის ლტოლვა ირანისაკენ რუს ხელისუფალთ აფიქრებინებდა, რომ ისიც ამ რაზმის სიახლოვეს იმყოფებოდა უჩინრად და ხუდად-ბეგი მხოლოდ გზას უკაფავდა.

ამიტომაც თიანეთის გზისათვის თვალყურის დევნებას ჩამოეხსნებოდნენ.

და ხუდად-ბეგს შატილიდან მოუვიდოდა მისი წერილი. 1813 წლის 28 იანვრით დათარიღებული.

— თქვენ რომ გამოგეყარენით, ფშავში შემოვედით და აქ ხევსურნი მოგვივიდნენ და ხევსურეთში მიგვიპატიჟეს. ერთი თვე ხევსურეთში დავყავით, რაც ამათს სიღარიბეს შეეძლო, კარგის პატივით და მერმეთ კიდევ პირაქეთ გადმოვედით, რომელსაც შადილს ეძახიან.

და მის ადგილმდებარეობას რომ აღუწერდა: შუა საზღვარია ქისტისა, ღლიღვისა, ახოსი, ჭანთისა და რერელოსი, ჩაჩნისა და დაღისტნისა, ჩერქეზისა, თაგაურ ქურთაულისა, თუშისა, ფშავისა და ხევსურეთისა ხომ ეს არის და ხევსა და ლარსს თავზე ვაზივართო, — გეოგრაფიით კი არ გატაცებულიყო, აღეფრთოვანებინა შატილის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომ რუსეთიდან შემოსვლის მოსურნეს ადვილად არ გამოატარებდნენ, ხოლო აქედან წამსვლელ რუსებს არ დააბრკოლებდნენ.

რაო, სასოწარკვეთილი და ყველასაგან მიტოვებულიო?

— სამი ოთხი რიგი კაცი ამ ყოველგან მოგვიტარებია და ამათგანაც კარგი უფროს უფროსნი კაცნი მოგვივიდნენ. რაც შეიძლებოდა კარგად ვაჩუქეთ, მაგრამ სარქალი ხალ არის. განა არ იცი, რაც სახარჯო დამრჩა. ჯარს, ღვთით თუ შევძელით ჭმევა, ასიათას კაცს ვიშოვნით და კიდეც სიხარულით აღარ არიან, მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ ამათ ყველას მიცემა უნდა. ცარიელის დაპირებითაც არ იქნება. თუ ღმერთი შეგვეწია თავად ამ მთვარის გასულს, თორემ მარტის პირველში ჩვენ და რუსი დავეძგერებით.

დიახ, ნამდვილად ასე ჩანს, სასოწარკვეთილია და ყველასაგან მიტოვებული!..

— ლარსს და ხიდებზედ ხუთს ექვს რიგად ჯარს ჩაუშვებთ. ღვთით ასეთის თადარიგებით ვართ, რომ მეტი აღარ იქნება, მაგრამ კარგად იცი კავკასიის მთა არის და ჯერ დიდად ცივა.

ფიცხელ სამზადისში გართულა, ოღონდ, ცხადია, თავზეხელაღებულობას საყრდენებიც უნდა მიეშველოს, თორემ წინდაწინვე მარცხისათვის განწირული ბრძოლის წამოწყება არა ღირს. ამიტომაც სთხოვს ხუდად-ბეგს, რომ ჰუსეინ-ყული-ხანსაც მოახსენოს და აბას-მირზასაც არზა აახლოს, რათა ერევანსა და მაგაებში ჩამობრძანდეს და 1 აპრილს ყაზახში შემოვიდეს, თორემ რუსები სულ ალექსანდრესაკენ მოიტანენ მთელ თავიანთ ძალას და:

— ხომ იცნობ რუსებს.

ხუდად-ბეგს კახეთის ყოფა უთუოდ დააინტერესებდა და ბარემ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო რუსების ვერაგობასა და მზაკვ-

რობაში, ალექსანდრე ამაოდ რომ შეაგონებდა ყველას და ვინც არ უჯერებდა, საკუთარ თავზე გამოცდიდა, ამ თავადებისა არ იყოს, კახეთის აჯანყებისას რუსებს რომ მიენდნენ, ხელი ხელზე გადაუჭდეს და ბევრი საქმეც მოუგვარეს, და რიღასი უნდა შინებოდათ, ის კი არა, პატივსა და წყალობას მოელოდნენ, უეცრად მიადგნენ ეს ახალი მოწესენი და ერთპირიანად დაატუსაღეს. სხვა კი აღარავინ მინდობია, მაგრამ იმათ რაღა ეშველებოდათ.

გაღმა მხარე ჯერაც აშლილიყო და სროლაც ხშირად გაისმოდა, და ტყის მებრძოლებს ადვილად რომ ვერ მიუდგნენ და ბევრი სალდათიც დაელუპათ, ხელი აიღეს მათ დევნაზე.

— ჩვენც აქედან ფეხს უბაკუნებთ.

ხუდად-ბეგს ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა ირანიდან ჯარი რაც შეიძლება მალე წამოსულიყო.

— მოტყუების ჟამი არ არის. ხელის გამოღების დრო არის. კუნტვით არ იქნება, თორემ თითონაც იციან.

თითქოს ახალი მუხლით ავსებდეს ეკლესიასტეს ამაოებათა ამაოების საგალობელს: ჟამი მოტყუებისა და ჟამი ხელის გამოღებისაო. ებრაელთათვის რა, ნაკლებ მახლობელი აღმოჩნდებოდა ამგვარი სტრიქონი?!.

მალე, მალეო, — ივედრებოდა და ეს კვნესაც დასცდება.

— ახ სახარჯო და სახარჯო, თორემ იანვარშივე ყათლანს უზამდით ღვთით.

სასოწარკვეთილი და ყველასაგან მიტოვებულიო...

ის კი მხოლოდ იმას განიცდის, უკვე რომ ვერ მოუთავა ხელი რუსის მხედრობას ამ მოყოყმანე თუ დაშინებული ირანის გადამკიდემ. არადა, მათ იქითაც გზა რომ არა აქვს?!.

საყვედურიც როგორ ამოთქვას:

— არც თეთრი ემეტებათ, არც ჯარი და მუქთად ქვეყანას ვინ მისცემთ.

და კვლავ უმეორებს იმ მღელვარებით, გადამწყვეტი ბრძოლის მიჯნაზე რომ წამდგარა და ყოველი წუთი ენანება, სამეფოს აღდგენას რაც აშორებს.

— თეთრის გამოგზავნის რაღა ბეჯითობა მოგწერო და ჯარის ადრე მოსვლისა... რაღა მოგწერო, შენ იცი ხაზინა მოგვინდება თუნდა ისევ მივართმევთ.

კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რომ დახარჯული ფული მაშინვე დაუბრუნდებოდათ, როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა და ფეხზე წამოდგებოდა.

ახლა შენ იციო, — ამხნევებდა და აგულიანებდა, რადგანაც თავის შემცვლელად ის ეგულებოდა, ამალის მეთაურობა რომ დაეკისრებინა, ეს უკვე ნიშნავდა განსაკუთრებულ ნდობას, და ამიტომაცაა, რომ მთავარმართებლის კარზე ხუდად-ბეგს ალექსანდრე ბატონიშვილის რწმუნებულად და უახლოეს მესაიდუმლედ იხსენიებდნენ.

— მანდაური საქმე შენ იცი და აქაური საქმე ჩვენ.

ასე განაწილებულიყო.

ბარათის ბოლოს დაუბეჯითებდა: რაც შეიძლება ტყვია-წამალი და ტალი ბევრი გაარიგე, უფრო საჭირო ტყვია-წამალი არისო.

უთუოდ სიამაყით აღივსებოდა, მის ერთგულ თანამებრძოლს წარმატებით რომ გაევლო სახიფათო ზონა და ეს განცდა ბარათშიც მყღავნდება: მშვიდობით გასულხართ და რამდენიმე რუსიც გიშოვნიათო, — ამჟამად კი პირველ ყოვლისა ამალის წევრებისათვის უნდა მიეხედა, რაკიღა ალექსანდრე თავს ვალდებულად მიიჩნევდა მათთვის ზრუნვა აქედანაც არ მოეკლო:

— ვინცა ვინ მანდ თავადები იმყოფებიან მანდა, ეგენი, ხომ კარგად იცი, დიდი და პირველი ოჯახის შვილები არიან და თუ თავადებს გარდა მანდ აზნაურნი და გლეხნი არიან, სულ რჩეულნი და ოჯახის შვილები არიან. ეგენი კარგის პატივით, კარგის ულუფით და ანამით უნდა შეანახვინო რაც შეიძლო.

ამავე დღეს დაახლოებით ამავე შინაარსის ბარათს შეადგენდა ჰუსეინ-ყული-ხანის სახელზე, ეგ არის, ზოგიერთ დეტალს დაუმატებდა. ხუდად-ბეგთან გაგზავნილ წერილში კახეთის გაღმა სოფლებში ჯერაც გაუთავებელ სროლას რომ ახსენებდა, აქ იმასაც დასძენდა: კახეთის სოფლიდან სოფელში ორასი რუსიც ვერ გაივლის, ისეთი არეულობააო.

და კიდევ, ლეკთა ბელადზეც ამცნობდა.

— ალისკანტი ბეგ რომ თეთრით მოატყუეს და ჩვენ გაგვექცა და ასე დაგვღუპა, ის დაპირებული თეთრი რუსებმა აღარ მისცეს და ილისუს სასულთნოს მამულში დგა და ჩაფაულობს. ჯერ ექვსი ფარა ცხვარი ნაუღიათ.

აღელვებდა თავის თანამებრძოლთა იმ გუნდის ხვედრი, ერევნის სახანოს რომ შეხიზნოდა, და მათ სარდალს თხოვნით სთხოვდა: მანდ ეგ თავადები კარგი პატივით შეინახეთ, საქართველოში პირველი და ჩინებული ოჯახიშვილები არიანო. ტყვია-წამალსა და ტალს რაც შეიძლება ბლომად რომ ითხოვდა, ეს ისედაც მისახვედრია, სხვა მხრივ კი კვლავაც დაუმცხრალობაზე სდებდა თავს და ამასვე შეაგონებდა

მათაც, ვინც თავიდან კი მონდომებით ამოუდგნენ გვერდით, მაგრამ თანდათან გულისგატეხვა დატყობოდათ:

— ჩვენ, მანამ პირში სული გვიდგა, ერანის ხელმწიფის და შაჰზადას ერთგულობაზედ ჩვენს სისხლს დავაქცევთ. მაგრამ თქვენგანაც ამ მოწყალებას მოველით, რომ ამ მოხსენებაებზედ დიდად შეგვეწიონეთ და თქვენგანაც ასეთი იმედი გვაქვს, რომ ვიცით, ჩვენს მოხსენებას არ დააგდებთ და არც დაგვივიწყებთ.

ამ წუთას რომ თვითონ ითხოვდა იმათ სამსახურს და თავის მხრივ ვერავითარი პატივით ვერ აღევსო?

ღმერთს იძლეოდა თავდებად, რომ მისი ოჯახი ჰუსეინ-ყული-ხანის საკუთარი სახლიც იქნებოდა და სიკეთენი, სამსახური და გამოდგომა მაშინ ენახა ერევნის სარდალს.

ამავე დღეს ერთი ბარათიც შეივსებოდა, ეს უკვე აბას-მირზას მინისტრის ყიამაყამ მირზა ბეზიურგისადმი გასაგზავნად და ფულის სათხოვნელად: ერთი ფარაც არსად მომეძევება და ოთხმოცი ათასზე მეტი კაცი რომ შეიყრება, იფიქრეთ, რა მოუნდება, ხუთასი და ათასი თუმანი არ იკმარებს, რასაც მოახერხებდეთ, თეთრიც და ფარჩაც საჩქაროდ გვებოძეთო.

— რუსები ხაზინას აბნევენ. რაც არა დაიხარჯება რა, არა გარიგდება რა.

მასაც იმავეს სთხოვდა, აბას-მირზა აპრილისათვის ყაზახში გამოჩენილიყო და იქ არეულობა მოეხდინა; თუ ახლავე ვერ მიაგებდა ალექსანდრე შესაფერის პატივს ბეზიურგს, ვალში არ დარჩებოდა და საქართველოს სამეფოს აღდგენა პირადად ირანელი მინისტრის კეთილდღეობასაც მოასწავებდა, ოღონდაც ჯერჯერობით გულიანად მიეხედათ გადახვეწილ ქართველ მეამბოხეთათვის.

ამ წერილში თავდაჭერილობას იჩენს, მაგრამ ორიოდ დღეში კიდევ ერთ ბარათს რომ აფრენდა მასთან, იქ უკვე თავს ვეღარ შეიკავებდა საყვედურისაგან:

— ამ ზაფხულ სამი თვე სულ ყათლანი იყო კახეთს და თქვენმა ჯარმა ყაზახში და შამშადილში ერთი ძროხა ვერ ააყენეს.

უფრო მწარედ რაღა უნდა ეთქვა!..

ის კი არა, მეტი ირონიაც რაღა გინდათ!..

ერთი ძროხაც ვერ ააყენესო...

თითქოს ილია ჭავჭავაძის მიერ მოქნეული ფრაზაა, ანდა მიხეილ ჯავახიშვილის, უფრო აქეთაც, სხვა თვალსაჩინო სატირიკოსების — ვთქვათ, ოთარ ჩხეიძის, ან რეზო ჭეიშვილისა ან გურამ დოჩანაშვი-

ლის. ისინი აღტაცებულნი დარჩებოდნენ ამ მარჯვე და ნატიფი იუმორისტული პასაჟის მიგნებით: ეს რა კარგად მოგვაფიქრდაო.

ჯონათან სვიფტი რა — დაიწუნებდა?.. ძალიანაც ნუღა გავყვებით სატირიკოსთა ჩამონათვალს.

არადა, ალექსანდრე ბატონიშვილის ფრაზაა, მის მიერ მიგნებული და, ეტყობა, დაენანა მისი უკვალოდ გაქრობა და აღარაფერს მოერიდა. მინისტრსაც და აბას-მირზასაც, ვისაც უსათუოდ გააცნობდა ბარათის ამ ადგილს მინისტრი და ძალიან გაანაწყენებდა, მართლაც როგორი მოსათმენია ასეთი მწარე შოლტი, მაგრამ ფრთიანი, მოხდენილი ფრაზა ისეთი რამაა, იმ წუთას აღარას ნაღვლობ. მოგადგა პირზე? უნდა ამოთქვა. მოგადგა კალმის წვერზე? ფურცელზე უნდა გადმოიტანო. თორემ დაგახრჩობს, უკანვე თუ ჩაიბრუნე. მაგრამ ასე მწერლებს ემართებათ... თუმც ყველასაც შეიძლება მოუვიდეს, თუ მხატვრული გემოვნებით დაჯილდოებულა. ამ ეპისტოლური მემკვიდრეობის შემქმნელი კი უცთომელი მხატრული ნიჭითა და გემოვნებითაც გვხიბლავს და, რა გასაკვირია, ის ფრაზაც მოფიქრებოდა და მისი ჩაწერაც გაერისკა.

იმ თავგადაკლული ბრძოლებისა და ტყვიის წვიმისა და სოფელ-სოფელ ავარდნილი ხანძრების ფონზე ირანელთა მოქმედება ყაზახში არეულობის გამოსაწვევად მხოლოდ მწარე ირონიით თუ შეფასდებოდა, და ალექსანდრე ბატონიშვილი ასეთ დროს ყველაზე ლაკონიურ და შთამბეჭდავ ფორმულას იპოვნიდა.

დაე გამოებუსხა ტუჩები ყიამაყამ მირზა ბეზიურგის.

რას წარმოიდგენდა, თუ თხოვნით დაწყებული ბარათი უეცრად ასე მკვეთრად შემოტრიალდებოდა.

ირანის შაჰისა და მისი მემკვიდრის პურმარილზეც და ერთგულებაზეც დასდებდა თავს, მაგრამ მოადევნებდა, ჩემი ამდენი ცდა, სამსახური და ერთგულება ერთიანად გაცუდდება, თუ ან ჯარით, ან თეთრით (ორივე ერთად ერჩივნა, ცხადია, მაგრამ ერთიც რომ ყოფილიყო, ყაბულს გახლდათ!) მხარს არ ამიბამთო.

და იმ მოლაპარაკებებსაც გაამჟღავნებდა, რუსები ხაზინის ხარჯვას რომ არ ერიდებოდნენ, ხშირად უგზავნიდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს კაცებს და ეხვეწებოდნენ: შეგვირიგდიო.

შეთავაზება ასეთი გახლდათ:

გაღმა კახეთს შენ მოგცემთ და ორიათას თუმანსაც წელიწადში ჯამაგირადო. და მანდ ვინც თავადი ბრძანდება, თითო სოფელს და სამოც-სამოც თუმანს საღ ფულს ყოველწლიურადო.

ღმერთმა ნუ ქნასო, — ეს გახლდათ ალექსანდრეს პასუხი. და ირანელ მინისტრს ატყობინებდა: შამზადას თავს ვფიცავ რომ ასე არ არის და, ვიდრე ცოცხალი ვარ, რუსს არ გავურიგდები და არც შამზადას პურმარილს დავგმობო.

მაგრამ რა ეღონა, როდესაც უთეთროდ ჯარი დაეშლებოდა?

შემწეობას ირანელთაგან მოელოდა და თუკი იმედი გაუმტყუნდებოდა?

მერეა, მწვავე ირონიისაგან თავს რომ ვერ შეიკავებდა.

ამის გულისხმაშიც ჩააგდებდათ, თვითონ ამ ზამთარს აქეთ რომ არ შემოსულიყო, რუსეთს ირანისაკენ ჰქონდა პირი მიქცეული; და ალექსანდრე რაკილა სამშვიდობოს დაიგულეს, კახეთიც აღარ დამორჩილდა და წაგებული ამბოხის შემდგომ არც გატვრენილა და არც მორჩილად შეუშვერია უღლისათვის ქედი.

მაგრამ ასე როდემდე?..

და იმეორებდა და იმეორებდა თავის სავედრებელს. თან სულიერი სიმტკიცეც რომ არა ტოვებდა:

— ღვთით წლეულ ჩვენი დროა...

ეს ის ბატონიშვილია, სასოწარკვეთილი და ყველასაგან მიტოვებული!.. აგერ რუსები ისე შეფიქრიანებულან, ჯერ ერთი, ზურგში მისი დაუმცხრალი მოქმედების შიშით ირანისაკენ სამხედრო ექსპანსია ვეღარ გაუბედავთ, და მეორეც, მთლად სამეფოს აღდგენას თუ არ ყაბულდებიან, კახეთის ვრცელ მიწა-წყალს უთმობენ... ეგ არის, ვეღარ ენდობა ჯერ მარტო იმის გამო, ლეკებს რაც დამართეს სულ ცოტა ხნის წინათ, წყალობით აღვსებას ვინ ჩივის, ლამის პირწმინდად ჩახოცეს და ასეც მოხდებოდა, ლეკებს თავდადებით რომ არ ებრძოლათ მათ ნაშთებს როგორღაც არ გაეღწია სამშვიდობოს.

გაღმა კახეთის სოფლებში, როგორც ხელახლა მოპოვებულ სამკვიდროში, გასვლას არც დააცდიდნენ, მაშინვე ხელს სტაცებდნენ და პეტერბურგის გზას გაუყენებდნენ, მისი ერთგული თავადები კი ციმბირში ჰპოვებდნენ გაწამებულ ცხოვრებასა და აღსასრულს.

მანამ ცოცხალი ვარ, რუსის გარიგება არ იქნება...

სამაგიეროდ, აბას-მირზა კვლავაც თავის უპირველეს თანამდგომად ეგულებოდა, ვერაფერს კი ვერ შეეწია კახეთის რევოლუციისას, მაგრამ განზრახ ხომ არ მიუტოვებია, ვერ გაარღვია რუსის ჯარის რკალი მაშინ, თუმც ხომ შეიძლება ახლა გაარღვიოს, ყოველ შემთხვევაში მის იქით გზა არ გააჩნია ალექსანდრეს და ისე აბას-მირზას ამიტომაც მისჩერებია მომლოდინე მზერით: თქვენს დიდებულებას

სამსახური და ერთგულება ისეთი ვაჩვენო, რომ ირანში ასე არავის ემსახუროს და პირნათელი აღმოვჩნდეო.

— და უმდაბლესის ვედრებით ვთხოვთ თქვენს დიდებულებას, რომ ჩვენი აზრი და მოხსენება მიიღოთ და მოხსენებისამებრ წადილი აღგვისრულოთ. და ჩვენც მარადის თქვენს ერთგულებაზედ ვიქმნეთ ვიდრე სისხლთაცა დათხევამდე...

დანარჩენს მისი რწმუნებულნი მოახსენებდნენ პირადი შეხვედრისას — თავადი იორამ ბარათაშვილი, გარეჯელი აბრამ შავერდი და საქოა იბრეიმა.

გამორკვეულიყო ილუზიათაგან მთავარმართებელი, ბატონიშვილი გინდ ხელთ გვყავდეს და გინდ სასოწარკვეთილი და კლდეებში გამოკეტილი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდეს სიკვდილს, სულერთია, აღარაფრის ამრევი ეგ აღარ არისო... და ცალკე პირადად რომ გაუგზავნიდა კაცებს მოსალაპარაკებლად და მაცთუნებელი შეპირებებით (თვითონ მიაჩნდა მაცთუნებლად, თორემ ალექსანდრეს გულს კი არ ეკარებოდა!), ცალკე ოფიციალურ წერილსაც მისწერდა, მკაცრსა და შეუვალს, ბრალდებებს რომ ჩამოუწერდა, როგორც სახელმწიფო დამნაშავეს, და ამ ფონზე სთხოვდა დამორჩილებასა და იმპერატორის მოთხოვნათა აღსრულებას.

მეტი რაღა სურდა: ნაცვლად სახრჩობელისა თუ სამუდამო გაციმბირებისა, კეთილდღეობა რუსთა სატახტო ქალაქში.

ალექსანდრეს მიმოწერა რტიშჩევთან რამდენიმე წელიწადს გასტანდა და ამ ბარათებშიც აისახებოდა იმ წლების პოლიტიკური ვითარებანი, ხან ისე, ხან ასე ცვალებადი, საბოლოოდ კი ბატონიშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ცალკე რკალად გამოიყოფა და იმ მხრივაც დიდად საგულისხმოდ, რომ წერილთა ამ წყებას ისტორიკოსები ალექსანდრეს უჩვეულო დიპლომატიური უნარის საუკეთესო გამჟღავნებად შეაფასებენ.

პირველად ამ შეხედულებას, უფრო აღტაცებას, ნიკო ბერძენიშვილი გამოთქვამდა და ეთერ ორჯონიკიძე პირწმინდად რომ გაიზიარებდა აღტაცებასაც და წერილების ნიუანსობრივი ანალიზის სიზუსტესაც, თვითონ თავს აარიდებდა ბარათთა ამ კუთხით ჩხრეკას და თვალსაჩინო მკვლევარის ნაშრომიდან რამდენიმე ამონარიდს დაიმოწმებდა, როგორც მთავარ დასკვნებს.

სახელმიწფო დამნაშავედ გამოიყვანდაო...

კახეთის გაოხრება-ამოგდება მთლიანად შენს კისერზეაო, — მრისხანებდა მთავარმართებელი და უპირველეს არგუმენტად იშვე-

ლიებდა მართლმადიდებლურ რწმენას, იმ მართლმადიდებლობას, რომელიც თვით რუსეთმა არ ჩააგდო არაფრად და, როგორც კი ეს ნიღაბი აღარ დაისაჭიროვა, ეკლესიებში ფრესკებიც გადაგვითეთრა კირით და კათოლიკოს-პატრიარქის წოდება და თანამდებობაც გააუქმა; ახლა კი რტიშჩევი ისე მოიხმობდა უფლის სახელს, თითქოს მისი უშუალო მეკავშირე ყოფილიყოს:

ღვთის განგებას დაუპირისპირდი და ღვთის მიერ მირონცხებულ მეფეთა ნებით რუსეთის იმპერატორისათვის მფარველობაში გადაცემული საქართველოს მტრებს დაუკავშირდი და მათი დახმარებით ქვეყანა უკიდურეს უბედურებამდე მიიყვანეო.

კი მაგრამ, იმ ღვთით მირონცხებულ მეფეთა ტახტი რომ გააუქმეს და მირონცხების გაგრძელება აღკვეთეს ამ მეფეთა მემკვიდრეებისათვის?

დავით ბატონიშვილს განა რა უკლდა ღვთისაგან დადგენას, იმპერატორის გადაწყვეტილებას ეს მეფედ გამზადებული პიროვნება მემატიანედ რომ არ ექცია?!.

თუმც ჩვენ რა კვალში ჩავუდექით მთავარმართებლის წერილს, ალექსანდრე მაშინვე შესაფერის პასუხს ვერ შეაგებებდა თუ რა!..

ყველა ბრალდება შეუვალი მსჯელობითაა დარღვეულიო, — აკი ეამაყებოდა ნიკო ბერძენიშვილსაც.

ღმერთი არ წყალობს თქვენს განზრახვებსო, — რტიშჩევს ისეთი მეკავშირე დაეგულებინა, ადვილად რას ჩამოეხსნებოდა, — და ზეციურ მართლმსაჯულებას უკვე ამ ცხოვრებაში გამოაქვს საწინააღმდეგო განაჩენი. მოგიწოდებთ, დაადგეთ ჭეშმარიტების გზას, დაემორჩილოთ ღვთის განგებას და ყოვლად მოწყალე იმპერატორის მფარველობაში შემოხვიდეთო.

ალექსანდრე ბატონიშვილის საპასუხო ბარათი, 15 თებერვლით დათარიღებული, ისეთი აღმტაცი კილოთი დაიწყებოდა: მებოძა რა მაღალაღმატებულობისა თქვენი წერილი, რომლისთვისაცა ხილვისა მოსურნე ვიყავიო, — თითქოს მართლაც დღე ვერ მოესვენა და ღამე ვერ დაეძინა მთავარმართებლის შეხმიანების მოლოდინში, მაგრამ სწორედ დიპლომატიური ხერხიანობა ავალებდა ამგვარ მიმართვას, მითუმეტეს, რომ კონტრასტისათვის დაესაჭიროებინა.

— განა განხილვამან ამავე წერილისამან, არა მცირედისა ფიქრისა პელაგონია შინა შთამაგდო.

ბარათის კომენტარში პელაგონი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მოშველიებით, განმარტებულია როგორც ზღვის სივრცე,

ფრაზის მეტაფორული შინაარსი კი ასეა გახსნილი: ზღვის სივრცესავით ფიქრში ჩამაგდოო, — და ამგვარი შეყოვნებით ამ პასაჟზე გათვალსაჩინოებულია ბატონიშვილის სწრაფვა სახეებით აზროვნებისაკენ, იმ ხატოვანებისაკენ, რაც ასერიგად გამოარჩევს მის ნაწერს სამხედრო სტილისტიკისაგან.

ფიქრის პელაგონში ჩავარდნა კი გამოეწვია მთავარმართებლის წერილის გადავსებას არამარტო მხილებით, არამედ საყვედურებითაც.

არადა, როგორი ამოსაკითხი გახლდათ პოლიტიკურ ბრალდებათა ეს ნაკადი:

— ჰმბრალებთ კახეთისა ხალხისა დაბრმობასა და უბედურებითსა სვლასა; მყვედრით განზრახულისა ჩემისა ღვთისაგან არაკურთხევასა, მაშინებთ ფრიადისა ძალისა ქონებასა, მაბრალებთ საზოგადოების დარღვევასა და გიხარისთ ჩვენისა უძლურებისა მსხვერპლისა ზედან დაცემასა.

და ბატონიშვილი თავს ვალდებულად რაცხდა ეს საბურველი გაერღვია და ჭეშმარიტება გამოეცხადებინა მისი მაღალაღმატებულებისათვის, რათა იმის სინდისის სჯასაც ჭეშმარიტებამდე მიეყვანა თვითონ რტიშჩევიც.

ბრალს სდებდა კახელთა უბედობაში?

— რა მართლათ უბედურნი! რომელ მემკვიდრისთვის თვისისა იჭირვიან, იტანჯვიან, და საპყრობილეში ისვრიან და აფარებთ პირთა ზედან ხელთა და მიგიღიათ ეგეოდენნი სატანჯველნი არა ჭეშმარიტებით.

ვითომ ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრის უფლებებს რომ აღიარებდნენ, ამისათვის უნდა დატანჯულიყვნენ ასე საარაკოდ, და მათი წამება კი არა მტანჯველთ, არამედ სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლ პიროვნებას უნდა დასდებოდა კისრად? იმათ თუ ხმის ამოღების უფლებაც წართმეოდათ, აბა, ბატონიშვილის ხმაც ჩაეხშო ახალ ხელისუფლებას.

ყვედრიდა მისი განზრახულობის არა კურთხევას ღვთისაგან?

— უკეთუ არა აკურთხა ღმერთმან, ესეოდენნი ერნი რამან აღძრა. გარნა უსამართლოება მდევნის მარადის.

დაე ამის შემდგომ ნუღა აურევდა ერთმანეთში მთავარმართებელი ღვთის ნებასა და კაცთა — პირადად მისი და მისი იმპერატორის — ძალმომრეობას; თუ აურევდა და... დემაგოგიური ფანდები სხვებთან თუ გაუვიდოდა, ბატონიშვილთან ნამდვილად ვერა, რაკიღა იგი მკაფიოდ განასხვავებდა ღვთის რისხვასა და უსამართლო დევნას.

აშინებდნენ ფრიადისა ძალით?

— ვიცი, ჭეშმარიტად მათის იმპერატორებითის დიდებულება ძლიერ არს, გარნა შემწყნარებელცა და წყალობა გამოუთქმელ და თქვენ არა უცხადებთ ესეოდენთა ერისა სიმართლით ღაღადებასა.

მარჯვედ მოუჭრიდა სიტყვას და ტრაბახისა და მუქარის სურვილსაც დაუკარგავდა მთავარმართებელს, რაკიღა გონიერულად შეატრიალებდა მსჯელობის კალაპოტს და იმპერატორს ერთ პოლუსზე დააყენებდა, მის მოხელეებს კი — მეორე პოლუსზე. იმპერატორის უზომო მოწყალებისა და შემწყნარებლობის მტკიცებით ხალხისათვის ყურები რომ გამოეჭედათ, ახლა წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ — ნუთუ ასერიგად მოწყალე მონარქი ვინმეს დაშინებას, მითუმეტეს, კლდეებს თავშეფარებული კაცისა, იკადრებდა? და თუ არა, მისი მოხელენი რატომ უტეხდნენ სახელს თავიანთი დაუფიქრებელი სიტყვითა და მოქმედებით? მუქარის ნაცვლად არა სჯობდა, რომ ხელმწიფისათვის ხალხის გაუსაძლის ყოფაზე სიმართლე მოეხსენებინათ?

აბრალებდნენ საზოგადოების დამარღვევლობას?

— მე ღმერთმან მაშოროს დარღვევა. შლით თვით თქვენ ერთა კეთილთა აღრჩევასა. გიხარით დაცემასა ჩვენისა უძლურებისასა. და ღმერთი არს აღმადგინებელ, ვინათგან განსჯა ჭეშმარიტისა ქრისტიანებრისა სიმართლისა არს ქრისტიანეთა. რავდენნი ბევრნი მოსწყვიტნა იროდიმ ქრისტესთვის ყრმისა ახლადშობილისა, გარნა უბრალო იყო ქრისტე სისხლითა მათთაგან და მარტვილთა თანა შეირაცხნენ იგინი.

საღმთო მაგალითების გახსენება უტევე სამღვდელოთაო, — ამჯერადაც წაედავებოდა ვასილ ბარნოვის პერსონაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი ისტორიულ ალექსანდრე ბატონიშვილს, ვისაც სწორედაც საღმრთო მაგალითი გამოეხმო და ზუსტად და შთამბეჭდავადაც გამოეხმო, ხმას რომ ჩააკმედინებდა რტიშჩევს.

და უშუალო პასუხის შეგებების გარდა სახარების მომარჯვებას ის ქვეტექსტიც ჰქონდა, მართლმადიდებლობის ხსენებით რომ სურდათ ალექსანდრეს გამტყუნება, სწორედ ამ მოძღვრების უკეთესი ცოდნითაც დაეჯაბნა გაწაფული დემაგოგები. და საკუთარი იდეალიც ამოეხვია მტკიცებისას — ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს იესოს პიროვნებისა და ბიოგრაფიის ფონზე რომ უკვირდებოდა და განსჯიდა ნუგეშისთვისაც და სიმხნევისთვისაც.

და იქითაც შეუტევდათ ამ მაგალითით გულმოცემული:

— საჯეთ ჭეშმარიტი, უკეთუმცა მამულისა და სჯულისათვის არა გჳმედებს და იჭირვის მაღალაღმატებულება ეგე თქვენი, რასათვის კეთილი მოხუცებულება თქვენი როსიით აქამომდე მიიღებს ესეოდენთა სასჯელსა, რომელ დღითიდღე ზრუნვისაგან არა განისვენებთ. და მე მყვედრით მამულისა ჩემისათვის ერთისა ცხენისა შემოძუგძუგებასა, და ამისათვის თავსაცა ჩემსა არა წარვაგებ მამულისა, რჯულისა და სახელისათვის.

იოლად ამხელდა რუსთა ორმაგ მორალს — თვითონ საკუთარი ქვეყნისათვის ზრუნვა ღირსებად და სიკეთედ მიეთვალათ, ხოლო სხვათა ზრუნვა საკუთარი ქვეყნისათვის დანაშაულად ჩამოერთმიათ. მთავარი სათქმელი ამით ნათქვამი გახლდათ და აღარ ღირდა უფრო გაღრმავება, რომ რუსების ზრუნვა სხვათა დაპყრობას გულისხმობდა, ქართველთა ზრუნვა კი საკუთარი დამოუკიდებლობის გადარჩენას.

და მე მყვედრით მამულისა ჩემისათვის ერთისა ცხენისა შემოძუგძუგებასაო...

დახვეწილი, ნატიფი იუმორის უნარს რომ არა ჰკარგავდა ასერიგად დრამატულ ვითარებაშიც.

ჯერ ის პასაჟი, ირანელ მინისტრს რომ გამოეთამაშებოდა, და ახლა ეს — არანაკლები ეფექტურობით აღბეჭდილი. ამჯერად მხოლოდ ვიგულისხმოთ და ნუღა შევაწუხებთ რჩეულ სატირიკოსთა აჩრდილებს.

ჯერ მარტო ამ სიტყვის პოვნა ღირს ერთ რამედ — შემოძუგძუგება.

და არ გამიკვირდება, ამ ფრაზითაც რომ აღფრთოვანებულიყვნენ საუკეთესო სატირიკოსები და შეხარბებოდათ: ნეტა ჩვენ მიგვეგნოო.

ისე, მფრინავი რაშის ლეგენდა უკვე ხომ არ შექმნილიყო?

რა გასაკვირია, რომ ალექსანდრე უკვე გადასულიყოს ჩრდილოკავკასიურ მითოსში, ამ წლების დაუღალავი ზათქი და კვეთება შემოსილიყოს უჩვეულოსა და განსაკუთრებულის შარავანდით, ბატონიშვილს ყოფითობას რომ მოწყვეტდა და სიმბოლომდე და იდეალამდე აღამაღლებდა.

თუკი ასეა, ამ ფრაზით მისი მითოსის შემქმნელთაც შეეღიმილებოდა, რა მფრინავი რაში, რომელი მფრინავი რაში, ერთი ცხენი შემომიძუგძუგებია, ეგ არის და ეგო. და თუ ეს ლეგენდა მხოლოდ ამიერიდან უნდა შეთხზულიყო, თითქოს წინასწარვე გრძნობს, როგორ საბურველში გაეხვევა მისი სახება, და იღიმის იმ გულშვებითაც, მოწოლილ ჯავრსა და დარდს წამიერად მაინც რომ დაავიწყებდა.

და ეს ფორმულაც, თავისებური სამება, თითქოს სასხვათაშორისოდ რომ შემოცურდება... არადა, ესაა, რომ წარმართავს მისი ცხოვრების გეზსა და სტილს.

— მამული, რჯული და სახელი.

ილია ჭავჭავაძის ფორმულაში „სახელი" „ენით" შენაცვლდებოდა, რაკიღა ქართულ მეტყველებას გაქრობის საფრთხე დაემუქრებოდა და ყველასათვის გათვალსაჩინოვდებოდა, ენა ცალკე, დამოუკიდებელ მოვლენად რომ უნდა შერაცხილიყო და არ უნდა გვეკმარა, თუკი „მამულში" ისედაც ვიგულისხმებდით. ალექსანდრე ბატონიშვილის ხანაში ქართული ჯერ რომ არ დამდგარიყო საშიშროების წინაშე, ბარათის ამ პასაჟიდანაც მკაფიოდ ცნაურდება, თორემ ის სამება, ილიას საპროგრამო წერილით რომ შემოიჭრებოდა და დამკვიდრდებოდა საზოგადოებრივ შეგნებაში, ბატონიშვილის ბარათშიც უშუალოდ ამ სახითვე აღიბეჭდებოდა, ვითარებაც შესაფერისი რომ ყოფილიყო. თანმიმდევრობითაც იმითვე, ცხადია: მამული, ენა და რჯულიო.

ყვედრიდნენ მიკრვასა და მიყოლას სანიადაგოთა და სარწმუნოებისა მტრისასა?

— ესე ჭეშმარიტ!

უდასტურებდათ, რადგანაც უნებლიეთ კი არ გახვეულიყო უცხო რჯულის ადამიანთა შორის, არამედ ფრიად საფუძვლიანი მიზეზიც ჰქონდა, გამოწვეული იმ ხელისუფალთაგან, ქრისტიანობას რომ იჩემებდნენ.

— დაღაცათუ არიან მტერნი, გარნა მაქვს ამათშივე თავისუფლებით ცხოვრება და პატივი, ვითარცა შვენის გვართა ჩემთა.

როგორი დასათმობი გახლდათ თავისუფლება, სიცოცხლის აზრი და მიზანი რაც უნდა იყოს და უფლისწულს მაინც არ უნდა ენატრებოდეს, თუკი მოვლენები ბუნებრივად წარიმართება.

ექილიკებოდა მთავარმართებელი: გეშინია მტრისაც, მოყვასთაც მეგობართაც და თვით აჩრდილისა შენისაო?

— არა უწყითა? ყოველნი მოშიშნი სიფრთხილით დაიცავენ თავსა თვისსა და საქმესაცა ესრეთვე წარმართებენ. და კდ შიშმან გარე განდევნოს მწუხარებანი. მამულისა ჩემისა მოშურნეობისათვის გული ჩემი სალი კლდის ნაპრალს დამსგავსებია და რამან შეუძლოს განყენება ჩემი, გარნა თქვენ კეთილისა ქრისტიანისა და ჭეშმარიტის გვამისა მამობრივი და სიმართლით შეტკბობამან.

ქილიკი ეგრე არ უნდაო, აგერ რა ირონიას დაატეხდა თავს — კეთილო ქრისტიანოო, მამობრივოო და სიმართლით შემტკბობელოო.

სიფრთხილეს რომ უკიჟინებდნენ, აბა, ხელთ ხომ არ ჩაუვარდებოდათ!.. თვითონაც თუ არ გამოიჩენდა შესაფერის ალღოსა და ხერხიანობას და ზოგიერთ „ქრისტიანს“, ზოგიერთ „მოყვასსა“ და „მეგობარსაც“ ავ ზრახვებს არ შეუტყობდა, მარტო მფრინავი რაშის იმედად ხომ ვერ იქნებოდა.

რა აშინებდა?

— ტყეობა ძმათა ჩემთა და მდედრთაცა, დედუფალთა ქრისტიანეთა და მოამაგეთა, შესევანი სალდათთანი, დატაცებანი სახლიწულთა მეფეთანი. უკეთუმცა არიან ესენი სანიადაგო მტერნი, არაოდეს მიუღიათ სკიპტრა მეფობისა ჩვენისა...

ტყეობა მაჰმადიანთაგანაც თუ არ აკლდა ქართველობას, რუსების შემოსვლით არაფერი შეცვლილიყო — ახლა მათ სალდათებს დაეტრიალებინათ უბედურება უბედურებაზე, მაგრამ რაც მთავრის უმთავრესი გახლდათ, იმ „სანიადაგო მტერს“ არასოდეს გაეუქმებინა მეფობა ჩვენში.

ასეთი დიდი განსხვავება აღმოჩნდებოდა ჩვენს აქამომდელ მტერთა და მეგობრის ნიღბით შემოსულ ამ ახალ მტერს შორის, და ვის რატომ უკვირდა, თუკი ალექსანდრე ბატონიშვილი ამ არასახარბიელო არჩევანიდან მაინც ირანს უფრო მიაპყრობდა იმედიან მზერას, მაინც უფრო ოსმალეთისკენაც ეჭირებოდა თვალი, ვიდრე რუსეთს მინდობოდა და ხელი აეღო თავისუფლების ძიებაზე, მიუხედავად ასერიგად გაწამებული ყოფისა.

— დაღა თუმცა ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებად წოდებად...

განა თვითონ ყველაზე უკეთ არ მოეხსენება, რომ მის ყოფას ყოფა არც ჰქვია და ცხოვრება სულაც მის გარეშე მიედინება, მაგრამ მოვალეობის შეგნება არ ანებებს ისე გაეცალოს ამქვეყნიურ ასპარეზს, საქართველო ამავე უფლებობაში ჩატოვოს.

ცხოვრება ეს ჩემი არა არს ცხოვრებად წოდებადო...

— არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის არამად შემირაცხიეს და მაქვს თავის უფლებითი ყოფა და ცხოვრება კეთილმბრძანებლობით.

მისიაც ეს გახლდათ მისთვის, უკიდურესი სიმძაფრით შეგრძნებული, იმ სიმხურვალით, ვასილ ბარნოვს ზეციურ მნათობს რომ გაახსენებდა ძალდაუტანებლად, თუკი უშუალოდ მზის მიერ არ მოვლენილიყო მიწაზე, ამხელა სულიერი თაკარება საიდან მოჰყვებოდაო.

ესეც ალექსანდრე ბატონიშვილის ეროვნული და პოლიტიკური პროგრამა, ეპისტოლეს ჟანრში ჩამოსხმული.

მთავარმართებელს ნეტა რა ეგონა? ან გაჩუმებას ამჯობინებდა ანდა ლულლულის მეტს ვერას შეძლებდა წინააღმდეგობის მოძრაობის მეთაური? ლულლულად რტიშჩევის ბრალდებანი უფრო მოჩანს, ჯერ ისედაც თითიდან გამოწოვილი და ვაივაგლახით ნაკოწინები, და ალექსანდრეს პასუხის ფონზე ხომ მთლად გაბიაბრუებულ-გაპამპულებული.

აი, რას ნიშნავს ნამდვილი პოლემისტობა.

და ღირსეულადაც აგვირგვინებდა ბარათის ამ დრამატულ მონაკვეთს იმ ზნეობრივი გადასახედიდან, კუთხეში რომ მოიმწყვდევდა მთავარმართებელს და ანანებდა, რა მინდოდა, პაექრობაში რომ ვიწვევდი, პირდაპირ წამეყენებინა იმპერატორის მოთხოვნები, გაცილებით ამჯობინებდაო:

— ესე ჭეშმარიტი, რომელიცა გამოუცხადე მაღალ აღმატებულებასა თქვენსა და საჯეთ სინდისისა თქვენისა განსჯითა. უკეთუ არა არს ესე ყოვლითურთ ჭეშმარიტი, ვგონებ სინდისმან მართლისა განსჯისა თქვენისამან უმეტეს აღგძრას ლმობად ჩემდა.

რა სანდო მსაჯული რტიშჩევის სინდისი გახლდათ, მაგრამ ქვეტექსტი გამჭვირვალე იყო და სალდაფონისთვისაც ამოსაცნობი — მორალურად გაკოტრებული ხართ და, თუ ხმამაღლა ვერ აღიარებთ, გუნებაში მაინც დამეთანხმეთო.

ლევან ბატონიშვილის სახელის აუგად მოხსენიებაც რომ ეკადრა მთავარმართებელს? თავისი ენერგიული მოქმედებით რარიგ შეეწუხებინა ახალი მოწესენი, რომ ჯერაც ვერ მოენელებინათ და გარდაცვლილზეც იყრიდნენ ჯავრს. შეწუხება მერე ენახათ, ის საბედისწერო ეპიზოდი რომ არა!..

ამ ფრაზაზე გამოპასუხებაც პოლემიკის კლასიკურ ნიმუშად წარმოგვიდგება. ორადორ წინადადებას შეაგებებს ბატონიშვილი, მაგრამ რა სიმაღლიდანაა ნათქვამი:

— კიცხვა ძმისწულისა ჩემისა ლეონისა თქვენს მიერ, სახელოვანთა გვამთა არა იყო საკადრი და პასუხსაცა ვიდუმებ. და იგი არის წიაღთა აბრამისათა, რომელ მამულისა თვისათვის დასდვა თავი თვისი.

რაც იყო, იყო, დაე აწმყოზე ელაპარაკათ და გაერკვიათ, შეთანხმდებოდნენ თუ ვერა.

და ეღიმებოდა ალექსანდრეს: ეს რჩეული და ჭეშმარიტი გვამი, ქრისტიანული მამობრივი მოწყალებით ლმობილი, მიწვევით კი მიწვევთ, მაგრამ არ მიცხადებთ იმ ადგილის სახელს, ცხოვრება სადაც მოგვიწევს მეც და ჩემს გარემოცვასაც, იქ როგორ მიგვიღებენ. გა-

მიმჟღავნეთ ჩემი მომავალი საცხოვრისის ადგილი და მაშინ მოისვენებს ჩემი ფიქრებიცო.

ქრისტიანულ მამობრიობასაც რომ პირდებოდნენ და კეთილ მზრუნველობას, დაე გაცხადებულიყო, უშუალოდ რას გულისხმობდა ეს ყოველივე, და თუ ჭკუაში დაუჯდებოდა, თავსატეხი აღარაფერი იქნებოდა:

— და მეცა ვეგო მარადის ერთგულად მათის იმპერატორებითის დიდებულებისა ვიდრე უკანასკნელად სისხლთაცა ჩემთა დათხევადმდე და მაშინ სცნობთ სამსახურისა ერთგულებასა და შეძლებასა.

და ხელმოწერასაც ასე გააფორმებდა:

— თქვენის მაღალაღმატებულების მოწყალის ხელმწიფის სამსახურის მოსურნე, საქართველოს მეფის ძე.

როგორც აქამდეც და შემდგომაც, ამჯერადაც უკან დასახევ გზას არა ჭრიდა ალექსანდრე, რათა მოლაპარაკება სამუდამოდ არ დასამარებულიყო.

რამდენიმე თავისი ერთგული პიროვნების დახსნასაც შეეცდებოდა და მთავარმართებელს განუცხადებდა, თქვენი მადლიერი ვიქნები და პატივისცემითაც დავშთებიო.

ხოლო რტიშჩევი, დიახ, მთავარმართებელი, მზადებას შეუდგებოდა... ხევსურეთის დასალაშქრად და ფშავლებსაც მკაცრ, მრისხანე წერილს გაუგზავნიდა, როგორ თუ ბატონიშვილი შეეფარებინათ და გზაც გაეხსნათ შატილისაკენ.

მე ახლა ვხედავ, თქვენც არც ღვთის შიში გაქვთ, არც სინდისი და პატიოსნებაო, — გულისწყრომას ვერ ფარავდა ღვთის მოშიში, სინდისითა და პატიოსნებით გადავსებულ-გადალიპლიპებული მთავარმართებელი და აცნობებდათ, რომ უკვე ჩამორთმეულად ჩაეთვალათ საძოვრები და 40 000 სული ცხვარი. რა გგონიათ, ხეობიდან თავის გამოყოფა და ბარად ჩამოსვლაც აუკრძალა და არც დამატებით მუქარას მორიდებია: უარესსაც ელოდეთ, თუკი ბატონიშვილის ერთგულებაზე ხელს არ აიღებთო.

ბარათის კილო სულ უფრო და უფრო მრისხანე და დაუნდობელი ხდებოდა.

თურმე ამ შეეიწროებას კიდევ რა უშავდა, ისეთ მოთხოვნას წაუყენებდათ:

— შეიპყარით ბატონიშვილი და ტფილისში მომგვარეთ.

ითხოვდა შეუვალად და, თუკი მისი ბრძანება, სწორედაც ბრძანება და არა დავალება, არ აღსრულდებოდა, მუქარის კორიანტელი

ქვას ქვაზე არ დავტოვებ, ერთიბეწო პატიების იმედიც არ გქონდეთ, ყოველივეს ცეცხლითა და მახვილით შევმუსრავო.

რა დაუშლიდა და ან რა შეაკავებდა.

არც ფშაველები და არც ხევსურნი ამ ბრძანების შემსრულებელნი არ იყვნენ, ამიტომაც ცოლ-შვილს გახიზნავდნენ და მძიმე და დამქანცველი ომისათვის თვითონაც შეუდგებოდნენ სამზადისს.

ალექსანდრე ხომ წუთსაც არ დაჰკარგავდა და 20 თებერვალს ერთი და იმავე შინაარსის წერილით შეეხმიანებოდა კუდაროს ხეველებსა და დიდი ლიახვის ხეობის მკვიდრთ და ამცნობდათ, რომ ღვთის შეწევნით მშვიდობით იმყოფებოდა ხევსურეთს და თავს უყრიდა ლეკებს, ქისტებს, ღლიღვებს, ჩაჩნებს, ჭანთოებს, თუშებს, ფშაველთ, ხევსურთ და:

— რუსებზე მისვლას ვაპირებთ.

რაკიღა ამათი ერთგულებისაც ეიმედებოდა, მაშ მისი დავალებით ესენიც ჯარად უნდა შეყრილიყვნენ და სადაც რუსები ჩამდგარიყვნენ, იქ მიხდომოდნენ.

— ახლა თქვენ იცით და თქვენმა ნამუსიანმა სიმხნემ. ჟამიც ეს არის სამსახურისა და წყალობის მიღებისა.

გადადებით აღარ გადაედოთ, რანამს ეს წერილი მიუვიდოდათ, კიდეც მოეყარათ თავი ქვემო ქართლსა და იმ არემარეზე (მაგ ძიროზაზედო) და რუსებს დასხმოდნენ თავს. ალექსანდრე ზემოდან დაეშვებოდა, ქვემოდან შაჰის ჯარებიც გამოჩნდებოდნენ და... ამათ გასაგისსაც მოსპობდნენ.

მარტით დათარიღებულ წერილში ძმური სიყვარულით მოიკითხავდა ულარის შვილ მირზაბეგსა და მასურის შვილ დუდავს და შეახსენებდათ, თუ როგორ დაემხოთ რუსებს ბაგრატიონთა ოჯახი.

— და თუ ჩვენ ასრე გვიყვეს, ჩვენზედ მდაბალს ოჯახს რას უზმენ.

რაკიღა მათ ჭკვიანი კაცების სახელი ჰქონდათ, მაშ კარგად უნდა ეფიქრა, ამ ქვეყანაში მათ დათესლებას რა მოჰყვებოდა ან მათთვის და ან მეფე ერეკლეს ნაშიერთათვის. ალექსანდრე რომ დიდად ირჯებოდა („ღვთის მოწყალებით საქმესა და თადარიგებში ვართ"), მათაც ტახტდაკარგული სამეფო ოჯახისათვის თავი უნდა დაედოთ. ჯერ-ჯერობით ეს გულისხმობდა მძევლის მიცემას ჩიმითელთა და ქურთა-ულთათვის და ერთმანეთში დაზავებას.

ბაგრატიონები იმეტებდნენ იმათთვის მძევალს და მათაც ამ ოჯახისათვის უნდა გაემეტებინათ მძევალი.

— არც უარის თქმა იქნება და მერე როგორც გინდოდესთ ისე მიძმეთ. და ჩვენი ოჯახიც გაისაკუთრეთ საუკუნოდ, თქვენ და ეგენი ერ-

თნი უნდა შეიქმნათ და სადაც ან ჩვენის ოჯახის მტერი არის ან თქვენი იმაზედ მიხვიდეთ. ღვთით და ღვთით ამ ჩვენს მტერს რომ მოვრჩებით, მერმე მშვიდობასა და განსვენებაში ვიქნებით თქვენცა და ჩვენცა და ჩვენი ოჯახი თქვენი საკუთარი სახლი იქნება და ჩვენი კარი ყოველთვის ღია იქნება. ახლა თქვენ იცით როგორც ამ საქმეს შეჰფეროდეს, ისე მოიქეცით.

1 აპრილს კვლავ ძმური სიყვარულით მოიკითხავდა მასურის შვილ დუდავსა და კიდევ ქელეხსანს და შეახსენებდათ მძევლების საქმეზე გაგზავნილ იმ ბარათს და გაუმეორებდათ: ჩვენი გულისათვის ქურთაულებსაც და ქისტებსაც მძევლები უნდა მისცეთო.

–– თქვენ ამ საქმეზედ ბეჯითი იყავით. ღვთის მოწყალებით მერმე ჩვენი ოჯახი თქვენი იქნება. რასაც ახლა თქვენ ჩვენთვის გაირჯებით, ის თქვენთვის საშვილისშვილო პური იქნება. ახლა როგორც თქვენი იმედი გვაქვს, ისე ერთგულად და ბეჯითად მოიქეცით რომ ერთმანეთს ზავი გქონდესთ და მისვლა-მოსვლა ღვთით ჩვენი საქმეცა და თქვენიც კარგად მოვა.

მარტში სხვა მისი სიტყვა ყაზიბეგის შვილ ჩაღიდიპოლიტეს უნდა ემბნა, ამჯერად კი ბარათის მიმტანი („ეს თქვენი ძმა და ბიძაშვილი“) მოახსენებდათ.

7 აპრილს მთიელი მოურავები მიიღებდნენ ბატონიშვილის ბარათს: თქვენი ერთგულება და ეგეთი სიმხნე რომ გვესმის, დიდად გვეამება და ჩვენგანაც ყველა გულისწადილი აგისრულდებათ. აქ დიდი თადარიგი დავიჭირეთ, ქვემოთ ყიზილბაშებმა რუსებს დღე დამართეს (ყათლანი უყვესო), შუშა აიღეს და რამდენიმე დღეში ქალაქზეც გამოილაშქრებენ. ორმოციათას კაცზე მეტსაც შევყრი, მთელი დაღესტანი, ჩაჩანი, ჩერქეზი, ქისტი, ღლიღვი, ჭანთო, ტერელო და ეს ჩვენი ხალხი გამზადებულია, ცოტა სიცივე რომ არ გვაწუხებდეს, აქამდეც არ დავდგებოდითო.

დაე, რასაც მათი ერთგულებისაგან გამოელოდა, ისეც მოქცეულიყვნენ, ისე თუ კიდევ რაიმე დააინტერესებდათ, ბარათის მიმტანებისაგან გამოეკითხათ.

27 აპრილს კი იორამ ბარათაშვილს მისწერდა გახარებული, რომ ისიც და კიდევ ათი წევრიც იმ ამალისა, ალექსანდრეს წერილები რომ მიჰქონდათ ირანის შაჰსა და მინისტრთან, რუსებს მხოლოდ დაეტყვევებინათ ყაზახში და დახოცვით კი არ დაეხოცათ, როგორც თავიდან გამოვიდა ხმა.

ახლა ალექსანდრე დაიმედდებოდა, რომ თავის მომხრეებს რუს ტყვეებზე გადაცვლიდა. ასეც ატყობინებდა იორამს: თქვენ თიანეთს

გამოგგზავნონ და ჩვენ მაგათ რუსებს გავგზავნით ჩარგალსო. ოლონდ იორამს თავისი ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა, რომ ნამდვილად ცოცხალი იყო. ბარათის ბოლოს სინანულს გამოთქვამდა: შენ გამგზავრება არ გინდოდა, მაგრამ მე არ მოგეშვიო. მიიჩნევდა, რომ იორამს გულმა უგრძნო ხიფათი, და მან კი, სავალალოდ, თავისი ერთგული კაცის ეს წინათგრძნობა არ გაითვალისწინა.

ორ დღეში რტიშჩევთან აფრენდა ბარათს და ტყვეების გაცვლას შესთავაზებდა, იორამს როგორც შეპირებოდა, და ისტორიკოსებს არ გამორჩებოდათ ის გარემოება, რომ ბატონიშვილი მთავარმართებელს როგორც თანასწორუფლებიან მხარეს, ისე მიმართავდა.

— არა ვგონებთ ჩვენ ცოცხლებით მანდ მყოფთა პყრობილთა ჩვენთა ტუსაღთა და უკეთუ ცოცხალი არიან, ჩვენცა გამოგითვალავთ მაგიერთა აფიცართა და უნდორ აფიცართა და სალდათთა. ეგენი წარმოავლინე თიანეთს და ჩვენ წარმოვავლენთ ჩარგალსა შინა. ჩვენი ჩვენადვე მოიქციენით და თქვენი თქვენადვე მიიღევით. და უკეთუ არაინებებს მაღალაღმატებულება თქვენი, ეგენიცა წარსრულთა თანავე იყვნენ.

სულაც არა გრძნობს თავს ალექსანდრე კლდეებში გამოკეტილად, არამცთუ სასოწარკვეთილებას არ მისცემია. გულიც მოუცავს და თანაბარუფლებიანი მოლაპარაკების გარდა მუქარასაც შემოაპარებს, აფრთხილებს რუს გენერალს, თქვენი გადასაწყვეტი კი არის, მაგრამ... მაინც... მაინც ანგარიშის გაწევა გერჩივნოთო.

ამ ბარათს ისედაც შეადგენდა, რაკიღა შეპირებოდა იორამ ბარათაშვილსა თუ მის აჩრდილს (ვაითუ ცოცხლებში აღარც ეწერა!), მაგრამ მთავარმართებლის ახალი წერილიც სასწრაფოდ ითხოვდა პასუხს, ის რომ ამუნათებდა გამწყრალიც და გახარებულიც ერთსა და იმავე დროს, ბატონიშვილი ორპირობაში გამოვიჭირეო.

და ვითომ რატომ არ უნდა წაეკეცა ზედ ის პასაჟები, ორ სხვადასხვა ბარათში რომ აღმოეჩინა: მასთან მიწერილში და ირანს გაგზავნილში.

ირანს გაგზავნილისა რა იცოდა?

მსტოვრები რომ გაეფაციცებინა, ერთხელაც იქნებოდა ხელში მოიგდებდნენ შაჰის კარზე მიწერილ წერილს და ახლა რტიშჩევი უტევდა ალექსანდრეს: ხელმწიფე იმპერატორს რომ აღუთქვამდი ერთგულებას სისხლის უკანასკნელი წვეთის დათხევამდე, იმავდროულად აბას-მირზასაც რატომ ეფიცებოდი ასეთივე ერთგულებას, სისხლის უკანასკნელ წვეთს რომ ახსენებდიო.

ეს კი ასეაო, მიუგებდა ბატონიშვილი, მაგრამ დაუკვირდით გაგზავნის თარიღებსაც, განა აბას-მირზასთან უფრო ადრე არ არის მიწერილიო?..

იგი ხომ არასოდეს დაპირისპირებია რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკვრასა და მის მფარველობაში შესვლას, არასოდეს უარუყვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, იმ ხელშეკრულების დარღვევას ეწინააღმდეგებოდა შეურიგებლად და, ვიდრე პირში სული ედგა, არც არასოდეს იყაბულებდა. სამართლიანობის აღსადგენად კი ვინც თანადგომას გაუწევდა, ყველას მადლიერი იქნებოდა და შეეცდებოდა სიკეთე სიკეთითვე მიეზღო.

მთავარმართებელს კი იქით წააკეცავდა იმ სახელმწიფოებრივსამხედრო პოლიტიკას, რომლის დანაშაულებრივი ბუნებაც აღარავისთვის დაფარულიყო:

— აგიღიათ კისერსა ზედან სისხლი ესე ოდენთა უბრალოთა ქრისტიანეთა და ატარებთ ცხოვრებათა თქვენთა უბრალოთა სისხლთა ღვრათა შინა და ამას არა ფიქრობთ, რომელ იძიებს გამომძიებელი მართლმსაჯულება მღრთისა.

ღვთის სამსჯავროთი რომ აშინებდნენ ალექსანდრეს, ღვთის სამსჯავროსი დაე თვითონ შინებოდათ, სისხლის მორევში რომ ბრუნავდნენ და მაჰმადიანებს აჭარბებდნენ უცოდველ ქრისტიანთა ჟლეტით.

ნუ მეჭვთ რასამე ბოროტსაო, — ასე იხსნებოდა ეს ბარათი და რტიშჩევის შემოთავაზებას კი: ოდეს მოხვალ ჩემთან, მაშინ გექნება უშიშარი და კმასაყოფელი ცხოვრებაო, — პასუხობდა ყოვლის შემძლებელი ღვთის ძალით არავისაგან ვშიშნეულობ, ეგაა, მოწადინე ვარ ქრისტიანთა შორის მშვიდობის ჩამოგდებისაო:

— უკეთუ გულწრფელობითა ქრისტიანებრითა სახით მარწმუნებთ, არს პირველი სახე ქრისტიანებრივი სიყვარულისა და როგორ დავერწმუნო, რომელსაცა მარადის მდევნით.

ორ საპირისპირო პოლუსზე აღმოჩენილიყო მთავარმართებლის სიტყვა და საქმე და ალექსანდრე კვლავ და კვლავ თავისას ითხოვდა: გულწრფელობაც ეს იქნება, რომ წერილით გამომიცხადოთ ჩემს მამულში მტკიცედ დამკვიდრებაო.

და ფინალში ისევ გაუმეორებდა: ცარიელი წერილები არაფრად არაა გამოსაყენებელი, სახელდებით დამიდასტურეთ და მაშინ დამიმშვიდდება გონება და მივენდობი თქვენს მაღალაღმატებულებას, რათა თქვენი ამ შინაარსის ბარათი მეპყრას ხელთ და დავრჩები მარად თქვენს კეთილმოწადინედო.

წერილში დიმიტრი ორბელიანსაც მწარედ გადაჰკრავდა, იმას რომ ეთავხედა, ნურც რას იწერები და არც რას ჩვენ მოგწერთო, — თითქოს ბატონიშვილს წამოეწყოს მოლაპარაკებანი მათთან. არ ენებათ და ნუ ენებათ, კალთებს არავის ახევდა ალექსანდრე, ეგაა, ნუ ავიწყდებოდათ, უფლისწულს რომ მიმართავდნენ და შესაფერისი პატივითაც მოპყრობოდნენ.

იმავე დღეს კიდევ ერთ წერილს შეადგენდა დევნილი მდევნელის სახელზე, თუმც სულაც აღარ აღიქვამდა თავს დევნილად და ისეთი განცდაც გასჩენოდა, რომ ვითარება ერთბაშად შემობრუნებულიყო და შესაძლოა როლებიც გაცვლილიყო, თუკი მთავარმართებელი აქედან დროულად არ გაასწრებდა.

დაე გაესწრო, გადალალულიყო რუსის ჯარი კავკასიის ქედს მიღმა, დაბრუნებოდა საკუთარ მიწა-წყალს, რომელიც უზარმაზარი სივრცის მიუხედავად ძალიან ეპატარავებოდათ, რაკიღა მთელს დედამიწას არ მოიცავდა... ასეა თუ ისე, მაინც გადაკრეფილიყო და ბატონიშვილი არამცთუ შურისძიებას არ მოინდომებდა, ახლიდან შეკრავდა იმპერატორთან იმ კავშირს, რომელიც აქამდე ქაღალდზე რჩებოდა, ამიერიდან კი...

ოღონდაც დაძრულიყვნენ აქედან... ოღონდაც, ოღონდაც...

სამწუხაროდ, ამ ბარათის დედანი არ შემორჩებოდა და ეთერ ორჯონიკიძე მის რუსულ ვერსიას ხელახლა თარგმნიდა ქართულად:

— უმაღლესი კარიდან გამოგზავნილი წერილებიდან და კურიერთაგან შევიტყვეთ, რომ იმპერატორმა ორი პოლკი ჯარისკაცები და ამდენივე კაზაკი გვიბოძა, რათა მე განვაგებდე და ვმართავდე საქართველოს.

შემოტრიალებულა ისტორიის მსვლელობა და ეგაა.

რაღაც გაუგებრობა ხომ არ არის?! ორი პოლკიც და მეტიც იმპერატორს ჩვენს მიწა-წყალზე შეიძლება შემოეგზავნა ერთადერთი მიზნით — შეეპყროთ ალექსანდრე ბატონიშვილი და პირწმინდად ამოეძირკვათ წინააღმდეგობის მოძრაობა, თორემ... ბატონიშვილი ტახტზე რომ აეყვანათ და მისი გახელმწიფება განემტკიცებინათ, ამას ირანის სამეფო კარი იზრახავდა და არა რუსეთისა.

ნამდვილად რტიშჩევთან გაგზავნილ წერილს ვეცნობით და არა აბას-მირზასთან?

— თქვენ კი ყველა უნდა დაბრუნდეთ რუსეთში სხვა საჭიროებისათვის — საფრანგეთთან საბრძოლველად.

არა, სწორედ რტიშჩევთან გაგზავნილი ბარათი უნდა იყოს... იყოს რა — არის!..

ბარემ ჩავყვეთ ბოლომდე?

— ასეთი წყალობა ჩემი თქვენ გშურთ და სულ სხვაგვარ მიმოწერას მიმართავთ. ჩვენთვის ცნობილია რუსეთის მრავალი შინა საიდუმლო, რაზეც ახლა არაფერს ვიტყვი. თქვენ კი ნაცარწაყრილ ნაკვერჩხალს დამსგავსებიხართ, რომელიც თუ ვინმემ უნებლიეთ გადაქექა, ხელებს დაიწვავს. როგორ ვირწმუნო მე თქვენი, როცა თქვენ გშურთ ხელმწიფის წყალობანი ჩემდამი? მე მიმალავთ ჭეშმარიტებას, გამომიცხადეთ მართალი, რათა შევძლო იმპერატორის ფერხთ გართხმა და მის გულში ჩაკვრა.

აღსრულებულა მისი მიზანი და ეგაა.

კი მაგრამ, განა რას შეიძლება ასერიგად შეესხა ფრთები მისთვის?

ნუთუ მართლა შემოტრიალდა ისტორია?

და თუ არა, ალექსანდრე ისეთი მიამიტიც არა ყოფილა, ოცნება რეალობისათვის გაეიგივებინა და შატილში მყოფს თავი ხელმწიფის ტახტზე მოსჩვენებოდა.

ჯერ კიდევ მარტის მიწურულს მიეღო წერილი ზაზა ციციშვილისაგან, იმჟამად ჩეჩნეთში რომ იმყოფებოდა და ჩრდილოკავკასიელთა ერთობლივი სახელით — დაღესტნელთაც და ჩეჩენთაც, ჩერქეზთაც და თაგაურ-ქურთაულთაც, ქისტებისაც და ღლიღვებისაც და ჭანთო-ტორელოთაც, ქართველ მთიელთა ხომ თავისთავად — ატყობინებდა სრულ მზადყოფნას თავისუფლებისათვის საბრძოლველად, დამატებით და მეტად საგულისხმო ცნობებსაც მიიღებდა, იმას რუსეთიდან ჩამოსული ერთი ვაჭრისაგან რომ გამოეძია და აღტაცებულს მაშინვე კავკასიური ომის წინამძღოლისათვის მოეხარებინა.

ნაპოლეონ ბონაპარტემ მოსკოვიც აიღო და პეტერბურგიც, მოსკოვი სულაც გადაწვა და ფრანგების ჯარი შიდა რუსეთში დგასო;

საფრანგეთის იმპერატორს, გარდა მოსკოვისა და პეტერბურგის, კიდევ ათი სამეფო წაურთმევია რუსებისათვის და მაკარიაც აუკლიაო;

რუსხელმწიფე ყაზანს გაქცეულაო;

გაქცულა და იქიდან საქართველოში მყოფ რუსულ ხელისუფლებასა და ჯარს სწერს, მე აქ რა დღეში ვარ და თქვენ მანდ რას დაყუდებულხართ, სასწრაფოდ აქეთ დაიძარითო.

ერთბაშად სულაც არ აფოფინდებოდა ბატონიშვილი და შეეცდებოდა უფრო გულდასმით გამოეძიებინა და დაეზუსტებინა ყველაფერი, მაგრამ ყოველი ცნობა ამასვე აუწყებდა, ათასგვარი ჭორიც დატრიალდა ჰაერში, საითაც გაიხედავდი, ჭორი მოფრინავდა, ტყუილ-

მართალი ძალიან აირია ერთმანეთში და, რა გასაკვირია, თვით ალექსადრეც, ასეთი ფხიზელი გონებისა და ასეთი ფრთხილი, აჰყოლოდა ამ ხმებს, ერწმუნა ნაპოლეონის სრული ტრიუმფი და თავისი ყოფაც და მომავლის პერსპექტივაც ამ ფონზე გაეაზრებინა, ცხადია, სრულიად ახლებურად.

კუნძულ ელბადან გამოქცეულ ნაპოლეონს მართლაც განსაცვიფრებელი გზა გაევლო პარიზამდე და, ქალაქი ქალაქზე რომ აიღო და მის წინააღმდეგ დაძრული სამთავრობო ჯარები თავის მომხრეებად ექცია, წუხანდელ ტყვეს იმპერატორობაც დაებრუნებინა და ევროპაც კვლავ აეზანზარებინა და აეფორიაქებინა, შიშით გაეთანგა და დიდ საგონებელში ჩაეგდო ყველა — ამას რაღა გადასძალავს და ისეთ შურს იძიებს მარცხისათვის, სიზმრადაც რომ არ მოგვლანდებიაო.

ნაპოლეონი თითქოს არ მოდიოდა შურისმგებლის მისიით და ლმობიერებას უფრო იჩენდა გუშინდელი მტრების მიმართ, მაგრამ მაინც ვერ ენდობოდნენ, ძალ-ღონეს რომ მოიკრებდა, მერე რაღას იზამდა, როდემდე ეყოფოდა მიმტევებლობის უნარი?!.

და ერთად შეითქმოდა ყველა და ყველაფერი, რათა მისი დამხობა საბოლოო ყოფილიყო.

ოღონდ ვიდრე ეს მოხდებოდა, ბონაპარტეს ტრიუმფის ექო ქუხდა და გრგვინავდა და, რა გასაკვირია, ათასგვარი ჭორითაც შევსებულიყო და შეფერადებულიყო, ამ ჭორებში კი მოსკოვის ხელახალ დაპყრობასაც გაეელვა.

იმპერატორის გაქცევასაც დედაქალაქიდან.

მის მოთხოვნასაც საქართველოში მყოფი ხელისუფლებისადმი: მანდ რას დაყუდებულხართო...

თვით ალექსანდრეც, ასეთი ფხიზელი გონებისა და ასეთი ფრთხილიო...

ასეთ ვითარებაში განა რაღა დაუდგებოდა წინ საქართველოს სამეფოს აღდგენას?

მითუმეტეს, მეფე საძებნელი აღარავის ჰყავდა.

ხალხის თვალში ისედაც ხელმნიფის შარავანდით შემოსილიყო ალექსანდრე.

იმპერატორი კი ვეღარ გაბედავდა, რომ თავისი ნებართვითაც არ დაედასტურებინა ალექსანდრეს კანონიერი უფლება ტახტზე.

ორი პოლკი ჯარისკაცები და ამდენივე კაზაკი გვიბოძა, რათა მე განვაგებდე და ვმართავდე საქართველოსო...

ეს ოთხი პოლკი კი მართლაც ძალიან სჭირდება, და სჭირდება იმიტომ, რომ ირანი მოერიდოს ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში. მათ უკვე აღარ უნდა ეკითხებოდეს საქართველოს ბედი, დამოუკიდებელი ქვეყნის, მარტოდენ სამხედრო კავშირით შეკრულის რუსეთთან.

და ნიკო ბერძენიშვილს ეს წერილი საშუალებას აძლევდა განეცხადებინა:

— როგორც ვხედავთ, ეს იგივე 1783 წლის ტრაქტატია და ალექსანდრე ამ ტრაქტატის საფუძველზე რუსეთთან კავშირის დაჯერებული მომხრეა.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლება საკუთარი თავის წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებდა.

დაე ალექსანდრე ბატონიშვილი ჯიუტად მობღაუჭებოდა შეთანხმების პირობებს, იმპერია არანაკლები სიჯიუტით უარყოფდა იმ ხელშეკრულების არსებობას და ოთხი დამხმარე პოლკისა რა მოგახსენოთ და ოთხი მხრიდან კი შეუტევდნენ სალდათები ხევსურეთს, რათა მისი გასაგისიც ამოეგდოთ, და ამ ოთხი უზარმაზარი რაზმის მეთაურობა გენერალ სიმონოვიჩს მიენდობოდა. თიანეთიდან შეტევა გენერალ ტიხანოვსკის დაევალებოდა, კახეთის აჯანყების ჩაქრობით გამოცდილებაგანმტკიცებულს, გუდამაყრის ხეობიდან გენერალი სტალი დაიძრებოდა, ხოლო სტეფანწმინდიდან — გენერალი გაბრიელ ყაზბეგი, რომლის ლაშქარში მოღალატე მთიელებიც ბლომად გამოერეოდნენ. დაწინაურების კვალობაზე მეტიც მოეთხოვათ მისთვის — აღარ კმაროდა სამხედრო გზის მოწესრიგებაზე ზრუნვა, აღარ კმაროდა, ამბოხებულებს თუ არ მიემხრობოდა, აღარ კმაროდა, რუსის ჯარს სურსათით თუ მოამარაგებდა და უკვე აღარც კონტრიბუციის აკრეფაში მონაწილეობა კმაროდა.

პირადად უნდა მიეღო მონაწილეობა სადამსჯელო ოპერაციაში და ემუსრა ხევსურები და მათი სოფლები ცეცხლის ალში გაეხვია.

რუსი ისტორიკოსები ირწმუნებიან, ჩვენი მხედრობა 1 500-ზე მეტ კაცს არ აღემატებოდაო, თუმც აკაკი გელაშვილის გამოანგარიშებით, 3 000-ზე მეტი სალდათიც უნდა ყოფილიყო ჩარეული, პოტოს მოწმობით ძალიან რომ არ ეხატებოდათ გულზე ხევსურები: მათ სახეზე ვერც ღიმილსა და ვერც სამხიარულო განწყობილებას ვერ ვნახულობთო.

ნეტა რა ღიმილსა და მხიარულებას ელოდნენ ხევსურთაგან?!

ყვავილებით რომ არ შეეგებნენ, ეტყობა, ამანაც მოუკლათ გული: მათ სახსნელად მოსულნი ნუთუ ამის ღირსები ვართ, მტრულად რომ დაგვხვდნენო.

მსვლელობისას რუსის ჯარის სიფრთხილესა და გაუბედაობას ვერც მათი ისტორიკოსები უარყოფენ და პოტოს ქრონიკებში ბელეტრისტულ მონახაზადაც ჩაერთვის 25 მაისის სურათი, ნიჟეგოროდელებს რომ აღემართებოდათ თვალწინ და წარუშლელადაც ჩარჩებოდათ ხსოვნაში:

— უდნობი თოვლით დაფარულ ერთ მწვერვალზე იდგნენ ხევსურები. მზის კაშკაშა სხივები ირეკლებოდა მათ ფარებზე, ჯაჭვებსა და თავსაბურავებზე. სურათი გაოცებდა თავისი ველური მხედრულობით. ამ გორაკის წინ ჯარი გაუბედავად შეჩერდა.

შეტევაზე გადასვლას სულ რას გაბედავდნენ.

მაგრამ ხევსურეთის ულმობლად განადგურების გეგმა უკვე დასახულიყო და ამ გეგმიდან აღარ გადაუხვევდა იმპერია, გრანდიოზული სწრაფვანი და ჟინი რომ აქეზებდა და ერთიბეწო ხევსურეთს დაბრკოლებად ვერ გადაიქცევდა. და თუ ერთი რაზმი შეფერხდებოდა, ისინიც მალე მოვიდოდნენ გონს და გულსაც მოიცემდნენ, როგორც კი ლებაის კარის ბოლოს მოიერიშე-სადამსჯელო რაზმები ერთად შეიკრიბებოდნენ.

გათამამებულთ უკვე ისიც შეეძლოთ, რომ ბატონიშვილისათვის წერილი მიეწოდებინათ, მასაც და უკლებლივ ყველა ხევსურს უბრძოლველად დანებებას რომ სთავაზობდნენ.

უბრძოლველად დანებება, როგორ არა!..

და კიდეც ისეთი თავგანწირვით ეკვეთებოდნენ მომხვდურთ, იმათ გაოგნება კარგა ხანს გაჰყვებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო სამხედრო გამოცდილება უმაგრებდათ ზურგს, ისეთი ბრძოლები გადაეტანათ და ისეთ გარემოებებში გამოწრთობილიყვნენ, თითქოს რაღა უნდა გაკვირვებოდათ, მაგრამ თვითონ ახსნიდნენ თუ ვერა მიზეზებს, აღიარებით კი აღიარებდნენ: სუვოროვთან ერთად ალპები გადაგვილახავს, მაგრამ ამგვარი გარჯა და თავდადება იქ არ დაგვჭირვებია, ეს სამხედრო ექსპედიცია გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ის, ალპურიო.

ეს მას შემდეგ მოხდება, რაც 31 მაისს ბარისახოს აიღებდნენ, 1 ივნისს — გურსაც, სადაც სასტიკი ომის გადახდა მოუწევდათ და 700 ხევსურიც დარჩებოდა ბრძოლის ველზე, და უკვე შატილსაც მიწვდებოდნენ, 2 500 სალდათითა და რამდენიმე ზარბაზნით, ხევსურები კი ხმალდახმალ იცავდნენ თავს ქისტებთან ერთად და თითქმის ერთიანადაც გაწყდებოდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილს კი მაინც ვერ იგდებდნენ ხელთ.

აკაკი გელაშვილი კვლავაც მიაქცევინებდა მკითხველს ყურადღებას, რომ ოფიციალური ვერსია 600-მდე ხევსურის დაღუპვას იუწყებოდა, საკუთარ დანაკარგებს კი რუსები მკაცრად ასაიდუმლოებდნენ და, თუ რტიშჩევი ასე თუ ისე გაამხელდა 100-მდე სამხედროს სიკვდილს, ისტორიკოსებს ესეც არ ეჭაშნიკებოდათ და 50 დაღუპულის დასახელებას კმარობდნენ.

ხოლო ბატონიშვილი შატილის ბრძოლის წინადღით უკვე მიეფარებოდა თვალს, და თუმც ტიხანოვსკი 4 ივნისს დაედევნებოდა მას და გზად ქისტების ცხრა სოფელსაც გადაწვავდა, მეორე დღეს ხელცარიელი და ნირწამხდარი დაუბრუნდებოდა შატილს.

იქიდან გენერალ სტალთან ერთად ხელს მიჰყოფდა სადამსჯელო რბევას და ოცზე მეტ სოფელს გადაბუგავდა ხეობაში.

ჰოი, რა სიამაყით შეუერთდებოდა ასევე გადამბუგველ-გამანიორწყლებელ სტალს თიანეთში. და ზარზეიმი მაშინ უნდა გენახათ, როდესაც ამ სამხედრო ექსპედიციით გახარებული იმპერატორი ჯილდოებს ჩამოარიგებდა.

ეს ექსპედიცია გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ის, ალპურიო...

კახეთის ეპოპეის ეპილოგიც სულს ღაფავდა.

ბატონიშვილი ქისტეთში დიდხანს აღარ შეყოვნდებოდა, აქედან მალე გადავიდოდა ჭანთოეთში, შემდეგ გაივლიდა შაროს, ავარიას და გაჩერდებოდა სოფელ უნცუკულში კოისუბულელ ლეკებთან.

— შეიწყნარეს ვითარცა პატრონი მათი, — გვამცნობს დავით ბატონიშვილი და ეს უშუალო ცნობა რომც არ გაგვაჩნდეს, ისედაც ადვილი მისახვედრია, თუ როგორ შეეგებებოდნენ დაღესტანშიც და ყველგანაც, მთელს ჩრდილოკავკასიაში. საკუთარ გმირად აღიარებდნენ, იმ წინამძღოლად, ვინც ზეცისაგან მოვლენოდათ უმძიმესი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

თავიანთ მითოსშიც ამიტომ მიუჩენდნენ ადგილს მის სახებას.

და მითოსური გმირი ყოფით რეალობაში რომ გამოგეცხადება, პატრონად და მფარველად მიიღებ და მის დაძახილს დაუფიქრებლადაც აჰყვები, მითუმეტეს, თუ ისედაც ხმლისაკენ გაგირბის ხელი, კოისუბულელებისა არ იყოს.

26 აგვისტოთი დათარიღებული ბარათით ფშაველთ, მათ ხევისბერთა და უფროს უფროსთ ამცნობდათ, რომ ვისაც კარგად ემსახურა, წყალობა არ მოაკლდებოდათ, ხოლო ვინც გაურჩებულიყო, მიუტევებდა. ეგაა, ორგულთ მოელოდათ რისხვა. შაჰს მოეწერა მასთან,

რომ განჯას ჩასული კნიაზი დაერბიათ და იქ მყოფი რუსობა პირწმინდად გაეწყვიტათ.

— თქვენთვისაც წყალობისა და ჯამაგირის წიგნი უბძანებია.

აბას მირზა ერევანს მისულიყო, მამად ალი ხანი — ბაქოსა და შირვანს, თორმეტი ათასი კაცი ქიზიყში, ჭალის ძირში მდგომ რუსებს დასხმოდა თავს და თვითონ ალექსანდრე კი დაღესტნელებით ოთხპირად შემოწყობოდა შილდას.

— ახლა თქვენც ამისთვის მოგწერეთ, რომ რას წამს ეს წიგნი მოგივიდესთ, მაშინათვე მდევრულად კომლზედ კაცი უნდა ჩვენთან წამოხვიდეთ. სამსახურის დროც ეს არის წყალობის მიღებისაც.

რუსთაგან ნუღა გაბრიყვდებოდნენ.

— გეყოფათ.

თავისითაც კი უნდა მიმხვდარიყვნენ, იმათ ნდობა არაფრისდიდებით რომ არ შეიძლებოდა, მაგრამ თუკი ვინმეს კიდევ შერჩენოდა რაღაც ილუზიები, ამ ერთ სიტყვას უნდა აეწვა მათთვის ყურები: გეყოფათო.

— ღვთით ამ ორს დღეზედ ჩვენ და რუსებს დიდი ომი მოგვიხდება.

ფშაველთ რა ევალებოდათ და:

— ახლავ და ახლავ მდევრულად საჩქაროდ უნდა აქ ჩვენთან შილდას მოხვიდეთ და ვინც წინა სოფლები დაგხვდეთ, თან გამოიყოლეთ და თუ ურჩებასა და მიზეზს იტყვით რასმე გაზაფხულივით, მაშინ ოთხი-ხუთი ათასი კაცი არც თქვენთვის გაეშურება და ჩვენ უვალონი ვიქნებით. და თქვენ იცით.

ხომ არც დაპირებას იშურებს და პატიებისაც ყაბულსაა, მაგრამ მაინც აუცილებლობად მიიჩნევს, გაახსენოს გაზაფხულზე მომხდარი ამბავი, რაღაც-რაღაც მიზეზები რომ მოიდეს და... ხლებით კი არა ხლებიან.

მაშინ შერჩათ?

ნუ ეგონებოდათ, მაშინდელივთ ახლაც შეგვრჩებაო.

ოთხი-ხუთი ათასი კაცი არც თქვენთვის გაეშურებაო...

და კვლავ მოწოდების გამეორება, ახლავ და ახლავ მდევრულად გამოსწიეთო:

— დღეს ხომ ორშაბათი არის. სწორამდის მოგელით და ახლა თქვენ როგორც გიჯობდეთ, ისე საჩქაროდ მოგვაშურეთ შილდას.

არჩევანის წინაშე აყენებდა:

ან კვლავ რუსებისათვის უნდა გაებრიყვებინათ თავი და ან საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის უნდა ებრძოლათ.

ანუ:

ან ნაზრახი სიცოცხლე უნდა ემჯობინებინათ და ან სახელოვანი სიკვდილი.

თუ ისედაც ხმლისაკენ გაგირბის ხელი, კოისუბულელებისა არ იყოსო...

სწორედ მათი დახმარებით შემოიჭრებოდა კახეთში, მაგრამ 30 აგვისტოს შილდასთან დამარცხდებოდა და დიდოელებთან შეაფარებდა თავს, თუმც მოსვენებით არ მოისვენებდა და მაშინ თუ 200 ლეკი ახლდა, ახლა 6 000 მებრძოლსაც მოუყრიდა თავს და ისევ კახეთისაკენ აიღებდა გეზს.

კვლავ მარცხი ელოდა, ამჯერად საბუესთან.

და კვლავ დიდოელებთან უნდა ეძებნა თავშესაფარი.

16 ოქტომბრის ეს დღე აღმოჩნდებოდა კახეთის აჯანყების გაჭიანურებული ეპილოგის უკანასკნელი წერტილი.

ამის შემდგომ ალექსანდრე თვალს მიეფარებოდა არამარტო რუს ხელისუფალთა და მათი მსტოვრებისათვის, არამედ ისტორიკოსთათვისაც და ყველა საფიქრალს შოთა ხანთაძე გაამჟღავნებდა: არ ვიცით, სად არის და რას აკეთებს მთელი 1814 წლის განმავლობაშიო.

...ეგებ მართლაც მითოსში ჩარჩენა ერჩივნა?!.

თავი მეთერთმეტე

„დაღესტნის ვერცერთი ადგილი ვერ დაგიფარავთ...“

1813 წლის ოქტომბერში ზავი დაიდებოდა ირანსა და რუსეთს შორის.

არ გაგიკვირდებათ, როდესაც შეიტყობთ, რომ საზავო მოლაპარაკებისას მსჯელობა გაიმართებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ირგვლივაც.

რამხელა სახელი ყოფილა, არა?

ორი ამოდენა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია და საკმაოდ მნიშვნელოვანიც, თუ რა ბედი ეწევა ქართველ უფლისწულს.

მთელი კავკასია, ქედს გადაღმაც და ქედს გადმოღმაც მის სიტყვას ასდევს და ვისაც ამ არეალის დაუფლება-შენარჩუნება სწყურია, მაშ ალექსანდრესაც როგორღაც უნდა მოუაროს — ან გადმოიბიროს, ან დაატყვევოს ან მკვლელის წერა გახადოს.

წინასწარი მოლაპარაკებისას, როდესაც რუსეთი წარავლენდა გენერალ ახვერდოვს, მთავარმართებელი რტიშჩევი მას დაავალებდა, რომ განსახილველ საკითხთა შორის არაფრისდიდებით არ დათანხმებოდა ბატონიშვილის საკითხის შეტანას.

იცის, ირანი არ დათმობს ალექსანდრეს, მარტოდმარტო არ შეატოვებს რუსეთს, რაკიღა მისი ჩამოცილება პოლიტიკური ასპარეზიდან სამუდამოდ დაუსამარებს ირანს ოცნებას კავკასიაში რაიმე გავლენის შენარჩუნებაზე.

რტიშჩევი რისი რტიშჩევი იქნებოდა, პოლიტიკურ დაბეზღებას რომ მორიდებოდა და არ გაეხსენებინა შაჰისა თუ მისი მემკვიდრისათვის, ბატონიშვილი სპარსეთის მთავრობასთან შეუთანხმებლად წამოვიდა საქართველოში და თქვენმა მთავრობამ არც ამჟამად იცის მისი ადგილსამყოფელიო.

მაშინ ალექსანდრეს საკითხის განხილვამდე საქმე აღარ მისულა, რაკიღა კახეთის აჯანყებამ სრულიად შეცვალა აბას-მირზას გეგმები

და, მოლაპარაკების გაგრძელების ნაცვლად, დიდძალი ლაშქარი დაძრა ასლანდუზისაკენ.

ის მარცხიანი ლაშქრობა აიძულებდა ირანის ხელისუფლებას, განეახლებინა საზავო მოლაპარაკება, განეახლებინა და ალექსანდრეზეც საგანგებოდ ჩამოეგდო სიტყვა, და რამდენიც უნდა ესავსავებინა ხელები მთავარმართებლის წარმომადგენელს და ბატონიშვილის „დანაშაულებათა“ ნუსხაც შემზარავი შთამბეჭდაობით ჩამოერაკრაკებინა (წინასწარ კარგად იქნებოდა მომზადებული!), ირანის ელჩი ფეხს არა და არ მოუცვლიდა თავის მოთხოვნას: რუსეთის მთავრობამ ხელი არ შეუშალოს ბატონიშვილის გადასვლას სპარსეთშიო.

როგორი დასათანხმებელია?!. მითუფრო, როდესაც მიგაჩნია, რომ რკალში მომწყვდეული ალექსანდრეს შეპყრობა მარტოდენ დროის საქმეა!..

მაგრამ როდესაც დაბეჯითებით ითხოვენ?!.

ძალს ერთი მხარე და ძალს მეორე.

ამ პუნქტში ირანი გადასწონიდა.

და ალექსანდრე ბატონიშვილისათვის გზის თავისუფლად გახსნა შეთანხმებული და გაფორმებული იქნებოდა გულისტანის საზავო ხელშეკრულებაში საზოგადო წესით.

1815 წლის აპრილიდან ბატონიშვილის კვალი გამოჩნდებოდა — იგი ანწუხში დაიდებდა ბინას, დაღესტნის ერთ-ერთ თავისუფალ თემში, კახეთის საზღვრების მახლობლად. უკვე დასრულებულად მიიჩნევდა იმ ხანას, როდესაც მიუვალ მთებს შეხიზნოდა. თუმც შეწუხებით მისი არსებობა იქაც აწუხებდა რუსეთს და ბატონიშვილის იქიდან გამოსატყუებლად თავს არა ზოგავდა.

ცხადია, გამეორებით ისევ იმ მტკიცების გამეორება ერჩიენათ: სადაც გინდა იქ იყოს ასეთი უმნიშვნელო პიროვნება, მისი ადგილსამყოფელის მიგნება არაფრად გვიღირსო.

ახლა კი ეს ბარისაკენ ჩამოჩოჩება?!.

დრტვინავდა და მღელვარებდა დაღესტანი, გარშემო ისე შემოერტყა რუსული სამფლობელოები, კარგს არაფერს მოასწავებდა და გარდაუვალი ომისათვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. ჯერ ისედაც არა ჰგავდნენ იოლად დასამორჩილებელთ, და მითუმეტეს, ასეთი კაცი ეგულებოდათ გვერდით.

— ამ მღელვარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართველი ბატონიშვილის ალექსანდრეს ყოფნა დაღესტანში, — აცნობებდა სიმონოვიჩის პატაკი რტიშჩევს.

ხოლო რტიშჩევის წერილი ვეიდემეიერთან ვერ გახლდათ მაინცდამაინც დამამშვიდებელი:

— ლეკები უკვე ემხრობიან ბატონიშვილს.

აფორიაქებით განსაკუთრებით იმ ცნობის შეტყობა ააფორიაქებდა რუს მმართველთ, თითქოს ერზერუმის სებასკირი ბაბა-ფაშა ყოველნაირად ცდილობდა ალექსანდრესთან მოლაპარაკებასა და დაღესტნიდან გამოწვევას, და დაპირებით პირდებოდა — ცხადია, სულთნის სახელით — იმერეთის ტახტს.

ამ ცნობის დაზუსტებული შემოწმება ვერ უხერხდებოდათ, თუმც სავსებით მოსალოდნელია, რომ მართლაც ასე ყოფილიყო, და თუ აქამდე ეს არ მომხდარიყო, ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა, რაკიღა ალექსანდრე მათთვისაც ყველაზე დიდი სახელი გახლდათ და მღელვარებათა ყველაზე ენერგიული გამომწვევი.

ოსმალეთი ირანსა და რუსეთზე არანაკლებ დაინტერესებულიყო ბატონიშვილის ბედით. ჯერ ორი სახელმწიფოს ცილობა მის ირგვლივ და ახლა აგერ მესამეც — მათსავით დიდი და გავლენიანი ევროპასა და აზიაშიც — ჩართულიყო მის მისამხრობად.

ერთმანეთს რომ ასტეხოდნენ, მათ დიპლომატიურ ჭიდილში ასე თვალნათლივ გამოკვეთილიყო ალექსანდრეს სახება — თითქოს არა მითოსური, არამედ სავსებით რეალისტური იერით, მაგრამ როდესაც სამი გველეშაპი დაგღერებია და, საზღვრების გადასინჯვასთან ერთად, შენი ხელში მოგდება, თავიანთ წიაღში გადასროლა, ერთ უმთავრეს თემად შექმნილა თვითეულისათვის, ნება-უნებლიეთ მითოსურ სხივებს იძენ ამ ფონზეც, მეტი სიცოცხლისუნარიანობა რომ უნდა შთაბეროს მფრინავი რაშის ლეგენდას.

ამ სამი სახელმწიფოს ცილობისას ყველაზე თავდაჯერებულად აბას-მირზა გამოიყურებოდა და მაისიდან კიდეც აიკლებდა რტიშჩევს იმ შეთანხმების შეხსენებით, ბატონიშვილს უფლება რომ ეძლეოდა დაუბრკოლებლივ გამგზავრებულიყო ირანს.

ეგებ არ უნდა ეს ირანი, რატომ აიძულებთო? — რტიშჩევს ვითომ სულ ალექსანდრეს დარდი ჰქონდა, არიქა, მის უნებურად არაფერი მოხდესო; და თავის მხრივ კი ძალიან გაიხარებდა ამ სიტყვების მოსმენით აბას-მირზა, დაიმედებული ბატონიშვილის ირანული ორიენტაციით: აგერ დელეგაციას მივავლენ მასთან და თვითონ გადაწყვიტოს, იქნებ მართლაც შეეცვალა პოლიტიკური შეხედულებანიო?

დელეგაციის მეთაურად საგანგებოდ შეარჩევდა მაღალი რანგის მოხელეს — ქელ-ბალაი-ხანს, რათა ყველასათვის გაეთვალსაჩინოე-

ბინა ალექსანდრეს პიროვნებისა და არჩევანის მნიშვნელობა ირანის თვალში; და გაუგზავნიდა სამოსსა და 1500 ვერცხლის მანეთს.

დაფაცურდებოდა მთავარმართებელი, სასწრაფოდ ალექსანდრეს მსახურს გოგია ბასტამაშვილსაც შეიყვანდა დელეგაციის ერთ-ერთ წევრად და ბატონიშვილთან ორ წელზე მეტი ხნის წინათ შეწყვეტილ მოლაპარაკებას განაახლებდა: საბოლოოდ აირჩიე, ვისი მფარველობის ქვეშ გიჯობს ცხოვრება — რუსეთისა თუ ირანისაო? — თითქოს დიპლომატიურ წეს-კანონს არა სცილდებოდა არჩევანის შეთავაზებით, ოღონდ ზედ ისეთ მუქარასაც დაურთავდა, სიამაყეშელახულსა და განდიდების კვიატით შეპყრობილ ადამიანებს რომ სჩვევიათ, ბრაზისაგან წონასწორობდაკარგულთ. არადა, მოდი და ნუ გაგულისდებოდი — ევროპა შეეზანზარებინა რუსეთს, წინა აზია წამოეჩოქებინა, იქით ინდოეთიც აეკანკალებინა, ეს სამკვიდროდაკარგული, არაფრის მქონე კაცი კი დელეგაციების გაგზავნას აიძულებდა და მის პასუხზე ბევრი რამ ეკიდა.

მაშ მთავარმართებლის ულტიმატუმიც მოესმინა, ეგრძნო, რომ არასასურველ პასუხს არ აპატიებდნენ.

ულტიმატუმი კი ითვალისწინებდა, რომ არჩევანზე ფიქრისათვის მხოლოდ აგვისტოს თვე ჰქონდა, დაე ეს ხანი ეკმარა იმ საბოლოო გადაწყვეტილებისათვის, კვლავაც მღელვარე ყოფა ეწადა თუ სიმშვიდე და მყუდროება. გაჭიანურებით არავინ გააჭიანურებინებდა მოლაპარაკებას, ბოლოსდაბოლოს ერთი კაცი იყო, მართლა სახელმწიფო ხომ არა, მასთან დიპლომატიური მისვლა-მოსვლა გაეჩაღებინათ.

ამიტომაც — მოვალე გახლდათ აგვისტოს გასვლისთანავე სასწრაფოდ დაეტოვებინა ანწუხი, თუ არადა:

— მაშინ დაღესტნის ვერცერთი ადგილი ვერ დაგიფარავთ სამართლიანი დევნისაგან და ღვთიური სასჯელი დაგატყდებათ თავს არამარტო თქვენ, არამედ იმათაც... რომელთაც გადაგახვევინეს ჭეშმარიტი გზიდან და ოდესმე პასუხს აგებთ თქვენი ამპარტავნული, ღვთის საწინააღმდეგო ზრახვათა აღსასრულებლად ტყუილ-უბრალოდ დაღვრილ ყოველ წვეთ სისხლზე.

ისევ დემაგოგიური არსენალი მოეშველიებინა, თითქოსდა ორი წლის წინათ ალექსანდრეს სულ იოლად არ გაებიაბრუებინოს მისი „არგუმენტები“ და განსაკუთრებით ღვთის სახელით მუქარა.

ამ არსენალს იმ არსენალსაც დაუმატებდა, რომ აბას-მირზას მიერ გამოგზავნილი 1500 ვერცხლის მანეთიდან 1200-ს თავისთვის გადაინახავდა და ბატონიშვილთან მხოლოდ 300 მანეთს გაატანდა.

სახელმწიფოებრივი ყაჩაღობის თვალსაჩინო მაგალითი!..

რტიშჩევს, ეტყობა, რაღაც პირადი ღმერთი ჰყავდა, ეს ღმერთი ათასგვარ სისასტიკესა და უსამართლობას ყაბულობდა და ვითომ ალექსანდრეს კუთვნილი 1200 მანეთის მითვისებას რატომ არ დაეთანხმებოდა?!.

15 აგვისტოთია დათარიღებული ბატონიშვილის საპასუხო ბარათი, დიდად რომ არ ემჩნევა ნაღვლიანობის კილო, ვაი, რა მეშველება, რტიშჩევის მამობრივი სიყვარულით აღსავსე მუქარებს სად წავუვიდეო, და არც შერიგებისაკენ სწრაფვა ეტყობა, თუკი მის მიერ წაყენებული პირობები კლავაც შეუსმენელი და გაუზიარებელი დარჩება.

მარად მოსურნე ვიყავი და ვარ იმპერატორის მფარველობის მიღებისა, მაგრამ საქართველოში ჩამოსულ ყველა მთავარმართებელთან რომ მქონია წერილობითი თუ ზეპირი მოლაპარაკება და ყოველთვის მითხოვია სარწმუნო პასუხი, ვერცერთისაგან ვერ ვეღირსეო, — თავის საყვედურს გამოთქვამდა ალექსანდრე.

ეს გუდოვიჩიო, ეს ტორმასოვიო, და ყოველთვის გიორგი ბასტამაშვილი გახლდათ შუამავალი, ალექსანდრეს თანშეზრდილი და სანდო კაცი, ბატონიშვილი კეთილშობილ პიროვნებად რომ იხსენიებდა. და ამჯერადაც რტიშჩევს აკი ის დაესაჭიროებინა.

მოიცა, ამას რას ამუნათებდა მთავარმართებელი, კახეთში გამოგზავნილი შენი წერილები ხელთა მაქვსო?

გაკვირვებას გამოთქვამდა ბატონიშვილი ამ საყვედურის გამო, თქვენი ღირსების ადამიანს განა შეჰფერის ამისთანა ლაპარაკი, რომ ბუნებრივი ფიქრი და მოქმედება ცოდვად შეაფასოსო?

— მინამ კაცი ცოცხალი არის, თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს ვიდრე სისხლისა წვეთამდე, და არავისაგან ეს საზრახავი არ არის და არც ავათ ჩამოსართმევი. და მეც ასევე ვგონებ თქვენმა კეთილმა სინდისმაც არ ინებოს ავათ ჩამორთმევა და რომელიც კაცი არ ეცდება თავისის მშობლის მამულისათვის და ანუ თავისის სარჩოსათვის, ის არ იქმნება სრულის კაცის ანგარიშში და განითულება იგი გვამი სულელთა გვამთა შინა.

თითქოს საუკეთესო პუბლიცისტთაგან რომელიმეს სტატიის ამონარიდს ვეცნობოდეთ, ისეთი ექსპრესიითაა ჩამოყალიბებული ეროვნული მრწამსი; და ექსპრესია და სიმახვილე მომდევნო პასაჟში უნდა ნახოთ, იმ მუქარის პასუხი, აგვისტოს დამლევამდე თუ სპარსეთს არ გაემგზავრები ანდა ტფილისში არ გვეახლები, მაშინ შესაფარავი ადგილი აღარ გექნებაო.

თავისას ბრძანებდა მთავარმართებელი.

მაგრამ არა ჭრიდა ამგვარი ბრძანებანი ალექსანდრე ბატონიშვილზე, რომლის გულღია ღიმილიც ისე მკაფიოდ მოჩანს სტრიქონსა და სტრიქონს შუა, თითქოს შევსწრებოდეთ, როგორ კითხულობს იმ წერილს და აჰა იმ მონაკვეთისთვისაც მიუღწევია, სახე რომ უნდა გადაუბადროს.

გადაუბადროს, ეგებ გულიანადაც აცინოს და მწერლური ხელოვნებით მიადევნებინოს:

-- ქვეყანასა შინა ადგილი ვით შეიკვრის, რომ ჩემებრივ მცირედისა გვამის დასატევი და შესაფარი ადგილი აღარ დარჩეს, რომელიც უფალსა ჩვენსა მიუცია ფრინველთათვის სარჩო და სავანე თავის შესაფერად თავისის ცხოვრებისა და გამოზრდისათვის.

ამ სტრიქონებში სახარების ყრუ გამოძახილიც ამოიკითხება (მიჰხედეთ ფრინველთა ცისათაო, — იმ მუხლის), მაგრამ უპირველესად მწვავე სატირაა, ისევ სვიფტისაკენ თუ ილიასაკენ რომ გადაგიქანებს ფიქრს.

არა, მართლაც ისე როგორ უნდა შეკრულიყო დედამიწა, რომ ალექსანდრე ვერ დატეულიყო?..

გიორგი ბასტამაშვილი ფიცით დაარწმუნებდა, მთავარმართებელი აღთქმულ პირობას არ გადავა და, თუკი სპარსეთში ინებებ გადასვლას, გზას გაგითავისუფლებს, ის კი არა, გასაცილებლად რუს მცველსაც მოგიჩენსო.

არ არის საჭიროო, — ამასაც სწერდა რტიშჩევს, — არც თქვენი გამოგზავნილი კაცი მინდა გამცილებლად და არც ქალბალაი-ხანი, ისე მივლია აქამომდე, შემწე არავინ დამჭირებია გასვლა-გამოსვლაზე და ახლა რა ღმერთი გამიწყრებაო.

თუ მართლა ენებებინა რტიშჩევს ბატონიშვილის დაუბრკოლებელი გამგზავრება ირანს, და ალექსანდრე არც ეჭვობდა, ეს რომ ასე იქნებოდა, სავსებით კმაროდა:

— თქვენის მაღალ მსვლელობისაგან ჩემთვის გასაცილებლად წარმოგზავნილი ერთი სარწმუნოსა და ჩინებულის ხელით თქვენი წერილი ჩემად დასარწმუნებლად.

ფულის დაკავების ამბავს რომ გაუმჟღავნებდა მისი ერთგული მსახური, ამის თაობაზე არც უთქმელობა ივარგებდა მიმოწერისას და არც ისე თქმა, უფლისწულს რომ არ შეჰფეროდა.

როდის რა შეშლია ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ ახლა წასცდენოდა წუწუნის მაგვარი რამ. მისი ბარათის ამ პასაჟს ეთერ ორჯონი-

კიძე ოლიმპიურ სიმშვიდესთან ათანაბრებს და უკეთეს შეფასებას ვერც მოუნახავ ამ ქრესტომათიულ სტრიქონებს, დიპლომატიის სახელმძღვანელოსა და მორალურ კოდექსსაც რომ დაშვენდება.

— მაგრამ ეს დიდად მიკვირს თქვენის მაღალ გონებისაგან, ოც ოქროს მიგზავნიან, იმ ოც ოქროს იჭერთ და არ მიგზავნით, რა საკადრისია თქვენგან. თუ ამას ბძანებთ შეწუხდეს, დიახ, დიდი ხანი არის ჩემის მშობლის მამულისათვის მწუხარება კისერზე აღებული მაქვს. მაგ ფულისათვის როგორ შევწუხდები, თუნდა ასი ათასი თუმანი იყოს, თქვენ არ გეკადრებათ მაგვარი საქმე და ნება თქვენია.

და დასძენდა, ზოგიერთი ჩემი ზეპირი სიტყვა დამიბარებია დავით და რუშანასათვის და ესენი მოგახსენებენო. გიორგი ბასტამაშვილსაც დააბარებდა ამასვე, რასაც ფურცელს მაინც ვერ ანდობდა, დოკუმენტს არ დატოვებდა, რაკიღა ორ სახელმწიფოსთან ერთდროულ მოლაპარაკებაში ჩაბმულიყო და სიფრთხილე უჯობდა. არა, ისეთიც არაფერი, რაც აქამდე არ ეთქვა და თანაც მრავალგზის, მაგრამ უშუალოდ ამ ვითარებაში მაინც ზეპირად გადაცემა ერჩივნა: უარს არა ვარ რუსეთის მფარველობა ვამჯობინო, მხოლოდ იმ პირობით, თუკი დამიბრუნდება ჩემი მემკვიდრეობა ანუ აღდგება საქართველოს სამეფოო.

ეთერ ორჯონიკიძე საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა იმ გარემოებას, რომ ბატონიშვილი არ ისარგებლებდა თავისთავად მარჯვე შემთხვევით და სასწრაფოდ არ გაემგზავრებოდა ირანისაკენ.

ეს იმიტომ — კიდევ უფრო მარჯვე შემთხვევად იმას დაიგულებდა, დელეგაციაში რომ გიორგი ბასტამაშვილიც იმყოფებოდა.

ამიტომაც შეიძლებოდა მთავარმართებლისთვისაც აეარა გვერდი და ეცადა პირადად დაკავშირებოდა იმპერატორს, რათა ამ გზით მიეღწია ოცნებად გადაქცეული მიზნისათვის, რომელიც დროის მსვლელობის კვალობაზე სულ უფრო და უფრო სათუო ხდებოდა.

თავიდან თუ კიდევ ჰქონდა ბატონიშვილს რაღაც ილუზიები, ჩვენი სამეფოს გაუქმებაც, ბაგრატიონთა ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლებაც იმპერატორის უნებართვოდ მოხდაო, თანდათან ხომ დარწმუნდებოდა, რომ უშუალოდ რუსხელმწიფე ხელმძღვანელობდა ამ ყოველივეს.

მიმოწერისას რომ ერიდებოდა მისთვის ამ ბრალდებათა წაყენებას და უცოდველად გამოჰყავდა, გასაგებია, დიპლომატიური ენა მოითხოვს და ხან ძალიანაც მოითხოვს ამგვარ სვლებსაც, მაგრამ ფარული ბარათის გაგზავნა?!

ნუთუ ასეთი მიამიტი გახლდათ?!

ეგებ წამიერად მოეჩვენა რაღაც და ამ ემოციას აჰყვა დაუფიქრებლად?!

მაგრამ ეთერ ორჯონიკიძისა არ იყოს:

ეტყობა, იმედოვნებდა, თუკი უშუალო ძაფებს გააბამდა იმპერატორთან და გულისნადებსაც გაუმხელდა, მოახერხებდა მის დარწმუნებას, რომ ტრაქტატის პირობების საფუძველზე რუსეთთან დაკავშირებულ საქართველოს გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთისათვის, ვიდრე დაპყრობილს.

ესეც გულუბრყვილობად მოჩანს?

მთლად ისეთიც არა, „კეთილი მეფის“ ილუზია რასაც იწვევს.

ნეტა ის როგორღა წარმოედგინა ბატონიშვილს, მის თანშეზრდილ მსახურს იმპერატორთან რომ შეეღწია?

მართლა მეფე ხომ არ იყო, კავკასიელები როგორც აღიარებდნენ — დევნილი, ხან ვის კარზე და ხან კიდევ ვის კარზე შეხიზნული, ძალიან კი არ განსხვავდებოდა იმგვარი დახასიათებისაგან, გალაკტიონ ტაბიძე არსენა მარაბდელს რომ მოარგებდა: ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესაო.

ამიტომაც გადაწყვეტდა, რომ პეტერბურგში ჯერ ივანე ყორღანაშვილი უნდა ჩასულიყო და საგარეო საქმეთა მინისტრსა — გრაფი ნესელროდე — და იმპერატორთან მიწერილი წერილები ჩაეტანა. ალექსანდრეს ძალიან ეიმედებოდა თავისი სტილური ხელოვნებისა, შესაფერის შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა და გიორგი ბასტამაშვილს აუცილებლად გამოიძახებდნენ იმპერატორის კარზე, ის კი ბატონიშვილის პირობებს წარადგენდა.

დიდად მეიმედებოდა, რომ აგვისტოში გამოთქმულ ჩემს აზრს იყაბულებდით და კიდეც აღმისრულებდით, ყოველთვის მომლოდინე ვიყავ თქვენი ჭეშმარიტი წერილისა და კაცისაო, — 5 ოქტომბერს მისწერდა რტიშჩევს, — მე რასაც გწერთ, ჭეშმარიტებით და სიმართლით, რაკილა ორ დიდებულ ხელმწიფეს შორის ზავი დაიდო, მე სხვაგვარად რატომღა უნდა მოვიქცე. ირანის მბრძანებლისაგან რა სიტყვაც მომივიდა, იმ სიტყვაზე დავდექ და რაც განზრახვა და აზრი მქონდა, ყველაზე ხელი ავიღე. დიდად გთხოვთ თქვენი სარწმუნო წერილი მსწრაფლ გამომიგზავნოთ და თქვენსა და ირანს შორის რა ზავიც დადებულა, მეც ის ბრძანება მომივიდეს და მასზე დავდგე, აბასმირზას ბრძანება მომივიდეს და აღვასრულო მისი ნაბრძანები, სხვა ჩემს სიტყვას კი ჩემგან გამოგზავნილი კაცები მოგახსენებენო.

საიდუმლო ბარათები კი გიორგი ბასტამაშვილს ჩაბარდებოდა და მის ხერხიანობასა და მარიფათზე ბევრი რამ ეკიდა.

საიმპერატორო კარზე უნდა მოხვედრილიყო წერილები, რომლებშიც ბატონიშვილი ითხოვდა მფარველობას, იმპერატორის ნახვის ნებართვასა და თავისი სამემკვიდრეო მამულის დაბრუნებას.

ბიბლიურ ციტატებსაც დაიმოწმებდა გამჭვირვალე მინიშნებისათვის.

ერთს ამას:

— შჯიდით განთიათ სასჯელსა და წარმართებდით და განარინებდით მიხუეჭილსა ხელისაგან მიმხვეჭელთა მისთასა.

და მეორეს ამას:

— უფალი ნაწილი არს მკვიდრობისა ჩემისა და სასუმელისა ჩემისა; შენ ხარ, რომელმან მომაგე მე მკვიდრობა ჩემი ჩემდა.

იმპერატორთან საუბრისას მაინც უფრო ქარაგმული მანერა ერჩივნა, პირდაპირ კი ნესელროდეს მოახსენებდა სათქმელს: თუ რა პირობებით ვარ თანახმა, პეტერბურგს რომ გეახლოთ, გიორგი ბასტამაშვილმა იცის წვრილად და ის მოგახსენებთ, როგორც კი მანდ დაიბარებთო.

შენ ხარ რომელმან მომაგე მკვიდრობა ჩემი ჩემდაო...

უკან დახევის საშუალებას აძლევდა იმპერატორს, ვითომდა იმისი ბრალი აქამდე არაფერი ყოფილიყოს, გამოსწორება კი სხვათა დანაშაულისა მხოლოდ მას შეეძლო და, რაკიღა უკვე ნათელი გამხდარიყო მისთვის, რა ტრაგედიაც დატრიალებულიყო საქართველოს სამეფო კარსა და მთელს ქვეყანაში, კიდეც ჩაერეოდა დაუყოვნებლივ და გადამჭრელად.

ბიბლიურ მაგალითთა გახსენება უტევე სამღვდელოთაო, — გამოეპასუხებოდა ბატონიშვილს მისი მხატვრული სახება.

ხოლო ივანე ყორღანაშვილი ჯერ კიდევ ყიზლარიდან მოსწერდა:

— მომილოცავს, მამაშენის პური იშოვნე ყოვლად მოწყალის ხელმწიფისგან.

ყიზლარიდან ნეტა რას ულოცავდა, საქმე ჯერ წინ იყო მოსაგვარებლად. თუმც, ეტყობა, პეტერბურგიდან ისე დაეიმედებინათ, მინისტრთან აუცილებლად შეგახვედრებთო, ივანემ თითქმის მოთავებულად მიიჩნია ყველაფერი და, აფოფინებულმა, აღარ დაახანა, თავი გამოიდო ბატონიშვილის წინაშე: ხომ ხედავ, ჩემს სიმარჯვეს საზღვარი არა აქვს, საიდან რა გამიხერხებია და ნურას ინაღვლიო.

ამგვარი აჩქარება, ცხადია, იმას გამოეწვია, ალექსანდრე მეფობას რომ დაუბრუნებდა ბაგრატიონებს, ივანე ყორღანაშვილს დამოუკიდე-

ბელ ქვეყანაში დიდი თანამდებობისათვის გამოეკრა ხელი. არ ეკუთვნოდა თუ რა — რასაც ამდენი წელი ამაოდ აწყდებოდა ბატონიშვილიც და მთელი საქართველოც, ახლა მის მიერ გვირგვინდებოდა. და რა გაემტყუნებოდა, თუკი ცოტათი გაუსწრებდა წინ მოვლენებს.

საქართველო უბოძებია და ეგაა რუსხელმწიფესო, — სხვაგვარად, აბა, როგორ გაიგებდა იმ სტრიქონს ალექსანდრე, თუმც გულში კი ჩაჩხვლეტდა: ამის ჭკუით საქართველო მამაჩემის პური ყოფილაო, — მაგრამ ძალიანაც აღარ დაგიდევდა, თუ მართლა მოაგვარებდა მის შეხვედრას იმპერატორთან და გზის გაწალდვას სამეფო ტახტისაკენ, დაე როგორც ენება, ისე ჰგონებოდა.

არადა, ივანე ყორღანაშვილის ხერხიანობისა და ურთიერთობათა აწყობის მეოხებით არა ყოფილა, მინისტრთან აუდიენციას რომ შეპირდებოდნენ და კიდეც მოუგვარებდნენ.

მთავარმართებლის გვერდის ავლით, მისი რეკომენდაციის გარეშე ლამობდა ამის მიღწევას?

ოფიციალური გზის უარყოფა არამცთუ ხელს ვერ შეუშლიდა ბატონიშვილის კაცს, კიდეც წაადგებოდა. მოუხელთებელი, ამხელა იმპერიის შემწუხებელი უფლისწული უშუალოდ მათთან — სამინისტროსთან — აბამდა კავშირს. რისთვისაც ტფილისის ხელისუფალთ ვერ მიეღწიათ, აგერ პეტერბურგს ხელში უვარდებოდა და იმპერატორის წინაშე უფრო თავმომწონედ წარდგებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრიცა და მისი გარემოცვაც — საცეცები სად აღარ მიგვინვდებაო.

გიორგი ბასტამაშვილის გამოსაძახებლად აღარ გაირჯებოდნენ — უიმისოდაც მოაგვარებდნენ, როგორც ეწადათ. იმისი წვრილად გამოკითხვა ზედმეტი გახლდათ, რაკიღა რუსების მხრივ ისედაც შედგებოდა საპასუხო წერილი, რომელშიც ნესელროდე თანხმობას უცხადებდა ბატონიშვილს, ოღონდ... მხოლოდ პეტერბურგს გამგზავრებაზე... მხოლოდ და მხოლოდ... სამეფოსა და მამულის დაბრუნებაზე კი კრინტიც არ იყო დაძრული.

მომილოცავს, მამაშენის პური იშოვნე!..

ხელში ატრიალებდა ალექსანდრე მინისტრის წერილს, 1816 წლის 10 ივლისს რომ ჩამოეღნია, და თავისი არზის პასუხად ვერა სცნობდა; არა რაღაც პასუხი კი გახლდათ, ოღონდ იმ წამოწყების შესაფერისი გაგრძელებაც არა, თორემ დაგვირგვინებას ვინ ჩივის.

ნესელროდეს უკვე მოკვარახჭინებულად ეჩვენებოდა ბატონიშვილის შემდგომი ბედი, ამ თავდაჯერებას უთუოდ ის ფიქრი უდასტუ-

რებდა, რომ ბატონიშვილი საშინლად დაექანცა გაუთავებელ რკენას შეუძლებელთან, დაუსრულებელ დამარცხებებს და თვით ყველაზე საიმედო — კახეთის უსასტიკესი რევოლუციის — ჩახშობას, აქეთ ირანიც გაყუჩებას ამჯობინებდა, იქით ოსმალეთიც უფრო ფრთხილ პოლიტიკას ადგა რუსეთთან და ნაპოლეონის გრგვინვა-გრიალიც ჩაკმენდილიყო და წმინდა ელენეს კუნძულზე ინაცრებოდა, არსაიდან დახმარების ხელს არავინ უწვდიდა და მარტო ჩრდილოკავკასიელთა თანადგომა რას უშველიდა, მითუმეტეს, იმათაც მალე დაატყდებოდათ განსაცდელი.

საქართველოს სამეფოს აღდგენას რომ ითხოვდა, ამას არა რეალურ სურვილად, არამედ სავაჭრო თემად ჩამოართმევდა მინისტრი — ეტყობა, ამ მოთხოვნით თავისი პრესტიჟის ამაღლება სურს და მეტის გამორჩენა იმპერატორისაგანო. რაკი ასე გახლდათ, დაე თავისი ეცადა, თუმც უამისოდაც დიდი პატივით მიიღებდნენ საიმპერატორო კარზე და ტყვეობაში სრული ბედნიერების ილუზიასაც შეუქმნიდნენ.

ოღონდაც საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის გარჯა-თავგამოდებას ჩამოხსნოდა და სხვა ყველა სურვილს დაუყოვნებლივ შეუსრულებდნენ.

ამიტომაც დროს აღარ დაკარგავდა მინისტრი და აქეთ ბატონიშვილს რომ სწერდა ბარათს, იქით ასტრახანის გუბერნატორს, კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-მაიორ დელპოცოს ავალებდა პეტერბურგში ბატონიშვილის გამგზავრების ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

და დღედღეზე დაელოდებოდა.

ეს ჩემი წერილის პასუხი არ არისო, — კიდევ ერთხელ დაწყდებოდა გული ალექსანდრეს და ივანე ყორღანაშვილის სულსწრაფობას აბრალებდა წამოწყების ასე უკუღმა შეტრიალებას: რომ მოეთმინა გიორგი ბასტამაშვილის გამოჩენამდე და თავისი მაცთურებით არ ემოქმედა, ზედმეტს აღარ აიღებდა საკუთარ თავზე და ამხელა განზრახვას შემსუბუქებულად არ გააცნობდა მინისტრსო.

— შემდგომ რაღა განვავრცო მაგის კეთილ სვინდისი.

მომილოცავს, მამაშენის პური იშოვნეო...

ეგეც არ იცის, რას რა უწოდოსო, — მწარედ ეღიმებოდა ალექსანდრეს.

ამ ჭკუის კაცისაგან, საქართველო მეფე ერეკლეს პურად რომ ეჩვენებოდა, ანკი რა სიკეთე იყო მოსალოდნელი.

ისე მისალოცად კი ნამდვილად ჰქონდა საქმე ალექსანდრეს.

ამდენი ხნის ჭაპანწყვეტა და... კვლავ იმ მოჯადოებულ წრეში ტოვებდნენ, საპატიო — და თუნდაც დიდად საპატიო — ტყვეობა რომ ერქვა.

მთავარმართებელს იმ წერილს კი აარიდებდა, მინისტრსა და იმპერატორთან მისგან ფარულად რომ მოინდომებდა მოლაპარაკების გაბმას, მაგრამ სულ, აბა, როგორ ასცდებოდა. და თუმც გულნაკლული დარჩენილიყო ნესელროდეს პასუხით, იფიქრებდა, რომ რაღაც სარგებელი მაინც შეიძლება მოეტანა მინისტრისაგან მოწყალების მოღებასა და პირადი ბარათის გამოგზავნას. ჯერ მარტო ის, რომ არაოფიციალური წერილი — ოფიციალურ ბარათებსაც არ დაგიდევდნენ და მთლად არაოფიციალური?! — ყურს იქით არ გადაატარეს და მოვალედ მიიჩნიეს თავი რაღაც მოემოქმედათ.

ხავსს ეჭიდებოდა?!

რას იზამ, რაკიღა უფრო საიმედო ხელმოსაჭიდი არსად ჩანდა, ხავსიც რაღაცას ნიშნავდა.

მაგრამ, სულ, აბა, როგორ ასცდებოდაო...

და აგვისტოში ამცნობდა მთავარმართებელს (თან ერთგვარად გულმოცემულიცაა, უშუალოდ რომ შეძლო პეტერბურგთან დაკავშირება!), მქონდა ბედნიერება, მომხსენებოდა ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისაგან, რათა მიღებულ ვიქნე მისი დიდი საფარველის ქვეშო.

ხოლო გრაფი ნესელროდე აუწყებდა, რომ ხელმწიფე იმპერატორს კეთილენებებინა მიტევება ბატონიშვილის მხლებელი და ნამსახური ამალისათვის და დაებრუნებინა ჩამორთმეული ყმა და მამული.

და რადგანაც უმეტესობა მის მხლებელთაგან — თავადი იქნებოდა, აზნაური თუ სხვა მდგომარეობის კაცი — ამჟამად იმყოფებოდა სპარსეთში, ერევანსა და თავრიზში, ბატონიშვილი თავის საღვთო და აუცილებელ ვალად რაცხდა, წინასწარვე შეეტყობინებინა ამ ნამსახურ კაცთათვის ეს ყოველივე, რათა:

— არცა ძალ ედვასთ იჭვნეულ ყოფად, სულგრძელობასა ზედა ჩემსა, ანუ დიდსულებასა ზედა დიდისა და წყნარისა ხელმწიფისა სრულიად რუსეთისა.

ფარად იფარებდა იმპერატორის სახელს.

ხავსი დაარქვით, თუ გნებავთ.

მთავარმართებელს რას სთხოვდა?

ჩემი კაცის გამოგზავნა მსურს ტფილისს, რათა მანდედან გაგესტუმრებინათ ერევანს — ჩემს ამალასთანო. თავისუფლად ვერ გაგ-

ზავნიდა, რაკიღა წინა წელს იყო, რტიშჩევს რომ გამოეცხადებინა, არ დავინახო ბატონიშვილის კაცების მიმოსვლაო.

ნუთუ იმპერატორის სახელის ამოტივტივება სასიკეთოდ არ შეატრიალებდა ამ ვითარებას?

და ბატონიშვილი ეკითხებოდა მთავარმართებელს: მისცემთ ჩემს კაცს ნებას ტფილისზე გავლით ერევანს გაემგზავროს, რათა „ესევითარი ერთმთავრული მიღებული ჩემ მიერ მნებებლობა“ გადასცეს ჩემს მხლებელთაო.

პასუხმა ასერიგად ატკინა გული, არადა, მაინც როგორ ჯავარზეა:

ერთმთავრული მიღებული ჩემ მიერ მნებებლობაო...

თითქოს სამკვიდრო დაბრუნებოდეს და მეფედ გამოცხადებას აღარაფერი უკლდეს.

ამიტომაცაა, რტიშჩევს ამ ტონით რომ ელაპარაკება:

— ვითხოვ თქვენს მაღალ აღმატებულებას დაუყოვნებლივ მაუწყოთ...

დიახ, სწორედაც: დაუყოვნებლივო.

და ეს იმიტომ, რომ:

— მეც ძალა მედვას აღსრულება სამღთოისა ნებისა ყოვლად მოწყალის ხელმწიფის იმპერატორისა...

როგორი მოკავშირე გაიჩინა?..

და ბარათის ბოლოს იმ დაუყოვნებლივ პასუხს რომ ითხოვდა, ჩემგან გამოგზავნილ აზნაურ მადათის გამოატანეთ, ეთანხმებით თუ უარყოფთ ჩემს წინადადებასო, ეს რიტორიკულ კითხვად უფრო ესახებოდა, რაკიღა იქვე ერთხელ კიდევ დაუბეჯითებდა:

— რათა მეცა მოვახსენო ხელმწიფეს იმპერატორს.

ყოველწამიერ შეახსენებს, რომ იმპერატორთან მისი შუამავლობა სრულიადაც არა სჭირდება.

დელპოცოს თავისი დავალება უნდა აღესრულებინა, ასერიგად საპასუხისმგებლო — მოუხელთებელი ბატონიშვილი მას უნდა მოეგდო ხელთ და პეტერბურგში ეკრა თავი. მიტყუებით, ლაქარდიანი ენით უნდა მოესყიდათ მისი გული — სადაც ტყვია, ხანჯალი და საწამლავი ვერა ჭრიდა, სადაც ფუსს გასავალი არა ჰქონდა, ისევ მოქნილ ენას უნდა გაეტანა თავისი, მითუმეტეს, მთავარმართებელნიც ძალიან მონდომებულიყვნენ. რაკიღა თავისთან ვერა და ვერ მიეტყუებინათ, ეგებ დელპოცოსთან შეხვედრა მაინც გაეხერხებინათ. მერე კი იმან იცოდა!..

მთავარმართებელნი იმიტომ, რომ — ამასობაში რტიშჩევს ერმოლოვი შეცვლიდა.

დელპოცოსთან გაჭიანურებული მოლაპარაკების პროცესი კი უცვლელი რჩებოდა.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილს მასთან ურთიერთობა გაცილებით უფრო ერჩივნა მთავარმართებლებთან მიმოწერას.

ვითომ მას უფრო მეტად რატომ ენდობოდა?

მთავარმართებელნი უშუალოდ ისხდნენ იმ ტახტზე, რომელიც ბატონიშვილს ეკუთვნოდა და რატომ მოიწადინებდნენ ხელმწიფისათვის ჩაგონებას, ალექსანდრეს მეკავშირეობა გერჩივნოს მის მტრობასო. თუკი ხიდი გაიდებოდა მონარქსა და მომავალ მონარქს შორის, ეს ხომ მთავარმართებელთ თანამდებობას გამოაცლიდათ!..

თანაც, დასტურ მისდიოდა ცნობები, რომ მთავარმართებელნი, უკლებლივ ყველა, მის მოკვლას ესწრაფოდნენ, დატყვევებას კი არა, სწორედაც მკვლელობას. ეს კი იმპერატორის სურვილად და დავალებად სულაც არ ესახებოდა, არამედ — ამათ პირად მოწადინებად ყველაზე სახიფათო მეტოქის ჩამოცილებისათვის.

დელპოცოზე კი ასეთი არაფერი სმენოდა, არავითარი ცნობა არ მისვლოდა, თუ მოგიხელთა, ცოცხალს არ დაგტოვებსო.

და თავის მხრივ ამიტომაც მოინდომებდა მისთვის გულის გადაშლას.

ყოველ შემთხვევაში ბარათით ასე აუწყებდა:

— როდესაც თქვენ განახავთ, რაც ჩემი სრული აზრები არის, თვით მე მოგახსენებთ და თქვენც ხელმწიფეს წარუდგენთ.

მაინც რისი შეთავაზების იმედად იყო ბატონიშვილი?

თუკი ხელმწიფე დაავალებდა და კიდეც შეეწეოდა, მას შეეძლო დაღესტნის ყველა ხალხის დამშვიდება და იმისთვის დამორჩილება.

ცხადია, ეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუკი ტრაქტატის პირობების მიხედვით წარიმართებოდა რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა.

თუ ეს ურთიერთობა კანონიერებისა და სამართლიანობის ჩარჩოებში მოექცეოდა, რასაკვირველია, ასეთივე ბუნებრიობით მოხდებოდა დაღესტნის შესვლაც რუსეთის მფარველობის ქვეშ. არა მოჩვენებითად, არა მოყვარე მტრის სახით, არამედ ამ ქვეყნის თავისებურებათა და თვითმყოფადობის შენარჩუნებით, რუსეთი მარტოდენ სამხედრო დახმარებას რომ გაუწევდა.

დაღესტანი დამორჩილდებოდა იმპერიას ბატონიშვილის ავტორიტეტის წყალობით.

და ალექსანდრე დარწმუნებული იქნებოდა — ამის საწინდრად კი საქართველოს სამეფოს აღდგენა დაესახებოდა — რომ დაღესტნის

ხალხებს არავითარი საშიშროება არ დაემუქრებოდათ. არამცთუ გადაჯიშება-გაქრობა, ჩინებული ასპარეზი მიეცემოდათ ცხოვრების მდინარებისათვის.

ჩემი სრული აზრებიო...

ეს იქნებოდა საქართველოსა და კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პროექტი, შექმნილი ამ საქმეში ყველაზე ჩახედული პიროვნების მიერ.

ნეტა გამოჩნდეს და თავისი სრული აზრების გამჟღავნება პეტერბურგში მოუწევს, თუმც არა მგონია იმპერატორი დაინტერესდეს მისი პროექტითო, — უთუოდ გაივლებდა გუნებაში გენერალ-მაიორი, ვისთან შეხვედრაც ალექსანდრეს მხოლოდ ოფიციალური სახით წარმოედგინა:

თან აუცილებლად უნდა ხლებოდა ამალა, ეკიპაჟი, ყველაფერი, რაც ორი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ შეჰფერით.

და ერევნიდან თავისი ამალის გადმოყვანაც უპირველესად ამისათვის სჭირდებოდა, რტიშჩევს რომ აშინებდა, თქვენი პასუხი ხელმწიფეს მოხსენდებაო.

წინასწარ დელპოცოსთან გიორგი ბასტამაშვილს გაგზავნიდა. იმპერატორთან შეხვედრის ჩაშლას აკი გიორგის განზრახ დაბრკოლებას მიაწერდა და ახლა კვლავ მის იმედად იქნებოდა, როგორც ოფიციალური წარმომადგენლისა, ვინც რჩევა-დარიგებებით მოემარაგებინა, თუ როგორ გაემზადებინა ყველაფერი ამ პაემანისა და ამალის დაბინავებისათვის.

საჭირო სახსრების მიწოდება აკი გენერალს ევალა და გიორგი ბასტამაშვილსაც მისგან უნდა მოეთხოვა, მაგრამ ალექსანდრე ითვალისწინებდა შესაძლო უარსაც და გიორგის მოხერხებასა და მარიფათს ანდობდა, სადმე სხვაგან შეეცადე შოვნასო:

— მოამზადე ყველაფერი, რაც საჭიროა ჩემი გამომგზავრებისათვის გენერალთან შესახვედრად, და რასაც ისესხებ მე მივითვლი.

დელპოცომ წერილი მოგწერაო, — უთვლიდა გიორგი ბასტამაშვილი, მაგრამ წერილი არსად ჩანდა, რაკიღა ის გვერდს ვერ აუვლიდა მთავარმართებელს და ბარათიც იმის ხელში დაყოვნდებოდა. და კიდევ ერთი წერილი — ეს უკვე ანწუხის ჯამაათთან გამოგზავნილი. და 15 ნოემბერს ბატონიშვილი რტიშჩევს სთხოვდა ამ წერილთა გადაგზავნას ანწუხში, რაკიღა მისი საქმის მოგვარებაც და ანწუხის ჯამაათისაც ასტრახანის გუბერნატორს დავალებოდა, ნუღა აბრკოლებდნენ.

თანაც ამ ივანე ყორღანაშვილს, თურმე ორპირსა და თაღლითს, ამდენ ხანს მოხერხებულად რომ მალავდა თავს, ალექსანდრეს კაცი გაებრიყვებინა და თავის წერილიანად მთავარმართებელთან წარეგზავნა, ის კი არა, ბატონიშვილის დალაქიც და ოთხი-ხუთი ლეკიც გაეპარებინა, და ახლა ალექსანდრე ითხოვდა მთავარმართებლისაგან, რომ ის თავისი კაციც და დალაქიც უკანვე მოებრუნებინა და ივანე ყორღანაშვილიც გამოეყოლებინა, რათა ბატონიშვილს დელპოცოს წინაშე წარედგინა. დაე იმას გამოეძიებინა მისი ნამოქმედარი.

ცხადია, შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რათა შეეხსენებინა რტიშჩევისათვის, რომ დელპოცოს ალექსანდრესთან ურთიერთობა და საქმის სასიკეთოდ წარმართვა პირადად ხელმწიფისაგან ჰქონდა ნაბრძანები.

არ შეასრულებდა მთავარმართებელი ბატონიშვილის ამ თხოვნასა თუ მოთხოვნას უფრო?

— ნება გაქვთ, მე ამის მეტს თავს აღარ გაწყენთ.

25 ნოემბერს კი დელპოცოს მისწერდა: 18-ში თქვენი ორი წერილი გადმომცეს ჩემსა და ანწუხის ჯამაათის სახელზე, ორი წერილიც 23-ში მომიტანეს და ვცანი ჩემდა თქვენი მამობრივი მზრუნველობის კეთილი რჩევანიო.

ის სთავაზობდა, ანწუხის უხუცესებთან ერთად გამოამგზავრე და რუსეთის საზღვრის სიახლოვეს შევხვდეთო?

ყაბულს გახლდათ და თანაც რარიგ ყაბულს ბატონიშვილი:

— ვითარცა განშორებული ძე მამისა თვისისა შეყრისა და ხილვისა მოსურნე იქმნება, ეგრეთვე მსურს აღმატებულობისა თქვენისა ხილვა.

რაღა ძე შეცთომილი და რაღა ალექსანდრე!..

მაშ აქამდე რა უშლიდა ხელს მათ შეხვედრას?

შარშანდელ სექტემბრის 10-ს გიორგი ბასტამაშვილს გავატანე ჩემი და ანწუხის ჯამაათის წერილები ტფილისში და რტიშჩევს ვთხოვე, დაუყოვნებლივ გამოეგზავნა თქვენთან, რათა თქვენი პასუხიც მალე მიმეღო, რათა ზამთარს არ დავებრკოლებინე. იმას ეს ჩემი თხოვნა არაფრად ჩაეგდო და, ივანე ყორღანაშვილის წერილებით ამღვრეულს ბასტამაშვილი ოცი დღე დაეყოვნებინა ტფილისში და მხოლოდ მერე გამოეშვა თქვენთანო.

გიორგი იგვიანებდა, ალექსანდრეს თითქოსდა სული ესწრაფოდა, ზამთრის მოახლოებაც ძალიან შეაფიქრიანებდა და 25 ოქტომბერს ჯერ თავის ბარგს დააწინაურებდა.

ივანე ყორღანაშვილი დაძრომიალობდა ანწუხელებში და მათ ცთუნებას რომ ლამობდა, ალექსანდრე თავის დალაქს მიუჩენდა, მაგრამ დახეთ იმის ვერაგობას, ბატონიშვილს განუდგებოდა და გაღმა სოფელში რამდენიმე ლეკსაც რომ აიყოლიებდნენ, კიდეც გამოსწევდნენ საქართველოსაკენ. მართალია ანწუხელები გამოეკიდებოდნენ, მაგრამ უკვე ვეღარ დაეწეოდნენ.

დაე ეს ყოველივე დელპოცოსაც სცოდნოდა, ვისი წერილის მიღება მაშინ მოხდებოდა, რომ ბატონიშვილიც და ანწუხელებიც ცდით დიდად შეეცდებოდნენ მთებზე გადმოსვლას, მაგრამ:

— ზამთრის სიფიცხის მიზეზით ამ ჟამათ არ შეიძლებოდა წამოსვლა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ კავკასიის მთების საქმე.

ეს კავკასიური ზამთარი ამათთანაც წაადგებოდა და სპარსელებთანაც — იმათ წინაშეც თავს ამით იმართებდა, კავკასიის მთების საქმე მოგეხსენებათო. კი მოეხსენებოდათ, მაგრამ მაინცდამაინც ვეღარ ირწმუნებდნენ ამ მიზეზს, ძალიან რომ მოენდომებინა ბატონიშვილს, განა ვერ შეძლებდა, ლამის მფრინავი ცხენით მიმოსვლაც დაბრალდეს, ყოველ შემთხვევაში მისი სიმარჯვე დიდად არ განსხვავდება მფრინავი რაშის დაუბრკოლებელი სვლისაგან და ვითომ ზამთარი რა ისეთი წინაღობა გახლდათ, ასე დაუსრულებლივ რომ მიეჯაჭვა ერთ ადგილას.

ამას ვთხოვ თქვენს მამობრივ სიყვარულსო, — ასტრახანის გუბერნატორს ენუკვოდა ალექსანდრე, — ამჟამად ჩემი წამოუსვლელობისათვის თქვენი მშვიდი და კეთილი გული არ შეგეცვალოთო.

— ამას ჭეშმარიტის მოხსენებით გარწმუნებთ მეც და აგრეთვე ჯამათიც, რომ კავკასიის მთების გზის პოვნის დროს დაუყოვნებლივ წამოვალთ ბაღათულაში, რომელიც უწინარესვე იქა მქონდა მომზადება ურთიერთთან შეყრისა.

თუ აქამდე ვერ შეხვედროდნენ, გიორგი ბასტამაშვილის განზრახ დაბრკოლების ბრალი იყო და მთავარმართებელს უნდა მოჰკითხვოდა.

ახლა კი დელპოცოს იმასაც სთხოვდა, მისი ის გადაბირებული მხლებელნი და ლეკები ყიზლარში გაეწვია, ყორღანაშვილი კი აუცილებლად ტფილისში უნდა დარჩენილიყო, თორემ რაღაცებს კვლავ აამღვრევდა.

მთავარი ის გახლდათ, რომ:

— ამისთვის უდიდესის ხელმწიფის ბძანებით ჩემს საქმესა შინა მხოლოდ თქვენ ბძანდებით და აგრეთვე მეც თქვენს გარდა არავის ვენდობი.

ორი დღის შემდეგ კიდევ ერთ წერილსაც დაადევნებდა, ივანე ყორღანაშვილს თავისი მაცთურება ისე აუმოქმედებია, თითქოს ის ლეკები ჯამაათის თანხმობით წასულიყვნენ. რა გამოდიოდა? ჯამაათი მალულად ბატონიშვილის წინააღმდეგ ხლართავდა ძაფებს და ეგაა.

და უხსნიდა, რომ რაც საქართველოში მმართველნი ჩამოსულან, ყველასთვის უთხოვია მონარქის საფარველის ქვეშ შესადგომად თანადგომა, მაგრამ მათგან ვერ ღირსებია სრულ პასუხს, ნაცვლად ამისა: აღშფოთება და მის საზიანოდ სხვადასხვაგვარი დაბრკოლებანი.

ამასთან, არწმუნებდა: არც ანწუხის ჯამაათი და არც დაღესტნელი ლეკები ჩემა სავნებ საქმეში არ გაერევიან და არც მოწინააღმდეგეებად გადამექცევიანო.

დაფარული არ ყოფილა, სპარსეთი ძალიან რომ შეეშფოთებინა რუსეთთან ბატონიშვილის შესაძლო მორიგებას, და ამიტომაც ალექსანდრე აღარ დამალავდა ამ ბარათშიც:

— თქვენს აღმატებულებასთან როდესაც ბასტამოვი წარმოვგზავნე, შემდგომ მისა სპარსეთიდამ ჩემი მხლებელნი თავადნი წარმოეგზავნათ ჩემთან, მომიტანეს წერილნი და რა მცირედი სახარჯო.

ეს თავადები — ივანე ციციშვილი და გორჯასპი ნათალიშვილი — ისევ სპარსეთისაკენ რომ წარეგზავნა რამდენიმე ლეკთან ერთად, დელპოცოს ასე ამცნობდა: ეს მათი გულის დასამშვიდებლად მოვიმოქმედე, ჩემი ხალხი ხომ იქ არისო. ქვეტექსტი გამჭვირვალეა: ჩემზე გაგულისებულთ რაიმე უბედურება არ აეტეხათ მათთვისო. წერილებიც თითქოს მხოლოდ ამ მიზეზით გაეტანებინა, დიპლომატიური თვალთახედვით შედგენილ ბარათებში კი, ცხადია, ისეთი არაფერი ეწერებოდა, რაც ირანის ხელისუფალთ ოდნავ მაინც გაანაწყენებდათ.

— წყალობას ვითხოვ თქვენის აღმატებულებისაგან ამაზე თქვენ იჭვნეულათ არ შეიქმნათ ჩემზედ და ნურც დამძრახავთ.

რაც უნდა ყოფილიყო და ამჟამად რა ფიქრი და განწყობილებაც უნდა დაუფლებოდა, ვერასოდეს დაივიწყებდა, რომ ეს ოცი წელიწადი სპარსეთის შაჰი ინახავდა და დღესაც დაღესტანში საზრდოს ის უგზავნიდა, და მისი ამალიდან ასოც კაცამდე — თავადი, აზნაური და სხვანი და აგრეთვე რამდენიმე ანწუხელი ლეკი — სპარსეთში იმყოფებოდა.

— ამისთვის მე მოვალე ვარ ყოველთვის ჩემი წერილი და ამბავი არ დავაკლო.

ახლა თითქოს... თითქოს შეცვლილიყო მისი პოლიტიკური ორიენტაცია...

შეცვლილიყო თუ... მოლაპარაკების გასაჭიანურებლად იყენებდა იმპერატორისადმი ღრმა პატივისცემისა და ერთგულების გამოცხადებას?

თუკი ბოლოსდაბოლოს დაიყოლიებდა რუსხელმწიფეს სამეფოს აღდგენაზე, მაშინ რატომაც არა — მართლაც ახლებურად გადაეწყობოდა მისი პოლიტიკური შეხედულებანი.

სიფრთხილით კვლავაც ძალიან იფრთხილებდა, მართლა ხელში კი არ ჩაუვარდებოდა რუს ხელისუფალთ, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ასე ერჩივნა ლაპარაკი — რაგინდ უხვად მომაყარონ ფული, ჩემი კეთილი აზრი (ანუ რუსეთისაკენ შეტრიალება!) აღარ შეიცვლებაო.

— ეგრეთვე და არც ჩემ ბედნიერებას დავკარგავ.

ახლა კი უმდაბლესად შესთხოვდა მის მამობრივ სიყვარულს, რომ მგონი მის მიერ წარგზავნილი რამდენიმე ლეკი გზაში შეეპყროთ და ეგებ გენერალს ყველა დაჭერილი პიროვნება, ქართველი იქნებოდა თუ ლეკი, თავისთან მიეყვანინებინა. და მალევე რომ დაარწმუნებდა თავისი სიტყვის სიმართლეში — გზის პოვნისთანავე ჯამაათის წევრებთან ერთად რომ ეახლებოდა — იმ დროისათვის, იმედოვნებდა, ტუსაღები დელპოცოს ჩარევით უკვე გათავისუფლებულნი დახვდებოდნენ.

დანარჩენს ზეპირად მოახსენებდნენ გიორგი ბასტამაშვილი და მადათოვი.

მომდევნო წლის 17 იანვარს კი კვლავ შეეხმიანებოდა გენერალმაიორს, ნოემბერში ორი წერილი რომ მოგართვით, რაც აზრი მქონდა, შიგ ჩავაქსოვე და მოველოდი, რომ პასუხი მსწრაფლ მბოძებოდა, და დიდად მიკვირს...

თუმც მანამდე:

სპარსეთიდან ჩემი მხლებელნი თავადნი წარმოეგზავნათ ჩემთანო...

სპარსელთა კაცი, ვინც მის ამალაში იმყოფებოდა, ისე შეატყობდა, რომ ბატონიშვილი მოჩვენებითად კი არა, გულითა და სულით დაინტერესებულიყო რუს გუბერნატორთან შეხვედრით, და ჯერ თვითონ მოინდომებდა მის გადარწმუნებას: მაგათი ნდობა როგორ შეიძლებაო!..

ისედაც იცოდა ალექსანდრემ, იმათი ნდობა რომ არ შეიძლებოდა და იქით შეაგონებდა სხვებს, მაგრამ ამჯერად რაღაც სასიკეთო იგუმანა სპარსელის შეშფოთებაში, ადვილად განჭვრიტა, იმისგან სასწრაფოდ გულისხმაში ჩავარდნილი შაჰი და მისი კარი კიდევ უფრო გაზვიადებულად და სახიფათოდ წარმოიდგენდა ბატონიშვილის ჩა-

მოცილების მოსალოდნელობას, იქნებ გარდუვალობასაც, და შეეცდებოდნენ მისთვის ხელის გამოწვდენას.

ამიტომაც შესათვლელს მათი კაცის პირით შეუთვლიდა, არადა, ვითომ თავისთვის ბრაზობდა და მოურიდებლად ლანძღავდა სპარსეთის ხელისუფლებას: 17 წელია მატყუებენ და ნამდვილი დახმარება კი არასოდეს გაუწევიათო.

განა აქამდე ტაქტიკური მოსაზრებით არ იკავებდა თავს?

ტაქტიკა ტაქტიკად, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში რომ გამოეცლებოდნენ ხოლმე, ესეც ხომ მწარედ დამახსოვრებოდა. ამის ბრალიაო, იმის ბრალიაო, მიზეზებს ბოლო არ უჩანდა და რჩებოდა საქართველო გუბერნიებად და ბატონიშვილი — აღმა-დაღმა მოხეტიალედ. და თუ ამასობაში კავკასიურ მითოსშიც მოეპოვებინა ადგილი, სპარსელებს მის გალეგენდურებაში განა რა წვლილი მიუძღოდათ?!.

გულის ბუხარს ამოიყრიდა ალექსანდრე.

და მისი ამალის წევრი სპარსელი სიტყვა-სიტყვით რომ ჩაუკაკლავდა თავის გამომგზავნთ ბატონიშვილის მჭევრ ნაკადს და თანვე დაუბეჯითებდა: დაკარგული გყავთ ეს კაცი, თუ სასწრაფოდ რაიმე არ იღონეთ, ამიტომაც დღე-დღეზე უნდა ჩამოგვივიდეს თქვენგან ფირმანი და ფული, და სხვა წყალობებსაც შეპირდითო...

ერთადერთი, რაც არ აკლდა ალექსანდრეს, ის კი არა, თავზეც გადასდიოდა, დაპირებანი იყო, რომლის ტევრშიც ვერა და ვერ გაეღწია, და გაბეზრებულს ეგებ მართლაც გასჩენოდა — დროდადრო და წამიერად, მაგრამ მაინც — ფიქრი და განწყობილება, იქნებ ჩავბარდე რუსებს და მოვისვენო, რეალური შემწეობა მაინც არაფერი ჩანსო.

ეგაა, გაწამებული თავისუფლების გადაცვლა მაინც ენანებოდა ბედნიერ ტყვეობაზე.

მითოსის დანგრევას ვერ გადაიტანდა — მფრინავი რაში მაშინვე ჯაგლაგად გადაიქცეოდა და თავის მხედრიანად გამოაძევებდნენ მითოსიდან, როგორც კი ეს მხედარი დათმობდა მიზანსა და მისიას და მხოლოდ შორიდან მიადევნებდა თვალს, როგორ ჩაინთქმოდა საქართველოც და მთელი კავკასიაც რუსულ მორევში — გადაგვარებული, გადაჯიშებული, თავისებურების ნიშანწყალიც რომ აღარ შერჩებოდა.

— ღვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით.

იქით უკეთებს გულს ივანე ციციშვილსა და გორჯასპი ნათალიშვილს, იმათი წერილის პასუხად 16 ოქტომბერს შედგენილ ბარათში.

მშვიდობით იმყოფებოდა, როგორ არა — ამხელა ფული იხარჯებოდა მისი გარემოცვიდან ვინმეს გადასაბირებლად, კიდევ უფრო მე-

ტი — მის მოსაკლავად. რაც ხანი გადიოდა, მით მეტი დაჟინებითა და გაგულისებით. მართლა და მართლა რა გახდომოდა იმპერიას ერთი კაცი!..

მშვიდობით ვიმყოფებით...

წამოსვლას ურჩევდნენ სპარსეთში?

ვითომ რა რჩევა უნდოდა, მაგრამ ამას შესაფერისი პირობებიც ხომ სჭირდებოდა:

— ეს თქვენც კარგად იცით, რომ მე დიდად მომდომე ვარ აქედან გამოსვლისა და ან რათ მენდომება აქ ყოფნა და ან რა ბინა მაქვს აქ, მაგრამ თქვენც კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ჩემი აქედამ ასე აშკარათ არ შეიძლება გამოსვლა, თუ არ ერთის ოსტატობით.

ის „ერთის ოსტატობა“ განა მისი ხელობა არ გახლდათ?

ერჩივნა კიდევ უფრო რთულად ნარმოესახა ვითარების ზოგადი სურათი:

— ახლა ამაზე თქვენც ხათრიჯამნი უნდა იყვნეთ, რომ ღვთის მოწყალებით მეც თადარიგში ვარ, რომ აქედამ გამოვიდე... და როგორც თქვენგან ვიცოდე, მანდაური საქმე კარგათ რიგიანათ დაიჭირეთ თქვენცა და თავად ოღლიმაც, რომ ჩვენი საქმე ღვთის მოწყალებით კარგათ მოვიდეს. ამაზე დიდათ უნდა გაისარჯნეთ, როგორც თქვენგან ვიცოდეთ.

ზოგიერთი თავისი ერთგული კაცი სპარსეთში გაესტუმრებინა და ახლა ამათ აბარებდა, ისე მოაგვარეთ, რომ ეგენიც მანდ შეგვინახონო.

დანარჩენს ეს კაცები მოახსენებდნენ.

20 ოქტომბერს კი ახალ ბარათსაც დაადევნებდა:

— ამ ჟამათ ჩვენი წამოსვლა არ მოხდა ამის მიზეზით, რომ თოვლმა გვისწრო და გზები შეგვიკრა და აშკარათაც ჩვენი წამოსვლა არ შეიძლებოდა.

თოვლი და შეკრული გზები განა რა მისი დამბრკოლებელი იყო, თუკი გულით მოიწადინებდა?

— ჩვენ დიდათ მოვინდომეთ წამოსვლა, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ანწუხის ჯამაათს თავი არ დაენებებინა შეგონებისათვის, გზა არ არის და არ არისო, დაეჟინათ, და: სხვა დაღესტანშიც შენი გადასვლაც არ იქნება, გულს ვერავის დავანდობთ, ამიტომ ამ ზამთარს აქ ბრძანდებოდეო.

ღვთის მოწყალებით გაზაფხულს გზა რომ მოვა, ჩვენ გაგიძღვებით და საცა შენი ნება იქნება იქ მიგიყვანთო.

გაზაფხულიც რომ დადგებოდა? მაშინ რაღა?

რაიმე მიზეზი მაშინაც გამოიჩხრიკებოდა, ჯერჯერობით კი: ვინც კი მოვიდნენ თქვენთან ჩვენი მსახურნი ქიზიყელნი და ქართველნი, სიყვარულით მომიკითხეთ ერთობითო, — ამ სიტყვებით ეთხოვებოდათ.

26 ოქტომბერს მირზა ახმედს მისწერდა, თავისი ამალის წევრსა და დიდად გაწაფულს კალიგრაფია-მდივნობაში, და ავალებდა, ეს ყურა მამადას შვილი რომ გამოგიგზავნე, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაგას კარგად ასწავლე წიგნი. როგორც შენი ერთგულების იმედიც მაქვს, შენთან ამყოფე დღედაღამ გაუყრელად, სხვა ჩემს სიტყვას იოანე და გორჯასპი მოგახსენებენო.

რა პირობებში იმყოფება და... როგორ ზრუნავს მომავალი მდივან-კალიგრაფის გაწრთვნაზე.

ეს რაკი ისევე აუცილებელია მისთვის, როგორც იარაღის ტრიალი, ამიტომაც არჩევს შესაფერის ყმაწვილებს და საგულდაგულოდაც ზრუნავს მათ დაოსტატებაზე, თანაც რაც შეიძლება სასწრაფოდ.

შენთან ამყოფე მუდამ დღე და ღამე გაუყრელათ.

ეჭვი არ ეპარება მის კეთილსინდისიერებაში, მაგრამ 26 ოქტომბერსვე ხუდად-ბეგსაც საგანგებოდ მისწერდა: თოდაკოლელი ყურა მამადას შვილი მანდ გამოვგზავნე და მირზა ახმედს მივაბარე, რათა წიგნი კარგად ასწავლოს, და შენც თვალყური დაიჭირეო, — რათა იმას ამ დავალების შესასრულებლად ცხენით, იარაღით, ულუფითა და ჯამაგირითაც წაეხალისებინა წიგნიერების ოსტატი. ამასთან, ყმაწვილზეც ეზრუნა და ერთი კარგი ფარჩა და მაუდიც გაეგზავნა მისთვის.

იმავე დღეს იმასაც აცნობებდა, რომ ერევნის ხანის მიერ მის წინ გასაძღოლად გამოგზავნილი ქალბალაი-ხანი რაკიღა გაწბილებული გაბრუნდებოდა უკანვე (მე ხომ აღარ მომიხდა წამოსვლა ზამთრობითო), ამასთანაც თავს იმართლებდა ალექსანდრე, დიდად გამოსაყენებელი კაცი ყოფილა და ამიტომაც კარგი იქნებოდა, თუ ხუდად-ბეგი თავისთან დაიტოვებდა და ულუფასა და ჯამაგირსაც გაუჩენდა აბას-მირზას შემწეობით და რიგიანადაც გააძლებინებდა.

იმავე დღის სხვა ბარათით კიდევ ამას სთხოვდა: თუ ჩემი სიყვარული გაქვს, სხვა თავადებს კი მისცემია რაყმები, მაგრამ ეს სამი თავადი დარჩენილა: იოანე, ბარძიმი და იოთამი, და ჩემი შუამდგომლობით ამათაც მიეციო.

ეს ბარათები უშუალო დავალებებს გულისხმობდა, მაგრამ ბატონიშვილისა და ხუდად-ბეგის ურთიერთობა გაცილებით მეტს ითვალისწინებდა, ვიდრე ამგვარი დავალებანი გახლდათ. და ცალკე წე-

რილსაც გაუმზადებდა კვლავაც იმ 26 ოქტომბერს და ძმური სიყვარულით აღსავსეს.

იოანე და გორჯასპიც მოვიდნენ აქ და დიდადაც ეცადნენ ჩემს წამოყვანას მანდეთ, და მზადაც გახლდით წამოსასვლელად, მაგრამ თოვლმა გზები შეგვიკრა და ამ მიზეზით დავრჩითო.

იმათ ხუდად-ბეგის დიდ საქმიანობასა და გარჯილობაზეც ეამბნათ, რითაც მხოლოდ დადასტურებულა ალექსანდრეს იმედი:

— მეც ვიცი შენის კარგის კაცობისაგან დიდათ ისაქმებდი და გაირჯებოდი. ვიცი უსვინდისო კაცი არა ბრძანდები. კიდევ შენ იცი როგორ დიდათ და კარგათ გაირჯები და შენს საქმიანობას არ დააკლებ და მომატებულს გარჯას და ჩვენს რიგიანს საქმის დაჭერას ეცდები.

ანწუხელებიც რომ გაეგზავნა იქით, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათაც ხუდად-ბეგი მიხედავდა ჩვეული თავგამოდებით.

რუსის ელჩი შაჰთან ხლებას რომ აპირებდა?

ეს მოლოდინი იყო სწორედ, სპარსელებს უჩვეულო მონდომებით რომ მოენდომებინათ ბატონიშვილის ჩაყვანა მოლაპარაკებაზე.

იცოდნენ და დაბეჯითებითაც იცოდნენ, რომ ალექსანდრეს იქ ყოფნასა და მსჯელობა-განხილვაში მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. მაინც რა არის წუთისოფელი და ხან მაინც რა უცნაურად დატრიალდება ხოლმე მოვლენები — ერთი დევნილი, სხვათა ხიზანი კაცის გამოჩენას მეტი ზეგავლენა შეეძლო მოეხდინა იმ პოლიტიკური შეხვედრისას, ვიდრე ამხელა სახელმწიფოს მპყრობელი შაჰი მიაღწევდა.

ოღონდ ეგაა —

ალექსანდრეს აღარ სჯერა, რომ ამ ზეგავლენას საქართველოსათვის შეეძლო რაიმე სიკეთის მოტანა. გაბეზრდა ამდენი ტყუილითა და გადამწყვეტ წუთებში ყველაფრის მასზე მიგდებით. კახელ მეამბოხეთა ასე უღვთოდ განირვა და შეტოვება რუსეთის იმპერიის პირისპირ ჯერაც ვერ მოენელებინა და ახალ საცთურში ასე მალე და იოლად როგორ ჩავარდნილიყო.

მოცდა უჯობდა და დაკვირვება მოვლენათა დინებაზე.

— დიდი ვაჯუბი არიან რომ იქ დაესწრათ შენცა, იოანე და გორჯასპი და ეს ანწუხელნიც თან წაიყვანე და იქ დაესწარით ლაპარაკში. თუ ხელმწიფების გარიგება მოხდეს ამ ანწუხელთ გარიგებაც იქ ილაპარაკე და ჩვენი საქმეც. ხომ კარგათ იცი ჩემი ანბავი.

სახალხო კრებაა თუ ფრიად საპასუხისმგებლო და ფარული თათბირი ორი დიდი სახელმწიფოსი?

ამდენ გარეშე პირს იქ განა ვინ დაასწრებდა?

მაგრამ თუ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით შესთავაზებდნენ მონაწილეობას?

თუ მართლაც ედოთ გუნებაში საქართველოს სამეფოს აღდგენის ირგვლივ მსჯელობა, ისინი თავის მხრივაც აუცილებლად მიიწვევდნენ ქვეყნის მომავალი მეფის წარმომადგენლებს.

და საქმეს სასიკეთო პირი თუ გამოუჩნდებოდა, რა დაუდგებოდა წინ ალექსანდრეს გამოჩენასაც — თოვლი იყო მისი დამკავებელი თუ სხვა რაიმ წინაღობა შეაყოვნებდა?!.

არა, ანწუხელებზეც ასერიგად რომ ზრუნავს.

რატომაც არა. და კავკასიის სხვა მოსახლეთაც ამოუდგებოდა მხარში... ოღონდ ეს მერე და მერე, როდესაც მითოსიდან ყოფით რეალობაში გადმოაბიჯებდა და საქართველოსა და მთელს კავკასიას ანგარიშგასაწევ ძალად აქცევდა.

ჯერჯერობით კი —

ზაზა ციციშვილი, ერეკლე მეფესთანაც დიდად ნამსახური და ალექსანდრესთანაც არანაკლებ, იქით რომ გაესტუმრებინა, აგრეთვე გიორგი ანდრონიკაშვილი და რევაზ ჯანდიერაშვილი, მათთვისაც ჯამაგირი და ულუფა უნდა განეწესებინა ხუდად-ბეგს, და ეს ანწუხელნიც კმაყოფილი ჰყოლოდა ცხენით, იარაღით, ულუფით, ჯამაგირით, ტანსაცმლითა და ყველაფრით.

ცოტა ბევრი თეთრი გამომიგზავნე საჩქაროდო, -- დასძენდა ბატონიშვილი.

ივანესა და გორჯასპის ჩამოტანილი ფული არაფრად გახდომოდა, სულ დახარჯულიყო და კვლავ უთეთროდ დარჩენილიყო, თორემ ეს ორი თავადიც ამცნობდა, რა ფულიც დარჩენოდა.

იმდენ თანხას ითხოვდა, დიდი ამბოხი რომ წამოეწყო, მოსვლით კი იმდენი მოსვლოდა, თავი ვაივაგლახით რომ გაეტანა და... საამისოდაც არა ჰყოფნიდა.

— შაქარი და იოლჩი გამოგზავნე და ცოტა ბევრი თეთრი გამოგვიგზავნე, უთეთრო დავრჩით.

— მთელს ერანის ხელმწიფისა და ამის საბძანებელში და ალიოსმალოში ხმამაღლად თქვენს ქებას, ნამუსიანობას, ყაირათს, ერთპირიანობას და სიმხნეს ლაპარაკობენ.

ეს სიტყვები ხუდად-ბეგის წერილიდანაა და, გარდა იმისა, რომ მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობილებას ზუსტად აირეკლავს, უშუალო პოლიტიკური დანიშნულებაც აქვს — სპარსეთს ძალიან დასჭი-

რებია ბატონიშვილი და ეს განსაკუთრებული ახმაურებაც ამისაა. სპარსეთსაც და ოსმალეთსაც, რომელიც თურმე ირანს უკვე აღარც დაუვარდება ალექსანდრეს ქებით.

რუსეთი მოინევს, ძალიან მოინევს და ავიწროებს ორივე სახელმწიფოს და ისინი კი... ბატონიშვილს მისჩერებიან იმედის მზერით.

თან მისიც ეშინიათ: მერე რა ვიცით, რას იზამს, ძალაუფლება და გავლენა თუ ჩავუგდეთ ხელთო, — მაგრამ მთლად ხელიც რომ ააღონ მასზე, ესეც აღარ გამოდის.

რაღაც დიდი პოლიტიკური თამაშია, სახელმწიფოებრივი გაწამაწიები, ბევრგვარად აჭრილი, შიდაინტრიგებითა და დაპირისპირებებით გადავსებული, ყველა თავის სარგებელს რომ გამოელის ამღვრეული წყლიდან, და ამ სარგებელთა ძიებისას ყველას ბატონიშვილის სახელი აკერია პირზე.

ნამუსიანობაო, ყაირათიო, ერთპირიანობაო, სიმხნეო...

ამ სიქველეთა სიმბოლო ალექსანდრე გამხდარა, და თუ ამათ მითოსშიც არ გადასახლებულა, ყოფითი რეალობა ხომ მაინც განუმსჭვალავს თავისი არსებით. და თუ ესენი ზეცას არ მისჩერებიან ჩრდილოკავკასიელებივით და მის კაბადონზე ყოველი გადაელვება ალექსანდრე ბატონიშვილის მფრინავი რაშის ნაკვალევად არ ესახებათ, მონუმენტურ ფიგურად კი აღიქვამენ, რომანტიკულ გმირად, ვისი ნების სიმტკიცემაც შესაძლოა გადალახოს გადაულახავი დაბრკოლებაც.

— შაჰზადა სულ თქვენ ქებას და საქმეს ასე ლაპარაკობს, რომ თითქო პირდაპირ ედგე და ისე გეზრახებოდეს, ისე პირში თაფლივით ატკბობს სიტყვას და იძახის, იქნება ღმერთმან შენი თავი მშვიდობით მაჩვენოსო, რომ შენის ამდენის ჭირნახულის და ყაირათის მაგიერის ხიჯალათიდამ გამოვსული ვიყოვო. ახლა რაღა მოგახსენო, ერთგულობაც მაგაზედ მეტი არ იქნება და სიყვარულიც ამაზე მეტი, ან ხელმწიფეს როგორ უყვარხარ და ან შაჰზადას.

აქეთ ეფიცებიან სიყვარულს შაჰიც და მისი ვაჟიც, და აგერ აბასმირზა თურმე სულაც პირში თაფლივით ატკბობს სიტყვას, იყენებს სპარსული ენის ხატოვანებასა და ფერადოვნებას, მუსიკალობასა და მოქნილობას და ამ ყოველივეს ბატონიშვილის ქებას ახარჯავს.

რომ შენის ამდენის ჭირნახულის და ყაირათის მაგიერის ხიჯალათიდამ გამოვსული ვიყოვო...

ჰოი რას ეხვეწებიან, სულაც მუდარად დაცემულან, ჩამოდი და ჩამოდიო.

— კარგია, თქვენი თავიც შეიბრალეთ და ამდენი ხალხიც და ან ხელმწიფეს დასდევით პატივი და ან ხელმწიფის შვილსა.

როგორი არჩევანია — ან შაჰს რომ უნდა გაუწიო ანგარიში და ან მომავალ შაჰს, რომელნიც უთუოდ ნანობენ და ძალიანაც ნანობენ, შესაფერისად რომ ვერ აყვნენ ბატონიშვილს, ვერ გაითვალისწინეს რუსეთის დაუოკებლობა და შეუჩერებლობა და ახლა ვითარება გაცილებით გართულებულა.

მათი რჩევაც ეს არის და თხოვნაც ეს არის, რომ რუსეთის ელჩი უკვე რომ სტუმრებიათ, მანამ არ გაუშვებდა შაჰი, ვიდრე ალექსანდრე არ გამოჩნდებოდა, და ვაჟისთვისაც ასე ებრძანებინა, ფარვანით ვალს კაცი გაუგზავნე, რათა წამოვიდეს და ამ მოლაპარაკებას დაესწროსო.

სამოცი დღე დაუნიშნა, რათა დაეყოვნებინათ და ხმა არ გაეცათ, შაჰს ჯერ არც კი ენახა, რათა უნებურად ისეთი არაფერი დასცდენოდა, მერე სანანებელი გახდომოდა, რა იყო, ჯერ ალექსანდრეს მოვთათბირებოდი, თორემ რუსეთის ელჩთან საუბარი სად წამივიდოდაო.

— ასეთი საქმე დაიჭირეთ, რომ ამ სამოცს დღეზე ღვთის შეწევნით გამობძანდეთ... ღვთით გაგიმარჯვებს, თადარიგს შეუდექით და რიგიანად ისაქმეთ და ღმერთიც წარგიმართავთ. ნურც შაჰზადას გახდით უიმედოდ. ჩვენი ვედრება ეს არის.

იმგვარი ემოციით განმსჭვალულიყო ეს ბარათი, ისეთი სიტყვები და ფრაზები ჩაწერილიყო, სხვა განა რაღა იყო საჭირო, მაგრამ მაინც არ იკმარებდნენ და მეტი ზემოქმედებისათვის ბატონიშვილის უახლოეს თავადებსაც — ნიკოლოზ ავალიშვილსა და გარსევან ჩოკაშვილსაც — დააწერინებდნენ წერილს ირანში მყოფი ამალის სახელით, წერილს — მუდარის კილოთი, რათა ყველა გზა მოეჭრათ მისთვის, გარდა ირანში გამგზავრებისა.

— თქვენი გულისათვის ვყრივართ, თორემ მოგეხსენებათ, ყიზილბაშების სურვილი არა გვაქვს რა. ესენი რომ დღეს წამოვიდნენ, დღესა ვთვლით და გზისკენ თვალები დაგვიცეცებული გვექნება... ნდომით ისრაილთებრ ღამეც ვთვლით და დღეც, როგორც მოსეს უყვეს. გევედრებით მუხლ დადგმით, ახლავ ინებეთ წამობძანება.

როგორც მოსეს უყვესო...

შემთხვევით არ გაჩნდებოდა ბარათში მოსე წინასწარმეტყველის სახელი.

თავი მეთორმეტე

ჩაფუშული მკვლელობა

მალევე მოელოდა პასუხს დელპოცოსაგან ალექსანდრე.

მისი ბარათების შინაარსი სწორედ მსწრაფლ გამოპასუხებას გულისხმობდა, მაგრამ გენერალ-მაიორის ბარათი იგვიანებდა და ამას უკვირდა, ნეტა რას უნდა დაებრკოლებინაო.

გრძნობდა, რასაც.

მისი ხელში მოგდების ილუზია უქრებოდა საიმპერატორო კარს, ალექსანდრეს მხრივ შეხვედრის განზრახ გაჭიანურება ჭკუაში აღარ უჯდებოდათ, ვინ იცის, როდემდე გაახიახებდა და კიდევ რას მოიმიზეზებდა, ვიდრე სპარსეთი ან ოსმალეთი რეალურ დახმარებას აღმოუჩენდა. არ ადგებოდა საშველი მის მორჯულებასა და დამორჩილებას და ისევ მოკვლას უნდა ცდილიყვნენ.

ეს თავისას ცდილობდა და 1817 წლის 27 იანვარს გაგზავნილ წერილში კვლავ თავს იმართლებდა, ირანში კაცები რომ წარეგზავნა. მიზეზები ხომ უკვე აეხსნა, ამ ურთიერთობას ასე ადვილად და ერთი ხელის დაკვრით რომ ვერ გაწყვეტდა.

— უფალო მამავ, ამაზე ნუ უგულებელს მყოფ, ამისთვის, ჩემი გამომზრდელნი ისინი არიან.

ისევ:

როდესაც გნახავთ, ჩემს სრულ აზრებს მოგახსენებთო.

ისევ:

ვიმედოვნებ ჩემს აზრებს ხელმწიფეს წარუდგენთ, მეც მისგან წყალობა მებოძება და თქვენით შემოვალ მისი საფარველის ქვეშო.

მაშინ უკვე, ცხადია, აღარ გაერეოდა ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმეებში.

— თქვენ რომ გნახავთ, ჩემს აზრებსაც სისრულე მიეცემა. ამისთვის მოგახსენებ, რომ გული წრფელი მაქვს და დიდად მსურს მისის მონარხის სამსახური. ამას თქვენ აღმატებულესობას ვარწმუნებ ჭეშმარიტებით, რომ არ წარსრულს ზაფხულს თქვენ შეუყრელად არ დავდგე.

განსაკუთრებით იმას შეეფიქრიანებინა ალექსანდრე, რომ ჯერ კიდევ 27 ნოემბერს გადაეგზავნა დელპოცოსათვის არამარტო თავისი ბარათი, არამედ ის წერილიც, მთავარმართებელ ერმოლოვს ანწუხის ჯამაათისათვის რომ გაეგზავნა, მათ კი ბატონიშვილისათვის გადაეცათ, და ახლა გენერალ-მაიორს იქიდან უნდა ამოეკითხა ისეთი რამეები, რაც დაუყოვნებლივ გამოხმაურებას ითხოვდა, თუკი ეს მხოლოდ მთავარმართებლის მოწადინება კი არ იყო, არამედ სახელმწიფო პოლიტიკა.

თუ აქამდე დაბრკოლებულიყო, მხოლოდ ყორღანაშვილის ბრალი გახლდათ, მთავარმართებლის წინაშეც „სხვაგვარად აღსაშფოთი აზრითაც რომ შეესმინა", თითქოსდა ალექსანდრე მოკვლას უპირებდა.

ბატონიშვილი ხატზე დაიფიცებდა, რომ ასეთი აზრი მის გულშიც არ გავლილიყო, არამცთუ მისი ხორცშესხმა ეცადა. აკი მარტოდენ იმას უპირებდა ყორღანაშვილს, რომ დელპოცოსთან წარეგზავნა ყიზლარს, მას გაესინჯა მოღალატე თავადის საქმე და დარწმუნებით ეღიარებინა დამნაშავედ.

ახლა ერმოლოვს ყორღანაშვილი გავაზს მიევლინებინა, კახეთისა და დაღესტნის საზღვარზე.

— მის მაღალ აღმატებულესობას არ შეშვენით ამგვარი მოწერილობა. ამაზე სარწმუნო უნდა ბრძანდებოდეს, რომ დიდად შეუძლებელი საქმე არის მისი მოწერილი აზრი.

შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, ასეთი რამის დაბრალებას როგორ არ მოერიდაო.

ასეა თუ ისე დელპოცოსი ეიმედებოდა, რომ ეგებ მასთან პირისპირ შეყრამდე გენერალ-მაიორს უკვე გაეგზავნა ბარათი მთავარმართებელთან, რათა ის ჩამოხსნოდა ამგვარ დაბრალებებს.

მერე კიდევ:

— ყორღანოვსაც სხვა რიგად რას ასაქმებს.

რა იგულისხმება ამ „სხვარიგ დასაქმებაში"?

— ასეთი ნიშნები ვნახე, წერილით ვერ მოგახსენე, ამისთვის რომ თქვენც დიდად შესწუხდებოდით.

ის კი არა:

— მე ასე ვგონებ, ამგვარი საქმე მისის მონარხის წინააღმდეგი საქმე იყოს და ეგრეთვე მეცა ვწერ უფასს მართებელს ამგვარს საქმეზე ხელი აიღოს, რომელიც არ შეშვენის მის მაღალ მსვლელობას, რასაც სიცრუვით ყორღანოვი ელაპარაკება და აღსაშფოთებელ წიგნებს აწერინებს ანწუხელთ ჯამათთან, რომელიც იმისი წერილი და ჯამათისაც წერილი თქვენ მოგერთმევათ.

რაღაც ძალიან სერიოზული ამბავი იხლართება — მონარქის საწინააღმდეგოც კი არისო, ამას სხვათა შორის ვერ იტყოდა. საწინააღმდეგო იმიტომ, რომ ამგვარი ქმედებით სამუდამოდ უნდა ჩაიშალოს მოლაპარაკება იმპერატორთან, გაწყდეს ის ძაფები, რომლებიც მგონი იბმის... მაინც გამოცდილი დიპლომატი რომ არის ბატონიშვილი — ურჩევნია ამჯერადაც უკან დასახევი დაუტოვოს მოპირისპირეს და ყოველივე არა უშუალოდ მას, არამედ ყორღანაშვილის მზაკვრულ ხლართებს გადააბრალოს...

რაღაც-რაღაც მინიშნებანი მაინც აუცილებელია.

და თითქოს კი არ გასჩენოდეს არავითარი ეჭვი, არამედ ანწუხელების ლაპარაკისათვის დაეგდოს ყური, თავიანთ ვარაუდებს რომ უზიარებდნენ, ეტყობა, ხელმწიფის ბრძანება შენი საქმეების თაობაზე მთავარმართებელს არ მისვლია, თორემ ასეთი შინაარსის წერილებს არ მოიწერებოდაო.

— სწორეს მოგახსენებ, ხალხის ლაპარაკმა დიდად ეჭვში შემიყვანა. მე თქვენ კიდეც გნდობივარ და კიდეც გენდობით, როგორთაც ჩემს მშობელ მამას ეგრეთვე თქვენ, თუ ამგვარს აღსაშფოთებელს მოწერილობას და ავ საქმეებს დააყენებენ. მე ასე ვგონებ, თქვენი წერილი უფალს მართებელს მიერთვას, ამგვარი აღსაშფოთებელი წერილი და უკადრისი საქმე დააყენოს. თუ რომ არ ინებებს, ნება აქვს.

და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით:

— ვგონებ ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა წინააღმდეგი საქმე იყოს. მე მამიხსენებია და ამას იქით ბრალს ნუღარ დამდებთ.

ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა თავიდან, თუკი ის რაღაც არ შეწყდებოდა.

არა, თუ ივანე ყორღანაშვილი მთავარმართებლის დავალებით გაავაზში იმყოფებოდა, მის იქ დაყოვნებას რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა რატომ მინიჭებოდა ბატონიშვილის თვალში?

რუსხელმწიფე და მისი საწინააღმდეგო საქმე მაინც რამ ახსენებინაო.

განა რა დავალებოდა ასეთი?

რა ფარული მისიით აპირებდა დიდი სამსახურის გაწევას მთავარმართებლისათვის ყორღანაშვილი? ვითომ მხოლოდ მთავარმართებლისათვის — ვითომ ბატონიშვილი მართლა ვერა ხვდებოდა, ერმოლოვი ვის წინაშე რაცხდა თავს მოვალედ.

იმავე 27 იანვარს გიორგი ბასტამაშვილისადმი გაგზავნილ წერილში გაცხადებულია ის, რაც დელპოცოსათვის პირადად უნდა მოეხსენებინა ალექსანდრეს კაცს:

— და დიდადაცა ცდილობენ დაფარულად საწამლავით ჩემ სიკვდილსა, რომელიც სათქმელათაც საზარელია.

არ ეშვებიან და არც მოეშვებოდნენ.

ვისაც თავის დროზე ასერიგად მინდობოდა და უაღრესად და უაღრესად მნიშვნელოვან დავალებას — რუსხელმწიფესთან შეღწევას ბატონიშვილის არზით ხელში — ჩააბარებდა, სწორედ ის გადაებირებინათ და ამხელა დავალების აღსასრულებლად იყენებდნენ — ბატონიშვილისათვის საწამლავის შესაპარებლად.

— და რა საკადრისი არის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისა ამგვარი უკადრისი საქმე. მე ასე ვგრნებ, ამგვარი ჩირქიანი საქმე ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ნება არ იყოს.

მერე რა, რომ გიორგი ბასტამაშვილის ერთგულება არ ეეჭვებოდა, პირადი საუბრისას გადაშლით კი გადაუშლიდა გულს, მაგრამ ბარათში ამისთანები არ ეგებოდა. ხომ შეიძლება ხელისუფლებას ჩაეგდო ხელთ ეს წერილიც. რა სიხარულით მიართმევდნენ იმპერატორს — ნახე, ხელს გადებს და, მაგისი გავლენა რომ ვიცით, ქვეყანასაც შეგიყრის, ვითომდა ამხელა სახელმწიფოს მეთაურს სხვა საფიქრალი არაფერი გაქვს, გარდა ვიღაც უმნიშვნელო კაცის მოცილებისა, თანაც მუხანათურადო, -- თორემ დაჟინებული მოთხოვნა რომ არა, ეს მთავარმართებლები ასე ერთსულოვნად როგორ მომართულიყვნენ ბატონიშვილის მოსაკლავად?!.

— ამგვარს საქმეებს თუ დააყენებენ, ხომ ესე სჯობს. და რომელიც უფლის იარანალისთვის წერილები მიმირთმევია, იმ ჩემის წერილების სიტყვაზე ვდგევარ, არც შემიცვლია და არც შევცვლი. თუ აღარ მომეშვებიან, რაღა გაეწყობა. უკეთუ ღმერთი ჩემ კერძ არს, ვინ არის ძვირის მყოფელ ჩემდა.

აღარც მისი არზა მიერთმეოდა საიმპერატორო კარს და აღარც მისი მოხსენება ხელმწიფეს?

— თუ მიზეზს ამას სდებენ, ყიზილბაშებს ელაპარაკებაო, თითონ შენ კარგათ იცი, ჩემი შემნახავი ისენი არიან. ამისთვის ჩემი საქმე რათ უნდა დააბრკოლონ. უწინაც მომიხსენებია უფლის იარანალისათვის და აწცა ეს არის, სანამ ამ ზაფხულს ღვთით ჩემ წარმოსვლამდე, მანამ ჩემგან იმათზე ხელის აღება არ შეიძლება და ვერცა ვინ შემაძლებინებს იმათზე ხელის აღებას.

რაღა გაეგრძელებინა.

— მე ღვთის მოწყალებით ქრისტიანი ვარ...

ეს გულისხმობდა, რომ სინრფელე გამოეჩინა და ამისათვის მზადაც გახლდათ, ყველას წინაშე გულწრფელი ყოფილიყო, მაგრამ რუს

ხელისუფალთათვისაც ქრისტიანობას უნდა მოეთხოვა ამ მოძღვრების მიხედვით ფიქრიც, საუბარიც და მოქმედებაც, თორემ ეს ერთი პატრონიღა შერჩენოდა ყოფილ საქართველოდ გამოცხადებულ მიწა-წყალს და დასაკლავი ცხვარივით ხომ არ ჩაუვარდებოდა ხელთ!..

გიორგი ბასტამაშვილს კი ევალებოდა ასტრახანის გუბერნატორის დარწმუნება, რომ როცა ღმერთი გზამშვიდობისას მისცემდა, ალექსანდრე დელპოცოს უნახავად არ დადგებოდა, თავის მოსაზრებებს პირწმინდად გადმოულაგებდა და ნრფელ გულსაც გააცნობდა.

არა, ამ მთავარმართებელს რომ ეგონა, დიდად საიდუმლოდ ვმოქმედებ და, ვითომ ბატონიშვილისა და დელპოცოს აუდენციას რომ ვგეგმავ, ამასობაში ამ ჩვენს დაუძინებელ მტერს სამუდამოდ დავადუმებო, დაე გაეგო, რომ გახსნილიყო მისი ჩანაფიქრი, გაშიფრულიყო მისი ნამდვილი გეგმები და ყველა არ გახლდათ იმ ზნეობისა, ყორღანაშვილს რომ დამგვანებოდნენ და ეგებ კიდეც წაეჭარბებინათ.

ვერ შეაშინებდა აგერ ანწუხელთ.

ვერც მოსყიდვით მოისყიდდა.

და თავისი განზრახვის მონაწილეებად რომ მიიჩნევდა, იმათ ალექსანდრეს გვერდით დგომა ეამაყებოდათ და თავიანთ ფიქრებსა და ოცნებებს მას და მხოლოდ მას უკავშირებდნენ.

ამიტომაც 9 თებერვლის წერილში გადმოუფარჩავებდა იმ ვითომდა საიდუმლო წამოწყებას, რომლის საბურველადაც ესახებოდა ის ბარათი, ანწუხელი მაჰმუტა და ჩიქოალი რომ გადასცემდნენ ბატონიშვილს და იქ კი კეთილ რჩევებს ამოიკითხავდა, მათ შორის უპირველესად — ყიზლარის მხარეს გამგზავრებას ალექსი დელპოცოსთან შესახვედრად.

რაკიღა იმპერატორის მოწყალების ფირმანიც ხელთ ჰქონდა, კიდეც შეუდგებოდა გასამგზავრებლად მზადებას. და თუმც ყორღანაშვილის მაცთუნებელ მოქმედებას დაებრკოლებინა მისი სამზადისი, პირადად გუბერნატორისაგან მონერილი წერილი კვალად შეაყენებდა ამ გზაზე.

მაგრამ...

— იმავ ჟამს თქვენი ერთი წერილი აღმოსჩნდა ჩემი დიდად დასაბრკოლებელი და ანწუხელთ აღსაშფოთებელი. მოგეწერათ, ეგ ბატონიშვილი ხელმწიფის მუხანათი ყოფილა, დაიჭირეთ და ოც დღეზე აქ ჩამოიყვანეთ. თუ ჩემს ბძრანებას არ აღასრულებთ, თქვენს სახლებს თქვენის ხელით დასწვავთო.

სისასტიკეს ცინიზმიც თუ არ შეერია, აბა, ისე როგორ იქნება. საკუთარი ხელით უნდა დააწვევინოს, რათა მორალურადაც გაანადგუ-

როს, თორემ მხოლოდ უსახლკაროდ მათ დატოვებას რას იმყოფინებს.

ისედაც ალექსანდრეს სახება შთააგონებდა ანწუხელებს და სიმხნევითა და შეუპოვრობის ჟინით აღავსებდა, და ახლა სულაც მათ შორის რომ გარეულიყო, ცალი ფეხი მითოსში თუ ედგა, ცალიც მათი სოფლის ყოფით სინამდვილეში, თავს უფლებას როგორ მისცემდნენ განზე გამდგარიყვნენ. არამცთუ ფიქრადაც არ გაივლებდნენ მის შეპყრობასა და მთავარმართებლისათვის გადაცემას (ოც დღეშიო, — ვადაც რომ დაუთქვეს!), არც გატვრინდებოდნენ და ბარათს არ დამალავდნენ, ჩვენ ხომ არ ჩავდივართ ამ უღირს საქციელს და ბატონიშვილმა თავისი საქმისა თვითონ იცოდესო.

ირთულებდნენ მდგომარეობას, თუკი მთავარმართებლის საიდუმლო ბრძანებას გაამჟღავნებდნენ?

დაე მოსულიყო რაც მოსასვლელია!..

ეს ბარათია, აქედან დელპოცოს ხელთაც რომ აღმოჩნდებოდა.

ნოემბრის შემდეგ არაერთი ოცი დღე გადაიკეცებოდა და იანვარში ერმოლოვი კვლავ მოსწერდა ანწუხელთ იმავე შინაარსის ბარათს, ალექსანდრეს ხელიდან ისევ დელპოცოს ხელში რომ გადაინაცვლებდა.

— დიდად განკვირვებულვარ თქვენის მაღალ აღმატებულესობისაგან, ამისთანა ბრძანებებს იწერებით, არ შვენის თქვენს წრფელს გულსა.

თქვენს წრფელ გულსაო, — ირონიასაც გაურევდა.

— კარგათ მოგეხსენებათ, თქვენის კამანდისა არ გახლავართ, ამგვარის რისხოვნებით ბრძანებებს იწერებით. გარნა მხოლოდ თქვენ, არამედ რომელნიც საქართველოში მართებელნი ბრძანდებოდნენ უფალს მარკის გარდა, ყოველნი ცდილობდნენ დაჭერას და ეგრეთვე ფარულად საწამლავით სიკვდილსა ჩემსა.

გამონაკლისი არც ახალგამომწესებული ერმოლოვი აღმოჩნდა, ბატონიშვილის დასაჭერადაც რომ არაფერს ზოგავს და არც...

— თქვენც დაგიყენებიათ ყორღანოვი დაღისტნის სამძღვარზე და ფარულაც ცდილობს საწამლავით სიკვდილსა ჩემსა, რომელიც სათქმელათაც დიდად სირცხვილი არის. მე ასე ვგონებ, ამგვარი მაცთურება ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ნება არ იყოს.

ამასთან დაკავშირებით ბევრ ლაპარაკსა და ყვედრებას აღარ მოჰყვებოდა, საკუთარ ღირსებას ძირს როგორ დაუშვებდა. დიდად სირცხვილიაო — ერთი ეს მიარტყა ცხვირში და შემდეგ უკვე ის გაუხსე-

ნა, ჩემს მიერ ერევანს გაგზავნილი კაცები, ლეკებიც და ქართველებიც, დაიჭირეს და მოგიყვანესო.

მსტოვრები ხომ არ იყვნენ — ალექსანდრეს დელეგაციის წევრებად ირიცხებოდნენ.

თან ვითომ შერიგებისაკენ სწრაფვა და... თან ეს — ანწუხელებისადმი მკაცრი მუქარა, მკვლელის შემოგზავნა, ბატონიშვილის დელეგაციის დატუსაღება...

კვლავ დაბეჯითებით იმეორებდა:

ირანის ხელმწიფეზე ხელს ვერავინ ამაღებინებს, მეოცე წელია მისი მოწყალებით ვცხოვობ და განა რა დასაძრახი ვარ, თუკი დესპანს ან წერილს არ დავაკლებო.

სახელმწიფო პოლიტიკას იქნებ მოეთხოვა ბატონიშვილისათვის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა?

იგი მაინც ყოველთვის მადლიერი დარჩებოდა ამ ოცწლიანი თანადგომისათვის — ისეთისა ვერა, თვითონ როგორც წარმოედგინა, მაგრამ სხვაზე მეტად ხომ სპარსეთის ხელისუფლებამ გამოიდო თავი და ამის დავიწყება სათაკილოდ მიაჩნდა.

უკან დასახევს ერმოლოვსაც უტოვებდა?

რატომაც არა, თუ საქმეს წაადგებოდა, და მთელი ამ მზაკვრობის თაოსნად ყორღანაშვილს გამოიყვანდა, „პლუტ ბიჭს“, მთავარმართებელს კი მის ყურისგდებას აყვედრიდა, გაზიარებას იმ ყოველივესი, რასაც ეს „პლუტი ბიჭი“ ჩააგონებდა.

განა როდემდე შეიძლებოდა ყორღანაშვილი ჭკუაზე აწყობილიყო რუსხელმწიფისა და ქართველი ბატონიშვილის ურთიერთობა?

და ალექსანდრე სთავაზობდა ერმოლოვს, ყორღანაშვილი ყიზლარში გაინვიე, ჩემი მხრივ კი, გადაივლის თუ არა ზამთრის სიფიცხე, ივან პეტროვიჩს ვეახლებიო.

— მაგისი ყოველი სიმართლე იქიდამ მოგხსენდებათ. თვით თქვენ კარგად უწყით, ყოვლადმოწყალის ხელმწიფისაგან ყოველი ჩემი საქმე უფალს ივან პეტროვიჩს აქვს მინდობილი და იმას სრულიად უნდა გამოუცხადო.

როგორი გადასატანი იქნებოდა მთავარმართებლისათვის, ასე საგულდაგულოდ დაგებული ხაფანგები გახსნილ-გადმოფარჩავებული რომ დახვდებოდა და, ნაცვლად ბატონიშვილის ხელში მოგდებისა, ის კიდევ უფრო მიუწვდომელი შეიქნებოდა. ჯერ ახლაც კოვზი ნაცარში ჩაუგდო და კიდევ უფრო გაფაციცებული ყველა შესაღწევს ამოუქოლავდა. ან ის რაღა იყო, ანწუხში ერთი გამცემიც რომ ვერ შეარჩია

ისეთი, დრომდე დაფარული რომ იქნებოდა და, მარჯვე შემთხვევას იპოვნიდა თუ არა, ბატონიშვილი მისი წერა შეიქნებოდა.

როგორი გადასატანი იქნებოდაო...

და არაფერს აჭარბებენ ისტორიკოსები, ალექსანდრეს იმ ღირსებით აღსავსე ბარათს სილის გაწვნასაც რომ შეადარებენ.

წონასწორობას დაკარგავდა მთავარმართებელი და ეს შემოხევა ტანისამოსისა მითუფრო კომიკურად მოჩანს იმ წერილის ფონზე.

— ტყუილად ოცნებობთ თქვენო უგანათლებულესობავ...

ოცნებობთო...

თითქოს მკვლელობის სცენარის შემუშავება ალექსანდრეს ფანტაზიის ნაყოფი იყოს და არა რეალური ვითარება.

ვითომ ოცნება მოსჩვენებია სინამდვილედ?

და ყორღანაშვილი ვითომ იმიტომ სულაც არ დასახლებულიყოს დაღესტნის საზღვარზე, მისი სიცოცხლის ხელყოფას რომ აპირებდეს.

არა და არა და კიდევ არა. შეუვალია მთავარმართებელი და თავისი არგუმენტებიც გადმოულაგებია. ნუთუ ადამიანს უფლება არა აქვს თავისი საცხოვრისი თვითონვე შეარჩიოს სანახებით მოხიბლულმა და ეს გადაწყვეტილება სულაც არ შეუთანხმოს ვიღაც ხიზანს, კარდაკარ მოწოწიალე ბატონიშვილს, საკუთარი თავი რომ გასჭირებია და, ყოველგვარ გავლენადაკარგულს, ისღა დარჩენია ხელოვნური აჟიოტაჟი შექმნას თავისი პერსონის გარშემო, არიქა, ისევ ცოცხალი ვარ და ჭკუისსაკითხავ პიროვნებათა შორის მეც ვწერივარო?!.

არამცთუ არავის მიუვლენია ყორღანაშვილი იმ მიდამოებში ასეთი დავალებით, თურმე თვითონაც რომ მოფიქრებოდა მსგავსი რამ, ამ განზრახვის გაზიარებას ვერც გაუბედავდა მთავარმართებელს, რადგანაც:

— მან შესანიშნავად იცის ჩემი აზრისა და მოქმედების წესი...

ნეტა საიდან შეიძლება სცოდნოდა ცოტა ხნის წინათ ბატონიშვილის ერთგულ კაცად თვითგამოცხადებულ ყორღანაშვილს მთავარმართებლის აზრისა და მოქმედების წესი, თანაც შესანიშნავად?

მთავარმართებლის სიახლოვეს ვინ მიაკარებდა, თუ არა...

დიახ, თუ არა...

და დაღესტნის საზღვარზე რომ დასახლდა უეცრად, წინაპართა ნამემკვიდრევი აღმოაჩინა თუ შემოქმედებითი შთაგონებით აღსავსე დაეძებდა ყველაზე შესაფერის პეიზაჟებს მისი ნიჭის გაქანებისათვის?

— გთხოვთ ირწმუნოთ თქვენო უგანათლებულესობავ, რომ თქვენს სიცოცხლეს ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს და მას არანაირი საფრთხე არ მოელის, როგორც სიცოცხლეს ისეთი კაცისას, რომლის ყოფა-ქცევა ახალგაზრდობაში გარყვნილებით ხასიათდებოდა, მოწიფულობაში კი უპატიოსნობით და ამიტომაც აბუჩად აგდების მეტს არაფერს იმსახურებს.

იქედნურად ჩაეცინებოდა ალექსანდრეს ამ სტრიქონების ჩათვალიერებისას.

უმნიშვნელო პიროვნებებზე ასეთი გამწარებით არ წერენ, ცხადია.

ისე მისი ახალგაზრდობისდროინდელი „გარყვნილებაც“ და მოწიფულობის ხანის „უპატიოსნობაც“ სამშობლოს სიყვარული გახლდათ, მისი შენარჩუნებისათვის, შემდგომ კი უკვე აღდგენისათვის თავგადაკლული ბრძოლა, რაც დანაშაულად გამოიყურებოდა იმპერიული თვალთახედვით, როგორც ნაციონალური სულისკვეთების გამღვივებელი და მკვეთრად შეხლილი გლობალისტურ მისწრაფებებთან.

არა, ისეთი თავდაჯერებით ისროდა შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და ფრაზებს მთავარმართებელი, თითქოს მის ბნელსა და მზაკვრულ ჩანაფიქრს ეგრე იოლად ვერავინ ამხელდა — ხელშესახები დოკუმენტი ხომ არსად მოეპოვებოდა ბატონიშვილს, ამ განზრახვის დამტკიცებას რითაც შეძლებდა.

მაგრამ ისიც არ იყო დოკუმენტი, ანწუხელებთან მიწერილი ბარათი, მუქარებით აღსავსე, აუცილებლად უნდა გადმომცეთ ბატონიშვილიო?

რა ადვილად დავიწყნოდა ის წერილი მთავარმართებელს?

თუმც წონასწორობადაკარგულ ადამიანს ამდენს ნუღა მოვთხოვთ.

ჩვენთვის ისედაც სარწმუნოა, რომ ალექსანდრე ოდნავადაც არაფერს აჭარბებს და მართლაც მიეკვლია იმ გარემოებათათვის, მის მოწამვლას რომ ითვალისწინებდა.

ბარათი ანწუხელებთან და ყორღანაშვილის დასახლება დაღესტნის საზღვარზე ერთმანეთს თავისთავად გადაჯაჭვოდა და სულაც არ სჭირდებოდა ხელოვნური მიკერება ერთიმეორეზე.

დამატებით ფარული ხმებიც აღწევდა მის ყურამდე და განუმტკიცებდა ამ სამწუხარო ვარაუდს, კვლავაც უღმერთოდ გამეტებული რომ ჰყავდათ.

სარწმუნო სარწმუნოდ, მაგრამ ეთერ ორჯონიკიძე მიაკვლევდა ერთ ფრიად საგულისხმო ცნობას მთავარმართებლის კანცელარიის

მმართველის მოგილევსკის საიდუმლო წერილში, ყორღანაშვილისათვის რომ გაეგზავნა.

რა საიდუმლო მიმოწერა აუტყდა კანცელარიის ხელმძღვანელს ვიღაც რიგით მოქალაქესთან, ვისი არსებობა წესით არც უნდა სცოდნოდა?

აშკარაა, დავალება ძალზე მნიშვნელოვანია და საპასუხისმგებლო, რაზეც ასე კანთიელად მეტყველებს მისი შინაარსი, საგანგებო დანიშნულებისათვის გადაცემული თანხა რომ ამოჰყოფს უეცრად (ვითომ უეცრად, არა?) თავს.

— თუ ანწუხელები გაბედავენ ბატონიშვილის გადმოცემას ჩვენთვის, მაშინ ფული ხელუხლებელი დარჩება. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამაზე უარს იტყვიან, მაშინ თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე, მაგრამ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ფრთხილად იყავით და არაფერი დაკარგოთ.

ანწუხელები გაბედავდნენ არ გაეცათ და არ გადაეცათ ბატონიშვილი მათთვის.

ამიტომაც:

თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე!..

სავსებით ნათელია, რა საქმეც.

ტყუილად ოცნებობთ, თქვენო უგანათლებულესობავო...

თქვენს სიცოცხლეს ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვსო...

ეცინებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს.

იმ სამასი ოქროს გამოყოფაც გააცინებდა სახელმწიფო ხაზინიდან, იმქვეყნად მის გასამგზავრებლად რომ გამიზნულიყო.

ფრთხილად იყავით და არაფერი დაკარგოთ!..

სიფრთხილე არ აკლდა ყორღანაშვილს და არც არაფრის დაკარგვას არ აპირებდა — სწორედ მთავარმართებლის გადაკიდების თავი ჰქონდა! და ბიუჯეტს ასე გაანაწილებდა:

100 ოქრო — გლახა აბელიშვილის მოსაკლავად, ბატონიშვილის უახლოესი თანამზრახველის;

და 300 ოქრო — თვითონ ბატონიშვილის ჩამოსაცილებლად.

მკვლელი მალულად შეეგზავნა დიდოში.

თვითონ ეგონა ყორღანაშვილს — მალულადო.

ხარჯთაღრიცხვაში რომ ჩაუწერდა ამ თანხებს კანცელარიის ხელმძღვანელს, ეს აუცილებლობად ითქმოდა და არა გათქმად.

მალულად, სანდო კაციო, — ახარებდა კანცელარიის მმართველი მთავარმართებელს.

იმას ისეთი აღმატება და კეთილდღეობა დაეზმანებოდა იმ წამსვე, მანამდე მთლად ოცნებებშიც რომ ვერ მიახლოებოდა.

ამდენი ხნის მოუხელთებელი და შემაწუხებელი პიროვნება უსულო ნეშტად უნდა გადაქცეულიყო და იმპერატორი არა წყალობას არ დაინანებდა ამ — ბევრჯერ ჩაფუშული — საქმის ამჯერად ნარმატებული ორგანიზებისათვის.

თქვენს სიცოცხლეს ჩვენთვის არავითარი ფასი არა აქვს!..

ტყუილა ოცნებობთო, — ესეც ხომ არ ჩაუტოვებია გულში.

იმ სამასი ოქროს ხსენება კი, ვითომდა დიდად ფარულის, თავს ამოჰყოფდა გიორგი ბასტამაშვილისადმი გაგზავნილ წერილში 1817 წლის 13 თებერვალს და ბატონიშვილისათვის ჩვეული იუმორიც შეალამაზებდა, შეამსუბუქებდა ტრაგიკულ მოსალოდნელობას, ბოლომდე გაშიფრავდა იმას, რაც წინ დღის ბარათში ზოგადად უფრო მიენიშნებინა, როდესაც უმეორებდა, ყოველი ჩემი საქმე შენთვის მომინდვია და დელპოცოს კეთილი გული თვით შენ უნდა დაარწმუნო, რაც შენთან მილაპარაკია, ღვთის მოწყალებით, არც შემიცვლია და არც შევცვლიო.

და შემდეგ კი:

— მე იმ ჩემს სიტყვაზე ვდგევარ და ვარ დამყარებული, თუ უფალი მთავარ მართებელი ჩემს სავნოს და აღსაშფოთებელს საქმეზე ხელს აიღებს ფარულად, ანუ თუ ცხადად. ყორღანოვი სამჯერ წასულა ქალაქს და მოსულა და ახლაც აქ არის გავაზს. ასე ნურავის გონია, რასაც საქმეს მოემედებენ მე არ ვიცოდე. ჭეშმარიტად თვითოეულად შატყობილი მაქვს, მაგრამ მაგის მამობრივის სიყვარულს და ჩემს კაცობას არ ეკადრება, თორემ ამთენს ჩემს შენუხებას არ დავთმობდი. ეგენი რომ ვერ მიცნობენ, შენ ხომ კარგათ მიცნობ.

ჭეშმარიტად თვითეულად შეტყობილი მაქვსო და:

— მაგისთანა კანონიანს ხალხში ის უკეთური ყორღანოვი ასე როგორ აჯერებინებს, ყოველს საქმეებს თითონ მოქმედებს. ახლაც ათი ხუთმეტი დღე იქნება სამასი ოქრო შიხის ხელით შემოგზავნა ჩემ სასიკვდილოთ.

ყორღანაშვილის მიერ ნარდგენილი ხარჯთაღრიცხვა უნებურად ადასტურებდა ამ თანხის უეჭველობას — ისტორიკოსებს რას გამოაპარებ.

და კვლავ სიცილი აუტყდებოდა ბატონიშვილს:

— სამასი ოქრო კი არა, სამი ათასი ოქრო რომ შემოიტანონ, ღვთის მოწყალებით მე ფიქრი არასი მაქვს, ამგვარი მალული საქმეები მრავალი არის, თვით შენც კარგათ იცი და რაღა განვაგრძელო.

და იქით ამშვიდებდა:

— ღვთის მოწყალებით ჩემი ფიქრი ნურა გაქვსრა.

თქვენს სიცოცხლეს არანაირი საფრთხე არ მოელისო...

მაგრამ ეს იმ ერთადერთ შემთხვევაში, თუ მკვლელსა და დამკვეთებს ყველა გზა გადაეკეტებოდათ თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილის სიმარჯვით.

ისე დიდი საოცნებო კია, მკვლელები რომ გიტრიალებენ გარშემო, ეგებ საიდანმე მოგწვდნენ და აღივსონ იმ პატივით, რაც სხვა მხრივ სამუდამო ოცნებად დარჩება მათთვის.

ტყუილად ოცნებობთ, თქვენო უგანათლებულესობავ...

მთლად გამოუცდელნი და ბედოვლათნი ისინიც არ აღმოჩნდებოდნენ — უახლოეს კაცს ხომ მაინც მოუკლავდნენ — გლახა აბელიშვილს, საყრდენს გამოაცლიდნენ, სამჯერ ნაკლებად უღირდათ, მაგრამ ბატონიშვილთან შედარებით სამჯერ ნაკლებობა (იმათ თვალში!) თავისთავად მიგვახვედრებს იმის პიროვნულ ღირსებებს.

რეპეტიცია?

თუ პრელუდია?

თვითონ პიესის სიუჟეტი ვეღარ ამოეხვეოდა ისე, როგორც ენებათ და განზე რჩებოდა ეს რეპეტიცია თუ პრელუდია.

ცხრა ათეული წლის შემდგომ ასეთივე რეპეტიციას თუ პრელუდიას გაითამაშებდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დაგეგმვა-ხორცშესხმისას, ჯერ უახლოეს მეგობართაგანს რომ მოუკლავდნენ — ნიკო ხიზანიშვილს, მერე კი მოურავს — მოსე მემარნიშვილს. და ტრაგედიის სიუჟეტიც ამოეხვეოდა წიწამურთან.

ანწუხი წიწამურის მსგავსად არ შევიდოდა ისტორიაში.

მოსალოდნელი მკვლელობის გამოაშკარავებას რა მოჰყვებოდა ალექსანდრეს მხრიდან?

გადაიფიქრებდა გენერალ-მაიორთან შეხვედრა-მოლაპარაკებას?

ზურგს შეაქცევდა სოფელ გუმბეთს, იქით გახედვაც აღარ მინდაო?

მაშ რა — საკუთარი ფეხით ხლებოდა მკვლელებს?

მაგრამ ერთადერთი გაემიჯნა კავკასიის მთავარმართებელი და ასტრახანის გუბერნატორი, ერმოლოვი და დელპოცო, და იმავე 12 თებერვალს გუბერნატორისადმი გაგზავნილ ბარათში კვლავ მზადყოფნას გამოხატავდა შესახვედრად.

ოღონდ ესეცაა, რასაკვირველია:

— არ ვიცი თქვენ ვითარ სამე დაურწმუნებლობასა ხედავთ. ჩემ მიერ დიდად სარწმუნო მექმენით, რაც თქვენთვინ წერილობით მო-

მიხსენებია და ანუ კვალად მოგახსენებ, ყოველივე სრული და ჭეშმარიტი არს, თუ ტფილისიდამ უფლის მართებელისაგან ჩემი სავნო და აღსაშფოთებელნი მიზეზნი აღარა მომეცარა.

რას გულისხმობდა და: დანარჩენს გიორგი ბასტამაშვილი გამოუცხადებდა, მისთვის მიენდო თავისი სრული აზრი და გენერალ-მაიორს ისევე უნდა ერწმუნო იმისი, თითქოს უკვე ბატონიშვილს ელაპარაკებოდა.

— მეც ცოტას რასმე შევიძლებ მაგიერს სამსახურსო, — ამას გიორგი ბასტამაშვილს ამცნობდა და დასძენდა:

— თუ ამას ბძანებენ, დაღისტნიდან საქართველოში თითოროლა რაზბონიკის კაცისაგან ხდება რამე, ევროპა უფრო დიდის კანონისანი არიან და იქაც იპოება რაზბონიკნი. მე მაგაში ბრალი არა მაქვს და არც ქურდი კაცის ამხანაგი ვარ.

„რაზბონიკიო" — უკვე მეორე რუსულმა სიტყვამ ამოჰყო თავი ბატონიშვილის ნაწერში. თუმც მთავარი, ცხადია, ისაა, რომ ტყუილუბრალოდ ნუ აბრალებენ ყაჩაღთა ნაქეზებასა თუ მათი თვითნებობის აღუკვეთელობას. განა ვის შეძლებია სრული წესრიგის დამყარება თავის გარშემო, მაინცდამაინც ალექსანდრესაგან რომ ითხოვდნენ. სახელმწიფოს მეთაურები ვერ ახერხებდნენ ყაჩაღობა-ქურდობისათვის ბოლოს მოღებას და დევნილმა და ხიზანმა ბატონიშვილმა რაც შეძლო, ისიც სასწაულს უდრიდა, თორემ მოთარეშეთა გუნდებიდან ზოგმა თუ კვლავაც ყაჩაღობა ამჯობინა კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლას, ამდენზე ხელი მას უკვე აღარ მიუწვდებოდა.

ეს მეორე წელიწადიც იყო, რაც გიორგის წერილები გაატანა, აჯანყებისათვის სამზადისი შეეჩერებინა და ელოდა, როგორ გადაწყდებოდა საიმპერატორო კართან მოლაპარაკება მისთვის სასიკეთოდ.

— მე თუ ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან მაგ უფლის იარანალის შემწეობით მონყალებას არ მოველოდე და მაგათი მაყურებელი არ ვიყო, ამთენი ხანი მე უსაქმოთ არ დავდგებოდი და არც ჩემგან შეიძლებოდა ამთენი უსაქმობა.

ამდენი ხნის მანძილზე პირველადაა, რომ შეყოვნებულა და თავისი ბედი დელპოცოსთან შეხვედრისათვის მიუნდვია. მკვლელის შემოგზავნამაც კი ვერ გადაახვევინა ამ არჩევანიდან და მეტი რაღა ჰქნას, როგორღა დაარწმუნოს რუსხელმწიფე და მისი გარემოცვა ამ არჩევანის სიწრფელეში.

ის კი არა, იმ გარემოცვას ზნეობრივი პიროვნებანი რომ შეადგენდნენ, არამცთუ დაძრახავდნენ ბატონიშვილს, ირანელებთან ურთი-

ერთობას რომ არა და არ წყვეტდა, არამედ ამ მოქმედებაში მის ერთგულ ბუნებას დაინახავდნენ, მის მადლიერებას, მის სიქველეს — სადაც დგას, შეუპოვრად და ბოლომდე დგას, იმისდა მიუხედავად, მისთვის იმხანად სახეიროა თუ არა ამგვარი გადაწყვეტილება.

გიორგი ბასტამაშვილს ევალებოდა, რომ ასტრახანის გუბერნატორი კარგად დაეხათრიჯამებინა, რადგანაც კვირაცხოვლობის შემდგომ კვირას აქედან აყრას ეპირებოდა ბატონიშვილი.

— თუ რომ მეტათ მომატებულმა ავმა დარმა არ დაგვაბრკოლა, ანუ კახეთიდამ და ტფილისიდამ ამღვრეულმა საქმეებმა, სარწმუნო ბრძანდებოდეს მაგათი აღმატებულესობა, მაგას უნახავს არ დავაგდებ საცა პირობა არის, მასკვან თითონ იცის.

ავმა დარმა ან კახეთიდან და ტფილისიდან ამღვრეულმა საქმეებმაო...

ზამთრის სიფიცხე ჩაივლიდა, ავი დარები მივიწყებას მიეცემოდა, მაგრამ აყრით ჯერაც არ აიყრებოდა ალექსანდრე. როგორც ჩანს, ის ამღვრეული საქმეები შეაჩერებდა... მაგრამ როდემდე?.. მას აბრალებდნენ, არ ჩამოდის და არ ჩამოდისო, თითქოს თავის მხრივ შესაფერისი პირობები შეექმნათ მისთვის, იგი კი რატომღაც ანწუხში გამოკეტვას ამჯობინებდა.

თან იფიქრებდა, ეგებ აქედან აყრით შევაგულიანო და დავანამუსო მთავარმართებელი და უფრო კი გუბერნატორი და მოვლენათა ბუნებრივ და სასიკეთო გაგრძელებაზე უფრო მონდომებით იზრუნონო.

დადგებოდა ივნისი და აყრის ბრძანებას გასცემდა, გამოეთხოვებოდა ანწუხს, საკმაოდ მძაფრ მოგონებებთან დაკავშირებულს და იმ მხრივ კი გამონაკლისს, აქ უმოქმედოდ ყოფნას რომ შეგუებოდა, და ყარახის თემში გადავიდოდა.

ასე თანდათან უახლოვდებოდა ყიზლარს, ახლა მთლად დათვების ბუნაგში ვერ შერგავდა თავს, ვიდრე საამისოდ რაღაც ხელმოსაჭიდი არ ექნებოდა.

სდუმდა გუბერნატორი.

ვერც გიორგი ბასტამაშვილი ატყობინებდა რაიმე საიმედოს.

აი, გამოჩნდებოდა დელპოცოს ბარათი და ბატონიშვილი აღქმისამებრ მსწრაფლ გაემზადებოდა ბაღათულის სოფელ გუმბეთში სტუმრობისათვის.

— ერთი ორი დღის მეტს დაგვიანებასაც აღარ ვაპირებდი.

ყარახის ჯამაათსაც შეყრიდა თავისთან და გამოუცხადებდა: რამდენიმე თქვენი უფროსი კაცი გამოარჩიეთ, თან რომ გამომყვნენ გუბერნატორთან შესახვედრადო.

დიდად იწყენდნენ ყარახელები ბაღათულაში გამგზავრების შეთავაზებას.

„დიდად" მაინც როგორ?

ვერც ჩვენიანებს გაახლებთ და არც შენ გაგიშვებთო, — მტკიცედ მოახსენებდნენ. თავიანთი კითხული კაცების გაყოლება თუ არ ენებათ, ბატონიშვილს რატომ ან როგორ დაუშლიდნენ? ვითომ მისი დამკავებელნი იყვნენ? თურმე ძალიან გამოიდებდნენ თავს, და თუმც ბატონიშვილს ამდენს ვერ შებედავდნენ, რომ წინ გადადგომოდნენ, ამას კი ურყევად ეტყოდნენ და კიდეც მიალურსმავდნენ ადგილზე:

ჯერ ჩვენს ცოლ-შვილსა და ჩვენ ყელები უნდა დაგვაჭრა და მერე გზა ხსნილი გაქვსო.

მხოლოდ მიზეზს იკითხავდა ალექსანდრე ასეთი გაჯიქებისა, თუმც მისახვედრს ისედაც მიხვდებოდა.

მის გაწირვად მიიჩნევდნენ გუმბეთში შესვლას.

შეხვედრა ენება გუბერნატორს?

აგერ სოფელი ქინდალი.

ჯერ ჩვენს ცოლ-შვილსა და ჩვენ ყელები უნდა დაგვაჭრაო...

სხვა გზა აღარ რჩებოდა ბატონიშვილს, გარდა იმისა, რომ გენერალ-მაიორი ქინდალში მიეწვია.

— ჩემთვის ასეთი სასიამოვნო დღე იქნება, რომ, ვითარცა სანატრელი მეფე ირაკლი მეხილვოს.

არ გაჭრიდა ეს თხოვნა, რა ამოცნობა უნდოდა, ბაღათულაში თუ ვერ შეიტყუებდნენ ალექსანდრეს, ქინდალში ამოსვლისაგან დელპოცო შეიკავებდა თავს. ბატონიშვილი ვითომ ვერ მიხვდებოდა მისი უარის მიზეზს და წინასწარვე სთავაზობდა, სამი-ოთხი თქვენი სანდო კაცი გამოგზავნეთ, ამასთან ერთი მწერალიც გვიბოძეთ, ქართული და რუსული კარგად რომ გვითარგმნოსო. გიორგი ბასტამაშვილის გამოსტუმრებასაც სთხოვდა მოლაპარაკებაზე დასასწრებად.

— თქვენც კარგად უწყით, პირველითგანავე მაგასთან მქონდა ჩემის საქმის დაწყობილობა და აწც ეგ არის.

პასუხად ისევ დუმილი.

და შესჩიოდა ბატონიშვილი გიორგი ბასტამაშვილს ოქტომბრის მიწურულს გაგზავნილ ბარათში, რომ გულისხმობდა, ამ წერილს უეჭველად გაეცნობოდა გენერალ-მაიორიც.

რაც საქართველო შევიდა მონარქის საფარველის ქვეშ, სხვა სურვილი არა მქონია, გარდა საქართველოში ცხოვრებისა, ჩემს მიწა-წყალზე, და მემსახურა ხელმწიფისათვის სისხლის უკანასკნელ წვე-

თამდეო, — გამეორება არა წყინდებოდა თავისი უმთავრესი მოთხოვნისა, რომ რუსეთში საპატიო ტყვეობას არასგზით არ იყაბულებდა, — ამის თაობაზე მოლაპარაკება მქონდა თითქმის ყველა მთავარმართებელთან, მაგრამ ვერას გავხდი, ახლა კი თუ რაიმე მიზეზით დელპოცოც ჩამოაშორეს ჩემს საქმეს, დაე გამომიცხადოს, მაგრამ რაც უნდა იყოს, მე მის მამობრივ სიყვარულზე მაინც ხელს არ ავიღებ და მაგის გარდა სხვას არავის ვენდობიო.

ატყობდა, იშლებოდა ამდენი ხნის სამზადისი შესახვედრად. ეს წელიც ჩაიკეცებოდა, მომდევნო ზამთარიც გადაივლიდა და მორიგებაზე მოლაპარაკება ადგილიდან არ დაიძროდა.

— დაე ყველამ იცოდეს, რომ მე ჩემს გულითად სურვილს, ვიცხოვრო საქართველოში ყოვლად მონყალე ხელმწიფის საფარველს ქვეშ, არას დიდებით არ შევცვლი, და მაშინ ვინ იქნება მტყუანი, საქვეყნოდ გამჟღავნდება. მე ყველას წინაშე მართალი ვარ.

ეს რწმენა ასულდგმულებდა, თავისი მოთხოვნის სამართლიანობა და ქვეყნის წინაშე პირნათელობა განუმტკიცებდა შეუპოვრობის ჟინსა და სიმხნევეს. დაღლა, დაქანცულობა, როგორც ასეთი, ისედაც არ იცოდა, რა იყო, და ვერ გაეგო, სხვანი რას უჩიოდნენ, ამ სტყვებს რომ ახსენებდნენ; და ამ რწმენით აღვსილი წამითაც რომ არ ჩაიფერხავდა, ადვილი მისახვედრი გახლდათ მისი მდევნელებისათვისაც, მაგრამ თავს არ უტყდებოდნენ ხოლმე და ილუზიებს ეჭიდებოდნენ.

ვინ იქნება მტყუანი, საქვეყოდ გამჟღავნდებაო...

შერცხვებოდათ ეს გამჟღავნება, როგორ არა!.. სულ სიმართლესიცრუის დარდი არ ჰქონდათ, როდესაც სამხედრო მოკავშირეობაზე დათანხმებულ ქვეყანას აუქმებდნენ, როგორც სახელმწიფოს, და მეფეს კათოლიკოს-პატრიარქსაც მალევე მიაყოლებდნენ ზედ.

მეფესა და მღვდელმთავარს არ მორიდებოდნენ და ბატონიშვილს რატომ მოერიდებოდნენ?!.

ალექსანდრე მაინც ძველი საქართველოს ზნეობითა და წარმოდგენებით რომ ითქვამდა სულს.

არასდიდებით არ შევცვლიო...

ყიზლარის ციხეში გამოემწყვდიათ გიორგი ბასტამაშვილი.

ალექსანდრე ბატონიშვილის შუამავალთან, დესპანთან, მოლაპარაკების მთელს ავან-ჩავანში ჩახედულ კაცთან რა ხელი ჰქონდათ?..

რა და:

კვლავ შეტრიალებულიყო სახელმწიფო პოლიტიკა.

ეს შეტრიალება უკვე მაშინ გამჟღავნდებოდა, როდესაც სპარსეთ-

ში რუსეთის ელჩად მივლენილი ერმოლოვი უარს მიახლიდა მირზა ბუზურგს მოთხოვნაზე: გზა მიეცათ ბატონიშვილისათვის ირანს გასამგზავრებლად.

აქამდე აკი ყაბულს იყვნენ?

დაე კვლავაც ეგრძნო ალექსანდრეს რუს ხელისუფალთაგან სუსხი, ეგებ ახლა მაინც გონს მოსულიყო, სპარსეთს მოწყვეტილი, და პეტერბურგში გამწესებას შეგუებოდა.

21 ოქტომბერს კი ტფილისში მობრუნებული მთავარმართებელი თავის საელჩო მისიას იმით დააგვირგვინებდა, რომ დელპოცოს მოლაპარაკების შეწყვეტას დაავალებდა საიდუმლო წერილით.

სპარსეთში ყოფნისას ალექსანდრე ბატონიშვილის ამალის ერთერთმა წევრმა გამანდოო, — თავი ესახელებოდა ფარული ცნობის მოპოვება-ჩამოტანით, — ბატონიშვილი რუსეთში არაფრისდიდებით არ წავაო, და ჩვენთან მისი ურთიერთობის აუცილებელი პირობა საქართველოში ცხოვრება და სხვა ასეთივე, ჩვენთვის სრულიად მიუღებელი და არახელსაყრელი მოთხოვნები ყოფილაო.

რუსეთში არაფრისდიდებითო...

რად უნდოდა ამ ცნობის მოპოვებას ან სპარსეთში გამგზავრება და ან ქართველთა ამალაში მსტოვრების შეგზავნა, ეგებ ვინმე მოვისყიდოთ და, სხვა თუ ვერაფერი, იქნებ რაიმე დავაცდენინოთო.

დააცდენინეს რომ!..

სხვას რას იმეორებდა მტკიცედ და დაჟინებით ალექსანდრე, თუ არა საქართველოში დარჩენის აუცილებლობას. აგერ გიორგი ბასტამაშვილსაც კვლავ ამასვე არა სწერდა?..

სხვა ასეთივე, ჩვენთვის სრულიად მიუღებელი და არახელსაყრელი მოთხოვნებიო...

გამეორებაც არა სურს, საქართველოს სამეფოს აღდგენა რომ წარმოედგინა ბატონიშვილს მოლაპარაკების გვირგვინად.

ანწუხელებისა არ იყოს, არც ყარახელებისადმი შეთვლილ მუქარას ჰქონდა აზრი, თუ ბატონიშვილი არ გადმოგიციათ ჩვენთვის, საკუთარ თავს დააბრალეთო?

და მკვლელი აქაც ვერსაით მიუდგებოდა?

გზას ხომ არ აძლევდა სპარსეთში გასამგზავრებლად მთავარმართებელი, უიმათოდ კი რას იღონებდა, დაე ჩარჩენილიყო დაღესტანში და ერთი თემიდან მეორეში გადასულიყო, ერთი სოფლიდან მეორეს შეხიზნოდა, ერთი ოჯახიდან მეორეს შეკედლებოდა.

ვითარცა სანატრელი მეფე ირაკლი მეხილვოსო...

მოლაპარაკების კარიც გამოიხურებოდა და ჩაირაზებოდა.

აბა, ირანში რანაირადღა... ვინღა იყო აქედან მისი გამშვები?..

თუმც რაღა რანაირად, როდის იყო, რომ ალექსანდრე ვინმეს უთანხმებდა, საიდან სად და როგორ გაეღწია.

მფრინავი რაში რისთვის დაეგულებინა.

ღვთის მოწყალებით, შაჰისა და აბას-მირზას დოვლათით მშვიდობით ვიმყოფებითო, — 1818 წლის 6 მარტს ამცნობდა თავისი ამალის თავადაზნაურებსა და მსახურებს მას შემდეგ, რაც ყველას ერთობლივ მოიკითხავდა ძმური სიყვარულით, — ყარახში შემოდგომაზე თქვენი წერილი რომ მომივიდა, რაც მოგეწერათ, ყველაფერი ვცანიო.

რაღაც არეულიყო მის ამალაში, გადახვეწილობის მწარე ხვედრი არა კმაროდა, ეს დავიდარაბაც არ ატეხილიყო? — ფულზე ვეღარ თანხმდებოდნენ, ხუდად-ბეგს ასტეხოდნენ და დავა-კამათს ბოლო აღარ უჩანდა.

მაინცდამაინც მაშინ გაძნელებულიყო მიმოწერა — ხელისუფლებაც გამკაცრებულიყო, ზამთარიც გაფიცხებულიყო. არადა, მოსაგვარებელი გახლდათ შიდაწინააღმდეგობა, რომელიც, ადვილი მოსალოდნელია, ერმოლოვის ხრიკებითაც დაწყებულიყოს, ყოველ შემთხვევაში შემდგომი გართულებანი მის კისერზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამდენს აღარ ჩასდევდა ალექსანდრე, ერთი იმდენი, შორიდან ჩაეწყნარებინა თავისი მომხრენი, დაენამუსებინა და სრულ მშვიდობას თუ ვერ ჩამოაგდებდა, დაზავებისათვის მაინც მიეღწია, ვიდრე თვითონაც იქ გამოჩნდებოდა.

იქნებ სჯობდა „იქ გაჩნდებოდა“ თქმულიყო — ჯადოსნური ზღაპრების კვალობაზე.

— თუ ღმერთი გწამთ, ან მე რათ მარცხვნით მთელს ერანში და ან თქვენს თავს. გავს რომ ფულს მსახურებიხართ და ჩემი სიყვარული არა გქონიათ.

ღმერთმა ადღეგრძელოს შამზადა, ჩემი ასეთი მწყალობელი ბრძანდება, რომ ჩემი ხათრით, ჩემს კაცს რაც უნდა დანაშაული ჰქონდეს, ურიგოდ არას უბრძანებსო, — დასძენდა და ამითაც გამოკვეთდა ამალაში გამეფებულ უწესრიგობას — ის მიწევს ამხელა ანგარიშს და თქვენ რაღა დაგმართნიათო.

ხუდად-ბეგს გამოეწვია წყრომა?

— ღვთის მოწყალებით ამ ცოტა ხანში ერთად შავიყრებით, მოვკითხავ და ისე გადავახდევინებ.

ეს კაცი ხომ მის მიერ იყო დაყენებული, და მისი საქმის განხილვაც ვინმე სხვას რატომ — მას და მხოლოდ მას ევალა. თუ მართალი იყო, ბატონიშვილი დასცემდა დასტურს, და თუ ტყუოდა, ბატონიშვილისავე გადასახდევინებელი გახლდათ. რაც აქამდე მომხდარიყო, ის შეხლა-შემოხლა ეკმარათ, დახსნილიყვნენ ამგვარ საქმეებს, თუ ალექსანდრეს სიყვარული ჰქონდათ ანდა კვლავ მას მისჩერებოდნენ იმედის მზერით. დაე წყნარად ესაუბრათ და გაერკვიათ ხუდად-ბეგთან ყოველივე, ისე, რომ მათი საქმე და სიტყვა ერთი ყოფილიყოს.

— ნუ ირევით, არეულობის დრო და ჟამი არ არის.

ეს ერთი შეგონება თუ გაფრთხილება და ეს კიდევ მეორე:

— ამ ჩემ საქმეზე დიდი და პატარა ბეჯითი იყავით. ხომ კარგათ იცით, თუ ჩემი საქმე კარგათ მოვიდა, თქვენიც კარგათ იქმნება. ეს კარგათ იცოდეთ, თუ ჩემი საქმე კარგათ არ იქნება, თქვენი საქმე სულ ძირს გაივლის. რაღა განვავრცო, ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, როგორ რიგიან და მართებულად მოიქცევით.

ყველაფერს ქაღალდს ვერც ამჯერად ანდობდა? სხვა მის სიტყვას პავლე მამაცაშვილი და სოლომან ჯაღალაშვილი გადასცემდნენ.

იმავე 6 მარტს ხუდად-ბეგს მისწერდა, რომ ამ სოლომან ჯაღალაშვილს ბატონიშვილის ერთგულებისთვის მრავალი სამსახური გაეწია და ბევრი გასაჭირიც მოეთმინა და ამიტომაც უსაჩუქროდ ნუ გამოისტუმრებდა.

ამ ბარათებს შედგენით კი ადგენდა, მაგრამ შიხალი ხანთან გაგზავნილი პავლე და სოლომანი შემდგომ უკვე დაბრკოლდებოდნენ („გზა არ მისცემოდათ“) და... უკან მიბრუნება მოუხდებოდათ. ახლა ჭარიდან დაულოცავდა გზას ხალილსა და პავლეს — სოლომანი, ეტყობა, ვეღარ შეძლებდა მგზავრობას — და ხალილ-ბეგს, თუკი ამჯერად მაინც მშვიდობით დაუსხლტებოდნენ მოთვალთვალ-მოყურიადეებს, ეს წერილი უნდა ჩასვლოდა, 29 მარტით დათარიღებული:

— ჩვენი სიტყვა ყოველივე ამათვის დაგვიბარებია და ესენი გიამბობენ და ყოველივე ჩვენი საქმე საჩქაროთ ისაქმე, და ისე წარმოზავნე ესენი და სხვანიც მანდაურის სწორეს ანბით.

6 მარტის კიდევ ერთი ბარათი კიდევ ერთი პიროვნების სახელზე შეითხზვებოდა, უსუფ-ხანის, ძმური სიყვარულით მოკითხულის, აბას-მირზასთან ყაიმაყამს მიწერილი წერილის ამბავს რომ ამცნობდა და აგრეთვე ვეზირთან, დაღესტნის საქმეზე, და სთხოვდა: როგორც შენს გულს ვიცნობდე, ისე ბეჯითად გაისარჯე აბას-მირზასთანაც და ვეზირთანაც, ამ ჩემმა ჯაფამ ტყუილად რომ არ ჩაიაროსო.

— ღვთის მოწყალებით და შამზადას დოვლათით მთელი დაღისტანი და სულთან ჰამათხან ხელმწიფისა და შამზადასთვის მიშოვნია.

ავარიის ხანს გულისხმობდა, ახმედს, ვინც თურმე ახლავ აპირებდა აბას მირზასთან არზისა და მძევლების ხლებას, მაგრამ:

— სწორე ეს არის, მე ამ გზობით ვერ ვარჩივე.

მიზეზსაც ასახელებს ამ გადაწყვეტილებისა, მინიშნებით, თუმც ამოცნობით ამოიცნობოდა: ასანამ, ხალილამ და ჭარელებმა აბას-მირზას ბრძანება მომიტანეს და ჩემს რაყამში რომ არა ებრძანებინა რა, მეც იმან დამაბრკოლაო.

მაგრამ მთავარი ეს გახლდათ:

— ვინცავინ დაღისტანში რუსის მხარე არიან და რუსის ჯამაგირს სჭამენ, ისინიც მიშოვნია. თუ შამზადა ინებებს რაყამს და ჯამაგირს უბოძებს, რა ერთსაც მზევლებს ინებებს, იმდენს ვაახლებთ. მე ასე დაჯერებული ვარ და დაღისტნისგან მარტო სულთან ამადხანის მეტი მზევალი არ ეჭირებოდეს.

ნურც უსუფ-ხანსა და ნურც ნურავის ნუ ეგონებოდა, რომ მხოლოდ დღესა თუ ხვალისათვის ეშოვნოს დაღესტანი. ესეც რა — ცოტას ნიშნავდა? მაგრამ ბატონიშვილს — ეცოტავებოდა და ძალიანაც ეცოტავებოდა:

— ჩემის გარჯილობით ხელმწიფისა და შამზადას ერთგულობისათვის მიშოვნია საბოლოოთ.

როგორია — საბოლოოდო?

მარადისობას გაჰყურებდა ალექსანდრე, იქ ხედავდა საქართველოს მომავალ სვებედს, და დაღესტანიც იქვე ეგულებოდა, ირანის კალთას ამოფარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო და კავკასიის მთლიანობის ერთ-ერთ საყრდენი.

თუ მის ამდენს ჯაფასა და სამსახურს შაჰიც და აბას-მირზაც უბრალოდ არ ჩაატარებდნენ, ხომ კარგი, და თუ დიდად არაფრად ჩაუგდებდნენ, დაე მათი ნება ყოფილიყო. მაგრამ ამას მაინც ისე ამბობდა, დიპლომატიური მოსაზრებით, თორემ უსუფხანისაც ძალიან ეიმედებოდა — ის მაინც წვრილად მოახსენებდა და რიგიანადაც ნარმოუსახავდა ორივეს ბატონიშვილის ამდენი ხნის ღვაწლსა და სამსახურს.

სხვა მის ამბავს პავლე და სოლომანი ჩაუთვლიდნენ, ალექსანდრეს კი განსაკუთრებით ეჩქარებოდა აბას-მირზას შემონათვალის გაცნობა.

— მე მაგათის ბრძანების მაყურებელი ვარ.

უსუფ-ხანის ძმობისაგან იმასაც ითხოვდა, რომ სოლომანისათვის ერთი ჩაფრის ცხენი ეშოვნა და სასწრაფოდ ერევანს გაესტუმრებინა.

ხოლო ხუდად-ბეგი და სხვა მისი კაცები, ვინც იქ იმყოფებოდნენ, დაე აბას-მირზას ხლებოდნენ და ლაპარაკს დასწრებოდნენ. რუსეთის ელჩთან შეხვედრა იგულისხმებოდა, ბატონიშვილის ხსენებისა და მისი საქმის განხილვის გარეშე რომ არ ჩაივლიდა, და აუცილებელი გახლდათ, მოლაპარაკებაში ქართველ პატრიოტებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ხუდად-ბეგი სხვაზე ნაკლებად რომ არ იქართველებდა, ალექსანდრეს ეს არც არასოდეს ეეჭვებოდა.

ჩემი გარჯილობით ხელმწიფისა და შამზადას ერთგულებისათვის მიშოვნია საბოლოოდო...

თან წამდაუწუმ რომ ახსენებდა სულთან ჰამათ-ხანს.

ამ ახმედ-ხანს რუსულ ხელისუფლებასთანაც გაება ფარული კავშირი.

ბარათისათვის დართულ კომენტარში ეთერ ორჯონიკიძე ამ გარემოებასაც აღნიშნავს და კიდევ უფრო მეტსაც. ავარიის ხანი თურმე მათ ალექსანდრე ბატონიშვილის გადმობირებას ან მოწამვლას ჰპირდებოდა. ჯერ გადმობირება თქვით და... მთლად მოწამვლაც?!. ვითომ რატომ დაინდობდა, თუკი რუსეთის იქით თავისი მომავალი ვერ წარმოედგინა, ბატონიშვილის მკვლელობა კი, მოგეხსენებათ, რა პერსპექტივასაც აღუთქვამდა.

აქეთ ბატონიშვილს უცხადებდა სრულ თანხმობას და ირანის მფარველობაში შესვლაზე ყაბულს გახლდათ, და იქით კი მისი გაწირვით რუსეთის მფარველობაში უნდა მოკალათებულიყო, ოღონდ სრული ტრიუმფით უნდა მომხდარიყო ეს შეკავშირება, თორემ იქ შესასვლელად ისედაც ეპატიჟებოდნენ.

ნეტა როგორ გადაურჩა ახმედ-ხანისაგან ბატონიშვილი მზაკვრულსა და საბედისწერო ხაფანგს, თუ ასერიგად მინდობოდა და მისი სახელით მძევალთა გაგზავნასაც პირდებოდა ირანის ხელისუფალთ და უპირველეს მძევლად თვითონ ავარიის ხანი წარმოუდგებოდა.

ვინცავინ დაღისტანში რუსის მხარე არიან და რუსის ჯამაგირს სჭამენ!..

იცოდა ბატონიშვილმა ახმედ-ხანის იმ ვითომდა ფარული ურთიერთობის შესახებ?

მარტო ავარიის ხანი არა ყოფილა, ცხადია, რუსებთან კეთილდღეობის მაძიებელი და მათი „ჯამაგირის მჭამელი“, მაგრამ თურმე მათი ბუნებაც ამოეცნო ალექსანდრეს, რაკიღა აბას-მირზას მათთვის ჯამაგირის მიცემას ურჩევდა... და ყველაფერი ისე მოგვარდებოდა, არა ქადილით, არამედ რეალური დაპირებით რომ პირდებოდა: ირანისათ-

ვის დაღესტანი არა დღეისა და ხვალისათვის, არამედ საბოლოოდ მიშოვნიაო.

დიდი გეგმებია, ძალიან დიდი, კავკასიის პოლიტიკური ვითარება მკვეთრად რომ უნდა შეცვალოს, თუ ყოველივე ისე წარიმართება, როგორც ამ წერილშია აღნიშნული.

მთელი დაღესტნის იმედი რომ აქვს, რა გასაკვირია, მათ ლეგენდებში ერთ ყველაზე მონუმენტურ სახებად გააზრებულა და ყოველი გაელვებისა თუ ჭექა-ქუხილის დროს მისი მფრინავი რაშის ქროლა ეზმანებათ, მაგრამ ამ ახმედ-ხანის გადმობირება რამდენად სარწმუნო შეიძლება ყოფილიყო?

დაყაბულებით დაყაბულდებოდა, რატომაც არა, რაკიღა მირჩევ და მიმტკიცებ, მეც სწორედ ირანისაკენ გახედვა მიჯობს რუსეთთან კავშირის ძიებასო, მაგრამ გულში?.. გუნებაში?.. ამას რომ ეგონა, გადმოვიბირეო, ის ნელ-ნელა იქით შეეცდებოდა მის გადაბირებას.

ყოველ შემთხვევაში — მინდობილსა და დაიმედებულს — გათოკავდა და მთავარმართებელს მიჰგვრიდა.

თუ საამისოდ ვერ მიუდგებოდა, ეგებ საწამლავით მაინც მიწვდენოდა.

ვითომ რატომ მოერიდებოდა ავარიის ხანი ორმაგ თამაშს?

მითუმეტეს, ალექსანდრესთან ურთიერთობით დიდი წყალობა დაეფინებოდა — ხელიდან რატომ გაეშვა ბატონიშვილი და უარი რატომ განეცხადებინა აბას-მირზასთან დაახლოებაზე, თუ ეს ყველაზე რეალურ გარემოებად რჩებოდა ალექსანდრესაკენ ბილიკის გაკვალვისა.

საბედისწერო ბილიკის...

ისე ნეტა ალექსანდრეს რა დაემართა, ამხელა გეგმები წერილში რომ ჩაწერა. როგორ ერიდებოდა ხოლმე ყველაფრის გამხელას ბარათებში და ამიტომაც იმეორებდა ხშირად: დანარჩენს ამ წერილის მომტანი მოგახსენებთო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა სწორედ იმ მიმტანს ებარა, დოკუმენტური კვალი რომ არ დარჩენილიყო.

ჯერ მაშინაც ძალიან ფრთხილობდა, როდესაც მის დესპანებს თითქოს... თითქოს, მაგრამ მაინც... არაფერი ემუქრებოდათ, და ახლა კიდევ და კიდევ უნდა გაფრთხილებულიყო, როდესაც ოფიციალურად შეწყვეტდა რუსული მხარე მასთან მოლაპარაკებას და გიორგი ბასტამაშვილს სულაც დაუტუსაღებდა.

ეს კი ახმედ-ხანს სახელდებითაც ახსენებს და მის „რუსის ჯამაგირსაც" არ მალავს.

მიამიტობით დამართნია?

საშიშროება იყო, რომ ეს ბარათი რუსებს ჩაუვარდებოდათ ხელთ და კიდეც ჩაუგდიათ და მთავარმართებლისთვისაც მიურბენინებიათ.

გაოგნდებოდა და შეშფოთდებოდა ერმოლოვი, ამ სტრიქონთა შინაარსს რომ შეიტყობდა.

კაცი ბატონიშვილის შეპყრობას ან მოწამვლას პირდებოდა და... თურმე ირანის მფარველობასაც ეძიებდა იმავდროულად და მისგან ასე დამალულად. და კიდევ თურმე: ალექსანდრეს მოკვლას კი არ უპირებდა, ჩუმად შეთანხმებოდა, შეკავშირებოდა და ერმოლოვს ემუქრებოდა ყოველგვარი საყრდენისა და ძალაუფლების გამოცლით.

გამირკვიეთ რა ხდებაო, — იძახდა ერმოლოვი და არაერთ ადამიანს ჩართავდა ამ საქმეში, რადგანაც ვითარება სასრაფო ჩარევას მოითხოვდა. ვერ დაელოდებოდა ერმოლოვი, როდის გადაეჯაჭვებოდა ავარია ირანს ბატონიშვილის შუამავლობით, მთელი დაღესტანი როდის აღიარებდა ირანულ ორიენტაციას.

ამ ბატონიშვილის დაჭერას ან მოკვლას ხომ არა და არ დაადგა საშველი, კიდევ რას გადაგვყრისო, — ფიქრობდა და: გამირკვიეთ, რა ხდებაო, — გაუთავებლად იმეორებდა.

ალექსანდრემ უთუოდ იცოდა, რა გნიასიც ტრიალებდა მთავარმართებლის კარზე, ისიც იცოდა, ამ ბარათს რუსები რომ იგდებდნენ ხელთ. იგდებდნენ თუ... თვითონვე შეუცურებდათ?!.

ახმედ-ხანს გასაიდუმლოებული რომ ეგონა თავისი ქადილი, ან შეეპყრობ და ან მოვწამლავო, ბატონიშვილისათვის არც ეს დარჩენილიყო დაფარული და ამ ბელეტრიზებულ პასაჟს ბარათში საგანგებოდ შეიტანდა.

ინტრიგა და ასეთი?

ერთ კარგ პიესას დაშვენდებოდა.

სად ეცალა დრამატურგობისათვის ალექსანდრეს, თორემ არავიზე ნაკლებ ტრაგედიებს არ შეთხზავდა, სხვათა შორის, არც კომედიებს, თუ მის იუმორისტულ ნიჭს გავითვალისწინებთ.

ამ ბარათში მშვენიერი ტრაგიკომიკური სიუჟეტია მოხაზული.

ხომ გადარია მთავარმართებელი?!

ხომ შეაშფოთა და ძალიანაც შეაშფოთა ავარიის ხანი, როდესაც შეიტყობდა, ირანთან პოლიტიკური ძაფების გაბმა და აბას-მირზას მიერ დანიშნული ჯამაგირის მოლოდინი მბრალდებაო?!

კიდევ დაედო აღთქმა აღთქმაზე — ან გაგითოკავთ და ან ნეშტად ჩაგაბარებთო!..

არ გაუვიდოდა ალექსანდრესთან თამაში.

გამირკვიეთო, — ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო ერმოლოვი.

ავარიის ხანი ავარიის ხანად, მაგრამ ბატონიშვილი განა როდემდე შერჩებოდა დაღესტანს, როდემდე იწოწიალებდა ერთი თემიდან მეორეში? აჯანყების პერსპექტივა ჩახშობილიყო, აქედან უკვე ვერაფერი მოხერხდებოდა, ესენი მხოლოდ სანდო გუნდებად რჩებოდნენ, როდესაც კვლავ მოედებოდა ამბოხების ხანძარი ლიხსაქეთა საქართველოს, თორემ ირანისა ან ოსმალეთის სამხედრო სამზადისის გარეშე აქ ყველგან მარტოდენ ჩუმი დრტვინვა გამეფდებოდა და მოლოდინი იმ წამისა, ხმალზე რომ გაავლებდნენ ხელს.

და ალექსანდრე ბატონიშვილიც მხოლოდ ამ ჩუმი დრტვინვის მონაწილე უნდა ყოფილიყო.

ვითომ მხოლოდ...

ალექსანდრე და... მარტოდენ მოლოდინი, რომ ვიღაც მოიტანდა იმ სასურველ წამს?!.

თავი მეცამეტე

ის გამაოგნებელი მსვლელობა და... ჩაშლილი ქორწინება

როგორ განიცდიდა — ამდენი ხანი უსაქმოდ დავრჩიო. და, ცხადია, სულაც არ აპირებდა, რომ გაუთავებლად ამ მწარე განცდებში დარჩენილიყო.

მოლაპარაკების ყოველგვარი იმედი განქარდა?

იცოდა, აქ აღარ დადგებოდა.

მთავარმართებელმაც მასზე არანაკლებ იცოდა.

ჯერ ისედაც არ ყოფილა დაფარული არც მისთვის და არც არავისთვის, ალექსანდრე დაღესტნიდან გამოღწევას აუცილებლად რომ შეეცდებოდა, და მითუმეტეს, დანამდვილებით შეიტყობდა წერილების წამღებ თათართა დაკითხვის გამოისობით, რომ ეს გამოქცევა უახლოეს ხანში უნდა მომხდარიყო.

ან ქართლის გავლით ახალციხეში;

ანდა ყუბის პროვინციიდან სპარსეთში.

ახლა მაინც სადღა წამივაო, — აენთებოდა ერმოლოვი, — დევნილი უფრო მიუდგომელ ადგილას გადახვეწის ნაცვლად თვითონვე უვარდებოდა ლომს ხახაში და მთავარმართებელს ისღა დარჩენოდა, რომ:

ერთი მხრივ, გაემკაცრებინა ყარახში მყოფი ბატონიშვილისათვის თვალყურის დევნება;

მეორე მხრივ კი ბრძანებები დაეგზავნა ყაზახის, ბორჩალოს, შამშადილის დისტანციების მთავარი მამასახლისებისათვის, ელიზავეტპოლისა და გორის ოლქების უფროსებისა და სხვა სამხედრო პირთათვის, რათა გაეძლიერებინათ, მართლაც რომ გაეასკეცებინათ ყველა გზისა და ბილიკის, ყველა გზაჯვარედინის დაცვა-თვალთვალი, სადაც კი მოსალოდნელი გახლდათ ბატონიშვილისა და მისი მცირერიცხოვანი ამალის გამოჩენა.

ბრძანება ულმობელი იყო.

ერმოლოვს ერჩივნა ბატონიშვილი ცოცხლად შეეპყროთ, მაგრამ რაკიღა ეს ნაკლებ მოსალოდნელი გახლდათ და ალექსანდრე თავგანწირვით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა, მოსალოდნელი იყო, რომ მისი ხელში ჩაგდების მცდელობისას რუსთა რაზმები ძალიან დაზარალებულიყვნენ.

ამიტომაც დავალება ასეთი გახლდათ, რომ რუსულ რაზმებს ყველაფერი ეღონათ ბატონიშვილისა და მისი ამალის დასაჭერად ან გასანადგურებლად.

ის კი არა, მაინცდამაინც შეპყრობას თუ მოინდომებდნენ, სულაც ხელიდან არ წასვლოდათ.

ერთხელ ჩაუდენია სასწაულის მაგვარი გასხლტომა თუ ორჯერ.

ვნახოთ ერთი, რა მფრინავი რაში ჰყავსო, — მთლად მითოსში მოუნდომებდა შეჭრას მთავარმართებელი.

ქადილი ქადილად დარჩებოდა.

მთავარმართებლისა, თორემ აღმოჩნდებოდა, რომ ამ ქადილის ძალიც შესწევდა ალექსანდრე ბატონიშვილს: გავალ, გავაღწევო!..

არა, მაინც როგორ?..

იჩხრიკება ყველა ბილიკი, ფარული გასასვლელებიც აღარ რჩება მიუკვლეველი, ტყეები ხელისგულზეა, ყველა ხიდი და ყველა მდინარის ფონი მიზანშია ამოღებული. ჰა და ერთგან მაინც დაუსხლტა საფარს, მეორეგანაც, მესამეგანაც — განა როდემდე იქნება უჩინარი, როდემდე გაუჭრის ყისმათი, სადღაც მაინც როგორ არ მოყვება ხაფანგში.

თავის თავს დააბრალოს.

აქამდე თუ წყალობასა და კეთილდღეობას სთავაზობდნენ, ახლა იმის მადლობელიც ყოფილიყო, თუ სამუდამო ციხეს არ მიუსჯიდნენ, თორემ შეუფერებელ პირობებში რომ გამოკეტავდნენ, ამას კი ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა.

და ესეც მაშინ, თუკი შეტაკებისას არ ჩაცხრილავდნენ.

გავალ, გავაღწევო!..

სასტიკ სასჯელს ელოდეთ, თუ წაგივიდათო, — შეუვალი გახლდათ მთავარმართებელი.

გავაღწევო და... კიდეც დაიძრებოდა ოცკაციანი ამალით, ბაღათულელი ლეკი დავრიშა რომ მეთაურობდა.

არა, მაინც რის იმედად?

თავზეხელაღებულობის.

ისეთი გაბედული განზრახვის, რომელსაც ვერც რუსები და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა.

თვითონ ალექსანდრეს როგორ მოაფიქრდა?

პიროვნული ბუნებაც უბიძგებდა აქეთ, უხორცოსავით უშიშრობა თავისი წინაპრებივით, და იშვიათი გონებამახვილობაც — ყველა გასასვლელი რომ ამოექოლათ, ამ გზას მაინც უმეთვალყურეოდ დატოვებდნენ, როგორც სრულიად ფანტასტიკურს, და კიდევ უფრო მეტსაც, თორემ ფანტასტიკურს ზერელედ გაითვალისწინებ მაინც.

1818 წლის 16 აგვისტოა ამ უჩვეულო ოდისეის დასაწყისი.

მართლა ოდისეა თუა, ახალი დროის ოდისევსიც უნდა ედგეს სათავეში.

ალექსანდრეს პიროვნული ბუნება შინაგანი კონსტიტუციით ოდისევსური რომ არ ყოფილიყო, ეს ისტორიული მოვლენაც არ გაბრწყინდებოდა იმ ჩამუქებულ, ჩალუსკუმებულ ყოფით რეალობაში.

ამ გზას მაინც უმეთვალყურეოდ დატოვებდნენო...

გზას — პირდაპირს, ზედ საგუშაგოებსა და შტაბ-ბინებზე რომ გადიოდა და შესაძლოა პირადი გასაუბრებაც მოგხდომოდა გუშაგებთან, რომელნიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, რათა ტყე-ტყე და ბილიკ-ბილიკ ეძებნათ ბატონიშვილი და არ დაენდოთ, თუ იგი ბრძოლის გამართვას გაბედავდა.

შესაძლოაო და... კიდეც მოხდებოდა ასე.

ჯერ დაძრულიყო.

20 აგვისტოს შეატყობინებდნენ მთავარმართებელს: მოდისო.

რაღაც დაგვიანებულს ჰგავს ეს ცნობა?

თავიდან მოახერხა გასაიდუმლოება, მაგრამ აჰა, ხომ მაინც გამჟღავნდა და ახლა რაღას აპირებდა, როდესაც ყველა საგუშაგოსა და მამასახლისებს ხელახლა დაურიგდებოდათ მკაცრი ბრძანება: ვაი თქვენი ბრალი, სადაც გვერდის აქცევას მოახერხებსო.

ნუხიდან სამუხის ველით დადგამდა ფეხს მშობლიურ მიწა-წყალზე ალექსანდრე.

დემურჩიასალის საგუშაგო თითქმის ცარიელი დახვდებოდა.

საგანგებო გაფრთხილებამ რა, ვერ იმოქმედა ამათზე?

აქ მის გამოჩენას არავინ ელოდა და ისე გადააწყობ-გადმოაწყობდნენ სალდათებს, რომ უფრო საეჭვო ადგილებში განელაგებინათ. თუმც აქაც რომ ყოფილიყვნენ, ზუსტად იგივე მოხდებოდა, რაც შემდგომ მოხდა.

ყოველ შემთხვევაში ბატონიშვილი მშვიდად აუქცევდა გვერდს დაცარიელებულ საგუშაგოს, ფონის მახლობლად გადალახავდა მტკვარს და ალგეთის ნაპირ-ნაპირ განაგრძობდა გზას.

მარაბდის გასწვრივ ალგეთზე გადავიდოდა.

დღეს მდინარე ხრამის მინდორზე დაიღამებდა.

ღამეს ნალკასთან, სოფელ ქვეშის მახლობლად გაითენებდა.

მეორე დღეს ხახალა-ჯვარის მესაზღვრე ჯარის შტაბ-ბინაზე გაივლიდნენ.

ისიც ხომ გამოცარიელებული არ დახვედრიათ.

გამოცარიელებული კი არა, გადატენილიყო კაზაკებით, მღეროდნენ, ერთობოდნენ, ჯგუფები დაეგზავნათ ახლომახლო მოსაჩხრეკად, მალე თვითონაც შეენაცვლებოდნენ, და ვიდრე ეს დრო დადგებოდა, დროსტარება რატომ უნდა მოეკლოთ?!.

მოიცა, ესენი ვინ იყვნენ, ლტოლვილთა ეს პატარა გუნდი რას წარმოადგენდა?

ბატონიშვილთან ხომ არ...

მაგრამ ისე ნელინელ მიჰყავდათ ცხენები, გამოქცეულებს, დასამალად განწყობილებს არაფრით არა ჰგავდნენ. გაეჩერებინათ? გულისყური აქეთ გადაეინაცვლებდა და, ვინ იცის, ამასობაში ის ვიღაც დაუდგრომელი კაცი, ამდენი ჭირისოფლი რომ აწურვინა რუს ხელისუფალთ, თვალსადახელშუა გაპარვოდათ. მთავარმართებლის რისხვის თავი ჰქონდათ? ამიტომაც გაატარებდნენ. ალექსანდრე კი, სულ რომ გაექრო მათი ეჭვი, თვითონ გაუბამდათ საუბარს... ერთგან გაჩერდებოდა... მეორეგან... ეს რუსული მაინც სად და როდის ესწავლა? თავისუფლად კი ელაპარაკებოდა კაზაკებს.

გაცდებოდა ამ შტაბ-ბინას და ახალციხისაკენ განაგრძობდა გზას.

ათიოდ ვერსზე ჰუსეინ-ხანის საგუშაგოს გადააწყდებოდა.

ნისლიანი ამინდის ბრალი გახლდათ, მთლად გვერდის აქცევა რომ ვერ მოხერხდაო, — ასე ხსნიან ისტორიკოსები, თუმც ალექსანდრე ბატონიშვილის ამბავი რომ ვიცით, ნისლში იქნებოდა თუ თაკარა მზეში, მაინც საგუშაგოს გადაჭრას ამჯობინებდა.

აგერ რუსის რაზმი გადაუდგათ წინ... მაგრამ ნირიც არ შეეცვლებოდა ბატონიშვილს, ოდნავადაც არ ააჩქარებდა ცხენს, ის კი არა, ლამის სულ გააჩერებდა. საგუშაგოს უფროსი ფორმალურად მაინც დაინტერესდებოდა მგზავრების ვინაობით? ამალის რამდენიმე წევრი შეყოვნდებოდა, ალექსანდრე კი დანარჩენებთან ერთად გადაკვეთდა მდინარეს და მიჰყვებოდა დასახულ მარშრუტს.

მთლად უხიფათოდ უკვე ვეღარ გადარჩებოდნენ.

საგუშაგოზე შემთხვევით ერთი ქართველიც იმყოფებოდა — ისაია მარუაშვილი. არც მთლად შემთხვევით, როგორც ჩანს. ბევრი

დასუნსულებდა ბატონიშვილის კაცების დასაზვერად თუ გამოსააშკარავებლად, მიმოწერის გზა-საშუალებათა აღმოსაჩენად, და ეს ისაიაც მათ კვალზე მდგარი უნდა იყოს. ერთადერთი ქართველი იმ საგუშაგოზე და ერთადერთი ალღოს ამღები: ეს ცხენოსნები ვიღაც შემთხვევითი მგზავრები კი არა, სწორედაც ბატონიშვილი და მისი გუნდი უნდა იყოსო.

ამ ეჭვს საგუშაგოს უფროსს გაუზიარებდა.

თავიდან ის ალბათ გაიცინებდა, რა არ შეიძლება ადამიანს მოუვიდეს თავში, ალექსანდრე ამჟამად ყველგან შეიძლება იყოს, გარდა საგუშაგოებისა და შტაბ-ბინების სიახლოვისაო... მაგრამ გაახსენდებოდა მისი თავზეხელაღებულობა, მისი მოუხელთებლობა და... თავში იტკიცავდა ხელს: ემანდ... ემანდ!..

ეჭვს, გინდაც არ დადასტურებულიყო, შემოწმება სჭირდებოდა.

ბრძანება კაზაკებს მდევრებად აქცევდა, მაგრამ ბატონიშვილი უკვე წინ წასულიყო და, დაინახავდა თუ არა საფრთხეს, ახლა კი გაქროლდებოდა თავის ამალიანად თვალის უსწრაფესად.

დანარჩენებსაც მფრინავი ცხენები ჰყავდათ თუ რა?..

ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო, ჯადოსნური ზღაპრებიდან რომ გვახსოვს, სწორედ ისე მოხდებოდა.

ერთადერთი ნინია აღათაშვილი გაიწირებოდა ბედისაგან, ცხენი დაუვარდებოდა და, თანამგზავრებთან ერთად სამშვიდობოს გაღწევის ნაცვლად, კაზაკთა ხელში აღმოჩნდებოდა.

ბატონიშვილის სამარქაფო ცხენი, ხურჯინაკიდებული, მდევართა დავლა შეიქნებოდა.

საჩქაროდ გაჩხრეკდნენ ხურჯინს და სხვა ნივთებთან ერთად ამოაძვრენდნენ... ერთ ვეება წიგნსაც.

უკვირდათ ამათაც, მთავარმართებელსაც უკვირდა, რასაც ეგ დაეწოწებოდა და დაეხეტებოდა, წიგნის საკითხავად ან როდის იცლიდა ან რა გული ჰქონდა, ნაწერი ეჩხრიკა და ამაზე ეფიქრაო.

კაცი რომ მდივან-კალიგრაფებს არ მოიშორებს გვერდიდან თუნდ ყველაზე მივარდნილ სოფელშიც და თავისი მუდმივი ხეტიალის თანაზიარად ხომ ხდის და ხდის, ის წიგნს განა როგორ მოიცილებდა.

დავით აღმაშენებელს თუ ლაშქრობებში დაჰქონდა წიგნები და კითხვისას ჭედდა ბრძოლისა და საქართველოს სამეფოს აღდგენა-განმტკიცების ბედს, მისი შთამომავალიც მის კვალზე დამდგარიყო, აჯანყების სამზადისისას და უშუალო ამბოხებისასაც დაატარებდა წიგნებს და ასე ლამობდა გამოეჭედა საქართველოს სამეფოს აღდგენის ბედი.

აქ როგორ, რანაირად მოხვდითო? — ჩაეძიებოდნენ ნინიას დაკითხვისას — გაფაციცებული თვალყურის ქვეშ საიდან აღმოჩნდით ამ მიდამოებშიო?

ისიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღუწერდა ბატონიშვილის მსვლელობას.

რა ენაღვლებოდა, რა — ის უკვე ახალციხის საფაშოს შეფარებოდა, ხერთვისის სანჯაყის ბეგს, და იქ ვეღარავინ მიწვდებოდა.

რას მიკეთებდი, ახალციხისაკენ მიმავალი ყველა გზის საიმედოდ შეკვრა რომ დაგავალე, ასე ბედოვლათურად როგორ მოიქეციო, — ურისხდებოდა მთავარმართებელი პოლკოვნიკ ლადინსკის, რომელიც იფიცებოდა თავის ერთგულებასაც, გულმოდგინებასაც და ორგანიზატორულ უნარსაც, თავს იმართლებდა და ვეღარც იმართლებდა:

— ყველაზე მნიშვნელოვანი და ფარული გზები ისე მქონდა შეკრული, ზედ ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა, მაგრამ, აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა, რომ ბატონიშვილი დღისით-მზისით ზედ სასაზღვრო დაცვის ბინებზე ისე გაივლიდა, თითქოს საგანგებო ღია ბარათის მფლობელი მგზავრი ყოფილიყოს.

ერთი კაცი მაინც წარმოიდგენდა?..

თუ ისიც ვერა, მაშ პოლკოვნიკს რატომღა ამტყუნებდნენ?!.

ალექსანდრე ბატონიშვილი 26 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილით ლევან აბაშიძეს ამცნობდა მგზავრობის კეთილად დაგვირგვინებას:

— ღვთის მოწყალებით, დაღისტნიდამ მშვიდობით გამოვაწიე და აქ მაჰმად აღას ყონაღში ვიმყოფები ჩემდა გუნებად.

ძლივს არ დაცდა ამდენი ხნის შემდეგ ეს:

ჩემდა გუნებადო!..

ახალი ფაშა რომ მოსულიყო, ამას აქედან არ გაეშვა და ხონთქრისათვის არზა მიეწერა:

— ამისთანა გამოსაყენებელი კაცი მოვიდა და აჯამში მივიდოდა და არ გაუშვი და რას ბრძანებ?

იქ ირანის შაჰი და აბას-მირზა აბუზღუნებულიყვნენ: ამდენი წელია ჩვენ ვინახავთ და ირანისა უნდა იყვნენ საუკუნოდო.

ბატონიშვილს არც არასოდეს უარუყვია, მათ წინაშე ვალში რომ იყო, მაგრამ ამ „საუკუნოდ"-ზე გაეცინებოდა. ვერავის ხუნდებს ვერ დაიდებდა და ვერც თავის ქვეყანას შებოჭავდა მარადიული ჯაჭვით.

აკი ერთხანს ირანში გაღწევას ფიქრობდა, მაგრამ აწონ-დაწონისას ირანს ოსმალეთი ჩაენაცვლა, და ჩაენაცვლა მხოლოდ იმიტომ, რომ მარტოდენ ირანზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

გულიც ამას ურჩევდა, გონებაც ამასვე კარნახობდა.

— ეს საქმეები ასე არის და ბოლო როგორ მოვა ღვთით არ ვიცი, მაგრამ გაზაფხულზედ აშლას ამბობენ და თუ მართალი არის, არა მგონია გამიშონ, და მეც მირჩევნია.

თუ აშლას აპირებდნენ, ალექსანდრე ბატონიშვილის გამშვებნი მართლა სად იყვნენ.

და მეც მირჩევნიაო...

ალექსანდრე და სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობის გარეშე?!.

ლევან აბაშიძეს კი გაფრთხილებით აფრთხილებდა: შენი მანდ შენს ყმასა და მამულში მშვიდობითყოფნა დიდად გვიამა, მაგრამ სრულის გულით ნუ მიენდობი.

იმასაც დასძენს, ჩვენ და თქვენ ძველთაგანაც მოყვარენი ვყოფილვართ და ნათესავნი, და ახლა რადგანაც მე მოწადინებული ვარ, რომ მოყვრობა ისევ გავაახლოთ და დავამტკიცოთ ღვთის ხელის დადებითა და მოციქულთა მიცემით და დამტკიცებითო.

რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბის შემტყობნი უნდა გავხდეთ.

მოყვრობა-ნათესაობის განახლების წადილი.

ღვთის ხელდების ხსენება.

მოციქულთა მისვლა-მოსვლა.

უნდა გავხდეთ და კიდეც შევიტყობათ ამ ბარათიდან... თუმც გეზს სრულიად შეიცვლის თხრობა, და ამიტომაც სჯობს ჯერ იმ ძაფს გავყვეთ, რომელიც ბატონიშვილის გამაოგნებელ ოდისეას მიგვადევნებინებს თვალს და ამ უბრალო ფრაზაში კი ჩანურულა მის მიერ:

— ღვთის მოწყალებით, დაღისტნიდამ მშვიდობით გამოვაწიე...

ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდაო...

ჩიტიც ვერო, განა მფრინავი რაშიც ვერო... ის მფრინავი რაში, ყოფით რეალობაში ტაატით რომ გადასერავდა ყველაზე სახიფათო ადგილებს.

მივაძუგძუგებდი, ეგ იყო და ეგო, — ღიმილით თუ გაიხსენებდა ამ ოდისეასაც ბატონიშვილი.

სასტიკ სასჯელს გამოუტანდა მთავარმართებელი სასაზღვრო ჯარის უფროსებსა და ოფიცრებს — ციხეში ჩაყრიდა ყველას, ლეგიონის მეთაურს კი მოხსნიდა და პასუხისგებაშიც მისცემდა.

ამას რომ მოითავებდა, ბატონიშვილის მხლებელთაც მიუბრუნდებოდა. ნიანია აღათაშვილს გააციმბირებდა, ლეკებს კი ჩამოხრჩობას მიუსჯიდა.

იმავდროულად ოსმალეთში რუსეთის ელჩს სთხოვდა, რომ პროტესტი განეცხადებინა ოსმალთა მთავრობისათვის: როგორ თუ ბატონიშვილი შეიფარეს თქვენს სამფლობელოშიო.

ასე ადვილად რა დააცხრობდა ერმოლოვის მრისხანებას.

ასე აბუჩად აგდება და გაპამპულება პირადად მისიც და იმპერატორისაც, მთელი ამხელა იმპერიისა!..

ამ ჯარის წინაშე ევროპა შეფიქრიანებულიყო, რომ აღარ ითქვას, დამფრთხალიყო და აკანკალებულიყოო, და ამან კი ეს რა დამართა, ამან — ახალგაზრდობაში გარყვნილი ყოფაქცევისამ და მოწიფულობისას უპატიოსნობით ცნობილმა, კარიდან კარზე წოწიალის მეტი არაფერი რომ არ იცოდა და ისეთ მირაჟებს გამოჰკიდებოდა — სამარადჟამოდ გაუქმებული სახელმწიფოს აღდგენაზე ფიქრს — რომ მისი გონების სრულფასოვნებაც დიდად საეჭვო გახლდათ.

არადა, ეს რა დამართათ!..

და მთავარმართებლის მრისხანებას ერთადერთი ის თუ დააშოშმინებდა, რომ შესაფერისი სამაგიერო გადაეხადათ ამ გაპამპულებისათვის.

ბატონიშვილს სისხლით და მხოლოდ სისხლით უნდა ეზღო ეს შეურაცხმყოფელი მოქმედება.

ახალციხეში დიდხანს დაყოვნებას აღარ აპირებდა და ირანისაკენ დაეჭირა გეზი?

ამას კი შეიტყობდნენ, თითქოს დანამდვილებით, ფარულ არხებს ენერგიულად რომ აამოქმედებდნენ, მაგრამ შეტყობა არა კმაროდა, თუკი გზას ვერ მოუჭრიდნენ მარჯვედ მოფიქრებული და ზუსტად გაანგარიშებული გეგმის შემწეობით.

გეგმას პოლკოვნიკი ლადინსკი მოიფიქრებდა, აი, ის, მისი შიშით ჩიტიც რომ ვერ გადაფრენილიყო, და გენერალი ველიამინოვი რომ მოიწონებდა და მთავარმართებელსაც წარუდგენდნენ, იგი თავის შენიშვნებს გაუზიარებდათ და უკვე შეიძლებოდა მის ხორცშესხმაზე რომ ეზრუნათ.

ცხადია, ეზრუნათ იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე მართლაც მალევე მოიწადინებდა ახალციხიდან ირანში გადასვლას. ეგებ ცრუხმებს ყრიდა რუსებისათვის გზაკვალის ასარევად. ან ეგებ სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებანი წამოჭრილიყო მოულოდნელად და იმას შეეფერხებინა?..

ჯერ მარტო ის, რომ ოსმალეთი ადვილად ვერ შეელეოდა ბატონიშვილს.

ამდენი ხანია ირანელთა იმედად იმყოფებოდა და... მარცხისათვის გაიწირა. და ახლაც რომ ებღაუჭებოდნენ და თავიანთკენ ეპატიჟებოდნენ, უკეთესს განა რას სთავაზობდნენ. ვერა, ვერ გამოიყენეს შესაფერისად.

ახლა იქნებ ოსმალეთს გამოეყენებინა?

ამისთანა გამოსაყენებელი კაცი მოვიდა და არ გავუშვითო, — აკი ხონთქრის ბრძანებას ელოდნენ, თუ როგორ ჯობდა მისი ჩართვა ახალ მღელვარებებში.

ასეთ დროს ჩანაფიქრი გაუცუდდებოდათ რუსებს, მაგრამ თავიანთი მხრივ ამჯერად ხომ მაინც უნდა ყოფილიყვნენ ყოველმხრივ გამზადებულნი?

ლადინსკის გამოერკვია და დაედგინა, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ბატონიშვილის მეგზურნი ახალციხიდან ირანისაკენ. მალულად მოძებნიდა სამივე თათარს და დიდძალ თანხასაც შესთავაზებდა ერთი პირობით: იმ გზით წაეყვანათ, სადაც ჩასაფრებულნი დაელოდებოდნენ თათრები და თათრულ სამოსში გადაცმული კაზაკები, რომელთა თავდასხმის დროსაც გამყოლები თვითონვე შეიპყრობდნენ ბატონიშვილს და შეუერთდებოდნენ რუს რაზმელებს.

მეგზურები შეპირებით შეპირდებოდნენ, ყველაფერს ვიღონებთ, რათა ცოცხლად ვიგდოთ ხელთო.

ამას არაფერი სჯობდა, მაგრამ გეგმის შემდგენელთ ეეჭვებოდათ მეგზურთა ასეთი სიმარჯვე და ხერხიანობა?

მაშ... იქვე მოეკლათ და მოეთავებინათ.

მაინცდამაინც ცოცხლად ჩაგდების განზრახვას მთლად არ გადაჰყოლოდა მთავარი მიზანი.

აჰა და შეიპყრეს, მერე?

ტფილისში მისი ჩამოყვანა არა, არაფრისდიდებით, ზედმეტ გართულებასა და მღელვარებას გამოიწვევდა. ამიტომაც — პირდაპირ რუსეთისაკენ, ანაპის გავლით.

მთავარმართებელს რა შენიშვნები გაუჩნდებოდა ბოლომდე გათვლილი და საიმედო წანამძღვარზე აგებული გეგმის გაცნობისას?

ერმოლოვი — თავის ხელქვეითთაგან განსხვავებით — არ ესწრაფოდა ალექსანდრეს შეპყრობას, საამისო გარჯას სრულიად ზედმეტად მიიჩნევდა და მოსაკლავად აქეზებდა თავდასხმის მონაწილეებს. განა მასაც ტყვედ ჩაგდება არ ერჩივნა, ეს უფრო არ დაუფასდებოდა საიმპერატორო კარისაგან, რათა ურჩსა და თავისუფლების სიმბოლოდ შერაცხილ ბატონიშვილს საკუთარი თვალით ეხილა თავისი დამცირება და თანდათანობითი მორალური გატეხვა? ფიქრსა და ოცნებაში მასაც ასევე უჯობდა, რასაკვირველია, მაგრამ ვერა და ვერ იჯერებდა, რომ ასეთი რამ შესაძლოა მომხდარიყო და ამიტომაც მოკვლა უფრო საიმედო გახლდათ, თორემ ზედმეტი თავგა-

მოდებით სულაც არ ჩაფუშვოდათ ეს ყოველმხრივ გათვლილი სქემატური მონახაზი.

მოიკლასო, — ბრძანებდა.

ოღონდ მისთვის აქ იწყებოდა არანაკლებ მთავარი განზრახვა.

ცხედარი ბატონიშვილისა აუცილებლად უნდა გამოგზავნილიყო ტფილისში, სადაც, — სხვა გზა არაა, უნდა ირწმუნოთ, — რუსული ხელისუფლება მის დაკრძალვას ერთგვარი პატივითაც მოაწყობდა, საზეიმო ელფერს მიანიჭებდა და ნებას დართავდა ხალხს სამგლოვიარო პროცესიაში მიეღო მონაწილეობა. ეს რომ არა, ხალხი არაფრისდიდებით არ დაიჯერებდა ალექსანდრეს სიკვდილს, კვლავაც მის მოლოდინში იქნებოდა ეს თავქარიანი (სხვა უფრო შესაფერისი სიტყვა რა მოეძებნა მთავარმართებელს ამ ხალხის დასახასიათებლად) ქართველობა და მისი შთაგონებით ყოველწამს შემართული ახალ-ახალ მღელვარებათა გამოსაწვევად.

რაღა გამოდიოდა —

გინდ დაღუპულიყო და გინდა არა, თუ მითოსურ გმირებს შეუერთდებოდა.

ერთადერთი მისი ნეშტის საქვეყნოდ გამოფენა დაარწმუნებდა ხალხს ბატონიშვილის აღსასრულში.

მისი აღსასრული კი ქართველობის სულიერ დაძაბუნებასა და სრულ ჩაშოშმინებას მოასწავებდა.

ცინიზმად მონათლავდა ერმოლოვის ამ გადაწყვეტილებას ეთერ ორჯონიკიძე და დასძენდა: ამ მხრივ რუსული ხელისუფლების შესაძლებლობებს, ეტყობა, ზღვარი არ გააჩნდაო. არც არასოდეს დაედებოდა ზღვარი.

არამარტო თათრულ სამოსში უნდა ყოფილიყვნენ თავდამსხმელნი გამოწყობილნი, არამედ აგერ, მთლად თათრები შეერჩიათ (გარდა მეთაურისა, ცხადია!), რათა ეს გარეგნული იერი მარჯვე საბურველად გამოეყენებინათ — რუსეთის ხელისუფლება არაფერ შუაში არ არისო. ამასთან, თათრების მონაწილეობა ბატონიშვილის მკვლელობაში გაამწვავებდა კავკასიურ ურთიერთობებს, ალექსანდრეს მიერ მოგვარებულსა და ერთ კალაპოტში მიშვებულს — ქართველთა მხრივ როგორი საპატიებელი იქნებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურის მკვლელობაში მონაწილეობა?!.

ეს გარემოება კი გაეთვალისწინებინათ, მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდათ, განა რა ყოფილა დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო.

ამიტომაც გენერალი ველიამინოვი პოლკოვნიკ ლადინსკის (აი, იმას, მისი შიშით ჩიტიც რომ ვერ გადაფრენილიყო!) ჩანაფიქრის შემდგომ დაზუსტებას სთავაზობდა:

— თურქეთისა და ირანის სამფლობელოთა საზღვრებში ბატონიშვილის ფარული მკვლელობის ნებას ვერაფრისდიდებით ვერ დაგრთავთ, რადგანაც, რაც უნდა ფარულად მოხდეს ეს ამბავი, მაინც დააეჭვებს ხალხს, ყოველივე გამჟღავნდება და რუსეთის იმპერიის ღირსება მთელი ევროპის თვალში შეილახება. ამავე დროს, ასეთი ზომები სავსებით ეწინააღმდეგება მისი იმპერატორობითი დიდებულების ნებასა და კანონებს, მაგრამ, აი, ერევნის მისადგომებთან ბატონიშვილის გზის გადაღობვისას მის მკვლელობაზე კი თანახმა ვარ.

ახლაღა გაახსენდებოდათ, რომ ალექსანდრეს მოკვლა საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა და მეტი შენიღბვა და შეფუთვა მართებდათ.

ამიტომაც —

მკვლელობა მხოლოდ ერევნის მისადგომებთან.

ეს დეტალიც არ გამორჩენიათ.

ისღა დარჩენილა, რომ ალექსანდრე დაიძრას ახალციხიდან.

ამისთანა გამოსაყენებელი კაცი მოვიდა და არ გავუშვითო...

ოსმალები თავისთვის რომ იბევებდნენ და სულაც არ ეჩქარებოდათ მისი გამგზავრება, ისედაც სავარაუდოა, რომ ალექსანდრეს თვითონაც აეღო ალღო რუსების ახალი მზაკვრული ხაფანგისათვის და გაურკვეველი დროით გადაედო ირანისაკენ წასვლა.

აქამდეც პირველ ყოვლისა ეს უჩვეულო ალღო შველოდა და ამიერიდანაც მას უნდა გაეჭრა.

ქუდბედიც დაჰყოლოდა, თორემ მრისხანებისა და შურისგების ზღვაში მოქცეულს მარტოდენ ალღო, რაოდენ უჩვეულოც უნდა ყოფილიყო, რას უშველიდა. ყველა გზა თუ მოგიჭრეს, რაღას გააწყობ!.. მაშინ უკვე ბედმა უნდა დაგიგდოს ბილიკი ან ღრიჭო მაინც და შენს სიმარჯვესა და გონიერებას მიანდოს შენივე გადარჩენა, და იმ ალღოს, რომელიც ამჯერადაც დაიხსნიდა ბატონიშვილს.

არა ცხრებოდა მთავარმართებელი.

მთლად თავშესაფარში მოუნდომებდა ალექსანდრეს მიწვდენას.

აღარ მიდიოდა ერევნისაკენ, რათა იქიდან ირანში გადასულიყო?

ხერთვისშიც ნუ დაიგულებდა თავს სამშვიდობოს გასულად, რადგანაც ამ სანჯაყის მფლობელთან გააბამდნენ ფარულ ქსელს რუსი ხელისუფალნი.

მანამდე შეიტყობდნენ, ახალციხეში ახალი ფაშაა გამწესებული და მალე გამოემგზავრებაო.

ის ხმებიც მოაღწევდა მათ ყურამდე, ახალ ფაშას სულთანისაგან ნაბრძანები აქვს მაჰმად-აღას მოკვლაო.

ვაი შენს ხერთვისის მფლობელს.

რის ფლობა, რა ფლობა, მისი თავის გაგორებას აღარაფერი უკლდა.

და მთავარმართებელი აღფრთოვანდებოდა ამ ამბის გაგებით, კუთხეში მიმწყვდეული და გასაწირად გადადებული მაჰმად-აღა იოლად დაყაბულდება ჩვენს შეთავაზებასო. ანკი რატომ არ უნდა დაყაბულებოდა?

ერთი მხრივ: გარდუვალი სიკვდილი.

მეორე მხრივ კი: რუსეთის მფარველობაში შესვლა და, მათგან ბოძებულ სიცოცხლესთან ერთად, ფულადი ჯილდოც, თუკი ალექსანდრე ბატონიშვილს რუსეთის მთავრობას გადასცემდა.

მის კარზე თავშეფარებული კაცის შეპყრობას კი რაღა უნდოდა?..

ასეც ამჯობინებდა მაჰმად-აღა, უსათუოდ გაიმეტებდა თავისი სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის ალექსანდრეს, მაგრამ ამ არჩევანისას — ისევ თურქეთი თუ რუსეთი? — მაინც თურქეთი ერჩია, თუკი რაიმე მოგვარდებოდა, ანუ ისეთი პიროვნება უშუამდგომლებდა სულთანთან და პატიებასაც გამოსთხოვდა, ვისაც ოსმალთა მბრძანებელი დიდ ანგარიშს უწევდა.

ასეთი პიროვნება სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილი გახლდათ.

იმან რუსთა ამ ახალი ფარული ხრიკებისა რა იცოდა, მაგრამ შეიბრალებდა ხერთვისის მფლობელს და შეპირდებოდა, ყველაფერს ვიღონებ, რათა უმაღლესი ხელისუფლის რისხვა აგარიდო და კვლავაც მის სამსახურში დაგტოვოო.

აბა, რას იტყვი, დროზე, დროზეო, — აჩქარებდა ერმოლოვი მაჰმად-აღას.

ალექსანდრეს ვარ მინდობილი და ჩემი ხელით ყელი როგორ გამოვიჭრაო, — უკვე ვეღარ გაეგო ხერთვისის მფლობელს, რას ითხოვდნენ მისგან.

კვლავ ნაცარში ჩაუვარდებოდა კოვზი ერმოლოვს.

იმას მაინც მოახერხებდა, რომ ალექსანდრეს განზრახულ ქორწილს ჩაუშლიდა.

ისე კაცმა არ იცის, დააზარალა თუ არა ამით ბატონიშვილი, რაკიღა მისი მომავალი მეუღლე ისეთი ღირსეული ქალი გამოდგებოდა,

ლევან აბაშიძის ძმისწული გასწევდა თუ არა ასეთ ქალობას, ვინ იცის და ვინღა განჭვრეტს.

ასეა თუ ისე, მთავარმართებელს მაინც სიამედ დააჩნდებოდა გულზე, ერთიბეწო სიამედ, მაგრამ თავს ხომ ინუგეშებდა, რაღაც მაინც დავუშავე, სადღაც მაინც გადავუკეტე გზაო.

რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის შემტყობნი რომ უნდა გავმხდარიყავით ლევან აბაშიძესთან მიწერილი იმ ბარათიდან, სწორედ ამის, ბატონიშვილის საქორწინო სამზადისისა, ამ გავლენიან თავადს ძმისწულის, დიმიტრი აბაშიძის ასულის ხელს რომ სთხოვდა:

— თუ თქვენც ინებებთ თქვენის ძმის შვილი დიმიტრის ქალი მე მომათხოვოთ და თუ მოინდომებთ გამოგზავნაც შეგიძლიათ.

ისე ჩანს, რომ პოლიტიკური რეალობა კარნახობდა ამ ნაბიჯს. რაკიღა საგაზაფხულოდ აშლა ითქვა ანუ სამხედრო ექსპედიცია დაიგეგმა, ეს დანათესავება აბაშიძეების სახლთან აუცილებლობად დაესახებოდა ალექსანდრეს.

ლევანსაც და დიმიტრისაც დიდი სახელი დაეტოვებინათ იმერეთის აჯანყების დროს, სოლომონ მეორე თუ ვინმეს ეყრდნობოდა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში, ერთ უპირველესთაგანთ ამ ძმებს, და დიმიტრი აბაშიძე კიდეც შეეწირებოდა თავისუფლების ძიებას; და ასეთი ვაჟკაცის სიკვდილი რამდენადაც სავალალო აღმოჩნდებოდა ქართველთათვის, იმდენადვე საზეიმო რუსთათვის.

ნეტა აქამდეც თუ ფიქრობდა ალექსანდრე დაცოლშვილებას?

სიჭაბუკისას დანიშნული ნინო, ყაბარდოს თავადის ასული, მოულოდნელად რომ გამოეცლებოდა ხელიდან, ათი წელი ისე გადაიკეცებოდა, აღარავისკენ გაუწევდა გული და იმ პირველ სიყვარულს ლამის სამუდამოდ დაადებდა თავს. თუმც შემდგომში მის უცოლშვილოდ დარჩენას მოხეტიალე ცხოვრების, ამბოხებათა გაუთავებელი მზადების, ბრძოლების შუაგულში დგომის სირთულეებითაც ხსნიდნენ, მაგრამ როგორც უნდა ჩარჩენოდა ხსოვნასა და განცდაში ნინოს სახება და როგორც უნდა შეეშალა ხელი ასე რიგად გაწამებულ ყოფას, ჯერ მარტო პოლიტიკური რეალობა მოითხოვდა მისგან ამა თუ იმ წარჩინებულ სახლთან დამოყვრებას, მერე კიდევ — მემკვიდრე ხომ უნდოდა, იმ გვარის გამგრძელებელი, რომელთა შვილებიც გადასახლებაში იმყოფებოდნენ და საქართველოსაკენ გზა გადაკეტოდათ, რუსეთის დიდ ქალაქებში ჩარჩენილნი კი თანდათან შეერწყმოდნენ იქაურობას და მათი შთამომავლობაც იქ თუ განიმქრეოდა, თორემ სამეფო დინასტიის აღმდგენელნი ვეღარ იქნებოდნენ.

დინასტიური ჯაჭვის აღდგენა-შენარჩუნება ალექსანდრე ბატონიშვილის მხრებზე გადმოსულიყო, მაგრამ თუ უძეოდ გადაეგებოდა, ეს მოვალეობა აღუსრულებელი დარჩებოდა.

ცოტა ხომ მოითქვა სული და... იმერეთში ახალი აჯანყებისათვის ფარული სამზადისის ხმებიც მიწვდა.

მაშ უფრო დაფიქრებით შეეხედა ოჯახის შექმნისათვის და ისეთი გადაწყვეტილებაც მიეღო, მის გვარსა და ღირსებას რომ შეჰფეროდა.

თანაც, ყველას შეეტყო მთელს დუნიაზე, აბას-მირზა ძალიან რომ მონდომებულიყო ალექსანდრეს დაოჯახებას, მისი მემკვიდრის გამოჩენას სამზეოზე, როგორც მამის მისიის ღირსეული გამგრძელებლის, თუკი ბატონიშვილი სიცოცხლეში ვერ მოესწრებოდა უმთავრეს მიზნად გადაქცეული ოცნების ახდენას.

სად აღარ დაეგზავნა დესპანები აბას-მირზას, ვის ოჯახურ ყოფას აღარ არკვევდა და ალექსანდრეს უსადაგებდა, რათა შესაფერისი, ყოველმხრივ შემკული თანამეცხედრე შეერჩია მისთვის, და ასერიგად რომ მონდომებულიყო, ამიტომაც გაჭიანურებოდა საცოლის გამონახვა.

განა როდემდე გაუგრძელდებოდა, ადრე თუ გვიან შეურჩევდა და ალექსანდრე, ასერიგად დავალებული მისგან, უარს ვერ შეჰკადრებდა, მითუფრო, ირანის შაჰის მემკვიდრე თუ დაუმტკიცებდა, ჩვენს პოლიტიკურ ბრძოლას ეს კავშირი ძალიან წაადგებაო.

ამიტომ თვითონაც დაფაცურდებოდა ბატონიშვილი, შუა ხანს მიღწეული, უკვე რომ აღარ ეგვიანებოდა: რაღა ვიღაც შორეული, ბარემ ქართველი იყოსო. ქართველთაგან კი იმერეთის აჯანყების გმირის ასულზე რომ შეაჩერებდა არჩევანს, რა გასაკვირია.

უახლესი ისტორიაც მხარს უმაგრებდა ამ გადაწყვეტილებას.

უახლესი მომავალიც აქეთ უბიძგებდა.

თამარ პაპავა იმასაც ვარაუდობს: ალექსანდრე კარგად იცნობდა სოლომონ მეორესთან დაახლოებულ ამ ოჯახს და, საფიქრებელია, დიმიტრი აბაშიძის ასული მას ძველთაგანვე ჩაუვარდა გულშიო, მაგრამ აქამდე მის იდუმალ ზრახვას შესაფერისი დრო არ დასდგომოდა, და რაკიღა ახლა სპარსეთის სამეფო კარი მისგან ცოლის შერთვას მოითხოვდა, აბა, ამ ქალზე ძვირფასს ვინ გამოუძებნიდა ალექსანდრესო.

როდესაც იმერეთის სამეფოს გაუქმება და ტახტიდან სოლომონ მეორის გადაყენება გამოცხადდებოდა, ლევან და დიმიტრი აბაშიძეები პირველნი გაიჭრებოდნენ ახალციხეში შერიფ-ფაშასთან და დაუყოვნებლივ დახმარებას ითხოვდნენ; და თუმც ეს დიპლომატიური

მოლაპარაკება იმხანად უშედეგოდ ჩაივლიდა, შემდგომ მაინც გამოიღებდა თავის ნაყოფს და ეს ამ ძმების ზეგავლენითაც მოხდებოდა.

ხოლო როდესაც სოლომონ მეორე ახალციხიდან ჯარით შემოიჭრებოდა თავის სამკვიდროში, თან ეს ორი ძმაც ახლდა და, საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ადგილას ლევან და დიმიტრი აბაშიძეებმა კიდეც დაამარცხეს რუსის მხედრობა.

თამარ პაპავა მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებს, რომ: მეფის ამ ახალ გარემოცვაში ძმები აბაშიძეები და ალექსანდრე ბატონიშვილი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათ შორის ალბათ ძველი კავშირი განახლდა და გაცხოველდაო.

როდესაც როზენი გასაჭირში ჩავარდნილი სიმონოვიჩის მისაშველებლად გამოეშურებოდა ტფილისიდამ ქუთაისისაკენ, ამ დიდ ჯარს გზას სწორედ დიმიტრი აბაშიძე გადაუღობავდა, 5000 მეომრისაგან შემდგარი რაზმით, და მხოლოდ სამსაათიანი ცხარე ბრძოლის შემდეგ ვეღარ გაუძლებდა რუსულ არტილერიას, თორემ სიმრავლეს კი წარმატებით უმკლავდებოდნენ.

მაშინაა, გმირულად დაღუპულ რაზმის მეთაურს ჯიბეში საყურადღებო ინსტრუქციებსა და წერილებს რომ უპოვნიდნენ — დამხობილი მეფის მოწერილს, დედოფალი მარიამისა და სხვა წარჩინებული პირებისაც.

სოლომონ მეორის დამარცხება იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში თავის მოკატუნებასა და შერიგებას ურჩევდა ლევან აბაშიძეს რუს მმართველთა წინაშე.

თუმც მაშინვე არა, ცხადია. ვიდრე კიდევ რაღაც ნიშნები მოჩანდა წინააღმდეგობის გაგრძელებისა, ლევანი ასე იოლად არ დამორჩილდებოდა ახალ პოლიტიკურ რეჟიმს, მაგრამ ყველაფერი უკუღმართად ტრიალებდა.

თამარ პაპავა იმერეთში ბრძოლის უნარის დაქვეითებას ახსნიდა შავი ჭირის გავრცელებითა და საშინელი შიმშილობის ჩამოვარდნითაც, ერთბაშად და ერთიანად რომ გააუკაცრიელებდა ამ მხარეს და რუსთა საწინააღმდეგო უნარსაც დიდი ხნით მოშლიდა ხალხში.

კახეთის აჯანყებას რომ დაუკავშირებდა მთელს იმედებს, ის ამბოხიც გაიწირებოდა და ლევან აბაშიძე სამუდამო ემიგრანტის ხვედრს თავის მამულში დაბრუნებას რომ ამჯობინებდა, ხელისუფლებასთან ლოიალობის გზას ამიტომაც აირჩევდა.

ისინიც ერიდებოდნენ, მის ბობოქარ წარსულზე თვალს დახუჭავდნენ და მკაცრი თვალთვალის ქვეშ მოაქცევდნენ. მისი ყოველი ნაბიჯი

უნდა სცოდნოდათ და რაიმე მღელვარებაში გარევისთანავე შეეპყროთ ან მოეკლათ, თორემ მერე მისი მოხელეთების თავი აღარ ექნებოდათ.

და ასეთ დროსა და ვითარებაში ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი და შეთავაზება: დავმოყვრდეთო.

ეს ბარათი შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ რუს მსტოვრებს და მისი არსებობა ერმოლოვს მალევე ეცოდინებოდა, გაიგებდა და გულსაც შემოეყრებოდა, რადგანაც დიდზე დიდ ხიფათს დაინახავდა ამ პოლიტიკურ ქორწინებაში.

ჯერ ზოგადადაც — ორი დაუძინებელი მტერი რუსული მმართველობისა (მერე რა, რომ ერთი ვითომ შემორიგებოდა ხელისუფლებას, მთავარმართებელმა კი იცოდა, სინამდვილეში რასაც ნიშნავდა ეს შემორიგება!), ორი ძველი მოკავშირე ნათესაობითაც ეჯაჭვებოდა ერთიმეორეს და ამ შეერთებით კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი რუსული რეჟიმისათვის.

მერეა და: აბაშიძეების მამული ზედ ახალციხის საზღვარზე მდებარეობდა, ქართლსა და იმერეთს შუა, და თუ ბატონიშვილი მათი სიძე შეიქნებოდა და, ამასთან ახალციხის საფაშოშიც დარჩებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა გავლენას მოიპოვებდა ქართლშიც და იმერეთშიც და ყოველ წამს მისი შემოჭრის მოლოდინი გათანგავდა რუსულ ხელისუფლებას, ყველაზე ხელსაყრელ ჟამს შემოჭრა კი თავგზას აუბნევდა და კიდევ ერთ სასტიკ რევოლუციას როგორ ჩააქრობდნენ, ცოტა არ იყოს სათუოდ ჩანდა.

პიროსის გამარჯვებას თუ მოიპოვებდნენ, ესეც რა ბედენა გახლდათ!..

რა გასაკვირია, ამდენს აღარ დალოდებოდა ერმოლოვი და უკვე მისჭროდა ლევან აბაშიძეს და უღმერთოდაც დაერბია.

ლევანი არჩევანის წინაშე დადგებოდა.

ან შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეწია რუსი მხედრობისათვის.

ან ემიგრაციაში გადახვეწილიყო.

ანდა არ დაემალა ამ ბარათის არსებობა, მთავარმართებლისათვის ეცნობებინა და რჩევა-დარიგებაც ეთხოვა.

მაგრამ არჩევანი რომ იზღუდებოდა?..

სამხედრო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

სამუდამო ემიგრანტის ხვედრს ვეღარ შეეგუებოდა.

ამიტომაც სხვა გზა აღარ რჩებოდა გარდა იმისა, რომ ბატონიშვილის წერილი გენერალ სტალისათვის გადაეცა მთავარმართებელთან მისაწოდებლად.

აჰა, მაშ რჩევა ნებავს?

კიდეც გაუზიარებს ერმოლოვი ამ რჩევას, მაგრამ ტლანქად, მკაცრად და შეუფარავი მუქარით, რათა ამგვარი ფიქრები სრულიად გამოუბერტყოს თავიდან და, არამცთუ ქორწინებაზე თანხმობა, ყოველგვარი ურთიერთობის ძაფი გაუწყვიტოს იმ თავზეხელაღებულ შფოთისთავთან, ვინც კიდევ რუსების განდევნისათვის აწყდება გუბერნიათა საზღვრებს, თვითონ რატომღაც ისევ ქვეყანა რომ ჰგონია.

აბუჩად რომ არ აეგდებინებინათ თავი, ბოლოსდაბოლოს ხომ შეურიგდებოდა თავის ბედს და სურდა თუ არ სურდა, საპატიო ტყვეობაში აღმოჩნდებოდა. ახლა ნანობს მთავარმართებელი: ნეტა გზები არ შეგვეკრა და თავისუფლად გაგვეტარებინა თავისი ძველი სამკვიდროს მიწა-წყალზეო. ასე გათამამებული მაინც აღარ იქნებოდა. თუმცა... ვინ იცის?!. საღი ჭკუისა არა ჩანს ეს ბატონიშვილი და რა დროს რა მოუვა გონებაში, წინასწარ ვინ განჭვრეტს. ალბათ თვითონაც ვერა — ერმოლოვიც ველარ ჩახვედრილა. აბაშიძეებთან ეს დამოყვრება მაინც რა მარჯვედ გამოძებნა. კი გამოძებნა, მაგრამ ახლა ნახოს...

1819 წლის 15 იანვრის საპასუხო ბარათით მთავარმართებელი მადლობას გამოუცხადებდა ლევან აბაშიძეს რუსეთის იმპერიის პატიოსანი მოქალაქის მოვალეობის შესრულებისათვის (ეს ამათი მორალია, პატიოსნების რუსულ-იმპერიული განმარტება — სწორედ გაცემა, დასმენაა მოვალეობის აღსრულება!).

რაო, ბატონიშვილს აბაშიძეთა ასულის შერთვა მოუნდომებია?

— მისი ასეთი სურვილი არასოდეს არ შესრულდება და არც შეიძლება შესრულდეს თქვენგან, ვინაიდგან ამგვარი დანათესავება იმ ადამიანთან, რომელიც მთელ თავის ძალღონეს რუსეთის მავნებლობისაკენ მართავს... არათუ მოუმატებს რაიმე ღირსებას თქვენს ოჯახს, არამედ შემდეგში შეუძლიან ბევრი უსიამოვნება და სამართლიანი იჭვებისა თავს დაატეხოს. ამის გამო გულწრფელად გირჩევთ და მოვითხოვ თქვენი ბრწყინვალებისაგან, რომ ასეთი წინადადება ბატონიშვილ ალექსანდრესი თქვენი პირადი მშვიდობიანობისათვის გადაწყვეტილად და ზიზღით უკუაგდოთ.

წონასწორობადაკარგული კაცის ნაწერი!..

ვერც მიხვდები, რომ იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სამხედრო პირი და მოხელე წერს.

მუქარის კორიანტელი მუქარის კორიანტელად, და იმისგანაც ვერ იკავებს თავს, პირდაპირ არ ჩაწეროს: მოვითხოვო.

რა, გარეგნულად დიპლომატიური იერი რომ მიენიჭებინა ბარათისათვის და თავისი მკაცრი მოთხოვნა მამობრივი რჩევით შეენიღბა, ვერ ამოიცნობდა ლევან აბაშიძე გამჭვირვალე ქვეტექსტს? რა — არაფრად ჩააგდებდა?.. მაგრამ წონასწორობის დაკარგვაც სწორედ ესაა, რომ ვეღარ იგებ, სასაცილო ყოფაში რომ იგდებ თავს. თუმც სასაცილო გახლდათ თუ რა იყო, ლევანი იძულებული აღმოჩნდებოდა, რათა დამორჩილებოდა ამ — რა რჩევა, რომელი რჩევა — განკარგულებას, და, ძლიერ შეწუხებულსა და გულატირებულს, უარი შეეთვალა ბატონიშვილისათვის.

თქვენი პირადი მშვიდობიანობისათვისო...

ანუ სინამდვილეში — უდრტვინველი მორჩილებისათვის.

ძველი მებრძოლი ლოიალობას უკვე აქამდე მიეყვანა.

ალექსანდრე ბატონიშვილს კი მთელს ჩანაფიქრებსა და გეგმებს დაუმსხვრევდა ეს უარი, ჩანაფიქრებსა და გეგმებს — ახალ პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებულს, ირანული თანადგომა ოსმალური თანადგომით რომ უნდა შეენაცვლებინა, უფრო საიმედოთი მის თვალში, რაკიღა სპარსეთის თავგამოდება დასამარდა გულესთანის სამარცხვინო ზავით, ოსმალეთი კი უფრო იკრებდა ძალას დიდი ომისათვის და ასეთ დროს აბაშიძეთა მამულის სათავისოდ შეგულება მნიშვნელოვანი რგოლი უნდა ყოფილიყო ბატონიშვილის გაბედული მოქმედებებისათვის.

ეს რგოლი ხელიდან დაუსხლტებოდა.

ამასობაში აბას-მირზა სულ უფრო და უფრო ამღელვარდებოდა, ალექსანდრე ოსმალეთზე გვცვლისო, და აღარ მოერიდებოდა ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გამწვავებას ბატონიშვილის დასაბრუნებლად.

იქ შირვანის სახანო აღმდგარიყო რუსთა წინააღმდეგ.

აქ დაღესტანი ესწრაფოდა იმპერიისაგან თავდაღწევას.

იმ მიდამოებში ალექსანდრეს გამოჩენა — რაღა ზეციური მხედარი და რაღა იგი!.. და გამოჩენა — ირანის სახელით, ამ ქვეყნის გავლენას კიდევ უფრო რომ აღამაღლებდა.

არადა, თურქეთსაც რომ არანაკლებ დაესაჭიროებინა მისი ზეციური მხედრობა?!.

თანაც, მათ ბედად ალექსანდრე ამჟამად მათ საზღვრებში იმყოფებოდა.

ჰოი, რა ცილაობა ატეხილიყო ამ დიდ სახელმწიფოთა შორის დამხობილი სამეფოს დევნილი ბატონიშვილის დასასაკუთრებლად.

ცილაობა და ასეთი?

ერევნის სარდალს რომ დაევალებოდა შაჰისაგან ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკება ბატონიშვილის გასამგზავრებლად სპარსეთში, ვინ შეისმენდა მის თხოვნასა თუ დიპლომატიურ სვლებს. დიპლომატობა ასე არ უნდაო და, სარდალი აღარც მუქარებს მოერიდებოდა. კიდევ ამაოდ? ახლა ახალციხის საზღვრებთან ჯარებსაც კი მიაყენებდა.

რაღა ტროას ომი და რაღა ირან-ოსმალეთის ეს უეცრად ჩამოვარდნილი დაძაბულობა, ომის გაჩაღებას რომ აღარაფერი უკლდა, და თუ წკიპზე შეყენებული ხანძარი არ აბრიალდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს მოერიდებოდნენ, აუცილებლად ისარგებლებს ჩვენი შეჯახებით და, ვინ იცის, რა შავ დღეში აღმოვჩნდეთო.

ფარული ჭიდილის სიმწვავე არა კლებულობდა.

ამასობაში ნერვები უმტყუნებდა ერევნის სარდალს ანდა ლაშქრის დაძვრით იმედოვნებდა ახალციხის ფაშის, უფრო მეტიც, თურქეთის სულთნის შეშინებას?

არც ესენი დაუხვდებოდნენ ძაბუნად, უარს მიახლიდნენ ბატონიშვილის გამგზავრებაზე და... ერევნის სარდალიც შაჰის ბრძანებას რომ მიიღებდა, შემდგომ გართულებებს მოერიდეო, რა ჩარა იყო და უკან გაბრუნდებოდა.

ცილაობა და ასეთიო?..

ტროას ომი მშვენიერი ელენეს გამო ატეხილიყო.

ირან-თურქეთის ომი კინაღამ ალექსანდრე ბატონიშვილის გამო ატყდა, და თუ ეს საბოლოოდ მაინც არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებების წყალობით აბას-მირზა მიაღწევდა სულთნის დათანხმებას და ბატონიშვილის გამგზავრებას სპარსეთისაკენ, თორემ თუ ასე გაგრძელდებოდა, ირანი აღარც რუსეთის მოსალოდნელ სამხედრო ოპერაციებს გაუწევდა ანგარიშს, აღარც სხვა გარემოებებს და შეეტაკებოდა ოსმალეთს, ომის პრელუდია კი ერევნის სარდლის ხელმეორე და უკვე გარდუვალი გამოლაშქრება აღმოჩნდებოდა ახალციხის საფაშოსაკენ.

ოღონდ ეს შემდგომ უნდა მოხდეს.

ჯერჯერობით ალექსანდრე ხერთვისის სანჯაყში იმყოფება და ოსმალური გადმოსახედიდან აწყობს გეგმებს.

ბატონიშვილს თვითონაც რომ არ ეჩქარებოდა სპარსეთისაკენ გამგზავრება და არაფრად აგდებდა მის გამო ორ სახელმწიფოს შორის ისედაც გამწვავებული ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებას, თამარ პაპავა მარტოდენ პოლიტიკური ანგარიშებით ვერ ახსნი-

და. არა, პოლიტიკურ ანგარიშებს მთლადაც კი არ გამორიცხავდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს ანგარიშები უნებლიეთ თანხვდებოდა იმ ინტიმურ გრძნობებს, რომელიც მას აქამდე დიდი ხნით დამარხული ჰქონდა მშვენიერი ასულის მნახველს დიმიტრი აბაშიძის ოჯახში.

— ეს იყო იმ ბრძოლითა და იმედებით სავსე წლებში, როცა ბატონიშვილი აჯანყების დროშით ხელში დააკროლებდა თავის ბედაურს ქართლში და კახეთში და დრო გამოშვებით იმერეთშიაც... ტყვილა იცდიდა ბატონიშვილი ხერთვისს; მისი გული აჩქარებით სცემდა, თვალები ლოდინმა დაღალა, მაგრამ ტანწერწეტა, მშვენიერი ასული აბაშიძისა, არ იქნა, არ მოჰგვარეს მას ლევანის კაცებმა.

ვარაუდების კვალს გაჰყვებოდა მკვლევარი, ალღოს მიენდობოდა, უფრო კი სურვილს, ტრფიალებას გაენათებინა ალექსანდრეს ჩალუსკუმებული, დრამატული ყოფა, ქვეყნის სიყვარულს ქალის სიყვარულიც გადაჭდობოდა, ღრმა ინტიმი ჩაჭროდა გულში და მისი სულიერი პორტრეტი ამ ზოლით გაცისკროვნებულიყო.

სინამდვილეში არ მომხდარიყო ასე და საცოლის არჩევა მარტოდენ პოლიტიკურ მიზანს გამოეწვია?

თამარ პაპავა მაინც გაიმეტებდა მისთვის ინტიმურ გრძნობებს, აჩუქებდა, შესძენდა — ისტორიულ ალექსანდრეს თუ ვერა, თავის პერსონაჟ ალექსანდრეს მაინც.

კი მაგრამ, ეს ხომ დოკუმენტური ბიოგრაფიაა და არა მხატვრული ქმნილება?

არც გადადის თამარ პაპავა დოკუმენტურობის საზღვრებს, ფორმით ბელეტრიზებულ თხრობას უნარჩუნებს ისტორიული ქრონიკის სიზუსტეს, მაგრამ ამ პასაჟში, ამ ერთადერთხელ თავს უფლებას აძლევს ვარაუდებს მეტი გასაქანი მისცეს, მოეჭიდოს ყველა დეტალს, რაც კი ამ მიმართულებით ფიქრისაკენ უბიძგებს... უფრო კი საკუთარ გულს მინდობილმა ეძიოს ალექსანდრეს გაცრუებული სიყვარულის ქარგა და მიაწოდოს ბელეტრისტებს, როგორც სიუჟეტური მონახაზი თხრობის გაბედულად გაშლისა და კიდევ ერთი დრამატული სიყვარულის მხატვრული გააზრებისათვის.

აბას-მირზა არა და არ ეშვებოდა სულთანს.

აღარ გამოდიოდა გადადება-გაჭიანურება.

ან სულთანს ფაშასთვის უნდა ებრძანებინა, გაეშვა ბატონიშვილი ირანში, ანდა ომი უნდა დაწყებულიყო.

სულთანი ისევ ბატონიშვილს შეელეოდა.

შეელეოდა იმიტომაც, რომ თვითონ ალექსანდრეც — რაც აბაში-

ძეებთან დამოყვრება ჩაეშლებოდა — კვლავ ირანს გახედავდა იმედიანი მზერით.

1819 წლის 7 იანვარს ბატონიშვილი ახალციხიდან გამოვიდოდა 3 ბეგისა და 140 მხედრისაგან შემდგარი ამალით, ყარსზე გადაივლიდა და 10 იანვარს ეჩმიაძინის მონასტერში გაათენებდა ღამეს. იქ ერევნის სარდლის მიერ წარმოგზავნილი წარჩინებულნი შეეგებებოდნენ და ბატონიშვილს მეორე დღეს დიდებით წააბრძანებდნენ ერევნისაკენ, რომლის გალავანთანაც თვითონ ჰუსეინ-ხანი დახვდებოდა დიდი ამალით, ცხენოსანი ჯარითა და ზარბაზნებით.

რაღა მეფის სტუმრობა და რაღა ალექსანდრე ბატონიშვილის!..

უკვე დგებოდა დრო, სხვაგვარად მოპყრობოდნენ, სხვაგვარად წარმოეჩინათ მისი ყოფა, თანამდებობითაც აღემაღლებინათ, რათა ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, ეხილა, როგორ აფასებდა ირანი ბატონიშვილის პიროვნებასა და გარჯას, და აბას-მირზა დარლაგიოზის ოლქს უბოძებდა მართვა-გამგებლობისათვის.

ერმოლოვი როგორც კი შეიტყობდა, ბატონიშვილს აძლევენ არაქსთან ახლო მდებარე ქალაქს რამდენიმე სოფლითურთ, რომელსაც ჩვენს საწინააღმდეგო ბაზად გამოიყენებენო, მაშინვე შეწუხებული და შეშფოთებული აცნობებდა მინისტრ ნესელროდეს პეტერბურგში, ორიოდე კვირის შემდეგ კი ეს მართლაც გულსაკლავი ხმები უფრო მკაფიოდ და დაბეჯითებით მიაღწევდა მთავარმართებლის ყურამდე და ისიც კიდევ უფრო შეშინებული პეტერბურგში თავად ვოლკონსკის ჩააყენებდა საქმის კურსში:

— აბას-მირზას დაჟინებით ბატონიშვილ ალექსანდრეს მიეცა სამფლობელო ყარაბახისა და ჩვენი თათრული პროვინციების საზღვრებზე, საცა მას კავშირი და ურთიერთობა აქვს. მისცეს თანხები ციხის ასაღებად და გადასახლებულთა დასაბინავებლად, რომელთა გადაბირებასაც უნდა შეეცადოს ჩვენი სოფლებიდან.

სტრატეგიულად საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილას განფენილიყო დარალაგიოზის ოლქი — ყარაბაღის, ნახჭევანის, ერევნისა და განჯის სახანოების საზღვრებთან.

სწორედ საუკეთესო ადგილი სამოქმედოდ ასეთი კაცის ხელში!..

მარტო შეწუხება და შეშფოთება რას უშველიდა და აბას-მირზას საპროტესტო წერილს გაუგზავნიდა, ისეთ თავხედურს ვერა, როგორც აქ დაჩვეულიყო, მაგრამ კადნიერებით მაინც გაუკადნიერდებოდა: ბოლო მოეღოს ბატონიშვილის საქმიანობას რუსეთის საზღვრების მახლობლადო.

ეს იმ შემთხვევისათვის, იმპერატორის წინაშე თავის მართლება თუ დასჭირდებოდა; შენ მანდ რას აკეთებდი, ბატონიშვილი ზედ ჩვენს საზღვართან რომ გამოიჭიმაო, — თორემ რაც აბას-მირზას დავიდარაბა გადახდა, ვიდრე ალექსანდრეს გამოხსნას მოახერხებდა თურქული არეალიდან, ახლა მის საქმიანობას ოდნავ მაინც შებორკავდა, თუნდაც მოსაჩვენებლად?..

ჰო, ეს პროტესტი ისე, ფუჭად გასროლილი ვაზნასავით.

რაიმე უფრო ქმედითი?

და ბრძანებას გასცემდა ერმოლოვი:

— ყარაკილისასთან მამულები მიეცეს მაჰმად-ყული ხანს!..

რუსებისაგან გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილს თუ მაინცდამაინც ამათთვის უსიამოვნო ადგილას გამოეყოფოდა საცხოვრისი, სპარსეთიდან გამოქცეულ მაჰმად-ყული ხანს დაე იმათთვის უსიამოვნო ადგილას რგებოდა ახალი სამკვიდრო.

ალტერნატივად უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა.

ეს ხომ რაღა!..

დარალაგიოზის ფარდს ასე თუ ისე გამონახავდა, მაგრამ ამ ალექსანდრე ბატონიშვილის ფარდი სად გამოეძებნა?!.

მაშინ უნდა მოეგდო ხელში, შტაბ-ბინები და საგუშაგოები რომ გადმოუთელა, თორემ ახლა ედევნა ქარისათვის მინდვრად და მფრინავი რაშისათვის ზეცაში.

პასუხს კიდევ ამას მოჰკითხავდნენ: როგორ ვერსაიდან შემოუარე ან მისი შეპყრობა რა გაგიხდა, ანდა მოწამვლაო. თვითონ შემოევლოთ, თუ ასეთი იოლი გახლდათ — თვითონ დაეჭირათ ან საწამლავი შეეპარებინათ.

ნეტა მისი აღსასრული არა და აღარ მოახლოებულიყო?!.

როდემდე იტრიალებდა საზღვრის სიახლოვეს, რა გული გაუძლებდა, ერთხელ კიდევ არ გადმოელახა და... ნუთუ არც ამჯერად უმტყუნებდა ბედი!..

თავი მეთოთხმეტე

საქორწინო გვირგვინი...
სალმასტი...
ოჯახი ტყვეობაში

ყარაბაღის მმართველი გენერალი მადათოვი თვითონაც შეფიქრიანდებოდა ბატონიშვილის დამეზობლებით, მაგრამ ტფილისიდან საგანგებოდ მოწერილი წერილი განკარგულებას უფრო ჰგავდა და მეტ აქტიურობას ავალებდა, თანაც აგრძნობინებდა, თუ საკუთარი საშუალებებით ვერ გაუმკლავდები იმისგან მომდინარე საშიშროებას, სასწრაფოდ მოგვმართე დახმარებისათვის, თორემ შემდგომ ვაითუ დაგვიანებული იყოსო.

ეს გამჭვირვალე ქვეტექსტი იოლად ამოიკითხებოდა იმ შეშფოთებული სტრიქონების მიღმა: მისი სამყოფელის შერჩევა ჩვენს საზღვრებთან ასე ახლოს იმ მიზნით მოხდა, რომ მას თათართა დისტანციებში მიმოსვლა გაუადვილდეს, მისი გამოჩენა კი იმას ნიშნავს, რომ აგვიმხედროს ეს მოსახლეობა და თავისკენ გადაიბიროსო.

ეს უჩვეულო უნარიც რომ მომადლებოდა, ზეგავლენა მოეხდინა ხალხზე და სულიერი სიმხნევითა და შეურიგებლობის გრძნობით გაენემსჭვალა, საამისოდ კიდევ ერთხელ ეძლეოდა მარჯვე ასპარეზი და მადათოვს ევალებოდა გამახვილებული სიფხიზლით ედევნებინა თვალყური ყარაბაღში მომხდარი მოვლენებისათვის და ბატონიშვილის გარემოცვაში გაეჩინა სანდო მსტოვარი (ფული არ უნდა დაეშურებინა, ვიდრე რაიმე საბედისწერო ამბავი მოხდებოდა), ალექსანდრეს ყოველ ნაბიჯს რომ გამოარკვევდა და აცნობებდა გენერალს, რადგანაც ის ისე არ დადგებოდა, რომ ყარაბაღში თავის მომხრეთა ძლიერი პარტია არ შეექმნა, ის საიმედო დასაყრდენი, რომელსაც უნდა გაეადვილებინა სპარსეთისათვის ყარაბაღის სახანოში შემოჭრა-დამკვიდრება.

ამ ვარაუდს, ისედაც საფიქრებელს, განამტკიცებდა ის რეალობა, რომ დარალაგიოზის ოლქში უმეტესწილად ყარაბაღიდან გაქცეული თათრობა ცხოვრობდა.

ბატონიშვილის ქარიზმატულ უნარს ეს გარემოებაც ემატებოდა და რუსებს განსაკუთრებული სამზადისი ამიტომაც ევალებოდათ ამ — მათთვის ფრიად უსიამოვნო — პერსპექტივის ჩასახშობად.

მთავარმართებელს სხვა საწუხარიც გასჩენოდა, აბაშიძეებთან დამოყვრება კი ჩაუშალა ბატონიშვილს, მაგრამ იქ როგორღა მიწვდენოდა, საცოლე ალექსანდრესათვის აისორთა მღვდელმთავრის ოჯახიდან რომ შეერჩია აბას-მირზას, და ამ დანათესავებით შეშფოთებული მინისტრს ატყობინებდა:

— აბას-მირზა ცდილობს ბატონიშვილს ჯვარი დასწეროს, რათა მას გაუჩნდეს მემკვიდრე მამრობითი სქესისა და ამ მიზნით სპარსეთის მიერ გაგზავნილია შუაკაცები თურქეთში მცხოვრებ აისორთა მღვდელ-მთავართან, რათა მან ბატონიშვილს თვისი ძმისწული მიათხოვოს.

ნეტა ამჯერად რაღამ ჩაშალა ეს მოსალოდნელი ქორწინება?..

მიზეზი რაც უნდა ყოფილიყო, აბას-მირზას აღარ ეგვიანებოდა.

ბატონიშვილს ბედი შეკვროდა თუ რა იყო, ეს მერამდენე გაწბილებამ მოუწია!..

მასზე რომ ყოფილიყო მინდობილი, ალბათ ხელს აიღებდა ოჯახის შექმნაზე — არ ვყოფილვარ, ეტყობა, საამისოდ გაჩენილიო. მაგრამ პოლიტიკური ინტერესები თავისას მოითხოვდა, ეს აბას-მირზაც გაქირს გახლდათ და...

და ის, რომ 1820 წლის მაისში ალექსანდრე ბატონიშვილი ეჩმიაძინში ჯვარს დაიწერდა ერევნის სახანოს მთავარი მელიქის, სააკ აღამალის ყმაწვილ, სილამაზით განთქმულ ქალზე.

მარიამთან ეს ქორწინება დიდი ზარზეიმით აღინიშნებოდა, მართლაც მეფური პატივით და საამისოდ ყველა ხარჯს აბას-მირზა გაიღებდა.

ბარემ ყოველივე ყოფილიყო ისე, როგორც განეზრახა და ქორწილს შესაფერისი გამოხმაურებაც მოჰყოლოდა, გაეგო ყველას, რომ ბატონიშვილის ვაჟის დაბადებას ირანიც და სხვა არაერთი ქვეყანაც მოუთმენლად მოელოდა და პირად სიკეთედ მიითვლიდა.

ეჩმიაძინის კართან ის მეფური დახვედრა თითქოს შესავალი იყო ამ ჯვრისწერისა.

მისი პოლიტიკური სარჩული თამარ პაპავას მიერ ასე გაიშიფრებოდა, რომ სომეხ ვაჭრებს ახალი მეტოქე უჩნდებოდათ კავკასიაში,

ძველი, ტრადიციული მონოპოლია სომეხთა ვაჭრობისა, ქართველ მეფეთა მიერ შექმნილი, ირყეოდა და რუსეთიდან მოდიოდა ახალი კაპიტალი, რომელსაც მთავრობა ათას წარჩინებას აძლევდა; და რომ არც სომხების სამღვდელოთა და ეკლესიის მდგომარეობა შეიქნა სახარბიელო რუსთა ხელქვეით, მათი მამულებიც, ქართველ თავად-აზნაურთა და ეკლესიების მამულებისა არ იყოს, მუდმივ საფრთხეში იმყოფებოდა და მცირე წინააღმდეგობის გაწევისთანავე რუსეთის ხაზინის საკუთრება ხდებოდა, რას უშველიდათ ბაგრატიონთა მიერ ბოძებული, ტრადიციით ნაკურთხი სიგელი ამ ახალმოსული ძალისა და რეჟიმის წინაშე, როდესაც თვითონ ბაგრატიონთ გამოსცლოდათ ყოველგვარი საყრდენი და თავისუფლებაში ერთადერთი კარდაკარ მოხეტიალე ალექსანდრე ბატონიშვილი რჩებოდა; რომ სულისშემხუთველი აღმოჩნდებოდა დიდი გადასახადები და დაუსრულებელი აჯანყება-ეგზეკუციები სომხებით დასახლებულ ადგილებში, მათ სარჩოსაბადებელს უღმერთოდ რომ ანიავებდა; და რომ არსად ჩანდა ის სანატრელი „სიწყნარე“, რომელსაც სომხის სავაჭრო წრეებისათვის აღებ-მიცემაში ხელი უნდა გაემართა...

ჯერ რუსთა მოტანილი მშვიდობა რა არის და, ისიც რომ არ გექნებოდა!..

— სპარსეთის საზღვარზე, ან თვით ერევნის სახანოში დასახლებული სომხობის ნაწილი ეხლა უფრო გაბედვით აძაგებდა რუსთა პოლიტიკას და ბევრნაირად სანატრელად მიაჩნდა ის ხანა, როცა ამიერკავკასია ქართველ მეფეთა ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდა.

ეს განწყობილება უკარნახებდათ ირანის ხელისუფალთაც და ერევნის სარდალსაც ქართველთა და სომეხთა შეკავშირებას, ერთი იდეით განმსჭვალვასა და ბაგრატიონთა სახლის ხელახალ იდეალიზაციას.

მითუმეტეს, ალექსანდრეს სახება ისედაც გაიდეალებულიყო და საამისოდ ზრუნვა აღარავის სჭირდებოდა.

მისი ძალ-ღონით აღდგენილი საქართველოს სამეფო უთუოდ მოიპოვებდა დაკარგულ გავლენას კავკასიაში და — ირანის პროტექტორატის ქვეშ მყოფი — სამუდამოდ აღკვეთდა რუსეთის სამხედრო მოძალებას.

ეს სანატრელი პერსპექტივა აღანთებდათ ეჩმიაძინის ტაძრის წინამძღოლთ, აბას-მირზას თავიანთი გარემოდან რომ ურჩევდნენ ბატონიშვილისათვის თანამეცხედრის გამონახვას.

დარალაგიოზის პროვინცია კი სომხობითაც საკმაოდ რომ დასახლებულიყო, ან ამ მარჯვე შემთხვევის გაშვება როგორ შეიძლებოდა ხელიდან.

მოვლენები ისე დატრიალებულიყო, ალექსანდრეს იქით სთავაზობდა იმას, რაც მისთვისაც ყველაზე ხელსაყრელი მოჩანდა.

მაგრამ თამარ პაპავას ენანება, რომ ეს ქორწინება მარტოდენ პოლიტიკურ ინტერესებზე აგებულად მიიჩნიოს, არ ემეტება ბატონიშვილი მხოლოდ პოლიტიკური გათვლებისათვის და ეძიებს ხელმოსაჭიდს, რათა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფიქრი და სწრაფვა ამჯერადაც ინტიმურ გრძნობებს გადააჯაჭვოს — აბაშიძეების სახლთან დამოყვრების სურვილისა არ იყოს.

რეალური ცნობა არაფერი მოჩანს დოკუმენტურ წყაროებში?

ინტუიციას გაიმახვილებს, მხატვრულ წარმოსახვასაც აამოქმედებს და აღნიშნავს თუ არა, საქმის დიდხანს გაჭიანურება არც ალექსანდრეს ენება და ამიტომაც გადაწყვიტა, მაშინვე შეესრულებინა აბას-მირზას რჩევაო, თავის განცდასაც მიადევნებს:

— მან ინახულა მელიქ სააქის ქალი მარიამი და მაშინვე მისი მშვენიერებით მოხიბლული იქმნა. ამის შემდეგ ბატონიშვილმა მოუხშირა ერევანში და ეჩმიაძინში დარბაზობას... და მაისის მშვენიერ დღეს უძველეს მონასტრის წიაღში საქორწინო გვირგვინი დაიდგა უკვე გაჭაღარავებულ თავზე.

გენერალი სავარსამიძე ველიამინოვს წინასწარვე აცნობებდა ამ ქორწილის ამბავსაც და აბას-მირზასთან არზრუმის სერასქირიდან მოციქულთა დენასაც: ნება დართე ბატონიშვილს გაემგზავროს იმერეთში და უხელმძღვანელოს უკვე დაწყებულ აჯანყებასო. მაინც მისი შთაგონებით აეღოთ იარაღი ხელში, მაინც მისი განუწყვეტელი ბრძოლა აღანთებდათ თავისუფლებისათვის და ბარემ თვითონვე მოქცეოდა ამბოხებას სათავეში, როგორც მომავალი მეფე.

მის გარდა სხვა ვერც წარმოედგინათ იმერლებსაც სამეფო ტახტზე.

აგულიანებდათ სოლომონ მეორის ხსოვნა და ალექსანდრე ბატონიშვილის გარდუვალი გამოჩენა აჯანყების ხანძარში, რომლის დანთებაც საეკლესიო ცხოვრების რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას გამოეწვია.

სამღვდელოება არამარტო მონაწილე ხდებოდა ახალი მღელვარების, არამედ წამომწყებიც, რაკიღა ახალი მოწესენი სხვა გზას აღარ უტოვებდნენ და სულაც წიაღს უნგრევდნენ.

1815 წლის 8 მაისს ტფილისში გაიხსნებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომლის სახელწოდებაც მიანიშნებდა, რომ მას აღმოსავლეთ საქართველოს გარდა უნდა დამორჩილებოდა იმერეთისა და, უფრო მეტიც, იმხანად ჯერაც დამოუკიდებელი სამთავროების — გურიისა და სამეგრელოს — ეკლესიებიც.

ეს მოხდებოდა იმპერატორის ბრძანებით, რომელიც ითხოვდა დიკასტერიის ქუთაისში დაარსებასაც.

დასავლეთ საქართველოს სასულიერო პირნი ასე ადვილად ვერ შეეგუებოდნენ ვერც დიკასტერიისა და ვერც სინოდალური კანტორის დაფუძნებას და დრტვინვა-გაგულისებასაც აღარ იკმარებდნენ, მკაცრი პროტესტით გამოვიდოდნენ ამ მოთხოვნის წინააღმდეგ — სინოდალურ კანტორას მათი ეკლესიაც დამორჩილებოდა.

ამ ეკლესიის მეთაურნი მიმართავდნენ იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ სიმონოვჩს, მისი საშუალებით კი მთავარმართებელს რტიშჩევს, ეგზარხოსსა და თვით იმპერატორამდე მოინდომებდნენ ხმის მიწვდენას.

ეს მღელვარება იმხანად თავის შედეგს გამოიღებდა.

ისტორიკოსები მთავრობის ამ დათმობას ხსნიან მძიმე ეკონომიკური პირობებითა და რთული პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარებით – კვლავაც მოსალოდნელი გახლდათ სოლომონ მეორის დაბრუნება და აჯანყებისათვის ასერიგად სახარბიელო გარემოს არ დაახვედრებდნენ. ამისთვის კი აუცილებელი იყო თავი შეეკავებინათ ქუთაისში დიკასტერიის გახსნაზე და მის ნაცვლად იმავე წლის 17 ოქტომბერს შეიქმნებოდა იმერეთის ეპარქიალური კანცელარია.

ამგვარი ჩარევა ისედაც კათოლიკოსპატრიარქობა გაუქმებულ მინა-წყალზე გზას გაუხსნიდა რეფორმებად გამოცხადებულ ცვლილებებს — ქართული ეკლესიის სრულ გადაწყობას რუსულ წეს-ყაიდაზე.

მოხდებოდა ისე, რომ ეს მკვეთრი ცვლილებანი შედარებით მშვიდად ჩაივლიდა აღმოსავლეთ საქართველოში, არადა, 13 საეპისკოპოსოდან ორად-ორი დარჩებოდა — ქართლისა და კახეთისა, საეკლესიო ქონებაც აღინერებოდა და ის პირწმინდად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ხელში მოექცეოდა.

კახეთის აჯანყების ულმობელი ჩახშობა-განადგურების შემდეგ, ეტყობა, გაძნელდებოდა შეურიგებელი პროტესტის გამოხატვა ამ მხარეში და, ცხოვრების მდინარებას მინდობილნი, ჩუმ უკმაყოფილებას იკმარებდნენ და წინააღმდეგობის გაწევას შემდგომისათვის გადადებდნენ. თავს იმშვიდებდნენ, თორემ არავინ უწყოდა, ეს „შემდგომი“ როდის დადგებოდა.

წახალისდებოდა და ძალიანაც წახალისდებოდა ეგზარხოსი ვარლაამი ამ წარმატებული (მის თვალში!) დასაწყისით და მოინდომებდა მაშინვე მიეყოლებინა ზედ დასავლეთ საქართველოს ეკლესიაც და

აღეწერა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესიების ქონებაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერჯერობით ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას.

სასულიერო ცხოვრების სათავეში მიტროპოლიტი დოსითეოსი ედგა, არამარტო ქუთათელის წოდებით, არამედ 1784 წლიდან 1820 წლამდე დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მოვალეობასაც ასრულებდა.

გამგებელი საკათალიკოსოსაო, — აღინიშნებოდა მის ტიტულატურაში.

სასულიერო მოღვაწეობას კი დაპატიმრებით დაამთავრებდა.

ასეთი მეთაურის ხელში სამღვდელოება განსაკუთრებულ შეუპოვრობას გამოიჩენდა და ამბოხების წარმმართველადაც მოევლინებოდა ქვეყანას, მეთაურისა, ვისაც თავგამოდებით ამოუდგებოდნენ მხარში გელათის ეპარქიის გამგებელი ეფთვიმე შერვაშიძე, ხონის ეპარქიის მმართველი ანტონ ჩიჯავაძე და რაჭის ეპარქიის ხელმძღვანელი სოფრონიოს წულუკიძე.

ჯერ ვარლაამსაც ვერ ეგუებოდნენ და არც რეფორმების განხორციელებას დააცლიდნენ, და ჩვენი სამღვდელოების დრტვინვა მაშინ უნდა გენახათ, როდესაც ამ პირველსა და იმავდროულად უკანასკნელ ქართველ ეგზარხოსს პეტერბურგში გაიწვევდნენ და მის ადგილს დაიკავებდა თეოფილაქტე რუსანოვი, რიაზანის არქიეპისკოპოსი — 1817 წლის 14 მაისიდან.

ვარლაამს, ვინც იყო და რაც იყო, ქართული წეს-ჩვეულებანი მაინც მოეხსენებოდა და ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ახლა კი მწყემსმთავრად გამოეცხადათ ადამიანი, ვინც ამ ყოველივესი ბაიბურშიც არ იყო და არც სურვილი ჰქონდა, ოდნავ მაინც გარკვეულიყო, ანკი რატომ უნდა გარკვეულიყო, როდესაც ამ მიზნით ჩამოსულიყო — ყოველმხრივ შეეწყო ხელი რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის, საამისოდ კი ეკლესია მძლავრი და ეგებ გადამწყვეტი იარაღიც აღმოჩნდებოდა, თუ ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც განეზრახათ და ნაირ-ნაირი გეგმებიც დამუშავებულიყო... მის სიუხეშე და სიტლანქე კიდევ ცალკე. თუმც იმ რეფორმათა ხორცშესხმას სწორედ ეს და სხვა უკეთური ადამიანური თვისებები სჭირდებოდა.

აგერ ჩამოვიდოდა 1819 წლის ივნისს იმერეთში ახალი ეგზარხოსი და შეუდგებოდა ვარლაამის მიერ დაწყებული პროცესის გაგრძელებას. აინუნშიც არ ჩააგდებდა, რომ რეფორმა მტკივნეულად შეეხებოდა საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას, მისთვის მთავარი გახლ-

დათ ის შედეგი, რასაც იმპერიას მოუპოვებდა: სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა არამარტო საეკლესიო ქონების გადარიცხვით ხაზინაში, არამედ ყმა-გლეხების საეკლესიო გადასახადთა გადიდებითაც.

ეს როგორი ასატანი გახლდათ გლეხობისათვის და კიდეც გაენეწყობოდნენ მტრულად ამ იდეისადმი.

ან მაღალი სამღვდელოება რატომ მოითმენდა მნიშვნელოვანი შემოსავლის დაკარგვასა და საეკლესიო ქონების დამოუკიდებლად მართვა-გამგეობის უფლების ჩამორთმევას.

ან დანარჩენი სამღვდელოებისათვის რა იყო სახეირო, როდესაც მათგან ბევრი დარჩებოდა უადგილოდ ეპარქიების, ეკლესიებისა და მათ მსახურთა შტატის შემცირებით.

საეკლესიო აზნაურთაც თავისი გასაჭირი დაუდგებოდათ, რაკიღა იძულებულნი შეიქნებოდნენ გადასახლებულიყვნენ სახაზინო მიწებზე.

ქართველ ისტორიკოსთათვის ყოველთვის ნათელი გახლდათ, რომ რეფორმა საბაბი უფრო იყო აჯანყებისა, ვიდრე რეალური მიზეზი, რომელიც სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლად წარმოგვიდგება, სახელმწიფოებრიობის ამოგების სწრაფვად, რომელსაც გადაეჭდო დაპირისპირება ანტიბუნებრივი საეკლესიო ცვლილების წინააღმდეგ.

და მაინც, მიზეზია თუ საბაბი, ჩვენს სამღვდელოებას ნუ დავუკნინებთ თავგანწირვასაც და წამოწყების მეთაურობასაც.

რუსი ისტორიკოსები კი, ვთქვათ, პოტო, და შემდგომი ხანისაც ყველა, თვით რეფორმას მეტად სასარგებლოდაც მიიჩნევდა ხალხისათვის და წარუმატებლობას მისი ხორცშესხმისას მთლიანად ეგზარხოსს აბრალებდა — არ აღმოაჩნდა სათანადო მოთმინება, თავშეკავება, ტაქტი და, რაც მთავარია, ქვეყნის წარსული პოლიტიკური წყობისა და ხალხის ცხოვრების პირობების ცოდნაო.

და ხოტბას შეასხამდა ერმოლოვს, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ეს ყოველივე, მისთვის რომ დაეჯერებინათ და საეკლესიო საკითხი სამოქალაქო ნიადაგზე გადატანილიყოო. მაშინ ვეღარაფერს გააწყობდნენ ის არაკეთილგანწყობილი პირნი, ვითომდა რელიგიას რომ იცავდნენ, სინამდვილეში კი თავიანთი ანგარებიანი მიზნების განსახორციელებლად აამხედრებდნენ უმეცარ ხალხს, სულ ცოტა ხნის წინათ გამოსულს საუკუნოვანი შფოთის მდგომარეობიდან და ამიტომაც მიდრეკილს ყოველგვარი ამბოხისა და უწესრიგობისაკენო. მოსახლეობის სიღარიბის გამო იმერეთში შესაძლოა მძიმე ამბები დატრიალდესო.

ლიხს აქეთ რატომ მოხერხდებოდა საეკლესიო გარდაქმნების შედარებით იოლად ხორცშესხმა?

მთავარმართებელი ამ წარმატებას (მისი თვალით!) ახსნიდა ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით, ეგზარხოსი დახმარებისათვის რომ მიმართავდა.

ეს გამოცდილება იმერეთში რატომ ვეღარ გამოიყენეს?

დამოუკიდებლობა ამ მხარეს ხომ სულ ცოტა ხნის წინათ დაეკარგა, ჯერაც ძალუმად იგრძნობოდა თავისუფლების სუნთქვა და ახალ რეჟიმს ჯერ კიდევ ვერ მოეკიდებინა ფეხი ისე, როგორც ენებათ. და რაკიღა ეს რეალობა გაცხადებული გახლდათ ერმოლოვისათვის, ამიტომაც ერჩივნა პირდაპირი დატაკების ნაცვლად უფრო შემპარავი და მოქნილი მოქმედება, უფრო მზაკვრული გამოშლა ეკლესიის აქამომდელი საყრდენებისა და შესაფერისი წუთის დალოდება, რათა გაუმწვავებლად ჩამთავრებულიყო რეფორმის დამკვიდრება — როგორც ლიხს აქეთ, ისე ლიხს იქით.

შესაფერისად — ერთგან უფრო სწრაფად, მეორეგან უფრო ზოზინით.

ამ შემპარავსა და მოქნილ მოქმედებას რომ ურჩევდა მღვდელმთავარს, საუბრისას ის დათანხმებით კი დაეთანხმებოდა ამ რჩევას, მაგრამ მაინც იფიქრებდა, არა ღირს ზედმეტი გაჭიანურება, შორიდან რომ ეხელმძღვანელობდე გარდაქმნას, მაშინ მოსალოდნელია საქმის გართულებაო, — თორემ თუკი თვითონაც ადგილზე იქნებოდა და უშუალო მონაწილეობას მიიღებდა რეფორმის ხორცშესხმაში, იმთავითვე აიცილებდა ყოველგვარ უწესრიგობას და წარმატებითაც დააგვირგვინებდა განზრახვას.

რაც უფრო თავდაჯერებული და დაიმედებული გახლდათ, მითუფრო შეაშფოთებდა ხალხის თავმოყრა, რომელსაც ოლქის ხელისუფლება ვერ დაშლიდა, თეოფილაქტე კი, ნაცვლად იმისა, რომ ჯარები გამოეთხოვა (ვერც ამ დაბნეულობას პატიობდა ერმოლოვი), სასწრაფოდ დაყაბულდებოდა აბობოქრებული ხალხის მოთხოვნას და ბრძანებას გასცემდა დაებრუნებინათ საეკლესიო ქონების უკვე შედგენილი აღწერილობა, და თვითონ მაშინვე გამოსწევდა ლიხს აქეთ.

მთავარმართებელი სულმოკლეობად და სიმდაბლედ ჩაუთვლიდა ამ საქციელს, მაგრამ როგორც უნდა ემუნათებინა მწყემსმთავარი, დასავლეთ საქართველო წამოშლილი გახლდათ და, ვინ იცის, რა იყო მოსალოდნელი.

ერმოლოვი ჩრდილოკავკასიაში იმყოფებოდა, მის შემცვლელად კი გენერალ-ლეიტენანტი ველიამინოვი დარჩენილიყო და საჩქაროდ რომ გაგზავნიდა იმერეთში კაზაკთა ორ პოლკსა და გრენადერთა პოლკის ერთ ბატალიონსა და არტილერიას, აჯანყებულნი მთავარმართებლის ორ წერილსაც მიიღებდნენ — ერთს 1819 წლის 11 აგვისტოს თერგის გაღმა ბანაკიდან, ხოლო მეორეს — 1820 წლის 16 თებერვალს ყიზლარიდან.

ამბოხების ზოგადი იერი და მამოძრავებელი მუხტი ხელშესახებად წარმოისახებოდა იმერეთის მმართველის კურნატოვსკის პატაკში:

აჯანყება განსაკუთრებით მოედებოდა იმერეთსა და რაჭას და საყოველთაო შეიქნებოდა. ხელისუფლების მხარეს აღარავინ დარჩებოდა. გურულები და მეგრელები მზად იყვნენ იმერლებთან ერთად ემოქმედათ, აფხაზებიც, მოსალოდნელი იყო, ამავე გზას დადგომოდნენ. მთავრების ერთგულება საეჭვო გახლდათ, მათი ძალა საერთოსახალხო აზრისა და განწყობილების წინააღმდეგ სრულიად უმნიშვნელოდ გამოიყურებოდა.

თავიდან თუ საეკლესიო რეფორმის ჩაშლას აცხადებდნენ უმთავრეს მიზნად, ახლა უკვე ახდილად გამოთქვამდნენ სანუკვარ ოცნებას — სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას.

სრული პოლიტიკური თავისუფლება სამეფოს აღდგენას გულისხმობდა, სამეფოს აღდგენა — მეფის შერჩევას. და კიდეც გაიმართებოდა დავა-კამათი: აი, ივანე აბაშიძეო, აი, გრიგოლ წერეთელიო, აი, ვახტანგ ბატონიშვილიო. დავით ბატონიშვილის პირადი მდივანი ავთანდილ თუმანიშვილიც რომ გამოჩნდებოდა ამღელვარებულ იმერეთში, დაბეჯითებით ძნელი სათქმელია, საგანგებო დავალებით ჩამოსულიყო თუ ამბოხების მოთავეებს მისმა შემთხვევითმა გამოჩენამ უკარნახათ მეფის კანდიდატურა გადასახლებულ ბაგრატიონთა წრეშიც ეძებნათ, ისე არც ერთია გამორიცხული და არც მეორე, მითუმეტეს, რომ პეტერბურგში დაბრუნებულ ავთანდილ თუმანიშვილს დააპატიმრებდნენ და სახელმწიფო დანაშაულის ბრალდებით ციმბირში გაისტუმრებდნენ, სადაც დაღუპვა ეწერა.

ცხადია, ამბოხების მოთავენიც და მონაწილენიც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელსაც ახსენებდნენ და მეფობის ღირსადაც სცნობდნენ. თანაც, მარტოდენ მოწვევას კი არ უპირებდნენ, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით ჩაებმოდა აჯანყების სასიკეთოდ წარმართვაში.

ერთხელ ეახლებოდნენ ალექსანდრეს დესპანები...

მეორედაც...

მესამედაც...

ამდენი გაწბილება და მარცხი იოლად ვეღარ აიყოლიებდა ბატონიშვილს, იმედი თუ ჩაესახებოდა, იქვეც უქრებოდა, მაგრამ 1819 წლის აგვისტოში თათბირს შეყრიდა, თავის მხლებლებს დაეკითხებოდა და გადაწყვეტდა იმერეთში გამგზავრებას, თუკი თურქეთის მთავრობა მართლაც აღმოუჩენდა დახმარებას აჯანყებულებს, როგორც ახალციხის ფაშა ირწმუნებოდა.

დაპირებებისა თუ ვინმეს სჯეროდა, ალექსანდრეს უკვე აღარ.

გამარჯვება ისეთი რეალური აქ თითქოს არ მოჩანდა, როგორც კახეთში, და საალალბედოდ საქმე რატომ გაეხადა. ისედაც უთანასწორო ბრძოლაში რაღაც დასაყრდენებიც თუ არ მოგეძევებოდა, არ ღირდა ცეცხლში გადაშვება. თავგანწირულ ქმედებას ხავსი მაინც უნდა ასულდგმულებდეს, თორემ ისიც თუ არსადაა, რიღასთვის უნდა გაეულტინო!..

ოქტომბერში კვლავ ჩამოადგებოდნენ აბას-მირზასთან შუამდგომლობას სთხოვდნენ — ეგებ ჯარი და ფული მოგვაშველოსო.

ბატონიშვილი თვითონაც არ იტყოდა თავრიზში გამგზავრებაზე უარს, თორემ სანდო კაცებს ხომ გაისტუმრებდა და გაისტუმრებდა, ჯერ შემწეობას სთხოვდა, მერე კი, როდესაც შეატყობდა, ირანის ტახტის მემკვიდრე მაინცდამაინც ვერ დავაინტერესე ამ ამბოხებითა და მისი ბედითო, ნებართვას ითხოვდა იმერეთში გასამგზავრებლად.

მანამდე, ცხადია, გულდასმით მოელაპარაკებოდა იმერელთა დელეგაციას და თავის მოთხოვნას — უფრო კი პირობას — წაუყენებდა:

— თუ ჩემი გამეფება რამდენიმე თავადის სურვილი კი არ არის, არამედ იმერეთის მთელი თავადაზნაურობის, ხალხისა და სამღვდელოების, ამის წერილობითი დასტური მომიტანეთ და ყაბულს ვარ, მაშინვე ჩამოვალ!..

საერთო-სახალხო რეფერენდუმს ითხოვდა?

ამის ან დრო სად იყო, ან საშუალებანი?

ეცადათ მაინც.

ყოველ შემთხვევაში გარშემო მაინც გამოეკითხათ, სადამდეც მიწვდებოდნენ, იგუებდა თუ არა იმერეთი მეფედ ბაგრატიონთა კახეთის შტოს შთამომავალს, თუ მაინც საკუთარი წიაღიდან ერჩივნათ მეფის გამოძებნა, თუნდაც ბაგრატიონი ნუ იქნებოდა — ბოლოსდაბოლოს ახალ დინასტიას დაუდებდა სათავეს და ის იქნებოდა. ოდესღაც ბაგრატიონიც ხომ ისე გამეფდა, რომ მამა ხელმწიფე არა ჰყოლია.

სხვა შემთხვევაში ასეც იქნებოდა და კახელ ბაგრატიონს არ მიაჩერდებოდნენ იმედის თვალით, მაგრამ ალექსანდრე სხვა გახლდათ, სხვა სახელი და სიმაღლე, უკვე ლეგენდებში გადასული, და თავისდაუნებურად ითხოვდა სხვაგვარ მოპყრობას.

თავისდაუნებურად, თორემ ყოფით რეალობაში, ხომ ხედავთ რარიგ ფრთხილობს, მოულოდნელი არევ-დარევა რომ არ შეიტანოს მეთაურთა წრეში.

იქნება ყველა თანახმა?

მაშინ თავს არ დაზოგავს.

ზედმეტი მოეჩვენება ამა თუ იმ გუნდსა თუ დასს მისი გამოჩენა და... დაე ყოველივე წარიმართოს ისე, როგორც განუზრახავთ. თავის მხრივ, რასაც შეიძლებს, ხელს შეაშველებთ.

ამბოხება თითქოს მინავლდებოდა?

მომავალი წლის გაზაფხულზე კვლავ ახალი ძალით იფეთქებდა და ბატონიშვილსაც ახალი დელეგაცია მიაკითხავდა: შენს იქით გზა აღარ გვაქვსო.

იმას საამისოდ უკვე დაეჭირა თადარიგი და მონდომებას გააასკეცებდა.

ერევანში თავს მოუყრიდა თათართა დისტანციებიდან გამოქცეულ მამასახლისებს და ცხენოსანი რაზმის გამზადებას უბრძანებდა.

ახალციხის საფაშოში თავისი ამალის ორ წევრს მიავლენდა — მიხეილ ანდრონიკაშვილსა და ესტატე თარხნიშვილს — დასავლეთ საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამოსარკვევად და თურქეთის სერასკირისათვის დახმარების სათხოვნელად.

წერილს გაუგზავნიდა მამია გურიელსაც და მხარდაჭერას სთხოვდა.

ის შეშინდებოდა, მთავრობის თვალში არაკეთილსაიმედო არ გამოვჩნდეო, და ერთგულების დასადასტურებლად ბატონიშვილის ბარათს პირდაპირ მთავარმართებელს გადაუგზავნიდა.

ის ისედაც გაფაციცებულიყო, მსტოვრებს მსტოვრებზე აგზავნიდა, გადმობირებისთვისაც არავითარ ხარჯს არ ერიდებოდა და ალექსანდრეს ჯვრისწერა კიდევ უფრო ჩააგდებდა საგონებელში: ახლა კი წუთიწუთზეა მოსალოდნელი მისი წამოსვლა ახალციხისკენო.

ამიტომ მკაცრად გააფრთხილებდა სასაზღვრო რაზმების მეთაურებს: არ გამოგეპაროთ, თორემ ვითარება უმართავი შეიქნება, თუკი შეპყრობას ვერ მოახერხებთ, ნება გეძლევათ მოკლათ, ოღონდ აქ არაფრისდიდებით არ უნდა შემოაღწიოსო.

იმერეთში დიდძალი რუსის ჯარი მოიყრიდა თავს და აჯანყების მეთაურებს დაერეოდნენ, განზრახული ჰქონდათ ყველა ერთ დღეს დაეტუსაღებინათ, მაგრამ ზოგს თუ შეიპყრობდნენ, ზოგიც გაექცეოდათ, მათ შორის, ივანე აბაშიძეც, ვინც გურიაში ქაიხოსრო გურიელის სასახლეს შეეფარებოდა, და წარმატებით გალაღებული პუზირევსკი ფეხდაფეხ რომ დაედევნებოდა, შემოქმედის ციხესთან მოკლავდნენ, ეს მკვლელობა კი გურიაში აჯანყებას გაშლიდა — მეფედ გამოცხადებული ივანე აბაშიძე მათ გვერდით იმყოფებოდა და ეს გარემოება აღანთებდათ მებრძოლებს, ისევე, როგორც იმავდროულად რაჭაც მოიკრებდა ძალას და, მეფედ გამოცხადებული ბაგრატ ბატონიშვილის წინამძღოლობით, ქუთაისისაკენ დაიძრებოდნენ.

მაინც ვერა, ვერ შემოტრიალდებოდა სასიკეთოდ ქვეყნის ბედი.

რუსეთი დიდ სამხედრო ძალას მიაყრიდა დასავლეთ საქართველოს და სასტიკად გაუსწორდებოდა მთელს მოსახლეობას.

საამაყოდ დარჩებოდა ერმოლოვს:

— აჯანყებული სოფლები გადამწვარი და გადაბუგული იქნა, ბაღ-ვენახები გაჩეხეს, ქვეყანა კიდევ მრავალ წეილწადს ვერ აღიდგენდა თავის პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მისი სასჯელი.

დიდხანს ვერ უნდა გამართულიყო წელში, რათა დაეკარგა ამბოხების სურვილი.

ცხადია, არც საეკლესიო რეფორმაზე აიღებდნენ ხელს, ეგაა, უფრო ფრთხილ მეთოდებს ამჯობინებდნენ და ეპარქიებს კი მაინც შეკვეცდნენ.

* * *

1822 წელს ალექსანდრე ბატონიშვილს სალმასტის პროვინცია გადაეცემოდა საგამგებლოდ, დასახლებით კი სოფელ ხოსროვათივულში დასახლდებოდა თავის 50 მხლებელთან ერთად.

ეს ის სალმასტია, რომელიც გეოგრაფიულ არეალად წარმოედგინა მიხეილ ჯავახიშვილს ალექსანდრე ბატონიშვილზე შექმნილი რომანისათვის.

წინ კიდევ ელოდა ბატონიშვილს მღელვარე ამბები, იმდენი აღარ, მაგრამ მანც, ოღონდ ეგეცაა — მთავარი ღერძი მისი ბიოგრაფიისა უკვე დაბლა ეშვებოდა, უმნიშვნელოვანესი მოვლენები უკან დარჩენილიყო და რაღა მაინცდამაინც სალმასტში ცხოვრების ხანა უნდა აერჩია რომანისტს სიუჟეტის გასაშლელად?

ადვილი მისახვედრია, რომ რეტროსპექტულად უსათუოდ შემოიჭრებოდა თხრობაში ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მაგრამ კომპოზიციის ძაფი აქედან აიგებოდა და შუაგულში ეს სპარსული პროვინცია მოექცეოდა.

ნოსტალგიის თემა აქედან უკეთ გაიაზრებოდა და გაიშლებოდა?

მარტო ეს არ უნდა იყოს და ამ არჩევანს უნდა ასაზრდოებდეს მწერლის ყოფნა ირანში პოლიტიკური მისიით. ეტყობა, მაშინ დაუტრიალდა გონებაში ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი, ასოციაციებმა ჩაითრია და მისი ბედი კიდევ უფრო გაასიგრძეგანებინა და ხელშესახებად განაცდევინა კიდეც — ეს ისე, თავისთვის, პოლიტიკურ კარიერაზე რომ ფიქრობდა და აღარც ეგონა თუ ოდესმე დაუბრუნდებოდა ლიტერატურას, რომელსაც ამ ასპარეზზე გამოჩენისთანავე ჩამოხსნოდა.

თითქოს ან გამოჩენა რა იყო და ან გაუჩინარება.

არადა, დაუბრუნდებოდა, ტრიუმფითაც აღბეჭდავდა ამ ხელახალ შემოსვლას და, ალექსანდრე ბატონიშვილის აჩრდილიც რომ არ მოასვენებდა, ირანული შთაბეჭდილებანი და განცდები გაუხუნრად აღდგებოდა მის მხატვრულ წარმოსახვაში.

აღდგებოდა და გმირის ბედისწერა სალმასტის პროვინციას გადაეჯაჭვებოდა — არა ქართლ-კახეთს, რომლის სამეფოს ამოგებასაც გადააგებდა სიცოცხლეს; არა ჩრდილოკავკასიას — რომლის მითოსშიც დაემკვიდრებინა ადგილი; არა ახალციხეს — საომარ პლაცდარმად რომ ეგულებოდა; არა ერევანს — მისი საიმედო დასაყრდენი რომ გახლდათ და მერე სულაც სიძედ მოევლინებოდათ.

სალმასტს, მაინცდამაინც სალმასტს.

და თუ იმ განცდებიდან და შთაბეჭდილებებიდან არ დაბადებულიყო ეს არჩევანი, სხვა რა მიზეზი აქცევდა ამ ირანულ პროვინციას ქართველი მწერლის რომანის გეოგრაფიულ გარემოდ და კომპოზიციურ ჩარჩოდ? რომანისა, რომლის შექმნაზეც მიხეილ ჯავახიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა?

იქ კი, ირანის ამ მაზრაში, ჰავა იყო, წყალი იყო, ბაღები თუ ტყეები, ყოველივე რაღაც სხვა მშვენიერებით აღბეჭდილიყო და ალექსანდრეს თავის მშობლიურ მხარეს რომ აგონებდა, ცოტაოდნავ მაინც უქარვებდა ნოსტალგიას უმეტესად სომხებით დასახლებულ გარემოში, აისორებიც რომ ბლომად ცხოვრობდნენ.

ამასობაში ვაჟიც შეეძინებოდა, პაპის სახელს რომ დაარქმევდნენ, ერეკლეს, და იმთავითვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებდნენ, არარსე-

ბული, ჯერაც დასაბრუნებელი ტახტის, მაგრამ მისი დაბადება უფრო გაამძაფრებდა ჟინს ოცნებად გადაქცეული მიზნის აღსასრულებლად.

სიბერის შვილს ბიბლიური ტრადიცია განსაკუთრებულობით აღბეჭდავდა და დიდ მოვლენათათვის გაამზადებდა, და ბაგრატიონთა შთამომავლობა, დავით წინასწარმეტყველის წიაღიდან გამოსული, ვითომ რატომ არ უნდა გაცისკროვნებულიყო იმ რწმენა-წარმოდგენებითა და მისი კიდევ ერთი დადასტურებით ყოფით რეალობაში?

ბატონიშვილს 2000 ლირა აქვს დანიშნული ყოველწლიურად და პირველადაა, უშფოთველ გარემოში რომ უწევს ცხოვრება.

თუმც ვერც თვითონ დადგება მშვიდად.

და არც ირანი მოასვენებს.

აბას-მირზას ძალიან შეუჩნდებოდა ინგლისი, ხელსაყრელი დრო ახლა გაქვს თუ გაქვს და მარჯვედაც გამოიყენეო.

ხელსაყრელ დროს რას ეძახდნენ, ძნელი სათქმელია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე თითქოს ვერ მოჩანდა მაინცდამაინც სახეიროდ ირანისათვის, მაგრამ ინგლისს თავისი ანგარიშები ჰქონდა და აბას-მირზას, ისედაც შემართულს რუსეთის სამხედრო ექსპანსიის აღსაკვეთად და მათ გადასარეკად კავკასიონის ქედს მიღმა, ადვილად აიყოლიებდა.

მარტო საკუთარი თავის იმედად კი არ ყოფილა ირანის ტახტის მემკვიდრე, რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მაჰმადიანური პროვინციების წამოშლასაც ვარაუდობდა; და თუ ამ მხრივ ვინმე ამოუდგებოდა გვერდით, უპირველესად ალექსანდრე, ვისაც 1826 წლის მარტს ტრაპიზონში ლტოლვილი ვახტანგ ბატონიშვილი შეეხმიანებოდა ბარათით.

იქაც ჩაეღწია ხმებს რუსეთ-სპარსეთის მოსალოდნელი ომის თაობაზე და, რა გასაკვირია, იმას ამ გარდუვალ შეტაკებაში საქართველოს სარგებელი ეძია. თუ ომის დაწყებისთანავე ალექსანდრე გაემგზავრებოდა ქართლ-კახეთში, ხოლო თვითონ — იმერეთში, ორივე შეძლებდა ხალხის ამღელვარებას.

— თუ ღმერთმა ქნაო, — იწერებოდა ვახტანგ ბატონიშვილი.

ალექსანდრე ყოველ წუთს მოელოდა თავრიზში გამოძახებას აბას-მირზასთან.

ეს დღეც დადგებოდა ივნისში.

თავრიზიდან 2 000 სპარსელ მხედარს გამოაყოლებდნენ და გამოგზავნიდნენ ყაზახისაკენ, რათა იქიდან კახეთს შემოწყობოდა და ახლა მაინც დაესაკუთრებინა იქაურობა.

სპარსელები აბას-მირზას მეთაურობით კი იმდენნი შეიყრებოდნენ, მდინარე არაქსს რომ გადმოლახავდნენ, ამიერკავკასიის მთელ სამხრეთ საზღვარს დაიკავებდნენ.

ამხელა ჯარის წინსვლით გულმოცემული ალექსანდრე თამამად შემოიჭრებოდა კახეთში, სადაც 18 წლის წინათ სასტიკი რევოლუცია გამოიწვია და კინაღამ დაამხო რუსული ხელისუფლება.

როგორ შეცვლილიყო ვითარება ამ ხნის მანძილზე.

სადღა იყო კახელთა თავგანწიული ბრძოლა ალექსანდრე ბატონიშვილის დროშის ქვეშ.

ახლა... მის დასამარცხებლად და განსადევნად შეიმართებოდნენ.

— არღარა მოერთვენ კახნი შიშისათვის რუსთა.

ბაგრატ ბატონიშვილი მოსახლეობის დაშინებით ახსნიდა ამ მკვეთრ ცვლილებას საზოგადოებრივ შეგნებაში, როდესაც ვეღარ გაგირჩევია განმათავისუფლებელი დამპყრობლისაგან... ან იქნებ გაგირჩევია კიდეც, მთლად ასეც არ დაგჩლუნგებია ცნობიერება, მაგრამ შიში გძლევს და იარაღს იმას უღერებ, ვის იქითაც არავითარი გზა და საშუალება არ არსებობს რუსული უღლის გადაგდებისა.

და უკვე იმას ფიქრობ, მარჯვედ როგორ მოირგო ეს უღელი.

საზოგადოებრივი შეგნების ამ მკვეთრი ცვლილების ბრალი გახლდათ, ქიზიყში შესული ალექსანდრე ამაოდ რომ შეაწყდებოდა სიღნაღის აღებას და უკან დახევა მოუწევდა.

შამშადილში გადასული დაიწყებდა თათრული მოსახლეობის აჯანყებასა და შეგროვებას მდინარე ტაუზთან, მაგრამ დაძვრას ვერ მოასწრებდა, გენერალი მადათოვი დაესხმოდა თავს, დაამარცხებდა და 22-23 აგვისტოს აჯანყებულნი გაქცევით თუ უშველიდნენ თავს.

ალექსანდრე ახლა ჭარ-ბელაქანს შეაფარებდა თავს და პარტიზანულ ბრძოლას გაუმართავდა რუსის ჯარს, კახეთში რომ ჩამდგარიყო — აქამდე მტკიცედ, ამიერიდან კი ერთხანს მოსვენება აღარ ექნებოდა ბატონიშვილის გაუთავებელი თავდასხმებისაგან.

9 სექტემბერს გენერალ-ლეიტენანტი ერისთავი საიდუმლოდ შეატყობინებდა თელავის ოლქის უფროსს, ალექსანდრე 300-კაციანი რაზმით ჭარში ტრიალებსო.

ალავერდობის დღესასწაული რომ მომდგარიყო, ხალხის თავშეყრა ამ ზეიმზე ბატონიშვილისათვის სახეირო გამოდგებოდა, მიუხედავად მოსახლეობაში დათესილი შიშისა, ერისთავს დიდად არ ეიმედებოდა, რომ დღესასწაულის მონაწილენი ალექსანდრეს წინააღმ-

დეგ შეაბრუნებდნენ იარაღს, ყოველ შემთხვევაში გარისკვა არა ღირდა, და აფრთხილებდა წერილის ადრესატს:

— აკრძალე ალავერდობა.

ლამის ორი ათეული წლის წინათ არ იყო, აქაურობა რომ გადაქსელილიყო რუსული რაზმებით, აქ ეპირებიან ალექსანდრე ბატონიშვილის მეფედ კურთხევასო?

ახლა სულაც უნდა აეკრძალათ.

არა კმაროდა ალავერდობის ჩაშლა, ალექსანდრეს შემოჭრა ყოველ წუთს გახლდათ მოსალოდნელი და ყოველი მხრიდან, ამიტომაც ოლქის უფროსს საგანგებოდ უნდა ეზრუნა კახეთის გასამაგრებლად.

აღარ დასცალდებოდა ალექსანდრეს პარტიზანული ბრძოლის გაშლა.

13 სექტემბერს ელისავეტპოლთან აბას-მირზა სასტიკად დამარცხდებოდა გენერალ პასკევიჩის ჯართან, და ეს მარცხი გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, რაკიღა ომის ბედი ველარ შემობრუნდებოდა და ირანი ერევნის სახანოს რომ დაკარგავდა, სულაც თავრიზის დაცემის მხილველნიც შეიქნებოდნენ.

თუმც მანამდე ჯერ ადრეა.

ჯერ ალექსანდრემ შაქში უნდა გადაინაცვლოს და ჰაჯი-ხანთან ერთად — კახეთში შეჭრამდე — მოაწყოს თავდასხმები ყარაბახზე. შამშადილიდან მის დასახმარებლად ჰუსეინ-ხანი უნდა გამოემართოს, ერევნის სარდალი, მაგრამ ერმოლოვმა უნდა დაასწროს და ყაზახის დისტანციაში შეიყვანოს ჯარები, ჰუსეინ-ხანი მთაში გამაგრდეს და ყაზახისა და შამშადილის მოსახლეობამ ამბოხებისაგან თავი შეიკავოს.

ბატონიშვილმაც ველარ უნდა წამოშალოს... ბატონიშვილმაც, აბა!..

ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის კი ერმოლოვმა იმპერატორს უნდა მოახსენოს:

— ჩვენი სამფლობელოები უკვე გაწმენდილია მტრისაგან და მერმის საომარი ასპარეზი უკვე სპარსეთის სამფლობელოები იქნება.

ეზმანებოდა ერევნის აღება, რუსთათვის ამდენი ხნის ნაოცნებარი, უძლეველ ციციანოვსაც რომ წაატეხინებდა კისერს, და ახლა ეს გამარჯვება რამხელა სახელს მოუხვეჭდა მთავარმართებელს!.. მაგრამ ეს იმპერატორსაც ჩინებულად მოეხსენებოდა, არ გაემეტებოდა მისთვის ეს სახელ-დიდება, რომელსაც პასკევიჩს არგუნებდა, ახალ ფავორიტს, ვინც ერმოლოვს მთავარმართებლის პოსტზეც შეცვლი-

და და აუღებელ ერევანსაც ფეხქვეშ გაიფენდა 1827 წლის 1 ოქტომბერს.

ჰუსეინ-ხანს დატყვევება არ ასცდებოდა.

მაშინ მოხდებოდა სწორედ, ნახიჭევანთან მცირე რაზმით მდგარი გენერალი ერისთავი ძალიან რომ გათამამდებოდა, მარჯვედ აუღებდა ალღოს ვითარებას, დათრგუნული აბას-მირზა ხოის ციხეში რომ შეკეტილიყო, და თავრიზზე გაილაშქრებდა.

გამაოგნებელი რამ ხდებოდა.

კავკასიიდან რუსების გასარეკად დაძრული ჯარები გაულეტილ-მიმოფანტული აღმოჩნდებოდა და თავრიზი კი, სიმდიდრით განთქმული და ირანის მეორე დედაქალაქად აღიარებული, 13 ოქტომბერს უბრძოლველად ჩაუვარდებოდა ხელთ რუსთა ამ მცირე რაზმს — ქართველი კაცის მეთაურობით.

ავანტიურა გაამართლებდა.

რაკიღა ასეთი რამ ვერაფრისდიდებით ვერ წარმოედგინათ, ქალაქის გამაგრებაზე ოდნავადაც არ უზრუნიათ, და გენერალ ერისთავის რაზმი რომ მიაწყდებოდათ, ვისაც მისი დაცვა ევალებოდა, თავს უშველიდნენ.

გენერალი ერისთავი ერთბაშად დიდების მწვერვალზე აიტყორცნებოდა.

თქვენ იფიქრეთ, როგორი გადასატანი იქნებოდა ეს პასკევიჩისათვის!..

ერევნის აღება დაიჩრდილებოდა თავრიზის დაპყრობის ფონზე.

ოცნების აღსრულება დაკნინებულად გამოჩნდებოდა დაუჯერებელი მოვლენის წინაშე.

რუსხელმწიფის ფავორიტი ამას ვერ მოითმენდა და თავრიზში მრისხანედ ჩაიჭრებოდა და, რა მადლობა, რომელი მადლობა, ბრწყინვალე სამხედრო მისიის გმირს ყვირილსა და ლანძღვას აუტეხდა.

ერისთავი გატვრინდებოდა, არამცთუ არ შეეკამათებოდა, ერთხელაც არ შეანყვეტინებდა ლანძღვა-გინების ნაკადს, დაე გული მოიჯეროსო.

და პასკევიჩი სულს რომ მოითქვამდა და სასჯელის შერჩევაზე დაიწყებდა ფიქრს, გენერალ-ლეიტენანტი სახელ-დიდებას მშვიდად გადაულოცავდა:

— თავრიზის აღებაც, ისევე, როგორც ერევნისა, მარტო თქვენი საქმეა და მე გილოცავთ ამ გამარჯვებას.

პოტო მოხერხებულობას შეუქებდა ერისთავს, პასკევიჩზე კი იტყოდა: დაიბნაო.

დაიბნეოდა, აბა, რა მოუვიდოდა!..

ხელის გაუნძრევლად ჩაუვარდებოდა ხელთ თავრიზის ამღების სახელი.

ყელზე მოეხვეოდა ერისთავს რუსი მთავარსარდალი, შესაძლოა „ბატუშკაო“ — მასაც ეს აღმოხდა, როგორც ჯარისკაცები ეძახდნენ ამ მეთაურს, ყოველ შემთხვევაში დამადლებით ძალიან დაუმადლებდა ამ ძღვენს და ერისთავს ჯვარზეც წარადგენდა.

საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ ჯვარი მამაც გენერალს ეკუთვოდა იმ დახმარებისათვის, რაც პასკევიჩს გაუწია თავრიზის აღებისას.

დახმარებისთვისო!..

მაინც რომ არ მოითმენდა თავის გვერდით ასეთი გამორჩეული სარდლის ყოლას, ადვილი მისახვედრია. ყოველთვის კი აღარ გადაულოცავდა დაპყრობილ ქალაქებსა თუ ციხესიმაგრეებს, თანდათან ეგებ გათამამებულიყო და გამარჯვებაც აღარ გამეტებოდა დასაკარგავად; ამიტომაც პასკევიჩს ერჩივნა გაეთავისუფლებინა სამხედრო სამსახურიდან, თორემ გვერდიდან მოცილებულისათვის უკვე არც სენატორის წოდებას დაინანებდა.

თამარ პაპავა თავს ვერ იკავებს, რომ იქვე არ გაიხსენოს მოგვიანო ხანის ეპიზოდიც, როდესაც პასკევიჩი ასევე მოექცეოდა ალექსანდრე ჭავჭავაძესაც, ჩვენთვის თვალსაჩინო პოეტს, რუსთათვის — გამოჩენილ მხედარს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი სწორედ ერისთავს აბრალებს ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახობის — მარიამისა და მცირეწლოვანი ერეკლეს — დატყვევებას.

ამ თავგამოდებას კი იმით ახსნის, რომ მან გააგრძელა ღალატის ის ტრადიცია, რასაც ქსნისა და შემდგომ არაგვის ერისთავებიც იჩენდნენ ერეკლე მეორისა და მის შთამომავალთა მიმართ, და ამ სახლის წევრი მარიამისა და მისი პატარა ერეკლეს მოძებნაზეც ამიტომ იზრუნებდა გულმოდგინედ.

ვარაუდის გამოთქმა კი სჭირდება იმიტომ, რომ პოტო არაფერს გვამცნობდა, თუ ვის აღმოეჩინა ალექსანდრეს ცოლ-შვილი, ვის შეეკრა მოულოდნელად გზა ამ ოჯახისათვის, არ მიეცა გასაქანი და კიდეც მოეწყვიტა თავრიზს გარეთ დარჩენილი ბატონიშვილისათვის.

არ შევცდებით, თუ ასე ვიფიქრებთო, — დასძენს თავის ვარაუდს დოკუმენტური მოთხრობის ავტორი, რაკიღა ინტუიციაც და ისტო-

რიული გარემოებანიც ერთხმად უდასტურებდნენ ერისთავის ამ მძიმე ცოდვასაც.

თავრიზის აღებაც, ისევე, როგორც ერევნისა, მარტო თქვენი საქმეა და მე გილოცავთ ამ გამარჯვებასო...

ბატონიშვილის ოჯახის დატყვევებასაც უთუოდ ასეთივე ზარზეიმით ამცნობდა:

მათი შეპყრობა მარტო თქვენი საქმეა და მე გილოცავთ ამ სიმარჯვესო.

ის არ შეიფერებდა თუ რა!..

ამხელა მიღწევა ამდენი წლის მანძილზე.

მართალია ალექსანდრეს ვერც ის მიწვდენოდა, მაგრამ მისი ცოლშვილი ხომ მაინც იგდო ხელთ, ეს კი პერსპექტივას ხსნიდა ბატონიშვილთან მისაახლოებლად, რომ აღარაფერი ითქვას თავისთავად ამ მოვლენის მნიშვნელობაზე.

ცალი ფეხით უკვე ჩაჭერილად ეგულებოდათ.

არა, მაინც რანაირად მოემწყვდნენ თავრიზში?

ალექსანდრეს ხშირი მიმოსვლა უხდებოდა.

აბას-მირზა თვითონ ძლივას გაასწრებდა და ვერაფერს იღონებდა მეგობრის ოჯახის გამოსაყვანად ალყიდან.

აი, რა იცის უეცარმა, სრულიად მოულოდნელმა შეტევამ.

და რა იცის მტრობისა და ღალატის დაუშოშმინებლობამაც.

წინასწარვე საგანგებო ზომები რომ არ მიეღო ამ შეტევის ერთპიროვნულ ავტორს (აჩუქებდა თუ არ აჩუქებდა პასკევიჩს, ნამდვილი ისტორიის შეცვლაც ხომ არ შეიძლება ყალბი ანალების გვერდით!), ცხადია, მოახერხებდნენ მარიამისა და ერეკლეს გამოყვანას რკალიდან, მათ ხომ ალექსანდრესგან ყველაზე სანდო ადამიანები ეყოლებოდათ მიჩენილი, მაგრამ იმ პიროვნებებს შეუძლებლის შეძლება არ დასცალდებოდათ.

და ახლა ისინი უკვე პასკევიჩის ხელთ იმყოფებოდნენ.

23 წლის მზეთუნახავი და 5 წლის ტახტის მემკვიდრე, არარსებული ტახტის.

თამარ პაპავას არა სწყინდება ახსენოს მისი იშვიათი სილამაზე თუ ზღაპრული სიტურფე, მაგრამ ამასთან საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა იმ ისტორიულ ცნობასაც, რომ მარიამს საკმაო გავლენა მოეპოვებინა ირანის მაღალ წრეებში და რომ ამაზე მთელი თავრიზი ლაპარაკობდა.

ის, რომ ქართველ ემიგრანტთა წრე და შიკრიკობა მარიამს ისე უყურებდა, როგორც საქართველოს მომავალ დედოფალს, რა გასაკვირია;

საგულისხმო სწორედ ესაა, მთელი თავრიზი რომ აულაპარაკებია, და თამარ პაპავა ამ ცნობაში ამოიკითხავდა მარიამის მიერ დაარსებული პოლიტიკური სალონის ამბავს, სალონისა, სადაც არამარტო ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად გახიზნული ქართველები იყრიდნენ თავს, არამედ ერევნის სახანოდან და დაღესტნიდან გადმოსულნიც და ალბათ თვით თავრიზის ანტირუსული ნაკადიც ამ ოჯახში ჰპოვებდა სათავეს.

უთუოდ შესასწავლია ქართველ ემიგრანტთა სალონების ისტორია, როგორც პოლიტიკური, ასევე ლიტერატურული თუ სახელოვნებო, ამ ჯაჭვში კი გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მარიამ აღამალიან-ბაგრატიონის სალონი, რომელიც საქართველოს გამოხსნისა და სახელმწიფოებრიობის რწმენით განმსჭვალულიყო და მოწოდებულიყო სომეხ-ქართველთა ერთობის ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლადაც.

ჯერ მარტო სპარსელ სომეხთა მოწინავე წრე რომ შეიქნებოდა ამ სალონის მუდმივი სტუმარი და ალექსანდრე ბატონიშვილის დამფასებელი და მომხრე, რამდენს ნიშნავდა მისი გავლენის გასაზრდელად ერევნის სახანოში, სადაც ისედაც აღიარებულიყო გმირად და თავისიანად, და ახლა თავრიზიდან ჩამოღწეული ის შორეული ხმებიც ამასვე ადასტურებდა.

მოიშლებოდა ეს სალონი: სომეხი ქალის მიერ ქართულ ყაიდაზე გაწყობილი თავრიზში.

არა, მაინც რა ჩაიდინა ეს გენერალმა ერისთავმა.

და თუმც პასკევიჩს განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ამ ნადავლით, მოერიდებოდა არამცთუ მკაცრ მოპყრობას, თავრიზში დატოვებასაც კი ალექსანდრეს ოჯახობისა და მარიამსა და მის ვაჟს ერევანში გაგზავნიდა — მელიქ სააკთან, არსებითად შინაპატიმრობას მიუსჯიდა და მეთვალყურეებსაც მიუჩენდა, ყველაზე გამოცდილთ, მაგრამ ალექსანდრეს გამოცდილება გადააჭარბებდა მათ გამოცდილებას და იგი მაინც შეძლებდა ცოლ-შვილთან დაკავშირებას წერილებითაც და შიკრიკთა მეოხებითაც.

პარტიზანულ ბრძოლას გაგრძელება აღარ ეწერა და 1828 წლის იანვარში ალექსანდრეს მოუწევდა თურქეთში ლტოლვა, ხრუსაში დაბინავდებოდა, არზრუმის მახლობლად და კვლავაც თავის გაუნელებელ ფიქრებში იქნებოდა, რაკიღა ცოლ-შვილის დარდი ისერიგადაც არა ჰქონდა, რაც უნდა იყოს, ჯერჯერობით მისი სიმამრის ოჯახში იმყოფებოდნენ და ვიდრე იმპერატორი თავისთან გაიწვევდა — რისი დიდი მოსურნეც იქნებოდა და საამისოდ მიზანმიმართულადაც დაატრიალებდა ხელქვეითებს — ეგებ ამასობაში რაღაც სასიკეთო მომხდარიყო.

ირანის იმედი ჩაიფერფლებოდა.

თურქმანჩაიში დადებული ზავი 1828 წლის 10 თებერვალს ირანს მძიმე ყოფას უქმნიდა. მართალია თავრიზს დაიბრუნებდა, მაგრამ ერევნისა და ნახიჭევანის ოლქების დათმობა მოუწევდა და კიდევ დიდი კონტრიბუციის გადახდაც.

სამაგიეროდ, ოსმალეთი დგებოდა ყალყზე, ასეთ დროს კი ალექსანდრეს იქ ყოფნა მისწრება გახლდათ და იფიქრებდნენ, იმერეთში ხომ არ შეგვეგზავნა აჯანყების მოსაწყობადო?!.

ამასობაში თურქეთში გახიზნული სოფიო გურიელი შეეცდებოდა გურიის ტახტის დაბრუნებას, ამ მხარის უკანასკნელი მთავარი, თამარ პაპავა „მხნე და თავდადებულ დედოფლად“ რომ მოიხსენიებს.

და ალექსანდრე ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა. თუ ვინმე ამოუდგებოდა გვერდით სოფიო გურიელს, ერთი უპირველესთაგანი სწორედ იგი, ვახტანგ ბატონიშვილსა და ქაიხოსრო გურიელთან ერთად ქობულეთში რომ აღმოჩნდებოდა, და რუსეთთან ომი თურქეთის სასარგებლოდ რომ წარმართულიყო, გურია აღიდგენდა დამოუკიდებლობას და ეგებ ეს ყოფილიყო პირველი რგოლი საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად.

მარცხს განიცდიდა თურქეთი.

და გურიის დამოუკიდებლობაზე ოცნებაც მას გადაჰყვებოდა.

დროდადრო აქეთაც მოანყდებოდა ალექსანდრე — ირანისაკენ.

1828 წლის ოქტომბერში ალექსანდრ გრიბოედოვი ნესელროდეს მისწერდა:

— ბატონიშვილმა ითხოვა არზრუმიდან სპარსეთში დაბრუნების ნებართვა, მაგრამ სპარსეთის მთავრობამ უარი შეუთვალა.

ნეტა ეს რეალობა გახლდათ თუ გადამეტებულმა სურვილმა მოაჩვენა რეალობად?

ასეა თუ ისე, ხმები კი გავრცელდებოდა, ირანს აღარ ეჭაშნიკება ბატონიშვილის დაბრუნება, რათა დაწყობილი შეთანხმება რუსეთთან ერთბაშად არ აინგნოსო.

მის გამოჩენას მართლაც შეიძლება მოჰყოლოდა დამატებითი გართულებანი ამ სახელმწიფოთა შორის.

არა, სპარსეთი ალექსადრეს როგორ შეელეოდა, ეგაა, დროებით ერჩივნა მისი თვალს მიფარება, თორემ შესაფერის ჟამს თუ იგუმანებდა, იქნებ ჯარითაც მისჭროდა თურქეთს ბატონიშვილის გამოსატაცებლად, ჩვენთან უფრო უპრიანია მისი ყოფნაო.

პირველი შემთხვევა იქნებოდა თუ რა!..

თურქეთი ვერა და ვერ გაიმართებოდა წელში და იძულებული შეიქნებოდა დათანხმებოდა მისთვის მეტად არასახარბიელო ზავს ადრიანოპოლში, 1829 წლის 2 სექტემბერს.

თურქეთის ეს მარცხი ისედაც სამძიმო იქნებოდა ბატონიშვილისათვის, სხვა მხრივაც რომ დიდად სამწუხარო არ ყოფილიყო:

ამ ზავის პირობების მიხედვით, ახალციხეც რუსეთის ხელში გადადიოდა.

ჯერ ერთი საყრდენი გამოეცალა — ერევნის სახანო.

ახლა ესეც უნდა დამატებოდა — ახალციხის საფაშო.

ერთმა ზავმა ერთი შეიწირა, მეორემ — მეორე.

გასაქანი აღარ რჩებოდა და ეგაა.

სალმასტში დაბრუნება რომ მოუწევდა, იქ სომეხი მოსახლეობა აღარ დახვდებოდა. პასკევიჩს გადმოესახლებინა საქართველოში, მის სამხრეთ მხარეში. ასეთ ხელოვნურ მიგრაციას საგრძნობლად უნდა აეჭრელებინა ჩვენი ქვეყნის ეთნიკური სურათი, გაემწვავებინა ქართველთა შევიწროების პროცესი და შეექმნა დაპირისპირების მძლავრი კერა, რომლის ამოქმედებაც რუსეთს ყოველთვის შეეძლებოდა, როგორც კი დაისაჭიროებდა.

სომეხთა გადმოსახლების ამბავი მწუხარებაში ჩააგდებდა ბატონიშვილს.

ის, რაც საყრდენი უნდა ყოფილიყო მისთვის საქართველოს გამოხსნისათვის ბრძოლაში, პირიქით, დამაბრკოლებლადაც გადაიქცეოდა რუსების ხელში.

მის ისედაც შემოზღუდულ ყოფას ესეც ემატებოდა.

იქ კიდევ ცოლ-შვილი ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში — განა როდემდე დატოვებდნენ მარიამს მამისეულ კერაზე, იმპერატორი პირადად ჩარეულიყო ალექსანდრეს ვაჟის ბედის გადაწყვეტაში, ეს ჩარევა კი გულისხმობდა მის გამგზავრებას პეტერბურგში, ადრე იქნებოდა თუ გვიან.

ამ განცდებშია და ფარულ მიმოწერაში მარიამთან, რომ პასკევიჩისაგან კაცი მიუვიდოდა, გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ვინც ურჩევდა, ხომ ხედავ, ამდენი მცდელობით არაფერი გამოგივიდა და გიჯობს დამორჩილდე რუსეთის მთავრობასო.

კვლავ იმავეს დაახარბებდა (თავისი ჭკუით!), რასაც აქამდეც არაერთხელ შეპირებოდნენ — სრულ კეთილდღეობას, ოღონდ, ცხადია, პეტერბურგსა ან მოსკოვში, ანდა რომელიმე სალმასტივით ოლქში, თუკი მის მართვა-გამგებლობას მოიწადინებდა.

დუბროვინი დაეყრდნობოდა შერმაზან ვარდანიანის მონათხრობს და მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობდა, ვიდრე ბატონიშვილს აცნობებდნენ, რომ რუსეთში მას მიეცემოდა სახელმწიფო ბინა. ამის გაგონებისთანავე ალექსანდრე უარს განაცხადებდა პეტერბურგში გამგზავრებაზე მისთვის ფრიად დამაჯერებელი მოტივით:

— მე ვიცი, თუ რას ნიშნავს თქვენთან სახელმწიფო ბინა. ესაა ციხე, სადაც ათავსებენ ბოროტმოქმედებს.

შოთა ხანთაძე ამ პასაჟს გაიხსენებდა უპირველესად იმ გარემოების წარმოსაჩენად, რომ — სხვა მთავარმართებლებისა არ იყოს — პასკევიჩიც დაინტერესებული იყო ბატონიშვილის შემორიგებით, რათა დუბროვინის ეს ცნობა შეეპირისპირებინა ალექსანდრე ორბელიანის მრავალმხრივ დამაფიქრებელი უწყებისათვის მისი მხატვრულ-დოკუმენტური მატიანიდან.

გრიგოლ მუხრან-ბატონის ვინაობას სწორედ ეს მემატიანე გვატყობინებს და ისეთ ფარულ ხლართსაც გვიმჟღავნებს, რაც უიმისოდ დაგვეკარგებოდა, არადა, ამის დაკარგვა როგორ შეიძლებოდა.

ვარაუდით კი ვივარაუდებდით, ასე არ იქნებოდაო, თუკი ის ბარათი ჩაგვივარდებოდა ხელთ, და ეჭვს უსათუოდ ყალბისმქნელებზე მივიტანდით, მაგრამ ეჭვი მაინც ეჭვია, ვარაუდი მაინც ვარაუდია, დოკუმენტურად დადასტურებული ცნობა კი სულ სხვაა, მითუმეტეს, როდესაც ასერიგად სანდო მემატიანე გვაწვდის და თანაც გვაწვდის უშუალოდ იმ პირველწყაროზე დაყრდნობით, თვითონვე ვინც გარეულიყო იმ ყალბისმქნელობაში.

ნეტა იძულებით თუ კიდეც ეამაყებოდა, მაინცდამაინც მას რომ მიანდეს ეს საქმეც?

ალბათ უფრო ეამაყებოდა, რაკიღა შუამავლობა ეკისრა პასკევიჩსა და ბატონიშვილს შორის და პირდებოდა იმ წყალობას, რისი წინაალმდეგიც ყოველთვის გახლდათ ალექსანდრე.

ვერ გაჭრიდა დესპანობა?

პასკევიჩს კიდევ უფრო მზაკვრული განზრახვა ჩაეთქვა. ერმოლოვივით კი არ შეუდგებოდა ბატონიშვილის დაკნინებას, არაფერს წარმოადგენს ჩვენთვის და სადაც ნებავს, დაე იქ იცხოვროსო, არამედ ამ გრიგოლსა და კიდევ იასე ანდრონიკაშვილს დაავალებდა ბარათის შედგენას... ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით.

ეტყობა, ორივეს ეხერხებოდა კალიგრაფიის მიმსგავსება.

ამასთან, გულდასმით შეისწავლიდნენ ხელისუფლების მიერ ხელში ჩაგდებული მისი წერილების სტილისტიკას, აითვისებდნენ ალექ-

სანდრეს სტილური მანერის თავისებურებასა და ნიუანსებს და მარჯვე ტექსტსაც გამართავდნენ.

მემატიანე სწორედ ამას გვამცნობს: იმათ კარგად იცოდნენ ბატონიშვილის მიწერ-მოწერაო.

და აჰა, ისიც, ყალბისმქნელობის ნიმუში:

— მითამ პასკევიჩთან თხოვა შერიგებისა და მითამ პასკევიჩიც უარსა სწერს სხუა წიგნში: არ შეიძლებაო.

თვითონ ეძალებიან, თვითონ არ ასვენებენ და... ვითომდა ის არ ეშვებათ და იხვეწება შემორიგებას. იხვეწოს, რამდენიც სურდეს, ახალი რეჟიმი კი არაფრად აგდებს და...

ტიპური რუსული ხელწერა!..გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკისა და იასე ანდრონიკაშვილის ნაყალბევმა სახელი უნდა შეუბღალოს ბატონიშვილს — იმ ყოფით რეალობაშიც და ისტორიაშიც.

ყოველ შემთხვევაში მიკერძოებული ისტორიკოსები და პუბლიცისტები ხელზე დაიხვევდნენ და სავსებით მართებულ ვარაუდსა და ეჭვს დაუპირისპირდებოდნენ.

მაგრამ ისტორიის წინაშე ალექსანდრე ორბელიანი მოევლინებოდა მშველელად და თავისი სახელოვანი ბიძის აჩრდილს თავისსამართლებლად არ გაუხდიდა საქმეს.

გრიგოლ მუხრან-ბატონს ალბათ კიდეც ეამაყებოდაო...

ეს მაშინ, ყალბი ტექსტის შექმნაზე რომ მუშაობდა, თორემ მერე და მერე სინანულის განცდა გაუჩნდებოდა, წუხილი სულ უფრო შეაწუხებდა და აღსარების სათქმელად... ალექსანდრე ორბელიანს მიაკითხავდა.

როგორც ყველამ იმჟამინდელ საქართველოში, გრიგოლმაც ჩინებულად იცოდა, ალექსანდრე ბატონიშვილის დისწული ისტორიულ ქრონიკებს რომ ადგენდა, ყველაფერს იძიებდა, ყოველივეს აზუსტებდა, ფარულ ნაკადებსა თუ ხლართებს უკვირდებოდა, ახსნას ცდილობდა და მზის სინათლეზე გამოჰქონდა, და დაე ამ მზაკვრობის ამბავიც სცოდნოდა მონანიე პირისაგან.

მემატიანე რისი მემატიანე იქნებოდა, ყალბისმქნელობის მეორე მონაწილისათვისაც არ მიეკითხა. ნეტა იმასაც გაღვიძებოდა მონანიების გრძნობა? ასეა თუ ისე, ალექსანდრე გრიგოლ მუხრან-ბატონის ნაამბობს რომ გაუმეორებდა, უკან ვეღარ დაიხევდა და თავის მხრივაც დაადასტურებდა.

უკეთესი მოწმეები ვიღა უნდა ეშოვნა ალექსანდრე ბატონიშვილის სრული უცოდველობის თვითმხილველებად.

ვიცი, რასაც ნიშნავს თქვენთან სახელმწიფო ბინაო...

თუნდაც მასთან მიმართებით მორიდებოდნენ ამგვარ ცინიზმს და მართლაც სამკვიდრო ებოძებინათ, შინაპატიმრობას ხომ მაინც ვერ აცდებოდა და, რაც მთავარია, ის სიმბოლო გაფერმკრთალდებოდა და დაკნინდებოდა თანამედროვეთა და შთამომავალთა თვალში, ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი თავისუფლების ძიებას რომ გატოლებოდა და რჩებოდა და სამუდამოდაც დარჩებოდა რუსულ ძალმომრეობასთან შეურიგებლობის ნიმუშად.

დარღვეულ დროთა კავშირის შემკვრელად რჩებოდა!..

თავი მეთხუთმეტე

ძაფები შეთქმულებასთან

ის კი მოჰგვრიდა ერთგვარ შვებას, სალმასტის სანახები კახეთის მიდამოებს რომ აგონებდა, და თუ მზე და მთვარე მთლად თელავური ვერ იყო და არც წყალს დაჰკრავდა კახურ წყაროთა გემო, ძველებური განცდები წამიერად მაინც წამოეშლებოდა ხოლმე და გაუსაძლისი ყოფის გადატანაში ეშველებოდა... დიახ, ეს კი ანიჭებდა ერთგვარ შვებას, მაგრამ უმთენარო ყოფას, მოლოდინში გადაკეცილ დღეებს როგორ უნდა შეგუებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

თვითონ შეეგუებოდა და... ის მფრინავი რაში არ დაანებებდა რისთვის მომიხმე, რისთვის მაქციე შენს განუყრელ თანამგზავრად, თუკი ასე უდროოდ თუ ნაადრევად უნდა მიგეტოვებინეო.

აღმოსავლეთისათვის თუ სრულიად უცხოა ჰამლეტის სული, მაშ ალექსანდრეს რატომღა დაკისრებოდა დარღვეულ დროთა კავშირის შეკვრა და კვლავაც ამ მისიის აღმასრულებლად რატომ რჩებოდა?!.

ადვილად ითქმის დარღვეულ დროთა კავშირის შეკვრა!..

არადა:

წყეულმა ბედმა რაღა მას არგუნა მისი შეკვრა?

თუმც... წყეულმა ბედმა რატომ, ჰამლეტივით რომ შედგომოდა მის გმობას, არამედ — მზემ... აკი მზემ დაულოცა გზასავალი და ამ შინაგანი ნათელით გასხივოსნებული არ დაიწყებდა არანაირ თხოვნა-ვედრებას არავის წინაშე, თუკი ამის წყალობით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა არ იყო მოსალოდნელი.

სამეფოს ამოგების გულისათვის არც თხოვნა-მუდარას მოერიდებოდა, თორემ მახვილის ტრიალს ხომ არა და არა, ახლა მეუღლეზე მეტად პატარა ერეკლეს ბედი რომ ადარდებდა... ძალიან, ძალიან ადარდებდაო... მარიამს ვეღარ შეცვლიდნენ, მიუხედავად ყმაწვილქალობისა, ვერ ამოუშანთავდნენ თავისუფლების სიყვარულსა და კავკასიის დამოუკიდებლობაზე ოცნებას, მაგრამ ვაითუ პატარა ბიჭი გაეზარდათ თავიანთ ყაიდაზე და ბევრად უარესადაც გადაექციათ,

ვიდრე წლების წინათ ბიძამისი — დავით ბატონიშვილი, ხელიც რომ შეაშველა რუსებს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში, თორემ გადასარჩენად განა რა იღონა?!.

ეგაა, რუსებზე უფრო რუსი მაინც არ გამხდარიყო ტახტგამოცლილი უფლისწული, ერთი საათი რომ რჩებოდა მეფობამდე, ის საბედისწერო ერთი საათი, რომელსაც განაჩენი გამოჰქონდა მისთვისაც და საქართველოს დამოუკიდებლობისათვისაც.

ვიღას ან რაღას მიწყდომოდა ბატონიშვილი.

ჩრდილოკავკასიაში ყაზი-მოლა დაწინაურებულიყო და ჯერ ის უშრობდა სისხლს რუსებს, ვიდრე იმამი შამილი აიღებდა ხელთ გამათავისუფლებელი ომის წარმართვას და დიდ ხანსაც იბობოქრებდა და იმღელვარებდა და კინაღამ გადაარჩენდა ჩეჩნეთ-დაღესტანსა და მთელს ჩრდილოკავკასიას, რუსების მხარეს მებრძოლ ქართველობას რომ არ გამოედო თავი და მათი ხელით არ მომხდარიყო იმ გარდამტეხი ბრძოლის მოგება, რეალურად გრიგოლ ორბელიანი რომ მიაღწევდა, ოფიციალურად კი გამარჯვებულის დაფნის გვირგვინს რუსი გენერალი დაიდგამდა, ერისთავისა და პასკევიჩის თავრიზული თავგადასავლისა არ იყოს.

თუმც ეს შემდგომ უნდა მოხდეს.

ჯერ ალექსანდრეს ეგვიპტის ფაშას, მუჰამედ-ალის, შიკრიკები უნდა ეწვიონ 1832 წლის დამდეგს და გადასცენ ფაშას სათხოვარი: რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა კავკასიის მთიანეთი და მეკავშირის როლი შეესრულებინა ჩრდილოკავკასიასა და ეგვიპტეს შორის.

მუჰამედ-ალის რუსეთთან რა ხელი ჰქონდა, რა ვერ გაეყო?

ოსმალეთთან მოუხდებოდა შეტაკება, რუსეთი კი ოსმალეთის მხარეს დაიჭერდა და ეგვიპტის ფაშა სამაგიეროს მიზღვას გადაწყვეტდა, დაე რუსეთს საკუთარ თავზე ეწვნია, რას ნიშნავდა მუჰამედ-ალის წინააღმდეგ მოქმედება.

მითუმეტეს, ალექსანდრე ბატონიშვილი არსებობდა, ეგვიპტისა და მთის თემების შეკავშირება ვისაც შეეძლო და ამ საშუალების ხელიდან გაშვება რანაირად იქნებოდა. ალექსანდრესაც ძალიან გამოახალისებდნენ, დიდი იმედებით კვლავ რომ აღივსებოდა და დაკარგულ ასპარეზს იმით შეანაცვლებდა, რომ მისი შიკრიკები გაქროლდგამოქროლდებოდნენ იქით ეგვიპტესა და აქეთ დაღესტანში, სადაც ყაზი-მოლა ვოლჟინსკის რაზმის განადგურებით კიდევ უფრო მეტ სახელს მოიხვეჭდა და მეტი ძალგულოვნებითაც შემართავდა მებრძოლებს.

დიდი იმედებით კვლავ აღივსებოდაო...

ეგვიპტის ფაშა ეგვიპტის ფაშად და... საქართველოდანაც მოწვდებოდა სასიკეთო ხმები, გატვრენილი, გაყუჩებული საქართველოდან, სადაც თითქმის სრულიად ჩამქრალიყო ნინააღმდეგობის ჟინი, და თუ არ ჩამქრალიყო, ისე ღრმად ჩამარხულიყო, მის გამოღვიძებას ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა, თუკი ოდესმე აღდგებოდა მამაპაპური მხნეობა და აჯანყების ზარიც კვლავ ჩამორეკდა.

ჰოი, რა ნეტარებით ჩაესმოდა იმ ზარის ხმა, რა ჟრჟოლას მოჰგვრიდა და კვლავ შუაგულ ხანძარში ამოაყოფინებდა თავს.

სად იყო, თორემ!..

არა, თუ რაიმე ნიშნები გამოჩნდებოდა, ნეტა მათი ნდობა თუ შეიძლებოდა?!.

ამბოხება მართლა ამბოხება იქნებოდა და ღირდა ბრძოლადაც და თავგანწირვადაც თუ წინასწარვე აღმოჩნდებოდა გამეტებული და ილუზიები ისე გაიფანტებოდა, საზოგადოებას სასოწარკვეთილება მოიცავდა და არა სულიერი ძალის განმტკიცება, დღეს ვერა, მაგრამ მომავალი ხომ ჩვენიაო!..

გაურკვეველ ფიქრებსა და განცდებში იმყოფებოდა ბატონიშვილი.

თვითონვე ეცადა მწვავე პროცესების გამოწვევა?

თუ უფრო შესაფერისი დროისათვის გადაედო?

ეს შესაფერისი დროც რას ერქვა?

და, აი, ჩამოაკითხავდნენ მოლა ზამანა და ქოსა მუსტაფა, რომლებიც საიდუმლო ბარათს გადასცემდნენ და მოულოდნელობის წინაშეც დააყენებდნენ.

ბარათს ალექსანდრე ორბელიანი იწერებოდა და საქართველოში აღრეულობის მზადებას ამცნობდა, ბატონიშვილისათვის ყველაზე გასახარელი რაც უნდა ყოფილიყო; თვითონ ალექსანდრესი კი დიდი იმედი ჰქონდათ აღრეულობის სამზადისის მონაწილეთ, რაღაცებს იქით შესთავაზებდნენ სამოქმედოდ, მის დახმარებაში რასაც გულისხმობდნენ, რაღაცებს მისგან მოისმენდნენ, როგორ რა სჯობდა და უშუალოდ რას აიღებდა ბატონიშვილი საკუთარ თავზე — წინასწარვე თუ აჯანყების პროცესში.

მთავარი და უმთავრესი ის გახლდათ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გარდა სხვა მეფე ვერ წარმოედგინათ.

საზოგადოდ მსურველნი ვართ შენი მეფობისაო...

ნეტა იმთავითვე ერთსულოვანნი იყვნენ თუ?..

1833 წლის 3 თებერვალს იოსებ მამაცაშვილის დაკითხვა დიდხანს რომ გაგრძელდებოდა, იგი ფარულ საზოგადოებაში თავისი პირველი განდობის გახსენებისას ცნობიერებაში აღიდგენდა გიორგი ერისთავის ნათქვამს, საიდუმლოდ გამხელილს მას შემდეგ, რაც იოსები სამუდამო ერთგულების მტკიცებას მოჰყვებოდა:

— იცი რა უნდათ, ტფილისში არის სხვადასხვა პარტია და თუმც მათ სხვადასხვა განზრახვა ამოძრავებთ, მაგრამ ყველას კი სურს აღრეულობა მოახდინონ; მსმენია, რომ მათგან ზოგს მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა, მუხრან ბატონებს კი თავისთვის უნდათ მეფობა.

8 სექტემბერს თანამზრახველის ჩვენების ამ პასაჟს გააცნობდნენ გიორგი ერისთავს და განმარტებას მოსთხოვდნენ: მართლა უთხარით თუ არა თარჯიმან მამაცაშვილს ეს სიტყვები და რაზე ამყარებთ ასეთ დასკვნას, განსაკუთრებით თავად მუხრანსკების მიმართო?

თარჯიმან მამაცაშვილის ჩვენება სწორი არ არისო, — პასუხობდა გიორგი ერისთავი, — მე მისთვის არამცთუ არ მითქვამს არაფერი ალექსანდრე ბატონიშვილისა და მუხრანსკების მეფობის თაობაზე, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ჩვენ გვაქვს საზოგადოება და გვსურს თავისუფლება. მეტი არა მითქვამს რა და არ ვიცი, საიდან გამოიგონა ეს გარემოებაო.

მართლა არ ახსოვდა თუ არ სურდა ზედმეტ გართულებებში გაეყო თავი და მისხალ-მისხალ მოეყოლა ამ პარტიათა არსებობაზე, ორი კანდიდატურა რომ ჰყავდათ სამეფოდ გამზადებული?

მას თუ ამის თაობაზე არაფერი ეთქვა იოსებ მამაცაშვილისათვის, იგი გამოგონებით ნამდვილად არ გამოიგონებდა. რისთვის სჭირდებოდა ასეთი რამის შეთხზვა, თორემ!..

რაც უნდა იყოს, აშკარაა, რომ თავიდან ფარული საზოგადოების წევრნი ერთსულოვანნი არა ყოფილან, და თუმც ბატონიშვილის სახელი ქუხდა და მის მონაწილეობას აჯანყებაში სულაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, აგერ, ბაგრატიონთა მუხრანულ შტოს თავისთვის შეეგულიანებინა ტახტი, ვითარებით სარგებლობა მოენდომებინა და კინაღამ არევ-დარევაც შეეტანა შეთქმულთა წრეში.

მუხრან ბატონებს თავისთვის უნდათო...

ეს განწყობილება მხოლოდ კი არ გამოუმჟღავნებიათ, პარტიული დაჯგუფებისთვისაც მოუხვევიათ თავზე ეს სურვილი.

მაგრამ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც აღარ გაღრმავებულა და გახიახებულა მათი ეს მონადინება და მალევე და იოლად დათრგუნულა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელის ბრწყინვალების ფონზე.

ახლა მართლადამართლა!..

სხვა მხრივ კი!..

ვითომ რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს დრო სწორედაც შესაფერისი?

1832 წლის 30 დეკემბერს გამომძიებლები პირისპირ რომ წააყენებდნენ მოლა ზამანასა და ქოსა მუსტაფას, მოლა ზამანა უარყოფდა ქოსა მუსტაფას ვერსიას და განაცხადებდა, რომ იგი 1831 წლის აღდგომის დღეს თავისით კი არ მისულიყო ალექსანდრე ორბელიანთან, არამედ ყურბან-ალი-ვერდი-ოღლისთან ერთად, თანახმად ორბელიანის ბარათისა, მაგრამ რაღაც მიზეზით იგი აღარ გაეგზავნათ. შემდგომ კი ამის შესახებ ალექსანდრეს ყურბანასთან ელაპარაკა. ქოსა მუსტაფა ჯერ უარყოფდა ამ ყოველივეს, მაგრამ მერე გამოტყდებოდა, რომ ორბელიანთან მართლაც ყურბანას პირით დაიბარეს, ერთადაც მისულან, მაგრამ მისი თანამგზავრი გარეთ დაუტოვებიათ, მუსტაფა კი ოთახში უხმიათ და მასპინძელს შეუთავაზებია მისთვის ალექსანდრე ბატონიშვილთან ბარათის წაღება. მას კი უარი განუცხადებია. სტუმრები უკან გამობრუნებულან, საღამოს კი ალექსანდრეს ყურბანი უხმია თავისთან, ყურბანს კი მუსტაფასათვის უთქვამს: თავადი ცხენს მაძლევს, რათა შენთან ერთად ბატონიშვილთან გავემგზავროო.

მოლა ზამანა ირწმუნებოდა, რომ ქოსა მუსტაფამ იალაღებზე მიაკითხა იბრეიმ ყარა მაჰმად-ოღლის ძმის ქორწილის დღეს და ამცნო, რომ მისთვის ალექსანდრე ორბელიანს გადაეცა წერილი ბატონიშვილთან წასაღებად და ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ. ქოსა მუსტაფა დათანხმებულიყო და მოლა ზამანასათვის შეხვედრა დაენიშნა სოფელ განძაში, მოლა ზამანაც მისულა იქ და მაყრიონთან ერთად ჩილდირისაკენ გაუწევიათ, სადაც მას წერილი ქოსა მუსტაფასათვის გადაუცია. რაკიღა იმას ეთხოვა, ამასაც უარი არ ეთქვა. ერევნიდან მოლა ზამანა გამობრუნებას აპირებდა, რადგანაც ქურთი ავაზაკებისა შეშინებოდა, მაგრამ ქოსა მუსტაფას მოეხერხებინა მეურმეებთან მიკედლება, რისი წყალობითაც მგზავრობა გაუგრძელებიათ.

არაქსზე გადასვლისას ქოსა მუსტაფას დიდი სიფრთხილე გამოეჩინა და ბარათი თოფში ჩაედო. მაკინის სამფლობელოში რაღაცაზე წაჩხუბებულან — მიზეზი აღარ ახსოვდა — და ქოსა მუსტაფას თოფი დაემიზნებინა მისთვის, ამას კი ხმალი ეშიშვლა, მაგრამ მალევე ჩაშოშმინებულან, ხოზროვში მისვლისთანავე კი გამოუცხადებიათ ბატონიშვილის მსახურისათვის — ქართველი სიმონასათვის — ჩილდი-

რის მაგი-ბეგისაგან ვართ მოვლენილნიო. უბრძანეს: დაიცადეთ, ბატონიშვილი სადილობსო. ნასადილევს წარედგინათ მასპინძლისათვის, ვისაც გამოერთმია მათთვის წერილი და შიგნითა ოთახებისაკენ წასულა.

დაკითხვის იმავე დღეს ალექსანდრე ორბელიანთან აზუსტებდნენ, თავიდან რა მოტივით განაცხადა უარი ქოსა მუსტაფამ ბარათის წაღებაზეო.

უარი არ განუცხადებიაო, — მიუგებდათ თავადი, — თანახმა კი გახლდათ, მაგრამ ბარათი ჯერ არ იყო გამზადებული და რაღას გავგზავნიდითო.

თუკი წერილი არ გაემზადებინა, რაღას იბარებდა?

ან ეგონა, მანამდე თავისუფლად მოვასწრებო, ანდა იმ ნიმუშის გატანება გადაიფიქრა, რაკიღა ტექსტმა აღარ დააკმაყოფილა. ორივე შემთხვევა გვითვალსაჩინოებს, რამხელა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური ამ მიმოწერის დასაწყისს, ყველა სიტყვა ისე უნდა ყოფილიყო ანონილ-დაწონილი, თითქოს ტყვია ტყვიაში უნდა მოთავსდესო.

ხუმრობა საქმე ხომ არ გახლდათ. ამხელა ამბოხი მზადდებოდა, მთელი კავკასია რომ უნდა ჩართულიყო და საერთაშორისო მხარდაჭერაც — როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან — მოეპოვებინათ, ამ გრანდიოზული წამოწყების წინამძღოლად კი ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა გამოკვეთილიყო — ჯერ მის სახელსაც უნდა შეეძინა ქართველთათვის უამრავი მომხრე, გაერთიანებული ერთი ბაირაღის ქვეშ — ეს ჩრდილოკავკასიაო, ეს სომხობაო, ეს თათრობაო, ეს კიდევ ირანიო, ეს კიდევ ოსმალეთიო, ეს კიდევ საფრანგეთი და ინგლისიო — რაკიღა ირანი და ოსმალეთი გამოიდებდნენ თავს, ესენიც აჰყვებოდნენ...

მერე კი თვითონ ბატონიშვილს უნდა აეღო ხელთ მეთაურობა.

მაგრამ ამ ყოველივესათვის, ცხადია, აუცილებელი გახლდათ მისი ნდობის მოპოვება. მრავალჯერ განბილებული ბატონიშვილი განა ასე იოლად მიენდობოდა იმ ფარულ ორგანიზაციას, რომელიც, ვინ იცის, მარტოდენ გრძნობებსა და ემოციებს იყო აყოლილი და წინასწარვე განწირულიყო?

ანდა დაბეჯითებით ვინ იტყოდა, რომ ეს საიდუმლო საზოგადოება თვით რუსების მიერ არ იყო შექმნილი, რათა ეშმაკურად წამოეკიდებინათ პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდები და მკაცრადაც დაესაჯათ, და ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ მზაკვრული ხერ-

ხით ჩამოეტყუებინათ საქართველოში, რათა ასე მაინც მიწვდომოდნენ ბოლოსდაბოლოს.

ხელში ატრიალებდა ბარათს — ნაცნობი ხელწერით, დიდრონასოებიანს, თეკლას კალიგრაფიას რომ მოაგონებდა. არა, მის დას არ შეედგინა ეს წერილი, არამედ დისწულს, მაგრამ მისთვის ჩვეული ხელწერით კი არა, არამედ მსხვილი ასოებით. მაინც როგორიო? ეკითხებოდნენ გამომძიებლები შეთქმულების მეთაურს და სუფთა ფურცელსაც დაუდებდნენ. ისიც დაწერდა ორ სიტყვას და კომისიის წევრები სწორედ თეკლა ბატონიშვილის ხელს მიამსგავსებდნენ. კალიგრაფიის ამგვარი შეცვლა, საგანგებო ვარჯიში დედის ხელწერის მისამგვანებლად გამჭვირვალედ მიანიშნებს ბარათის ავტორის ჩანაფიქრს — ბიძას სენტიმენტალური გრძნობები აღუძრას.

გიორგი გოზალიშვილი ვარაუდს გამოთქვამდა, რომ ბარათი თეკლას შეედგინა და მისი ვაჟი იმიტომ იბრალებდა ავტორობას, რათა დედისათვის სასჯელი აერიდებინა. ამის საბუთად კი მკვლევარი იმოწმებდა ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებას, ალექსანდრეს მისთვის რომ ეთქვა: თავის ძმასთან მიმოწერა დედაჩემსაც აქვსო.

ყოველ შემთხვევაში ის პირველი ბარათი უშუალოდ შეთქმულების მეთაურის დაწერილი უნდა იყოს, რადგანაც საპასუხო წერილით ბატონიშვილი პირადად მას მიმართავს და არა თავის დას.

წერილი, რომელსაც ძაფი უნდა გაება გადახვეწილ გმირთან და ხელახლა შემოეყვანა საომარ ასპარეზზე, დაიკარგებოდა და მისი მხოლოდ დედააზრი შემოგვრჩენია ალექსანდრე ორბელიანის ჩვენების მიხედვით, 1833 წლის 6 სექტემბერს რომ წარუდგენდა საგამოძიებო კომისიას:

— მას წიგნსა შინა იყო ხსენებული ესრეთ, რომ ჩვენი საზოგადოება სთხოვს მას, კახეთსა შინა გამოსვლას, ვინაიდგან საზოგადო მსურველნი არიან მის მეფობას და საქართველოს განთავისუფლებისას რუსთაგან, და როდესაც იგი ბატონიშვილი კახეთს გამოვიდოდა, მაშინ ჩვენის საზოგადოს აზრით მოხდებოდა აღრეულობა.

პასუხად რას ატანდა ალექსანდრე მის დესპანებს?

— მე მამიშენის შვილს არ ვენდობი, ვინაიდან ჩემს პირისპირ მომკვდარა; მაგრამ მაინც კიდევ გენდობი. მე მოვხუცდი და აღარ შემიძლიან, და ახლა თქვენმა საზოგადოებამ იცის როგორც მოიქცევით.

ვერ გახლდათ მაინცდამაინც სანუგეშო პასუხი და სახტად დატოვებდა შეთქმულების მეთაურს.

62 წლის კაცისათვის სიბერეზე დაჩივლება ჯერ ადრე არ იყო? შესაძლოა მთლად ჭაბუკურად ვეღარ გრძნობდეს თავს, მაგრამ ისეც

არ იქნებოდა მისი დიდი სულიერი ენერგიისა და საარაკო ნებისყოფის პატრონი, რომ ხელის გაუტოკებლად გარიდებოდა იმ მოვლენებს, რომლის გულისთვისაც თავი არასოდეს ეზოგებოდა და რაშიც თავისი სიცოცხლის აზრს ხედავდა.

მითუმეტეს, არც მოაფიქრდებოდა ეგვიპტის ფაშასთვის უარის თქმა და დაღესტანთან შემაერთებელი ძაფების გასაბმელად ძალღონეს არ დაზოგავდა. მაშინ სულაც არ გაახსენდებოდა სიბერის შემოპარვა.

მთავარი სწორედ ესაა, რომ მაინცდამაინც არ ეიმედება, თვისტომთა ეს ფარული სამზადისი თუ რეალურ ნაყოფს გამოიღებს.

თანაც, მწარედ დამახსოვრებია, თავისი სიძე რუსთა მხარეს რომ იბრძოდა თავგამოდებით და კახეთის აჯანყების ჩახშობას სიცოცხლეც ანაცვალა.

ახლა კი მისი ვაჟი გამოცხადებია და: საქართველოს თავისუფლება და რუსთა გარეკვაო, — დაუჟინია.

მე მამიშენის შვილს არ ვენდობიო...

ვინ იცის, ისიც მამის კვალზე დამდგარიყო და ვითომდა ფარული საზოგადოების სატყუარათი მახეს უგებდა.

ბატონიშვილი საკუთარ თავს აღარ ჩიოდა, ისედაც დაბეჩავებულ ხალხს ნეტა კიდევ რას უპირებდა ეს არცთუ ღირსეული მამის ნაშიერი?

კიდევ კარგი აჯანყების სამზადისში ელიზბარ ერისთავის მონაწილეობისა არაფერი იცოდა, მხოლოდ მონაწილეობისა კი არა, სულაც წინამძღოლობის, თორემ გულს შემოეყრებოდა, რუსებზე უფრო რუსებად შერაცხილი ერისთავების სახლის ნაშიერს საიდუმლო საზოგადოების სათავეში რომ იხილავდა: მთლად გაგიჟებულან ეს ქართველები, ამას თუ ენდობიანო, — რაღაც ამგვარი აღმოხდებოდა.

ეს არცთუ სანუგეშო წერილი უნდა წამოეღოთ შიკრიკებს, რომელნიც ჯერ ბატონიშვილის ბინაზე იმყოფებოდნენ და, მისი თხოვნის პასუხად, უამბობდნენ მასპინძელს საქართველოსა და რუსეთის სხვა სამფლობელოთა ამბებს. მესამე დღეს მათ ხელახლა მიიწვევდა ბატონიშვილი და ორ-ორ თუმანს გადასცემდა, ბარათს ქოსა მუსტაფას ჩააბარებდა, ხოლო როდესაც მოლა ზამანა დაიჩიენებდა, ხმალი გამიტყდაო, მასპინძელი სანაცვლოს შესთავაზებდა, მაგრამ დესპანი არ აიღებდა ნაჩუქარს. მაშინ ბატონიშვილი ორ თუმანს კიდევ დაუმატებდა.

უკან გამობრუნებისას, როდესაც სოფელ ყამარლიში ქოსა მუსტაფას ცხენი დაუდგებოდა, თანამგზავრი გამოართმევდა წერილს და ალექსანდრე ორბელიანს ჩამოუტანდა.

ის რა სასოებით მოელოდა ამ ბარათს, მაგრამ უეცარი გაოგნების შემდეგ გულს მაინც არ გაიტეხდა იმ სტრიქონების ამოკითხვისას, არ გაამტყუნებდა ბიძას ეჭვებისათვის (არ ჰქონდა საბაბი თუ რა?) და გადაწყვეტდა, რომ კვლავაც ეცადა ურთიერთობის გაგრძელება და მისი დარწმუნება თავის სიწრფელესა და გულმართლობაშიც და საიდუმლო საზოგადოების მიზანსწრაფვისა და გეგმების საფუძვლიანობაშიც.

ნეტა ყოველივე ისე აწყობილიყო, როგორც განეზრახათ, თორემ ბატონიშვილის დარწმუნება არ უნდა გაძნელებულიყო.

მაგრამ მაინც კიდევ გენდობიო...

ეს სტრიქონი ამჟღავნებდა, რომ სხვა გზა არ გააჩნდა სიბერეშეპარულ უფლისწულს, გარდა იმისა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ ჩაფერხებულიყო და სამეფოს აღდგენისათვის სწრაფვაში არ ამოხდენოდა სული, თუნდ მოსესავით თვითონ ვერც ღირსებოდა სახელმწიფოს ამოგებას.

სარისკოდ მოეჩვენა ეს წამოწყება?

კიდევ ერთ მარცხად აღთქმულ მიწაზე შებიჯების ნაცვლად?

შეეწირებოდა და ეგ იქნებოდა!..

და ამიტომაცაა, რომ ვეღარ გაუძლებდა გული და, წერილი რომ აღარ მიუვიდოდა დისწულისაგან, თვითონ გააღწევინებდა ბარათს.

მისიც მხოლოდ ზოგადი შინაარსი შემოგვრჩენია ალექსანდრე ორბელიანის დაკითხვის იმავე ოქმიდან.

— თქვენი საზოგადოების მაგიერად საკუთრივ შენგნით მივიღე წიგნი, რომელთაც გსურთ საქართველოს განთავისუფლება, და მპირდებოდით მეფობას, მაგრამ თქვენგნით მე ვეღარა შევიტყერა, და აღარა მაცნობეთრა.

უჩემოდაც მიაქციეთ ხომ ყურადღება? — „საკუთრივ შენგნითო" და არა „საკუთრივ ჩემი დისაგანო".

და „საკუთრივ" ალექსანდრეს საპასუხო წერილის დედააზრიც აქედანვე ვიცით:

— ახლა სრულებით მშვიდობიანობა არის და აღარავინ არაფერს ფიქრობს, ვინაიდგან პოლიაკები დაითრგუნენ.

ეს ის დროა, როდესაც რუსების მიერ ვარშავის აღებამ და პოლონელთა აჯანყების ჩახშობამ ჩვენი შეთქმულნიც შეაფიქრიანა და ძალიანაც შეაფიქრიანა და სამზადისი შეაჩერებინა უკეთესი ჟამის მოლოდინში, რაც არც ძალიან გახანგრძლივდებოდა და ეს მოლოდინი და განახლება კი კვლავაც ალექსანდრე ბატონიშვილს დაისაჭიროებ-

და, აღდგენილი სახელმწიფოს მოსაწყობად შედგენილ პროექტში კი იგი არამარტო მეფედ იქნებოდა ნაგულისხმევი, არამედ სახელმწიფო სამმართველოს ზედა პალატის თავმჯდომარედაც, რაკიღა საქართველო შეთქმულთ არა აბსოლუტური მონარქიის ქვეყნად, არამედ პარლამენტურ სამეფოდ წარმოედგინათ.

კი მაგრამ, თვითონ ბატონიშვილს აღარ ეკითხებოდნენ?

ეგებ იგი სულაც არ გახლდათ პარლამენტარიზმის მომხრე და საკუთარი თავი მხოლოდ აბსოლუტურ მონარქად ესახებოდა?

მოსალოდნელი უფრო ესაა.

თუმც ესეცაა — ამის გამო ზედმეტ გართულებებს არ გამოიწვევდა და, რაკიღა ფარული საზოგადოების წევრები ერთსულოვნად იზიარებდნენ სამეფოს ამ სტრუქტურაზე აგების იდეას, თვითონაც ისევე დაყაბულდებოდა და შეეგუებოდა ორპალატიანი პარლამენტის არსებობას, როგორც მანამდე ალექსანდრე ორბელიანი დათანხმდა ყოველგვარი კამათის გარეშე, თორემ თავისთვის, გუნებაში ისიც სიცოცხლის ბოლომდე აბსოლუტური მონარქიის ერთგული დარჩებოდა.

პოლონელთა დათრგუნვით გამოწვეული შეჩერება ფარული სამზადისისა ბატონიშვილს ვერ დააყენებდა კარგ გუნებაზე, მაგრამ იმ მხრივ მაინც განაწყობდა მეტი პატივისცემით შეთქმულთადმი, რომ შეატყობდა, როგორი გულდასმით ეკიდებოდნენ გარემო ვითარებებს, შინაურსაც და საერთაშორისოსაც, და ტაქტიკური გადაწყობა-გადმოწყობაც ეხერხებოდათ.

ამასთან, გამოირიცხებოდა ყოველგვარი ეჭვი, ვაითუ ჩათრევას მიპირებენო.

მაშინ რა მნიშვნელობა ექნებოდა პოლონელთა ამბობის ჩაქრობას, კვლავაც გაგრძელდებოდა მასთან მოლაპარაკება და კახეთში შემოტყუების მცდელობა.

მაინც ვერ იყო სასიამოვნო ცნობა — აღარავინ აღარას ფიქრობსო...

ნუთუ დაწყნარდებოდა ენთუზიაზმი ანდა განახლების ლოდინი გამოხრავდა ბატონიშვილსაც?

გამოხვრამდე ჯერ ადრე გახლდათ, ეს დროც დაუდგებოდა, მაგრამ ჯერ ერთხელ კიდევ უნდა გამოეცადა ბრძოლის სამზადისში ჩართვა და კვლავ ახლოს დაეგულებინა სანატრელი წუთები.

აქეთ შეთქმულების განახლება-გაგრძელება.

იქით ეგვიპტის ფაშას წამოწყება.

ეს ორი მოვლენა ძალდაუტანებლად გადაეჯაჭვებოდა ერთმანეთს ბატონიშვილის ხელით და შეთქმულთათვისაც დიდად სასარგებლო უნდა ყოფილიყო და ფაშასთვისაც.

ალექსანდრე ორბელიანს მართლაც დიდად ახარებდა ეს შესაძლო კავშირი და საზოგადოების სხვა წევრებსაც სიამაყით ამცნობდა ახალი ძალის შემომატების პერსპექტივას.

ესეც კვლავ იმავე ჩვენების კიდევ ერთი პასაჟი:

— ალექსანდრე ბატოიშვილის კაცი მაჰმადა იყო ჩემთან და მითხრა შემდეგი: ეგვიპტის ფაშისაგან ორი კაცი მოვიდა ალექსანდრე ბატოიშვილთანაო, წიგნი ჰქონდა-თი, — შემდეგ რაოდენსამე დღეს უკან, აზნაური გარსევან, გვარი კი მე აღარ მაგონდება მისი, ის აზნაური და მე გამოგვზანეს ყაზი მოლასთან წიგნებითაო, და ეს გარემოება კი აღარ მახსომს თქო მან მაჰმადამ თუ არა, მის წიგნებისა, და ყაზი მოლადგანაც წიგნები წავიღეთო, სთხოვდენ ალექსანდრე ბატოიშვილს, რომ დაღისტანში გამოსულიყოვო, — მე არ მახსომს წიგნიღა მივსწერე ბატოიშვილს თუ არა და სიტყვით დავაბარე მას მაჰმადას ესრეთ, საზოგადოს მაგიერად — რომ სოლომონ რაზმაძე მოჰყვება რუსეთის პოსლანიკს თავრიზს, და მას ბატოიშვილს გაეგზავნა მღვდელი მას რაზმაძესთან, და მას რაზმაძესთან ექონია შეერთება, განუცხადებდა ყოველს ჩვენს გარემოებასა, და ესეც, რომ მას ბატოიშვილს ექონია შეერთება ინგლისელების პოსლანიკებთან, რომელნიც თავრიზს არიან.

გარსევანის ვინაობას გიორგი გოზალიშვილი ჩოკაშვილად აზუსტებდა, ხოლო სოლომონ რაზმაძის ჩარიცხვა რუსეთის ელჩის გარემოცვაში და თავრიზს გამგზავრება მართლაც მარჯვე საშუალება აღმოჩნდებოდა ბატონიშვილთან ფარული ურთიერთობის განმტკიცებისა. ელჩის თანაშემწეობა სოლომონს მეტ საშუალებებს აძლევდა საიდუმლო მიმოწერის გასააქტიურებლად და სავსებით მოსალოდნელია ინგლისის საელჩოსთანაც გაება ძაფები ბატონიშვილის ჩარევის შემდგომ.

ნეტა ერთი შეხვედრა თუ მაინც მოასწრო?

სოლომონ რაზმაძის ჩვენებებში ამის თაობაზე კრინტი არ არის დაძრული. იგი ისეთ რეალობას ხატავს, თითქოს შეთქმულებთან ურთიერთობა მარტოდენ ტფილისში ყოფნისას ჰქონდა, ისიც გაკვრით და შემთხვევით და რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რადგანაც უპირველესად იმაზე ფიქრობდა, რომ დიპლომატიურ მისიაში ჩარიცხულიყო და ამ სამსახურში ჩინებიც ეშოვნა.

ვიდრე მისიაში მყოფი თავრიზს გაემგზავრებოდა გრაფ სიმონიჩთან ერთად, მანამდე დიდხანს, 22 წელი, ცხოვრობდა პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილის ხარჯზე და მისივე შუამდგომლობით მოხვდებოდა ელჩის გარემოცვაში. ტფილისში ყოფნა გზად მოუწევდა — 1832 წლის 21 მარტიდან 13 აგვისტომდე; და ეს სწორედ ის დროა, როდესაც ფარულ საზოგადოებაში ისიც უნდა გაწევრიანებულიყო და ამხელა დავალებაც აეღო საკუთარ თავზე — ექცია თავრიზში თავისი სადგომი პოლიტიკურ კერად, რომლის ძაფებსაც ბატონიშვილს გადაულოცავდა. თავრიზშივე მოუწევდა დაპატიმრება და მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გამოგზავნა ტფილისის ყაზარმაში.

მოლა ზამანას ნაამბობი ამგვარ სურათს აღადგენდა:

1832 წლის შემოდგომაზე, როდესაც იგი რთველისათვის ემზადებოდა, სტუმრებია ბალა მაჰმადა და უცნობებია, რომ თავის ორ ამხანაგთან ერთად, რომელნიც ალექსანდრე ბატონიშვილთან მსახურობდნენ, — ქართველი გარსევანი და ერთი ნესტორიანელი, — გაუგზავნიათ ყაზი-მოლასთან და კიდეც მიუღწევიათ იქამდე სომხეთის ოლქისა და განჯის გავლით. იმას დესპანები კარგად მიუღია, დაუსაჩუქრებია და წერილიც გამოუტანებია. უკან დაბრუნდებოდნენ ჭარის ოლქით, ნესტორიანელი მთებში გარდაიცვლებოდა, ხოლო გარსევანი შულავრის მიდამოებიდან ბამბაკში წავიდოდა, სადაც დაელოდებოდა ბალა მაჰმადას, ვინც მოლა ზამანასაკენ გამოემართებოდა და ორივე კი გამოსწევდა ალექსანდრე ორბელიანთან. იგი ავადმყოფი დახვდებოდათ, მაგრამ ეს სნეულება მანამდელი იყო, ვიდრე ფეხში ლურსმანი შეესობოდა. მასპინძელი თავდაპირველად არ დაიჯერებდა, თუ ბალა მაჰმადა მასთან ბატონიშვილს გამოეგზავნა. ამის დასამტკიცებლად მაჰმადა ჰკითხავდა:

— გესტუმრა თუ არა ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი ნესტორიანელი?

და თავადიც დაიჯერებდა და საიდუმლოდაც ესაუბრებოდა.

ბოლოს გადასცემდა წერილს ბატონიშვილის სახელზე და ოც მანეთ ვერცხლსაც.

ბალა მაჰმადა გაეშურებოდა თავისი თანამგზავრისაკენ, მაგრამ ღამეს აქ არ გაათევდა და ორივე ფეხით დაადგებოდა გზას კოდამდე, სადაც გაიყრებოდნენ.

მოლა ზამანას ეთქვა თავადი ალექსანდრესათვის: ეს რომ გუბერნატორს გამოვუცხადო, კარგ ჯილდოსაც გამოვკრავ ხელსო.

ეხუმრა, ეტყობა, და თავადიც ასევე აღიქვამდა, თუმც გაფრთხი-

ლებით მაინც გააფრთხილებდა, ვინ იცის, რა ზნემ წამოუაროსო: ამას თუ ჩაიდენ, მოგკლავენო.

ვინ ნესტორიანელი, რომელი ნესტორიანელიო, — დაკითხვისას მტკიცე უარზე დადგებოდა ალექსანდრე ორბელიანი, -- არ ვიცი, ეს ნესტორიანელები რა ხალხია, ეგებ მოლა ზამანას მართლაც ასე უთხრა ალექსადრე ბატონიშვილის კაცმა, მაგრამ ჩემთან ასეთი არავინ მოსულა, გამოგზავნით კი ბატონიშვილმა ორადორი წერილი გამომიგზავნაო.

თითქოს ორი წერილი სათვალავში არ იყოს ჩასაგდები და ყველა ამბოხისა და არეულობის შთამაგონებელთან და სულისჩამდგმელთან ურთიერთობის გაბმას პოლიტიკურ დანაშაულად არ ჩაუთვლიდნენ.

სხვა დაკითხვაზე, 1833 წლის 16 თებერვალს, ვეღარც იმას დაფარავდა, რომ შეთქმულთა ერთი გუნდი იერუსალიმში აპირებდა წასვლას ბატონიშვილთან პირისპირ შესახვედრად, თუმც მანამდე, 1832 წლის 23 დეკემბერს, ირწმუნებოდა: თამარ ბატონიშვილს შარშან მართლაც სურდა იერუსალიმს გამგზავრება, რადგანაც დიდი მორწმუნეა, მე კი ჩემს ამხანაგებს ტყუილი ვუთხარი, მე და იმას სხვა განზრახვა გვაქვს-მეთქი. ჩვენს განზრახვაზე მისთვის არა მითქვამს რაო.

თუმც იძულებული შეიქნებოდა ბოლოს მაინც გამომტყდარიყო, რომ თანამოდასეებისათვის ტყუილი სულაც არ ეთქვა და საკმაოდ დიდ გეგმასაც გადაშლიდა:

— 1831-სა განზრახვა გვქონდა, წინადადებითა თამარ ბატოიშვილისათა, — მე ჩემი ცოლშვილით, ელიზბარ და გიორგი დავითის ძეთ ერისთავთ, და ჩემ ძმას ვახტანგ, რათა უნდა წავსულიყავით, იერუსალიმის სახელზე, ხელმწიფე იმპერატორის ნებითა, და ოსმალოს სამძღვარში რომ უნდა შევსულიყავით, — მაშინ ჩვენთაგანი ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატოიშვილთან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და შემდეგ სწორეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს თაყვანი უნდა გვეცა, და იქიდგან ფრანციას პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვქონდა, რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე, და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა, — შემდეგ ჯერ აქ პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან, — შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით და იქაც ისე უნდა შეგვეჩივლა, რომ ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთ მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან.

ეს ყოველივე, ცხადია, ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით უნდა მომხდარიყო, მისი დიდი ავტორიტეტის შემწეობით.

ერთადერთი ტახტის მემკვიდრე.

ირანისა და ოსმალეთისაგან აღიარებული.

საფრანგეთი და ინგლისი ამ გარემოებას გადამწყვეტ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ.

ჩაიშლებოდა ეს ჩანაფიქრი.

თამარ ბატონიშვილი როგორც განიზრახავდა, ისევე გადაიფიქრებდა.

თავიდან, ეტყობა, უფრო ადვილად ესახებოდა ეს ყოველივე ოცნებით გატაცებულს, მაგრამ შემდეგ ეს აზრი აეკვიატებოდა, ვაითუ დაეჭვდეს მთავრობა და, ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას ვინ ჩივის, სულ არ ნაგვიხდეს საქმე გამკაცრებული მეთვალყურეობის ქვეშ მოქცეულთო.

არადა, ეს იდეა იმანაც გაუჩინა, რომ ამბოხებისთანავე იგი უნდა წამოეყენებინათ მეფედ, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი გამოჩნდებოდა და გვირგვინს გადაიბარებდა.

— ჩვენ გვსურდა ესრეთ, როდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ.

წინასწარ დაე იერუსალიმში შეხვედროდნენ ერთმანეთს, ქრისტეს საფლავზე, დროებითი მეფე და ის მეფე, რომელსაც უნდა წარემართა სახელმწიფოებრივი ცხოვრება ქალის ხელიდან გადაცემული, ამ აქტში თავისებური სიმბოლო რომ ჩაეთქვათ, წინასწარვე დარწმუნებულთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ძალიანაც მოიწონებდა ამგვარ თანმიმდევრობას.

ქალის უეცარი გამოცხადება წინამძღოლად მაინც სხვაგვარად შემორკალავდა ხალხს, ერთბაშად რომ აჰყვებოდნენ მეამბოხეებს და მათაც გადაედებოდათ ის განცდა, სახელი „თამარ“ თავისთავადაც რომ გამოიწვევდა გარდასული დიდების ჟამის მოლანდებას.

როგორც ის თამარი, ისე ეს თამარიო!..

დიდ სიკეთედ ესახებოდა ისტორიულ მეხსიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას ქალის გამეფება, საიმედო ნიშნად, და ეს საყოველთაო განწყობილება რატომ გაეშვათ ხელიდან ისე, რომ შესაფერისად არ გამოეყენებინათ?

ვითარება კარნახობდათ და მიხვედრასა და აღსრულებას წინ რაღა ედგა!..

ჯერ თავისთვისაც რომ ყოფილიყო ახალი დროის თამარ ბაგრატიონი, მაშინაც მახვილგონივრული იქნებოდა მისი დროებითი მიწვევა სამეფო ტახტზე, თორემ ისე ჩართულიყო აჯანყების სამზადისში, ლამის ერთ-ერთ მეთაურადაც წარმოგვიდგება. შემთხვევითი კი არა ყოფილა, იერუსალიმში გამგზავრება მან რომ მოიფიქრა ალექსანდრე ბატონიშვილთან პირისპირ სალაპარაკოდ.

ნურც ალექსანდრეს გამეფების სამართლებრივ-იურიდიული მხარე გამოგვრჩება.

მეფე ერეკლეს ანდერძის მიხედვით, გიორგის შემდეგ აკი იულონ ბატონიშვილს უნდა რგებოდა გვირგვინი.

აღარ იყო იულონი?

სამაგიეროდ, მისი ქალიშვილი იმყოფებოდა აქ და, ანდერძით, მეფობა მასზე გადადიოდა, მას კი ყოველგვარი წეს-კანონით შეეძლო გვირგვინი გადაელოცა თავისი მემკვიდრისათვის.

გარემოებას ისე მოეტანა, რომ მემკვიდრე მისივე ბიძა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ძალადობით განყენებული დინასტიური თანმიმდევრობა ასე გამთლიანდებოდა და მეფობის ტრადიციული ჯაჭვიც აღდგებოდა.

ოცნების ნაკადში შემოცურდებოდა თამარ ბატონიშვილის სახება, სამეფო სამოსით წარმომდგარი.

— შემდეგ კაცნი უნდა გაგვეგზავნა, ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა მოგვეყვანა, — ბოდბელიც ჩამოგვეყვანა ამჟამათ და ქალაქს გარეთ ბოდბელი შემოსილი, და ყოველი საქართველოს ბერნი და ღვდელნი შემოსილნი უნდა გაჰგებებოდნენ, კარახტიანთან, და ამაში მთელი საქართველოს ხალხი. იქიდგან უნდა წამოგვეყვანა, და წინ რამდენიმე კაცნი უნდა გამოსძღოლოდნენ, და ეძახათ „თავისუფლება". იქიდგან პირდაპირ სიონში უნდა შეგვეყვანა, პარაკლისი იქ გადაეხადათ. და ამის შემდეგ რაოდენისამე დღისა მომხდარიყო განკარგულება.

მთავარმართებელი როზენი სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს რომ სწერდა:

— საერთოდ მას, ბატონიშვილს მიიჩნევდნენ იმ პირად, რომელსაც შეუძლიან ყველაზე მეტად გამოიწვიოს მღელვარება და განაგოს საქართველო ქართველთა მეხსიერებაში შერჩენილი თავისი გავლენის წყალობით.

ეს მხოლოდ დოკუმენტური დადასტურებაა იმ განწყობილებისა, რაც ქვეყანაში სუფევდა და ყველას ჩინებულად მოეხსენებოდა -- მტერსაც და მოყვარესაც, და რაც ისედაც საფიქრებელი გახლდათ, საამისოდ ერთი დოკუმენტური ჩვენებაც რომ არ გადარჩენილიყო — აღარ გვქონოდა არც დაკითხვის ოქმები, არც ეპისტოლეები და არც მემუარული ჩანაწერები.

ანკი რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, შეთქმულთა ფარული შეხვედრებისას გაუთავებლად რომ იტრიალებდა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი.

ანდა დაკითხვების დროსაც ხშირად რომ გაიელვებდა.

ვერ დაფარავდნენ, მისი ყველაზე ძალიან რომ ეიმედებოდათ.

ვერ დაფარავდნენ, მიმოწერასაც რომ გააბამდნენ მასთან, ეს რომ არა — მისგან მოსალოდნელი თანადგომა, ასეთი ენერგიულობით ვერ დარაზმავდნენ ვერც საქართველოს და ვერც მითუმეტეს, ჩრდილოკავკასიას.

რუსული აგენტურა ძლიერ გაფაციცებულიყო, ბატონიშვილთან არავითარი მიმოწერა არ გაიბასო, და ბორჩალოს მაზრა საგულდაგულოდ დაექსელათ, რაკიღა თუ საიდანმე იყო შესაძლებელი ალექსანდრესთან ბარათების გაღწევა, სწორედ აქედან. და კიდეც გამოიღებდა ნაყოფს საიდუმლო ქსელის გაბმა იმ არემარეზე.

ალექსანდრე ორბელიანის ერთი შიკრიკი ჩავარდებოდა.

1832 წლის 18 დეკემბრის დაკითხვაზე სოლომონ დოდაშვილი გაიხსენებდა, თუ როგორ ეთქვა ალექსანდრე ორბელიანს იასე ფალავანდიშვილის სახლში:

— ბორჩალოს დისტანციაში დაუჭერიათ თათარი, რომელიც ალექსადრე ბატონიშვილთან მყავდა გაგზავნილი. თუ ეს მართალია, დავღუპულვართ. გეთაყვა, უთხარი ან მე თვითონ წავალ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომ არ გამოამჟღავნოს ეს საქმე. ამის შემდეგ ამას ყველაფერს დავიწყებას მივცემ, ოღონდ ახლა ნუ გამომჟღავნდება.

რაღა პოლონელთა აჯანყების მარცხი და რაღა ბატონიშვილთან მივლენილი შიკრიკის გაცემა.

ცხადია, ამის გამო ამბოხებაზე ხელს არ აიღებდნენ, მაგრამ შეჩერებასა და გატრუნვას კი აპირებდნენ.

მეთაურთაგან ალექსანდრე ორბელიანიც და სოლომონ დოდაშვილიც ამის მომხრენი იყვნენ.

სოლომონის ჩვენებას ალექსანდრეც დაადასტურებდა: რადგანაც ჩვენს ამხანაგთა შორის დამალული არა ყოფილა რა, იასეს ბინაზე

სოლომონს ვუთხარი, თუ როგორ მაცნობა შიხირ-ალიამ ალი-აღა-ეიბ ოღლის ნათქვამი: შენს ბატონს ალექსანდრეს მოლა ზამანა გაუგზავნია ალექსანდრე ბატონიშვილთანო.

სხვა ჩვენებაში კვლავ რომ გაიმეორებდა შიხირ-ალიას სიტყვებს, დასძენდა, თუ როგორ დაუშალა მას: ნუღარსად იტყვიო.

ის კი აღარ იტყოდა, მაგრამ ხმები უკვე გამოსულიყო, ელი-ეიბ-ოღლისათვის ახალციხიდან იზმეილ-აღას მოეწერა ეს ამბავი, უკვე შიკრიკთათვისაც მიეკვლიათ და... ყულფიც გამოინასკვებოდა.

რა ვქნათ, რა ვიღონოთო? — შეშფოთებას უზიარებდა თანამზრახველებს ალექსადრე. და თვითონვე შესთავაზებდათ: ერთი ხანობა დავიწყებას მივცეთ ყველაფერიო.

შეთქმულთათვის საბედისწერო სწორედ შიკრიკის ჩავარდნა აღმოჩნდებოდა?

გრაფ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილ იმავე წერილში მთავარმართებელი დიახაც ამგვარად განმარტავს იასე ფალავანდიშვილის მიერ ფარული საზოგადოების გაცემის უმთავრეს მოტივს. ჯერ რომ მოიხსენიებდა როგორც „ზნეობრივად არასაიმედოსა“ და „ყოფაქცევით დასაძრახისს“, რაკიღა თავის დროზე ოსმალეთსა და მთებში გაქცეულიყო, მართალია შეთქმულებაში ძლიერ ცხოველსა და დიდ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ:

— გაცემა უნდა აეძულებინა ბორჩალოს თათართა შორის გავრცელებულ ხმებს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერის თაობაზე, რამაც შეაშინა იგი, ამ შემთხვევის მეოხებით მთავრობას შეთქმულება არ აღმოეჩინა.

შეთქმულთაგან ბევრს სჯეროდა (და მიხეილ ჯავახიშვილის რომანშიც „არსენა მარაბდელი“ ასევეა გადასული), რომ იასე ფალავანდიშვილი უეცრად თავსდატეხილმა შიშმა აქცია დამსმენად, ეგებ ფარული საზოგადოების გამჟღავნებით სასჯელს გადავურჩეო...

მაგრამ ამ ვერსიის გარდა ხომ არსებობს მეორე ვერსიაც? — რომ იასე ხელისუფლების მიერ საგანგებოდ იყო შეგზავნილი შეთქმულთა წრეში, რათა გარკვეულ დრომდე კარგად შენიღბულს მთავრობისათვის ყველაზე ხელსაყრელ ჟამს ემხილებინა თანამზრახველნი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ამ ვერსიის უეჭველობის შემთხვევაშიც ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი წერილი მაინც გარდამტეხი აღმოჩნდებოდა შეთქმულთა ბედისათვის: მეტ ლოდინს მთავრობის მხრივ უკვე აზრი აღარ ჰქონდა, რაკიღა შეთქმულთა საიდუმლო საიმედოდ ვეღარ დაფარულიყო და დღეს თუ ხვალ მთელი ქვეყანა ალაპარაკდებოდა.

ბორჩალოს დისტანციაში მომხდარმა შეთხვევამ და გავრცელებულმა ხმებმა ორი ალექსანდრეს მიმოწერის თაობაზე ან გადაწყვიტა აჯანყების მწარე ხვედრი, ანდა დაჩქარებით ხომ ნამდვილად დააჩქარა.

თავიდან აკი ვერ ენდობოდა ბატონიშვილი ამ წამოწყებას, და თუ მაინც დათანხმდებოდა, მარტოდენ იმიტომ, რომ არსაიდან არ მოჭიატობდა იმედის შუქი და ისევ ამ საზოგადოებას უნდა მიკედლებოდა.

მერე და მერე გაუღვივდებოდა ამათი რწმენა, ალექსადრე ორბელიანზეც გულს მოიბრუნებდა, მარტო მამისა ხომ არა, დედის შვილიც არის, მისი გამოზრდილი და, თეკლას რომ ვიცნობ, ამჟამადაც შეუძლებელია დიდი ზეგავლენა არა ჰქონდეს შვილზეო.

გამოტირებული მეფობა ხელის გაწვდენაზე მოჩანდა.

დაკარგული იმედოვება კვლავაც აღდგებოდა.

ეს ეგვიპტე და დაღესტანიც თითქოს დაბარებულებივით მოეველინებოდნენ.

და ყოველივე ეს ისე გაახსენებდა სიჭაბუკის წლებს, ძვლების ჟღრიალს იგრძნობდა და გაკვირვებით გაუკვირდებოდა: აქამდე სად ვიყავი, ნუთუ შევეჩვიე სალმასტურ მყუდრო, უშფოთველ ცხოვრებასა და უმოქმედობას, ჩემი ამქვეყნიური მისია აღსრულებამდე რომ შევწყვიტეო!..

მაგრამ... კიდევ ერთი გაწბილება უნდა ეგემა.

კიდევ ერთი თავზარი გამოეცადა.

რუსეთის შიდა გუბერნიებში უნდა მიმოფანტულიყვნენ რჩეული ახალგაზრდები, რომელთა მხრებზეც ბევრი რამ უნდა გადასულიყო, ახლა კი ეს მხრები, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილნი, სად გაჩანაგდებოდნენ... ანდა თუ მაინც შეინარჩუნებდნენ სიმტკიცეს, ოდესმე რომ მოუწევდათ შინ მობრუნება?!.

ყაზი-მოლაც განწირულიყო — მისი გამათავისუფლებელი ბრძოლაც მარცხით დამთავრდებოდა და თვითონ ისიც დაიღუპებოდა გიმრის ბრძოლაში.

ამ საბედისწერო ბრძოლისას მძიმედ დაიჭრებოდა შამილი, ვისაც ჯერჯერობით დაღუპვა არ ეწერა და თურმე კავკასიური ილიადას შემოქმედადაც უნდა გადაქცეულიყო, ალექსანდრე ბატონიშვილის სულიერ მემკვიდრედ... მაგრამ ეს როდის მოხდებოდა, კვლავ როდის გადაუვლიდა კავკასიას ჰეროიკული სული.

და კიდევ ერთხელ შეწყდომოდა საკუთარ გულს ბატონიშვილი: ნუთუ საშველი აღარ არის, ნუთუ არავითარი საშველი აღარ არისო?!.

თავი მეთექვსმეტე

სევდის არშია

ირანი მოდრეკილიყო.

მოდრეკილიყო თურქეთიც.

დამხობილიყო დაღესტანი თავისი მიუვალი აულებით.

საქართველოს ძარღვი გამოსცლოდა ფარული საზოგადოების გაცემით.

რა გინდა იღონო, გინდაც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო?..

ეგებ ვაჟი მაინც გაზარდო შენს ნებაზე და იმ სულისკვეთებით აღავსო, რისთვისაც შენ თვითონ გაგიწირავს თავი.

მაგრამ სადღაა შენი ვაჟი — უკვე ტყვეობაგამოცდილი, შინაპატიმრობაშიც რომ აღარ აყენებენ და პეტერბურგში გაწვევას უპირებენ.

ალექსანდრე შეეცდებდა ირანში რუსეთის ელჩს, გრაფ სიმონიჩს მოლაპარაკებოდა დატყვევებული ცოლ-შვილის გათავისუფლების თაობაზე.

ელჩი სასწრაფოდ აცნობებდა მთავარმართებელს, მთავარმართებელი კი, ელჩზე არანაკლებ შეშფოთებული და შეშინებულიც კი, მაშინვე მისწერდა საგარეო საქმეთა მინისტრსა და იმპერატორს, ისეთი ვითარებაა, თუ მალევე არ მიიწვევთ პატარა ირაკლის პეტერბურგში, ვაითუ მამამ მიაღწიოს ცოლ-შვილის დაბრუნებას და ვაჟი ისე გაზარდოს, რომ განმსჭვალოს მტრობით ყოველივე რუსულისადმი და შეუქმნას ილუზია, თითქოს რაღაც უფლება ჰქონდეს საქართველოზეო.

ეს ახალი პრეტენდენტიღა აკლდათ სამეფო ტახტზე, თუნდაც არარსებულზე.

როგორ გინდა კანონიერ ქმარსა და მამას ცოლ-შვილის დაბრუნება აუკრძალო და საერთაშორისო სკანდალის შიში არა გქონდეს?

ეს თვით ნიკოლოზ I-სთვისაც უხერხული იქნებოდა და ამიტომაც მოსწერდა ბარონ როზენს, ყოველი ღონე იხმარეთ, რათა მარიამი დაითანხმოთ შვილის გამოგზავნაზე პეტერბურგში შესაფერისი განათლების მისაღებად და წარმატებული კარიერისათვისო. რასაკვირველია, მარიამს შეეძლო თან ხლებოდა შვილს, ოღონდ საამისოდ ძალ-

დატანებას უნდა მორიდებოდნენ. აბა, რა გზით? გაუთავებელი ჩაგონებისა და ჩიჩინის იმედი რჩებოდათ.

1832 წლის 4 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერევანში სომხეთის ოლქის მმართველს, გენერალ ბებუთოვს მიმართავდა იმპერატორის სახელით, ვისაც გამოეთქვა პატარა ირაკლის პირადად ხილვისა და გაბედნიერების წადილი; ოღონდ ეს ბედნიერება მშვიდობიანად უნდა მოგვარებულიყო.

ალექსანდრეს ვაჟი განუწყვეტელი მიმოწერის შუაგულში აღმოჩნდებოდა პეტერბურგ-ტფილისსა და ტფილის-ერევანს შორის.

საუკეთესო სასწავლებელიო, ფუფუნებაო, ბრწყინვალებაო, — რას აღარ აღუთქვამდნენ მარიამს, რითი აღარ ცდილობდნენ მის დაყოლიებას.

სხვა ნარკვევში თუ გაკვრითაა მოხსენიებული ალექსანდრეს ცოლ-შვილის თავგადასავალი, თამარ პაპავა ვრცლად მოგვითხრობდა, რაკიღა საქართველოსთვის თავდადებულ ქალთა გალერეას ქმნიდა — XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა, ამ ციკლში კი მარიამის გამოტოვება არაფრისდიდებით არ ივარგებდა. აკი სათაურშივე გაეტანა „მისი ოჯახის ბედიო". ის კი არა, საკმაოდ დიდი ექსპოზიცია გამოდიოდა თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილის თავგადასავლის დეტალური აღწერა, მაგრამ თავს ვერ შეიკავებდა მკვლევარი, რაკიღა სხვაგვარად მოჩანდა მისი სახება, და ბარემ ისარგებლებდა მარჯვე შემთხვევით — თხრობას გაშლიდა, რათა აღდგენილიყო გმირის ბიოგრაფიის ზოგადი ქარგა.

ამ ქარგის ღირსეული და მღელვარე ნაწილი გახლდათ მისი ოჯახის ბედიც.

პატარა ირაკლის პირადად ხილვისა და გაბედნიერების წადილიო...

— ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე უფრო სხვა წარმოდგენის იყო შვილის გაბედნიერებაზე და ცივი უარით ისტუმრებდა ღენ. ბებუთოვს და მის მიერ შეძლებულ დიდ „პენსიონებს" და რუსთ ხელმწიფის წყალობას გულს ოდნავადაც არ უხსნიდა.

გაოცებულიყო ბარონი როზენი მარიამის ცივი და მტკიცე უარით და ბებუთოვს მისწერდა 1833 წლის 12 აპრილს:

— მე მგონია, რომ ყოველი დედა არათუ რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამგვარ წინადადებას, არამედ პირიქით, სიხარულით აღივსებოდა მთავრობის ასეთ წყალობათა გამო, თუკი ამ დედას თავისი შვილი უყვარს.

რას ნიშნავს განსხვავებული მსოფლხედვა, განსხვავებული ზნეობრივი მრწამსი და ცხოვრების წესი.

ამას მარიამს რომ უმტკიცებდეს მთავარმართებელი, ბუნებრივია, იფიქრებთ, დემაგოგიით ლამობს ზემოქმედებასო, მაგრამ გენერალს კი გულწრფელად უზიარებს თავის განცდებს და მართლაც ვერ გაუგია, რატომ არ უნდა უყვარდეს ბატონიშვილის მეუღლეს თავისი ვაჟი ისე, მის წარმატებულ კარიერასა და ბედნიერ ყოფაზე ზრუნავდეს.

ხელს მაინც ნუ გვიშლისო, — წუხდა ბარონი.

— მაგრამ მარიამს მართლაც ძალიან უყვარდა თავისი შვილი, ვიდრე ამის წარმოდგენა ბარონ როზენს შეეძლო... გასაოცარია ის ღირსება, ამ ქალმა თავიდანვე რომ გამოიჩინა და რომლითაც იდუმალ მოკრძალებასაც კი იწვევდა იგი თვით რუსთა ბანაკში.

წერილობით გავცემ პასუხს მთავარმართებლის ამ მოთხოვნასო, — დაპირდებოდა სომხეთის ოლქის უფროსს და, თამარ პაპავასი არ იყოს, ადვილად წარმოვიდგენთ, ტფილისიც და პეტერბურგიც რა გულისძგერითაც მოელოდნენ ამ უგვირგვინო დედოფლის „ნოტას“.

ნარკვევის ავტორი საგულდაგულოდ გადაჩხრეკდა აქტების მერვე ტომს, სადაც ამ ამბის შესახებაა დოკუმენტები თავმოყრილი და მარიამის წერილობით პასუხს რომ ვერ აღმოაჩენდა, ფიქრებსაც გაგვიზიარებდა — ან ის მეტად სასტიკი და დასასტამბავად უხერხული აღმოჩნდა, ანდა პეტერბურგს გაიგზავნა დანარჩენ მასალებთან ერთად და იქ დარჩა, როგორც ამას ბერჟე აღნიშნავს ზოგიერთი საბუთის შესახებ აქტების წინასიტყვაობაშიო — მაგრამ უფრო იმ ვარაუდისაკენ გადაიხრებოდა:

— ასეთი დაჟინებით „მიპატიჟებისათვის“, რომელიც უფრო ტყვედ წაყვანას ჰგავდა და რომლის ნამდვილი აზრი დანარჩენ ბატონიშვილთა ბედმა მას უხვად დაანახვა, მარიამი რუსებს ვალში არ დაჩრებოდა.

ბარონი როზენი ვერ დაიჯერებდა, რომ ქალი თავისით გაბედავდა ასე სასტიკად და მჭრელად ეხსენებინა მთავრობის „რაღაც უდიერობა“ და განმარტების შინაარსსა და კილოს მარიამის მამას გადააბრალებდა: მისი კარნახის გარეშე ეს ვერ დაიწერებოდაო.

მამა ალბათ მხოლოდ კარნახს არ იკმარებდა და შეეცდებოდა ხელი შეეწყო დედა-შვილის გაქცევისა ან პატარა ირაკლის გაპარებისთვის, ამიტომაც ბებუთოვს ასი თვალი და ყური უნდა გამოება, რათა ბედის წყალობით ხელთ ჩავარდნილი ოჯახობა ბატონიშვილისა უეცრად არსად გამქრალიყო.

დაჟინებაც გაეგრძელებინა და გაემკაცრებინა.

ასი თვალისა და ყურის გამობმა უფრო იოლი გახლდათ, რადგანაც დაჟინება ძალიან გააგულისებდა უგვირგვინო დედოფალს და ოლქის უფროსს განუცხადებდა:

— თუ ძალით დააპირებთ ჩემი შვილის წაყვანას, იქვე განვგმირავ ხანჯლით. გააფთრებულმა დაუეჭვებლად მომახალაო, — ატყობინებდა მთავარმართებელს და თავებედს იწყევლიდა, ეს რა შარში აღმოვჩნდიო.

ბებუთოვს გენერალ ლაზარევის განგმირული მკერდი დაუდგებოდა თვალწინო, — ვარაუდიც კი არა სჭირდება, ისედაც ამოიცნობს იმის გულის მოძრაობას თამარ პაპავა, და მთავარმართებლისაც, რადგანაც ქალის სიტყვის შეუვალობა მოწმობდა, რომ სასხვათაშორისოდ არც ამჯერად იტყოდა რაიმეს და ვაჟს არ დაანებებდა თავიანთ ჭკუაზე გასაზრდელად.

ამათ კი ვერაფრისდიდებით ვერ აუხსნიათ მისი ამგვარი გამწარება და თავზეხელაღებულობა, მაგრამ მისთვის რუსად გაზრდილი, გადაგვარებული შვილი მაინც მკვდარს უტოლდება და ბარემ უკვე მოესწრაფოს სიცოცხლე, ვიდრე ოდესმე ცოდვა-დანაშაულს ჩაიდენდეს თავისი სამშობლოს წინაშე; შორს ნუღა წავალთ და, თუნდაც ციციანოვისა არ იყოს, საქართველოს ბედი ასე ტრაგიკულად რომ გადაწყვიტა.

რაც იყო თუ როგორც იყო, ბებუთოვს რამენაირად უნდა დაეღწია თავი მარიამისაგან — მისი დამყოლიებელი იგი არ გახლდათ, არადა, იმპერატორიც და მთავარმართებელიც მისგან მოელოდნენ გადამჭრელ ზომებს და არაფრად აგდებდნენ, ეს ქალი მართლაც უცნაურ და გაუგონარ სიჯიუტე-სიმტკიცეს რომ იჩენდა დაუღალავი თხოვნა-რჩევა-მოლაპარაკების დროს...

არაფრად აგდებდნენ კარგია!..

ქანცი კი გასწყდა სომხეთის ოლქის მმართველს და ვერც თავისთვის სასურველ პერსპექტივას ხედავდა.

ეს სიჯიუტე ხშირად ისტერიული ხდებაო, — აღარ იცოდა, რას მიწყდომოდა იმპერატორის მოსალოდნელი გულისწყრომით დამფრთხალი ბებუთოვი და ბარონ როზენს შესჩიოდა: არავითარი საბუთი არა სჭრის და მე ყოველგვარი იმედი გადამეწურა, რომ იგი თავისი ნებით შვილს ან მარტოკა გამოუშვებს და ან მასთან ერთად წამოვაო.

ჩივილი არას შველოდა გენერალს, ამიტომაც ისევ მოხერხებულობის იმედად იქნებოდა, ეგებ როგორმე ტფილისამდე ჩაეტყუებინა არარსებული სახელმწიფოს დედოფალი და... ამიერიდან დაე მთავარმართებელს ეცა თავში. მთავარია, ბებუთოვს პასუხისმგებლობა მოხსნოდა, თორემ ამხელა დამსახურების პატრონს შესაძლოა ყველაფერი წყალში ჩაყროდა, როგორ თუ ეს დავალება ვერ შეასრულეო.

ამ ქალის სიჯიუტეს უნდა გადაყოლოდა?!.

თვითონ შეესრულებინათ, თუ ადვილი იყო!..

ბარემ როზენსაც ერჩივნა, რომ ერევნის გამგებლის ხელით მოგვარებულიყო ეს თავსატეხი და ასერიგად გაჭიანურებული საქმე, მაგრამ რაკიღა პასუხი მასაც მოეკითხებოდა იმპერატორის წინაშე, ეს უნიათო ბებუთოვი კი ქვის კოდვის მეტს არაფერს აკეთებდა, გულში შიშშეპარული ბარონი ისევ საკუთარ თავზე აიღებდა მოლაპარაკების გაგრძელებას და დიდად თავაზიანი და მაღალფარდოვანი წერილით (დაე იმას ეგრძნო, რომ ტყვეს კი არ მიმართავდნენ, არამედ დედოფლობის საკადრის პიროვნებას!) სთხოვდა ტფილისში გამომგზავრებას შვილთან ერთად.

ცხადია, დაპირებით ვერ დაპირდებოდა, სამუდამოდ აქ მოგიჩენ ბინასო, და კვლავ გაუმეორებდა, რომ უზენაესი ნება შეუცვლელი იყო და პატარა ერეკლე აუცილებლად უნდა გაემწესებინათ პეტერბურგში (საკუთარი ბედნიერებისათვის, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისათვის!), მაგრამ შესაძლებელი გახდათ, რომ ეს გამწესება სასწრაფოდ არ მომხდარიყო და მარიამი იმდენხანს დაყოვნებულიყო მეუღლის ყოფილი სამეფოს ყოფილ დედაქალაქში, რამდენსაც თვითონ მოისურვებდა.

შემდეგ კი — ენება შვილს გაჰყოლოდა პეტერბურგში და ენება მამასთან მიბრუნებულიყო ერევანს.

გასაგებია მთავარმართებლის თავგამოდების კიდევ ერთი მოტივი და თამარ პაპავაც ადვილად მიაგნებს — დედა-შვილის ტფილისში ჩამოყვანით ალექსანდრე ბატონიშვილს მოესპოს მათთან დაკავშირების ყოველგვარი საშუალება.

გადაკეტვით ერევნის შემოგარენიც საიმედოდ გადაკეტილიყო, მაგრამ მაინც შიშობდნენ: ალექსანდრე რაღაც ფარულ გზებს მაინც გამოძებნისო.

ტფილისში კი ეს გზები ისე ამოიქოლებოდა, ბატონიშვილი თვითონაც თუ გაებმოდა ხაფანგში, თორემ სხვას ვერას მიაღწევდა.

ეს ხომ მარიამსაც ჩინებულად მოეხსენება!..

ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ტფილისისაკენ გამომგზავრებასაც არ დაყაბულდეს, შინაგანად როგორც უნდა ერჩივნოს თავის წარმოსახვით სახელმწიფოში ყოფნა.

და ბარონი როზენი იძულებულია ყურად არ იღოს თვით იმპერატორის დავალება, შთაგონებით და მარტოდენ შთაგონებით იმოქმედეთ და ოდნავი ძალდატანებაც არ გაბედოთო, და ბებუთოვს უბრძანოს: თუ ვერ დაითანხმებ, თუნდ ძალა იხმარეთ და დედა-შვილი თუ ვერა, პატარა ერეკლე მაინც აქ მომგვარეო.

და კიდევ ერთი მიზეზი ასეთი ასწრაფებისაც და თვით იმპერატორის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობისაც:

— საქმე ის იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა, გაიგო თუ არა, რა ვერაგულის საშუალებით ფიქრობს რუსეთი მის ხელში ჩაგდებას და როგორ უწყალოდ უპირებენ საყვარელი ცოლ-შვილის წართმევას, მაშინვე სპარსეთის მაღალი წრეები შესძრა, რაიც როზენთან ერთად პეტერბურგმაც შეიტყო.

სპარსეთი როგორ მოითმენდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ასეთი გამწარებული ყოფილიყო და მის დასახმარებლად კი ვერარა ეღონა. ესეც სამხედრო ექსპედიცია ხომ არ გახლდათ, დიპლომატიური მოლაპარაკების დროს და სპარსეთს იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რა არგუმენტები გინდოდა დაგეპირისპირებინა მისი მოთხოვნისათვის: საქართველოს მეფის ძეს, მთელს კავკასიასა და წინააზიაში სახელგანთქმულ პიროვნებას აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა თავისი ცოლ-შვილი.

და ამას ითხოვს არა ესა თუ ის გუნდი ან წრე, არამედ აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოს მთავრობა, სახელმწიფოსი, რომელმაც მართალია მარცხი განიცადა რუსეთთან ომში, მაგრამ იმპერია მაინც ძალიან ფრთხილობს მასთან ურთიერთობისას და ცდილობს გაითვალისწინოს იმისი სურვილები.

ამჯერად ირანს ეს უმთავრესი სურვილი ამოძრავებს — გამთლიანდეს ალექსანდრე ბატონიშვილის ხელოვნურად გახლეჩილი ოჯახი.

მთავარმართებელმა წინასწარვე უწყოდა, რუსეთის ელჩს რომ შეუტევდნენ და პასუხსაც მას მოსთხოვდნენ, თუ რა უშლიდა ხელს მთლიანობის აღდგენას. ამიტომაც მოამარაგებდა არგუმენტებით: თვითონ მარიამს არა სურს ბატონიშვილთან ერთად ცხოვრება და ძალით ხომ არ გამოვისტუმრებთ მანდეთო... ვერა, ვერ გაისმოდა დამაჯერებლად ეს „საბუთი", და ბარონი როზენიც რომ იგრძნობდა მის უსუსურობას, შედარებით უფრო დამაჯერებელ მიზეზსაც დაუსახელებდა: მარიამს საგზაო ფული არ გააჩნია და თავრიზამდე, აბა, როგორ უნდა იმგზავროსო.

გაოგნდებოდა სიმონიჩი, ეს სადაური რა საბუთებიაო. იმ მოტივს, თითქოს ოჯახს მარიამი თავისი სურვილით ანგრევდა და არ არსებობდა არავინ და არაფერი, მეუღლესთან მისი შემრიგებელი, ელჩი ვერც გაამჟღავნებდა მისი სრული უბადრუკობის გამო; და არც მეორე „არგუმენტი" გამოიყურებოდა დიდად სარწმუნოდ — თუკი მარიამს საჭირო თანხა იმჟამად არ მოეძევებოდა, ვითომ ან ალექსანდრე და ან ირანის მთავრობა სათანადო თანხას ვერ ნარუდგენდნენ რუს ხელისუფალთ?!.

სიმონიჩი თავაზიანად და მორჩილად კი მოიწერებოდა თავის მოსაზრებას და მხოლოდ მიანიშნებდა: ეგებ ამარიდოთ ამისთანა ლაპარაკიო, — მაგრამ სტრიქონსა და სტრიქონს შუა მკაფიოდ გამოსჭვიოდა მისი გულისწყრომა: თუ კარგია, ასეთი სისულელეები თქვენ თვითონვე ილაპარაკეთ, მე რატომ დამბრალდეს გონებაჩლუნგობაო.

და განრისხდებოდა ბარონი როზენი.

დიპლომატიის ნასახიც აღარ დააჩნდებოდა მის საპასუხო წერილს, რომელშიც ჯერ ფულის ხაზს გააგრძელებდა — საგზაო თანხა კი არ არის მთავარი, არამედ ის ვალები, რაც მარიამს აქამდე დაედო, მის დასაფარავად კი საკმაოდ დიდ ფულია საჭიროო. მაგრამ რამხელა თანხაც უნდა დასახელებულიყო იმ ვითომდა ვალისა, ალექსანდრე თუ ვერ მოახერხებდა მის შოვნას, სპარსეთის მთავრობა ხომ მაინც შეძლებდა მის გადახდას და მერე რაღა უნდა ელონა რუსეთის ელჩს? მიკიბულ-მოკიბულს თუ მოიშველიებდა: მე უფლება არა მაქვს ან ფულის მიღებისა, ვიდრე ჩემი მთავრობისაგან შესაფერის ნებართვას არ მივიღებო, — მაგრამ ამისთანებით ფონს როდემდე გავიდოდა?!

იხლართებოდა მთავარმართებელი თავისივე ტყუილებსა და ცრუარგუმენტაციაში.

იქნებ როგორმე აერიდებინა პეტერბურგისათვის პასუხისმგებლობა, მაგრამ რომ არ გამოსდიოდა?!. იმ წუთას კი ვითომ დაუძვრებოდა ელჩი პასუხს და გაურკვეველი ვადით გადადებდა თანხის აღებას, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც პეტერბურგიდან ის „შესაფერისი ნებართვა“ უნდა მოსულიყო?

ისედაც გულმოსულ მთავარმართებელს მთლად ცეცხლი მოეკიდებოდა და მთელ ბრაზს სიმონიჩზე დაანთხევდა: რას ჩამძიებიხარ, რომ ჩამძიებიხარ, ან ირანის მთავრობა ვინ ბრძანდება ამისთანა, ასეთი ჩაკირკიტება გაბედოს და ჩვენი არგუმენტაციის შემოწმება, ეს ხომ ჩვენი და მხოლოდ ჩვენი შინაური საქმეა და რა უფლებით ერევა ირანის შაჰი ჩვენს შინაურ საქმეებში? ალექსანდრე ბატონიშვილი დღესაც ისევე, როგორც 30 წლის წინათ, გამდგარია და მტერია იმპერიისა და, ცხადია, გამოცხადებულია კანონგარეშე, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე რუსეთის ქვეშევრდომია და არა სპარსეთის და როგორც ჩვენ გვინდა, ისეც მოვექცევით, ირანის მთავრობას მასთან რა ხელი აქვსო.

— ეს ტლანქი, უხეში და თან უჭკუო „პასუხი“ ვერც ერთის მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა ელჩ სიმონიჩს და ამ წერილს მოჰყვა სხვა კიდევ მრავალი იმავ ხასიათისა.

და თამარ პაპავა ბოლომდე აშიშვლებს ბარონ როზენის განრისხე-

ბის ფსიქოლოგიურ საწყისს, რუსეთის ელჩსაც შავ დღეს რომ აყრიდა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ სიმონიჩი რაღაც განსაკუთრებული ხათრითა და მორიდებით ეპყრობოდა ამ სახელმწიფო დამნაშავეს, როგორც... ნათესავს.

რუსეთის ელჩი აკი ალექსანდრეს ძმისწულის, გიორგი მეცამეტის ძის — თეიმურაზის — მძახალი გახლდათ — ორივეს ამილახვრის ქალები ჰყავდათ ცოლად.

სულ ნათესაობის გამო ითხოვდა ელჩი დამაჯერებელ არგუმენტაციას ტფილისიდანაც და პეტერბურგიდანაც!..

ყოვლად უხერხულ დღეში რომ ვარდებოდა და მისთვის ასერიგად ძვირფას იმპერიასაც უნებურად ჩრდილს აყენებდა და აბიაბრუებდა ირანის ხელისუფალთა თვალში, ამას განიცდიდა სწორედ სხვას კი არაფერს, და, რას მიწყდომოდა, აღარ იცოდა.

— სიმონიჩი შეძლების-და-გვარად ასრულებდა პეტერბურგის ნებას. მაგრამ, ვით დიპლომატს და მით უმეტეს ირანის კარზე მყოფს, სულ სხვა ეტიკეტი სჭიროდა, რაც როზენს არ ესმოდა.

მთლად ასე ნუ ვიტყვით, რომ არ ესმოდა. ეგაა, ისეთ დიდ საფრთხეს ხედავდა, ბატონიშვილი ირაკლი რუსეთში აღზრდის ნაცვლად მამის მიერ რომ აღზრდილიყო, უკვე არავითარ ეტიკეტსა და დიპლომატიას აღარ დაგიდევდა.

ხომ თითქოს თვალნათლივია, რომ ელჩი იმიტომ ითხოვს ცოტა მაინც ხელმოსაჭიდ არგუმენტებს, ძალიან რომ არ გაიპამპულოს თავი ირანის ხელისუფალთა წინაშე, ეს საცოდავი რას მიედმოედებაო. მთავარმართებელს რა ენაღვლება, თავში რომ უჩაჩქუნებს რიგით ჩინოვნიკს. აბა, პირადად ჰქონოდა მოლაპარაკება შაჰთან, მის მემკვიდრესთან, საგარეო თუ შინაგან საქმეთა მინისტრებთან, თავისივე „არგუმენტაციას“ იმთავითვე თუ არ უარყოფდა და რაღაც — თუნდ ცოტაოდნავ — დამაჯერებელი საბუთის გამონახვას არ შეეცდებოდა.

ელჩი სხვას კი არაფერს ეხვეწება: რომ შემატოვეთ ამ გამოცდილ დიპლომატებს უსუსური საბუთებისა და მოსაზრებების ამარა, რა თავში ვიცე, აღარაფერი გამეგებაო.

დიახ, თითქოს თვალნათლივია მისი შემონათვალების ფსიქოლოგიური სარჩული, მაგრამ სიმონიჩის გაუბედაობასა და ყოყმანში თამარ პაპავა უეცრად არა უნებლიე საქციელს დაინახავს, გამოწვეულს ძალადობისათვის ნიღბის აფარების წადილით, არამედ განზრახ მოქმედებას — რაც შეიძლება გაეჭიანურებინა ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლ-შვილის გადასახლება პეტერბურგში.

რატომ ვითომ? განა რას აეყოლიებინა ისე, ფარულად დახმარებოდა მარიამს?

ის თითქოსდა ნათესაობა?

მკვლევარი დამატებით იმ ვარაუდსაც მოიშველიებს: 1832 წლის შეთქმულების ერთი მეთაურთაგანი სოლომონ რაზმაძე სიმონიჩის სამსახურში რომ იმყოფებოდა, ვიდრე დააპატიმრებდნენ, ალბათ აქტიურ დახმარებას უწევდა ბატონიშვილს და ელჩზეც შესაფერის გავლენას ახდენდაო.

— უნდა ვიფიქროთ — ბატონიშვილის მდგომარეობა საკმაოდ მტკიცე იყო: ერთის მხრივ რუსულ საელჩოსთან კავშირით რაზმაძისა და თვით სვიმონიჩის ლოიალობის გამო, და მეორე მხრივ კი შაჰის მემკვიდრის — აბასის ენერგიულის ჩარევით.

მის ვარაუდებს აკი დიდ ანგარიშს ვუწევთ, მის ალღოსა თუ გონებამახვილურ მიგნებებს, მაგრამ ამჯერად სიმონიჩის გამოყვანა ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი ოჯახის მალულ მეკავშირედ და მფარველად გადაჭარბებული ჩანს და მკვლევარის სურვილი უფროა, ვიდრე რეალობის ანარეკლი, სურვილი კი იმიტომ, მეტი დრამატიზმი მიენიჭოს ისედაც მღელვარე ამბავს, მეტი დრამატიზმი კი სწორედ ესაა, რომ რუსებს შორის უნდა მოხდეს განხეთქილება და მარიამმა მათში უნდა ჰპოვოს ჩუმი თანამგრძნობი და დასაყრდენი.

თეიმურაზ ბატონიშვილისა და გრაფ სიმონიჩის მძახლობას უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ჰა, იქნებ მართლაც არ ჩაევლო უკვალოდ?!.

არა კმაროდა ეს საბუთი?

ამიტომაც მოეჭიდებოდა სოლომონ რაზმაძის შესაძლო გავლენას ელჩზე და ამიტომ დაისაჭიროებდა სოლომონის — შეთქმულების ამ რიგითი წევრის — გამოცხადებასაც ფარული ორგანიზაციის ერთ მეთაურთაგანად.

მაგრამ რა — ისეთ წანამძღვრებზეა ეს მსჯელობა ამოშენებული, ძნელია მისი დამაჯერებლობა ირწმუნო. თეიმურაზ ბატონიშვილთან დანათესავება არამცთუ ალექსანდრეს მომხრედ — თუნდ ლოიალურად განწყობილად — არ გადააქცევდა რუსეთის ელჩს. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა — ისედაც ეჭვით შეხედავდნენ მის ყოველ ნაბიჯს და თავის მხრივ შეეცდებოდა საბაბი არაფერი მიეცა უფროსობისათვის. თანაც, მის უშუალო გარემოცვაში შეთქმულების წევრს რომ აღმოაჩენდნენ, ესეც ხომ გაურთულებდა ყოფას.

ისე მხატვრული თხზულების სიუჟეტისათვის ამგვარი ვარაუდები მისწრებაა და მწერალს არც ის დაეძრახება, სოლომონ რაზმაძეს ფა-

რული ორგანიზაციის ერთ-ერთ მეთაურადაც თუ წარმოსახავს — მღელვარების კიდევ უფრო დასამუხტავად... მაგრამ სურათის დოკუმენტური სიზუსტით აღდგენის აუცილებლობა მაინც სხვაგვარ სიფრთხილეს გვავალებს და ნურც ელჩი სიმონიჩი მოგვეჩვენება მარიამისა და მისი ვაჟის გულითად დამცველად. პატარა, სულ პანია ხელმოსაჭიდიც რომ ჰქონოდა, თუ რატომ უნდა მოეცილებინათ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის მისი ოჯახი, ისეთი თავგამოდებით დაიცავდა ირანის ხელისუფალთა წინაშე ამგვარი მოწყვეტის სამართლიანობას, ეგებ ბარონ როზენს შეხარბებოდა კიდეც. ესეც ვარაუდია, ცხადია, ოღონდ რეალურ ყოფასთან თითქოს უფრო მიახლოებული ვარაუდი.

თუკი კაცს არა სურს, რომ თავი გაიმასხროს დიდ სახელმწიფოს მეთაურთა წინაშე, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს გვირს რითიმე უთანაგრძნობდეს და განზრახ ითრევდეს ფებს იქეთ, რომ მთავარმართებლის რისხვასაც არაფრად აგდებდეს.

ანდა ვერ ჭვრეტდეს იმ მოსალოდნელ საშიშროებას, რასაც უსათუოდ გამოიწვევდა პატარა ერეკლეს სიახლოვე მამასთან.

— ალბათ თქვენც აშკარად ხედავთ, რომ აუცილებელია ერეკლეს დარჩენა რუსეთშიო, — როზენი რომ სწერდა, რასაკვირველია, სიმონიჩისთვის მისი მსჯელობა-არგუმენტაციის გარეშეც ნათელი გახლდათ ყოველივე და არანაკლებ შემაშფოთებელი:

— რათა ამ ყმაწვილს მიეცეს წესიერი აღზრდა და განემტკიცოს მომავალი კეთილდღეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იხეტიალებს რა უცხო ქვეყანაში მამასთან ერთად, იგი ბავშვობიდანვე შეითვისებს აზრს, თითქოს საქართველოს რაღაც პრეტენდენტი იყოს, და დარჩება ყოველგვარი განათლების გარეშე, და მარტო სიძულვილით აღივსება ყოველივე რუსულისადმი...

არა, ეს როგორ დარდობს და ზრუნავს მთავარმართებელი, ირაკლი ბატონიშვილი გაუნათლებელი არ დარჩესო.

განათლება, მისი თვალთახედვით, გარუსების ტოლფასია — როგორც უზენაესი სიკეთისა და წყალობის გამოხატულება.

წესიერი აღზრდაც ამასვე გულისხმობს.

მომავალი კეთილდღეობაც.

ბავშვობიდანვე შეითვისებს აზრს, თითქოს საქართველოს რაღაც პრეტენდენტი იყოსო...

სხვათა შორის, ერთადერთი პრეტენდენტი სამეფო ტახტისა, რაკილა მისი შესაძლო მოცილენი რუსთა ტყვეობაში იმყოფებიან, საიმპერატორო კარის მტკიცებით: სრულ კეთილდღეობაში.

ხომ თითქოს ყველაფერია ნათქვამი ბარათის ამ სტრიქონებით, მაგრამ მომდევნო ფრაზებიც არანაკლებ საგულისხმოა და დამაფიქვრელი და რუსული პოლიტიკური აზროვნების წარმომჩენი:

— და რადგანაც ბატონიშვილი ალექსანდრე მუდამ ცდილობდა კავშირი გაება ლეკებთან, და ჯერ კიდევ შარშანაც ურჯულო ყაზიმოლასთან იმყოფებოდა, ასევე შეინარჩუნებს ამ კავშირს მისი შვილიც. და როდესაც წამოიზრდება, შესაძლოა მთებში შემოგვეპაროს, სადაც დაუცხრომელი ავაზაკი შეიქნება, ანდა, მდგომარეობის შესაფერისად, შეეძლება საგრძნობი ზიანის მიყენება მთავრობისათვის.

მამის ხელში ირაკლი არამარტო შეურიგებელი პროტესტანტი უნდა გახდეს, არამედ კავკასიური მთლიანობის იდეით ანთებული მებრძოლიც, ალექსანდრესავით კავკასიის და მხოლოდ კავკასიის მასშტაბით რომ უნდა წარმართოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ასეთ შემთხვევაში მთავარმართებელს უკვე შეურჩევია სახელი მისთვის: დაუცხრომელი ავაზაკი.

მოგვიანებით ეს „ტიტული“ ძალდაუტანებლად მიესადაგებოდა იმამ შამილს, ვინც მართლაც საგრძნობ ზიანს მიაყენებდა რუს ხელისუფალთ და მათ სამხედრო მანქანას.

გაჭიანურებით კი განა როდემდე გაჭიანურდებოდა ან ტფილისისაკენ გამომგზავრება და ან პეტერბურგისაკენ, მითუმეტეს, როდესაც ძალიან შეავიწროვებდნენ მარიამის მამასაც, ძმებსაც, ახლობლებსაც და აიძულებდნენ „ერჩიათ“ გაჯიუტებული ქალისათვის, შეენყვიტა ამაო წინააღმდეგობა... და კიდევ მითუმეტეს, რომ უკვე აღარც ამ მუქარას მოერიდებოდნენ: ერეკლეს ძალით და მარტოკა გავგზავნითო.

არ შეუსრულებდნენ თუ რა.

და კმაყოფილი და გახარებული ბებუთოვი 1833 წლის 5 აგვისტოს მთავარმართებელს რომ აცნობებდა: ამ მუქარამ გასჭრაო, — დასძენდა, რომ მარიამთან შეთანხმებით გამგზავრების ვადად 8 აგვისტო დაენიშნათ.

ალბათ მიხვდით, რომ ამ თარიღს ქალი კიდევ გადაწევდა.

— ეხლა დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მარიამის „დათანხმება“ სწორად ნაანგარიშები „სტრატეგიული მოვლა“ იყო.

რაკილა თავის მხრივ თითქოს დათანხმდა გენერლის დაჟინებას, მარიამი შეეცდებოდა იქითაც დაეყოლიებინა სომხეთის ოლქის მმართველი და, ტფილისში გამომგზავრებამდე, ორი სურვილის შესრულება ეთხოვნა მთავარმართებლისათვის.

განა რა მოხდებოდა, რომ ყმაწვილი ტფილისიდან მაშინვე კი არ გაემწესებინათ პეტერბურგში, არამედ საკმაო ხანს გაეჩერებინათ ამ

ქალაქში, ვიდრე 7-8 წლის ერეკლე წერა-კითხვას (თუნდაც რუსულად) ისწავლიდა?!.

ეს ერთი.

და მეორე კიდევ ის, რომ ბარონ როზენს გაეგზავნა არზა იმპერატორისათვის და ეშუამდგომლა ალექსანდრე ბატონიშვილის ბედის შესამსუბუქებლად, და თუკი რუსხელმწიფე ამ წყალობას გაიმეტებდა, შენდობილი და პატიებული ალექსანდრე, ცხადია, თვითონაც მოინდომებდა ცოლ-შვილთან ერთად ჩრდილოეთისაკენ გამგზავრებას.

— აშკარა იყო — აქაც ჩვეული და ნაცადი საშუალება და ხერხი მეტყველებდა ბაგრატიონთა და მათი რძლების, რომ როგორმე საქართველოში დარჩენის საშუალება და ვადა გაეხანგრძლივებინათ და, ვინ იცის, იქნებ ამ ხანში ბედი ისევ შეტრიალებულიყო და ისინიც საკუთარ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენილიყვნენ.

ის, რაც აშკარაა ყველასათვის, სრულიად მიუწვდომელი დარჩებოდა ბებუთოვისათვის, ვისაც მიამიტობას ნამდვილად ვერ დასნამებდი. და თუ ასეა, რატომ უნდა აღტაცებულიყო მარიამის ამ შეთავაზებით და მასში დაენახა არა ტაქტიკური და მარჯვე მცდელობა, არამედ წრფელი სურვილი?!

მიზეზი უბრალოა და ფსიქოლოგიურად ადვილად ასახსნელი — ისეთი მწველია წადილი, ხელთ იგდოს მოუხელთებელი ბატონიშვილი და ამით ყველაზე დიდი სამსახური გაუწიოს იმპერატორს, რომ გონება ებინდება და მისთვის უჩვეულო გულუბრყვილობასაც ამიტომ იჩენს.

რა ბებუთოვი — გენერლის რჩევა და დაჟინება თვით მთავარმართებელზეც იმოქმედებდა: გავტეხეთ ეს ქალი და ეგააო, — ისიც გაიზიარებდა ოლქის მმართველის სიხარულს და ნებას დართავდა მარიამს, რომ მისი — დიახ, სწორედ მთავარმართებლის — აპარატის მეშვეობით მიეწვდინა ხმა მეუღლისათვის.

ასე დაიწერებოდა წერილი ალექსანდრეს სახელზე 1833 წლის 22 სექტემბერს, და ასე შეიტყობდა ბატონიშვილი, რომ მის ცოლ-შვილს, რუსხელმწიფის ბრძანებით, პეტერბურგში უწევდა გამგზავრება.

შენც ჩვენთან ერთად წამოდიო, — თითქოსდა ურჩევდა ცოლი, — ბარემ ნუღა გადადებ და პატიებაც ითხოვე იმპერატორისაგან და ნებართვაც, ჩვენთან ერთად გადასახლდე რუსეთშიო.

მიზეზები არ ელეოდა.

მარიამი ყველა საბაბს რომ ეჭიდებოდა გამომგზავრების ვადის გადასადებად და მისი თანხმობა უკვე აღარ ჰგავდა თანხმობას, რაკიღა ვერა და ვერ დაეძრათ ერევნიდან, ხელახლა მოეკიდებოდა ბრაზი

აქეთ მთავარმართებელს და იქით ბებუთოვს, მოთმინებაც უმტყუნებდათ და... კიდეც შემოარტყამდა ალყას მათ საცხოვრისს რუსის ჯარი, დაატუსაღებდა დედა-შვილს და ასე ძალით ჩაიყვანდა ტფილისს როზენისათვის მისაგვრელად.

ჯერ ხომ თავრიზში მოუწიათ დაპატიმრება და გამოტაცება რუსის ჯარის მიერ.

ახლა ერევანშიც იგივე განმეორებულიყო.

უკეთესი ყმაწვილქალობა აღარ უნდა ინატრო!..

არც უკეთესი ბავშვობა!..

ტფილისში ჩამოსული ქალი მთავარმართებელს როგორ მიეღო?

უკეთესი აღარც შეიძლებოდა — ზარზეიმითა და პატივით, მაგრამ...

— სადაა ჩემთვის ან დღე ან ღამე, როცა თქვენგან მოშორებული ვარ.

ბარონ როზენს პირადად რომ განუცხადებია მარიამისათვის: ხელმწიფის ნება რუსეთში თქვენი ვაჟის წაყვანის შესახებ ურყევიაო — ის კი ჯერ ცდილა შეწინააღმდეგებას: ამაზე ჯერ მეუღლეს დავეკითხებიო, — მაგრამ რაკიღა უარი არ გაუვიდოდა, იმასვე გაუმეორებდა, რაც მთავარმართებელმა ბებუთოვისაგან ისედაც იცოდა და გულს სიამედ ეფინებოდა: აუცილებლად გავემგზავრები, თუკი ჩემი ბატონი და დამტირებელი, მეფის ძე ალექსანდრე აქ ჩამობრძანდება და ერთად წავალთ და ერთადვე წარვუდგებით რუსთა ხელმწიფესო.

ბარონ როზენს მეტად მოეწონა ეს ჩემი წინადადებაო, — დასძინდა ქალი.

რომ არ მოსწონებოდა?!.

ალექსანდრეს კი რა ევალებოდა?

პასუხი დაეჩქარებინა.

თამარ პაპავა კვლავ იმეორებს, რომ ამგვარი საქციელით მარიამი დროს იგებდა, ამასთან ბარათის წამღების მეშვეობით მეუღლეს თავისი და ერეკლეს ყოფას დაწვრილებით აცნობებდა და ადგილობრივ პირობებსაც გააცნობდა საიდუმლოდ, ანუ:

— ამ ხერხით ერევნის გაწყვეტილი კავშირი ინფორმაციისა დროებით მაინც აღადგინა ამ ქალმა.

საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ამ კუთხით „აქტების“ ცნობებს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვარაუდს დაიბეჯითებს, რომ ბატონიშვილს როგორც კი შეუტყვია თავისი ცოლ-შვილის გამგზავრების ამბავი ტფილისში, გაორკეცებული ძალით დაუწყია მოქმედება საქმეში სპარსეთის დიპლომატიის უფრო ენერგიული ჩარევისათვის.

აზერბაიჯანის მმართველსაც სთხოვდა ჩარევას, მაგრამ მთავარი მაინც აბას-მირზა გახლდათ, რუსეთის ელჩის თვალშიც „ალექსანდრე ბატონიშვილის პირადი და დიდი ხნის მეგობარი და საყვარელი თანამებრძოლი", ვინც უთუოდ ბეჯითად მოჰკიდებდა ხელს ამ თხოვნის აღსრულებას და:

— ასე უბრალო ნოტებით აწი საქმეს აღარა ეშველება რა.

სიმონიჩისაგან 15 სექტემბერს ამ არცთუ სასიამოვნო ცნობას მიიღებდა მთავარმართებელი, თავის მხრივ კი პეტერბურგს აუწყებდა: თუმც ირანი ოფიციალურად ითხოვს ბატონიშვილის ცოლ-შვილის კვლავ სპარსეთში დაბრუნებას, მაგრამ მარიამის მამის დახმარებით საქმე უკვე მოგვარებული მაქვს და დედა-შვილი უკვე ტფილისში იმყოფება, რათა გაზაფხულზე პეტერბურგს გამოვამგზავრო.

ქალის თხოვნასაც ამცნობდა ხელმწიფეს: ეგებ შეუნდოთ ცოდვები ალექსანდრე ბატონიშვილს, ნება დართოთ რუსეთში წამოსვლისა და ნურც ახალ-ახალ წყალობას მოაკლებთო.

პეტერბურგში აღფრთოვანდებოდნენ, ბატონიშვილის შემორიგებაზე მარიამს რომ ჩამოეგდო სიტყვა, და საგარეო საქმეთა მინისტრი 7 ნოემბერს უკვე პასუხს სწერდა ბარონ როზენს იმპერატორის სახელით: ყველაფერი ეპატია ალექსანდრე ბატონიშვილსო.

მთავარმართებელს კი განსაკუთრებით ბარათის ის სტრიქონი გაახარებდა:

— ხელმწიფემ მეტად მოიწონა თქვენი ნაბიჯები.

ყველაზე კარგი რა არის, იცით? ტყუილებში გამობრძმედილი ეს ადამიანები — ბებუთოვისა არ იყოს — გულუბრყვილობას რომ იჩენენ და სასურველს ადვილად ღებულობენ რეალობად. თან ესეცაა — ვერ წარმოუდგენიათ, ამდენი ხნის ამაო კვეთებასა და გაუთავებელ მარცხს ბოლოსდაბოლოს როგორ არ უნდა გაეტეხა ალექსანდრე და მართლა არ ეძებნა თავშესაფერი თუნდ მტრის კარზე. ამიტომაც საქმე უკვე მოგვარებულად ესახებათ და ბარონ როზენთან იმასღა არკვევენ და აზუსტებენ: სად სჯობს ბატონიშვილისათვის საცხოვრისის მიჩენაო, ჯამაგირი რამდენი დავუნიშნოთო...

ალექსანდრეს ჩამტყუებლები ისინი არ იყვნენ, მაგრამ ვერც თავისი საწადელისათვის რომ ვერ მიეღწია?!.

ქვეყანა ხომ ვერ გამოეხსნა და ვერ გამოეხსნა, ახლა ცოლ-შვილიც ვეღარ გადაერჩინა ტყვეობისაგან, და აზერბაიჯანის მმართველზე გულმოსული, ძალიან ზოზინობსო, ვეღარც აბას-მირზას ამოქმედებას მოასწრებდა — ირანის ტახტის მემკვიდრე უეცრად გარდაიცვ-

ლებოდა და მისი სიკვდილი თუ ვინმეს დააზარალებდა, პირველ ყოვლისა ალექსანდრეს, იმ წუთსაც და საერთოდაც.

მეგობარი გამოეცლებოდა ხელიდან.

ცოლ-შვილის გამოხსნის იმედი ჩაეშრიტებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის ოცნებაც განუქარდებოდა.

მშვიდი სიბერის მოლოდინი დიდად არც ჰქონია, მაგრამ არც სრული გაღატაკების საფრთხე ემუქრებოდა, ახლა კი...

მემედ-მირზა, შაჰის ახალი მემკვიდრე, რუსეთთან ზავს მოისაბაბებდა და ქართველ ბატონიშვილს დაპირებით სასიკეთოს ვერაფერს დაპირდებოდა. არა, მთლად ისეც არ იქნებოდა, გაფხაკუნებით თითქოს რაღაცას გაფხაკუნდებოდა მისი გულისათვის, თავრიზში გამგზავრებასაც არ იუარებდა რუსეთის ელჩთან შესახვედრად, მერე კი ალექსანდრეც უნდა წარედგინა მისთვის, მაგრამ...

მარიამმა რაც შეძლო, ცოტა არ მოუხერხებია — ერთი წლით ხომ მაინც გადასწია პეტერბურგში გამგზავრების ვადა, 1834 წლის აგვისტომდე დედა-შვილი ჯერაც ტფილისში იმყოფებოდა. ეჰ, აბას-მირზა რომ ცოცხალი ყოფილიყო!.. ეს დრო, და კიდევ ნაკლები, აუცილებლად ეყოფოდა ამ თავისთავად ძნელი საქმის მოსაგვარებლად. და თუმც იმ აგვისტოს ალექსანდრე თავრიზში კიდევ ერთხელ მიაყდებოდა მემედ-მირზას კარს, მაგრამ ხეირს კი ვერაფერს ეწეოდა.

ამასობაში მის ვაჟს პეტერბურგის კადეტთა კორპუსში ჩარიცხავდნენ.

ერთ წელიწადში სასახლის პაჟებში განამწესებდნენ.

ყმაწვილს არც ორდენებს მოაკლებდნენ.

არც დაპირებებს დაიშურებდნენ.

ახალ ციციანოვად ზრდიდნენ — ალბათ უფრო უარესადაც, ხვალ იმ მიწა-წყლის სამუდამო დაკაბალებისათვის რომ უნდა ეზრუნა, რის გამოხსნასაც მამამისმა სიცოცხლე გადააგო და ჯერაც რაღაცის იმედს ებღაუჭებოდა.

ასე უნდა შეკრულიყო პატარა ერეკლესა და დედამისის ის ტრაგედია, გარეგნულად ზიზილ-პიპილებით მორთული და მოვარაყებული:

— თავრიზში რომ დაიწყო და ერევნით ტფილისზე და შემდეგ პეტერბურგზე სევდის არშიად გადაიარა.

თავი მეჩვიდმეტე

მამაშვილობა

თავრიზში თითქოს საიმედოდ დაცულიყვნენ და...

ესეც ერევნის, ტფილისისა და პეტერბურგის შავი არშია.

არ ეწერა მამა-შვილს ერთმანეთის ნახვა.

ნეტა რა კაცი დადგებოდა ერეკლე იმათ ხელში?

ძნელი სათქმელია, როგორ და რანაირად, მაგრამ ხმის მიწვდენას მაინც მოახერხებდა ალექსანდრე.

ოთხი წერილია შემორჩენილი — შვილთან მინერილი.

ცხადია, საიდუმლო ბარათების გაგზავნა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ — თვით ალექსანდრესთვისაც მიუღწეველი.

ჯერ რუსეთის ხელისუფალთა ხელში უნდა გაევლო.

ამიტომაც ვერ მისწერდა, რაც გულით ენება.

ისე უნდა შეედგინა, ბარათები არ გადაეშალათ.

შინაგანი ცენზორი რას ნიშნავს, აბა, ბატონიშვილმა რა იცოდა, მაგრამ რაღაც ამგვარს გაითვალისწინებდა სალმასტიდან 1836 წლის 27 სექტემბერს გაგზავნილ ბარათს „უძვირფასესსა და უსანატრელეს საყვარელ შვილთან“ უკვე ამ მანერით შექმნიდა და... მღელვარებას კი ვერ დაფარავდა, რაკიღა ამას მაინც ეღირსა. და არც ასეთ გამოთქმებს მოერიდებოდა, რაც მისგან თითქოს უცნაურად გაისმის, რადგანაც სენტიმენტალიზმის მოძალებას ჰგავს:

— ჯერ პირველად ჩვენს სასურველს პირსა და თვალებს დიდის სურვილით დაგიკოცნით და ვსასოებთცა ყოვლად შემძლებლის უფლისა მიმართ, რათა იმყოფებოდეთ ყოვლითურთ უვნებლად მრავალსა წელსა შვილად და აგრეთვე იმედად ჩვენდა...

მერე სიხარულს გამოთქვამდა (ფრიად გვასიამოვნაო) ვაჟისაგან მოწერილი ბარათის გამო, ყოველი მწუხარება რომ განუქარვა, ხოლო ირაკლის მშვენიერმა პორტრეტმა კი გააჭაბუკა და ფრიად გაამხიარულა.

— უსაყვარლესო შვილო! თუმცა შესაწუხებელ არს ჩვენთვის თქვენი ჩვენგან მოშორება, გარნა ერთმხრითაცა სასიამოვნოთ მიგ-

ვიჩანს, მით რადგანაც ყოვლად უმოწყალესს ხელმწიფე იმპერატორსა აქვს თქვენდამი ყურადღება უხვის მოწყალებითა. ამისთვის მოიმედენი ვართ, რომელ არს შეგაჩნდებათ ობლობა. რადგანაც მათით იმპერატორებითის დიდებულება თქვენი მწყალობელი ბრძანდება, ამისთვის გთხოვთ რომე თქვენცა დაეფუძნოთ ყოველსავე სწავლასა, რათა არა დარჩეთ სწავლისაგან უნაწილოთ.

იმპერატორის მოწყალების აღნიშვნა რომ არა, რასაკვირველია, ბარათი ყმაწვილ ბატონიშვილამდე ვერ მიაღწევდა და ვერც მამის იმ მთავარ რჩევას მოისმენდა: სწავლას დაწაფებოდა.

მართალია მამა განუშორებიათ მისგან, მაგრამ — გარდა დედისა — იქ ხომ ფარნაოზ და ანასტასია ბატონიშვილებიც იმყოფებიან, ისინი გაუწევენ მამობას და ობლობას არ აგრძნობინებენ.

მაინც ხომ ახერხებს ალექსანდრე, მიანიშნოს შვილს, თუ ვის უნდა მიენდოს.

მთავარი, ცხადია, ის არ არის, რომ ბიძა და მამიდა ობოლობას არ აგრძნობინებენ, არამედ — დედასავით ისინიც ქართული სულისკვეთებით აღზრდიან, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებით განმსჭვალავენ, მამის კვალზე დადგომას ჩააგონებენ.

— ოღონდ შენ სწავლაზედ ბეჯითი იყო.

ამას კვლავ გაუმეორებს 1837 წლის 14 მარტს მიწერილ წერილში, კვლავ სენტიმენტალურ გრძნობათა მოძალებით რომ იწყება („ჯერ პირველად ჩემს სასურველს ორსავ თვალებზედ დაგკოცნი და ვსასოებცა უზესთაესის ყოვლად შემძლებელის უფლისა მიმართ რომელ იმყოფებოდე ყოვლითურთ უვნებლად მრავალსა წელსა ძედ და იმედად ჩემდა"), ემადლიერება გამოგზავნილი ბარათისათვის, სადაც აღნიშნული ყოფილა ერეკლეს დეიდის ნიშნობის ამბავი და ყმაწვილის წადილი, ეგებ ალექსანდრეს მოეხერხებინა იმისი დანიშნულისათვის -- გიორგი თუმანიშვილისთვის — მეორე ხარისხის ორდენის გამოთხოვა შაჰისათვის.

— ახლა ვაპირებ ყეენთან წასვლასა და ვეცდები რომ აღვასრულო შენი თხოვნა და როდესაცა აღვასრულებ, მაშინ როგორც მოგიწერია ისე გამოვაგზავნინებ...

უკვე დაფაცურებულა:

— ჩვენ ისაი ბეგისთვის გვიბრძანებია რომე ამან მოგვაგონოს ყეენთან რომ წავალთ. დიახ დიდი მეგობარი ყოფილა მაგისი.

იმავე წლის 25 ივნისს უკვე თავრიზიდან შეეხმიანებოდა იმ ბარათის პასუხად, შვილი რომ ატყობინებდა, იმპერატორისაგან ჯილდოდ

დაბეჭდილი წიგნები მებოძა, ხოლო ქრისტეს აღდგომის დღეს — სერჟანტობაო.

ულოცავს და უფრო მეტ წარმატებასაც უსურვებს:

— და ღმერთმა უმეტეს ხარისხთა მიგაწევინოთ, რომლის სმენითა მივეცით სიხარულთა: ჩვენ დარწმუნებული ვართ, ძევ ჩემო რომელ შენის ცდისამებრ მოგაბარებენ ყმარწვილებსა. მოიმედე ვართ კვალად არა მოაკლებთ ცდასა თქვენსა სწავლასა ზედა.

პირველმა წარმატებამ ზედმეტად რომ არ გაათამამოს და კვლავინდებურად რომ უნდა იბეჯითოს სწავლისას, ამ რჩევის გაზიარება გასაგებია, მაგრამ სერჟანტობის მილოცვა? და ასეთი სიხარული, მომავალი დაწინაურების მოლოდინით?

ნეტა გულწრფელია ალექსანდრე თუ?..

ეგებ ჩაუქნევია ხელი წინააღმდეგობაზე, და თუ თვითონ უკვე ვეღარ გადაკეთდება და ძველებურად შეურიგებელ პროტესტანტად რჩება, შვილი ენანება და ძალიანაც ენანება ცხოვრების იმ სტილისათვის, თვითონ რაც გადაუტანია — განამებულა, გატანჯულა, მიღწევით კი ვერაფრისათვის მიუღწევია და აგერ ცოლ-შვილის ნახვაც სანატრელად გადაქცევია.

მაშ დაე დაწინაურდეს რუსეთის სამხედრო თუ სამოხელეო იერარქიულ კიბეზე?

ამით განა რა სიკეთეს მოუტანს თავის ბედკრულ ქვეყანას?

ფსიქოლოგიურად ეს ნამიერი სისუსტეც გასაგები და ასახსნელი იქნებოდა (გაგახსენდათ „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბალადა"?), მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ასე აღვიქვათ ეს სტრიქონები. ეგაა, მარიამის მიერ აღზრდილი ჭაბუკი ნაკლებ მოსალოდნელია რუსული ორიენტაციისაკენ გადაიხაროს, მითუმეტეს, თუ ფარნავაზ და ანასტასია ბატონიშვილებიც ადგანან თავზე. ასეთ დროს კი ყოველგვარ მიღწევასა და წარმატებას ისევ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ გამოიყენებს, თორემ მის წინააღმდეგ — არაფრისდიდებით.

ამიტომაც აღარ შიშობს ალექსანდრე, ვაითუ ყმაწვილს გონება და სისხლი გამოუცვალონო, და ისე ულოცავს პირველ დაწინაურებას, თითქოს თვითონ სამშობლოში იმყოფებოდეს და რამდენიმე წელიწადში მოელოდეს სასწავლებლად უცხო (და არა მტრულ!) ქვეყანაში გაგზავნილი შვილის დაბრუნებას.

ხოლო ირაკლი გიორგი თუმანიშვილს რომ აცნობებდა: სპარსეთის მეორე ხარისხის ორდენის საქმე მოგვარდებაო, — მამა აიმედებდა:

დარწმუნებული იყავი, უსათუოდ გავურიგებ და, როგორც მიგიწერით, შაჰის ფირმანით გამოვუგზავნითო.

1838 წლის 22 დეკემბერს თეირანით მიწერილი ბარათი კი უკანასკნელი აღმოჩნდებოდა და ჩვეული მოკითხვის შემდეგ:

— მაგ ჩემს სასურველს მშვენიერს სახეს დაგიკოცნი და ვსთხოვ ჩემს სასო ღვთისმშობელსა რომელ უვნებლად გამყოფოსთ. ძეო ჩემო, თქვენი წიგნი ოკტონბრის ვე-ს დაწერილი მივიღე დეკემბრის იბ-ს და დიდათ ვისიამოვნეთ და მადლი შევსწირეთ უფალსა თქვენის უვნებლად ცხოვრებისათვის.

დიდი სიყვარულით მოიკითხავდა ფარნავაზსა და მის მეუღლესაც, აგრეთვე გიორგი თუმანიშვილსაც და მასთან დააბარებდა: ამ ცოტა ხანში ორდენს გაგირიგებო.

— ამას წინათ ჩვენი ისაი ბეგი ჰერანს გაგვეგზავნა ყეენთან ჩემის საკუთარის საქმეებისათვის და იქ ვეზირთან გიორგის ორდენისთვის ელაპარაკნა და მასაც აღსრულების იმედი მიეცა. ეგრევე ჩვენს ხოსროვ ხანსაც სთხოვა და მანცა იმედი მისცა. ჩვენს საქმეებს რომ შევასრულებთ, მასუკან ორდენის საქმეს შეუდგებით.

აცნობებდა იმასაც, რომ რუსულად დაწერილი რწმუნების წერილი — რუსეთის ელჩის შემოწმებით — მარიამთანაც გაეგზავნა, რათა მას მიეღო გარდაცვლილი დარეჯან დედოფლის ნივთეულები და თეთრი, რაც დიდ ქალბატონს ანდერძად დაეტოვებინა, და მას კი ეს ყოველივე ირაკლისათვის მიეხმარა.

პირველ ბარათს მხოლოდ ხელს აწერდა, მეორე და მესამე ბარათებს ხელმოწერასთან ერთად ბეჭედიც ამშვენებს, ამ მეოთხე ბარათზე კი სახელის ნაცვლად მხოლოდ ბეჭედია, რომელზეც ამოტვიფრულა სახელი მისი ალექსანდრე.

მანამდე, 1838 წლის 29 ნოემბერს, საშუალება მისცემოდა მეუღლესთანაც მიეწერა წერილი სწორედ იმ ნივთების მიღების ნებართვისაც, დარეჯან დედოფალს რომ დაეტოვებინა თავისი გატანჯული ძისათვის.

— ახლა რომ რუსეთის ჩაფარი გეახლებათ იმ რუსულს წიგნს ჩვენის ბეჭდითა და რუსეთის ელჩის დამტკიცებით გამოგიგზავნით...

ამას გარდა:

— ამას წინათ რომ რაც გეთხოვნათ იმეებსაც რომელსაც ვიშოვნით იმეებსაც გამოგიგზავნით.

თავის მხრივ რას ავალებს?

— ჩვენს მაგიერათ ჩვენს ამა წუთი სოფლის სიყვარულს ჩვენს ძეს ირაკლის თვალებში კოცნა გამოუცხადეთ.

ამაზე მეტი რაღა მოგწეროო, — რომ დასძენს, მძიმე საცენზურო პირობებში მეტი მართლაც რაღა უნდა მიეწერა მეუღლისათვის თუ არა მარიამის დედისა და დების მოკითხვაც.

ჯერ ეს რა ძაფი იყო, რისი გაბმაც მოხერხდებოდა, და ამასაც არ დაანებებდნენ. თუ კიდევ შერჩენოდათ მისი გამოტყუების იმედი, უკვე ყოველგვარ მცდელობაზე საბოლოოდ უნდა აეღოთ ხელი... თან თავსაც ინუგეშებდნენ: ამიერიდან მაინც რაღა უნდა დაგვაკლოს, ამოუწურავი არაფერია და ან ალექსანდრე ბატონიშვილის მხნეობა და ენერგია ამოიწურება და ან ირანი ჩამოეხსნება მის გამოყენებაზე ფიქრსო.

მხნეობისა და ენერგიის ამოწურვისა რა მოგახსენოთ — თუმც თვითონ ძალიან წუხდა ყოველი წლის მომატებას, ჩემი ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლას აკლდებაო — მაგრამ, აი, ირანის თვალში იგი აღარ რჩებოდა იმ გმირად, ვისაც ადრე თუ გვიან ბედად ეწერა რუსთა განდევნა არამცთუ საქართველოდან, არამედ მთელი კავკასიიდანაც.

აბას-მირზას გარდაცვალება ხომ მწარედ დააჩნდებოდა ალექსანდრეს ცხოვრებას, ფათჰალი შაჰის აღსასრული კიდევ უფრო დაუმძიმებდა და გაუწამებდა ყოფას, თითქოს ტანჯვა ჰკლებოდეს.

აბას-მირზას ვაჟი დაეუფლებოდა სპარსეთის ტახტს — მუჰამედი.

ახალი თაობა დაწინაურდებოდა შაჰის კარზე, მისი ტოლ-სწორნი, რომელთათვისაც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი აღარაფერს წარმოადგენდა.

აღარც მისი ავტორიტეტი, აღარც მისი მითოსი.

მისი გავლენა ასე ერთბაშად ჩანაცრდებოდა.

შვილთან ცოტაოდნავ გულთმაამი შეხმიანებაც მოთავდებოდა.

სანუგეშოს მაინც გამოძებნიდა სალმასტის მახლობლად — ქურთისტანის მთებში, ჯოლამერკში ხეტიალისას შემთხვევით გადააწყდებოდა ქრისტიან აისორთა ერთ ტომს, ჯულოდ სახელდებულს, ხევსურებს რომ მოაგონებდა, და ამიტომაც შეეთვისებოდა მთელ ტომს, განსაკუთრებით კი მათ სასულიერო და საერო ხელმძღვანელს მარშიმონს, წმინდა სიმონის ტაძრის წინამძღვარს.

ჩრდილოკავკასია ფუთფუთებდა, დრტვინავდა, დიდ სამზადისში ჩაბმულიყო და ხანგრძლივი და ქანცგამწყვეტი ომისათვის ემზადებოდა.

ჩაკმენდილიყო საქართველო.

ერთს გურია წამოიშლებოდა, აქამდე ისიც გატვრენილი და ხელჩაქნეული, უეცრად ვეღარ დაიოკებდა პროტესტის გრძნობას და ისე

შეიმართებოდა, ერთბაშად გასდებდა გაწყვეტილ კავშირს აჯანყებათა ნიშანსვეტებთან — მთიულეთის, კახეთისა და იმერეთის, და ამიტომაცაა გურიის 1841 წლის ამბოხი უშუალო გაგრძელება 1804, 1812 და 1819-20 წლების, და კვლავ და კვლავ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით შთაგონებული, გალეგენდებური სახელით, ზეციურ მხედართან შეტოლებულით...

ძვლებს კი შეუჟღრიალებდა და საკმაოდაც შეუჟღრიალებდა ალექსანდრეს იარაღის ამ კიდევ ერთი შემართვის მოსმენა, მაგრამ რომ მოეხერხებინათ აჯანყებულთ მასთან დაკავშირება და მეფობის შეთავაზებაც, ეგებ ისევე არ ეყაბულა ამბოხების აუცილებლობა, როგორც ოცი წლის წინათ იოლად არ აჰყვა აჯანყებულ იმერლებს, რაკიღა გარედან რეალური შემწეობის სახსარს ველარ ხედავდა, უამისოდ კი აბა!..

ამჟამად მითუმეტეს.

დაშლით აუცილებლად დაუშლიდა და მოცდას ურჩევდა უფრო შესაფერის პირობებში.

თუმც... შინაგანად კი სიამაყით აღივსებოდა: თურმე არც მხნეობა დაკარგულა და არც იმედი დაშრეტილაო.

მისი სახელი კვლავ ქუხდა.

მისი მითოსიც კვლავ ინარჩუნებდა თავის ძალმოსილებას.

ჩეჩნები და ლეკები მაინც სხვაგვარად ასდევდნენ მის გამითიურებულ ხატს — არამცთუ ნუგეშად, სულაც წინამძღოლად დაეგულებინათ და ყოველი ქუხილი და ელვა ალექსანდრე ბატონიშვილის სახებას ამიტომაც გადააცისკრებდა ცის ტატნობზე, თუნდ ღამის წკვარამში.

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

ხალხის მოძახილი ასდევდა ქუხილს, კიდეც ფარავდა და შთანთქავდა, და საომარი სამზადისიც უფრო გაუნელებელი ხდებოდა და შეტაკებანიც უფრო და უფრო მწვავე და დაუთმობელი, თავბედს რომ აწყევლინებდნენ ათასგვარ ცოდვის ტრიალში გამოცდილ რუს სალდათებს.

გაფერმკრთალებულიყო ეს მითოსი ირანში.

მაგრამ გაქრობით მთლად რომ არ გამქრალიყო?

ასე რომ ყოფილიყო და ჩაფერფლილიყო მისი სახელი, აღარც მიაქცევდნენ ყურადღებას ალექსანდრეს ყოფნას თავიანთ მიწა-წყალ-

ზე, დაე ჰქონოდა ის ნაბოძები მამულიც და ჯამაგირიც სულის მოსათქმელად.

მაგრამ მისი ლეგენდის არსებობას უკვე აღარ მოითმენდნენ.

და კიდეც ჩაუდგებოდა ჯიბრში პირველი მინისტრი აღასი, ვინც სალმასტსაც ჩამოართმევდა და ჯამაგირის ძლევასაც შეუწყვეტდა. თითქოს კი არ შეუწყვეტიათ, მხოლოდ შეუმცირეს, მაგრამ არც ეს გახლდათ დიდი შეღავათი, მითუმეტეს, რომ იქით მიდიოდა საქმე, ჯერ თუ არა, მალე აუცილებლად შეუწყვეტდნენ.

დაე შიმშილით ამოხდომოდა სული.

ასეთი გამეტება?

სწორედაც ასეთი, თორემ, ვინ იცის, კიდევ რას მოიმოქმედებდა, იქნებ ახალი შაჰის გარემოცვაშიც შეეღწია და იმგვარი ზეგავლენა მოეხდინა მასზე, როგორც აბას-მირზაზე იქონია ოდესღაც.

ამიტომაც ახალდაწინაურებულთათვის მისი ჩამოშორება სჯობდა, თანაც რაც შეიძლება დროულად.

ალექსანდრე იძულებული შეიქნებოდა თეირანში ჩაეკითხა შაჰისათვის, რათა ჯამაგირის მომატებაზე დაეყოლიებინა.

ამაოდ — სანუგეშო გამოჭიატებითაც არა გამოჭიატდებოდა რა.

გაეწირათ, საბოლოოდ გაეწირათ.

ჯერ ისედაც რა დღეში გახლდათ, გაუსაძლისში, და ყოველი ახალი დღე უკიდურესობამდე ურთულებდა ცხოვრების პირობებს.

სხვა რა გზა დარჩენოდა — ჯერ ყველაფერს თუ გაჰყიდდა, რაც კი რამ ძვირფასი მოეძევებოდა.

ხოლო შემდეგ ვალებს ვალებზე თუ აიღებდა.

მერედა, გამსტუმრებელი ვინ იყო?

ამიტომაც კრედიტორები სულს შეუხუთავდნენ.

აქეთ მსახურები მიატოვებდნენ და ლამის მთლად მარტოდმარტოს დააგდებდნენ.

იქით სალმასტის მამულების მთელი შემოსავალი ვალების დასაფარავად უნდა გამოეყენებინა და აღარც ის ჰყოფნიდა.

მძიმედ დასნეულდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

მზის რაინდსაც მოსწეოდა თავისი ჟამი.

მისია ამოუწრულიყო.

ასპარეზი უკიდურესად შემოფარგლულიყო და ვეება სივრცე ერთ პატარა ოთახად და სულაც საწოლად დამცრობილიყო.

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

აბორგებულიყო ჩრდილოკავკასია და სულ უფრო დიდი თავსატეხი გაეჩინა იმპერიისათვის, ვისაც დღედღეზე უნდა ჩამოსცილებოდა შეურიგებელი და მძვინვარე პროტესტანტი, ოთხი ათეული წლის მანძილზე სული რომ გაუმწარა საიმპერატორო კარსაც და მთავარმართებელთა და მათ გარემოცვათა მთელს წყებასაც, ახლა ირაკლი ბატონიშვილის გარუსებით რომ იმედოვნებდნენ მწვავე რევანშის აღებას — რაც აქამდე შეწუხებულიყვნენ ალექსანდრესაგან, ახლა კი გადაუხდიდნენ სამაგიეროს, ირაკლისაგან სანიმუშო მოხელეს თუ სამხედრო პირს რომ ჩამოაყალიბებდნენ და ქართულ ადათ-წესებს ფეხქვეშ გაათელინებდნენ, როგორც დრომოჭმულთ და ხელისშემშლელთ იმპერიული მისწრაფებებისათვის.

გაწალდულიყო ჭაბუკის წინაშე წარმატებული კარიერის გზა, არანაირი წყალობა და პატივი რომ არ მოაკლდებოდა.

და ცარსკოე სელოსა და პეტერბურგის არისტოკრატული წრეც გადაიხსნებოდა მის წინაშე და გულში ისე ჩაიხუტებდა, ადვილად ვერ დაეხსნებოდი და... ანკი რატომ უნდა გამოხსნოდი ათასფერად ცთუნებებს.

პარიზს ასდევდნენ, პარიზს ეჯიბრებოდნენ და ეტოლებოდნენ, და თუმც ეს მხოლოდ ილუზიები გახლდათ, ეს გარეგნული იერი და ბრჭყვიალები თითქოს მაინც სავსებით კმაროდა, რათა ყმაწვილკაცს ცთუნება მორეოდა.

შენ მხოლოდ ინატრე, რაც გენებოს, თუკი ირაკლი ბატონიშვილი ხარ, ინატრე და ყველა და ყველაფერი ფიანდაზად გაგეგება.

თვით იმპერატორის ნებაა ასეთი, ამ ნებას კი წინ ვერაფერი გადაუდგება!..

თეირანში სიცოცხლეს უნდა გამოთხოვებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი და იმასღა ფიქრობდა, ნეტა ეს თხოვნა მაინც შემისრულონ და სომეხთა ეკლესიის გალავანში დამასაფლაონო.

რაო, სომხური საეკლესიო წესით ასეთი რამ ნებადართული არ იყო?

სათხოვარი ამიტომაც გამხდარიყო და... ნუთუ ასერიგად გამეტებული ბატონიშვილის უკანასკნელ თხოვნასაც უსულგულოდ მოეპყრობოდნენ?!.

სამშობლოში ვერ ელირსებოდა მიწის პაწია ნაგლეჯსაც და სომხური ეკლესიის გალავანი ეგებ მაინც აღარ დაემადლებინათ. მიცვალებულთან განა რაღა ანგარიში უნდა გაესწორებინათ?!.

მეფის საკადრის დაკრძალვას ვინ ჩივის, გმირის შესაფერის აკლდამას ვინ ნატრობს, ერთი უწარწერო ლოდი რაღა დასანანებელი უნდა ყოფილიყო?!.

ასპარეზიდან გადიოდა მამა.

ასპარეზზე შემოდიოდა ვაჟი.

და შემოდიოდა... პროტესტანტის სულითა და ეროვნული ღირსების გრძნობით, თავისი სამკვიდრო ყველაფერს რომ ერჩიენა და იმპერიის წყალობებს არაფრისდიდებით არ გაცვლიდა სახელმწიფოებრიობადაკარგული ქვეყნის შვილობაზე.

წარსულს ჩაბარებოდა ჰეროიკული ჟამი.

იცვლებოდა სამოღვაწეო სარბიელის გარეგნული იერიც და შინაარსიც.

უშუალოდ მამის გზას ვეღარ დაადგებოდა ირაკლი ბატონიშვილი.

ის სული გაგრძელებით კი უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ სხვა, მხოლოდ სხვა კალაპოტში.

კი მაგრამ, მაინც რას ნიშნავდა ეს „სხვა კალაპოტი“?

მკაფიოდ ჯერ თვითონაც არ იცოდა, მარტოდენ იმას გრძნობდა, რომ მისი დარჩენა პეტერბურგში არ ეგებოდა და რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნებოდა თავის ნამდვილ სამშობლოს, რომლის წიაღშიც... ტყვეობის ორიოდ წელი თუ გაეტარებინა და მხოლოდ ფიქრებით, სიზმრებითა და ოცნებებით იცნობდა, ეგაა და ეგ.

ბაგრატიონები, მთელი მისი ნათესაობა იქ იმყოფებოდა — პეტერბურგსა და მოსკოვში, აქეთ არავის უშვებდნენ და, ეტყობა, თვითონაც დიდად მოწადინენიც აღარ იყვნენ, რაკიღა იქ ეშოვნათ თავშესაფარი, სამსახური, თავიანთი მომავალი ცხოვრება იმ გარემოში გაეაზრებინათ, რუსულ სინამდვილეზე აეწყოთ და ყოფილ საქართველოდ გამოცხადებული ტერიტორია უკვე... გაუცხოებულიყო მათთვის.

აქ განა რა უნდა ეკეთებინათ?!

ირაკლი ბატონიშვილს რაღა უნდა ეკეთებინა?!.

ცხოვრების სახსარი საიდან უნდა გამოსჩენოდა?!.

ღმერთი არ გასწირავდა.

ეს ერთადერთი ბატონიშვილი მაინც შერჩენოდა ტფილისის ქუჩებს და თავისი არსებობით მოეგონებინა თვისტომთათვის გარდასული დიდების ჟამიც, ქვეყნის ტრაგიკული ხანაც, მისი სახელმწიფოებრივი აღსასრულიც და... კლავ აღდგინების ოცნებაც განემტკიცებინა — თუნდაც „გრუზინსკად“ მონათლულს.

პეტერბურგული აღმატებანი და პატივი რომ უარყო, ამით უკვე ზნეობრივ ფიგურად გამოიკვეთებოდა ქართულ რეალობაში, სამეფო ხელისუფლების ღირსეულ შთამომავლად და ხალხის იმედსაც ეს გააძლიერებდა, სიმხნევესაც ეს აღაგზნებდა, რწმენასაც ეს ჩაეკირებოდა ჯავარად.

მისი ჯერ მარტო გავლა-გამოვლაც.

ხომ ისეთიც არაფერი... ხომ თითქოს ისეთიც არაფერი... მაგრამ ქართულ სამოსში გამოწყობილი ძე ალექსანდრესი ეროვნულ მისწრაფებათა ხელშესახებ სიმბოლოდ გადაეწასკვებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას.

თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილს შეჰყურებდნენ, მკვდრეთით აღმდგარს, როგორც მითოსის წესია, რათა წუთიწუთზე გადმოესროლა მოწოდება საერთოკავკასიური აჯანყებისა.

თვითონაც დიდად მოწადინენიც აღარ იყვნენო...

ვინც იყო მოწადინე იმ უამრავ ბატონიშვილთაგან, კიდეც მიაღწევდა თავისას, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, რომელსაც წინ ჩაუხერგავდნენ, რათა ამ განზრახვაზე ხელი აეღო.

დასრულებულიყო მთავარმართებლობის ხანა.

მეფისნაცვლობის ჟამს მოეწია, გარეგნულად უფრო ლოიალურს, სამხედრო რეჟიმი სამოქალაქო ყაიდაზე რომ გადაეწყობოდა და ესეც რაღაცას ნიშნავდა — 1832 წლის შეთქმულებას, ასე სავალალოდ დასრულებულს, ეს სასიკეთო ცვლილება მაინც გამოეწვია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და გრაფი ვორონცოვი სულაც კეთილისმყოფელის ნიღბით ამიტომაც მოევლინებოდა აქაურობას.

სახელმწიფო-იმპერიული პოლიტიკის შეცვლაც ამას ავალებდა.

პიროვნული თვისებანიც აქეთ უბიძგებდა.

რა გგონიათ — კულტურტრეგერობას დაიჩემებდა და... ამ საფარქვეშ გაცხოველებით გააგრძელებდა ქართველთა გარუსებისაკენ მიმართულ საზარელ პროცესს.

ეს ნიღაბი ცოტაოდნავ ხელს უშლიდა მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებაში.

გარეგნული ლოიალობა რომ არა, ან ერეკლე ბატონიშვილს როგორ დართავდა ნებას სამშობლოში დაბრუნებისა.

არადა...

თამარ პაპავასი არ იყოს:

ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ეს კაცი დიდებული ერეკლეს შვილიშვილმა, რომელიც არც ტახტს, არც პატივს და

არც სიმდიდრეს არ ითხოვდა, არამედ მხოლოდ იმის ნებას, რომ ვითარცა კერძო პირსა და მოქალაქეს უფლება ჰქონოდა წინაპართა სამკვიდროში ეცხოვრა.

ამ პასაჟში კი ხელშესახებადაა გამოკვეთილი მეფისნაცვლის პიროვნული ხასიათიც, სახელმწიფო-იმპერიული პოლიტიკაც და ჩვენი საზოგადოებრივი განწყობილებაც — რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც ძვრა უნდა გამოიწვიოს კავკასიის სახელგანთქმული გმირის ვაჟის გამოჩენამ, მისმა თავდაღწევამ ათწლიანი ტყვეობისაგან:

— ეს იყო პრაქტიკული გამოცდა იმ დიდ დაპირებათა-წყალობათა, რომელიც უხვ ბედნიერებად უნდა მოეფინა „ლმობიერ“ ვორონცოვს ქართველ წარჩინებულთათვის; ეხლა მას „ლიბერალიზმი“ ამ ბატონიშვილისადმი კეთილშობილის სახით უნდა გამოეჩინა და ქართველობა მის პასუხს გულის ძგერით ელოდებოდა... ალბათ ეს „ლიბერალი“ ბევრჯერ ჩაიკვნეტდა ჩარბებს და ჩუმად იკლავდა მონოლილ ბოლმას, მაგრამ ხელოვნურ დარბაისულ ნიღაბის წახდენას ვეღარ ბედავდა; და მანაც თავაზიანად გაუწოდა ერეკლეს „მწყალობელი“ ხელი...

თავი მაინც რითი უნდა გაეტანა ლეგენდარულ ბატონიშვილს?

აბანოს უბოძებდა აქაური ხელისუფალი, თანაც მიანიშნებდა — ესეც არ დაკარგოო... იმასაც მიანიშნებდა, თუ ურიგოს არაფერს ჩაიდენ, სხვა წყალობებსაც ელოდეო, თუმც ამით მისი მოხიბლვის მცდელობა სრულიად ფუჭი გახლდათ — ამქვეყნიურ სიკეთით და სიამეთ რომ ყოფილიყო გამოკიდებული, პეტერბურგი აკი ისეთსა და იმდენ აღმატება-პატივს ჰპირდებოდა, აქეთ რა გამოახედებდა, თორემ ჩამოსვლით ხომ გავლითაც აღარ მოინდომებდა ჩამოსვლას.

ეროვნულ მისწრაფებათა ხელშესახებ სიმბოლოდ გადაენასკვებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებასო...

რაკიღა ალექსანდრე ბატონიშვილს ხალხის შეგნება საქართველოს მეფედ აღიარებდა, ვისზე შეიძლებოდა გადმოსულიყო ეს ტიტული, თუ არა მის მემკვიდრეზე, ვისაც თავისი არჩევანით დაემტკიცებინა, რომ ღირსი გახლდათ სამეფო გენეალოგიური ხაზის გაგრძელებისა.

იატაკქვეშ?

რას იზამ, მკაცრ სინამდვილეს ასე მოეტანა და — თუნდაც იატაკქვეშ!..

ოღონდ ისე როგორ იქნებოდა, ხალხის ეს გულისთქმა საჯაროდაც არ გაცხადებულიყო.

ავლაბარში ამქრების მღელვარება რომ მწვავე დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა ხელისუფლებასთან — მოგეხსენებათ 1865 წლის ეს სისხლიანი ეპიზოდი — და მთავრობა ჯარს გაგზავნიდა მღელვარების ჩასაცხრობად, ჯარი კი ავლაბარში შესვლას ვერ მოახერხებდა, რაკიღა ხიდი შეკრული დახვდებოდა, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტდნენ ისეთი კაცის გაგზავნას, ვისაც ქართველობა ენდობოდა.

იაკობ მანსვეტაშვილსაც ახსოვდა ის კაცი — ირაკლი ბატონიშვილი, ქართულ სამოსში გამოწყობილი, თუშური ქუდით, ხშირად რომ დასეირნობდა ცხენით ქუჩებში, ოღონდ, სხვათაგან განსხვავებით, პატივისცემით კი არ მოიხსენიებს თავის მემუარებში, სულაც კბილს გაჰკრავს: თავი ისე ეჭირა, თითქოს ქართველების მართლაც ერთგული მოსარჩლე იყოო... საცხოვრებლად აბანო აჩუქეს, რომელსაც აქამდინ ხალხი ერეკლეს აბანოს ეძახის. ამით უზრუნველჰყვეს მისი ცხოვრება და ისიც კმაყოფილი დანავარდობდაო... ირაკლიმ სიმხდალე იჩინა და იმისი შიშით, რომ ვაი თუ მთავრობამ წყალობა მომაკლოსო, პირი იბრუნა და სასახლისკენ გაეშურაო...

დემოკრატობდა იაკობ მანსვეტაშვილი და მისთვის მიუღებელი გახლდათ სამეფო ტახტიც, მეფეც და მისი შთამომავლობაც. ბრაზით შეჰყურებდა ირაკლი ბატონიშვილის ყოველ გამოჩენას და ეს განწყობილება გადასულა თხრობაშიც, შემთხვევას რომ არ უშვებს ხელიდან, გაკილოს ის კაცი, ვინც იმპერატორის უზომო წყალობას გულმშვიდად შეაქცია ზურგი და დიდებით მოკირწყლულ გზას უმთენარო ყოფა არჩია თავის გამქრალ სამეფოში.

სიმხდალეს კი იმიტომ დასწამებდა, რომ ხალხის დასამშვიდებლად მისულს არ ეჭაშნიკა ის ატკინება, რაც მისი დანახვისას იჩენდა თავს, ერთსულოვნად და ზვავის სიმკვეთრით:

— აი, ჩვენი მეფე! გაუმარჯოს ირაკლის!

ეს იგივე იყო: გაუმარჯოს ალექსანდრესო.

მამა-შვილი სახალხო ცნობიერებაში ერთმანეთს შერწყმოდა, შენივთებოდა და შორეულ ოცნებას სახილველს ხდიდა — აგერ ახლა და აქვე... და ბარემ გადაზრდილიყო ამქრების მღელვარება აჯანყებაში, ჯერ ტფილისი მოეცვა, მალევე მთელი საქართველო და კავკასიაც ისე გახვეულიყო ომის ხანძარში, რუსებს სამუდამოდ აეკრა გუდა-ნაბადი.

საქვეყნოდ გამოშლილმა და აღგზნებულმა ხალხმა იცის ამგვარი ოცნებანი, ყველას ერთობლივ რომ დაეუფლება... წინამძღოლიღა აკ-

ლდათ და — აჰა, კაცი იგი, აჰა ირაკლი თუ სულაც ალექსანდრე... და ყვირილი გააყრუებდა იქაურობას, მტკვრის გაღმა-გამოღმა რომ მიაწყდებოდა და წლობით ნანატრ და ნალოლიავებ სწრაფვას შარავანდად დაადგებოდა:

— აი, ჩვენი მეფე!

მაინც ასე აღიქვამდნენ ქუჩა-ქუჩა მოსეირნეს და რაღაც ამგვარი წუთების დადგომას რომ უცდიდნენ, ეროვნული აღტკინების დაუოკებელ ამოფრქვევას, აჰა, ეს წუთებიც დამდგარიყო და მეფის შეძახილსღა მოელოდნენ:

— ჰკა მაგათ!

არ გაისმა ეს სანატრელი შეძახილი.

ნაცვლად ამისა აკი ცხენს შეატრიალებდა ირაკლი ბატონიშვილი.

ნეტა ალექსანდრე როგორღა მოიქცეოდა, ის რომ მოვლენოდა ამბოხებულ ამქრებს და იმათ ყვირილს კი გარემო გაეყრუებინა: აი, ჩვენი მეფე! გაუმარჯოს ალექსანდრესო!

აკი არ გაუზიარებია იმერეთის აჯანყების მოთავეთა და მონაწილეთა იმჟამინდელი სულისკვეთება, რადგანაც ამბოხება ვერ ცნო სათანადოდ მომზადებულად და ვერც თანამდგომი სახელმწიფოები მოიძია გარშემო, დაპირებების მაგივრად რეალურად რომ გამოუწვდიდნენ ხელს.

ამჯერად მითუმეტეს.

ჯარი შესაძლოა მოეგერიებინა მის მხედართმთავრულ ტალანტსა და გამოცდილებას, იქითაც მისჭროდა მეფისნაცვალს, ტფილისიც აეღო, მაგრამ მერე... მერე რაღას აპირებდი მოუმზადებლად... მარტოდენ გულის იმედად...

ვერა, იმ ვითარებაში ვერ უწინამძღვრებდა ალექსანდრე ბატონიშვილი ამბოხებულ ამქრებს.

ვერც მისი ვაჟი უწინამძღვრებდა, ცხენი უკანვე რომ შეეტრიალებინა და იაკობ მანსვეტაშვილის საქილიკო გამხდარიყო.

აბანოსას არაფერს გვაუწყებს თამარ პაპავა, სხვა ცნობას უფრო მიაქცევს ყურადღებას იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული სამოსი არა ყოფილა ირაკლი ბატონიშვილისათვის პროტესტის გამოხატვის ერთადერთი საშუალება, ერთი მცირე ასპარეზიც ხომ დარჩენოდა, რომლის აკრძალვაც ნამესტნიკისთვისაც უხერხული გახლდათ:

წერა-კითხვის კომიტეტი.

ეს კომიტეტი ორ სკოლას გახსნიდა ტფილისში — ერთს მთაწმინდაზე და მეორეს ავლაბარში.

ხალხმა იცოდა თუ ვინ იყო ამ წამოწყების მოთავე და ორივე სასწავლებელს ერეკლეს სკოლებს ამიტომაც ეძახდა.

მკვლევარი ამ დეტალში გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე იმ ორი სკოლის გახსნაა.

— ალბათ ეს იყო დასაწყისი იმ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა, რომელსაც ასე თავგამოდებით მიეცა უფლება-აყრილ საქართველოში მოწინავე საზოგადოება. თვით ცნობილ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სათავეც ეს ერეკლეს კომიტეტი თუ იყო.

წერა-კითხვის საზოგადოების სათავის მიკვლევისა და აღდგენისას, ცხადია, არ უნდა გამოგვრჩეს ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა, დაარსებული დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით, თუმც ირაკლი ბატონიშვილის კომიტეტიც თავის ადგილს იჭერს, როგორც შემაერთებელი რგოლი ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა და კიდევ ერთი წინა ნაკადი იმ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო-კულტურული მოძრაობისა, რომელსაც მკვეთრად უნდა შემოეტრიალებინა არამარტო ახალგაზრდობა, არამედ მთელი ქვეყანა თავისი ისტორიული ფესვებისაკენ და დაეყენებინა სახელმწიფოებრივი აზროვნების გზაზე.

სხვა მისი მოღვაწეობა?

ზაქარია ჭიჭინაძე ირწმუნებოდა: ერეკლე ბატონიშვილი საზღვარგარეთაც გამგზავრებულა და იქ ნაპოლეონ მესამესთან რაღაც კავშირი და ურთიერთობა დაუჭერიაო.

ამ ცნობის შემოწმებასა და დაზუსტებას გულმოდგინედ მოეკიდებოდა თამარ პაპავა, სად აღარ მოიძიებდა, რას აღარ გადასინჯავდა, მაგრამ ხელჩასაჭიდს კი ვერაფერს მიაკვლევდა.

პარიზში კი მოუწევდა ყოფნა, მაგრამ ნეტა მართლა გაება რაღაც ძაფი ნაპოლეონ მესამესთან?

მანამდე ბად-ჰომბურგში დაჰყოფდა კარგა ხანს.

1864 წლის ზაფხულია და ბერტა ფონ ზუტნერმა — ავსტრიელმა მწერალმა ქალმა და ევროპაში სამშვიდობო მოძრაობის ერთ-ერთმა თაოსანმა და დაუმცხრალმა პროპაგანდისტმა, ამასთან, ნობელის პრემიის მომავალმა ლაურეატმა — იქ სამკურნალო წყლებზე ჩასული ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი უნდა გაიცნოს და დაუმეგობრდეს კიდეც.

და, აი, ერთ დღესაც სამეგრელოს დედოფლის საზოგადოებაში ახალი პიროვნება უნდა გამოჩნდეს, ასე ორმოციოდე წლის კაცი, სა-

შუალო სიმაღლის, მოხდენილი, ზომიერი სახის ნაკვთებით, მძიმე, ლამის მოღუშული გამომეტყველებითა და მოკლე შავი წვერით.

— ჩემი საყვარელი ბიძაშვილი, საქართველოს უფლისწული ერეკლე, — ასე წარუდგენდა თავადის ქალი.

უფლისწულმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მასაც მოვეწონეო, — პირველი აღტაცებული განცდა არც არასოდეს გაუნელდებოდა ქალს და ეს შთაბეჭდილება იყო, მაშინვე რომ გამონახავდნენ საერთო ენას და მას შემდეგაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც ქართველი ბატონიშვილი ყოველთვის თავისი ნათესავის გვერდით იმყოფებოდა.

იმასაც რომ მოეწონა, როგორ მიხვდა ქალი?

— ასეთი რამის შეგრძნება არ არის ძნელი.

ერთი ნახვით შეყვარების თეორიის მომხრეთათვის ესეც კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში აღმოჩნდებოდა.

დედოფალს ისედაც სიამოვნებდა თავის ბიძაშვილზე საუბარი და ავსტრიელ მეგობარს რომ შეატყობდა, ირაკლის ამბების მოსასმენად სული სძვრებაო, ირაკლის საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟად მოიხსენიებდა და გაბუქავდა და გააზვიადებდა მისი ცხოვრების პირობებს — მას ეკუთვნის სამეფო სასახლე ტფილისში და ყველა ციხე-სიმაგრე მთებშიო. სად იყო ან ერთი, ან მეორე, თორემ!..

ამჟამად უმეტესად ევროპაში რომ უხდებოდა ცხოვრება და სამშობლოში მხოლოდ დროდადრო ბრუნდებოდა, ხასიათითაც მელანქოლიურ ადამიანს უფრო ჰგავდა, ვიდრე მხიარულს, ყოველივე ამის მიზეზი კი მისი არცთუ სახარბიელო ჯანმრთელობა იყო, და სახის მოყვითალო ფერიც ღვიძლის დაავადებას მოწმობდა.

ჰომბურგის, კარსბადისა და ვიშის წყლები სამკურნალოდ სწორედ მისწრება გახლდათ მისთვის.

დედოფალი სულ სხვა აზრისა იყო:

— ყველაზე უკეთ მას ყმაწვილქალი განკურნავდა, გაამხიარულებდა და გააბედნიერებდა. ისეთი საყვარელი ლამაზი გოგონა, როგორიც თქვენა ხართ, ძვირფასო კონტესინა! შეეცადეთ როგორმე თავბრუ დაახვიოთ. მისი დაქორწინება უკვე დიდი ხანია ჩემი სანუკვარი სურვილია.

ოთარ ჩხეიძე ივარაუდებდა, რომ ეკატერინე ზუსტად ამ სიტყვებს ერეკლე ბატონიშვილსაც გაუმეორებდა: მიხედე, სამკურნალო წყლები იმდენს ვერას გარგებს, რამდენსაც ეს სიცოცხლით სავსე, სიყვარულით გაბრუებული მშვენიერი ქალიშვილიო.

გაუმეორებდა და... გულში ჩასახულ გრძნობას უფრო გაუღრმავებდა, ყოველ შემთხვევაში აჩქარებას ურჩევდა, პატარა ბიჭი ხომ აღარ გახლდათ რომ კიდევ ეყოყმანა და ფეხი ეთრია.

ხოლო ბერტა...

ასეთი სიტყვები ისედაც გაბრუებულ ქალს უფრო მეტად დაახვევდა თავბრუს („მეფის კვირტი, ნაღვლიანი ბაგრატიდი, „მსოფლიო ადამიანი“ ჩემთვის ძალიან სასურველი პიროვნება იყო. სასურველიდან სიყვარულამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია — არც მეტი, არც ნაკლები. შესაფერისი გარემოებაა საჭირო და ეს ნაბიჯიც გადაიდგმის, რაც ჩვენთვის ასე მოხდა“).

ერთხელ ბერტას დედოფალთან დაპატიჟებდნენ სადილად. მის მეზობლად დასხდებოდნენ ინგლისელი ლორდი ბილსბარე და ერეკლე ბატონიშვილი. ნასადილევს სალონში გავიდოდნენ, სადაც მასპინძელი სთხოვდა მუსიკით შეექცია სტუმრები. ბერტას ბევრი ხვეწნა არ დასჭირდებოდა, პიანინოს მიუჯდებოდა და შოპენის ვალსს დაუკრავდა.

ერეკლე გვერდიდან არ მოშორდებოდა.

— თქვენ ხელოვანი ბრძანდებით, — არც ქებას დაიშურებდა.

წასვლის დროც მოვიდოდა.

ეკატერინეს სტუმრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ „რიგოლეტოს“ წარმოდგენას დასწრებოდნენ ოპერაში, სადაც მთელი ლოჟა დაეკავებინათ. ერეკლე ქალს პირისპირ ჩამოუჯდებოდა და თვალს არ მოაცილებდა.

— ვუსმენდი ვერდის ცეცხლოვან მუსიკას და მარაოს ვარხევდი. უცებ გვერდზე მივიხედე და ერეკლეს ნაზ, გაოცებულ მზერას წავაწყდი. მე თვალები დავხარე, მაგრამ შემდეგ გაბედულად ავწიე თავი და სიყვარულით მივაჩერდი მას.

ფარდა დაეშვებოდა. შესვენების შემდეგ ერეკლე უკან აღარ შემობრუნდებოდა. ლორდი ბილსბარე მარტო აღმოჩნდებოდა ლოჟაში. უკანასკნელი სცენის დაწყებამდე კი დედოფალი წამოდგებოდა და ბერტასაც ურჩევდა დარბაზებში გასეირნებას: არ შემიძლია მომავალ ჭექა-ქუხილსა და მკვდრებით სავსე ტომრის შემოთრევას ვუყუროო.

გასასვლელში ერეკლე დახვდებოდა, გვერდით ამოუდგებოდა და მთელი გზა ფეხდაფეხ გაჰყვებოდა. ბერტა ელოდებოდა იმ სიტყვების მოსმენას, რასაც იგი მანამდე მხოლოდ თვალებით ეუბნებოდა, მაგრამ თავადის ქალი ბატონიშვილს საუბარში ჩაითრევდა და... ამასობაში დარბაზებიც გამოჩნდებოდა.

თხრობა გვაგრძნობინებს, რომ ეს წუთები გადამწყვეტი ეჩვენებოდა ქალს მათ ურთიერთობაში. პირდაპირ არაფერს გვაუწყებს, მაგრამ სტრიქონებს შორის მკაფიოდ გამოსჭვივის ეს განწყობილება.

ხომ ასეთი მოსურნეა სამეგრელოს დედოფალი მათი შეუღლებისა.

ეტყობა, იმ წუთების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ალღო ვერ აუღო და უნებურად თვითონვე შეუშალა ხელი.

თურმე საბედისწერო წუთები ყოფილა ბერტასათვის.

ეგებ არც არაფერი იყო მოსალოდნელი და ეს ყოველივე მარტოდენ ქალის წარმოსახვის ნაყოფია?!.

რაკიღა ნანატრი შეუღლება ჩაიშლებოდა, საბედისწერო შემთხვევითობას მიაწერდა ამ ჩაშლას და არა რაღაც კანონზომიერებას... თუმც თავს მაინც ვერ ინუგეშებდა და მისი მემუარული ჩანაწერების ეს მონაკვეთი კვლავაც იმიტომ სუნთქავს გაუხუნარი სიმძაფრით, თითქოსდა გარდასული დღეების მოგონება კვლავინდებურად სიყვარულის ცეცხლშია გახვეულიო.

იმ წუთებმა ჩაიქროლეს და... ვეღარაფერი შემოაბრუნებდათ.

რულეტის სათამაშო მაგიდას შემოერკალებოდნენ და ეკატერინე რამდენიმე ოქროს ისროდა ტაბლოზე, შემდეგ კი ერეკლე მეჯლისზე დასწრებას შესთავაზებდათ, იქვე რომ უნდა გამართულიყო, და კიდეც მიაშურებდნენ სამეჯლისო ქანდარას. მოაჯირთან საკმარისი ადგილი არ იყო, ამიტომაც თავადის ქალი ერთ მხარეს დადგებოდა, ბერტა და ბატონიშვილი კი მეორე მხარეს.

— გულახდილად ვსაუბრობდით.

ნეტა გარემოებამ მოიტანა ასე თუ... ეკატერინემ იგრძნო, ახლა ამათი მარტო დატოვება სჯობსო?!.

შტრაუსის ვალსის ხმა მათ საუბარს ახშობდა, თუმცა...

— ჩემი მეჯლისი ზემოთ იყო. უფლისწულის სიტყვები ცეკვაზე თავბრუდამხვევად მოქმედებდა ჩემზე.

— საუცხოო გოგონა ხართ, — ეჩურჩულებოდა ერეკლე, — არ მეგონა თუ დედამიწაზე იქნებოდა არსება, ვინც ისე მომაჯადოვებდა, როგორც თქვენ მომხიბლეთ.

— ბავშვებო, — უეცრად მიუახლოვდებოდათ თავადის ქალი, — აღარ შემიძლია აქ გაჩერება. სიცხე სულს მიხუთავს, სინათლე თვალთ მიბნელებს და ამ ჰომბურგელ ბურჟუათა უგემოვნოდ ჩაცმული რამდენიმე წყვილის ყურება დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. თქვენც ასე ფიქრობთ, არა? მაშ წავიდეთ.

მეორე და უკანასკნელი საბედისწერო მომენტი.

თითქოს რაღაც გამოსწორდა. მართალია განსაკუთრებული წუთები უკვალოდ გაქრა, მაგრამ ბედს თურმე ერთი შანსი კიდევ უნდა მიეცა ამ ორი პიროვნებისათვის.

რაღაც იწყება...

იწყება და...

სხვა რა გზაა, უნდა წამოვიდნენ, რაკიღა დედოფალმა მოიგუნება ასე.

ეჰ, ბერტას სულ იმ უგემოვნოდ ჩაცმულ წყვილთა ჯავრი არა ჰქონდა?!.

— მოკაშკაშე ჭაღი ჯადოსნური მზე იყო ჩემთვის, სასულე ორკესტრის ხმაური — მსოფლიო მუსიკა. ასეთი საუცხოო ზეიმი არასოდეს მინახავს.

ანკი როდის უნდა ენახა — ან მანამდე და ან მას შემდეგ, სად ჰყავდა ან სადღა ეყოლებოდა გვერდით ირაკლი ბატონიშვილი... მისი ცხელი სუნთქვა, მისი უჩვეულო სიტყვები...

მაშინაა, ბატონიშვილი სამი დღით პარიზს რომ გაემგზავრებოდა.

ნეტა მართლა შეხვედროდა საფრანგეთის იმპერატორს თუ ეს მხოლოდ ქართველთა ოცნება გახლდათ?

ასეა თუ ისე, საზოგადოებრივი აზრი არამარტო სავსებით ბუნებრივად, არამედ აუცილებლობადაც მიიჩნევს ამგვარ მცდელობას. თუნდ შეხვედრა ვერც მოხერხებულიყო, ქართველობას სჯერა, რომ ირაკლი ბატონიშვილი საფრანგეთის იმპერატორის კარზე გაღწევას მოინდომებდა და საამისო უფლებაც ჰქონდა, როგორც... მეფის ძეს, როგორც ტახტის მემკვიდრეს... მერე რა, რომ არარსებული ტახტის... მას მაინც მეფის მოვალეობა დაჰკისრებია ქვეყნის წინაშე და ამ მოვალეობის აღსრულების ყოველგვარ შესაძლებლობას უნდა ჩაჭიდებოდა.

ბერტა?

ეს დღეები კავკასიის ისტორიის შესწავლით უნდა შეავსოს.

— ცოდნა, დედოფლის საუბრებით, ლექსიკონით და დიუმას „კავკასიით“ რომ შევიძინე, წარმოდგენას მიქმიდა შორეულ ზღაპრულ სამეფოზე, სადაც სამეფო ტახტზე ჩემი უფლისწული ერეკლე უნდა მჯდარიყო.

მეორე დღეს პარიზიდან წერილსა და ტკბილეულით სავსე ამანათს მიიღებდა.

წერილში... განსაკუთრებული არაფერი ეწერებოდა, მაგრამ მისი მიღება ქალს მაინც გაახარებდა, რადგანაც იქ ერეკლეს ხელმოწერა

აღბეჭდილიყო სქელ, მეფის გვირგვინივით მორთულ ქაღალდზე, ტკბილი სურნელი რომ ასდიოდა.

მესამე დღეს დედოფალს რომ ეწვეოდა, გული ისე საშინლად აუძგერდებოდა, თითქოს რაღაც უსიამოვნო ამბავი უნდა მოისმინოსო.

და კიდეც დედოფალი... მხოლოდ სალამს გადასცემდა თავისი ბიძაშვილისაგან, ვინც იმ დღეს აქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნაცვლად ამისა მოსწერდა: მთელი წლით მიწევს ტფილისში გამგზავრებაო.

ბერტას თვალები ცრემლით აევსებოდა.

— მაშ თქვენ ის გიყვართ? — ერთბაშად ყველაფერი გაცხადდებოდა ეკატერინე ჭავჭავაძისათვის, — თუ თქვენი ბედია, აუცილებლად დაბრუნდება, ნუ ტირით! კაცი, ვისაც შეუძლია, რომ საკუთარ ბედნიერებას გვერდი აუაროს, ცრემლების ღირსი არაა. თუმცა ყველაფერი შეიძლება ისე მოხდეს, როგორც თქვენს გულს გაეხარდება.

ეს სიტყვები ბალზამივით წაეცხობოდა გულზე. ახალგაზრდობა მართლაც სხვას რას ითხოვს, იმედის მეტს, და ბერტაც ელოდა, ელოდა, აი, დღეს მომივა ბარათი საქართველოდან და, აი, ხვალო...

ბედისწერა უკვე მაშინ ჩარეულიყო, ოპერის თეატრიდან რომ გამოვიდნენ.

— საქართველოს სამეფო ტახტზე ოცნება სიყვარულთან ერთად გაქრა.

საკუთარ ბედნიერებას გვერდი აუაროსო...

ხომ ასე არწმუნებდა ავსტრიელ მეგობარს, ხომ ასეთი მოსურნე გახლდათ მათი შეუღლებისა, და... თურმე ირაკლი ბატონიშვილი მთლად მისი ოჯახის წევრი უნდა გამხდარიყო — ტფილისში დაბრუნებულს ცოლად შეერთო ეკატერინეს ძმისწული, დავით ჭავჭავაძის ასული თამარი, აი, ის, სამი წლისას მთელ ოჯახთან ერთად რომ გაიტაცებდნენ ლეკები წინანდლიდან და შამილის ტყვეობაში აღმოჩნდებოდა.

ტყვეობიდან გამოხსნილს ეხუმრებოდნენ: თამარ შამილოვნა ხარო, — და შერჩებოდა და შერჩებოდა ეს თიკუნი იმ დღეების სახსოვრად, რომელიც თვითონ ცნობიერებაში არ ჩარჩენოდა.

დავით ჭავჭავაძის სახლობის გატაცების ეს დრამატული ეპიზოდი საფრანგეთსა და ევროპაშიც მალევე გახმაურდებოდა ანა დრანსეს წყალობით, გუვერნიორისა, ვინც ტყვეებს შორის ამოჰყოფდა თავს და ის განცდები და შთაბეჭდილებანი კი ისეთ მემუარულ თხრობაში მოექცეოდა („შამილის ტყვე ქალები"), თვით ალექსანდრე დიუმა დარჩებოდა აღტაცებული და ამ წიგნის ზოგად ქარგას თავის მოგზა-

ურობათა წიგნში ჩართავდა ცალკე თავად, რითაც კიდევ უფრო მეტ პოპულარობას შესძენდა შორეული და უცნობი ქვეყნის ცხოვრების ამ ეპიზოდს დასავლელი მკითხველის თვალში.

მოგზაურობათა წიგნი კი ის „კავკასიაა“, ბერტა ფონ ზუტნერი გულდასმით რომ გაეცნობოდა, ის კი არა, სულაც შთანთქავდა იმ სამდღიანი მოლოდინისას და აქედანვე ამოიკითხავდა ცნობებს ირაკლი ბატონიშვილის მამაზე, ცნობებს, რომელნიც საკმაოდ დაცილებოდა რეალობას, რაკიღა ტყუილ-მართალი ერთმანეთში არეულიყო — ჯერ მარტო ის, თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილი თავის ძმას, გიორგის, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ეცილებოდა სამეფო ტახტს... ანდა თითქოს ნუხის მფლობელს თვისტომნი ალექსანდრეს შეფარების გამო აუჯანყდნენ, რაკიღა იმას წირვაზე ბერძენი მღვდელი მიეყვანა და ამას კი მუსლიმები აღეშფოთებინა, ჩვენი ხანი ალექსანდრეს გავლენით ქრისტიანული რწმენის მიღებას ხომ არ აპირებსო... ის კი არა, „კავკასიის“ მიხედვით ალექსანდრე 1826 წელს გარდაცვლილიყო... რა გამოდიოდა, ალექსანდრე დიუმას უნებურად 18 წლით აქეთ გადმოეწია ბატონიშვილის აღსასრული...

მის ცნობებში მაინცდამაინც არა ჩანდა ბატონიშვილის დაუმცხრალი ბრძოლების კვალი — მხოლოდ გაქცევ-გამოქცევას თუ მიადევნებდი თვალს, მაგრამ ერთი ძვირფასი უწყება კი ჩაკერებულიყო, როგორც არა კერძო რეალია, არამედ საერთო-სახალხო განწყობილების გამოხატულება და დადასტურება:

— ხასან ხანმა ალექსანდრე საქართველოს მეფედ სცნო, თუმც საქართველო უკვე ოცდაორი წელიც იყო, რაც რუსეთს დაკავშირებოდა.

საიდან სად გაეღწია ამ განწყობილებას.

აქ კი:

თამარ შამილოვნაო, — ეხუმრებოდა ცოლს ირაკლი ბატონიშვილიც.

ჩამოივლიდა ტფილისის ქუჩებს, მიმოხედავდა არარსებული სამეფოს სატახტო ქალაქის სანახებს, გაუჩერდებოდა წარმოსახვით ქვეშევრდომთ, აწ მის თანასწორ მოქალაქეებს, რომელნიც ყოველი მისი დანახვისას იმედით აღივსებოდნენ ხოლმე — ტახტიღა დაგვაბრუნებინა, თორემ მეფე ხომ გვყავსო.

და მისი მემკვიდრის გაჩენას ისეთი მღელვარებით მოელოდნენ, როგორც უფლისწულისას, ვინც არარსებულს კი აღარ, არამედ ნამდვილ სამეფოს გადაიბარებდა და ავი ბედისწერისაგან გაწყვეტილ ჯაჭვსაც ერთხელ და სამუდამოდ გაამრთელებდა.

რაც პაპამისმა ვერ შეძლო, ის აღასრულებდა!..

ეჰ, ნატვრანი, ეჰ, ოცნებანი!..

ამ მღელვარების გამოა, ერთბაშად რომ გადაივლიდა მთელს ტფილისზე: ირაკლი ბატონიშვილს ვაჟი შეეძინაო, — და მოქალაქენი ერთმანეთს ულოცავდნენ მართალია არარსებული, მაგრამ მაინც ტახტის მემკვიდრის დაბადებას. დღევანდელი გაუქმებული გვირგვინი ხვალ ხომ შეიძლება ძველებურად გაბრწყინებულიყო?!. შეიძლება კი არა, უთუოდ, უთუოდ გაბრწყინდებოდა...

მაგრამ...

ვაჟი კი არა თურმე გოგონა მოვლენოდა სამზეოს...

მეორეც გოგონა იქნებოდა...

და აქ გაწყდებოდა ალექსანდრე ბაგრატიონის გენეალოგიური ხაზი — ირაკლის იქით ველარ გააღწევდა.

ბატონიშვილად რჩებოდა — მამასავით.

და მამასავით მეფედაც მოიხსენიებდნენ.

ნათელი მოეფინებოდა სახეზე მისი დანახვისას ყველას, ვისაც სჯეროდა დაკარგული სამეფოს ამოგებისა.

განა როდემდე ინავარდებს, როდემდე იქნება ილუზიებით გაბრუებულიო, — გულმოსულნი გახედავდნენ დემოკრატები.

მისი სიცოცხლის დღენიც ილეოდა.

ნაადრევად უნდა გასცლოდა საწუთროს.

და 1882 წლის ის დღე თავისებურ ნიშანსვეტად კი ჩაიწერებოდა საქართველოს მატიანეში.

არნახულ პატივს მიაგებდნენ მის ნეშტს — რაღა პაპამისის, ერეკლე მეორის, დაკრძალვა და რაღა ირაკლი ბატონიშვილისა, მთელი ქვეყანა რომ შეიძვროდა და გაერთიანდებოდა მისი ცხედრის წინაშე, და იმხელა სამგლოვიარო პროცესია გაჰყვებოდა ტფილისიდან მცხეთამდე, სვეტიცხოვლის ტაძრამდე, მეფეს როგორც შეჰფეროდა. ყველგან საქელეხო სუფრა გაიშლებოდა, ყველა წაუქცევდა ჭიქას და გლოვა მართლაც სახალხო იქნებოდა. და ძვალშესალაგს ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის საფლავების გვერდით რომ მიუჩენდნენ, სწორედ ამიტომ — მასაც ხომ გვირგვინოსნად აღიარებდნენ.

მოგვიანებით ასეც დაერქმეოდა ამ ეროვნულ აქციას:

საიდუმლო მეფედკურთხევა.

ის განწყობილება, რაც ისედაც ტრიალებდა საზოგადოებაში, დაკრძალვის თავისებური, განსხვავებული რიტუალით — თავისებურითა და განსხვავებულით არა გარეგნულად, არამედ შინაგანი სისავ-

სით — საბოლოოდ შენივთდებოდა და იდუმალი ბეჭდითაც დაიბეჭდებოდა.

საიდუმლო მეფედკურთხევაო...

და თამარ პაპავა ამასაც დასძენს:

— ესეც გადაკრული, ქარაგმული მეტყველება იყო დაგროვილი რისხვისა, გულში რომ ჩაემარხათ ქართველთ.

რაო — რუსეთს მცირე ერის გადაკრული ქარაგმისათვის როდი ეცალაო?

არ ეცალა და... ნუ ეცალა, სამაგიეროდ, ჩვენ გვეცალა გაწყვეტილ ძაფთა გამრთელება-აღდგენის გზაზე ამგვარ ნიშანსვეტთა აღმართვისათვისაც.

იქ ერთი სამარე აკლდა ამ სამეულის რიგში:

ალექსანდრე ბატონიშვილის.

და ირაკლი ბატონიშვილის საფლავს ორივეს მაგივრობა უნდა ეტვირთა — მამისაც და შვილისაც.

ალექსანდრესათვის თუ ვერ მიეგოთ შესაფერისი პატივი, მისი ნეშტი თუ ვერ დაეტირებინათ და ვერც სამარე დაეგულებინათ სულის მოსათქმელად და თავმოსადრეკად, ირაკლი ბატონიშვილის საფლავს დაიგულებდნენ წმინდა ადგილად, მანუგეშებლად, იმედოვნების ნავსაყუდელად.

რაღაც ახალი ჟამი დგებოდა ქვეყნის ცხოვრებაში და ამ ახალი ჟამის დადგომა ირაკლი ბატონიშვილის დასაფლავების დღესაც უნდა დაედასტურებინა თავისი უჩვეულო შარავანდით.

იქით აკი მეფე ერეკლეს დაკრძალვასთან გაედო ხიდი ამ შეგნებულ დღეს.

აქეთ წინამორბედი შეიქნებოდა დასაფლავებათა მთელი წყებისა, საპროტესტო გამოსვლებად, ეროვნულ მანიფესტაციებად რომ გარდაისახებოდა.

ჯერ მარტო იმ საუკუნეში:

დიმიტრი ყიფიანის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის.

ალექსანდრე ყაზბეგის.

ახალი საუკუნე ილია ჭავჭავაძის დაკრძალვით გაიხსნებოდა.

მერე იაკობ გოგებაშვილი.

მერე არჩილ ჯორჯაძე.

მერე აკაკი წერეთელი.

მერე ვაჟა-ფშაველა.

და ყველა ამ საპროტესტო აქციის სათავეში ირაკლი ბატონიშვილის დასაფლავების დღე აღმოჩნდებოდა, როგორც წინააღმდეგობის სულისკვეთების სახალხო ამოფრქვევის გრანდიოზული გაცხადება.

ხედავთ, რა სახელებს მოქცევია სათავეში?

და მოქცევია იმ ბუნებრიობით, მეფეს რომ მართებს წინამძღოლობა.

ამჯერად ასეთი საპროტესტო მანიფესტაცია... გლოვა აღმოჩნდებოდა, ეროვნულ-პოლიტიკური აქცია, რომელთან შედარებითაც 1905 წლის რევოლუციად სახელდებული გამოსვლა ბევრად მოკრძალებულად გამოიყურება ხალხის სიმრავლითაც და მგზნებარების მუხტითაც.

ხოლო მაშინ იქ, თეირანში...

ეპილოგი

მაშინ იქ, თეირანში ერთადერთი მსახურიღა შერჩებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს: იაღუბ-ბეგი.

ის შეუსრულებდა ანდერძს: სომეხთა ეკლესიის გალავანში დამასაფლავეთო.

დაბრკოლებათა გადალახვა მოუწევდა, მაგრამ არ მოეშვებოდა და ბატონიშვილის ნეშტს შაჰ-აბდულ აზიმის ციხის სომხურ ეკლესიაში მიუჩენდა ადგილს, დასავლეთის კარებწინ.

სამარის ქვას არაფერი წაეწერებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შერაზან-ვარდანიანს რომ მოუნახულებია მისი სამარე, მოუწადინებია ამოეკვეთა ქვაზე ბატონიშვილის ვინაობაც და გარდაცვალების თარიღიც, მაგრამ... ქართული და სომხური ენების მცოდნე ქვისმთლელი ვერ უპოვნია.

სპარსული წარწერის ამოტვიფრა კი არ მოუნდომებია.

ეს შემძვრელი დეტალი დააბოლოვებდა შოთა ხანთაძისეულ ბიოგრაფიულ ქარგას ალექსანდრე ბატონიშვილისა, მწარე სევდით განმსჭვალული რეალია, მწუხარე დღეთა ლოგიკური აკორდი.

მთელ ნარკვევს კი ის მტკიცება გაასრულებდა, იმამ შამილის ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო ვაჟად გამოცხადებას რომ არ იზიარებდა ისტორიკოსი: ამჟამად სრულიად ნათელია, რომ ალექსანდრე 1813 წლამდე დაღესტანში არ ყოფილა, შამილი კი ამ დროისათვის უკვე 13-14 წლის ყმაწვილი გახლდათ და, ამდენად, ეს აზრი უსაფუძვლოდ მიგვაჩნიაო.

მაგრამ ლეგენდებს, მოგეხსენებათ, თავისი წეს-კანონი აქვთ და არც ეს ლეგენდა შეეპუებოდა მკვლევარის თუნდ დამაჯერებელ მტკიცებას.

და თუ ეს ისტორიკოსი მაინც შეეცდებოდა ლეგენდის გაქარწყლებას, ფოლკლორის მკვლევარნი სხვა ლეგენდას დაუდებდნენ სათავეს — თორღვა ძაგანს, ხევსურული პოეზიის პერსონაჟს, მითოსური იერით შემოსილ გმირს, შეურჩევდნენ კიდევ ერთ უკანონო ვაჟად ალექსანდრე ბატონიშვილს. და თუმც მოგვიანებით საცილო შეიქნე-

ბოდა ეს მტკიცება, მაგრამ თორღვას ბაგრატიონულ წარმოშობას დღესაც ჰყავს თავისი მომხრენი და თუნდაც საბოლოოდ ამ შეხედულებასაც გაქარწყლება ეწეროს, მეცნიერულ ლეგენდებს შორის მაინც მოვიხსენიებთ ხოლმე ამ თვალსაზრისს, თვალნათლივ დადასტურებად იმისა, თუ რაოდენ აღმტაცია და თავის ნებაზე წამყვანი ძიებებისას ალექსანდრე ბატონიშვილის სახელის წამოტივტივება.

სხვა მხრივ კი:

ბადურა სალბი გამოჩნდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიის გაზღაპრებული ვერსიის მთხრობელად.

მის შესახებ ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობასაც მოგვაწვდიდა „აკაკის კრებული“ — 130 წლისააო, სოფელ ხუმელაგში ცხოვრობსო, დაბადებით კი სოფელ ძალისში დაბადებულა და გაზრდილა და ქართულს ნმინდად ლაპარაკობსო, თვალით კარგად ხედავს, ყურითაც კარგად ესმის და ეკლესიაშიც კარგად დაიარებაო, ბადურას ყურისგდება სწორედ საამურია, როცა დაიწყებს ტკბილი ქართულით საქართველოს ძველ-წარსულ სხვადასხვა ამბებსო.

ეს 130 წელიც და... მთელი ბიოგრაფიაც მისტიფიკაცია ხომ არ არის?

მისი მონათხრობიც ისეთია, მთლად მხატვრულ გამონაგონად თუ არ მივიჩნევთ, აშკარად გადაჰკრავს ბელეტრიზების კვალი, შესაძლოა ისიც იფიქრო, ავტორს ხალხში რაღაც მარცვალი უპოვნია და მასზე აუშენებია თავისი თხზულება, რომელიც შეგნებულად დაუმგვანებია ხალხურისათვისო.

თითქოს არა ჰგავს ეს მცირე მოთხრობა უშუალო ჩანაწერს ვინმე „ქართველი ოსებში“-ს მიერ.

მაგრამ ამჯერაც ჩვენთვის მთავარი ის მარცვალი თუ სულაც მარცვლებია, რაც უთუოდ მოიპოვებოდა ოს მთქმელთა წრეში — სხვაგვარად ლეკურ თქმულებასთან სიახლოვესაც ვერ გამოიჩენდა ეს ნაამბობი.

და არანაკლებ მთავარია ისიც, აკაკი წერეთელი ასერიგად რომ დაინტერესებულა ალექსანდრე ბატონიშვილის ბედით და მისი სახელის შემოტანას სწრაფვით ესწრაფის სალიტერატურო მიმოქცევაში.

ბადურა სალბი კი მოყვებოდა, თუ როგორ გაუნაწყენდებოდა ალექსანდრე თავის ძმას გიორგი მეფეს, როდესაც შეიტყობდა, რუსხელმწიფეს შეერთებიაო; და ეს სხვა გულისა და შეხედულების ვაჟკაცი, გაჯავრებული, აღარ ინდომებდა საქართველოში თავის ძმასთან ცხოვრებას და სპარსეთში გავარდებოდა.

გუშინდელივით მახსოვსო, — ირწმუნებოდა მთხრობელი, და, თუკი 130 წლისათვის მიეღწია, მართლაც გუშინდელივით უნდა ხსომებოდა ის გარდასული ჟამი, რაკიღა ასეთ დროს უფრო მკაფიოდ ის სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ამბები აგონდებათ, ვიდრე მართლაც გუშინ მომხდარი.

ალექსანდრე კი ყიზილბაშთან რომ მივიდოდა, ის დიდი პატივით მიიღებდა და შესთავაზებდა: რაც გინდა, მთხოვეო. ეს კი არაფერს ითხოვდა, გარდა ერთი ცხენის არჩევისა იმის რემაში.

ყიზილბაში დიდი სიამოვნებით აახლებდა მხლებლებს, ალექსანდრე კი რემაში ცხენის შერჩევას რომ დაიწყებდა, ჭკუაში არცერთი არ დაუჯდებოდა; რამდენზეც შეჯდებოდა, ყველა წელში ჩაიზნიქებოდა. შემდეგ მეჯოგეები მოახსენებდნენ: შარშან რემა ზღვის ახლოს რომ გვედგა, ზღვიდან გამოვიდა შავი ულაყი, რემაში გაერია და ერთ ფაშატს შეეუღლა. იმ ფაშატმა კვიცი მოიგო, ჯერ წლისაც არ არის და, თუ გნებავთ, ის კვიცი ნახეთო.

ალექსანდრე ნახავდა და... განცვიფრდებოდა, წამოიყვანდა და ისევ ყიზილბაშთან მივიდოდა, იმის შეკითხვაზე კი: თუ აირჩიე ცხენიო? — მიუგებდა:

— ჩემი საკადრისი ვერ არის, შენი საკადრისი კი ამოვარჩიეო.

იმას ეწყინებოდა ეს სიტყვები და ეტყოდა: როგორ თუ ჩემი საკადრისია და შენი არაო?! — და ალექსანდრე გაუქარვებდა წყენას: როგორ და, მეფის შესაფერისი ცხენი ავარჩიე, ანუ თქვენი საკადრისიო. — და ის, კმაყოფილი: ალალი იყოს, რომელი ცხენიც მოგეწონაო.

კვიცს თავის ნებაზე გახედნიდა ალექსანდრე.

ცხენი ისეთი მაღალი გაიზრდებოდა, მარცხენა ფეხის ჩასადგმელი უზანგი გრძელი დასჭირდებოდა ბატონიშვილს, რადგანაც სხვაგვარად ძნელი გახლდათ ზედ შეჯდომა.

ამბობდნენ, ალექსანდრეს ალმასები აქვს გაკეთებული ფეხებზე და ცხენის მკერდზე. იქიდან, სათათრეთიდან, ამ ცხენითა და ჯარით დაეცემოდა ხოლმე მტრებს და საითაც გაუტევდა, ვაი მათი ბრალი, ვერავინ უმაგრდებოდა. რასაც ხოცავდა ცხენითა და ხმლით, ხომ ხოცავდა, რასაც არა და, ალმასები რომ ჰქონდა ფეხ-მუხლებზე გაკეთებული, იმით ავლებდა მუსრს.

ვაჟკაცობასა და გულადობასთან ერთად ხომ სიმარდეც ისეთი მოსდევდა, ორი კარგი ჩერქეზული ნაბადი უნდა გაეშალათ სიგრძეზე, ვარჯიშისას ნაბადის თავში ფეხს დაჰკრავდა და ბოლოში ისე გადაეცლებოდა, ნაბდებს ბევრად კიდევ გადაშორდებოდაო.

ერთხელაც თავისი ეს საყვარელი ცხენი დაუკოჭლდებოდა. ფარულად მიუყვანდა ქიზიყში ერთ ექიმს, ას თუმანს მისცემდა და ერთ იმდენს კიდევ დაპირდებოდა, თუკი მოურჩენდა. ცხენსა და მეჯინიბეს ექიმთან დატოვებდა და თვითონ ისევ სათათრეთში გასწევდა.

ექიმი, რასაკვირველია, მალულად სწამლობდა ცხენს, მაგრამ ერთხელაც დაასმენდნენ ალექსანდრეს მტრები, იმისი საკვირველი რაში ამა და ამ კაცის სახლში იმყოფება და ის მკურნალობსო. ცხადია. მიიჭრებოდნენ ექიმის სახლში და დააპირებდნენ ცხენის წაყვანას.

რაში არავის იკარებდა, გარდა ალექსანდრესი და მისი მეჯინიბისა. მეჯინიბეს ეტყოდნენ, გამოეყვანა ცხენი და წაეყვანა იქ, სადაც უბრძანებდნენ. ის ეტყოდათ: ცოტა მაინც მოითმინეთ, წყალი დავალევინოო. გამოიყვანდა რაშს ბორკილით (უბორკილოდ ვერც მიჰყავდათ წყალზე) და დაადგებოდა გზას მის დასარწყულებლად. წყალზე ცხენს ბორკილს აჰყრიდა, მოახტებოდა და საით გაქრებოდა ცის ელვასავით, მისას ვეღარას გაიგებდნენ. ერთგული მეჯინიბე კი გზას გაუდგებოდა თავის საყვარელ ბატონ ალექსანდრესთან.

მფრინავი რაშის ლეგენდას ოსურ გარემოში ასეთი სახე შეეძინა, მის თავისებურ ანასხლეტად მოჩანდა, მითოსის ნაშთად, მიუხედავად თხრობის რეალისტური მანერისა, იდუმალი საბურველი მთლად მაინც რომ არ შემოძარცვოდა.

უთუოდ საგულისხმოა ის დეტალი, მოხუცი ბადურა რაშის უეცარი გადაელეებით რომ დაასრულებდა თავის ტკბილ საუბარს ალექსანდრე ბატონიშვილზე:

თან თავის გაქნევით ხელსაც ჩაიქნევდა.

და საგულისხმოც იმიტომაა, რომ ხელის ამ მოძრაობაში ბერიკაცის მძაფრი სულიერი ტკივილი მოჩანს. თითქოს უნდა აჰყვეს ცხენის ქროლას, მასთან ერთად შეერწყას უსაზღვროებას და ალექსანდრეს მითოსიც ბოლომდე განიცადოს, მაგრამ მითოსს კიდეები რომ მორღვევია და ფრაგმენტიღა დარჩენილა, მისი ნაგლეჯის იქით ვეღარ გაუღწევია მთქმელის წარმოსახვას. ეჭიდება და... ვეღარც მოჭიდებია.

და ამ ამბის ხშირად გახსენებით თუ გაიქარვებს მოწოლილ დარდსა და ბოღმას, ალექსანდრე რომ სადღაც გადაკარგულა და მისი მტრები ამიტომაც გაპარპაშებულან.

მაგრამ განა როდემდე გაუგრძელდება ბატონიშვილს ეს გადაკარგვა?!.

მოლოდინი იდუმალად გამოსჭვივის ნაამბობის ფინალში, რამდენადაც შეიძლება რეალისტურმა თხრობამ შეინარჩუნოს ეს მოტივი.

...ისე მაინც რა არის.

ალექსანდრესა და მისი მფრინავი რაშის ლეგენდა როგორ შემონახულა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანით";

აკაკი წერეთლის პუბლიკაციით, ოსური ხალხური ამბის „ქართველი ოსებში"-ს მიერ ჩაწერილით;

ვასილ ბარნოვის „ისკანდარითა"

და

პაველე ინგოროყვას მინაგნებითა და ოთარ ჩხეიძის დოკუმენტური ჩანაწერით.

...ოს ბადურა სალბის კი იმხანად სხვა რა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ სიმწრით ჩაექნია ხელი.

ეს სიმწრით ჩაქნეული ხელი აკაკი წერეთლისაცაა, თავისი განცდებიც რომ მიუდევნებია ალექსანდრე ბატონიშვილის ამბის ოსური ხალხური ვერსიისათვის... თუ სულაც მისტიფიკაციისათვის არა.

და კიდევ სხვა მხრივ:

ელვა და ქუხილი არ აკლდა ჩრდილოკავკასიას — არც იქ, ზეცაში, არც აქ — მიწაზე. და ყველა ხალხი, რომელთა სიჭრელეც ქმნის ჩრდილოკავკასიურ რუკას, ალექსანდრე ბატონიშვილს თავისად იჩემებდა.

გადანათდებოდა თუნდ წკვარამ ღამეში ირგვლივ ყველაფერი და ასდევდა ყვირილი და გადაძახილ-გადმოძახილი.

— აგერ, აგერ ის!..

— ხედავ?

— შენც ხედავ?

— ვხედავ, აბა, მაშ!..

— თვალს ძლივს მიადევნებ მის ქროლას.

მაინც მიადევნებდნენ მზერას ზეციურ მხედარს და ყველა გულისთქმა ამ აღტკინებაში შენივთდებოდა:

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

მიწა ტორტმანებდა, თავისას ითხოვდა და ეს „თავისი" სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, რომლის სიმბოლოდაც ქროდა ცის კაბადონზე მფრინავი რაში და დააგელვებდა იმ მხედარს, ვისაც ბაგრატიონთაგან მხოლოდ მესამეს ეწერა მითოსის მკვიდრად გახდომა.

ამდენი დიდებული ხელმწიფე ახსოვდა ამ სამეფო გვარს, განუზომელი ღვაწლით აღბეჭდილნი ქართლის ცხოვრების ქრონიკებში, მაგ-

რამ მითოსში პერსონაჟად მანამდე თამარ მეფეს შეეღწია და ერეკლე მეორეს, მეტს არავის ღირსებოდა იქ მოხვედრა... და, აი, ალექსანდრე ბატონიშვილსაც გაერღვია მითოსის კარიბჭე და იმ სივრცეში გადასულიყო თავისი მფრინავი რაშით.

...აღმოსავლეთში შეუძლებელია ჰამლეტიო, — ირწმუნებოდა გრიგოლ რობაქიძის აჩრდილი.

ვითომ რატომ არის შეუძლებელიო, — გაკვირვებით გაჰკვირებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის აჩრდილს.

ბალახმა გადაუარა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გათელილ ბილიკებსო, — წუხდა მიხეილ ჯავახიშვილი და ამ ბილიკთა ხელახლა გათელვაში ხედავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხატს.

* * *

სადღაც ისევ ელავს.

სადღაც ისევ გაისმის ქუხილი.

სადღაც ისევ ისახება ზეციური მხედარი უსაზღვრო ტატნობზე... მზის რაინდი — მფრინავი რაშით... შორ სამეფოში...

გალაკტიონი „მშვიდ სამეფოს" ახსენებდა თავის ლექსში. ეს შორი სამეფო საიდან?.. იგივეა, სწორედაც იგივე. უბრალოდ ამ შემთხვევაში „შორი" რაღაც ნიუანსით უფრო ახლოა იმ წარმოდგენასა და განწყობილებასთან, ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი რომ იწვევს, ეროვნულობის სათავედაც რომ განზოგადდება და ჩვენს სახელმწიფოს ერთიანობაში განგაცდევინებს.

უშორესი ჟამიდან უშორეს ჟამამდე.

ისევე, როგორც:

გალაკტიონისეული „სიზმრები" ამ სტრიქონში („მთები, სიზმრები და წინაპრები") სწორედაც იგივეა, რაც „მითები", ეგაა, მითები რაღაც ნიუანსით უფრო ახლოა ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით გამოწვეულ უმძაფრეს განცდებთან, ქართული სამყაროს ფესვებამდეც რომ უნდა გაგვიძღვეს.

ასეა თუ ისე, „და მეძახიან მშვიდ სამეფოში მთები, სიზმრები და წინაპრები" ამგვარადაც შეიძლება შეიცვალოს: „და მეძახიან შორ სამეფოში მთები, მითები და წინაპრები".

გალაკტიონის სტრიქონთა თვითნებური ჩასწორება როგორ შეიძლება?

თვითნებური რატომ.

რომ მომხდარიყო და ამქვეყნად შევხვედროდი გალაკტიონს და ეს ჩასწორება შემეთავაზებინა, დარწმუნებული ვარ... გაიზიარებდა. არავის ეკამათებოდა, არავის უწყრებოდა, ვინც — ზედმეტად გათამამებული თუ თავდაჯერებული (მეტი რომ აღარ ითქვას!) — ასეთ შესწორებებს სთავაზობდა და რაღა ამჯერად განაწყენდებოდა. ერთს მისებურად ჩაიღიმებდა მხოლოდ.

დაე მისმა ამ ჩაღიმებამ გაანათოს ეს ფინალური პასაჟი.

ღიმილი ასხივოსნებს მონატრების შეგრძნებას.

ჰეროიკულ სწრაფვებსაც ასხივოსნებს.

მითუფრო — გალაკტიონის ღიმილი.

სადღაც ისევ...

ისევ და ისევ...

და ეს ხმიანობაც ნეტა ციდან ჩამოგვესმის თუ აქედან აწვდილა სივრცეებში:

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

— ისკანდერ!

და ჯერაც გასათელია ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გაკვალულ ბილიკებზე გადავლილი შამბი და ბალახი.

2011

14 ივლისი-14 ოქტომბერი

შინაარსი

წინასიტყვის მაგიერ ანუ
ავტობიოგრაფიული რომანის ქარგა 3

თავი პირველი
ზეციური მხედრის მითოსი 19

თავი მეორე
„აი სამეფო კაცი“ 45

თავი მესამე
აღთქმა ალექსანდრე ბატონიშვილისა 74

თავი მეოთხე
დაუვიწყარი სიყვარული: ნინო 92

თავი მეხუთე
ჟამი მეფობისა წარხდეს 107

თავი მეექვსე
ავანსცენაზე — გაბრიელ ყაზბეგი 133

თავი მეშვიდე
„მიწყივ ვეძიებდეთ მამულსა ჩვენსა“ 158

თავი მერვე
ბახტრიონული ლანდები 194

თავი მეცხრე
დარღვეული ტრიადა 216

თავი მეათე
ტრაგიკული ეპილოგი 248

თავი მეთერთმეტე
„დაღესტნის ვერცერთი ადგილი ვერ დაგიფარავთ...“ 279

თავი მეთორმეტე
ჩაფუშული მკვლელობა 305

თავი მეცამეტე
ის გამაოგნებელი მსვლელობა და... ჩაშლილი ქორწინება .. 329

თავი მეთოთხმეტე
საქორწინო გვირგვინი... სალმასტი... ოჯახი ტყვეობაში ... 351

თავი მეთხუთმეტე
ძაფები შეთქმულებასთან 376

თავი მეთექვსმეტე
სევდის არშია 394

თავი მეჩვიდმეტე
მამაშვილობა 409

ეპილოგი 432

რედაქტორი
ნინო ვახანია

მხატვარი
კარლო ფაჩულია

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი